<p>2. ნაშრომში განხილულია მუდმივი დენის ორძრავიანი ტირისტორული ელექტრო-ამძრავის მართვის სისტემა ძრავების აღზნების ნაკადების რეგულირებით, რომელიც უზ-რუნველყოფს ძრავებს შორის დატვირთვის პროპორციულ განაწილებას. დინამიკური რეჟიმების გამოსაკვლევად შედგენილია მისი მათემატიკური მოდელი ციფრული რეგულატორებითა და მექანიკური ლიწვების დრეკადობათა გათვალისწინებით. სისშირული მახასიათებლების და ცვლადების მდგომარეობის სივრცის მეთოდებით მიღებულია რეგულატორების ოპტიმალური პარამეტრების გამოსათვლელი ფორმულები. კონსტრუირებულია სპეციალური ფილტრები, რომელთა დახმარებით მიღებულია ოპტიმიზებული გარდამავალი პროცესების მრუდები.</p>

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჯ. დოჭვირი, ო. ხაჭაპურიძე	მძლავრი გენერატორების უკუკავშირის მართვის სისტემები გაუმჯობესებული დინამიკური მახასიათებლებით. ეურნ. ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები	29-30 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. ქუთაისი
2	გ.ამყოლაძე	„ახალი ენერგოსიმძლავრეების ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში“.	ქუთაისი, მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია. 14-15 ოქტომბერი
3	დ.ჯაფარიძე	მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი.	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელური: “გუშინ, დღეს, ხვალ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 14-15 ოქტომბერი. 2016 წელი.
4	მ.ლომსაძე-კუჭავა	„ლოგისტიკური სისტემები და მათი დანერგვის მდგომარეობა საქართველოს სამრეწველო	ქუთაისი, მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია. ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და

		ბიზნესში“.	განვითარების პერსპექტივები. 2016 წელი 29-30 ოქტომბერი.
5	დ.ჩომახიძე, ქ.ცხაკაია	„ენერგეტიკული რესურსების ექსპორტ-იმპორტი საქართველოში“	ქუთაისი, მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია. ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. 2016 წელი 29-30 ოქტომბერი
მოსხენებათა ანოტაციები			
<p>1. გამომუშავებული ელექტროენერჯის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესებაა შესაძლებელი ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში ძალურ დანადგარებზე ავტომატიზებული ანუ უკუკავშირიანი მართვის სისტემების დანერგვით. ქსელში ძაბვის მაღალი სიზუსტით და სწრაფქმედებით სტაბილიზაციის (0,1%-ის ფარგლებში) საშუალებას გვაძლევს ავტომატიკის თანამედროვე ელემენტები - რეგულატორები და სენსორები. მომხმარებლებისათვის რყევების გარეშე მიწოდებული ძაბვები შესაძლებელს გახდის ამოქმედდეს ჩვენს ქვეყანაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დენის გენერატორების უკუკავშირიანი მართვის სისტემების დინამიკური რეჟიმების კვლევის შედეგები სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ციფრული რეგულატორების გამოყენებით. პ-ტიპის რეგულატორიანი მართვის სისტემა მარტივია, მაგრამ სისტემას მცირე სტატიკური ცდომილება მაინც გააჩნია. პი-ტიპის რეგულატორიანი სისტემას კი სტატიკური ცდომილება არ გააჩნია, მაგრამ ის შედარებით ინერციულია. პიდ-ტიპის რეგულატორიანი სისტემა შედარებით რთულია, მაგრამ შემცირებული აქვს დატვირთვისას ძაბვის დინამიკური ვარდნა, ხოლო სწრაფქმედება მაქსიმალურია და შეადგენს 0,5 წმ-ს. ძაბვის დინამიკური ვარდნის კიდევ უფრო შემცირებას იძლევა სისტემაში მთავარ უკუკავშირთან ერთად ინვარიანტული უკუკავშირების დამატება.</p>			
<p>2. მოსხენებაში განხილულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები. მომხსენებელი მოსხენებაში განიხილავს ეკონომიკურ მოდელები როგორ განცდის ცვლილებებს გარკვეულ ეტაპებზე, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.</p>			
<p>3. მოსხენებაში განხილულია მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები და საქართველოში ენერგორესურსების წარმოების საშუალოვადიანი პროგნოზი</p>			

ბ)უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

1	Дочвири Дж. Н.	Динамика Двухдвигательного электропривода с регулированием возбуждений при цифровом управлении	II межд. конф. „ ELTECS – 2016, 26-29 июня, Одесский нац. политехн. ун-т , Украина
2	დ.ჩომახიძე, ქ.ცხაკაია	ენერგოეფექტიანობის გამოწვევები საქართველოში.	კრებული: „ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის შემოქმედება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე“ განჯა, 2016. 66ზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი.
3	დ.ჩომახიძე	Energy balance of Georgia AASCI	ჰოლანდია, ELSEVIER ტ.14; 5-3, 2016წ.
4	მ.არაბიძე	ორგანიზაცია „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების“ ფარგლებში ორგანიზებულ, ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის რიგით მე-10 სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა.	(ავსტრიის რესპუბლიკა, ქ. ვენა) 09-12მარტი, 2016
5	მ.არაბიძე	ორგანიზაცია „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანებისა“ და „მსოფლიო ბანკის“ ინიციატივით ორგანიზებულ შეხვედრებში (ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის რიგით მე-11 სამუშაო შეხვედრა – 01/06/2016წ. დასემინარიტემაზე: „ენერგოეფექტურობის	02/06/2016წ. (ავსტრიის რესპუბლიკა - ქ. ვენა).

		შესახებ დირექტივის იმპლემენტაცია და მასთან დაკავშირებული დაფინანსების საკითხები“-	
6	მ.არაბიძე	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა მე-8 კონფერენცია.	(ქ. ბათუმი, საქართველო) 07-10 ივნისი, 2016
7	მ.არაბიძე	მე-7 საერთაშორის ფორუმზე „ენერგეტიკა მდგრადი განვითარებისათვის“ დასწრების, ასევე, ფორუმის ფარგლებში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ორგანიზებულ, ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფისა და განახლებადი ენერჯიების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრეში მონაწილეობის მიღების მიზნით	ზერბაიჯანის რესპუბლიკა - ქ. ბაქო 17-23 ოქტომბერი, 2016
8	მ.არაბიძე	ორგანიზაცია „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების“ ფარგლებში ორგანიზებულ, ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის რიგით მე-12 სამუშაო შეხვედრა	14-17 ნოემბერი, 2016 (ავსტრიის რესპუბლიკა, ვენა)
9	მ.არაბიძე	აზიის განვითარების დაორგანიზაციის -	19-26 ნოემბერი, 2016. ავსტრალია, ქალაქი მელბურნი, ტასმანია, ვიქტორია

		<p>„ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე (თემა: „ქსელის ავტონომიური სისტემები, განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელთან ინტეგრირება და ახალი ტექნოლოგიები“)</p>	
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p>			
<p>1. ნაშრომში განხილულია მუდმივი დენის ორძრავიანი ტირისტორული ელექტრო-ამძრავის მართვის სისტემა ძრავების აღზენების ნაკადების რეგულირებით, რომელიც უზრუნველყოფს ძრავებს შორის დატვირთვის პროპორციულ განაწილებას. დინამიკური რეჟიმების გამოსაკვლევად შედგენილია მისი მათემატიკური მოდელი ციფრული რეგულატორებითა და მექანიკური ლილვების დრეკადობათა გათვალისწინებით. სისწორული მახასიათებლების და ცვლადების მდგომარეობის სივრცის მეთოდებით მიღებულია რეგულატორების ოპტიმალური პარამეტრების გამოსათვლელი ფორმულები. კონსტრუირებულია სპეციალური ფილტრები, რომელთა დახმარებით მიღებულია ოპტიმიზებული გარდამავალი პროცესების მრუდები.</p>			
<p>2. სტატიაში ნაჩვენებია თანამედროვე ეტაპზე ენერგოდაზოგვის როლი და მნიშვნელობა. გაანალიზებულია საქართველოში ენერგორესურსების ხარჯვის დონე და დინამიკა პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე. აღნიშნულია ამ მხრივ დადებითი ტენდენციები. თუმცა მინიშნებულია საქართველოს ჩამორჩენილობაზე საზღვარგარეთულ პრაქტიკასთან. ჩამოყალიბებულია ენერგიაშემცველების რაციონალურად გამოყენების მთვარი მიმართულებები, მათ შორის რესურს დამზოვი ტექნოლოგიების გამოყენება, შრომის მაღალი ორგანიზაცია, დანაკარგების შემცირება. ამ მიზნით აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში, ეკონომიკის დარგობრივი ტექნოლოგიური და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა. ენერჯის არატრადიციული (მზის, ქარის, გეოთერმული ენერჯის და სხვა.) გამოყენების გაფართოება, ენერგოდაზოგვაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა.</p>			
<p>3. სტატიაში გამოკვლეულია საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. ამ მიზნით გაანალიზებულია ქვეყანაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოება-მოხმარება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 წლიან პერიოდში. ანალიზი ჩატარებულია ენერგორესურსების ცალკეული სახეებისა და მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით. მოცემულია ენერგიაშემცველების ექსპორტ-იმპორტი, აგრეთვე ქვეყნის მოთხოვნილების ადგილობრივი წარმოების რესურსების დაკმაყოფილების დონე და დინამიკა. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი ტრადიციულად ღრმად დეფიციტურია. გამოთქმულია მოსაზრებები მისი</p>			

გაუმჯობესებისათვის. ქვეყანას გარედან შემოაქვს მოხმარებული ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის თითქმის მთლიანი რაოდენობა. შედარებით სტაბილურია ელექტრობალანსი. ბოლო ხანებში კი ელექტროენერჯის გარკვეული რაოდენობა მიეწოდება მეზობელ სახელმწიფოებსაც. მთლიანობაში ქვეყანა საკუთარი წარმოების ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 30–35 პროცენტით, ხოლო დანარჩენი გარედან შემოიტანება. ბალანსის დეფიციტურობას გარკვეულწილად განაპირობებს ენერგორესურსების არარაციონალური და, შეიძლება ითქვას, მფლანგველური მოხმარებაც. სტატიაში საუბარია საქართველოში ენერგეტიკული ბალანსის შედგენის ორგანიზაციულ სიძნელებებზე და ენერგორესურსების წარმოება-მოხმარების აღრიცხვის სტატისტიკურ პრობლემებზე საბაზრო ეკონომიკის საწყის ეტაპზე.

ელექტრომექანიკის №6 საგანთა ჯგუფი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფესორი **ელჟარდ გესამია**)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 5 თანამშრომელი, მათ შორის 3 პროფესორი, 1 ასოცირებული და 1 ასისტენტ პროფესორი

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.გერსამია <u>(ჩაშვებულა დასაბეჭდად)</u>	ელექტრული მანქანების კონსტრუირების ტექნოლოგიური საფუძვლები	“ტექნიკური უნივერსიტეტი” 2016	215
ანოტაციები ქართულ ენაზე				
მონოგრაფიაში განხილულია ელექტრული მანქანების კონსტრუირების ტექნოლოგიური				

საფუძვლების ძირითადი პრინციპები. დამუშავებულია ელექტრული მანქანების პროექტირების მეცნიერულ-მეთოდური საკითხები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების კონსტრუქციების უნიფიკაციისა და ოპტიმალური პროექტირების ძირითად საკითხებს. მოცემულია ელექტრული მანქანის ადრეულ სტადიაში შრომატევადობის გამოანგარიშების მეთოდოლოგია, გრაგნილიანი სტატორის დამზადების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური პარამეტრების ძირითად სიდიდეთა განსაზღვრა, მათი გავლენა ელექტრული მანქანის მახასიათებლებზე. ნაშრომში დამუშავებულია გამოშვების პროგრამის ოპტიმიზაცია უწყვეტ-ნაკადური წარმოების დანერგვის პრინციპების საფუძველზე და ახალი კონსტრუქციების ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები. განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ენერგეტიკის სფეროში მომუშავე მეცნიერ-მუშაკებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	დ.კოხრეიძე	ელექტრული აირწმენდის მაღალი ძაბვის აპარატები	თბილისი, სტუ, 2016-621.61 19; ელექტრონული ვერსია CD3105 თბილისი, სტუ, 2016	63
2.	დ.კოხრეიძე	პრაქტიკული ელექტრულ მანქანებსა და აპარატებში	თბილისი, სტუ, 2016-621.313(076)/1; ელექტრონული ვერსია CD3034 თბილისი, სტუ, 2016	49
3.	დ.კოხრეიძე	გენტილური ასინქრონული მანქანების მათემატიკური მოდელირება	თბილისი, სტუ, 2016-621.31333(02)3 ელექტრონული ვერსია CD3151 თბილისი, სტუ, 2016	75
ანოტაცია:				
1. ნაშრომში განხილულია გამონაბოლქვ აირებში მავნე ნივთიერებების შემცირება მაღალი ძაბვის აპარატების-ელექტროფილტრების საშუალებით. ამ მოწყობილობებში გამოყენებულია აირების გაწმენდა მავნე მინარევებისაგან მძლავრი ელექტრული				

ველების გამოყენებით. განხილულია აირების გაწმენდა მძლავრ ენერგობლოკებზე (300, 500 და 800 მგვტ სიმძლავრით). დაწვრილებითაა აღწერილი ელექტროფილტრების კონსტრუქციები და მათი კვების მაღალი ძაბვის აგრეგატების პრინციპული ელექტრული სქემები. მოყვანილია კვების აგრეგატების ძაბვის რეგულირების თანამედროვე სისტემები. ნახვენებია ელექტროფილტრების სამფაზა აგრეგატების უპირატესობები დატვირთვის დენით 1600 და 2500 მა-ზე და მაქსიმალური ძაბვით 80 კვ. შემუშავებულია კვების აგრეგატების გაანგარიშების მეთოდოლოგია, ჩატარებულია შესაბამისი გაანგარიშებები, როგორც სტაციონალური, ისე გარდამავალი რეჟიმებისათვის. ნაშრომი განკუთვნილია ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის მიმართულების სტუდენტთათვის მაღალი ძაბვის ტექნოლოგიური დანადგარების დაგეგმარების პროცესში. გამოადგება შესაბამისი პროფილის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსაც.

2. ნაშრომი შედგენილია ტესტების სახით. იგი მოიცავს ელექტრული მანქანებისა და აპარატების შემდეგ ძირითად ნაწილებს: ტრანსფორმატორები, ასინქრონული მანქანები, სინქრონული მანქანები, მუდმივი დენის მანქანები, ელექტრული აპარატები. ტესტებში შესულია ძირითადი საკითხები თითოეული ნაწილიდან. კითხვები ასახავენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს შესაბამისი გაანგარიშებებისა და აგებების ჩატარებით. ტრანსფორმატორების განხილვისას საკითხები დალაგებულია პროგრამის მიხედვით: ტესტები შეეხება ტრანსფორმატორის განტოლებებს მყისი და კომპლექსური სიდიდეებისათვის, ვექტორულ დიაგრამას, სამფაზა ტრანსფორმატორების შეერთების სქემებსა და ჯგუფს, მარგი ქმედების კოეფიციენტს. მანქანებისათვის განხილულია ანალოგიური საკითხები მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ელექტრულ აპარატებში საკითხები მოიცავს აპარატების კონსტრუქციების თავისებურებებს, მათში მიმდინარე ელექტრომექანიკური პროცესების თეორიულ საფუძვლებსა და გაანგარიშების ზოგიერთ საკითხს. ტესტების სწორი პასუხები მოყვანილია ნაშრომის ბოლოს ცხრილის სახით. ნაშრომი შედგენილია ენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის მიმართულების სტუდენტთათვის საბაკალავრო და სამაგისტრო გამოცდებისათვის მზადების პერიოდში გამოსაყენებლად. გამოადგებათ შესაბამისი დისციპლინების პედაგოგებსაც პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისას.

3. ნაშრომი ეძღვნება ვენტილური ელექტრული მანქანების მათემატიკური მოდელირების აქტუალურ საკითხებს. ჩატარებულია ვენტილური ასინქრონული მანქანების მათემატიკური მოდელირება. განხილულია ასინქრონული მანქანები მოკლედ შერთული როტორით და როტორის გრაგნილის ცვლადი ძაბვით აგზნების შემთხვევაში. შედგენილია გარდამავალი პროცესის განტოლებები ცვლადთა მყისი მნიშვნელობებისათვის. გამოყენებულია კოორდინატთა გარდაქმნა. მიღებულია დენების გამოსახულებები გარდამავალ რეჟიმში. ცალკეა განხილული კომუტაციური პროცესები მანქანში კომუტატორის სრულად მართვად ტირსტორებზე შესრულებისას. მიღებულია სიდიდეთა გამოსახულებები, საიდანაც განისაზღვრება კომუტაციის კუთხე. ჩატარებულია კომუტაციური პროცესების ანალიზი კონდენსატორული კომუტაციის შემთხვევაში. განსაზღვრულია კომუტაციის კუთხე ძრავას ყველა პარამეტრის მხედველობაში მიღებით. ძრავას ინტეგრალური მახასიათებლები

განგარიშებულია ცვლადთა გასაშუალოების მეთოდით. აგებულია მანქანის მუშა მახასიათებლები კონკრეტული პარამეტრების გათვალისწინებით. კომპიუტერზე ჩატარებულია გარდამავალი რეჟიმების განგარიშება. მიღებული შედეგები წარმოდგენილია გრაფიკულად. ნაშრომი განკუთვნილია შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და ინჟინრებისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	დ.კოსრეიძე გ.ბუჭველაშვილი	ზეგამტარი ელექტროსისტემის მათემატიკური მოდელი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოსხენებების კრებული ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები	მოსხენებების კრებული 29.10.2016	ქუთაისი, საქართველო IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	4
2.	გ.ხარშილაძე	კომუტაცია ასინქრონული ტიპის ვენტილურ ძრავაში როტორის ცვლადი დენით აგზნებისას.	ჟურნალი “ენერჯია” №1 (77)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3 გვ.
3.	ა.ზერეკიძე, ი.ნათენაძე, ნ.კერესელიძე	მუდმივი დენის მაგისტრალური ელმაგვლების თვალწვილების ბუქსაობის პროცესის გამოკვლევის შესაძლებლობა MATLABSimulink	ჟურნალი “ენერჯია” №1 (77)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვ.

		მათემატიკური მოდელით.			
ანოტაცია					
<p>1. განხილულია ზეგამტარი ცვლადი დენის უმარტივესი სისტემა. შედგენილია ეკვივალენტური ელექტრული ჩანაცვლების სქემა ახალი პარამეტრის-კინეტიკური ინდუქციურობის გათვალისწინებით. ეს პარამეტრი არ არის დაკავშირებული ენერჯის დანაკარგთან. მიღებულია დენის გამოსახულება მბრუნავ კოორდინატთა სისტემაში ოპერატორული მეთოდის გამოყენებით. აქ გამოყენებულია კარსონის მიხედვით მოღებული სინუსოიდური ძაბვის ოპერატორული გამოსახულება. დენის მყისი მნიშვნელობა განსაზღვრულია დაშლის თეორემის გამოყენებით. განხილული მეთოდიკა შეიძლება გამოვიყენოთ უფრო რთული ელექტრული სისტემის შემთხვევაში ზეგამტარი ელემენტებით. შეიძლება განხილულ იქნას ორგრაფილიანი, სამგრაფილიანი და აგზნების დამოუკიდებელი გრაფილიანი ტრანსფორმატორების შემთხვევები. ზეგამტარი ტრანსფორმატორის მარგი ქმედების კოეფიციენტი განპირობებულია სიმძლავრის დანაკარგებით გრაფილებში და მაგნიტოგამტარებში. ზეგამტარ გრაფილებში შემცირებულია სიმძლავრის ელექტრული დანაკარგები. მაგნიტური დანაკარგების შემცირების მიზნით, ტრანსფორმატორის ღეროები შეიძლება დამზადდეს ფოლადის გარეშე, რაც შესაძლებელია ტოროიდული ტიპის ზეგამტარ ტრანსფორმატორში. დანაკარგები მნიშვნელოვნად მცირდება მაგნიტოგამტარის მასალად ამორფული ელექტროტექნიკური ფოლადის გამოყენებისას. ამ შემთხვევაში ზეგამტარი ტრანსფორმატორის უქმი სვლის დენის განგარიშება შეიძლება ჩატარდეს მაგნიტოგამტარის მასალის პარამეტრებისა და დამზადების ტექნოლოგიის თავისებურების გათვალისწინებით კომპიუტერზე.</p>					
<p>2. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მიღებულია ასინქრონული ტიპის ვენტილურ ძრავაში, როტორის ცვლადი დენით აგზნების შემთხვევაში, კომუტაციის განტოლებები კომპლექსურ სახეში, სიდიდეთა მყისი მნიშვნელობებისათვის. ამ განტოლებებით მიზანშეწონილია კომუტაციის პროცესის გამოკვლევა მანქანის პარამეტრების გათვალისწინებით გარდამავალ რეჟიმში. დამყარებულ რეჟიმში კომუტაციის გამოკვლევა ხორციელდება განტოლებებით საკუთარ კოორდინატებში სტატორისა და როტორის აქტიური წინაღობების უგულვებელყოფით.</p>					
<p>3. განხილულია მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების თვალწყვილების ბუქსაობის (იუზი) დადგენისა და აცილების მეთოდები. აგებულია ბუქსაობის დადგენის მათემატიკური მოდელი, სადაც გათვალისწინებულია ტექნოლოგიური დაშვებები, რომელსაც ადგილი აქვს წვეის ძრავის დამზადების პროცესში. ელმავლის მაქსიმალური სიმძლავრის გამოყენება მიიღწევა თვალწყვილების ბრუნვის სიხშირის ინდივიდუალურად რეგულირებით ბუქსაობის დაწყების მომენტში. საჭირო ბრუნვის სიხშირის მნიშვნელობის განსაზღვრა შემოთავაზებულია MATLabsimulink მათემატიკური მოდელით.</p>					

II. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Кохреидзе Д.К.	Уравнения переходных и стационарных режимов однофазного шунтового двигателя с полупроводниковым коммутатором. Приборы и системы.	№8, 2016	მოსკოვი ”ნაუბტექსლიტიზდატ”	3
2	Кохреидзе Д.К.	Анализ процессов в асинхронном двигателе с параллельным возбуждением с полупроводниковым коммутатором на статоре. Приборы и системы.	№10, 2016	მოსკოვი ”ნაუბტექსლიტიზდატ”	3
3	Кохреидзе Д.К.	Коммутация в установившемся режимах в асинхронных машинах с полупроводниковым коммутатором. Приборы и системы.	№11, 2016	მოსკოვი ”ნაუბტექსლიტიზდატ”	3
4	Кохреидзе Д.К.	Уравнения коммутационных процессов в синхронной машине	№12, 2016	მოსკოვი ”ნაუბტექსლიტიზდატ”	6

		<p style="text-align: center;">с полупроводниковыми переключателями на статоре и магнитной асимметрией ротора. приборы и системы.</p>			
ანოტაცია					
<p>1. სტატიაში გამოყვანილია ერთფაზა ასინქრონული შუნტური ძრავას განტოლებები ცვლადთა კომპლექსური გარდაქმნის მეთოდის გამოყენებით სიდიდეთა საშუალო მნიშვნელობებისათვის. განტოლებებში გათვალისწინებულია ძრავას ყველა ძირითადი პარამეტრი. განტოლებები საერთოა, როგორც სტაციონალური, ისე გარდამავალი რეჟიმებისათვის. ძრავის სტატორზე განლაგებული ნახევრადგამტარული კომუტატორი მას ანიჭებს რეგულირების თვისებებს. მიღებულია დამყარებულ რეჟიმში სტატორის დენის, როტორის დენისა და ელექტრომაგნიტური მომენტის გამოსახულებები რეგულირების კუთხის მხედველობაში მიღებით. დინამიკური რეჟიმების ანალიზის მიზნით შედგენილია განტოლებათა სისტემა კომპიუტერზე ამოსხნისათვის მოხერხებულ ფორმაში. ანალიზის განხილული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთფაზა ცვლადი დენის ძრავების სხვა მოდიფიკაციების კვლევისას.</p>					
<p>2. პარალელურ აგზნებიანი ასინქრონული ძრავას გარდამავალი პროცესების განტოლებები მიღებულია საშუალო მნიშვნელობებისათვის შედგენილი ზოგადი განტოლებებიდან. ძრავას სტატორზე განლაგებულია სამფაზა ბოგირული კომუტატორი, აწყობილი სრულად მართვად ტირისტორებზე. კომუტატორის მართვის კუთხის ცვლილებით შეიძლება ვარეგულიროთ ძრავას სტატიკური და დინამიკური მახასიათებლები ფართო დიაპაზონში. მიღებული განტოლებები სამართლიანია ძრავას სტატორის დენის, როტორის დენისა და ელექტრომაგნიტური მომენტის გამოსახულებების მეშვეობით შეიძლება აგებულ იქნას მექანიკური მახასიათებლები მართვის კუთხის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. სტატიაში აღნიშნულია, რომ კომუტატორის არსებობამ სქემაში გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სიდიდეების ავტორხევეები. ამის მიზეზია ძრავას სტატორის ძაბვის მრუდის ფორმის დამახინჯება. სიდიდეთა რხევები შეიძლება ჩავახშოთ სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით: 1. მართვის კუთხის მუდმივობის შემთხვევაში დატვირთვის შემცირებით; 2. ინერციის მომენტის გაზრდით; 3. როტორის წინაღობის გაზრდით; ძრავას მუშაობის მდგრადობის შესწავლა აღნიშნულ რეჟიმში შეიძლება ჩატარდეს კომპიუტერის გამოყენებით.</p>					
<p>3. განხილულა მართვადი კომუტატორიანი ასინქრონულ მანქანაში კომუტაციური პროცესები. კომუტატორი შეიძლება განლაგებული იყოს როგორც სტატორზე, ისე როტორზე. ანალიზისათვის გამოყენებულია მანქანის სტატორისა და როტორის ნაკადშებების მუდმივობის პრინციპი. კომუტაციური პროცესების კომპლექსური განტოლებები ჩაწერილია მანქანის საკუთარ კოორდინატებში და ამის გამო მათში არ ფიგურირებს ბრუნვის ემ ძალა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს პროცესების ანალიზს. მიღებული აღგებრული განტოლების ამოსხნა გვაძლევს სტატორისა და როტორის დენების გამოსახულებებს. სასახლვრო პირობების მიხედვით იანგარიშება</p>					

<p>კომუტაციის კუთხე. განხილულია მანქანის როტორის მუშაობის ორი რეჟიმი: მოკლედ შერთული როტორის შემთხვევა და როტორი სამფაზა მკვებავი ძაბვით, ორივე შემთხვევაში განსაზღვრულია დენების მყისი მნიშვნელობები და კომუტაციის კუთხე. აღნიშნულია, რომ უძრავი როტორის რეჟიმში კომუტაციის კუთხე დამოკიდებულია მხოლოდ როტორის დენის საწყის მნიშვნელობებზე და აქვე მოყვანილია შესაბამისი გამოსახულება. განხილული მეთოდით შეიძლება გაანგარიშებულ იქნას კომუტაციური პროცესები მრავალფაზა და ერთფაზა კომუტატორიან მანქანებში.</p>
<p>4. გამოყვანილია სტატორზე ნახევრადგამტარი გადამრთველების შემცველი სინქრონული მანქანის კომუტაციური პროცესების სკალარული განტოლებები. მანქანის როტორზე გარდა ერთდერძიანი აგზნების გრაგნილისა, განლაგებულია გრძივი და განივი სადემფერო კონტურები. ანალიზის ჩატარებისას მხედველობაში არ მიიღება მანქანის კონტურების აქტიური წინაღობები. განხილულია სტატორის მრავალფაზა გრაგნილის ორი ფაზის კომუტაცია. დამყარებულ რეჟიმში კომუტაციური პროცესის განტოლებების ჩაწერა მანქანის საკუთარ კოორდინატებში გამორიცხავს ბრუნვის ემ ძალებს, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს პროცესის ანალიზს. განხილული ანალიზის მეთოდი წარმატებით გამოიყენება ზეგამტარ გრაგნილებიანი მანქანის შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში კინეტიკური ინდუქციურობის მხედველობაში მიღება საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ კომუტაციური პროცესის გაანგარიშების სიზუსტე. გარდამავალ რეჟიმში კომუტაციის განხილვისას მხედველობაში მიიღება კონტურების აქტიური წინაღობები.</p>

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. კოხრეიძე, გ. ბუჭკველაშვილი	ზეგამტარი სისტემის მათემატიკური მოდელი	29.10.2016 ქ. ქუთაისი აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკაში.
ანოტაცია			
მოხსენება ეძღვნება ზეგამტარ მარტივ ელექტრულ სისტემაში ელექტრომაგნიტური			

პროცესების შესწავლას. სისტემა შეიცავს ცვლადი დენის გენერატორს, ზეგამტარ ტრანსფორმატორს, ზეგამტარ გადამცემ ხაზს და დატვირთვას. სისტემის ელემენტებში გათვალისწინებულია ახალი პარამეტრი-კინეტიკური ინდუქციურობა. (რომელსაც შეესაბამება კინეტიკური წინაღობა). კინეტიკური ინდუქციურობა განპირობებულია ზეგამტარ მდგომარეობაში ზეგამტარი ელექტრონების არსებობით და არ არის დაკავშირებული ენერჯის დანაკარგებთან ელემენტებში. პროცესების ანალიზი ჩატარებულია განტოლებების ჩაწერით მბრუნავ კოორდინატთა სისტემაში ოპერატორული მეთოდის გამოყენებით. დენების მყისი მნიშვნელობები განსაზღვრულია დაშლის თეორიით. აღნიშნული მეთოდიკა შეიძლება გავრცელდეს უფრო რთული ზეგამტარი სისტემების გაანგარიშებისას, რომლებიც შეიცავენ სამგრაგნილიან ტრანსფორმატორებს ზეგამტარ ტრანსფორმატორში გვაქვს სიმძლავრის დანაკარგები ზეგამტარ გრაგნილებსა და მაგნიტოგამტარში. გრაგნილში დანაკარგები მცირე სიდიდისაა. მაგნიტოგამტარში დანაკარგების შემცირება შეიძლება თუ გამოვიყენებთ ამორფულ მასალებს, რომლებშიც შედარებით მცირეა მაგნიტური დანაკარგები. ასეთ ტრანსფორმატორებში უქმი სვლის დენის გაანგარიშება შეიძლება ჩატარდეს კომპიუტერზე ტრანსფორმატორის პარამეტრებისა და დამზადების ტექნოლოგიის მხედველობაში მიღებით. ზეგამტარი გრაგნილების გამოყენება და მაგნიტოგამტარის დამზადება ამორფულ ელექტროტექნიკურ მასალაზე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტრანსფორმატორის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის დეპარტამენტი

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ომარ კიდურაძე**)

არატრადიციული ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის

№1 საგანთა ჯგუფი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. **გიორგი გიგინეიშვილი**)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 6 თანამშრომელი, მათ შორის 2 სრული და 2 ასოცირებული პროფესორი,

1 უფროსი მასწავლებელი, 1 ლაბორანტი

თბოენერგეტიკული დანადგარების №3 საგანთა ჯგუფი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. **ლუიზა პაპავა**)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 14 თანამშრომელი, მათ შორის 7 სრული და 5 ასოცირებული და

2 ასისტენტ პროფესორი

I.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოში ენერჯის განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი ინტეგრირების პერსპექტივები	აკად. ირ. ჟორდანიას	ქვეზირი შვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი, ა. დვალაძე
2	ენერჯის განახლებადი, ალტერნატიული რესურსების გამოყენების მიმოხილვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში	აკად. ირ. ჟორდანიას	ქვეზირი შვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი, ა. დვალაძე
3	საქართველოს მდინარეების მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ანალიზი და მათი ინტეგრირების პერსპექტივები ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში	აკად. ირ. ჟორდანიას	ქვეზირი შვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი, ა. დვალაძე
4	მზის და ქარის ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საქართველოში და მათი ინტეგრირების პერსპექტივები ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში	აკად. ირ. ჟორდანიას	ქვეზირი შვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი, ა. დვალაძე
5	საქართველოში გეოთერმული რესურსების გამოყენების	აკად. ირ. ჟორდანიას	ქვეზირი შვილი-ნოზაძე, ნ. მირიანაშვილი,

შესაძლო ტექნოლოგიური სისტემების თერმოდინამიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და მათი ჩართვის პერსპექტივები ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში		ა.დვალაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების (ქართულ ენაზე)		
1. გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებზე (ევროპა, აზია, ამერიკა, ავსტრალია) და ქვეყნებში მზის, ქარის, თერმული წყლების გამოყენების დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივაში მათი ათვისების პერსპექტივები.		
2. გაანალიზებულია აგრეთვე აღნიშნული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების დღევანდელი დონე საქართველოში და მათი ათვისების პერსპექტივები. ნაჩვენებია, რომ განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების ფართოდ გამოყენების შემთხვევაში, ქვეყანაში დაიზოგება მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 15-20%.		
3. ანგარიშში მოყვანილი მდინარეების მცირე ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი შეფასებულია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონებისა და რაიონების მიხედვით. ქვეყნის მცირე ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასებისათვის განისაზღვრა როგორც პატარა, ასევე დიდი და საშუალო პოტენციალის მქონე მდინარეების ცალკეული უბნების ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სულ საქართველოში მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 3729 მგტ-ს, ენერჯის წლიური გამომუშავებით 19471 მლნ კვტსთ. აქედან დასავლეთ საქართველოზე მოდის მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 2740 მგტ, ენერჯის შესაბამისი წლიური გამომუშავებით 13680 მლნ კვტსთ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის შესაბამისად – 989 მგტ, და 5791 მლნ კვტსთ		
4. ცნობილია, რომ საქართველოს ქვანახშირის გარდა არ გააჩნია სხვა წიაღისეული სათბობის მნიშვნელოვანი მარაგები. ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულ ტვირთად აწევს ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის იმპორტი, რომლის ფასები მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია და ამავდროულად არასტაბილური. ასეთ ვითარებაში კი ქვეყნის ენერგოსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რასაც ემატება აგრეთვე გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები. ამ ასპექტების გათვალისწინებით, სულ უფრო აქტუალური ხდება ალტერნატიული, განახლებადი რესურსების გამოყენების საკითხები, მითუმეტეს ახლა, როცა დღის წესრიგში დგას სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმიზაციის მწვავე აუცილებლობა. ამასთან, საქართველოში აღინიშნება ენერგეტიკული რესურსების არარაციონალური მოხმარება, ხოლო არსებული საკუთარი ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული, სათანადოდ არ არის ათვისებული. ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული		

<p>კომპლექსის განვითარება და ქვეყნის საიმედო ენერგოუზრუნველყოფის გზების და მიმართულებების ძიება მეტად მწვავე და აქტუალური პრობლემაა.</p>
<p>5. ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს განახლებადი, არატრადიციული ენერჯის რესურსების დიდი მარაგი გააჩნია: იქნება ეს ჰიდრო, მზის, ქარის, გეოთერმალური წყლების თუ ბიოგაზის ალტერნატიული რესურსი. თუმცა დღემდე მიღებული არ არის მათი ათვისების მხარდამჭერი კანონები, ამიტომაც ამ რესურსების გამოყენების დონე ამჟამად ძალიან დაბალია და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად 300 მლნ ლარის ბუნებრივ აირს ყიდულობს უცხოეთში. საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის 50% კი იხარჯება დაბალპოტენციური თბური ენერჯის (40-150°C) მისაღებად, გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ ამ სეგმენტის ჩანაცვლება უპრიანი ალტერნატიული რესურსებით, რაც მილიონობით ტონა ძვირადღირებულ იმპორტირებულ ნედლეულს დაზოგავს და არც გარემოს დააბინძურებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია ჩატარდეს ფუნდამენტური სამუშაოები ამ სფეროში, რათა გადაიჭრას საკანონმდებლო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, იმფორმაციული და ფსიქოლოგიური ბარიერები, რაც ხელს უშლის და ამუხრუჭებს ამ მეტად აქტუალურ, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ახალ მიმართულებას. იაპონიაში ჩატარებულ სამიტზე, რომელიც ეძღვნებოდა კლიმატის გლობალური ცვლილებების პრობლემების გადაწყვეტას, მოთხოვნილ იქნა განახლებადი, არატრადიციული ენერჯის ფართოდ გამოყენების აუცილებლობა. გარდა ამისა, მიღებულ იქნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონვენციებისა, რომლებიც ფაქტიურად არატრადიციული ენერჯის ათვისებას პირდაპირ უკავშირებენ გარემოსდაცვით პრობლემებს. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ იმ უზარმაზარი თანხების ნაწილი, რომელიც მობილიზებული იყო საერთაშორისო დონორების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაწყვეტად, მოხმარდება ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველომაც აუცილებლად უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი აქ არსებული ენერჯის განახლებადი რესურსების გამოყენებას სახელმწიფო ენერჯეტიკული პოლიტიკის შემუშავებისას. სწორედ ჩვენმა სამუშაომ უნდა მისცეს დასაბუთებული ბიძგი ამ წამოწყებას.</p>

I2

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მაღალტემპერატურული მდუღარე შრის ტექნოლოგიის განსახორციელებლად წვის კამერების შემუშავება დაბალკალორიული წვრილფრაქ-	ნოდარ ქვეხიშვილი	თენგიზ ჯიშკარიანი, ნიკა ჯავშანაშვილი, თამაზ ნაცვლიშვილი, ნიკოლოზ ინვია

	ციული სათბობებისათვის. ინჟინერია.		
2	ენერგოეფექტური ღონისძიებების შეფასება და რეკომენდაციები სამრეწველო საწარმოებისათვის. ინჟინერია.	ნოდარ ქვეხიშვილი	ნოდარ ქვეხიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

მიზანი და აქტუალობა

სამუშაოს მიზანი იყო მაღალტემპერატურული მდულარე შრის ტექნოლოგიით მომუშავე წვის კამერების შექმნა, რომელშიც გამოყენებულ იქნება ადგილობრივი წვრილფრაქციული ქვანახშირები და სხვა დაბალკალორიული საწვავები. ენერგეტიკაში, ანალოგიური დაბალკალორიული წვრილფრაქციული საწვავის გამოყენების შესაძლებლობით დაინტერესებულია ბევრი ქვეყანა. მიზეზი ასეთი დაინტერესებისა განპირობებულია იმით, რომ მთელ მსოფლიოში მსგავსი წიაღისეული საწვავის მარაგები, მაღალკალორიულ სათბობებთან შედარებით გაცილებით მეტია.

საქართველოში, სადაც არსებობს ტყიბულ-შაორის ქვანახშირის 300 მლნ ტონა მარაგი (ლიცენზია გაცემულია მოპოვებაზე), მისი სხვადასხვა სფეროში გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია. ამჟამად, ამ საწვავის ერთადერთი მომხმარებელია ჰაიდელბერგის ცემენტის მწარმოებელი სამი ქარხანა, სადაც გამოყენებულია ქვანახშირების წვის ტრადიციული ტექნოლოგია – ქვანახშირის დაფქვა მტვრის სახით და მისი გაფრქვევა. აღნიშნული ტრადიციული ტექნოლოგია მოითხოვს ქვანახშირის რთულ და ძვირად ღირებულ გადამუშავებას. ამდენად, მისი გამოყენება გარდა მძლავრი ენერგეტიკული ბლოკებისა სხვაგან შეუძლებელია. ტყიბულის და სხვა ანალოგიური სათბობის გადამუშავების გარეშე გამოყენება შეიძლება მხოლოდ მდულარე შრეში წვის ტექნოლოგიით.

პრობლემის არსი

მდულარე შრეში მიმდინარე გაზოდინამიკური პროცესების კვლევა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებული ინტენსივობით 40-იან წლებში გაგრძელდა, მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში პრაქტიკულად ყველა კვლევა შეწყდა. ამის მთავარი მიზეზი იყო წვის კამერაში წიდის წარმოქმნა, რომელიც არ იძლეოდა პროცესის გაგრძელების საშუალებას. შედეგად, ზოგიერთი მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია მაღალტემპერატურული მდულარე შრის ტექნოლოგიით მყარი საწვავის დაწვა (ამ ტექნოლოგიის გამოყენების მცდელობა, 2011-2014 წლებში, იყო ტყიბულის თბოელექტროსადგურში). შემდგომში, უფრო დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 800-900°C ტემპერატურულ დიაპაზონში (დაბალტემპერატურული მდულარე შრის ტექნოლოგია) შესაძლებელია წვის პროცესის განხორციელება თუ საწვავის კონცენტრაცია კამერაში ინერტულ მასასთან (ქვიშასთან) ერთად არ იქნება 5-6%-ზე მეტი. ამჟამად, სწორედ ეს დაბალტემპერატურული წვის ტექნოლოგია გამოიყენება ტყიბულის თბოელექტროსადგურში.

ამ ტექნოლოგიის ნაკლია ის, რომ:

- კუთრი სიმძლავრე წვის კამერაში არ აღემატება $1 \div 2$ მგვტ/მ², მაშინ როდესაც მაღალტემპერატურულ რეჟიმში წვის დროს მიიღწევა 15-20 მგვტ/მ².
- რთულია დაბალტემპერატურული რეჟიმის მართვა და სტაბილური მუშაობა, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია მისი გამოყენება ფართო მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით მცირე სიმძლავრეებზე.

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით (საქართველოს სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით) მიღწეულ იქნა წვის კამერის ისეთი კონსტრუქციული გადაწყვეტა შესაბამისი გაზოდინამიკური მართვით, რომელიც ამ ტექნოლოგიის გამოყენების საშუალებას იძლევა ნებისმიერი მცირე და დიდი სიმძლავრეების მომხმარებლებისთვის, მათ შორის თბოელექტროსადგურებისთვის.

შედეგების კომერციალიზაციის პერსპექტივა.

ტყიბულის და მისი მსგავსი ქვანახშირების ფასი მთელ მსოფლიოში, მნიშვნელოვნად იაფია სხვა სათბობთან შედარებით. მაგალითისათვის, ბუნებრივი აირი საქართველოში ღირს 800÷980 ლარი/1000 მ³, მაშინ როდესაც ექვივალენტური თბოუნარიანობის ტყიბულის საწვავი ღირს 350 ლარი/2 ტონა.

დაბალკალორიული საწვავის აღნიშნული ტექნოლოგიით გამოყენება შეიძლება როგორც მაღალპოტენციური ენერჯის წყარო (100°C-ზე მეტი ტემპერატურები) სამრეწველო საწარმოებში ორთქლის გენერაციისათვის, ასფალტის ქარხნებში, ასევე როგორც დაბალპოტენციური ენერჯის წყარო (100°C-ზე ნაკლები ტემპერატურები) საყოფაცხოვრებო სექტორისათვის. ამ შემთხვევაში:

- მომხმარებელს ენერგომოხმარებაზე დანახარჯები შეუმცირდება 2-2,5-ჯერ, შესაბამისად შემცირდება ქვეყანაში ძვირად ღირებული იმპორტირებული საწვავის მოხმარება;
- გაფართოვდება ტყიბულ-შაორის საბადოზე ქვანახშირის მოპოვება;
- შემცირდება ხე-ტყის გამოყენება, პირველ ეტაპზე, რეგიონის სკოლებში მაინც.

ამ ეტაპზე შექმნილია სამრეწველო სტენდი, რომელიც იძლევა რადენიმე მეგავატი თბური ენერჯის მიღების საშუალებას.

მიმდინარეობს აგრეთვე არსებითი ექსპერტიზის ეტაპი პატენტის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

განაცხადი პატენტზე: საიდენტიფიკაციო № 14275/01, 2016-10-26.



2.

პროექტი ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოებში არსებული ტექნოლოგიების ენერგოეფექტურობის შესწავლას, რის საფუძველზე შემუშავდება ენერგოდამზოვი დონისძიებები, აგრეთვე განიხილება ალტერნატიული ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფენ როგორც ენერგოდამზოვას, ასევე სუფთა წარმოების დანერგვას, რათა საწარმოებიდან გარემოში სათბური გაზების ემისიები შემცირდეს.

საქართველოში 2016 წელს მსგავსი პროექტები განხორციელდა რუსთავის აზოტის ქარხანაში და რუსთავის მანგანუმის ოქსიდის ქარხანაში (შპს “MN chemical”).



UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION
 VIENNA INTERNATIONAL CENTRE, P. O. BOX 300, A-1400 VIENNA, AUSTRIA, TEL.: (++43 1) 260 26-0
 Internet address: <http://www.unido.org> E-mail: unido@unido.org FAX(UNIDO): (++43 1) 2692 669 FAX(HRM): (++43 1) 26026 6817

Index No **00508379**

Ref No **23028**
 Project No **120143**

INDIVIDUAL SERVICE AGREEMENT

NATIONAL CONSULTANT

REGULAR¹ WAE²

1. The Individual Service Agreement (hereinafter referred to as “Agreement”) made this **17-10-2016** between the United Nations Industrial Development Organization (UNIDO), and **Mr. Nodar KEVKHISHVILI** Date of Birth **16-09-1957** Nationality **Georgian** residing at **Ioseliani Nr. 2, Tbilisi, 0170, Georgia** and hereinafter referred to as the “Subscriber”.

2. Whereas UNIDO desires to engage the services of the Subscriber on the terms and conditions hereinafter set forth and whereas the Subscriber is ready and willing to accept this engagement of service with UNIDO on the said terms and conditions as follows:

- i. Functional Title: **RECP Advanced Assessment (Georgia)**
- ii. Duty Station(s): **Tbilisi**
- iii. Duration of Agreement: **021 days** effective within the period from **22.10.2016** through **26.12.2016**
- iv. Total Gross Remuneration: **4,890.00 GEL** as per details described in Annex I.
- v. Project Manager/Allotment Holder: **Ms. Carolina Elizabeth GONZALEZ MUELLER**

3. RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE SUBSCRIBER

The rights and obligations of the Subscriber are strictly limited to the terms and conditions of this Agreement. Accordingly, the Subscriber shall not be entitled to any benefit, payment, subsidy, compensation or entitlement from UNIDO, except as expressly provided for in this Agreement.

I3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>თბურამძრავიანი დიაფრაგმული ტუმბო წყლის გაცხელების ავტონო-მიური ჰელიოსისტემისათვის: წინა-საწარმოო მოდელის დამუშავება</p> <p>3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები: 3-171. არატრადიციული და განახლებადი ენერგეტიკა; 3-170. ენერგეტიკა.</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ეგტისი მაჭავარიანი</p>	<p>ე. მაჭავარიანი ი. შეყრილაძე გ. გიგინეიშვილი დ. შეყრილაძე</p>
<p>დამუშავებულ იქნა თბურამძრავიან დიაფრაგმულ ტუმბოში (თადტ-ში) მიმდინარე თერმული და ჰიდროდინამიკური პროცესების მათემატიკური გაანგარიშებისთვის აუცილებელი საანგარიშო სქემა და შედგენილ იქნა შესაბამისი მათემატიკური ალგორითმი, რომლის საფუძველზე შედგა აღნიშნული პროცესების კომპიუტერული გაანგარიშების პროგრამა ტუმბოში მიმდინარე პროცესების და ტუმბოს მახასიათებლების გასაანგარიშებლად EXEL-ის გარემოში, შესაბამისი შედეგების გრაფიკული წარმოდგენის ჩათვლით. ტუმბოს სხვადასხვა რეჟიმში მუშაობის მრავალმხრივი ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დაგროვდა დიდი რაოდენობით სტატისტიკური მასალა. კერძოდ, სხვადასხვა სიმძლავრეზე, მუშა აგენტის სხვადასხვა რაოდენობით, დიაფრაგმისათვის გამოყენებული სხვადასხვა მასალებით და ა.შ. ექსპერიმენტული მონაცემები. აღნიშნული მონაცემების შედარებამ მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების შედეგებთან დაადასტურა თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების კარგი თანხვედრა. ჩატარდა როგორც გამოთვლებით მიღებული, ისე ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი, რომლის საფუძველზე დამუშავდა თადტ-ს წინასაწარმო მოდელის კონსტრუქცია საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შედეგები მოხსენებული იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე და ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ პრეზენტაციაზე.</p>				

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.ჯიშკარიანი და ავტორთა ჯგუფი	საქართველოს ბუნებრივი რესურსები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	წარმოდგენილია ორ ტომად 1184 გვ
ანოტაციები				
<p>მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ბუნებრივი (მიწის, წყლის, ტყის, სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, სამკურნალო, აკურორტო-რეკრიაციული, ტურისტული) და ადამიანური რესურსები. მოცემულია რესურსების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მათი ოპტიმალური გამოყენების პერსპექტივები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეკოლოგიურ პრობლემებს. შემოთავაზებულია მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები. წიგნი განკუთვნილია სახელმწიფო სტრუქტურების, ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალური ორგანოების მუშაკებისათვის, სამეცნიერო და ბიზნესწრეების, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის</p>				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.არაბიძე, ი.ფხალაძე, ნ.არაბიძე	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ 2016 წ. 29–30 ოქტომბერი	ქ.ქუთაისი საქართველო	4
2	გ.არაბიძე, ი.ფხალაძე,	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო	ქ.ქუთაისი	4

	ნ.არაბიძე	კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ 2016 წ. 29–30 ოქტომბერი	საქართველო	
3	გ.ხურცილავა ო.კილურაძე	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ 2016 წ. 29–30 ოქტომბერი	ქ.ქუთაისი საქართველო	2
4	ქ.ვეზირიშვილი ლ.პაპავა მ.რაზმაძე მ.ჯიხვაძე ე.ფანცხავა ქ.მჭედლიძე	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ 2016 წ. 29–30 ოქტომბერი	ქ.ქუთაისი საქართველო	3
5	ე.ფანცხავა ქ.მჭედლიძე შ.ხაინდრავა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუდენტთა 84-ე ღია საერთაშორისო კონფერენცია, 2016 წელი	ქ.თბილისი	5
ანოტაციები				
<p>1. ნაშრომში მოცემულია საქართველოში შენობების სექტორის ენერგოეფექტური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებების (NAMA) ანალიზი. NAMA 1-ს ფარგლებში განხილულია მზაობის პროგრამის 2 ძირითადი ფაზა და შესრულების ტექნიკური მხარდაჭერის პირობები. წარმოდგენილია სექტორული ემისიების წილი ემისიების საერთო რაოდენობაში. დადგენილი ემისიების გადანაწილება შენობების სექტორში. ნაჩვენებია ემისიების ჩაშლა საწვავის ტიპის მიხედვით, საცხოვრებელ სექტორში. გაანგარიშებულია ჩ 2-ის რაოდენობები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობებიდან მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. დადგენილია, სიდიდით მეორე ჯგუფს ქმნის სხვა საგანმანათლებლო შენობები, როგორცაა უნივერსიტეტები და კოლეჯები (14%), შემდეგია კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურებები (8%) და ჯანდაცვის და სოციალური დახმარების შენობები (7%). განათლებისა და ჯანდაცვის წილი საზოგადოებრივი შენობების სექტორის ემისიების 83%-ს შეადგენს, რაც საქართველოს შენობების სექტორის საერთო ემისიების 4%-ა.</p> <p>2. ნაშრომში განხილულია ყველა ის ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხვდება ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს შენობების</p>				

<p>სექტორში. პირველ რიგში განხილულია მარეგულირებელი და ინსტიტუციური ბარიერება. აღნიშნულია, რომ პოლიტიკის არასრულყოფილება, სამართლებრივი ბაზის არ ქონა მნიშვნელოვნად აფერხებს ენერგოეფექტური რეაბილიტაციის პროცესების განხორციელებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფინანსური ბარიერებია. აქ ყველაზე მძიმე პრობლემა საპროცენტო განაკვეთებია. მიუხედავად იმისა, რომ განაკვეთი 17.9%-დან (2009) 13.6%-მდე შემცირდა, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. მიუხედავად მუნიციპალიტეტების მოტივირებისა გაზარდონ შენობების ფონდის ენერგოეფექტურობა, მათ შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების არეალი ისეთი ფინანსური რესურსების მოსაზიდად, როგორცაა დაბალპროცენტიანი სესხები და კრედიტი. პრობლემაა საცხოვრებელ სექტორში. დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომა და ჩამოყალიბებული სტრუქტურების, თუ სამუშაო სტანდარტების არასრულყოფილება გაურკვევლობას იწვევს სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტების შესაძლებლობების მიმართულებით. სახეზეა ინფორმაციის ნაკლებობა ენერგოეფექტურობის უპირატესობების და განახლებადი ენერჯის რესურსების შესახებ. აღნიშნული იწვევს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა მდგრად შენობებზე შედარებით ნაკლებია.</p>
<p>3. ნაშრომში განხილულია რეაქტიული ენერჯის წარმოშობის მიზეზები და მის მიერ გამოწვეული მავნე შედეგები ქსელში ჩართული ელექტრიკური მოწყობილობების მიმართ. დასაბუთებულია, რომ რეაქტიული ენერჯია ირხევა ქსელსა და დატვირთვას შორის. მისი წარმოშობის მიზეზებია: ტრანზფორმატორების, ძრავების, გრძელი საჰაერო ან საკაბელო ხაზების არსებობა ელკვების სისტემაში, რომლებიც ხელს უშლიან ელენერჯის გადაცემას დატვირთვის წრეებში.</p>
<p>4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ენერგეტიკული სექტორის განვითარების პირველი გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი გამოქვეყნდა. სტატიაში განხილულია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც ენერგეტიკა დგას. წარმოდგენილ პროექტში სტრატეგიული განვითარების ხედვა დაკავშირებულია საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაძლიერებასთან. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ევროკავშირთან დაახლოების პროცესში არსებული ენერგეტიკული რესურსების ათვისების შესაძლებლობანი. ამ ჩარჩოს მიხედვით სტატიაში განხილულია საქართველოს ენერგოპოტენციალი.</p>
<p>5. მოსხენებაში წარმოდგენილია გეოთერმული ენერგეტიკის განვითარების ყველაზე პერსპექტიული მიმართულება. სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებით შეიძლება მივაღწიოთ წყლის თბური პოტენციალის მთლიან რეალიზაციას, ასევე მივიღოთ თერმოწყლებში არსებული საჭირო კომპონენტები (იოდი, ბრომი, ცეზიუმი, ლითიუმი, სუფრისმარილი, ბორისმჟავა და სხვა მრავალი). აქტუალურია გეოთერმული სისტემებით თბომომარაგება თბური ტუმბოების გამოყენებით. დასაბუთებულია მიზანშეწონილობა გეოთერმული წყლების კომპლექსური გამოყენებისა, რომელიც იძლევა სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.</p>


სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ.გვენცაძე, ბ.მაზანიშვილი, ლ.რობაქიძე	მაღალტემპერატურული თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგია თხევადი მინისა და აფუებული პერლიტის ბაზაზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ქიმიის სერია	№3, ტომ. 42 2016	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3
2	ე.მაჭავარიანი გ.გიგინეიშვილი ნ.ქსოვრელი	დუღილის რეაქტიული ძალის გავლენით ფირფიტის გადაადგილების სიჩქარის გამოკვლევა. სტუ-ის სამეცნიერო შრომების კრებული	№2(500) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	7
3	ნ.ქევხიშვილი, ნ.ავშანაშვილი	პლაზმის გამოყენება დაბალრეაქციული ნახშირების მტვრის ეფექტური წვისათვის. Georgian Engineering News.	№1(vol.77), 2016	ქ. თბილისი	3
4	ნ.ქსოვრელი მ. ჯიხვაძე თ.კობახიძე	სითხის დუღილის პროცესში წარმოქმნილი რეაქტიული ძალის ექსპერიმენტული გამოკვლევა სტუ-ის სამეცნიერო შრომების კრებული	№2(500) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	7
5	ქ. ჩხიკვაძე, ო.კილურაძე, თ.ჩხიკვაძე	ტყობულ-შაორის საბადოს სხვადასხვა დონის ნიშნულების ქვანახშირის თბოუნარიანობა. ჟურნალი “ენერჯია”	№1(77)2016	ქ.თბილისი	4
6	ქ.ვეზირიშვილი-	გეოთერმული ენერჯია –	№2(78)	თბილისი, 2016	6

	ნოზაძე, ნ.მირიანაშვილი, ლ.პაპავა, მ.რაზმაძე	განვითარების ოპტიმალური შესაძლებლობების და მიმართულებების არჩევა. ჟურნ. „ენერჯია“.			
7	ირ.ჟორდანიას, ნ.მირიანაშვილი, ქვეზირიშვილი- ნოზაძე, ნ.გძელიშვილი, ვ.ბახტაძე, ვ.ხათაშვილი, თ.ნოზაძე, თ.წოწონავა- დურგლიშვილი	ზის ენერჯიეს პოტენციალის გამოყენების პერსპექტივები თბილისში. ჟურნ. „ენერჯია“.	№2(78)	თბილისი, 2016	7
8	ქვეზირიშვილი- ნოზაძე, ა.მორჩილაძე, თ.ნოზაძე, მ.ჯიხვაძე	ოპტიმალური ენერგოეკოლოგიურ-ი სითბო-სიცივით მომარაგების სისტემების შერჩევა. ჟურნალი “ენერჯია”	№1(77)	თბილისი, 2016	7
9	ლ.პაპავა ლ.გუგულაშვილი	ელექტრო სადგურების ნამწვი აირების გამწმენდი მოწყობილობები ჟურნალი „ენერჯია“	# 2 (78) 2016 წ.	თბილისი, 2016	7
10	ნ.არაბიძე ა.გრიგალაშვილი ე.ფანცხავა	“გეოსათბობის გამოყენების ეკოლოგიური ეფექტიანობის ანალიზი” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განათლება. 2016	№1(15).	ქ.თბილისი	3
11	ნ.არაბიძე გ.არაბიძე ი.ფხალაძე	“CO ₂ ემისიები საქართველოს შენობების სექტორში” ენერჯეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	ქუთაისი, საქართველო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5 (71-75)
12	ნ.არაბიძე	“ენერგოეფექტურობის	IV	ქუთაისი,	4

	გ.არაბიძე ი.ფხალაძე	ბარიერები საქართველოს შენობების სექტორში” ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	საქართველო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	(67-70)
13	ა.გრიგალაშვილი ე.ფანცხავა ნ.არაბიძე	“ბიოსათბობის გამოყენების ეკოლოგიური ეფექტიანობის ანალიზი” “განათლება”	№1(15)	თბილისი, საქართველო გამომცემლობა “განათლება”	4 (190-194)
14	მ.არაბიძე ნ.ჯამბურია ნ.არაბიძე	“კლიმატის ცვლილება” და “პარიზის შეთანხმების” მიზნები საქართველოსათვის ქურნალი “ენერჯია”	№2(78)	თბილისი, საქართველო გამომცემლობა “ენერჯია”	4 (19-22)
ანოტაციები					
<p>1. განხილულია თხევადი მინისა და საქართველოში წარმოებული აფუებული პერლიტის ბაზაზე ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალტემპერატურული თბოსაიზოლაციო მასალების ტექნოლოგია სხვადასხვა ბუნების მქონე მოდიფიკატორების გამოყენებით, როგორცაა კლინოპტილოლიტი, პლასტიკური თიხა და ტექნიკური ნახშირბადი. დადგენილ იქნა, რომ მასალების კომპოზიციებში მოდიფიკატორების შეყვანამ გააუმჯობესა მათი სიმტკიცე კუმშვაზე 1,8 – 2,3-ჯერ. მასალების სიმკვრივის დიაპაზონი 250-450 კგ/კუბ.მ, ხოლო სითბოგამტარობის კოეფიციენტი 0,06-0,08 ვტ/მ·გრად ფარგლებშია.</p>					
<p>2. ნაშრომში წარმოდგენილია დუდილის პროცესში მაღულარი სითხის მხრიდან ხურების ზედაპირზე აღძრული მექანიკური ზემოქმედების, კერძოდ წარმოქმნილი რეაქტიული ძალის მიერ გამახურებელი ელემენტის სითხეში გადაადგილების სინქარის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარებულია სწრაფი ვიდეოგადაღების თანხლებით. ნაჩვენებია, რომ რაც მეტია დუდილისას განვითარებული ხვედრითი სითბური ნაკადი, მით მეტია წარმოქმნილი რეაქტიული ძალის სიდიდე და სითხეში მოთავსებული გამახურებელი ელემენტის ამ ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გადაადგილების სინქარე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დუდილისას წარმოქმნილი რეაქტიული ძალის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების დასადგენად და თვით დუდილის პროცესის უკეთ შესწავლის მიზნით მიზანშეწონილია ანალოგიური კვლევების ჩატარება სხვადასხვა სითხის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ გამახურებელ ელემენტებზე დუდილის პირობებში.</p>					
<p>3. სტატიაში განხილულია პლაზმატრონის გამოყენების ეფექტურობა ენერგეტიკული ნახშირების წვის პროცესებში. ამჟამად მომუშავე ენერგეტიკულ ბლოკებში</p>					

ნახშირის მტვრის აალებისა და მისი სტაბილიზაციისთვის გამოიყენება მაღალრეაქციული საწვავი (მაზუთი, გაზი), რომლის წილი შეადგენს სანთურის სრული სიმძლავრის 20-25%-ს, რაც იწვევს მათი დიდი რაოდენობით პარალელურ რეჟიმში წვას. იგივე რეჟიმის განხორციელებისათვის პლაზმატრონის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1-2%-ს, ამავე დროს მცირდება გარემოში მანე ნივთიერებების გამოტყორცნა. ნახშირის მტვრის თერმოქიმიური მომზადება პლაზმატრონის გამოყენებით გულისხმობს ჰაერისა და ნახშირის მტვრის ნარევის გახურებას ნარევიდან აქროლადების გამოსვლის ტემპერატურამდე და კოქსის ნარჩენის ნაწილობრივ გაზიფიკაციას. მიუხედავად ბევრი უპირატესობისა პლაზმურ ტექნოლოგიას გააჩნია ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც მათი მუშაობის რესურსთანაა დაკავშირებული. ელექტროდების ეროზიის სიჩქარეს განსაზღვრავს თბური ნაკადების სიმკვრივე პლაზმის გარემოში. კუთრი თბური ნაკადის მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც თბური ნაკადის ფარდობა ელექტროდების შესაბამის ფართობთან. პლაზმატრონის ნორმალური მუშაობისთვის ელექტროდების ფართობების ლოკალური გაზრდა თავისთავად არ იწვევს მისი მუშაობის რესურსის გაზრდას იმის გამო, რომ ანოდსა და კათოდს შორის წარმოქმნილი რკალი მთელ ზედაპირზე თანაბრად არ ნაწილდება. იგი ყოველთვის ამ ზედაპირის ორ კონკრეტულ წერტილს შორის გენერირდება გარკვეული შემთხვევითი გადაადგილებით. შემუშავებულ კონსტრუქციაში პლაზმატრონს, მოძრავი მაგნიტური კოჭის მაგივრად, გააჩნია ანოდის გადასადგილებელი ამძრავი (სურ.1). ამძრავი ისე გადაადგილებს ანოდს, რომ იგი არ ბრუნავს X-Y სიბრტყეში და გარკვეული სიჩქარით იცვლება მხოლოდ მინიმალური ღრეჩო ანოდსა და კათოდს შორის მთელ 360°- კუთხეზე, შესაბამისად თბური ნაკადიც ბრუნავს ღრეჩოს ბრუნვის სიჩქარით. კონსტრუქცია საშუალებას იძლევა შეუზღუდავად გაიზარდოს ელექტროდების ფართობი და შემცირდეს საშუალო თბური ნაკადის სიმკვრივე რამდენიმე რიგით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ზრდის პლაზმატრონის მუშაობის რესურსს.



სურ.1

4. ნაშრომში წარმოდგენილია დუდილის პროცესში მაღულარი სითხის მხრიდან ხურების ზედაპირზე აღძრული მექანიკური ზემოქმედების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარებულია დუდილის დროს წარმოქმნილი რეაქტიული ძალის დასაფიქსირებლად სპეციალურად დამზადებული ექსპერიმენტული დანადგარის

<p>გამოყენებით და სწრაფი ვიდეოგადაღების თანამედროვე აპარატურის თანხლებით. ნაჩვენებია, რომ განვითარებული ბუშტოვანი დუდილის პირობებში წარმოქმნილი და გამახურებელი ელემენტის ზედაპირზე მიმართული რეაქტიული ძალის სიდიდე მუდმივად იცვლება თავის მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობათა შორის. ხოლო თბური ნაკადის მატებასთან ერთად იზრდება როგორც რეაქტიული ძალის საშუალო მნიშვნელობა, ასევე მისი ცვლილების დიაპაზონი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დუდილის ყოველ დამყარებულ რეჟიმში რეაქტიული ძალის ცვალებადობა გამოწვეულია როგორც სითხის მოლეკულათა დროის ერთეულში აორთქლებული რაოდენობის ცვალებადობით, ასევე დუდილის თანხლები სხვა ფიზიკური მოვლენების არსებობით.</p>
<p>5. განსაზღვრულია ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სხვადასხვა დონის რიგითი ქვანახშირის თბოუნარიანობა. ექსპერიმენტები ჩატარებულია იზოთერმულ კალორიმეტრზე- კალორიმეტრული ყუმბარის გამოყენებით. ნიმუშის მასა 1 გრამამდეა. სათბობის წვა ხორციელდება სუფთა ჟანგბადის გარემოში 25 ბარი წნევის პირობებში. გაზომვების ზღვრული ცდომილება შეადგენს 1,2%-ს. შედეგები ცხადყოფს, რომ მაქსიმალური განსხვავება სხვადასხვა ნიმუშების თბოუნარიანობის მნიშვნელობებს შორის აღწევს 22,5%-ს.</p>
<p>6. შეფასებულია გეოთერმული რესურსების ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ჩართვის შესაძლებლობები. გამონთავისუფლებული სათბობის ყოველწლიური რაოდენობა ტოლია 1,4-1,6 მლნ ტ.პ.ს. ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით მიიღწევა სათბობის ეკონომია: კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სფეროში - 45%, სოფლის მეურნეობაში - 34, მსუბუქ მრეწველობაში - 27, საშენ მასალებში - 25% და ა.შ. განსაზღვრულია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ოპტიმალური მიმართულებები და გეოთერმული ენერჯის ადგილი ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში.</p>
<p>7. შეფასებულია თბილისის მზის ენერგეტიკული პოტენციალი, მისი გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტები და ათვისების პერსპექტივები. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში და თვის განმავლობაში მოდინებული მზის რადიაციის საკმაოდ მაღალი მნიშვნელობები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მზის ენერჯის გამოყენება უახლოეს 10 წელიწადში თბილისში მნიშვნელოვნად გაიზრდება. მზის ენერჯის პოტენციური მომხმარებლები შეიძლება გახდნენ: სასტუმროები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები და სხვ..</p>
<p>8. სტატიაში ჩამოყალიბებულია თბურ ტუმბოებში მიმდინარე ენერჯის გარდაქმნისა და სითბო-სიცივით მომარაგების სისტემების თავისებურებანი. დამუშავებულია რეკომენდაციები თბური ტუმბოების კომპლექსური სისტემების დაპროექტებისა და სრულყოფისთვის. შეფასებულია განახლებადი რესურსების სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ჩართვის პერსპექტივები და მათი როლი გარემოს დაცვის სფეროში.</p>
<p>9. ნამწვი აირების გამწმენდი მოწყობილობის წარმოდგენილი კონსტრუქცია უზრუნველყოფს როგორც მექანიკური, ისე ქიმიური მინარევების (გოგირდის, აზოტის, ნახშირბადის ოქსიდებს) მოცილებას. აზოტის, ნახშირბადის ოქსიდებს) მოცილებას. ქიმიური პროცესების მიმდინარეობას ხელს უწყობს რეაქციაში მონაწილე კალციუმის ჰიდროქსიდის გაცივება როგორც საკუთარი გამაცივებელი სისტემის, ისე ავზის პერანგში გამავალი გამაცივებელი სითხის გამოყენებას სითხის გაცივება</p>

<p>უზრუნველყოფს დანადგარიდან გამომავალი გასუფთავებული აირების ტემპერატურის შემცირებას, რაც ასევე დადებითად აისახება გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.</p>
<p>10. სტატიაში მოცემულია უკრაინისა და საქართველოში ენერგეტიკული მიზნით გამოსაყენებელი ბიომასის რაოდენობები. მოყვანილია ბიომასის გამოყენების ეფექტურობის ძირითადი ეკოლოგიური მაჩვენებლის საანგარიშო ფორმულები. სათბური გაზების შემცირების კუთრი მაჩვენებლები სითბური და ელექტრული ენერჯის კომბინირებული გამომუშავებისას. წიაღისეული სათბობის და ბიომასის ნარჩენების ემისიი მაჩვენებელი.</p>
<p>11. ნაშრომში მოცემულია საქართველოში შენობების სექტორის ენერგოეფექტური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებები (NAMA) ანალიზი. NAMA 1-ს ფარგლებში განხილულია მზაობის პროგრამის 2 ძირითადი ფაზა და შესრულების ტექნიკური მხარდაჭერის პირობები. წარმოდგენილია სექტორული ემისიების წილი ემისიების საერთო რაოდენობაში. დადგენილი ემისიების გადანაწილება შენობების სექტორში. გაანგარიშებულია CO₂-ის რაოდენობები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობებიდან მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. დადგენილია, სიდიდით მეორე ჯგუფს ქმნის სხვა საგანმანათლებლო შენობები, როგორებიცაა უნივერსიტეტები და კოლეჯები (14%), შემდეგია კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურებები (8%) და ჯანდაცვის და სოციალური დახმარების შენობები (7%) განათლებისა და ჯანდაცვის წილი საზოგადოებრივი შენობების სექტორის ემისიების 83%-ს შეადგენს, რაც საქართველოს შენობების სექტორის საერთო ემისიების 4%-ა</p>
<p>12. ნაშრომში განხილულია ყველა ის ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხვდება ენერგოეფექტური ღუნისძიებების განხორციელებას საქართველოს შენობების სექტორში. პირველ რიგში განხილულია მარეგულირებელი და ინსტრუქციური ბარიერება. აღნიშნულია, რომ პოლიტიკის არასრულყოფილება, სამართლებრივი ბაზის არ ქონა მნიშვნელოვნად აფერხებს ენერგოეფექტური რეაბილიტაციის პროცესების განხორციელებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფინანსური ბარიერებია. აქ ყველაზე მძიმე პრობლემა საპროცენტო განაკვეთებია. მიუხედავად იმისა, რომ განაკვეთი 17.9%-დან (2009) 13.6%-მდე შემცირდება, ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. მიუხედავად მუნიციპალიტეტების მოტივირებისა გაზარდონ შენობების შენობების ფონდის ენერგოეფექტურობა, მათ შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების არეალი ისეთი ფინანსური რესურსების მოსაზიდად, როგორცაა დაბალპროცენტიანი სესხები და კრედიტი. პრობლემებია საცხოვრებელ სექტორში. დაფინანსებაზე შეზღუდული წვდომა და ჩამოყალიბებული სტრუქტურების, თუ სამუშაო სტანდარტების არასრულყოფილება გაურკვევლობას იწვევს სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტების შესაძლებლობების მიმართულებით. სახეზეა ინფორმაციის ნაკლებობა ენერგოეფექტურობის უპირატესობების და განახლებადი ენერგორესურსების შესახებ. აღნიშნული იწვევს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა მდგრად შენობებზე შედარებით ნაკლებია.</p>
<p>13. სტატიაში შემოთავაზებულია ნახშიროჟანგის ემისიის შემცირების (CO₂) შეფასებების განზოგადებული მაჩვენებელი საწვავის ბიომასით შეცვლისას. ამან საშუალება მოგვცა შეგვედარებინა ენერგეტიკული გამოყენების ეკოლოგიური ეფექტურობა</p>

<p>წარმოებული ენერჯის სხვადასხვა სახეებისათვის. სტატიაში აგრეთვე მოყვანილია – ის მაჩვენებელთა შეფასებები წიაღისეული საწვავის ძირითადი სახეებისათვის</p>
<p>14. დღეისათვის საქართველოში არსებული განახლებადი წყაროების პოტენციური ნაკლებად არის გამოყენებული. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში შესაბამისი ოდენობის ინვესტიციების მოზიდვა ხელს შეუწყობს წარმოებული ელექტროენერჯის რეგიონული მაშტაბის გამოყენებას და სათბური გაზების ემისიების შემცირებას, შესაბამისად ენერგოეფექტურობის დონის გაზრდას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება თავის მხრივ გვავალებს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებას და კანონმდებლობაში ეტაპობრივ ასახვას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს ქვეყნის ეკოლოგიურ გარემოს.</p>

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	გ. გიგინეიშვილი ე. მაჭავარიანი მ. ჯიხვაძე ნ. ქსოველი	ტენიანი ნაჯერი ორთქლით მომუშავე ორთქლის მანქანის ეფექტურობის ანალიზი	29.10.2016 ქ. ქუთაისი
2.	ე. მაჭავარიანი გ. გიგინეიშვილი	ტენიანი ნაჯერი ორთქლით მომუშავე ორთქლის მანქანა	29.10.2016 ქ. ქუთაისი
3.	დ. გვენცაძე, ბ. მაზანიშვილი, ლ. რობაქიძე	მაღალტემპერატურული თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგია თხე- ვადი მინისა და აფუებული პერლიტის ბაზაზე	19-20.05.2016 ქ. ქუთაისი
4.	ნ. ქვეციშვილი, თ. ჯიშკარიანი, ნ. ჯავშანაშვილი	ტყელების ქვანახშირის ფართოდ გამოყენების პერსპექტივები	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ენერჯეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარე- ბის პერსპექტივები”. 29 ოქტემბერი, 2016 წ.,

			ქუთაისი
5.	ქვეზირიშვილი-ნოზაძე	გეოთერმული წყლების ბაზაზე თხევადი სორბენტის გამოყენებით ჰაერის კონდიციონირების სისტემების შექმნა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში”. 21-23 სექტემბერი, 2016 წ., ურეკი
6.	ქვეზირიშვილი-ნოზაძე	საქართველოში არსებული ენერგორესურსების ათვისების პოტენციალური მიმართულებანი	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. 29 ოქტემბერი, 2016 წ., ქუთაისი
7.	ქვეზირიშვილი-ნოზაძე	გეოთერმული ენერჯის გამოყენებისას წამოჭრილი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის მიმართულებები	საქართველოს განახლებადი ენერჯიების ასოციაციის სტუდენტური კონფერენცია. 26 აპრილი, 2016 წ., თბილისი
8.	ქვეზირიშვილი-ნოზაძე	ქ.თბილისის გეოთერმული თბომომარაგება – XXI საუკუნის ალტერნატივა	საქართველოს განახლებადი ენერჯიების ასოციაციის სტუდენტური კონფერენცია. 26 აპრილი, 2016 წ., თბილისი
9.	ხ.არაბიძე ნ.ჯაფარიანი თ.ჯიშკარიანი,	შამრეწველო სექტორში ნახშირორჟანგის () ემისიების შემცირების ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ღონისძიებები	IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”. 29 ოქტემბერი, 2016 წ., ქუთაისი
ანოტაცია			
1. ნაშრომში აღწერილია ტენიანი ნაჯერი ორთქლით მომუშავე ორთქლის მანქანის თბური სქემა და თეორიული თერმოდინამიკური ციკლი. გამოყვანილია აღწერილი ციკლის თერმული მარგი ქმედების კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულა და მოცემულია სხვადასხვა წნევის პირობებში გაანგარიშებული სიდიდეების შედარება			

<p>კარნოს ციკლის მარგი ქმედების კოეფიციენტთან. ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ აღწერილი ტიპის მანქანის თერმულმა მქკ-მ 4%-ს გადააჭარბა, რაც შესაბამისი კარნოს ციკლის თერმული მქკ-ის მეექვსედია და გარკვეული მოდერნიზაციის შემდეგ, კიდევ უფრო მაღალი შედეგის მიღებაა მოსალოდნელი, რის შედეგადაც აღწერილი ორთქლის მანქანის პრაქტიკული გამოყენება უთუოდ მიზანშეწონილი იქნება.</p>
<p>2. ნაშრომში აღწერილია ტენიანი ნაჯერი ორთქლით მომუშავე ორთქლის მანქანის უმარტივესი სქემა და მუშაობის პრინციპი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წარმოდგენილი სქემით მომუშავე თბურ მანქანას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული პრაქტიკული ინტერესი დაბალტემპერატურული თბური ენერჯის წყაროების ეფექტურად ათვისების ამოცანების გადაჭრისას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ორთქლის მანქანის მარგი ქმედების კოეფიციენტი სითბოს წყაროსა და გარემოს ტემპერატურათა შორის არსებული დაბალი სხვაობის გამო, მცირე იქნება.</p>
<p>3. სტატიაში ნაჩვენებია თხევადი მინისა და საქართველოში წარმოებული აფუებული პერლიტის ბაზაზე ეკოლოგიურად სუფთა მაღალტემპერატურული თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება სხვადასხვა ბუნების მქონე მოდიფიკატორების გამოყენებით, როგორცაა კლინოპტილოლითი, პლასტიკური თიხა და ტექნიკური ნახშირბადი. დადგენილ იქნა, რომ მასალების კომპოზიციებში მოდიფიკატორების შეყვანამ გააუმჯობესა მათი სიმტკიცე კუმშვაზე 1,8-2,3-ჯერ. მასალების კუთრი წონის დიაპაზონი 250-450 კგ/კუბ.მ, ხოლო სითბოგამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობა 0,06-0,08 ვტ/მ-გრად. ფარგლებშია.</p>
<p>4. მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები და ფირმები ამჟამად აქტიურად მუშაობენ განახლებადი წყაროების ეფექტურად გამოყენების ტექნოლოგიების შესაქმნელად. ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ტექნოლოგიების შექმნა, რომლებიც არსებული ტრადიციული რესურსების მოხმარების ეფექტიანობას გაზრდის. წარმოდგენილი მოხსენება ეძღვნება ამ სფეროში უკვე მიღებული ტექნოლოგიის კომერციალიზაციას და იმ ბარიერების დაძლევის საკითხებს, რომელიც ამ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას.</p>
<p>5. გაანალიზებულია მსოფლიოში ორგანული სათბობის დაწვის შედეგად გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანის გამომწვევი მიზეზები. ნაჩვენებია, რომ ორგანული სათბობის დაწვის შედეგად გარემოზე მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შემცირების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების ფართოდ გამოყენება თბური და ელექტრული ენერჯის მისაღებად. გაანალიზდა ქვეყანაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს განახლებადი, არატრადიციული ენერჯის რესურსების დიდი მარაგი გააჩნია: იქნება ეს ჰიდრო, მზის, ქარის, გეოთერმალური წყლების თუ ბიოგაზის ალტერნატიული რესურსი. თუმცა დღემდე მიღებული არ არის მათი ათვისების მხარდამჭერი კანონები, ამიტომაც ამ რესურსების გამოყენების დონე</p>

<p>ამჟამად ძალიან დაბალია და ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად 300 მლნ ლარის ბუნებრივ აირს ყიდულობს უცხოეთში. საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის 50% კი იხარჯება დაბალპოტენციური თბური ენერჯის (40-150°C) მისაღებად, გათბობისა და ცხელწყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. მოხსენებაში ამ პრობლემების გადაჭრის გზებზეა გამახვილებული ყურადღება</p>
<p>6. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ ენერჯეტიკული სექტორის განვითარების პირველი გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი გამოქვეყნდა. მოხსენებაში განხილულია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც ენერჯეტიკა დგას. წარმოდგენილ პროექტში სტრატეგიული განვითარების ხედვა დაკავშირებულია საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაძლიერებასთან. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ევროკავშირთან დაახლოების პროცესში არსებული ენერჯეტიკული რესურსების ათვისების შესაძლებლობანი. ამ ჩარჩოს მიხედვით მოხსენებაში განხილულია საქართველოს ენერგოპოტენციალი.</p>
<p>7. მოხსენებაში ჩამოყალიბებულია საქართველოს გეოთერმული ენერჯეტიკის პრობლემის გადაწყვეტისა და ამ დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რომლის პრაქტიკული განხორციელებით მოხდება დარგის როგორც ტექნიკა-ტექნოლოგიური, ისე ორგანიზაციულ-ეკონომიკური სრულყოფა. წიაღისეულ სიმდიდრეთა მარაგი ლიმიტირებულია, მზის ენერჯისა და მზის გამოსხივებით განპირობებული ენერჯები – ქარის, გეოთერმული, ჰიდროენერჯეტიკული რესურსები, ბიომასის გამოყენებით მიღებული ენერჯები განახლებადია. აღნიშნულის გათვალისწინებით კაცობრიობა ჩაება ახალ, მდგრადი განვითარების პროცესში, რომლის უმთავრეს კომპონენტს განახლებადი ენერჯის გამოყენება წარმოადგენს. მოხსენებაში განხილულია მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის სტრატეგია გეოთერმული თბომომარაგების ჭრილში.</p>
<p>8. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოლოგიის დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი მართებული და მასშტაბური გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს აწმყოსა და მომავალს. საქართველოს წიაღისეული რესურსების შეზღუდული მარაგი, სათბობისა და ენერჯის იმპორტი, ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა, სულ უფრო აქტუალურს ხდის ენერჯის განახლება წყაროების, კერძოდ კი გეოთერმული წყლების გამოყენების მიზანშეწონილობას. მოხსენებაში განხილულია ქ.თბილისის თბოსიცივით მომარაგების პრობლემის გადაჭრის გზები იაფი და ეკოლოგიურად სუფთა თერმული წყლებით.</p>

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

1	ო.ზუმბურიძე გ.არაბიძე	Energy Efficiency in Buildings in Georgia(Energy Policy and their compliance with EU Directives in the field of EE	2nd UNI-SET Energy Clustering Event. Universities in the Energy Transition: Focus on Energy Efficient Systems and Nuclear Safety, Hosted by Politecnico di Torino (POLITO), Torino, Italy, 26-28 September 2016 http://www.eua.be/activities-services/events/event/2016/09/26/default-calendar/2nd-uni-set-energy-clustering-event
2	ნ.არაბიძე	“კვლევა განახლებადი ენერჯიების შესახებ ევროკავშირის დორექტივის გათვალისწინებით”	17-21 ოქტომბერი ბაქო, აზერბაიჯანი მე-7 საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით: “ენერჯეტიკა მდგრადი განვითარებისათვის” გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)

ანოტაცია

1. საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას და იგი 2016 წლის ბოლომდე, ენერჯეტიკულ გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება. 2015 წელს შემუშავდა ენერჯეტიკული პოლიტიკა სადაც ნათლადაა ასახული ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა და მისი პრიორიტეტულობა. რაც შეეხება სტრატეგიას ვფიქრობთ, რომ 2016 წლის ბოლომდე შემუშავდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონში „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რის საფუძველზეც 100 კილოვატი სიმძლავრის ნებისმიერი გენერაციის ობიექტს შეუძლია ქსელს მიაწოდოს ჭარბი ენერჯია სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით, აღნიშნული ცვლილება ძალაში შესულია და იგი ხელს შეუწყობს მაქსიმალურად მოხდეს განახლებადი ენერჯიების ინტეგრაცია ქსელში. ენერგოეფექტურობა მრეწველობის სექტორში 2015 წლის მაჩვენებლით შემდეგია: ბუნებრივი გაზი-25,2%; ელექტროენერჯია-34,1%; საღუმელე კოქსი-13,3%; ქვანახშირი-27,40 მრეწველობის სექტორში წიაღისეული საწვავის წვიდან სათბურის გაზების ემისიებმა 2014 წელს შეადგინა 1638გგ ჩ 2-ის ექვივალენტებში. 1990 წელთან შედარებით 2014 წელს ემისიები შემცირებულია 6.42 ჯერ. საქართველომ ეტაპობრივად უნდა შეძლოს სხვადასხვა კანონებისა და რეგულაციის მიღება, დღესდღეობით არ არსებობს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. კანასკნელ პერიოდში ენერჯიის მოხმარების მრავალ სფეროში ფართოდ ინერჯება თანამედროვე ენერჯეტიკული ტექნოლოგიები, რომლის განსაკუთრებული ნიშანია ენერჯიის განახლებადი წყაროების მასშტაბური გამოყენება და ენერჯიის მნიშვნელოვანი დაზოგვის შესაძლებლობა დანადგარების და სისტემების მაღალი ეფექტურობის ხარჯზე. ასეთი ტექნოლოგიების ეკონომიკური მომგებიანობა და მკაფიო ეკოლოგიური

<p>უპირატესობები აფართოებს მისი გამოყენების სფეროს – ენერგეტიკული ინდუსტრიიდან საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურებამდე. ის თანდათან ხდება ადამიანების საყოფაცხოვრებო გარემოს ბუნებრივი ნაწილი და მოითხოვს შესაბამის ცოდნას მათი მხრიდან. ამჟამად მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ენერგოეფექტური მოწყობილობების წარმოებას და ენერჯის განახლებადი რესურსების ათვისებას, რაც მიიჩნევა გლობალური დათბობის პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მზარდი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სადაც ენერჯის საყოფაცხოვრებო მოხმარება მნიშვნელოვნად აღემატება ინდუსტრიული სექტორის ენერგომოხმარებას. საქართველოში არსებული ენერჯის განახლებადი წყაროების მაღალი პოტენციალი მისი რაციონალურად გამოყენების საუკეთესო საშუალებას იძლევა. შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მომზადება, ვფიქრობთ, გადაუდებელი ამოცანაა ამ რესურსების ათვისებისა და ეფექტურად გამოყენებისთვის.</p>
<p>2. კვლევა ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივის შესაძლებლობას და მის გადმოტანას საქართველოსთვის. დირექტივის გამოწვევა საკმაოდ რთულად სადასაწყვეტი და მოსაგვარებელია აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს დირექტივის საქართველოს ენერგეტიკის სექტორისათვის მორგება და შემდგომში მისი განხორციელება. პრეზენტაციაში განხილულია რამოდენიმე სცენარი, თუ როგორ უნდა მოხდეს ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაცია</p>

ჰიდროენერგეტიკის და მახისტრალური სამილსაფენო

სისტემების დეპარტამენტი №208

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი იური ლომიძე)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 16,5 თანამშრომელი, მათ შორის 4 პროფესორი, 4 ასოცირებული და

- 4 ასისტენტ პროფესორი, 1 ემერიტუსი, 1 უფროსი მასწავლებელი, 2,5 მასწავლებელი,
- 2 უფროსი სპეციალისტი

I3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“სასწავლო- სამეცნიერო ლაბორატორიული სტენდის შექმნა (მინი ჰიდროტურბინის დანადგარი“- ჰიდროენერგეტიკა	ა(ა)იპ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობის ფონდი“	-	1. ლომიძე იური 2. ხელიძე გრიგოლი 3. შატაკიშვილი ლენა
	“ელექტროსადგურების შესწავლა-დათვალიერება”	ა(ა)იპ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობის ფონდი“	-	1. ხელიძე გრიგოლი, 2. გიგინეიშვილი გიორგი 3. ლომიძე იური 4. ტაბიძე ამირან
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
1. სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიული ამოცანა მოემსახურება სტუდენტთა ფართო კონტიგენტს (წელიწადში 450-დე ბაკალავრიატის სტუდენტს), ასევე ბენეფიციარი შეიძლება იყოს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, რომელთაც დანადგარის გამოყენებით საშუალება მიეცემათ ჩაატარონ სამეცნიერო მიმართულების გამოკვლევები				
2. პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტებს ექნებათ სიღრმისეული ცოდნა ელ.სადგურების მუსაობასა და ელ. ენერჯის წარმოებს შესახებ. სარგებელს მიიღებენ ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის ფაკულტეტის II, III და IV კურსელი სტუდენტები.				

I4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს მცირე ჰიდროელექტროსად-	ა(ა)იპ „საქართველოს ენერგეტიკის	-	1. ლომიძე იური 2. ხელიძე გრიგოლი

	გურების ცნობარი	განვითარების ხელშეწყობის ფონდი		3. შატაკიშვილი ლენა
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
1. პროექტის შედეგს წარმოადგენს ცნობარი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საქართველოში არსებული ყველა მცირე პიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული სქემები და მახასიათებლები.				

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი.ლომიძე; თ.შოშიაშვილი	მიწისქვეშა გაზსაცავი, როგორც პიკური მოთხოვნის დაბალანსების ინსტრუმენტი. ჟურნალი „ენერჯია“	№ 2(78)/2016	ქ.თბილისი	5გვ.
2	ი. ლომიძე; თ. შოშიაშვილი	სამხრეთ კავკასიური მისლადენის გაფართოება და მისი როლი ევროპის სამხრეთ დერეფანში. სამეცნიერო ჟურნალ “ბიზნეს-ინჟინერინგი”.	№1-2 /2016	ქ.თბილისი	3გვ.
3.	ი.ლომიძე, გ.ხელიძე, ზ.ჩუბინიძე, ს.სამსონაშვილი	ერთეული სიმძლავრის შესაბამისი წყლის ხარჯის დადგენა ნატურული გაზომვებით, ბახვი 3 ჰესის მუშაობის	ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. IV	ქ. ქუთაისი	5 გვ

		სხვადასხვა რეჟიმში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები” 2 9.10. 2016 საქართველო. მოხსენებების კრებული, გვ. 104-108		
4.	გ. ხელიძე, ლ. შატაკიშვილი, ნ. კიკაჩიშვილი	თევზსავალით გატარებული წყლის ხარჯის გაანალიზება ზედა ბიევის ცვალებადი დონის დროს	ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები” 2 9.10. 2016 საქართველო. მოხსენებების კრებული, გვ. 104-108	ქ. ქუთაისი	5 გვ
ანოტაციები					
<p>1. სტატია ეხება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს - გაზსაცავის მშენებლობის აუცილებლობას. ქვეყნის გაზგამანაწილებელ სისტემაში ზამთრის პერიოდში არსებული პიკური მოთხოვნის დეფიციტი ქმნის პრობლემებს, რამაც საქართველოს ხელისუფლება აიძულა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები დაეწყო. გაზსაცავის მშენებლობა უპირველესად, მოხსნის გაზის რესურსების სეზონური მოწოდების დისბალანსს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. ამასთან, სამგორის სამხრეთ თაღის საბადოზე გაზსაცავის მშენებლობა სრულად უზრუნველყოფს ევროკავშირის სტანდარტებით ქვეყნისთვის გაზის სტარტეგიული მარაგის შექმნას. საკვანძო სიტყვები: გაზსაცავი, ენერგოუსაფრთხოება, პიკური მოთხოვნა, მაგისტრალური</p>					

<p>გაზსადენების სისტემა.</p>
<p>2. სტატია ეხება სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტს, რომლის განხორციელებაც საქართველოსა და აზერბაიჯანში უკვე მიმდინარეობს. სამხრეთ კავკასიური მილსადენი ევროპის ენერჯეტიკული სტრატეგიის განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს პროექტს წარმოადგენს, რადგან მასზეა დაფუძნებული ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის კონცეფცია. კონცეფცია, თავის მხივ, ითვალისწინებს რუსეთის გვერდის ავლით კასპიის რესურსების ევროპისთვის მიწოდებას. საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასიური მისაღდენი, ევროპის გაზის სამხრეთ დერეფანი, ენერგოუსაფრთხოება.</p>
<p>3. მდინარეთა სამთო უბნებზე, სადაც ორაგულისებრი თევზებია გავრცელებული, გვხვდება ღარისებრი თევზსატარებინაკადის მოძრაობის ბუნებრივთან მიახლოებული პირობებით. განხილულია ბახვი 3 ჰესის თევზსავალი ნაგებობის გამტარუნარიანობის გაანგარიშება ზედა ბიეფის დონის ცვალებადობისას. თევზსავალით გატარებული წყლის ხარჯის განისაზღვრა იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ გადამდობი კედელი და ზღუდარი თხელკედლიანი წყალსაშვია, ხოლო მათ შორის მდებარე არე განიხილება როგორც გამოდინება ნახევრადდაძირული ხერეტიდან. წყალსაცავში ნ.შ.დ.-ზე დაბალი დონეების შემთხვევაში თევზსავალის ხერეტი ზედა ბიეფის მხრიდან განიხილება, როგორც დაუძირავი ფართოზღურბლიანი წყალსაშვი.</p>

საწარმოო ინოვაციების და ოპერაციითა მენეჯმენტის დეპარტამენტი

(სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - პროფესორი არჩილ სამადაშვილი)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

4 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 უფროსი მასწავლებელი,

1 ლაბორატორიის ხელმძღვანელი

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მანანა მადრაძე/ვასილ სისაური/ალექსი გელაშვილი	ტერორიზმი და ფაქტორები, რომელიც მოქმედებენ პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებაზე	ქ.თბილისი. 2016 წელი	132

ანოტაციები

მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით ტერორისტული აქტი ხდება, რომელთა წყალობითაც მრავალი ადამიანი იღუპება. უძლიერესი ქვეყნები ძაღლონეს არ იშორებენ იმისთვის, რომ აღკვეთონ ტერორიზმი, მაგრამ ამოდ, - ტერორიზმი კვლავ რჩება კაცობრიობის ურთულეს პრობლემად, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც იგი სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკური, ეთნიკური მიზნების მიღწევის საშუალებად, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად და თვითპოლიტიკური ძაღადობის ფორმადაც კი იქცა. ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ ღირებულებებს, არამედ იგი საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია. ამდენად, ტერორიზმი განიხილება როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის წინააღმდეგ. ტერორიზმის საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, ზოგადად ტერორიზმი გულისხმობს, ძაღადობრივ აქტს, რომლის მიზანი არის შიშის დანერგვა. „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. სხვა განმარტებებით: ტერორიზმი არის ძაღადობრივი აქტი სამოქალაქო ირების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია პოლიტიკური მიზნებისგამო, იგი არის ომის ფსიქოლოგიური სტრატეგია. მისი მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობას შორის შიშის კლიმატის დანერგვას და რომელიც პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალისტური ან იდეოლოგიური საფუძვლითაა ჩადენილი. ტერაქტები მიზნად ისახავენ შიშის ჩანერგვას და რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაშინებას მიუხედავად იმისა, რაიმე საერთო აქვთ თუ არა ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან. აღნიშნულის ნათელი მიგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია, რომელმაც გარდატეხა მოახდინა საზოგადოების აზროვნებაში, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ჯერ მსოფლიო პოლიტიკაზე, შემდეგ კი ეკონომიკაზე. ტერორიზმი შეიძლება მიმართული იყოს ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფებისკენ, ქვეყნისკენ, მთავრობისკენ, პოლიტიკური პარტიისკენ, საზოგადოებრივი აზრისკენ. ტერორიზმის მიზანია წარმოშვას ძაღა, თუ ის არ

არსებობს და გააძლიეროს, თუ ძალა პატარაა. საჯარო ძალადობის გზით ტერორისტები ცდილობენ მიიღონ ძალაუფლება პოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე. ტერორიზმი მიიხსნება ტრადიციულ საშუალებად მათთვის, ვინც ებრძვის თავისზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, რადგან ტერორიზმი წარმოადგენს ძალადობის იარაღს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე გააწონასწოროს მხარეთა საშუალებები. ტერორიზმთან ბრძოლის წარმატებულობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ ასპექტების იდენტიფიცირებასთან, რაც კონკრეტულ ჯგუფსა თუ ინდივიდს ტერორისტული აქტის განხორციელებისკენ უბიძგებს. თანამედროვე ტერორიზმი ს ცდება რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა თუ კულტურას/რელიგიას. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ამ გლობალური პრობლემის შესწავლის საჭიროებას. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ფაქტორები რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმს წარმოშობას და პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებას. ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას თუ რატომ ხდება ადამიანი ტერორისტი? რა მიზანი ამოძრავებს მას როცა კლავს სიცოცხლეს? რატომ გონია რომ ვინმეს მოკვლით ღმერთისგან მიიღებს ზეციურ გასამრჯელოს ანუ მოხვდება სამოთხეში? რატომ და რისთვის წირავენ თავს? რატომ არის ადვილი მისთვის უამრავი ადამიანის მოკვლა? და კიდევმრავალ კითხვას რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ერთი მხრივ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, მეორე მხრივ კი აუცილებელია. რადგან მიზეზების ცოდნამ შეიძლება შეცვალოს ის გარემოება რაც ადამიანს ტერორიზმისკენ უბიძგებს. თუ კი აღმოფხვრება ის ფაქტორები რომელიც განაპირობებს პიროვნების ტერორისტად გარდაქმნას მაშინ გლობალურ და ლოკალურ ტერორისტულ ორგანიზაციებს ს აღარ ექნებათ საშუალება თავისი იდეოლოგია განახორციელონ რიგითი ადამიანების ხარჯზე. არ იქნება მართალი თუ კი მტკიცებას დავიწყებთ, რომ ამ მიზეზების შესწავლით მისი სრულად აღმოფხვრა შესაძლებელია. მაგრამ რაც მეტად ექნებათ ტერორისტულ ორგანიზაციებს ადამიანური რესურსების შევსების პრობლემა მით მეტად გაუძნელდებათ დასახულ იდეოლოგიურ გზაზე წინსვლა. ამასთანავე ადამიანური რესურსების უქონობა მათში გამოიწვევს მთელ რიგ უთანხმოებებს, კომფლიქტებს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაწევრება-დაშლასაც შედარებით პატარა ჯგუფებად. აგრეთვე მოსალოდნელი იქნება რესურსების შევსების ტაქტიკის შეცვლა. ქვემოთ განხილულია ის ფაქტორები რომელიც ადამიანში დაბადებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე და შესაბამისად ქმედებებზე. ასევე, განხილულია რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ტერორისტული ორგანიზაცია რომლებზე დაყრდნობითაც განვიხილავთ რამდენიმე ფაქტორს.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავთანდილ ასათიანი	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	2016 წელი, ქ. თბილისი, გამომცემლობა	304

			„უნივერსალი“	
2	ავთანდილ ასათიანი	აღზრდა ბიბლიურ იუდაიზმში	2016 წლის აპრილი, ქ. თბილისი, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა	168
ანოტაცია:				
<p>1. წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში შემაჯავლი ერთ-ერთი დარგის - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სასწავლო კურსს, რომელშიც უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში, განხილულია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, საგანმანათლებლო პროგრამა – კურიკულუმი, მისი აგების პინციპები და მეთოდოლოგია, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება–შეფასება. წიგნში ასევე წარმოდგენილია უმაღლესი სკოლებში განათლების მენეჯმენტის არსი და პრინციპები, ლიცენზირება–აკრედიტაცია და ავტორიზაცია, შრომის ბაზრის გაფლენა უმაღლესი სასწავლებლის საფინანსო ეკონომიკურ საქმიანობაზე და ქართული საგანმანათლებლო- სისტემის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობები. შათანადო ადგილი ეთმობა აგრეთვე პედაგოგის ეთიკას, უმაღლესი სასწავლებლის აღმზრდელობით პრობლემებს და კურსთამთავრებულთა სოციალიზაციის საკითხებს. ნაშრომს ერთვის ტერმინთა განმარტებები. სახელმძღვანელო განკუთვნილია მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. ჭიგნში განხილულმა საკითხებმა შეიძლება ასევე იმ პრაქტიკოს მენეჯერთა დაინტერესებაც გამოიწვიოს, რომლებიც ადამიანური რესურსების სწავლებით არიან დაკავებულნი. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აგრეთვე უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებით დაინტერესებულ მუშაკებს, განსაკუთრებით – დამწვებ აკადემიურ პერსონალს.</p>				
<p>2. წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელშიც განხილულია აღზრდის საკითხები ბიბლიურ იუდაიზმში. დასაბუთებულია ღვთიური სამყაროს როლი აღზრდაში, კანონის ანუ რჯულის პედაგოგიკის პრიმატი და სიბრძნის დიდაქტიკა იუდაიზმში. გაანალიზებულია იუდაისტური და ანტიკური აღზრდის სისტემები და მოცემულია იუდაისტური აღმზრდელობითი ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაცია. ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ქრისტიანული პედაგოგიკის შესწავლაში. მასში განხილული საკითხები საინტერესოა, აგრეთვე რელიგიის პედაგოგიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და მულტიკულტურულ საზოგადოებაში ტოლერანტობის აღზრდის პრობლემებზე მომუშავე პედაგოგებისათვის.</p>				

სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-	ჟურნალის/	გამოცემის ადგილი,	გვერდების
---	---------	----------------------------------	-----------	-------------------	-----------

	ავტორები	ლის დასახელება	კრებულის ნომერი	გამომცემლობა	რაოდენობა
1	ნ.არაბიძე ა.გრიგალაშვილი	ბიოსათბობის გამოყენების ეკოლოგიური ეფექტიანობის ანალიზი. ჟურნალი “განათლება”	№1(15) 2016 წელი	ქ. თბილისი	5
2	ავთანდილ ასათიანი	ილია ჭავჭავაძე აღზრდაში ქრისტიანობის როლის შესახებ, საერთ. რეფერ. და რეც. სამეც. ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“	2016 წელი, №2(14)	ქ. თბილისი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „თობაღისი“	5
3	ავთანდილ ასათიანი	უმაღლესი განათლება და ბიზნესი - რეალობა და გამოწვევები საქ. განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მომბე“	2016 წელი, №15	ქ. თბილისი, საქ. განათლების მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა (იბეჭდება)	8
4	მანანა სამადაშვილი ეკატერინე გობეჯიშვილი	ტრეინინგის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში, ჟურნალი “ეკონომიკა”	№ 11-12	თბილისი, “ივერიონი” საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი	7
5	მანანა სამადაშვილი ეკატერინე გობეჯიშვილი	ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა, ჟურნალი “ეკონომიკა”	№ 11-12	თბილისი, “ივერიონი” საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი	7
6	მანანა	პროფესიული		თბილისი,	5

	სამადაშვილი ეკატერინე გობეჯიშვილი	სტრესის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში, ჟურნალი “განათლება”	№ 3(16)	“საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი	
7	ი. ქვარაია ქ. ქუთათელაძე	მონოლითური რკინაბეტონი მშენებლობაში და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები საქართველოში	დავით აღმაშენებელ სახელობის საქ.ეროვნული თავადაც. აკადემიის შრომები №2. 2016	ქ. თბილისი	5
8	ი. ქვარაია ქ. ქუთათელაძე ე. მაღანია	ქ.თბილისში მახათას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსი, როგორც ტურისტული დესტინაცია	III რეგიონ. სიმპოზიუმი “საკრუიზო ტურიზმი- მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში” შრომათა კრებული თბილისი 2016 წელი	ქ. ბათუმი	5
9	რ. ქუთათელაძე ქ. ქუთათელაძე	საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია	.ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი შრომების კრებული თბილისი, 2016	ქ.თბილისი გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2016	4
10	მანანა მაღრაძე/ გიორგი ელიაშვილი	საქართველოს კიბერბარომეტრი და აღმაშენებლის სახელობის ეროვნული	№(2)	ქ.თბილისი, 2016 წელი	13

		თავდაცვის აკადემია შრომები			
ანოტაცია					
<p>1. მოცემულია უკრაინასა და საქართველოში ენერგეტიკული მიზნით გამოსაყენებელი ბიომასის რაოდენობები. მოყვანილია ბიომასის გამოყენების ეფექტურობის ძირითადი ეკოლოგიური მაჩვენებლის საანგარიშო ფორმულები. სათბური გაზების შემცირების კუთრი მნიშვნელობები სითბური და ელექტრული ენერჯის კომბინირებული გამოძეგებისას. წიაღისეული სათბობის და ბიომასის ნერჩენების ემის მანვენებელი.</p>					
<p>2. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით ადამიანის დანიშნულება ღვთიური სრულყოფილებაა, რომელიც ქრისტიანული რწმენით მიიღწევა. მომავალი თაობის აღზრდის მიზანი კი ზნე-ხასიათის წვერთაა. სწორედ ზნე-ხასიათ გაწვერთნილ ანუ სულიერად აღზრდილ ადამიანს ძალუძს ამსოფლიური ცხოვრების რიგიანად გატარება, რაც თავისთავად მარადიული სულიერი არსებობის საფუძველია. ამიტომ სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველი ქრისტიანული აღზრდაა, რასაც მთელი შეგნებით ემსახურა საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია მართალი.</p>					
<p>3. უმაღლესა განათლებამ და, შესაბამისად, მეცნიერებამ ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებულმა რეფორმამ პრობლემები ვერ მოაგვარა. ქვეყანაში ტრადიციულად არსებული ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკური პროცესების მიღმა აღმოჩნდა. უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნესს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ორმხრივ სარგებლიანობაზე დამყარებული კავშირები. უმაღლესი განათლებისათვის უცხოური ინვესტიციები კვლავ მიუწვდომელია, ხოლო ქართული ბიზნესის მხრივ აქტივობა განათლებაში უმნიშვნელოა. საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებისას ქართული უმაღლესი სასწავლებლები არ იკვლევენ შრომის ბაზარს, რაც კადრების მომზადებასა და მათზე მოთხოვნას შორის დისპროპორციას ქმნის. უმაღლესი სასწავლებლების ოდენობა 2,5-ჯერ აღემატება ბაზრის მოთხოვნებს, რაც აშკარად შეუსაბამოა ქვეყნის მოსახლეობასთან და ნეგატიურად აისახება უმუშევრობაზე. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია, რასაც ისეთი ფაქტორები აფერხებს, როგორცაა: სწავლების არასახარბიელო დონე, მწირი ფინანსები, მოძველებული საგრანტო რეგულაციები, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, ავტორიზაციის და აკრედიტაციის არასრულყოფილი სტანდარტები და ბიზნესის სექტორთან სუსტი კომუნიკაცია.</p>					
<p>4. ცვლილებები ორგანიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიაში განაპირობებს ძირეულ ცვლილებებს პერსონალის მართვის სფეროშიც. ორგანიზაციის გარე თუ შიდა ფაქტორთა სწრაფი ცვლილება აიძულებს უზრუნველყოფილ იქნას ორგანიზაცია მისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით. პრიორიტეტული ხდება ადამიანური რესურსების მართვის პროცესში ეფექტური ტრეინინგების თანამედროვე სისტემის გამოყენება. პერსონალის ცოდნის დონის ამაღლება და პროფესიული ჩვევების განვითარება ხელს უწყობს პერსონალის ფასეულობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ორგანიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, რაც თავის მხრივ განაპირობებს ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე</p>					

<p>ტრენინგების სისტემის გამოყენების დანერგვა ნებისმიერ ორგანიზაციაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და პრიორიტეტულ ამოცანას.</p>
<p>5. ადამიანების მართვა ხელოვნებაა. ყოველი პიროვნება თავისი სულიერებით, გრძნობებით და პიროვნული მახასიათებლებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვას ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში, ანუ ადამიანების დასაქმების და განვითარების პროცესს ქვეყნის საზღვრებს მიღმა. ე.ი. ადამიანური რესურსებით მომარაგება, განვითარება, სტრატეგიების და პოლიტიკის შემუშავება და მათი რეალიზება, კარიერის მართვა და ანაზღაურება ჩამოყალიბება და განხორციელება შეეხება საერთაშორისო სამუშაო ძალას. ისინი მუშაობენ ხანმოკლე შეთანხმებით ან ხანგრძლივი დროით. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა ნიშნავს ადგილობრივი და მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოდ აყვანას მთავარი ქვეყნის ფილიალებში, საწარმოებსა და სააგენტოებში უცხო ქვეყნებში ან შორეულ ტერიტორიებზე. საერთაშორისო დასაქმების განვითარების მთავარი ამოცანაა განავითაროს პერსონალის შესაძლებლობები და ორგანიზაცია უზრუნველყოს მაღალი დონის კვალიფიციური ხელმძღვანელებით მომავალში მთელი მსოფლიოს მასშტაბით საწარმოების სამართავად. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა უფრო რთულია, ვიდრე პერსონალის მართვა ერთი ქვეყნაში. პრობლემები რომლებიც წარმოიშობა დასაქმებისა და ანაზღაურების სფეროში განპირობებულია შვილობილი კომპანიების მიერ, როგორც თავიანთი ქვეყნის მოქალაქის, ასევე მასპინძელი ქვეყნის და მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოზე აყვანის შემთხვევაში. მენეჯერები სირთულეების წინაშე დგებიან, როდესაც ცდილობენ ადგილობრივ პირობებში სწრაფად გარკვევას და თავიანთ ძირითად კომპანიის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ერთობლივ საწარმოში ხშირად წარმოიშობა პრობლემები საწარმოში მომუშავე ემიგრანტებს, მასპინძელი ქვეყნის და მესამე ქვეყნის მოქალაქეებს და სპეციალისტებს შორის, რომლებიც მიწვეულნი არიან კომპანიებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.</p>
<p>6. სტატიაში განხილულია პროფესიული სტრესის გამომწვევი მიზეზები, ასევე ინდივიდის თავისებურებებთან დაკავშირებული პროფესიული სტრესის სამი ძირითადი წყარო, ორგანიზაციული სტრესორები, პროფესიული სტრესის კონტროლის მექანიზმები და სტრესის მენეჯმენტი, სოციალური გარემოს სტრესორთა ჯგუფი, ფსიქიკური დარღვევები, რომლებიც აღმოცენდებიან სამუშაოსთან დაკავშირებული დაძაბულობის შედეგად. სტატიაში ნათლადაა წარმოდგენილი განსხვავება პოზიტიურსა და ნეგატიურ სტრესს შორის, გაანალიზებულია სტრესის გამომწვევი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომელთა კონტროლი ადამიანს შეუძლია ან არ შეუძლია. სტატიაში ასევე განხილულია ორგანიზაციაში გამოყენებული სტრესის მართვის ეფექტური ორგანიზაციული პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ ხანგრძლივი მოქმედების პროგრამებს; სტრესის ხელის შემწყობი ნეგატიური აზრების დასამარცხებელი მეთოდები; სტრესის მართვის ტრენინგი; მიზნის დასახვის პროგრამა; მიზნის დასახვის ელემენტები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს სტრესის შემცირებაში; პრინციპული წინააღმდეგობები სტრესის სხვადასხვა მოდელებს შორის.</p>
<p>7. „მონოლითური რკინაბეტონი მშენებლობაში და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები საქართველოში“. სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია</p>

<p>საქართველოს საბინაო მშენებლობაში ადრე საყოველთაოდ გავრცელებული ასაწობი კონსტრუქციების გამოყენების ნაცვლად, უკანასკნელ წლებში მთლიანად მონოლითურ მშენებლობაზე გადასვლის წინაპირობები და მისი დადებითი შედეგები. ასევე საუბარია მთავრობის მიერ სამშენებლო ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე, რაც ზოგადად დადებითად აისახება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის პროცესზე.</p>
<p>8. ქობილისში მახათას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსი, როგორც ტურისტული დესტინაცია. მოხსენებაში სიმპოზიუმის მონაწილეები გაეცნენ მახათის მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის მნიშვნელობას. კომპლექსის მშენებლობის დასრულების შემდეგ იგი უნდა გახდეს საბრძნეთში, ათონის მთაზე არსებული „ივერიონის“ - ადრე ქართველთა საგანმამათლებლო-კულტურული ცენტრის ანალოგი, რაც მას საქართველოში მთავარ ტურისტულ ობიექტად აქცევს.</p>
<p>9. საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია. საზოგადოება დაინტერესებულია მიაღწიოს მაღალ შედეგებს წარმოების ფაქტორთა აქტივიზაციის გზით, რათა უზრუნველყოს მოთხოვნილებათა ფართო სპექტრის რაოდენობრივ-ხარისხობრივი დაკმაყოფილება. წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის საფუძველია. ეს კი უშუალოდ არის დაკავშირებული ინოვაციურ პროცესებთან. სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შესაბამისად უნდა შედგეს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც უნდა აირჩნენ ალტერნატიულ საფუძველზე.</p>
<p>10. „ინტერნეტს მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით“ დაახლოებით 3 მლრდ ადამიანზე მეტი მოიხმარს. დღეს თითქმის ყველა სხვა დარგებთან ერთად, სამთავრობო და სამხედრო ინფრასტრუქტურაც ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერული სისტემებით იმართება. ვირტუალურ სამყაროში გადმონაცვლა სოციალური არსებობის ბნელმა მხარემაც. გაეროს საერთაშორისო სატელეკომიკაციო კავშირის მიერ ჩატარებული კვლების თანახმად, 2014 წელს ინტერნეტით სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 49%. 2014 წლიდან საქართველომ კიბერდანაშაულის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის წარმოება დაიწყო. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, კიბერდანაშაულის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს წერაკითხვის ცოდნის თითქმის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს. მხედველობაში თუ მივიღებთ ინტერნეტჩართულობის დომეს ქვეყანაში, რაც მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენს და ინტერნეტტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ზრდის ტენდენციებს, სავსებით სავარაუდოა, რომ მომავალში კიბერდანაშაულის მაჩვენებელი გაიზარდოს. 2008 წლის შემდეგ გადადგმული ნაბიჯები და მთავრობის ოფიციალურ პირებთან საუბრები, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კიბერუსაფრთხოება პრიორიტეტული საკითხია საქართველოში.</p>

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის აღივლი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავთანდილ ასათიანი	საქართველოს უსდ კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგიერთი პრობლემა და მათი შესაძლო გადაჭრის გზები (რუსულ ენაზე) ჟურნალი „ფსიქოლინგვისტიკა“	2016 წელი, №12 მიღებულია დასაბუჭდად.	სან-პეტერბურგი, ლეიტენანტ შმიდტის სანაპირო №11/2 რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის გამომცემლობა	9
ანოტაცია					
<p>საქართველოს ეკონომიკასათვის, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, მტკივნეული აღმოჩნდა გეგმიური სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპებიდან კონკურენტული ბაზრის მოდელზე გადასვლა. ეს პროცესი არანაკლებ გართულდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროში.</p> <p>სამწუხაროდ, განათლების რეფორმის უკვე მიღებული შედეგებიდან საიმედო ბევრი არაფერია: მასობრივი უმაღლესი განათლების შედეგად მზადდება ინფორმირებული ფუნქციონერი და არა მცოდნე სპეციალისტი. შესაცვლელია არსებული მიდგომები საგანმანათლებლო პროგრამებისადმი, სწავლების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდებისადმი. ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს საგანთა სწავლების მეთოდთა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს სკოლებში იგნორირებულია. თანამედროვე საზოგადოება დიდი ხანია შეთანხმდა იმაზე, რომ განათლებაც ბიზნესია, თუმცა, თავისი სპეციფიკით გამორჩეული. თანაც იგიც განიცდის იმავე გარემოებების ზემოქმედებას, რასაც ბიზნესი. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ანბანური ჭეშმარიტება არავის ახსოვდა არც 90-იან წლებში, როცა უნივერსიტეტების დაარსების ნამდვილი ბუმი იყო გაჩაღებული და ამ მხრივ თვისებრივად დღემდე არაფერი შეცვლილა. უმაღლესი სასწავლებლები მოწვევტილი არიან შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, ანგარიშს არ უწევენ უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე რეალურ საჭიროებებს, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში უმუშევრობაზე და უმაღლესი სასწავლებლების</p>					

კონკურენტუნარიანობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, თანამედროვე, განვითარებული ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი მისი ინოვაციურობაა, ხოლო ინოვაციური ეკონომიკის განვითარების იმპულსად ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაა მიჩნეული, რაც საგანმათმლებლო და ბიზნესსაქმიანობის ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებით ხდება შესაძლებელი.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ავთანდილ ასათიანი	ილია ჭავჭავაძე ქრისტიანული აღზრდა - განათლების გზებისა და საშუალებების შესახებ	2016 წლის აპრილი, ქ. თბილისი თბილისის სასულიერო აკადემია
2	მანანა სამადაშვილი ეკატერინე გობეჯიშვილი	კონფლიქტის მართვა ბიზნესში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – V” 25-27 ნოემბერი 2016 წელი თბილისი, სტუ
3	კ.ხმალაძე	საინჟინრო მენეჯმენტის სწავლების მეთოდური საკითხები	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქ. ქუთაისი, 19-20 მაისი, 2016 წ.
4	N. Bebiashvili, T. Berdzenishvili, A. Abesadze.	Carry Out Innovative Projects With The Help Of Business Incubators	11th Silk Road International Conference "Innovations in Business, Education and sciences"International Black Sea University 20-21 May, 2016

5	T. Berdzenishvili, N. Bebiashvili, A. Abesadze, K. Iluridze.	Issues of establishing the employment oriented students call center and web portal	11th Silk Road International Conference "Innovations in Business, Education and sciences" International Black Sea University 20-21 May, 2016
6	Г.А. Нацвлишвили, Т.Л. Бердзенишвили, Н.Д. Бебиашвили.	Центробслуживания клиентов в распределительной электросетевой компании (на примере компании «Энерго-про Джорджия» Грузии)	16 мая 2016 г. Южно-Уральский государственный университет (г. Челябинск), online
7	ქ. ქუთათელაძე	საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფ. “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”
8	ქ. ქუთათელაძე	ქ.თბილისში მახათას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსი, როგორც ტურისტული დესტინაცია.	III რეგიონ. სიმპოზიუმი “საკრუიზო ტურიზმი – მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში. ქ.ბათუმი
9	K. Kutateladze, N. Mgebrishvili	New method of determination of wheel pairs and rails damage	The International Scientific Conference on Mechanics 2016
ანოტაციები			
<p>1. რუსეთის საეგზარქოსოს ნაწილად ქცეული ქართული ეკლესია, ძველებურად ვეღარ ასრულებდა თავის სულიერ და ეროვნულ მისიას, ამიტომაც ილია ჭავჭავაძე უპირველეს ამოცანად თვლიდა დედა ეკლესიის უფლებებისა და ავტორიტეტის აღდგენას, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში თუ შეძლებდა ეკლესია და სამღვდელოება ერის და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სულიერი მესაჭის მიიმე ტვირთის ტარებას. ზნეობრივი სრულყოფილებისკენ მოწოდებაა ილიას ყველა მხატვრულ ნაწარმოებშიც. ზოგან მწერალი პერსონაჟის ქმედების უარყოფის ან გაკიცხვის გზით ქრისტიანულ სრულყოფილების გზებისკენ გვიბიძგებს. პიროვნების აღზრდა არა მარტო მშობლებისა და სკოლის ამოცანაა, არამედ მთელი საზოგადოებისაც. ილია ჭავჭავაძეს მართებულად მიაჩნდა მომავალი თაობის სულიერი აღზრდა გამოჩენილი ისტორიული პირებისა და საეკლესიო მოღვაწეების მაგალითზე. იგი სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის თავდადებულ გმირებს მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად კი არ მიიჩნევს, ისინი მწერლის აზრით, როგორც ერის სულიერების ნაწილი, კვლავაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დგანან. ილია ჭავჭავაძის</p>			

<p>მსატერული შემოქმედება დიდი აღმზრდელობითი მუხტის მატარებელია, რაშიც განსაკუთრებული როლი ქრისტიანულ ზნეობას უჭირავს. ეს მისია ერთიორად მძიმე და ამასთანავე საშური იყო ილიას თანამედროვეობაში, როცა სახელმწიფოებრობადაკარგული საქართველო ილიასა და მისი თანამოაზრეების საზოგადებრივი მოღვაწეობითა და შემოქმედებითი საქმიანობით უმკლავდებოდა გამარუსებულ პოლიტიკას.</p>
<p>2. კონფლიქტი წარმოადგენს წინააღმდეგობას დაპირისპირებულ ძალებს შორის, მათი ინტერესების და შეხედულებების შეჯახებას. კონფლიქტიორგანიზაციის არაეფექტური მოღვაწეობის, ან ცუდი მართვის შედეგია, რაც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას კონფლიქტის გადაჭრის სტრუქტურული მეთოდების საშუალებით. კონფლიქტის გადაჭრის პროცესი შეიცავს: სიტუაციის ანალიზს და შეფასებას, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიის შერჩევას, მოქმედებათა გეგმის ჩამოყალიბებას და რეალიზებას. კონფლიქტის წარმატებით დასრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები კონფლიქტის გადაჭრის პროცესზე მოქმედ ფაქტორებს. ამგვარად, კონფლიქტის პროცესის ეფექტურად მართვა განსაზღვრავს კონფლიქტის შედეგს(კონსტრუქციული ან დესტრუქციული), რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის ხელახალი წარმოქმნა, ან მოახდინოს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.</p>
<p>3. ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნები, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება პრინციპულად ახალ მოთხოვნებს აყენებს სამეწარმეო სუბიექტების მიმართ. საწარმოთა საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს პროდუქციის (მომსახურების) კომერციალიზაციის საკითხები საინჟინრო ბიზნესში, უპირველესად, სამეწარმეო საქმიანობა ინოვაციების, მაღალი და უახლესი ტექნოლოგიების სფეროში. ამ პროცესში, მსხვილ საწარმოებთან ერთად ერთგებიან მცირე და საშუალო ფირმები. შედეგად, წარმოიშვა მოთხოვნა იმ სპეციალისტებზე, რომლებსაც უნარი შესწევთ გაერკვნენ საინჟინრო ბიზნესის არსში (მეცნიერებატევად პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში), სისტემური ხედვით გაანალიზონ სამამულო და საზღვარგარეთის ბაზრები, კომპლექსურად გადაწყვიტონ წარმოებისა და ორგანიზაციათა მართვის საკითხები. მოთხოვნადია ახალი ტიპის სპეციალისტები, რომლებიც ერთდროულად უნდა ფლობდნენ ინჟინერის, ეკონომისტისა და მენეჯერის თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აგრეთვე, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის კვალბაზე მათ წინაშე დგას საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლებისა და კომუნიკაციების დამყარების სათანადო დონეზე შესწავლის ამოცანები. საინჟინრო მენეჯმენტის, როგორც მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკის ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტიანობის ზრდის აუცილებლობა მოითხოვს სხვადასხვა ეკონომიკური პროცესების, პირველ რიგში ინოვაციური პროცესების მართვის ფორმებისა და მეთოდების მუდმივად სრულყოფას, რამდენადაც, თანამედროვე ეტაპზე, მხოლოდ მაღალი დონის სიახლეთა დანერგვა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტიას. ამჟამად, ეროვნული ეკონომიკის მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი სუსტი რგოლია ინოვაციების მართვის მექანიზმის არარსებობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციებმა ხელი უნდა შეუწეოს ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას, უზრუნველყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში,</p>

მომხმარებელთა მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის პროდუქციასა და მომსახურებაზე. ინოვაციური მენეჯმენტის დაუფლება წარმოადგენს თანამედროვე ინოვაციური მენეჯერ-პროფესიონალის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას. ამისათვის, მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების, აგრეთვე, სამამულო თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა ინოვაციური საქმიანობის სფეროში. ინოვაციური მენეჯმენტი გვევლინება, როგორც სისტემა, რომელიც მოიცავს: პროგრამულ-მიზნობრივი მართვას, სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა დაგეგმვასა და პროგნოზირებას, წარმოების ორგანიზაციას, მუდმივ სიახლეთა ბაზაზე პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციას. ინოვაციური მენეჯმენტის, როგორც მეცნერების მიზანი და ამოცანებია სტუდენტებს მისცეს საინჟინრო - ინოვაციური სფეროს თანამედროვე პარადიგმებსა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მათ შეძლონ: საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური პროცესების მართვის განხორციელება; სამამულო და უცხოური გამოცდილების განზოგადება; ინოვაციური პროცესების ძირითადი ცნებებისა და საკითხების, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის, მისი მაკრო- და მიკროეკონომიკური, რეგიონული ასპექტების შესწავლა; ინოვაციური პროცესების, როგორც მართვის, საბაზრო ინოვაციების კვლევის ობიექტის განხილვა; ინოვაციური ორგანიზაციების მართვის სისტემის მექანიზმი, ინოვაციურ საწარმოთა შექმნის წესი, ფუნქციონირების, რესტრუქტურისაციისა და რეინჟინერინგის პრინციპების ჩამოყალიბება; მეცნიერებატევადი საწარმოებისა და ორგანიზაციების ტექნოლოგიების რეფორმირების წინადადებების შემუშავება; რეფერირებადი პუბლიკაციების მომზადება არსებული სტანდარტების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაეფუძნოს სპეციალურ სასწავლო კურსებს (სილაბუსებს), რომელთაგან გამოვყოფთ: „ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზრის ჩამოყალიბების და კვლევის მეთოდები,“ „ევროკავშირის ერთიანი ინოვაციური სივრცე“. სტუდენტებს გადაეცემათ ცოდნა ინოვაციური პროცესების ფუნქციების, მეთოდების, ეტაპებისა და მიმართულებების, ბაზარზე ინოვაციური პროცესების წარმართვის თავისებურებების, ინოვაციების მენეჯმენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. ისინი შეიძენენ ორგანიზაციის განვითარების ინოვაციური სტრატეგიის შემუშავების, რეალიზაციის და შეფასების უნარებს. შეეძლება განახორციელონ სხვადასხვა ორგანიზაციის კონკურენტული ინოვაციური ქცევის ტიპების კლასიფიცირება, აგრეთვე, სიახლეთა ბაზარზე გატანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროკავშირის ერთიანი ინოვაციურ სივრცეში თანამშრომლობის შესახებ. საქართველო-ევროკავშირის ერთიანი ბაზრის, მათ შორის საერთო ინოვაციური და ტექნოლოგიური სივრცის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია: ევროპის ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების და ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიებისადმი დაუფლება, „ლისაბონის სტრატეგიისა“ და „ბოლონიის პროცესის“ პრინციპების გათავისება, ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის მექანიზმებისა და ინოვაციური განვითარების ინსტიტუციონალური საფუძვლების შესწავლა და სხვა. შედეგად, კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდებათ კომპეტენცია და უნარები განახორციელონ: საინჟინრო მენეჯმენტის სფეროში აუცილებელი შეფასებებისა და ინფორმაციის დამუშავების შედეგად ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და

<p>შეფასება; ინოვაციურ პროცესებზე დასაბუთებული დასკვნებისა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; საინჟინრო მენეჯმენტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში არსებულ ცოდნასთან შედარებით სიახლეთა არგუმენტირებულად წარმოჩენა; თემატურ პოლემიკაში ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, მეცნიერული მიღწევების ურთიერთგაცვლა; თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ აუდიტორიისათვის გასაგები ენით გადაცემა და მსმენელთა დარწმუნება; სწავლისათვის მუდმივად მზაობა, ცოდნის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ახალი იდეების, ინიციატივებისა და წამოწყებების ათვისება; უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების გენერირება.</p>
<p>4. ინოვაციური პროექტების შემუშავება ბიზნეს ინკუბატორის გამოყენებით. საქართველოში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ახალი ბიზნესის წამოწყებისას 80%-ზე მეტმა რესპოდენტმა ბიზნესი დაიწყო ისე, რომ არგაანდა კონკრეტული გრძელვადიანი სტრატეგია. დამწყებ ბიზნესმენს კარგი იდეების სათანადო რესურსებით რეალიზებისთვის ესაჭიროება ექსპერტების რჩევა და კონსულტაცია. ჩვენი აზრით, ქართულ ბიზნესს ექტორს ყველაზე მეტად ინოვაციურობა აკლია, ინოვაციურობაკი ახალი იდეების გენერირებას მოაქვს. მსოფლიო პრაქტიკაში ბიზნესიდეების გენერირებისათვის ფართოდ იყენებენ ბიზნეს ინკუბატორებს. სამეწარმეო სუბიექტების ბიზნეს-პროცესების და ორგანიზაციული სტრუქტურების მართვის საკითხებში ხელშეწყობისა და თანამონაწილეობის მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა ბიზნეს ინკუბატორი. ჩვენს მიერ შემუშავებულია კომპიუტერული პროგრამა სხვადასხვა ბიზნეს ამოცანების გადაჭრისთვის. მოცემულ ეტაპზე პროგრამა არის ექსპერიმენტალური და ემსახურება ინოვაციური მენეჯმენტის პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტას. ინოვაციური პროექტების განხილვა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ინოვაციურობა, აქტუალობა, შესრულების დრო და შესაძლებლობა, განახლების აუცილებელი ციკლი, ინოვაციის გამოყენების სფერო. ინკუბატორში დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება დამწყები ბიზნესმენებისთვის</p>
<p>5. დასაქმებაზე ორიენტირებული სტუდენტური ქოლცენტრისა და ვებგვერდის შექმნის საკითხები. სტუდენტური ქოლცენტრის შექმნა დაგეგმილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ქოლცენტრის მუშაობა უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტებისმიერ შემუშავებული მართვისადაოპერირების ორიგინალური პროგრამის მეშვეობით. მის ექსპლოატაციას განახორციელებენ თვით სტუდენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდება, როგორც ქოლცენტრის ოპერატორისაგან კითხვა-პასუხის რეჟიმში (რაც დროშია შეზღუდული), ასევე, უფრო ფართოდ, ვებპორტალის მეშვეობით, რაც აბონენტისთვის ძალზედ კომფორტულია. სტუდენტური ქოლცენტრის შექმნის მიზანია აბიტურიენტებსა და სტუდენტებს გაუმარტივოთ წვდომა საინფორმაციო-საძიებო სისტემებთან, დავეხმაროთ მათ სასურველი სპეციალობის არჩევასა და სწავლის პროცესის ეფექტურ წარმართვაში, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტებს გაუწვიოთ კონსულტაცია დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში.</p>
<p>6. კლიენტების მომსახურების ცენტრი ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში „ენერჯო-პროჯორჯიას“ მაგალითზე. სტატიაში განხილულია კომპანია „ენერჯო-პროჯორჯიას“</p>

<p>კლიენტების მომსახურების ცენტრის მართვის გაუმჯობესების საკითხები. ამისთვის აუცილებელია ქოლცენტრისა და კლიენტების მომსახურების ცენტრის ტექნიკური, სტრუქტურული და პროგრამული მოდიფიკაციის განხორციელება. ამავე დროს აუცილებელია კომპანიის ვებ-გვერდზე აბონენტის პირადი კაბინეტის შექმნა. შედეგად, კომპანია „ენერჯო-პრო ჯორჯიაში“, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ანალიტიკური, მმართველი და საკონტროლო საქმიანობა.</p>
<p>7. მოსხენებაში შემოთავაზებულია სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდის მეთოდები მობილური მოწყობილობების საშუალებით, რომლებიც ასევე იძლევიან საშუალებას შემცირდეს დანახარჯები ლოჯისტიკური ხარვეზების აღმოჩენაზე, რასაც მნიშვნელოვნად ზრდის გადაზიდვების ეკონომიკურ ეფექტიანობას.</p>

ბ) უცხოეთში

№	მომსენებელი/ მომსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	K. Kokrashvili K. Kutateladze	Global Processes And Georgian Economic Policy	18th International Conference on Business, Economics, Finance and Management Sciences. ICBEFMS 2016 DUBAI, UAE January, 28-29, 2016
<p>მოსხენებაში ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრაზე. კონფლიქტების საბაზი საერთაშორისო ბაზრებზე ხშირად ხდება ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, რადგან ამ ბაზრის მონაწილეები წარმოებისა და ექსპორტის მოცულობებსა და სტრუქტურას, აგრეთვე, შრომის საერთაშორისო დანაწილების დონეს ერთმანეთს შორის კონკურენციის საფუძველზე განსაზღვრავენ. მოსხენებაში ხაზგასმულია კავკასიის რეგიონში საქართველოს გააქტიურების აუცილებლობაზე, ავტორიტეტის, წამყვანი როლის აღდგენაზე, სამშვიდობო და სხვა მისიების გაძლიერება-გაფართოებაზე, როგორც საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების გასაღებზე.</p>			

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში

საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი №301

დეპარტამენტის უფროსი – პროფესორი მალხაზ ხურციძე

პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი - 4

ასოცირებული პროფესორი - 4

ასისტენტ პროფესორი – 2

მოწვეული პროფესორი – 3

მოწვეული ასოცირებული პროფესორი -2

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნოდარ მათიაშვილი და ავტორთა ჯგუფი	ჰიდროტექნიკური მშენებლობა	ელექტრონული სახელმძღვანელო	656გვ.
2	ირაკლი ერქომაიშვილი	სამარკშიდერო საქმე	სტუ, თბილისი, 2016 წ.	198გვ.

3	ნაუმ ტურაბელიძე, ფატიმა ქვაცაბაია, ნელი ბერიძე	ქალაქიას (აშენებული ტერიტორიების) კადასტრი	თბილისი, 2016 წ.	229გვ.
<p>1. სახელმძღვანელო დაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით. სახელმძღვანელო განკუთვნილია -ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსის - მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე საფეხურის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო მრავალი ადამიანის ურთიერთთანამშრომლობისა და შრომის შედეგია, სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დარგის სპეციალისტები და განათლების მუშაკები.</p> <p>2. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებისათვის, კერძოდ, როგორც მარკშეიდერიის, გეოდეზიის, ისე სხვა სამთო საქმის სპეციალობის სტუდენტებისათვის. წიგნში წარმოდგენილია სამარკშეიდერო საქმის ძირითადი საკითხები, როგორცაა: მარკშეიდერიის საგნისა და მისი განვითარების ისტორიული ცნობები, საყრდენი მარკშეიდერული ქსელები, მიწისქვეშა პოლიგონომეტრია, მიწისქვეშა ნიველობა, ორიენტირების ამოცანები, გვირაბების გაყვანისას (მშენებლობისას) მარკშეიდერული უზრუნველყოფა, შახტის მშენებლობის, სხვადასხვა სახის გვირაბების აგებვა; მარგი წიაღისეულის აზომვის, კარიერების სამარკშეიდერო სამუშაოებით უზრუნველყოფის სხვადასხვა საკითხი და სამარკშეიდერო სამსახურის სტრუქტურა.</p> <p>3. ნაშრომში მწყობრადაა ჩამოყალიბებული ქალაქის კადასტრის წარმოების მეთოდოლოგია, რომელიც ყოველმხრივი და სრულყოფილი ინფორმაციით უზრუნველყოფს განაშენიანების ეფექტურობას და რესურსული პოტენციალის ეკონომიკურად ხარჯვას. სახელმძღვანელო შედგენილია სასწავლო პროგრამის მიხედვით, წარმატებით გამოადგება როგორც სტუდენტებს, ასევე დარგში მომუშავე სპეციალისტებს.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. კაპანაძე, ნ. ბოჭორიშვილი, ი. ერქომაიშვილი, მ. ბასილაძე.	ბაკურიანის ანდეზიტის საბადოს სამთო-ტექნიკური და ეკონომიკური ანალიზი	სამთო ჟურნალი, №2(36),	თბილისი 2016წ.	118–120გვ.

2	გ.აბაშიძე, თ.ჭელიძე, თ.ცაგურია, ნ.დოვგალი, ლ.დავითაშვილი	ენგურის თაღოვანი კაშხლის მარჯვენა ფრთის ქვეშ გამავალ რღვევაზე დაყენებული უკუშვეულებისა და კაშხლის მე-12 სექციაში მუდმივ რეჟიმში მომუშავე დახრისმზომითი სადგურების მონაცემების ერთობლივი ანალიზი.	ენერგია, №2 (78)	თბილისი, 2016 წ.	23-28გვ.
3	გ.მატერაშვილი, ა. აფრიაშვილი, ზ. კუჭუხიძე და სხვ.	თანამედროვე ფეთქებადი ნივთიერებების მუშაუნარიანობის განსაზღვრის მეთოდები	სამთო ჟურნალი, №2(37),	თბილისი, 2016წ.	გვ. 53-58
<p>1. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამთო საწარმოთა თანამედროვე მდგომარეობა და დარგის როლი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. განხილულია ბაკურიანის ციხისჯვარის ანდეზიტის საბადოს სამთო-გეოლოგიური პირობები, საბადოს დამუშავების ტექნოლოგია, კარიერზე მოპოვებული ანდეზიტის გადამუშავების ტექნოლოგია, მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი დახასიათება და მისი გამოყენების სფერო. წინასწარი (საექსპერტო) შეფასების საფუძველზე განსაზღვრულია საწარმოს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ეკონომიკური მაჩვენებლები. გაანგარიშებისას მიღებულია: საჭირო ინვესტიციის მოცულობა - 2000 ათასი აშშ დოლარი, საოპერაციო დანახარჯები - 23 დოლარი/ტონა, გასაყიდი ფასი 120 დოლარი/ტონა, ხოლო საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა V შეადგენს -1.9 მილ აშშ დოლარს, ინვესტიციის უკუგების ვადა არის - 3 წელი.</p> <p>2. განხილულია ენგურჰესის სათავო ნაგებობის მარჯვენა ფრთის ქვეშ გამავალი რღვევის ყოფაქცევა, რომელიც კონტროლდება მუდმივად მომუშავე მაღალი სიზუსტის დახრისმზომების და უკუშვეულების მონაცემებით. ამ შრომაში რღვევაზე უკუშვეულებით მიღებული მასალა შედარებულია კაშხლის მე-12 სექციის 360მ ნიშნულზე უკუშვეულების როგორც უშუალო სიახლოვეს მდგომი დახრისმზომის მონაცემებთან, ისე იმავე სექციის 402მ ნიშნულზე ვერტიკალურად 40მ დაცილებულ დახრისმზომის მონაცემებთან. მასალის ერთობლივი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ რღვევაზე ბლოკების ყოფაქცევა ძირითადად განპირობებულია წყალსაცავში წყლის დონის რეგულირებით.</p>					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამარ პაპახაშვილი	ალგეთის დაცული ტერიტორია რელიგიური და ეკოტურიზმის გადაკვეთაზე	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, "ქრისტიანობა და ეკონომიკა", თბილისი, 2016
<p>1. ნაშრომი ეძღვნება დაცული ტერიტორიების როლს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში. განხილულია საქართველოს ერთ-ერთი ეროვნული პარკის-ალგეთის დაცული ტერიტორიის შემთხვევა. ვიზიტორთათვის იგი უდავოდ უდიდესი კულტურული, სულიერი ზრდისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის კერაა. ლანდშაფტითა და ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ალგეთის დაცული ტერიტორია და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტაძრები სა სხვა კულტურული ძეგლები სხვადასხვა სახეობის ტურიზმის და მათ შორის უფრო მეტად რელიგიური და ეკოტურიზმის განვითარებისთვის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. აღნიშნულია, რომ კარგად დაგეგმილმა ტურებმა, ბუნებასთან სიახლოვისა და სასწავლო, რეკრეაციული, კულტურული ინტერესების გაერთიანების გათვალისწინებით, რომელსაც თან დაერთვება სათანადო აქტიური საინფორმაციო კამპანია, შესაძლებელია ალგეთის ეროვნული პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია უფრო აქტიურ ტურისტულ დესტინაციად აქციოს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას, ისე პარკის შენახვის სახელმწიფო ხარჯების შემცირებას</p>			

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)

1	სამეცნიერო კვლევითი ანგარიში, “მტკვარი ენერჯი“-ს მე-5 და მე-6 შხეფსაცივრების და საკვამლე მილისგეოდეზიური გამოკვლევა”	თეიმურაზ პაპავა;	სულიკო ფირალიშვილი; დავით პაპავა; გიორგი ჭიაურელი; გიორგი ნემსიწვერიძე.	სახელშეკრულებო დაკვეთით შესრულებული
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
2016 წლის შესრულდა გეოდეზიური სამუშაოების ორი ციკლი შ.პ.ს. “მტკვარი ენერჯი“-ს კუთვნილ (თბილსრესი) თბოელექტროსადგურის მე-5 და მე-6 შხეფსაცივრებისა და 270მ სიმაღლის საკვამლე მილის დეფორმაციული პროცესების დასადგენად. ორივე ციკლის ჩატარების შედეგად მიღებული გეოდეზიური განაზომთა მასალის მათემატიკური დამუშავების საფუძველზე დაიწერა სამეცნიერო-კვლევითი ანგარიში შესაბამისი გრაფიკული მასალითა და დასკვნებით.				

ბაზოვნებითი გეოლოგიის დეპარტამენტი №302

დეპარტამენტის უფროსი – პროფესორი ნოდარ ფოფორაძე

პერსონალური შემადგენლობა:

- 6 სრული პროფესორი,
- 16 ასოცირებული პროფესორი,
- 2 ასისტენტ-პროფესორი,
- 5 მოწვეული პროფესორი

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მათემატიკური ეკოლოგიის მეთოდების გამოყენება მდინარეული წყლების ტოქსიკური მეტალებით გაჭუჭყიანების პრობლემების გადაწყვეტისათვის (მდ. მტკვრის მაგალითზე)	დ. აბზიანიძე	გ. აბზიანიძე ნ. ინანაშვილი
<p>1. მათემატიკური ეკოლოგიის გამოყენება ეკოლოგიური პროცესების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიცილოთ შრომატევადი და ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარება. მათემატიკური მოდელების რეზულტატები გადაიტანება რეალობაზე. მათემატიკური ეკოლოგიის და გეოინფორმაციული სისტემების თანამედროვე მეთოდებით დამუშავება წყლის ხარისხის ანალიტიკური კონტროლის და პროგნოზირების პრიციპები, დიფერენციალური განტოლების სისტემების მეშვეობით საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ წყლის დაბინძურება მდინარის ნებისმიერ წერტილში.</p>			

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე
სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---	----------------------------	-----------------------	------------------------

1	ყაზბეგ-ომალოს ზონის თიხაფიქლების ბუნებრივი აირის პოტენციალის ათვისების გეოლოგიური, გარემოსდაცვითი და ენერგოეკონომიკური ასპექტების გამოკვლევა (AR30/9-150/B). გეოლოგია 9-150 ენერგეტიკა 3-170	სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ნოდარ ფოფორაძე	ირაკლი შეყრილაძე სულხან გველესიანი ევტიხი მაჭავარიანი თეიმურაზ ბარაბაძე შალვა გეგია თეიმურაზ იაშვილი ია ახვლედიანი
2	საქართველოს ბუნებრივი ქვები (III ტომი)	შ. რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდი	ვ. გელეიშვილი	ო. მაჭავარიანი დ. არევაძე
<p>1. გეოლოგიურ ფონდებში მოძიებულია გეოლოგიური მასალები და რუკები. ინტერნეტიდან მოძიებული და ამობეჭდილია სტატიები და მონოგრაფიები. სავსე სამუშაოების დროს უშუალოდ გეოლოგიურ გაშიშვლებებზე ადებულია თიხაფიქლების ნიმუშები, განსაზღვრულია მათი წოდის ელემენტები. შექმნილია თიხაფიქლების გამტარებლობის სტენდი და დამუშავებულია მეთოდიკა.</p> <p>2. 2015 წლის აპრილში მთავრდება გრანტით გათვალისწინებული სამუშაოები, შეიქმნება “საქართველოს ბუნებრივი ქვების” III ტომი. მომზადებულია “საქართველოს ბუნებრივი ქვების” საინვესტიციო პაკეტის (300-მდე ობიექტი) ელ.ვერსია ინტერნეტში განსათავსებლად. მთავრდება სამუშაოები აღნიშნული ობიექტების (საბადოების და მადანგამოვლინებების) მახასიათებელი ქვიური სადემონსტრაციო მასალის მოძრავი გამოფენის მოსაწყობად (დაახლოებით 1200 ნიმუში).</p>				

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დ. აბზიანიძე რ. მანაგაძე ნ. ფოფორაძე ვ. ტაბატაძე	მათემატიკური ეკოლოგიის გამოყენება გარემოს დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად	“ტექნიკური უნივერსიტეტი”	81 გვ.
2	ნ. ფოფორაძე,	“საქართველოს	თბილისი	

	ბ. გაჩეჩილაძე, ო. სესკურია	არქეოლოგიური მონაპოვრის მინერალური შედგენილობა”	“ტექნიკური უნივერსიტეტი”	75 გვ.
3	ბ. ფოფორაძე, ბ. კალანდაძე, ო. სესკურია, ფ. შტრობერე	ანანურის №3 დიდი ყორღანი (სტატია მონოგრაფიაში) “ანანურის №3 დიდ ყორღან- ში აღმოჩენილი ეტლის ბორბლის ე.წ. ჩამკეტის (დისკოს და ღეროს) კვლევა”	თბილისი საქართველოს ეროვნული მუზეუმი	14 გვ.
4	ბ. ფოფორაძე, თ. კინწურაშვილი, ო. სესკურია	ანანურის №3 დიდი ყორღანი (სტატია მონოგრაფიაში) “ანანურის №3 დიდ ყორღან- ში აღმოჩენილი კერამიკული მასალის ტექნიკური კვლევა”	თბილისი საქართველოს ეროვნული მუზეუმი	27 გვ.
5	I. Shatilova, E. Kvavadze, I. Kokolashvili	Atlas of spores from the cenozoic deposists of Georgia	Georgian National Museum	158გვ.
6	I. Shatilova, L. Rukhadze, I. Kokolashvili	Representatives of the family Hamamelidaceae in neogene of Georgia	Georgian National Museum	80გვ.

1. მონოგრაფია არ არის მათემატიკური ეკოლოგიის სისტემური სახელმძღვანელო, თუმცა მისი მიზანია წარმოადგინოს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული მათემატიკური მეთოდები გარემოს დაცვის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას. მასალების ფართო სპექტრი და მაგალითების მრავალფეროვნება ნაშრომს სასარგებლოს ხდის დარგის მკვლევარების, აგრეთვე ეკონომიკისა და სხვა დარგის სპეციალისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გარემოს დაცვის საკითხებით.
2. მინერალების სამყარო მრავალფეროვანი და განსაცვიფრებელია. ფიზიკური თვისებებისა და საოცარი სილამაზის გამო ადამიანმა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზე დაიწყო მათი ინტენსიური მოპოვება და გამოყენება. ამას მოწმობს არქეოლოგიური მონაპოვრის დიდი მრავალფეროვნება, რომელთა შორის გვხვდება ბუნებრივი მინერალებით შემკული პრიმიტიული ნივთები თუ ხელოვნების განსაცვიფრებელი ნიმუშები, რომლებიც ადამიანის გონებრივი და სულიერი განვითარების შესაძლებლობებზე მიუთითებს და, ხშირ შემთხვევაში, არა მარტო ეროვნულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრესა და სიამაყეს წარმოადგენს. საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვარიც ასევე მდიდარია თვითნაბადი მინერალებითა და მონომინერალებით შემკული ნაკეთობებით. ჩვენი მოკრძალებული სურვილი იყო შეგვესწავლა ამ ნაკეთობების მცირე ნაწილი მინერალოგიური თვალსაზრისით და ჩვენი კვლევების შედეგი წარმოვადგინეთ წინამდებარე მონოგრაფიაში. იმედს ვიტოვებთ, წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია საინტერესო იქნება არა მარტო სპეციალისტებისთვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც და ჩვენი კვლევები მომავალშიც გაგრძელდება.

3. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2012 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე შესწავლა ანანაურის №3 დიდი ყორღანული სამარხი. მოპოვებული მასალის ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით, ყორღანული სამარხი მიეკუთვნება ე.წ. „ბედენის“ არქეოლოგიურ კულტურას.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილია როგორც კარგად დაცული ორგანული წარმომავლობის ნივთიერი მასალა ასევე არაორგანული წარმოშობის არტეფაქტები. აღნიშნულ სამარხში მიკვლეული და ჩვენ მიერ შესწავლილია მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნივთი - უძველესი დასაკრძალავი ეტლის თვლების ღერძის დასამაგრებლად გამოყენებული ე.წ. „ღერო“ და „დისკო“. ღეროსა და დისკოს ნიმუშების ვიზუალური აღწერითა და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით კვლევისას ჩატარებული ოპტიკური მიკროსკოპიის, რენტგენოფლუორესცენტული, რენტგენოსტრუქტურული და ქიმიური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული ეტლის ნაწილების დასამზადებლად ბუნებრივი მინერალები – ქალკოზინი და კოველინია გამოყენებული, რომლებიც პირველად სულფიდურ მინერალ ქალკოპირიტში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი ბუნებრივი პროცესის დაშლის პროდუქტებს წარმოადგენს. მათ, თავის მხრივ, განამარხების პერიოდში განცდილი აქვს შემდგომი ზედნადები ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, რაც გამოხატულია რკინის ჰიდროქსიდებისა და სპილენძის კარბონატების გაჩენით. თუმცა თავად არქეოლოგები ღეროსა და დისკოს საწყის მასალად სპილენძს ან სპილენძის შენადნობს მიიჩნევენ, რომელიც მრავალსაუკუნოვანი კოროზიის შედეგად ქალკოზინსა და კოველინშია გადასული.

4. ანანაურის №3 დიდი ყორღანული სამარხი, მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიეკუთვნება ე. წ. ბედენის არქეოლოგიურ კულტურას, რომელიც ადრე ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანების მეორე ნახევრით. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, ყრილის ქვეშ დაფიქსირებულია ორმო, რომელშიც ჩადგმული იყო ხის ნაგებობა – დასაკრძალავი კამერა. კამერის ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კერამიკის ნატეხებით იყო დაფარული, ოცამდე თიხის ჭურჭელი, ძირითადად, დერგებით იყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ, კერამიკა ძლიერ დაზიანებულია და შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. შესწავლილი ნიმუშები ვიზუალურად განსხვავებული შეფერილობისაა, ზოგიერთ მათგანზე ჩანს გამოწვის მუქი ფენები (შრეები). გამოწვის თვალსაზრისით, კერამიკული მასალა არის როგორც თანაბრად გამომწვარი, ასევე ორშრიანი, რომელიც, სავარაუდოდ, ბოლომდე არ არის გამომწვარი. ჭურჭელი იდენტური მასალითაა დამზადებული. შლიფებში ძირითადი მასა თითქმის მთლიანად ამორფული და თიხოვანია (მონტმორილონიტი), ხოლო შემავსებლის მინერალებია: კვარცი, პლაგიოკლაზი, ქარსი და რქატყუარა.

5. საქართველოს კაინოზოური სპორების ატლასი დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში ინახება ნამარხი სპორების მდიდარი მასალა, რომლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ გვიმრების ისტორია კაინოზოურის

განმავლობაში. მასალა შეგროვებული სარმატულის წინა პერიოდის ნალექებიდან ასახავს გვიმრების ისტორიას, რომელთა არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა. კავკასიის გეოლოგიურ ისტორიაში სარმატული გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა, რის შემდეგაც ამიერკავკასიის დეპრესია გადაიქცა ხმელეთად ორი მსხვილი რეგიონით. ზღვიური პირობები შენარჩუნდა მხოლოდ დასავლეთში. აქ წარმოიშვა რიონის ყურე, სადაც გაგრძელდა ზღვიური ნალექების აკუმულაცია. აქედან ცხადია, რომ საქართველოს მცენარეულობის ისტორიის აღდგენა კაინოზოურის მეორე ნახევრის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ სარმატულის შემდგომი დროის ნალექებში ნაპოვნი ნამარხი მასალის საფუძველზე. ხმელეთი, რომელიც ესაზღვრებოდა რიონის ყურეს, გადაიქცა იზოლირებულ რეგიონად, რომლის თბილი და ნესტიანი ჰავა ხელს უწყობდა მდიდარი ფლორის განვითარებას. ამ დროიდან იწყება კოლხეთის რაფუგიუმის ისტორია, სადაც ძველი ფლორების გადაშენების პროცესი შენელებული იყო და გაგრძელდა პლეისტოცენურის ბოლომდე. მონაცემები დასავლეთ საქართველოს კაინოზოური გვიმრების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასახავს აღმოსავლეთ პარატეთის სხვა ტერიტორიებზე სარმატულამდე გადაშენებული რელიქტების არსებობის ყველაზე გვიანდელ ეტაპს.

6. ოჯახ Hamamelidaceae-ს განვითარების ისტორია საქართველოს ტერიტორიაზე - ოჯახი Hamamelidaceae საქართველოს კაინოზოურ ფლორაში წარმოდგენილია 31 სახეობით, რომლებიც 16 გვარს და 3 ქვეოჯახს მიეკუთვნება. მათგან 23 ტაქსონი განსაზღვრულია პალინოლოგიური მეთოდით, 7 - კი - მცენარეთა მსხვილი ნაშთების მიხედვით. საქართველოს ტერიტორიაზე ოჯახ Hamamelidaceae -ს განვითარების ისტორიაში გამოიყოფა სამი ეტაპი. პირველი მოიცავს ეოცენურ, ოლიგოცენურ, ქვედა და შუა მიოცენურ ეპოქებს, როდესაც არსებობდა მხოლოდ 4 გვარი (*Hamamelis*, *Corylopsis*, *Sycopsis*, *Liquidambar*). მეორე ეტაპი შეესაბამება სარმატულ და მეოტურ საუკუნეებს. ეს იყო ოჯახ Hamamelidaceae-ს აყვავების ხანა, როდესაც მის წარმომადგენლებს მნოშენელოვანი ადგილი ეკავათ მცენარეულ თანასახოგადოებებში. ოჯახის არეალი ძირითადად იყო შემოფარგლული დაბლობებით და ქვედა ტყის სარტყელით. მიუხედავად იმისა რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პონტურში ქვედა სარტყელში სუბტროპიკული ფორმაცია აგრძელებდა თავის არსებობას, Hamamelidaceae-ს სისტემატიკური შემადგენლობა იყო შემცირებული. ამ დროიდან იწყება ოჯახის განვითარების მესამე ეტაპი, რომელიც გრძელდება ქვედა კარამგატამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე ოჯახ Hamamelidaceae-ს განვითარების ეტაპები ჩვენ შევადარეთ ეტაპებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპის და არა-ტროპიკული აზიის ტერიტორიაზე. გაირჩევა რომ, ამ ეტაპების ცალკეული ფაზები არასინქრონულია და შეესაბამება სხვადასხვა დროის მონაკვეთებს. ევროპაში და აზიაში ოჯახის განვითარება იყო დაკავშირებული ტურგაის ფლორის ისტორიასთან. საქართველოში ეს პროცესი მიმდინარეობდა სუბტროპიკული ფორმაციის ევოლუციის ფონზე. კოლხეთის იზოლირებული მდებარეობის გამო აქ ეს ფორმაცია შენარჩუნდა უფრო დიდ ხანს, ვიდრე ევრაზიის სხვა რეგიონებში და გადაშენდა კიმერიულის და კუიალნიკის საზღვარზე, დუაბის ოპტიუმის შემდეგ. მიუხედავად ამისა ამ ფორმაციის ბევრი სუბტროპიკული

კამპონენტი აგრძელებს თავის არსებობას პლესტოცენურის ფოთოლმცვენი, პოლიდომი-ნანტური ტყეების შემადგენლობაში. ამ რელიქტებთან ერთად იყო ოჯახ Hamamelidaceae -ს ცალკეული გვარებიც.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ს. გველესიანი ნ. ფოფორაძე ს. გაჩეჩილაძე ო. სესკურია	იუველირი	თბილისი, ელექტრონული სახელმძღვანელო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	109
2	ნ. ქაჯაია	მყარი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში და საბადოების სამრეწველო-ეკონომიკური შეფასება	თბილისი გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	129
3	მ. ლაპიაშვილი	ზოგადი საინჟინრო გეოლოგია	თბილისი გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”	279

1. საიუველირო საქმე კაცობრიობის ერთგვარი ისტორიაა. კეთილშობილ ლითონთა მხატვრული დამუშავების ძველთაძველი ტრადიციები, საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხელოსანთა მიერ შექმნილი ძეგლები ის მდიდარი მემკვიდრეობაა, რომელიც საქართველოში მის სინამდვილეში მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოდის. სწორედ ამ ბაზაზე შეიქმნა, აღორძინდა და ახლაც ვითარდება თანამედროვე ქართული ოქრომჭედლობა. საიუველირო ნაწარმის წარმოება უძველესი ცივილიზაციის შექმნიდანვე მომდინარეობს. ძვ.წ. III ათასწლეულში ძველ ეგვიპტესა და შუმერში შეიქმნა საიუველირო ხელოვნების შედევრები; საიუველირო საქმეს სტუდენტებიც უნდა ეზიარონ, რათა ეს საქმე განვითარდეს და შეიქმნას თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები.

2. სახელმძღვანელოში განხილულია მინერალური ნედლეულის ეკონომიკური მნიშვნელობის შესაფასებლად აუცილებელი მონაცემები ბუნება და სახეობები. დახასიათებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, როგორც საბადოს სამრეწველო-ეკონომიკური ფასეულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი, მისი რაოდენობის გამოთვლის მეთოდიკისა და თანმიმდევრობის თავისებურებანი;
3. სახელმძღვანელოში განხილულია ფართო სპექტრი საკითხებისა, რომლებიც განაპირობებს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების აუცილებელ ფაქტორებს. მოცემულია ზოგადი ცნობები დედამიწის, ლითოსფეროს ამგები ქანების ტიპებისა და მათი შემადგენელი ქანმაშენი მინერალების ძირითადი მახასიათებლების შესახებ. ნაშრომში განხილულია დედამიწის შინაგანი (ენდოგენური) და გარეგანი (ეგზოგენური) მოვლენები. მოცემულია კონკრეტულ ნაგებობებთან დაკავშირებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ამოცანები, მათი ეტაპები და სახეები. სახელმძღვანელო შინაარსობრივად და სტრუქტურულად აგებულია სასწავლო დისციპლინის სილაბუსის მიხედვით და განკუთვნილია სხვადასხვა პროფილის სამშენებლო, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური მიმართულების მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის და სპეციალისტთა იმ წრისათვის, რომლებიც შეისწავლიან ქანებსა და იმ საინჟინრო-გეოლოგიურ მოვლენებს, რაც მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობასთან.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. გეგია	მექვენი ბარიტიანი ველის გეოლოგია და მადნების ფორმირების სტრუქტურული პირობები	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი" №31	თბილისი 2016	4
2	შ. გეგია	ოკრიბის მადნიანი კვანძის ბაიოსური ნალექების შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი" №31		4

3	შ. ჯანაშვილი, ქ. ბენაშვილი, დ. ბლუაშვილი	ახალი მონაცემები უთვირის ოქროს მადანგამოვლინების შესახებ (ზემო სვანეთი)	სამთო ჟურნალი, №2(37), 2016	თბილისი 2016	
4	მიკაძე X., მენაბდე A.A., კელექტრიშვილი შ.გ., იკოშვილი H.დ.	Расчленение турон- кампанских отложений Закавказской межгорной области Одиши по макрофауне и фораминифер	Материалы LXII сессии Палеонтологич е-ского общества	Санкт-Петербург, Издательство ВСЕГЕИ	3
5	კელექტრიშვილი შ.გ., მიკაძე X.	Стратиграфия верхнего мела пе-риферии Дзируль-ского кристал- лического массива (Западная Грузия).	Материалы восьмого Всероссийс- кого совещания Республика Крым	Издательский дом «ЧерноморПРЕСС»	2
6	რ. მანაგაძე დ. აბზიანიძე ვ. აბზიანიძე	“დინამიკური პროგრამირების მოდელის გამოყენება ეკოლოგიური სისტემების უსაფრთხოების პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად”; საქართველოს ნავთობი და გაზი	№31	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4 (ოთხი)
7	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია, პ. ივანიშვილი	“ტალავერის (ფახრლოს) ტუფის საბადო და მისი დამუშავების ტექნოლოგია”, “სამთო ჟურნალი”	№ 1 (36)	სტუ, თბილისი	4
8	ნ. ფოფორაძე, ო. სესკურია, ნ. ინანაშვილი	“ალპური ტიპის კვარცის ძარღვები”, ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი”	№3	თბილისი, სტუ	3
9	ნ. ფოფორაძე, თ. კინწურაშვილი,	“ანანაურის №3 დიდი ყორღანში აღმოჩენილი კერამიკული მასალის პეტროგრაფიული და	№32	თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა	10

	ს. გველესიანი	რენტგენოფაზური კვლევა”, ჟურნალი “ინტელექტუალი”		საზოგადოებრივი აკადემია	
10	გ. ტაბატაძე, გ. ლობჯანიძე, გ. ტატიშვილი, თ. ლიპარტია	მინერალური რესურსების და მარაგების კლასიფიკაცია	ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, № 2,(37) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	7
11	გ. ლობჯანიძე, გ. ხეცურიანი, დ. ლაბაძე	მცირე ბიზნესის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს სამთო მრეწველობაში	ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, № 31, 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	15
12	გ. ლობჯანიძე, ქ. მდინარაძე	საქართველოს ევროპული ინტეგრაციის აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები	სტუ, შრომების კრებული, №4, 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	12
13	გ. ლობჯანიძე, გ. ხეცურიანი, თ. ბუტულაშვილი, დ. ლაბაძე	სამთო საწარმოთა საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების აქტუალური ასპექტები	ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, №2, (37) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	11
14	გ. ლობჯანიძე, დ. ლაბაძე	ბიზნეს-სტრუქტურები საქართველოს სამთო მრეწველობაში	ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, №2, (37) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	11
15	გ. ტაბატაძე, გ. ტატიშვილი	უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის ამადლების გზები საქართველოს ნავთობგაზომპოვებელ მრეწველობაში	ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, №1,(36) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	5
16	გ. ტაბატაძე, ნ. ხუნდაძე, გ. ტატიშვილი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში	ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, №1,(36) 2016	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	5

17	დ. როგავა დ. სირბილაძე	დეპრესიების საინჟინრო-გეოლო- გიური შეფასება, საქართველოს ტექნი- კური უნივერსიტეტის შრომათა კრებული	№3 (501)	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	
18	უ. ზვიდაძე, თ. ძაძაძია, მ. მარდაშოვა	ლითონის მილებზე გრუნტის წყლების აგრესიული ზემოქმედების შესწავლა დილმის ვე- ლის სარეაბილიტი- ზაციო მილსადენის მაგალითზე	წარდგენილია სტუ-ს შრომათა კრებულში	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	7
19	მ. ლაპიაშვილი, ზ. კაკულია, ხ. ავალიანი	გრუნტის ფიზიკური თვისებების შესწავლა თბილისში, დილმის ველზე, სასმელი წყლის მილსადენის განთავსების ტრანშეაში	წარდგენილია სტუ-ს შრომათა კრებულში	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	7
20	ზ. კაკულია, ბ. მხეიძე, ა. სონღულაშვილი, ი. ნანაძე, მ. კობაძე, ლ. ღლონტი	"აჭარის ხეობის მინერალური და თერმული წყლების რესურსების გაზრდისა და ათვისების პერსპექტივები". ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები"	№1 (721)	თბილისი 2016	7
21	ლ. გორგიძე, თ. გორგიძე, ნ. გაჩეჩილაძე	"დარიალი ჰესის სადერევაციო გვირაბის კლდოვანი მასივის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და მათი კლასიფიკაცია RMR-ის მიხედვით", სამთო ჟურნალი	2(37)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6

22	ლ. გორგიძე, თ. გორგიძე, ნ. გაჩეჩილაძე	”თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მონაკვეთზე მეწყრული უბნების საინჟინრო- გეოლოგიური პირობები”, სამთო ჟურნალი	2(37)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
23	ლ. გორგიძე, ნ. გაჩეჩილაძე, დ. სირბილაძე, თ. გორგიძე	”გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყე- ნების გზები, ჰიდრო- ელექტროსადგურების მშენებლობისთვის (ლახამიჰესი-1 და ჰესი-2-ის მაგალითზე)”, სამთო ჟურნალი	გადაცემულია გამოსაცემად	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	-
24	ბ. ზაუტაშვილი ნ. ზაუტაშვილი ი. ლომინაძე ზ. ჭყონია	კავკასიონის მთავარი ქედის ჯვრის ულელტეხილის მღეთა- კობის უბანზე დაგეგმილი საავტომობილო გვირაბის ჰიდროგეოლოგიური პირობები და შესაძლო წყალმოდინების პროგნოზი	სამთო ჟურნალი №1 (36), 2016 წ.	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	6
25	ნ. ქიტიაშვილი	“ჰიდროგეოლოგიის დარგის განვითარების ანალიზი საქართველოში”	სამთო ჟურნალი №1 (36), 2016 წ.	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	2
26	მ. შარიქაძე; ი. თავდუშაძე; რ. პაატაშვილი; ზ. სურამელაშვილი	გეოლოგიური და სარეწაო-გეოფიზიკური მონაცემების ინტერპრეტაციის ზოგიერთი საკითხი ჭაბურღილების ბურღვის პროცესში	№1(36)	სამთო ჟურნალი	გვ. 14- 19, 2016

27	მ. შარიქაძე; ი. თავდუმაძე; რ. პაატაშვილი; თ. ტურიაშვილი	კუმისის №1 ჭაბურღილის გეოლოგიური ჭრილის ლითოსტრატოგრაფიუ ლი დანაწილება და კორელაცია	№1(36)	სამთო ჟურნალი	გვ. 19- 23, 2016
<ol style="list-style-type: none"> 1. განხილულია მექვენის მადნიული ველის გეოლოგიური აგებულების თავისებურებები. მოცემულია სტრატოგრაფიისა და სტრუქტურების აღწერა. ნაჩვენებია რვევითა გასწვრივ გადაადგილების გამომწვევი ფაქტორები. დადგენილია ბარიტის ძარღვის კავშირი ნაპრაღთა გარკვეულ ტიპებთან, რაც ძებნა-ძიებითი სამუშაოების სწრი დაპროექტების საშუალებას იძლევა 2. მოცემულია ოკრიბის მადნიული ველის აგებულებაში მონაწილე ბაიოსური ნალექების ლითოლოგიურ-ფაციალური აღწერა, ლითოლოგიური ნიშნები და აეროფოტოგრაფირების შედეგები 3. სტატიაში განხილულია კირარის ინტრუზივის და ლუხრის წყების კონტაქტის ზონა. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა რომ კირარის ინტრუზივის და ლუხრის წყების კონტაქტის გასწვრივ ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი გამადნება და აუცილებელია შემდგომი სამუშაოების ჩატარება ინტრუზივის კონკრეტული ნაწილის შესასწავლად. 4. ოდიში-ოკრიბას ფაციალური ტიპი ტექტონიკური დარაიონების მიხედვით მოიცავს დასავლეთ დაძირვის მოლასურ ზონასა და ცენტრალური აღზევების ზონას. გვიან-ცარცული პერიოდის ტურონიდან სანტონურის ჩათვლით დიაპაზონი გამოირჩევა ვულკანური პროცესების გააქტიურებით, რომელმაც გამოიწვია კარბონატული ნალექების მნიშვნელოვანი ცვლილებები. სწორედ ამ ცვლილებების გამო წლების განმავლობაში შეუქმნებელი იყო დეტალური სტრატოგრაფიული სქემის და ბიოსტრატოგრაფიული ზონალური ერთეულების გამოყოფა. სწორედ პლანქტონური ფორამინიფერების, ბელემნიტებისა და ლითოლოგიის დეტალური შესწავლის საფუძველზე პირველად შესაძლებელი გახდა ამ პრობლემის გადაწყვეტა. 5. ძირულის კრისტალური მასივის ჩრდილო პერიფერიებზე გამოდის ზედაცარცული ნალექები. მდ. ძვერიდან მდ. ჭიხურამდე ზედაცარცული ნალექები თითქმის სრული ჭრილებითაა წარმოდგენილი, რომელის საშუალებითაც დეტალურად იქნა შესწავლილი ზედაცარცული ნალექების სტრატოგრაფია ძორითადად ბელემნიტების საფუძველზე. 6. პრაქტიკაში, საპასუხისმგებლო შემთხვევაში, მმართველი პირისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ არასრული (ნაწილობრივი) ინფორმაცია ეკოლოგიური ინფორმაციის შესახებ, რაც სერიოზულ წინააღმდეგობებს ქმნის გამოკვლევის დრო. შემოთავაზებული ნაშრომი ეძღვნება შესაბამისი სიტუაციების შესწავლას. ანალიზისათვის გამოიყენება დინამიკური დაპროგრამების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გადაილახოს არა მარტო საჭირო ინფორმაციის უკმარისობა, არამედ უზრუნველყოფილ იქნეს ეკოლოგიური სისტემის ეფექტური ფუნქციონირება. 7. ნაშრომში განხილულია ტალავერის (ფახრალის) ტუფის საბადოს პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური კვლევის მონაცემები; დახასიათებულია ერთგვაროვანი, დეკო- 					

რატიული და მომწვანო ტუფები და მათი სახესხვაობები: ნაქშებიანი, ლაქებრივი, ზოლებრივი და ერთგვაროვანი, ტუფობრეჭიები და ლიპარიტის მცირე სიმძლავრის დაიკები; მოცემულია ინფორმაცია ტუფის კარიერისა და საბოლოო პროდუქტის დამუშავების მეთოდებისა და გამოსავლიანობის შესახებ.

8. წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის სხვადასხვა სიმძლავრისა და სიგრძის, გამკვეთი კვარცის ჰიდროთერმული ძარღვები. ისინი სხვადასხვა მიმართულებით კვეთს შემცველ ქანებს, იკვეთება ერთმანეთით და ხშირად, რძისებრ თეთრი მონომინერალური კვარცის აგრეგატებითაა წარმოდგენილი. კვარცის ძარღვები გენეტურად ალპური ტიპის ძარღვებს მიეკუთვნება. ძარღვების აგებულება ისევე, როგორც ქიმიური და მინერალური შედგენილობა, უმთავრესად, ერთგვაროვანია. ისინი, ძირითადად, დაბალტემპერატურულ პირობებში წარმოიქმნება და დაკავშირებულია დაბალტემპერატურულ რეგიონულ მეტამორფიზმთან. ჰიდროთერმები, თავის მხრივ, ზემოქმედებს ტერიგენული ფორმაციის ქანებზე, თუმცა მეტამორფიზმის დაბალი ტემპერატურის, მცირე შეღწევადობისა და სუსტი გეოქიმიური აქტივობის გამო, ზემოქმედება დაბალია. ამიტომ ალპური ტიპის ჰიდროთერმული კვარცის ძარღვები, გამაღნების თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, სტერილურია. კვარცის აგრეგატების უმეტესობა სხვადასხვა ფორმისა და ზომის გაზურ-თხევად ჩანართებს შეიცავს, რომლებიც კვარც-ძარღვული წარმონაქმნების მახასიათებლებია და განსაზღვრავს მეტამორფიზმის წარმოშობის პირობებს.
9. ჩვენ მიერ წარმოდგენილ სტატიაში აღწერილია “ანანაურის №3 დიდ ყორღანულ სამარხში” აღმოჩენილი კერამიკული მასალის პოლარიზაციული მიკროსკოპითა და რენტგენოფაზური ანალიზით კვლევის შედეგები. მინერალოგიური, პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური კვლევებით დადგინდა ამ მასალის მინერალური შედგენილობა, ცალკეული ფაზების ზუსტი რაოდენობა და ნედლეულის რაობა. ჭურჭლის ნატეხების მაკროსკოპული და მიკროსკოპული კვლევების შედეგად ჩანს, რომ მათში მექანიკური და ძირითადი მასის პროცენტული შემცველობა განსხვავებულია. მათი ძირითადი მინერალებია: კვარცი, პლაგიოკლაზი, კალიუმის მინდვრის შპატი, იშვიათია პიროქსენი, რქატყუარა.
10. ნაშრომში განხილულია მინერალური რესურსების და მარაგების გეოლოგიური და ეკონომიკური არსი. ხაზგასმულია, რომ დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში სასარგებლო წიაღისეული იყოფა მინერალურ რესურსებად, რომელთაც აქვთ პოტენციური ღირებულება და არსებობს გონივრული პერსპექტივები მათ ამოსადებად და მარაგებად, რომელთაც აქვთ რეალური ღირებულება და მათი მოპოვება გამართლებულია ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამართლებრივი, მარკეტინგული და სოციალური თვალსაზრისით. გაანალიზებულია როგორც საქართველოს მყარი მინერალების, ასევე ნავთობისა და გაზის რესურსების და მარაგების თანამედროვე საერთაშორისო კლასიფიკაციები, რომელიც აუცილებელია მოქმედი და პოტენციური ინვესტირებისათვის შესაბამისი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად. საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა რაციონალური ათვისებისათვის საჭირო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ზოგადად, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისათვის საჭირო და აუცილებელია ქვეყნის მინერალური

რესურსების ეკონომიკური ვარგისიანობის კვლევა. ამისათვის კი აუცილებელია მათი თანამედროვე საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც წარმოებს ამ რესურსების განსაზღვრულობისა და ეკონომიკური ღირებულების საფუძველზე. როგორც ცნობილია, გამოყოფენ სასარგებლო წიაღისეულის რესურსებს, რომელთაც აქვთ პოტენციური ღირებულება და არსებობს გონივრული პერსპექტივები მათი საბოლოო ეკონომიკური ამოღებისათვის და მარაგებს, რომლებსაც გააჩნიათ რეალური ღირებულება და გამართლებულია მათი მოპოვება ეკონომიკურად, ტექნოლოგიურად, სამართლებრივად და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. განხილულია ეს კლასიფიკაციები როგორც მყარი მინერალური რესურსების, ასევე, ნავთობისა და გაზის რესურსების მარაგებთან დაკავშირებით.

11. გაანალიზებულია მცირე ბიზნესის აქტუალობა, როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით; განხილულია მცირე ბიზნესის მასშტაბები, საქართველოში მცირე სამთო საწარმოთა ეკონომიკური მდგომარეობა არსებული პრობლემების და განვითარების შესაძლებლობების ფონზე. ამასთან, გაანალიზებულია მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის უცხოეთის გამოცდილების აუცილებლობა და მნიშვნელობა და, განსაზღვრულია საკვლევ დარგში ამ მიმართულებით მცირე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. ბიზნესის მიმართულებები იცვლება დროის და დასახული მიზნის მიხედვით. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც გლობალური ისე ლოკალური მასშტაბი. ბიზნესის ძირითადი მიმართულებებია: მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში და დიდია მათი როლი ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. როგორც ცნობილია, მცირე მასშტაბის ადგილობრივი რესურსების პირობებში მსხვილი საწარმოების შექმნა ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, რადგან სხვა რაიონებიდან გადმოტანა ზრდის წარმოების დანახარჯებს. ამდენად, მცირე საწარმოები გაცილებით უკეთ უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების მაღალ დონეს. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, საშუალო კლასის ჩამოყალიბება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და პოლიტიკური სტაბილურობის ხელშეწყობა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა. სამთო მრეწველობაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმა ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ არასაკმარისია და დარგში მცირე ბიზნესის სექტორის განვითარების მოთხოვნებს სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს. აუცილებლად დასახვეწია საკვლევ დარგში ეკონომიკური რეფორმების თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზა, მიზნის მიღწევის რეალური გზები და მექანიზმები, საბაზრო ორგანიზაციის სრულყოფა, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების კოორდინირებული მოქმედებისა და ოპტიმალურად შეთანწყობის გარემოს წარმოქმნელი პირობების შექმნა. საქართველოს მრეწველობის, მათ შორის კი, სამთო დარგის განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი გზაა უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა ფორმით მოზიდვა და სათანადოდ ეფექტიანად განვითარებისთვის პირობების შექმნა, საერთა-შორისო პროცესებში ჩართვა, საგარეო ბაზარზე კონკრეტულ გარემოში ადაპტირება და სხვა. საქართველოში არსებული მრავალფეროვანი და ძვირფასი მინერალური რესურსები, ისტორიული ტრადიციები და

გამოცდილება, კვალიფიციური სამთო-სამეცნიერო და საინჟინრო-ეკონომიკური პერსონალი, არის ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის ამ სფეროში მცირე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

12. ნაშრომში განხილულია საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ის ძირითადი აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, რომელიც მნიშვნელოვნად წარმოაჩენს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონესა და ხარისხს სხვადასხვა რეიტინგული მაჩვენებლებით; ამასთან, გამოკვლეული და შეფასებულია საქართველოში მიმდინარე რეფორმების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ქვეყნის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე; ნაშრომში განსაზღვრული და შემოთავაზებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ევროპასთან ინტეგრაციული გადრმაგების ის ძირითადი მიმართულებები, სადაც მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის როლისა და ადგილის ობიექტურად შეფასება ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

13. ნაშრომში გაანალიზებულია ინვესტიციების აქტუალურობა, მისი როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით; განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მასშტაბები საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, მისი ზემოქმედების შეფასებაში, სამთო საწარმოთა ეკონომიკური მდგომარეობის, არსებული პრობლემების და განვითარების შესაძლებლობების ფონზე. ამასთან, წარმოდგენილია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოსა და უპი-ების მოზიდვის ძირითადი მიმართულებები; ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების მსოფლიო გამოცდილების ანალიზის და შეფასების აქტუალური დასკვნები და სამთო საწარმოთა საინვესტიციო საქმიანობის მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების სტრატეგიები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნა და ეფექტიანი ინვესტიციური აქტივობა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა სათანადო ეკონომიკურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით, ინვესტიციური რესურსების რეალური სექტორის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ზრდისა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზით. ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქართველოს ინდუსტრიული ჯაჭვის საწყის სექტორში – სამთო მრეწველობის სახით, რომელიც არის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი. ამიტომაც საყურადღებოა მიმდინარე საინვესტიციო პროცესები, მისი ანალიზი და შეფასება საკვლევ დარგში. სამთო საწარმოებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მოდერნიზაცია მოითხოვს ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას. მაღალეფექტური პროექტების განხორციელება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მთავარ პირობას, ამიტომ ეფექტური საინვესტიციო პროექტების გამოვლენის სისტემების დახვეწას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე ინსტრუმენტებით, მჭიდრო შეხებაშია არა მარტო კომპანიის ინტერესებთან,

არამედ მთლიანად ეროვნულ ინტერესებთან, რადგანაც კერძო გადაწყვეტილებების ერთობლიობა საბოლოოდ აყალიბებს ქვეყნის მწარმოებლურ ძალას.

14. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ბიზნეს-სტრუქტურები საქართველოს სამთო მრეწველობაში, მათი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და მინერალური ნედლეულის ბაზის ძირითადი სახეობები; განსაზღვრულია სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნები და საერთო პრინციპები საკვლევ დარგში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით; წარმოდგენილია სამთო საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოს მხარდაჭერის სრულყოფის ღონისძიებები. ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა მთელი რიგი ცვლილებები განაპირობა როგორც ეკონომიკის, ბიზნესისა და მრეწველობის, კერძოდ სამთო მრეწველობის სტრუქტურულ განვითარებაში. საქართველოს სამთო მრეწველობაში რაციონალური და ეფექტიანი ბიზნეს-სტრუქტურების არსებობას, შესაბამისი დარგობრივი და ტერიტორიული ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხებს, უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის, განვითარებისა და სიძლიერისათვის. *სამთო მრეწველობა მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც დიდი წილი შეაქვს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. წიაღისეული რესურსების მოპოვება ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების ინფრასტრუქტურულ განვითარებას, დასაქმებას და სახელმწიფო შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობის ზრდას.* მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში და დიდია მათი როლი ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში. როგორც ცნობილია, მცირე მასშტაბის ადგილობრივი რესურსების პირობებში მსხვილი საწარმოების შექმნა ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, სხვა რაიონებიდან გადმოტანა ზრდის წარმოების დანახარჯებს. ამდენად, მცირე საწარმოები გაცილებით უკეთ უზრუნველყოფენ ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენების მაღალ დონეს. როგორც ცნობილია, საქართველო მეტად მდიდარი, საინტერესო და მიმზიდველია მინერალური რესურსების ეკონომიკური პოტენციალით, რაც საკმაოდ კარგ ნიადაგს ქმნის მთელი რიგი სამრეწველო დარგების და რეგიონების განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ამასთან, კონკურენტუნარიანობის დარგობრივი პრიორიტეტები მიზნად ისახავენ კონკურენტული უპირატესობის მიღწევას ყველა იმ საქონლისა და მომსახურების მიხედვით, რომელთა წარმოებაც პოტენციურად შესაძლებელია. აქ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებშიც გარკვეულ სამიზნე ბაზრებზე ფარდობითი უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია. ცხადია, არის დარგები, რომლებშიც საქართველო სამიზნე, განსაზღვრულ ბაზრებზე უკვე ფლობს კონკურენტულ უპირატესობას (მაგალითად სპილენძის, მანგანუმის კონცენტრატის და ოქროს წარმოება), მაგრამ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ უპირატესობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და სხვა პოტენციური უპირატესობის მისაღწევად. დარგები, რომელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა იყოს მოსაპირკეთებელი მასალების, სამთო-ქიმიური სახედლეულო (დიატომიტი, ცეოლითი, ანდეზიტი, ბენტონიტი, ბარიტი, დარიშხანი) და კერამიკული სახედლეულო (ტრაქიტი, რიოლითი) და სხვა პროდუქციის წარმოება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამთო მრეწველობაში წარმოების შესაძლებლობების და საბაზრო ურთიერთობათა წარმოქმნის

პრობლემების შესაფასებლად საჭირო და მნიშვნელოვანია ბიზნეს-სტრუქტურების სტრატეგიული და პრიორიტეტული სექტორების შესწავლა, ანალიზი და მათში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა.

15. სტატიაში გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) დაბანდების საქართველოს ნავთობგაზომპოვებელ მრეწველობაში 1995 წლიდან დღემდე და აღნიშნულია, რომ ქვეყნის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა (და დღესაც ატარებს) უცხოელი ინვესტორების დასაინტერესებლად და მოსაზიდად ზემოაღნიშნულ დარგში. მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონები, მათ შორის: კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“, „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესები“ და სხვა. ამჟამად უცხოური ნავთობკომპანიები ერთობლივი საწარმოების სახით ოპერირებენ სხვადასხვა საინვესტიციო ბლოკებზე ე.წ. “პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების“ საფუძველზე. მიუხედავად უცხოელ ინვესტორთა მიერ ჩატარებული საბადოების მნიშვნელოვანი გეოლოგიურ-საძიებო და საექსპლოატაციო სამუშაოებისა, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ნავთობისა და გაზის წლიური მოპოვების გაზრდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის საქართველოს საბადოების უკიდურესად რთული სამთო-გეოლოგიური პირობები, თავისი თანმხლები რისკებით და ბოლო პერიოდში ნავთობის ფასების მკვეთრად შემცირება მსოფლიო მასშტაბით. როგორც ცნობილია, საბჭოთა პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები არსებითად გაიგივებული იყო „კაპიტალდაბანდების“ კატეგორიასთან. კაპიტალდაბანდებებში კი იგულისხმებოდა დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაზე, მათ გაზრდაზე და სრულყოფაზე, ხოლო ინვესტიციებად იწოდებოდა კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები განიხილება, როგორც ყველაზე ხშირად გამოყენებული კატეგორიები, როგორც მიკრო – ისე მაკრო დონეზე. ამასთან, მისი არსი ზოგჯერ გადმოცემულია წინააღმდეგობრივად. ჩვენ ინვესტიციებში ვგულისხმობთ კაპიტალის მიზანმიმართულ დაბანდებას განსაზღვრული დროით, ყველა ფორმით, სხვადასხვა ობიექტში ინვესტორის ინდივიდუალური მიზნების მისაღწევად. კაპიტალის დაბანდების ობიექტების მიხედვით ინვესტიციებს ყოფენ რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებად. რეალურში იგულისხმება კაპიტალის დაბანდება რეალური აქტივების (როგორც მატერიალური ისე არამატერიალური) შესაქმნელად, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური სუბიექტების ოპერაციულ საქმიანობასთან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ფინანსურ ინვესტიციებში კი მოიაზრება კაპიტალის დაბანდება სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, პირველ რიგში ფასიან ქაღალდებში. ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, საყურადღებოდ მიგვაჩნია კაპიტალის მოზიდვის რეგიონალური წყაროების მიხედვით ინვესტიციების სამამულო და უცხოურ ინვესტიციებად დაყოფა, რადგანაც საქართველოს ნავთობგაზომპოვებელ წარმოებაში ძირითადად მონაწილეობს უცხოური კაპიტალი, ანუ ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის არარეზიდენტების მიერ. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (პუი) იგულისხმება უცხოელი ინვესტორების მიერ აქციების პაკეტის შეძენა, რაც მათ უფლებას აძლევს დააწესონ კონტროლი საწარმოზე ან მონაწილეობდნენ მის მართვაში. პირდაპირი ინვესტორი

უნდა ფლობდეს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს, პორტფელური ინვესტიციები კი ფასიანი ქაღალდების შექმნაა, რომელიც არ აძლევს ინვესტორს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის უფლებას. ასეთი ინვესტიციები თუ მიმღებ ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნება დაუყოვნებლივ ტოვებს მას. ამიტომ პორტფელური ინვესტიციები მოკლევადიანია და ასოცირდება კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეკონომიკის ნავთობგაზმომპოვებელ სექტორში პორტფელური ინვესტიციები არ ხორციელდება და საქმე გვაქვს მხოლოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, რომელიც ხორციელდება ერთობლივი საწარმოების შექმნის ფორმით უცხოური კაპიტალის სხვადასხვა წილობრივი მონაწილეობით. უცხოური კომპანიების დასაინტერესებლად ინვესტიციების განსახორციელებლად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის დარგის მარე-გულირებელი გამჭვირვალე და სტაბილური კანონმდებლობის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოში შესაბამისი დარგისათვის დამახასიათებელ პრინციპებს და არ აწესებს რთულ ბიუროკრატიულ პროცედურებს, რომლებიც გაუგებარი და მიუღებელი იქნება უცხოელი ინვესტორებისათვის.

16. ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) არსი, როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პუი-ს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, სახელმწიფოს მხრიდან სწორად გააზრებული საინვესტიციო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ეს ინვესტიციები ბევრი სიკეთის მომტანია, როდესაც იგი ეკონომიკის რეალურ სექტორში ხორციელდება. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებით და ანგარიშებით არსებობს გარკვეული წარმატებები, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევებია რაც მოქმედებს პუი-ს შემოდინებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყანა ცდილობს უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას, რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი, გარემოსდაცვითი და სხვა კანონმდებლობების შექმნა და ამოქმედება. ინვესტიცია ლათინური სიტყვიდან (investire-შემოსვლა) წარმოიშვა და ეწოდება კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში გრძელვადიანი მიზნების რეალიზებისათვის, მოგების და სოციალური ეფექტის მისაღებად. ინვესტიციური პროცესი იწყება ფულადი სახსრების ფორმირებით და მთავრდება რეალური აქტივების-საწარმოო შენობების და ნაგებობების, მოწყობილობის და ტექნოლოგიების, საყოფაცხოვრებო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნით. ინვესტიციებს სხვადასხვა კრიტერიუმებით აჯგუფებენ, მაგრამ ჩვენ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე. უცხოური ინვესტიციები, თავის მხრივ, იყოფა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად (პუი) და პორტფელურ ინვესტიციებად. ზოგადად პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში (პუი) იგულისხმება უცხოელი ინვესტორის მიერ აქციების პაკეტის შექმნა, რომელიც მას აძლევს უფლებას დაამყაროს კონტროლი წარმოებაზე ან მონაწილეობდეს მის მართვაში. პირდაპირი ინვესტორი უნდა ფლობდეს საწარმოს აქციების არანაკლებ 10%-ს ან ასეთი მონაწილეობის ეკვივალენტს. პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ეკონომიკის მატერიალურ (რეალურ) სექტორში და ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ არარე-

ზიდენტი პირები, კორპორირებული ან არა-კორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები. პორტფელური ივესტიციები კი ფასიანი ქაღალდების შექმნაა, რომელიც არ აძლევს ინვესტორს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის უფლებას. ასეთი ინვესტიციები თუკი მიმღებ ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნება, დაუფონებელივ ტოვებს მას. ამიტომ პორტფელური ინვესტიციები მოკლევადიანია და ასოცირდება კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან. ახლო მომავალში საქართველოს განზრახული აქვს პუი-ს მოზიდვის კიდევ უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნა. კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის – საქართველო 2020 (პროექტი), თანახმად უცხოური ინვესტიციებისადმი გახსნილობის და მიმზიდველობის უზრუნველ-ყოფა მოხდება ფინანსური გახსნილობის პარალელურად, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრაციით და იმავდროულად ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით. ამ პროექტში მითითებულია, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას და იგი მოითხოვს შეცვლას ახალი, საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობით. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაიხვეწება საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები, რაც ბიზნესს შეუმცირებს რეგულაციებთან შესაბამისობის ტვირთს. ასევე უზრუნველყოფილი იქნება საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობის შეძლებისდაგვარად შენარჩუნება (ხშირი ცვლილებების თავიდან არიდება) და გამჭვირვალობა. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები როგორც დანაზოგების ზრდის ხელშეწყობის, ისე უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისების მიზნით, რომელშიც პრიორიტეტი მიენიჭება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. დაბოლოს, კვლავ გავიმეორებთ, რომ ქვეყნისათვის ამ ეტაპზე აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეტი მოცულობით შემოდინება, რაც გაცილებით უკეთესი ვარიანტია, ვიდრე სესხების აღება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მსოფლიო ბანკიდან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან. ცობილია, რომ ამჟამად ბევრი განვითარებადი ქვეყანა ცდილობს უცხოელი ინვესტორის მოზიდვას ნებისმიერი დაპირებებით-გადასახადებისაგან გათავისუფლების, პრივილეგიების, განსაკუთრებული უფლებების შეთავაზებით, გარემოს დაცვითი პრობლემების შემსუბუქებით და სხვ. არც საქართველოა გამონაკლისი. მაგრამ ალტერნატიულია ისეთი ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელიც ერთნაირ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, უცხოურ ინვესტიციებსაც და ადგილობრივსაც.

17. დეპრესიები (ქვაბულები) რელიეფის უარყოფითი ფორმები, დედამიწის ქერქის ნაოჭადისლოკაციებისა და რხევითი მოძრაობების თანმხლები შედეგია. საქართველოს ბევრ რეგიონში სხვადასხვა მასშტაბისა და სიღრმის დეპრესია არის შესწავლილი. მთლიანად ქვეყნის ტერიტორია განლაგებულია მთათაშუა ღრმულების ფარგლებში. მის ბუნებრივ გარემოში ქანების თითქმის ყველა ტიპის არსებობა დედამიწის ქერქში ქმნის რთულ საინჟინრო-გეოლოგიურ ფონს. სტატიაში მაგალითის სახით განხილულია სოფელ ფსხუს, რიწის ტბის, “თბილისის ზღვის”, ახალციხის ქვაბულის გეოლოგიურ გარემოში განვითარებული მოვლენები. დეპრესიების საინჟინრო-გეოლოგიური რეგიონული შეფასება, მათი სამეურნეო ათვისება და ტექნოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, საინჟინრო ძიების და კვლევის ძირითადი პრობლემაა.

18. იმ მრავალრიცხოვან კომპონენტებს შორის, რომლებიც იწვევენ მილსადენების ლითონის მიღების კოროზიულ დაზიანებებს, წყალი არის ყველაზე ცნობილი და ძლიერი აგრესიული აგენტი. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს გარემოს დატენიანებას და ბიოკოროზიის გამომწვევი მიკროორგანიზმების მეტაბოლიზმის გააქტიურებას. გრუნტის წყლები, ხსნიან აგრეთვე ნიადაგ-გრუნტში არსებულ მარილებს, რომელთა ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგად წარმოიქმნება მეტალებზე ძლიერი კოროზიული ზემოქმედების მქონე ნაერთები, როგორცაა გოგირდმჟავა და სხვადასხვა ორგანული მჟავები. ახლადჩაწვობილი მიღების წყლისმიერი კოროზიისგან დასაცავად შესწავლილია წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის მონაცემები და განსაზღვრულია დასინჯული წყლების წარმომავლობა. შეფასებულია გრუნტის წყლების აგრესიულობის გავლენა სარეაბილიტაციო მილსადენის ლითონის მიღების კოროზიულ უბნებზე. დადგენილია ლითონის კონსტრუქციებზე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი;
19. სასმელი წყლის მიღები გარკვეული დროის გასვლის შემდეგ საჭიროებენ გამოცვლას, რადგან განიცდიან სხვადასხვა მავნე ფაქტორების ზემოქმედებას, ზიანდებიან კოროზიული პროცესების მიმდინარეობის გამო და ვეღარ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მომარაგებას სუფთა სტანდარტული სასმელი წყლით. იმისათვის, რომ გახანგრძლივდეს ახლადჩაწვობილი მიღების გამძლეობის ვადა, აუცილებელია წინასწარ იქნას გამოკვლეული ყველა ის ცნობილი აგრესიული აგენტი, რომლის განსაზღვრა შეამცირებს რკინის მიღებზე კოროზიის წარმოქმნის შესაძლებლობას. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი აგენტი არის აგრესიული არე-გრუნტი. კოროზიული რღვევის ამ სახეობას ექვემდებარებიან ნიადაგში მდებარე ლითონები და ლითონთა კონსტრუქციები, მათ შორის, სხვადასხვა მიწისქვეშა რეზერვუარები, მილსადენები, კაბელები და სხვა. გრუნტისმიერი კოროზიის მექანიზმის განსაზღვრისათვის და ახლადჩაწვობილი მიღების კოროზიული პროცესებისაგან დასაცავად, სასმელი წყლის მილსადენის განთავსების ტრანშეაში ჩატარებულია გრუნტის საკვლევი ნიმუშების ლითოლოგიის ვიზუალური აღწერა. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები და ქიმიური თვისებები, მისი გრანულომეტრიული შედგენილობა. დადგენილია კოროზიის გამომწვევი თითოეული ფაქტორის როლი პროცესის განვითარებაში;
20. სტატიაში განხილულია აჭარის წყლის ხეობის ფრიად მიმზიდველი ბუნებრივი პირობები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიწისქვეშა მინერალურ და თერმულ წყლებს, რომლებიც ქიმიური შემადგელობისა და ფიზიკური თვისებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ წყლების რესურსები შედარებით მცირეა, რაც, ავტორთა აზრით, განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ამ ტერიტორიის მინერალურ და თერმულ წყლებზე არ ჩატარებულა დეტალური გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. დასაბუთებულია ამ წყლების რესურსების გაზრდის შესაძლებლობანი, რაც ხელს შეუწყობს სასმელ-სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულების მინერალური წყლების ჩამოსხმის ორგანიზებას და მთელი წლის განმავლობაში მოქმედი ბალნეოლოგიური და ბალნეოკლიმატური კურორტების აღმშენებლობას.
21. სტატიაში განხილულია ჰიდროელექტროსადგურ “დარიალი“-ს სადერივაციო გვირა-

ბის განლაგების ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება. სადერივაციო გვირაბის განლაგების ტერიტორიაზე გამოიყო ლითოსტრატოგრაფიული ერთეულები და მათი გავრცელების ფარგლები. სტატიაში მოცემულია ცალკეული ლითოსტრატოგრაფიული ერთეულების სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებლების გაანგარიშება. საველე და ლაბორატორიული კვლევებით მოპოვებული მონაცემების გამოყენებით გამოთვლილია კლდოვანი ქანების სტრუქტურის რეიტინგი;

22. საქართველოში დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობები. ამ მხრივ აღსანიშნავია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოვლითი გზა, რომელიც რთულ გეოდინამიკური პირობების მქონე ტერიტორიაზე გადის, სადაც ფიქსირდება სხვადასხვა მასშტაბის მეწყრული უბნები. სტატიაში განხილულია თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მონაკვეთზე მეწყრული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. გამოკვლეული უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მოიცავს გეომორფოლოგიური პირობების, გეოლოგიური აგებულების, სეისმურობის, ჰიდროგეოლოგიური პირობების, გრუნტების თვისებების და მიმდინარე გეოდინამიკური პროცესების კვლევის ძირითადი შედეგების აღწერას, ამ ფაქტორთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის შეფასებას, თუმცა მეწყრულ უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხს ამ შემთხვევაში მთლიანად განსაზღვრავს გეოდინამიკური პირობები, ანუ მეწყრული პროცესის მიმდინარეობა და დინამიკა, მაგრამ ამ პროცესის სწორი შეფასება დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილ გარემოს ფაქტორთა სირთულეზე, მათ გავლენაზე მეწყრული პროცესის წარმოქმნა-განვითარებაში. ამიტომ ქვემოთ ჯერ მოცემულია თითოეული ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების ძირითადი შედეგები, ხოლო შემდეგ, შემაჯამებელი დასკვნის სახით, მოცემულია მეწყრული მოვლენის შეფასება;

23. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა არსებული ენერგეტიკული პოტენციალის სწორი გამოყენება, რის გამოც აუცილებელი ხდება პერსპექტიული ჰიდრორესურსების ათვისება და მათი გონივრული მართვა ენერგეტიკული თვალსაზრისით. სტატიაში განხილულია გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყენების გზები, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის. დიდი წყალსაცავები გეოლოგიურ გარემოზე მასშტაბური ზემოქმედებით ხასიათდებიან და მათი მშენებლობა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სიძნელებებთან არის დაკავშირებული. ჰესების მშენებლობისას, ასევე ოპერირების პერიოდში, გეოლოგიური პროცესების გააქტიურების შემთხვევაში, მოსალოდნელია ბუნებრივ გარემოზე სხვადასხვა სახის უარყოფითი ზემოქმედება. გეოლოგიური პირობების წინასწარი ანალიზი და ჰიდრორესურსების რაციონალური გამოყენება განაპირობებს უარყოფითი გავლენის მასშტაბების შემცირებას. ჰესების მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედების არეალის და მასშტაბების შეზღუდვა, შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტური გატარება და საინჟინრო გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია შესაძლებელს ხდის, პროექტების განხორციელებით მივიღოთ გაცილებით მნიშვნელოვანი დადებითი სოციალურ ეკონომიკური ეფექტი, ვიდრე გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი მხარეები. ზემოთ აღნიშნული რისკების მინიმუმამდე დაყვანის და ხშირ შემთხვევაში მათი აღმოფხვრის წინაპირობა, გეოლოგიური გარემოს დეტალური

შესწავლა, ნაგებობათა კონსტრუქციის, მათი საექსპლუატაციო პირობების და საინჟინრო საქმიანობის ტექნოლოგიის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ სწორად დაგეგმილი, სრულფასოვანი საინჟინრო კვლევა-ძიების საშუალებით;

24. ნაშრომში განხილულია კავკასიონის მთავარი ქედის ჯვრის უღელტეხილის მღეთაკობის უბანზე დაგეგმილი საავტომობილო გვირაბის ჰიდროგეოლოგიური პირობები და შესაძლო წყალმოდინების პროგნოზი. ამისათვის 1989 წელს ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა, რომლის საფუძველზეც მოხდა ქანების წყალშემცველი სისტემის ხასიათის და წყალსიუხვის დადგენა, მიწისქვეშა წყლების ქიმიური და გაზური შედგენილობის განსაზღვრა. საპროექტო გვირაბში მიწისქვეშა წყლების წყალმოდინების ხასიათის მიხედვით, ღერძის გასწვრივ აგებულ ჰიდროგეოლოგიურ ჭრილზე გამოყოფილი იქნა შესაძლო წყალმოდინების სავარაუდო ჯამური რაოდენობა დღეისათვის არსებულ როკის საავტომობილო გვირაბთან ანალოგიის მეთოდით;
25. სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – ჰიდროგეოლოგიის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დარგის პრაქტიკული მნიშვნელობა დღითიდღე თვალსაჩინო ხდება, რადგან მიწისქვეშა წყალზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნილება მსოფლიო მასშტაბით იზრდება. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაშიც დროულად არის გასატარებელი ისეთი ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და კვალიფიკაციით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას.
26. ნაშრომში განხილულია გეოლოგიური ხასიათის პრობლემების ოპერატიული გადაწყვეტის მეთოდოლოგიური საკითხები ღრმა ჭაბურღილების ბურღვის პროცესში. ამ მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებული და აპრობირებულია ე. წ. “გეოლოგიური მიკროსტრუქტურების და ფორმების კვლევის მეთოდი”, რომელიც ძირითადად ემყარება სერიული შლამების მიკროსკოპულ შესწავლას, აგრეთვე სარეწაო-გეოფიზიკური, გაზის კაროტაჟის და ბურღვის მონაცემების კომპლექსურ ანალიზს. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა ბურღვის პროცესში დადგინდეს ქანების ლითოლოგია და გრანულომეტრია, შეფარდებითი ასაკი, სტრატეგრაფია, სტრატონების საზღვრები, მათი სიმძლავრეები, სედიმენტაციური პირობები, ტექტონიკური რღვევების ზონები, შესაძლო ნავთობგაზშემცველი ინტერვალები, გადამხურვები და კოლექტორები, გართულებების მიზეზები და სხვ.
27. ნაშრომი ეძრენება კუმისის №1 საძიებო ჭაბურღილის (სანგრევი-3609მ) გეოლოგიური ჭრილის ლითოსტრატეგრაფიულ დახასიათებას. სერიული შლამების მიკროსკოპული ანალიზის ბურღვის მონაცემებისა და სარეწაო-გეოფიზიკური გამოკვლევების საფუძველზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი და აღწერილია (ზემოდან ქვემოთ) მეოთხეული, მაიკოპური, ეოცენური, პალეოცენური და ზედაცარცული ტერიგენული, ვულკანოგენურ-დანალექი და კარბონატული წყებები. მოცემულია აღნიშნული ლითოსტრატეგრაფიული დანაყოფების კორელაცია თბილისისპირა რაიონის სინქრონულ ნალექებთან. წარმოდგენილი გეოლოგიური ჭრილი შეიძლება საყრდენად მივიჩნიოთ მარნეულის ბლოკის დანალექი საფარის ცენტრალურ და ჩრდილოეთი ნაწილებისთვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	И. Захаров, М. Какабадзе, М. Шарикадзе, О. Смышляева, Э. Соболев, П. Сафронов.	Меловая система России и ближнего зарубежья: проблемы стратиграфии и палеогеографии.	სიმფეროპოლი საგამომცემლო სახლი “ЧерноморПРЕСС”	გვ. 18-19, 2016
<p>Предварительные данные по изотопному составу аптских брахиопод и моллюсков Кавказа</p> <p>კავკასიის აპტური მოლუსკების და მხარფეხიანების ნიუარებში უანგბადისა და ნახშირბადის იზოტოპური კვლევების პროცესში ძირითადად გამოყენებულ იქნა რენტგენო-სტრუქტურული, კათოდურ-ლუმინესცენტური და მიკროსტრუქტურული მეთოდები. მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი იქნა ჩრდილო კავკასიის, დაღესტნის და საქართველოს აპტური ზღვიურის აუზების პალეოტემპერატურები: 1) 20,5-22,3⁰C (ჩრდილო კავკასია) და 17,0-17,3⁰C (საქართველო), შესაბამისად, ადრეაპტურის Ridzewskiyi-Turkmenicum და Deshayesi-ს ქრონები; 2) 25,3-37,2(?)⁰C (ჩრდილო-დასავლეთ კავკასია და დაღესტანი) – გვიანი აპტის ყველაზე ადრეული, Subnodosocostatum-ის ქრონი; 3) 20,8-27,1⁰C (ცენტრალური კავკასია) – გვიანი აპტის შემდგომი, Melchioris-Abichi-ს ქრონი; 4) 19,1-20,2⁰C (ჩრდილო-დასავლეთი კავკასია და დაღესტანი) – გვიანი აპტის მომყოლი, Nolani-ს ქრონი; 5) 13,6-21,3⁰C (დაღესტანი) – გვიანი აპტის ყველაზე გვიანდელი, Jacobi-ს ქრონი. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კავკასიის შესწავლილი აპტური უხერხემლოები ძირითადად თხელი ზღვის ეპიპელაგური ზონის ბინადრები.</p>				

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	-----------------------------	--------------------	---------------------------------

1	დ. ბლუაშვილი ქ. ბენაშვილი შ. ჯანაშვილი	ოქროს გამადნების გეოლოგიური პოზიცია და გენეზისი (ზემო სვანეთი მდ. ნენსკრას და ნაკრას ხეობები)	თბილისი სამეცნიერო კონფერენცია 19- 20 მაისი
2	შ. კელეპტრიშვილი	აღრეცარცული ბელემნიტიდების როსტრუმების დაზიანებების შესახებ	თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი; ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე ყოველწლიური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში http://conference.ens- 2016.tsu.ge/lecture/view/496
3	N. POPORADZE, O. SESKURIA, N. INANASHVILI	ALPINE TYPE QUARTZ VEINS	POWER OF GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR REGENERATION OF ECONOMICS, BOOK OF ABSTRACTS, International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology, 19-20 May, 2016. Georgia, tbilisi
4	N. POPORADZE, I. AKHVLEDIANI, O. SESKURIA	SANDSTONES FROM THE KAZBEGI-OMALO REGION	POWER OF GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR REGENERATION OF ECONOMICS, BOOK OF ABSTRACTS, International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology, 19-20 May, 2016. Georgia, tbilisi
5	ი. ახვლედიანი	სპეკალები და სპეკალთა იმიტაციები ქართული ხელნაწერების ჭედურ ყდაზე	17-25 სექტემბერი 2016წ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი, ეროვნული მუზეუმი თბილისი
6	ი. ახვლედიანი	“ვეფხისტყაოსანის” სპეკელთმეტყველება	19-29 ივლისი 2016წ ქართველოლოგიის სეზონური სკოლა “ქართული ხელნაწერი”

			სელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი
7	ი. ახვლედიანი	“ვეფხისტყაოსნის” გმირების მოგზაურობა რეალურ სივრცესა და დროში	19-29 ივნისი 2016წ ქართველოლოგიის სეზონური სკოლა “ქართული სელნაწერი” სელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი
8	G. LOBJANIDZE, B. KAKHADZE, T. BUTULASHVILI, G. KHETSURIANI, D. LABADZE	PERSPECTIVES DEVELOPMENT OF MINING INDUSTRY ENTERPRISES OF GEORGIA IN MARKET ECONOMY CONDITIONS	POWER OF GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR REGENERATION OF ECONOMICS, BOOK OF ABSTRACTS, International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology, 19-20 May, 2016. Georgia, tbilisi
9	G. LOBJANIDZE, G. MACHAIDZE, D. LORIA, D. LABADZE	CURRENT STATE AND DEVELOPMENT PERSPECTIVES OF THE COAL INDUSTRY OF GEORGIA	POWER OF GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR REGENERATION OF ECONOMICS, BOOK OF ABSTRACTS, International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology, 19-20 May, 2016. Georgia, Tbilisi
10	G. TABATADZE, G. TATISHVILI, T. LIPARTIA	. MINERAL PRODUCTTS DEMAND AND SUPPLY FEATURES	POWER OF GEOLOGY IS THE PRECONDITION FOR REGENERATION OF ECONOMICS, BOOK OF ABSTRACTS, International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology, 19-20 May, 2016 Georgia, Tbilisi

11	აკადემიური დოქტორები: გ. ლობჯანიძე, ქ. მდინარაძე, გ. ხეცურიანი; დოქტორანტები: დ. ლაბაძე, დ. ლორია	კლასტერების ფორმირების პერესპექტივები საქართველოს მინერალური რესურსების ეფექტიან ათვისებაში	გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი მე-3 ყოველწლიური ღია სამეცნიერო კონფერენცია „სამთო საქმისა და გეოლო- გიის აქტუალური პრობლემები“. 2016 წელი 9 დეკემბერი საქართველო, თბილისი
12	L. Gorgidze	“COMPARATIVE ASSESSMENT OF ROCK MASS RAITING AND FILTRATION PROPERTIES OF NAMAKHVANI HPP IN GEORGIA”	International Scientific-practical Conference “Power of Geology is the Precondition for Regeneration of Economics”. Georgia, Tbilisi, Georgian Technical University, 2016, May 19-20.
13	N. Kitiashvili	“ANALYSIS OF DEVELOPMENT OF HYDROGEOLOGY SECTOR IN GEORGIA”	International Scientific-practical Conference “Power of Geology is the Precondition for Regeneration of Economics”. Georgia, Tbilisi, Georgian Technical University, 2016, May 19-20.
14	I. Shatilova, I. Kokolashvili	Western Georgia as a refuge for tertiary elements of Eurasian floras (using the example of the family Hamamelidaceae)	3 ოქტომბერი 2016წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
<p>1. მდ. ნენსკრას და ნაკრას ხეობების ოქროს მადანგამოვლინებები ბოლო კლასიფიკაციით ჰიდროთერმულ ჯგუფს განეკუთვნება. გამაღნება ხდებოდა რეგიონალური ტექტონიკის და მაგმური აქტივობის პირობებში, მაგმური კერიდან მოშორებით;</p> <p>2. როსტრუმისა და ფრაგმოკონის სიცოცხლისდროინდელი დაზიანებების, აგრეთვე სიკვდილის შემდგომი დეფორმაციებისა და ცვლილებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არ შეიძლება ერთნიშნად განვსაზღვროთ როსტრუმის სიცოცხლის დროინდელი აგებულება. ალბათ, ბელემნიტიდების სიცოცხლის დროს ამ ორგანიზმების როსტრუმის ძირითადი ნაწილი იყო მაგარი, კალციტოვანი, ხოლო ალვეოლასთან მიმდებარე ნაწილში – რბილი, ელასტიური, ორგანული.</p> <p>3. კვარცის ძარღვები გენეტურად ალპური ტიპის ძარღვებს მიეკუთვნება. ძარღვების აგებულება, ქიმიური და მინერალური შედგენილობა, ძირითადად, ერთგვაროვანია. ისინი დაბალტემპერატურულ პირობებში წარმოიქმნება და დაკავშირებულია დაბალტემპერატურულ რეგიონალ მეტამორფიზმთან. ჰიდროთერმები, თავის მხრივ, ზემოქმედებს ტერიგენული ფორმაციის ქანებზე, თუმცა მეტამორფიზმის დაბალი ტემპერატურის, მცირე შეღწევადობისა და სუსტი გეოქიმიური აქტივობის გამო, ზემოქმედება დაბალია, ამიტომ ალპური ტიპის ჰიდროთერმული კვარცის ძარღვები, გამაღნების თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, სტერილურია. კვარცის აგარგვატების უმეტესო-</p>			

ბა სხვადასხვა ფორმისა და ზომის გაზურ-თხევად ჩანართებს შეიცავს, რომლებიც კვარც-ძარღვული წარმონაქმნების მახასიათებლებია და განსაზღვრავს მეტამორფიზმის წარმოშობის პირობებს.

4. კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ომალის რეგიონის (მოიცავს მთავარი ქედისა და ყაზბეგ-ლაგოდების ტექტონიკურ ზონებს) ქვედა- და შუაიურულ ნაღებებში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ქვიშაქვები, რომლებიც არათანაბრადაა განაწილებული და გვხვდება ჭრილის როგორც ტრანსგრესიულ, ასევე რეგრესიულ ნა-წილში. ისინი შედგენილობისა და გენეზისის მიხედვით იყოფა: კვარცის, არკოზულ, პლაგიოკლაზ-კვარციან ქვიშაქვებად და კვარციტებად. ქვიშაქვები, უმთავრესად, წარმოდგენილია პლაგიოკლაზ-კვარციანი სახესხვაობებით (ზოგჯერ ქარს-პლაგიოკლაზ-კვარციანი). სწორედ მათ განვიხილავთ წარმოდგენილ ნაშრომში.
5. ხელნაწერთა, განსაკუთრებით კი ლიტურგიული დანიშნულების სახარებათა, ჩასმა ოქრო-ვერცხლისაგან დამზადებულ ჭედურ ყდებში და გაწყობა ძვირფასი ქვებით – სპეკალებით, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტრადიციაა. პირველი წერილობითი ცნება მოთვალული ყდების შესახებ დაკავშირებულია ნეტარი იერონიმეს სახელთან (384 წ.). მე-6 საუკუნიდან თვლებით შემკული ყდების გამოსახულებას ვხვდავთ მოზაიკასა და სხვა გამოსახულებებზე, ასეთია მე-6 საუკუნის ქრისტე პანტოკრატორის ენკაუსტიკური ხატი წმ. ეკატერინეს მონასტრიდან და იუსტიანე I-ის ცნობილი მოზაიკა სან-ვიტალეს ბაზილიკიდან როვენაში (იტალია). თვლებით შემკული ყდებია გამოსახული მათე და მარკოზ მახარებლების მინიატურაზე მარტივის სახარებიდან (1050 წ.) და მინანქრის მედალიონებზე, რომელიც ხახულის ხატს ამკობს.
6. “ვეფხისტყაოსანი”-ს სპეკალთმეტყველება გულისხმობს პოემაში მოყვანილი ძვირფასი ქვების მიმოხილვას, წინამორბედი მკვლევარების მიერ მათი იდენტიფიკაციის კრიტიკულ შეფასებას და დაზუსტებას. საუბარია ძვირფასი ქვების მნიშვნელობაზე ეპოქის კონტექსტში. პოემაში ჩანს სპეკალთა აღქმისა და გააზრების სხვადასხვა დონე: სპეკალი-ნივთი, სპეკალი-მეტაფორა, ასოციაციური რიგი, სიმბოლური მნიშვნელობა.
7. მიმოხილული იქნა წინამორბედი მკვლევარების შეხედულებები “ვეფხისტყაოსნის” გეოგრაფიული გარემოსა და გმირების მოგზაურობის სავარაუდო მარშრუტებზე. გამოიკვეთა პოემის ზოგიერთი ადგილი, რომელიც ეხებოდა ნახსენები ქვეყნების ისტორიულ და ყოფით რეალიებს, გეოგრაფიული სახელების სიმბოლურ გააზრებას. მოყვანილია ავტორისეული მოსაზრებები პოემის გმირთა მოგზაურობის შესაძლო მარშრუტების შესახებ;
8. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები. ამასთან, გაანალიზებულია მინერალური რესურსების ეფექტიანი ათვისების და მინერალური ნედლეულის ბაზრის განვითარების ეკონომიკური ზეგავლენის შედეგები ჩვენს ქვეყანაზე, განსაზღვრულია დარგში გასატარებული გონივრული ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები წიაღისეული რესურსების რაციონალური ათვისების თვალსაზრისით. შემოთავაზებულია სახელმწიფოს სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის დონის-ძიებები და საქართველოს სამთო მრეწველობის პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები;

9. ნაშრომში განხილულია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები, გამოწვევები და განვითარების სტრატეგია გლობალიზაციის პირობებში, გაანალიზებულია დარგის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები და შემოთავაზებულია მისი პერსპექტიული განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების სრულყოფაში. გლობალური სამყარო გამოირჩევა მაღალი დინამიზმითა და მოვლენათა ურთიერთდაკავშირებით. სახელმწიფოებს შორის მწვავედება დაპირისპირება, რაც გაპირობებულია გლობალური პროცესების გამო სახელმწიფოთა უთანაბრო განვითარებით, სახელმწიფოთა შორის კეთილდღეობის ღონის მკვეთრი განსხვავების გამო. განვითარების მოდელები და ღირებულებები ხდება გლობალური კონკურენციის საგანი. თითოეული სახელმწიფოს წინაშე დგას ახალი გლობალური რისკები და გამოწვევები. მსოფლიო პრობლემად იქცა გლობალური სტაბილურობის შენარჩუნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვის თანხმდები რისკების გაცნობიერება, გაკონტროლება, მათზე ადეკვატური რეაგირება და მსოფლიოს უსაფრთხოების უფრო მკაცრი, მობილური და სამართლიანი სისტემის შექმნა. XXI საუკუნეში გრძელდება მსოფლიო მრეწველობის დარგობრივი წარმოებების ზრდა, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია ენერგორესურსებზე მოთხოვნილებების მომატება. მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს საერთაშორისო ეკონომიკაში განსაკუთრებული როლი აქვს. ენერგორესურსები და მათი ეფექტური გამოყენება ეს არის ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული საფუძველი. ამასთანვე საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული ნორმაა საკუთარი სათბობი ნედლეულის მინიმალური ოდენობით წარმოება, მაგალითად, საბაზო ენერგეტიკის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის მაინც, იმპორტირებული საწვავის მიწოდებისაგან დამოუკიდებლად, ნებისმიერი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების აუცილებელი წინაპირობაა. ამდენად საქართველოში ნახშირის მრეწველობის რეაბილიტაციას და მისი ეფექტური გამოყენებისათვის ხელშეწყობას სუფთა ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება;
10. ნაშრომში განხილულია მინერალური რესურსები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას. გაანალიზებულია მინერალურ პროდუქტებზე მოთხოვნისა და მიწოდების მსოფლიო ბაზრის შესატყვისი კონიუქტურა; მოცემულია ეროვნულ ეკონომიკაში მინერალური პროდუქტების როლი და მნიშვნელობა, განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში გასატარებული ეფექტიანი რეფორმების მიმართულებები მინერალური პროდუქტების ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, მინერალური რესურსები არის არსებითი ეკონომიკური ინტერესის მქონე მყარი, თხევადი და გაზობრივი წიაღისეულის ჩაწოლა ან კონცენტრაცია დედამიწის ქერქში ისეთი ფორმით, სასარგებლო კომპონენტის ისეთი შემცველობით/ან ხარისხით და ისეთი რაოდენობით, რომ არსებობს მისი სრული ეკონომიკური ეფექტიანობით მოპოვების გონივრული პერსპექტივები;
11. გლობალიზაციის თანამედროვე პერიოდსა და პირობებში მსოფლიო ბაზრებზე მძაფრი კონკურენციის არსებობისას შეცვლილ გარემოსთან ადაპტირების მიზნით ნიშანდობლივია ბიზნესის მართვის სისტემაში ახალი თვისობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, სადაც მნიშვნელოვანია სამრეწველო და რეგიონული წარმონაქმნების – ე.წ. კლასტერების ფორმირება და მათი ეფექტიანი

ფუნქციონირება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილია კლასტერების ფორმირებისა და ფუნქციონირების გარკვეული გამოცდილება საწარმოთა სპეციალიზაციის, მასშტაბის, სტრუქტურის, დარგობრივი, ტექნოლოგიური, რაოდენობრივი, ინოვაციური, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, დანახარჯების შემცირების, ახალ ბაზრებზე გასვლის, ლოჯისტიკის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებათა გაერთიანების თვალსაზრისით, რითაც ხელი ეწყო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, წარმოების დანახარჯების შემცირებას ინფრასტრუქტურულ და მარკეტინგულ სამუშაოებზე, ინვესტიციებისა და წარმოების ზრდის დაჩქარებას, ინოვაციური აქტივობის ზრდას, დეპრესიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, სამუშაო ძალის დასაქმების დონის ამაღლებას, კვალიფიციური კადრების მოზიდვას, ეკონომიკისა და მომსახურების მომიჯნავე სექტორების განვითარებას. ცხადია, საქართველომ უნდა გაითავისოს, რომ მისი მომავალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე დამოკიდებული, სადაც ზემოაღნიშნულ უპირატესობათა გამო, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია დარგობრივ-რეგიონული კლასტერების ფორმირების მიმართულებების განსაზღვრა მინერალური რესურსების ეფექტიანი ათვისების საქმეში, რომლებიც საკმაოდ უზრუნველყოფენ როგორც ეკონომიკის, მისი მნიშვნელოვანი დარგების ასევე, მთლიანად სახელმწიფოს, მისი რეგიონების განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიღწევას.

12. საქართველოში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად განიხილება სხვადასხვა სიმძლავრის ჰესების მშენებლობა, რაც როგორც ქართველი ისე უცხოელი ინვესტორების დიდ დაინტერესებას იწვევს. აღნიშნული ჰესების მშენებლობა და ექსპლუატაცია ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრის გარანტია. პრაქტიკულად საქართველოს ყველა რეგიონში შესაძლებელია თუნდაც, მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა. ამ მხრივ დიდ მნიშვნელობას იძენს აღნიშნული ჰესების შესწავლა და გეოტექნიკური შეფასება. უცხოელ პარტნიორებთან ერთად უკვე განხორციელდა დიდი სიმძლავრის „მტკვარიჰესისა“, „დარიალი ჰესის“ გეოტექნიკური შესწავლა და აღნიშნული ჰესების მშენებლობის პროცესი დასკვნით ეტაპებზეა. ამჟამად მიმდინარეობს „ნენსკრა ჰესის“, ონისა და ცხენისწყლის ჰესების (კასკადები), ასევე ცაგერის რეგიონში ნამახვანის კასკადის გეოტექნიკური შესწავლა. კვლევებისას საერთაშორისო სტანდარტებით განისაზღვრა მასივის სტრუქტურულ რეინტინგი და ხარისხის ინდექსი და შეფასდა სავლელე ცდების შედეგად (ლუჟონის ცდა) მიღებული ფილტრაციული მახასიათებელთა მაჩვენებლებთან მათი შესაბამისობა. კვლევანი მასივის ამგვარი შეფასებები მნიშვნელოვანია საინჟინრო ნაგებობების და განსაკუთრებით ჰესების მშენებლობისა და მათი შემდგომი ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიზნით;
13. საქართველოში ჰიდროგეოლოგიის დარგში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის (რომელთა რაოდენობა არც ისე დიდია) საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უკვე მრავალი წელია ჰიდროგეოლოგია „არაპრესტიჟულ“ სპეციალობათა რიცხვს მიეკუთვნება. მაშინ, როდესაც მიწისქვეშა წყლის რესურსზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნილება მსოფლიო მასშტაბით დღითიდღე იზრდება და ჰიდროგეოლოგიის (როგორც მიწისქვეშა წყლების შემსწავლელი მეცნიერების) პრაქტიკული მნიშვნელობაც კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, ქვეყანაში აუცი-

ლებელია ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

14. გვიან კაინოზოურის კლიმატისა და მცენარეების ძირითადი ეტაპები დასავლეთ საქართველოში- გვიანკაინოზოურის პერიოდში კავკასიის ისტორიაში გარდატეხის მომენტი იყო შუასარმატის ბოლოს. ამიერკავკასიის მთათაშუა დეპრესია ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად, რომელიც ადრეულ და შუა მიოცენში დაფარული იყო ზღვით. გარდაიქმნა ხმელეთად ორი დიდი რეგიონით, რომელიც გაყოფილი იყო ძირულის მასივით. დასავლეთში წარმოიშვა რიონის ყურე, სადაც პლეისტოცენის ბოლომდე გრძელდებოდა ზღვიური ნალექების დაგროვების პროცესი. დღეს ეს სტრატოტიპული სფეროა, სადაც შავი ზღვის გვიანკაინოზოური ნალექები წარმოდგენილია ნალექების სრული სერიით. უფრო მკვეთრი ცვლილებებს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის დიდი ნაწილი გახდა კონტინენტური ნალექების დაგროვების სფერო.

საქართველოს მცენარეების გვიანკაინოზოური ისტორია დაფუძნებულია უმთავრესად ნამარხ მცენარეებზე, რომელიც მოპოვებულია კოლხეთის ტერიტორიაზე. დაწყებული სარმატიდან, დამთავრებული პლეისტოცენით გამოყოფილია მცენარეთა განვითარების სამი ძირითადი ეტაპი.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	შ. კელეპტრიშვილი, ხ. მიქაძე, ა. მენაბდე, ბ. იკოშვილი	Расчленение турон-кампанских отложений Закавказской межгорной области Одиши по макрофауне и фораминиферам	100 –летие палеонтологическое общество России. Проблемы и перспективы палеонтологических исследований. Материалы LXII сессии палеонтологического общества. Санкт-Петербург, 2016 г.
2	შ. კელეპტრიშვილი, ხ. მიქაძე	Стратиграфия верхнего мела периферии Дзирульского кристал- лического массива (Западная Грузия)	Меловая система России и ближнего зарубежья: проблемы стратиграфии и палеогеографии. Материалы VIII

			всероссийского совещания. Крым, 2016
3	შ. კელეპტრიშვილი, ბ. მიქაძე, ა. მენაბდე	The impact of climate change on the set of planktonic foraminifera and cephalopods on the boundary Santon/Campan in Georgia	35 – й международный геологический конгресс, Южная Африка, 2016 г.
4	Коколашвили И. Шатилова И.	Итоги палинологического изучения сарматских отложений Восточной Грузии	25 იანვარი 2016წ. კიევი
5	Шатилова И. Коколашвили И.	Основные этапы изменения климата и растительности западной Грузии в позднем кайнозое	4-8 აპრილი 2016წ. პეტერბურგი
6	M. Kakabadze; D. King; I. Kakabadze; M. Sharikadze; N. Kvakhadze.	Chronostratigraphic interpretations of some stratigraphic breaks in Lower cretaceous carbonate facies in the Territory of Georgia (Caucasus)	დენვერი, კოლორადო, აშშ 28.09.2016
7	I. Zakharov; M. Kakabadze; M. Sharikadze; O. Smyshlyaeva, E. Soboleva; P. Safronov	Late Barremian-early Albian climate of the northern middle latitudes: Stable O- and C-isotope evidence from brachiopods and molluscs on the Caucasus	სიმფეროპოლი, ყირიმი 26.09; 03.10–2016
<p>1. ოლიში-ოკრიბას ფაციალური ტიპი ტექტონიკური დარაიონების მიხედვით მოიცავს დასავლეთ დაპირვის მოლასურ ზონასა და ცენტრალური აღზევების ზონას. გვიანცარცული პერიოდის ტურონიდან სანტონურის ჩათვლით დიაპაზონი გამოირჩევა ველკანური პროცესების გააქტიურებით, რომელმაც გამოიწვია კარბონატული ნალექების მნიშვნელოვანი ცვლილებები. სწორედ ამ ცვლილებების გამო წლების განმავლობაში შეუძლებელი იყო დეტალური სტრატეგრაფიული სქემის და ბიოსტრატეგრაფიული ზონალური ერთეულების გამოყოფა. სწორედ პლანქტონური ფორამინიფერების, ბელემნიტებისა და ლითოლოგიის დეტალური შესწავლის საფუძველზე პირველად შესაძლებელი გახდა ამ პრობლემის გადაწყვეტა.</p> <p>2. ძირულის კრისტალური მასივის ჩრდილო პერიფერიებზე გამოდის ზედაცარცული ნალექები. მდ. ძევერიდან მდ. ჭიხურამდე ზედაცარცული ნალექები თითქმის სრული ჭრილებითაა წარმოდგენილი, რომელის საშუალებითაც დეტალურად იქნა შესწავლილი ზედაცარცული ნალექების სტრატეგრაფია ძორითადად ბელემნიტების საფუძველზე.</p> <p>3. სანტონ - კამპანის საზღვარზე მნიშვნელოვანი პალეოგეოგრაფიული ცვლილებები აღინიშნა, რომელიც პლანქტონური ფორამინიფერებისა და თავფეხიანი მოლუსკების კომპლექსზე კარგად გამოიხატა. აუზის კლიმატური ცვლილებები ლითოლოგიურ კომპლექსებზეც აისახა. უჩანგბადო ზონის მესამე ეტაპმა სანტონ - კამპანურში ცოცხალ სამყაროში მნიშვნელოვანი გარდაქმნები გამოიწვია. ამ კონგრესზე პირველად</p>			

იქნა წარდგენილი საქართველოში სანტონ - კამპანის პრობლემატიკა.

4. საქართველო, როგორც მესამეული ფლორის რეფუგიუმი ევრაზიაში

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანკაინოზოური ნალექები ფართოდ არის გავრცელებული. ნეოგენის და პლეისტოცენის სართულები დათარიღებულია ზღვიური ფაუნით და შეიცავენ მცენარეების ნაშთებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან სპორებით და მტვრის მარცვლებით.

მიოცენის პერიოდში საქართველოს მცენარეულობა ვითარდებოდა მკვეთრი ცვლილებების გარეშე, მიუხედავად ამისა სარმატულის დასაწყისში გაიდევნება გარკვეული ცვლილებები მცენარეების დინამიკაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, თუმცა ფლორის შემადგენლობა თითქმის ერთნაირი რჩება. სიტუაცია იცვლება გვიან სარმატის ბოლოს, როდესაც ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად ამიერკავკასიის დეპრესია გარდაიქმნა ხმელეთად.

აღმოსავლეთით იწყება ქსეროფიტიზაციის პროცესი, ამ დროს დასავლეთით ჩნდება იზოლირებული რეგიონი, სადაც შენარჩუნებულია თბილი და ნოტიო კლიმატი. ამგვარად შუა სარმატის ბოლოს იწყება კოლხეთის რეფუგიუმის ისტორია, სადაც დღემდე შემორჩენილია მესამეულის ზოგიერთი რელიქტური ფლორა.

სარმატულის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ფლორის შემადგენლობიდან ქარება სუბტროპიკული მცენარეების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად ამისა მეოტისის, პონტისა და კიმერიულის განმავლობაში მთის ქვედა სარტყელზე შენარჩუნებულია ის მცენარეები, რომლებიც ევროპასა და არატროპიკული აზიის ტერიტორიაზე დღეისათვის მთლიანად განადგურებულია. ასეთი მცენარეები წარმოდგენილია Hamamelidaceae-ს ოჯახებით.

5. აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების პალეობოტანიკური შესწავლის შედეგები

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ნალექების პალეობოტანიკური კომპლექსები იყო ინტერპრეტირებული ლანდშაფტო-ფიტოცენოლოგიური მეთოდის საშუალებით, რომლის გამოყენებამ საშუალება მოგვცა დაგვირგვინებით მცენარეთა განვითარების ოსტორიას და დაგვედგინა მისი განვითარების ეტაპები. მათი გამოყოფის საფუძვლად გამოყენებული იყო ძირითადი ეკოლოგიურ-კლიმატური მცენარეთა ჯგუფების მერყეობის არეალები.

საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ სარმატული ნალექების პალეობოტანიკური მონაცემების ანალიზის შედეგებმა გამოაშკარავა ამ ორი რეგიონის მცენარეულობების დინამიკა და კლიმატის განსხვავებები. დასავლეთ საქართველოში გვიან და შუა სარმატი იყო ერთიანი ეტაპი, რომელიც შეესაბამებოდა კლიმატურ ოპტიმუმს, რომლის განმავლობაში თითქმის სტაბილურად არსებობდა სუბტროპიკული, პოლიდომინანტური ტყეების არეალი. აღმოსავლეთ საქართველოში ამავე დროის მანძილზე ადგილი ჰქონდა კლიმატურ ფლუქტუაციებს, რაც მიზეზი გახდა ეტაპების ცვლილებისა განსხვავებული მცენარეების ტიპებისა. მიუხედავად ამისა საზღვარი შუა და ზედა სარმატებს შორის იყო გარდატეხის მომენტი როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთით

სხვა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	კატალიზატორული ბადეების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, მასში პლატინის, პალადიუმის და როდიუმის ზუსტი რაოდენობის დასადგენად. ანალიტიკური ქიმია. შპს “რუსტავის აზოტი”	ნ. ფოფორაძე	ი. გვალია ს. გველესიანი ნ. ინანაშვილი ხ. გაჩეჩილაძე	სახელშეკრულებო თემა
2	დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა. შპს “RMG Gold”	ნ. ფოფორაძე	ი. გვალი ი. ქუთელია	სახელშეკრულებო თემა
3	ქანების პეტროგრაფიული-ლითოლოგიური შესწავლა. შპს “ჯეონინჟინერი” შპს “ჯეოსთილი”	ნ. ფოფორაძე	ი. ფარადაშვილი ს. გველესიანი ო. სესკურია ნ. იკოშვილი	სახელშეკრულებო თემა
4	ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა. შპს “ზარაფხანა”	ნ. ფოფორაძე	ხ. გაჩეჩილაძე ო. სესკურია	სახელშეკრულებო თემა
5	შპს “საქართველოს სამთო საქმიანობის კომპანია	ნ. ფოფორაძე		სახელშეკრულებო თემა
6	შპს “ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერი”	ნ. ფოფორაძე	ზ. იაშვილი	სახელშეკრულებო თემა
7	წყლის შეტივტივებულ მასაში კვარცის პროცენტული შემცველობის განსაზღვრა. შპს “ჰიდროცენტრი”	ნ. ფოფორაძე	ზ. იაშვილი	სახელშეკრულებო თემა
8	ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრა. შპს “გრინ ვეი”	ნ. ფოფორაძე	მ. ლაპიაშვილი ი. ფარადაშვილი	სახელშეკრულებო თემა
9	შპს “გეოტექსურვისი”	ნ. ფოფორაძე	ნ. იკოშვილი ზ. იაშვილი	სახელშეკრულებო თემა
<p>1. “პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი ბადეების ქიმიური შედგენილობის დადგენა”(შემკვეთი შპს „რუსთავის აზოტი“, ხელშეკრულება №19/05). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შპს “რუსთავის აზოტის” წარმოებაში კატალიზატორად გამოყენებული, დიდ 				

ბრიტანეთში კომპანია “Johnson Matty”-ში გადასამუშავებლად გასაგზავნი პლატინა-პალადიუმიანი, პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი, პლატინა-როდიუმიანი, პლატინა-ნიკელიანი ბადეების ლითონური მასალის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, რაც გვაძლევს საშუალებას დიდ ბრიტანეთში განახლების შემდეგ შპს “რუსთავის აზოტის” მიერ შემოტანილი პლატინა-პალადიუმიანი, პლატინა-პალადიუმ-როდიუმიანი, პლატინა-როდიუმიანი, პლატინა-ნიკელიანი ბადეების ქიმიური შედგენილობის შედარება დიდ ბრიტანეთში გატანილ ბადეებთან მათი იდენტიფიკაციისთვის.

2. **“დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა” (შემკვეთი შპს „RMG GOLD”, ხელშეკრულება №22/05).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

- დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა მასში ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით,
- სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე ნიმუშების აღება ხორციელდება დაბა კაზრეთში შპს “RMG GOLD”-ს ბაზაზე. “დორე შენადნობის” ზოდიდან საანალიზო ნიმუშების აღება ხორციელდება ზოდის ორივე მხარეს დიაგონალური მიმართულებით ორ-ორი წერტილიდან; ზოდი იბურდება მისი სისქის ნახევარ სიღრმემდე; საშუალოდ თითო ანალიზისთვის საჭიროა სულ მცირე 2 გრ; აქედან ნახევარი ინახება საკონტროლოდ შპს “კვარციტში”, ხოლო მეორე ნახევარი მოგვაქვს სტუ-ს გმკდგრ ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიაში ქიმიური და რენტგენოსპექტრული მეთოდით ანალიზების ჩასატარებლად.

3. **„ქანების ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული შესწავლა” (შემკვეთი შპს „ჯეოინჟინირინგი”, შპს „გლობალტრანსი”, შპს „ჯეოსთილი”, შპს „ტურინვესტი”)** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

- ქანის სტრუქტურისა და ტექსტურის განსაზღვრა, ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული აღწერა და ქანის რაობის განსაზღვრა;
- ქანის რენტგენოსტრუქტურული ანალიზი და მინერალური შედგენილობის განსაზღვრა;

4. **„ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა” (შემკვეთი შპს „ზარაფხანა”)** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაო:

- ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა (კლასიფიკაცია მიღებული მსოფლიოს სტანდარტების მიხედვით), ფერისა და სისუფთავის ჩვენებით.

5. **“ქანებისა (შლიფების) და მადნების (ანშლიფების) მინერალოგიური აღწერა”.** ქანის ნიმუშის შლიფის აღწერით დადგინდა ქანის ტიპი და მასში შემავალი მინერალები, ხოლო ქანის ანშლიფის აღწერით დადგინდა მასში შემავალი მადნეული მინერალის რაობა.

6. **“მდინარე რიონის წყალში შეტივტივებული მასალის მინერალოგიური კვლევა”.** მდინარე რიონის წყალში შეტივტივებული მასალის გამოლექილ მასაში დადგინდა კვარცის პროცენტული რაოდენობა.

7. **“მდინარე ნენსკრას წყალში შეტივტივებული მასალის მინერალოგიური კვლევა”.** მდინარე ნენსკრას წყალში შეტივტივებული მასალის გამოლექილ მასაში დადგინდა კვარცის პროცენტული რაოდენობა.

8. “ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენა და მათი პეტროგრაფიული აღწერა”. რენტგენოფაზური ანალიზისა და პეტროგრაფიული შლიფების აღწერით დადგინდა ქანების ტიპი და მათი შემადგენელი მინერალების რაობა. განისაზღვრა ქანების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები და დადგინდა ქანების გამოყენების სფერო.
9. “ქანების პეტროგრაფიული აღწერა, მათში კვარცის პროცენტული შემცველობის დადგენის მიზნით”. ქანების შლიფების აღწერითა და მათი რენტგენოფაზური მეთოდით კვლევის საფუძველზე დადგინდა ქანებში კვარცის პროცენტული რაოდენობა.

ნავთობისა და ბაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი № 303

დეპარტამენტის უფროსი – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი – გურამ ვარშალაძე.

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი-6

ასოც.პროფესორი – 2

ასისტენტ – პროფესორი – 3

მოწვეული პროფესორი – 2

უფრ. მასწავლებელი-6 (მოწვეული)

სპეციალისტ - 2

ლაბორანტი – 4

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს	გამოცემის ადგილი,	გვერდების
---	-----------------	-----------------	-------------------	-----------

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1	ნ.მაისურაძე; ქ.ქოიავა; ნ.ბერაზე	“ნავთობგაზიანი ფენის ფიზიკა”	თბილისი საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	273გვ.
ანოტაცია ქართულ ენაზე				
<p>სახელმძღვანელოში განხილულია ნავთობშემცველი ქანებისა და ფლუიდების თვისებები, კოლექტორის ფილტრაციულ-მოცულობითი მახასიათებლები, ფენში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები, ფენიდან ნავთობის გამოდევნის მექანიზმი, ფენზე ზემოქმედების მეთოდების ფიზიკური საფუძვლები.</p> <p>განკუთვნილია სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტთათვის</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.ხუნდაძე, თ.რაზმაძე, ლ.სირაძე,	“გამასპექტრომეტრია გეოფიზიკური კვლევების კომპლექსში”	№31	ჟურნალი “საქართველოს ნავთობი და გაზი”, 2016წ.	9გვ.
2	გ.ტაბატაძე; ნ.ხუნდაძე; გ.ტატიშვილი	“პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში	1(36)	სამთო ჟურნალი	5გვ.
3	გ.დურგლიშვილი	“ჰორიზონტალური ჭაბურღილის დებიტის და დრენაჟის ფართობის გაანგარიშება”.	№31	ჟურნალი “საქართველოს ნავთობი და გაზი”, 2016წ	5გვ.
4	რ. მანაგაძე; დაბზიანიძე;	დინამიკური დაპროგრამების მოდელის გამოყენება ეკოლო-	№31	ჟურნალი “საქართველოს ნავთობი და	4გვ.

	ვაბზიანიძე	გიური სისტემების უსაფრთხოების პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.		გაზი”, 2016წ	
5	ბ. ვარშალომიძე, ი. გოგუაძე, ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი.	ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე ხერხების გამოყენება მადნეულის პოლიმეტალური საბადოს საყდრის-ყაჩაღიანის ოქროს მოპოვების უბანზე.	საქართველოს ნავთობი და გაზი 2016 წ. №31	თბილისი პოლიგრაფი	7გვ.
6	ბ. ვარშალომიძე, თ. კუნჭულია, ვ. ხითარიშვილი, ა. მაისურაძე.	ელექტროქიმიური რეაქციით გამოწვეული ლითონის კოროზიული პროცესების შესწავლა ჭაბურღილების ბურღვისას.	საქართველოს ნავთობი და გაზი 2016 წ. №31	თბილისი პოლიგრაფი	4გვ.
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					
<p>1) განხილულია ქანების ფორიანობის განსაზღვრის მეთოდი გამასპექტრომეტრით. ასევე ამ მეთოდით ხდება ჭრილში სხვადასხვა ორგანული ნივთიერებებით გამდიდრებული თიხის ჰორიზონტების გამოყოფა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია თიხების დადგენა.</p>					
<p>2) ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) არსი, როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პუი-ს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, სახელმწიფოს მხრიდან სწორად გააზრებული საინვესტიციო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ეს ინვესტიციები ბევრი სიკეთის მომტანია, როდესაც იგი ეკონომიკის რეალურ სექტორში ხორციელდება.</p> <p>სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებებით და ანგარიშებით არსებობს გარკვეული წარმატებები, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა, რაც მოქმედებს პუის შემოდინებაზე. აქედან გამომდინარე, ქვეყანა ცდილობს უფრო მიმზიდველი გარემოს</p>					

<p>შექმნას, რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი, გარემოსდაცვითი და სხვა კანონმდებლობების შექმნა და ამოქმედება.</p>
<p>3) განხილულია ნავთობის საბადოს დამუშავება ჰორიზონტალური ჭაბურღილებით და მოცემულია ანგარიში, რომელიც მოიცავს ჰორიზონტალური ჭაბურღილის დებიტის გაველენას დრენაჟის ფართობზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჰორიზონტალური ჭაბურღილების დაპროექტების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჭაბურღილების ლულის დრენაჟის ფართობების ერთიმეორეზე ზედდება. აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით შესაძლებელია თითოეული ჭაბურღილის გამომუშავებული ზონის განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს სტრუქტურაზე ახალი ჰორიზონტალური ჭაბურღილის დაპროექტირებისას სწორედ შეირჩეს მისი ადგილმდებარეობა და ლულის სიგრძე.</p>
<p>4) პრაქტიკაში, საპასუხისმებლო შემთხვევებში, მმართველი პირისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ არასრული (ნაწილობრივი) ინფორმაცია ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ, რაც სერიოზულ წინამდებობებს ქმნის გამოკვლევების დროს. შემოთავაზებული ნაშრომი ეძღვნება შესაბამისი სიტუაციების შესწავლას. ანალიზისათვის გამოიყენება დინამიკური დაპროგრამების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გადაიღახოს არა მარტო საჭირო ინფორმაციის უკმარისობა, არამედ უზრუნველყოფილ იქნეს ეკოლოგიური სისტემის ეფექტური ფუნქციონირება.</p>
<p>5. მადნეულის პოლიმეტალური საბადოს საყდრის-ყაჩაღიანის ოქროს მოპოვების უბანზე ჭაბურღილების ბურღვა წარმოებს ინგლისური საბურღი ჩარხის boiles საშუალებით. საბურღი მიღების ჩაშვება-ამოღების ოპერაციების შესასრულებლად საჭირო დროის შესამცირებლად გამოიყენება კანადური მოსახსნელი კერნმომღები იარაღი, რაც საგრძნობლად ამალღებს ჭაბურღილის ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ბურღვითი სამუშაოების ეფექტურობის გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე უთიხო პოლიმერული საბურღი ხსნარის გამოყენებაც, რომელიც დამზადებულია ავსტრიული "AS polimer" პოლიმერული დანამატის ფუძეზე.</p> <p>ამრიგად, ჭაბურღილის ბურღვისას ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებამ ბურღვის მექანიკური სიჩქარე 7,4 მ/სთ-მდე გაზარდა. საგრძნობლად გააუმჯობესა ჭაბურღილების გაყვანის სამუშაო დროის ბალანსი, 40%-ით გაზარდა სუფთა ბურღვაზე დახარჯული სამუშაო დრო და ბურღვის წარმადობა 800 მ.ჩარხ/თვე-მდე აამალღა.</p>
<p>6.) კოროზია მეტალის ჟანგვით დაზიანებაა საბურღ ხსნართან ელექტროქიმიური ურთიერთქმედების შედეგად, ჭაბურღილების გაყვანისას. წყლის ფუძეზე დამზადებული საბურღი ხსნარების გამოყენებისას, როდესაც საბურღი მიღების ხსნარში ჩაშვება წარმოებს, ელექტრული მუხტის ნაკადი ხსნარის გავლით იწყებს მოძრაობას საბურღ მილზე არსებულ ანოდსა და კათოდს შორის, რაც კოროზიულ პროცესებს იწვევს. ეს პროცესები მიმდინარეობს ორი ერთდროული და ერთმანეთზე დამოკიდებული რეაქციის ფონზე – ერთი ანოდთან, ხოლო მეორე – კათოდთან. მეტალის საბურღ ხსნარებთან ელექ-</p>

ტროქიმიური ურთიერთქმედების რეგულირება შესაძლებელს ხდის შემცირდეს და შენეღდეს კოროზიულ პროცესების ტემპი ჭაბურღილების ბურღვისას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ს.ვინსენტი; ფ.ჰუდენი; თ.ბარაბაძე;	Linking sediment source-sink pathways, provenance and composition to predict siliciclastic reservoir quality in the Black Sea	ბუხარესტი 19-20 მაისი 2016წ.

შრომის უსაფრთხოებისა და საბანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი № 304

დეპარტამენტის უფროსი – პროფესორი თეიმურაზ კუნჭულია

პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი - 5;

ასოცირებული პროფესორი - 4;

ასისტენტ – პროფესორი - 1;

მოწვეული პროფესორი - 1;

უფრ. მასწავლებელი - 6.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.მეკვაბიშვილი, ნ.კიკნაძე	„ჭიათურმანგანუმის საწარმოთა რადიუმის შემცველი ჩამდინარე წყლების დასუფთავება მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	
<p>ნაშრომში განხილულია ჭიათურმანგანუმის საწარმოებში ჩამდინარე წყლების დასუფთავების ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების დაცვას</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ს.გიგაური, ლ.ჩხეიძე, ნ.მაჭავარიანი,	ქიმიურად სა-შიშობიექტებ-ზე ავარიის მოსალოდნელი შედეგების გაანალიზება	“საქართველოს ნავთობი და გაზი” № 31	თბილისი	გვ. 138 - 142

2.	ნ.რაზმაძე, ნ.რატიანი	ენერგეტიკულ ობიექტზე ცეც- ხლის გამოყე- ნებასთან დაკა- ვშირებული სა- მუშაოების უსა- ფრთხოება (ინ- გლისურ ენაზე)	“სამთო ჟურნალი” № 1 (36).	თბილისი	გვ. 132 – 133
3.	ნ.მაჭავარიანი, ნ.რაზმაძე, ნ.რა- ტიანი	სახანძრო უსა- ფრთხოებასთან დაკავშირებული სამუშაოები (ინ- გლისურ ენაზე)	“ენერჯია” № 1 (77),	თბილისი	გვ. 107 – 109
4.	ნ.რაზმაძე, თ.მა- ღლაკელიძე, ო.ჯაფარიძე	სამუშაო აღკვეთაზე მძიმე და სასიკვდილო უბედური შემთხვევების სტატისტიკა	“საქართველოს ნავთობი და გაზი” № 31	თბილისი	გვ. 130 – 138
5.	ა.ნევეროვი, მ.ჯიქია, მ.ღურ- სმანაშვილი	პნევმატიკური ამძრავის მაყუ- ჩის ჰიდრაული- კური წინაღობის გაანგარიშება	“საქართველოს ნავთობი და	თბილისი	გვ. 143 - 144
6.	ს.გიგაური, ლ.ჩხეიძე, ნ.მაჭავარიანი	ამიაკზე მომუ- შავე მაცივარ- დანადგარებზე რისკის ფაქტო- რების შეფასება	“ენერჯია” № 2 (78), 2016	თბილისი	გვ. 58 – 63
7.	ო.ღანჩავა, გ.ნოზაძე, ნ.არულაშვილი	ნატურული აე- როდინამიკური დაკვირვებების შედეგები ჩაქვი- მახინჯაურის საავტომობილო გვირაბებში	“სამთო ჟურნა- ლი” № 1 (36)	თბილისი	გვ. 61 – 63

8.	გ.ვარშალომიძე, თ.კუნჭულია, ვ.ხითარიშვილი, ა.მაისურაძე	ელექტროქიმიური რეაქციით გამოწვეული ლითონის კოროზიული პროცესების შესწავლა ჭაბურღილების ბურღვისას	“საქართველოს ნავთობი და გაზი” № 31	თბილისი	გვ. 126 – 129
9.	თ.კუნჭულია, ვ. ხითარიშვილი, ა.მაისურაძე	საბურღი ხსნარის შემადგენელი კომპონენტების და არსებული ფაქტორების გავლენა კოროზიულ პროცესებზე ჭაბურღილების ბურღვისას	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, № 2 (500)	თბილისი	გვ. 132 – 138
10	თ.კუნჭულია, ვ. ხითარიშვილი, ა.მაისურაძე	საბურღი ხსნარების კოროზიული ზემოქმედების შესწავლა ჭაბურღილების გაყვანის დროს	“სამთო ჟურნალი” № 1 (36)	თბილისი	გვ. 68 – 72
11	თ.კუნჭულია, ვ. ხითარიშვილი, ა.მაისურაძე	ბაქტერიებით დაბინძურებული საბურღი ხსნარის ზემოქმედება კოროზიულ პროცესებზე ჭაბურღილების ბურღვისას	“სამთო ჟურნალი” № 2 (37)	თბილისი	გვ. 50 - 53

1.განხილულია ქიმიურად საშიშ ობიექტებზე პოტენციური საფრთხეები, მათი წარმოქმნის სავარაუდო მიზეზები, გაანალიზებულია საგანგებო სიტუაციების განვითარების სცენარები და პროფილაქტიკური ღონისძიებები

2.ნაშრომში განხილულია 400გ-მდე ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროდანადგარების და ქვესადგურების მოწყობილობებზე ხანძრის ქრობის სამუშაოების შესრულების სპეციფიკური მოთხოვნები

3.განხილულია ენერგეტიკული ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები,

- ელექტროდანადგარებთან სარგებლობის უსაფრთხო მანძილები
4. ნაშრომში განხილულია მძიმე და სასიკვდილო უბედური შემთხვევების მსოფლიო და საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, შედარებულია სახალხო მეურნეობის დარგები სტატისტიკურად უბედური შემთხვევების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით
 5. სტატიაში გამოყენებულია დროსელის მაგივრად მაყუჩი, ცვლადი ჰიდრაგლიკური წინაღობით და მოცემულია მისი საანგარიშო ფორმულა
 6. განხილულია ამიაკზე მომუშავე მაცივარ-დანადგარების გამოყენების დადებითი და ნეგატიური მხარეები, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები და გაანალიზებულია წარმოქმნილი შტატგარეშე სიტუაციების განვითარების ალბათობა და პროფილაქტიკური ღონისძიებები
 7. განხილულია ჩაქვი-მახინჯაურის საავტომობილო გვირაბებში ნატურული ექსპერი-მენტული დაკვირვებების შედეგები. გაზომილი, გაანალიზებული და გრაფიკების სა-ხით მოცემულია სავენტილაციო ნაკადის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობისა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის ცვალებადობა დროსა და სივრცეში
 8. შესწავლილია ჭაბურღილების ბურღვის დროს ელექტროქიმიური რეაქციების მიმდინარეობისას წარმოქმნილი ლითონის კოროზიული პროცესები
 9. ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი საბურღი ხსნარების შემადგენელი კომპონენტებისა და არსებული ფაქტორების გავლენა კოროზიულ პროცესებზე ჭაბურღილების ბურღვის დროს
 10. გამოკვლეული და შესწავლილია ჭაბურღილების გაყვანის პროცესში საბურღი ხსნარების კოროზიული ზემოქმედება
 11. განხილულია ჭაბურღილების ბურღვისას ბაქტერიებით დაბინძურებული საბურღი ხსნარის ზემოქმედება კოროზიულ პროცესებზე

სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი № 305

დეპარტამენტის უფროსი – ტექ. მეცნ. დოქტ. პროფესორი ირაკლი გუჯაბიძე

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი – 18

ასოც. პროფესორი – 6

მოწვეული პროფესორი – 2

სპეციალისტი – 2

ლაბორანტი – 10

დისპეჩერი – 1

მექანიკოსი – 1

ელექტრომექანიკოსი - 1

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლისათვის
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სადაწნეო მაგისტრალური ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მილსადენების სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამუშავება ჰიდროდინამიკური პროცესების გათვალისწინებით; მილსადენი ჰიდროტრანსპორტი; მილსადენ მაგისტრალში ყველა ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება მისი სიმტკიცეზე გაანგარიშების მეთოდოლოგიაში.	დ. მახარაძე	ვ. სილაგაძე, მ. ჯანგიძე, ს.სტერიაკოვა, თ. კობიძე
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)</p> <p>1. სადაწნეო მაგისტრალური სისტემების ექსპლუატაციის საიმედოობაზე და ეფექტურობაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს მილსადენი მაგისტრალის სიმტკიცეზე სწორად გაანგარიშებას, ანუ მისი კედლების სისქის სწორად განსაზღვრას. სხვა დანიშნულების მილსადენების სიმტკიცეზე გაანგარიშების არსებულ მეთოდოლოგიებში დღესდღეობით არსად არ არის გათვალისწინებული ორი მთავარი ფაქტორი: მილსადენის კედლების ჰიდროაბრაზიული ცვეთა და დინამიკური პროცესების დროს წნევების უეცარი ცვალებადობა, თუნდაც მათი ექსპლუატაციის ტექნოლოგიით გათვალისწინებული</p>			

პროცესების დროს, რაც დადასტურებული იქნა არსებული ლიტერატურული წყაროების და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე. არც ერთ მათგანში არ არის ასახული აღნიშნული ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლებიც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი სისტემებისათვის, რომელთა მიღსადენ მაგისტრალში ერთფაზოვანი წვეთოვანი სითხეების მეშვეობით ხდება ფხვიერი მყარი აბრაზიული მინარეგების ტრანსპორტირება.

სამეცნიერო კვლევითი სამუშაო ეძღვნება აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებას სადაწნო მაგისტრალური ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მიღსადენების სიმტკიცეზე გაანგარიშების, ანუ მათი კედლის მინიმალური დასაშვები სისქის საანგარიშო მეთოდოლოგიაში, რაც მიღწეულია გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში შესრულებული ფართომასშტაბიანი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგების ანალიზის გათვალისწინების საფუძველზე.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლენტური კონვეიერის ამძრავი. ტრიბოლოგია	ნ. მოლოდინი	ნ. მოლოდინი რ. მოლოდინი
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)</p> <p>1. ეტაპობრივად განხილული და შეფასებულია ლენტური კონვეიერების ამძრავების ყველა ნაირსახეობები: შემოხვევის კუთხის სიდიდის, რეოლოგიური პირობების მიხედვით ჩაჭიდების კოეფიციენტის ცვალებადობის, ამძრავის საკონვეიერო დგარში განლაგების, ხახუნის გარემო პირობების და ამძრავისა და საკონვეიერო ლენტის ძირითადი პარამეტრების დაზუსტების მიზნით. შეფასებულია საორიენტაციო ეკონომიკური ეფექტიანობაც. ანალიზის საფუძველზე მიღებულია, რომ ერთერთ საუკეთესოს წარმოადგენს ვაკუუმდოლური ამძრავი. მისი გამოყენებისას რგოლურ ჭვრიტეში ხახუნი მიმდინარეობს ვაკუუმში, შესაძლებელია სველი, ზღვრული და მშრალი ხახუნის რეჟიმების გეგმიური მართვა; მიღებულია ამძრავის (ვაკუუმდოლი - საკონვეიერო ლენტი) ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა. მიმდინარეობს პეტროვ-ჟუკოვსკის ამოცანის მიხედვით გათვალისწინებული, „შედარებითი სიმშვიდისა“ და „დრეკადი სრიალის“ რკალების სიდიდეთა რეგულირების საშუალებით, მოქნილი საწვეი ორგანოს (ლენტის) დაჭიმულობის ეპიურის დაზუსტება. შექმნილია ვაკუუმ-ამძრავის ყველა პარამეტრისა და საორიენტაციოდ მიმდინარე პროცესის გაანგარიშების მეთოდიკები.</p>			

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	FR/342/3-180/13 “ძნელად გასამდიდრებელი მანგანუმის და ნახშირების გამდიდრების პროცესების კვლევა და კონტროლი დამატებითი მმართველი სიდიდეების გათვალისწინებით“	რუსთაველის ფონდი	გ. ჯავახიშვილი	რ.ენაგელი, მ.გამცემლიძე ზ. არაბიძე, მ. თუთბერიძე, დ. თევზაძე, თ. რუხაძე, ა. კასრაძე, ნ. მაისურაძე, ო. ჩუდაკოვა,

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

1. პროექტში განხილულია მანგანუმის მადნის მამდიდრებელი დიაფრაგმული საღებავი მანქანის ოპტიმალური მართვის სისტემის აგების საკითხები. პროცესის მათემატიკური მოდელისა და წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის საშუალებით ჩატარებული ოპტიმიზაციის შედეგების საფუძველზე შედგენილია მმართველი ზემოქმედებების – წყლის ძირითადი რხევის ამპლიტუდის, დამატებითი დაბალ ამპლიტუდიანი რხევების და მიწოდებული წყლის რაოდენობის ცვალებადობის მუშა განტოლებები და ოპტიმალური მართვის ალგორითმი. შედეგად შედგენილი იქნა დაღებვის პროცესის ოპტიმალური მართვის სისტემის ფუნქციური სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც აგებული მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროცესის მართვას ტექნოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს შემაშვოთებელი ზემოქმედებების ცვალებადობის მიუხედავად კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლის მიღებას.

I. 4.

2	პროექტის დასახე-	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
---	------------------	----------------	----------	----------

	ლება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1	FR/354/3-180/13 “სპილენძ-ოქროს შემცველი ღარიბი და წვრილად ჩაწინჭკული მადნების გამდიდრების კვლევა და კონტროლი დამატებითი მმართველი სიდიდეების გათვალისწინებით”	რუსთაველის ფონდით დაფინანსებული გარდამავალი პროექტი	მ. გამცემლიძე	დ. ტალახაძე, რ. ენაგელი, მ. თუთბერიძე, ა. კასრაძე, ნ. სამხარაძე, ნ. დულუნიშვილი, ო. ჩუდაკოვა, გ. ჯავახიშვილი, დ. მშვილდაძე
<p>1. სპილენძისა და ოქროს შემცველი ძნელადგასამდიდრებელი მადნის გამდიდრების პროცესის სირთულე განაპირობებს მისი ავტომატური მართვის აუცილებლობას, მით უფრო, რომ განუწყველად იცვლება სპილენძისა და ოქროს მინერალების ფუჭი ქანის მინერალებთან სხვადასხვა ზომით ჩაწინჭკვლა. ასეთი რთული ობიექტის მართვის თვალსაზრისით ჩატარდა ექსპერიმენტები, რომელთა საფუძველზე აგებულ იქნა წყვილი და მრავლობითი დამოკიდებულებები რეაგენტების ხარჯებსა და პროცესის ხარისხობრივ მაჩვენებლებს (კონცენტრატის გამოსავალი და მასში სპილენძისა და ოქროს შემცველობა) შორის. მიღებული შედეგები მიუთითებენ იდენტიფიკაციის სანდო დონეს.</p> <p>პროცესის ოპტიმიზაცია განხორციელდა ტექნოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სპილენძის და ოქროს კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავალის მიღებას. ოპტიმიზაცია განხორციელდა წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის მეშვეობით. შედეგად მივიღეთ სპილენძის და ოქროს კონცენტრატის მიხედვით გრაფიკები, რომელთა საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ სასურველი ხარისხის კონცენტრატის მიღებისათვის რომელი რეაგენტის როგორი რაოდენობა უნდა მიეწოდოს.</p> <p>პროცესის ავტომატური მართვის სისტემის აგების მიზნით მოხდა შეზღუდვის ფუნქციებში პროცესის ძირითადი შემაშფოთებელი ზემოქმედების – გასამდიდრებელ მადანში სპილენძის შემცველობის შეცვლა საფლოტაციო კამერაში პულპის სიმკვრივით. აგებულ იქნა შესაბამისი დამოკიდებულებები, რომელთა საფუძველზე მიღებული ოპტიმიზაციის საბოლოო კრიტერიუმი საფუძველად დაედება ფლოტაციის პროცესის ოპტიმალური მართვის სისტემის აგებას.</p>				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. წერეთელი, ნ. მახარაშვილი.	კიდული ბაგირგზის ასინქრონული ამძრავი	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2016 წ.	90გვ.
2	ნ.მოლოდინი რ.მოლოდინი	ლენტური კონვეიერების ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების კვლევა	მომზადებულია გამოსაცემად	110გვ.

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. განხილულია ბაგირგზებზე გამოყენებული სხვადასხვა სახის ცვლადი დენის ელექტრული ამძრავები, მათ შორის ამძრავი ქსელის სიხშირის მართვით მოყვანილია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დაწვრილებითაა განხილული დიფერენციალური ამძრავი, რომელიც იძლევა იაფი და საიმედო მ. წ. როტორიანი ძრავების გამოყენების საშუალებას მარტივი მართვით.

მოყვანილია ძრავების სიმძლავრის შერჩევისა და ცალკეული პარამეტრების გამოთვლის მეთოდიკა.

განხილულია ამუშავების, შენელების და მცოცი სიჩქარის პეროდების დინამიკა და ენერგეტიკა.

2. განხილული და გაანალიზებულია ვაკუუმდოლური ამძრავების დღემდე ცნობილი კონსტრუქციების საკონტაქტო (საკონვეიერო ლენტთან) ზედაპირები. შემოთავაზებულია ახალი ტიპის საკონტაქტო ზედაპირებიანი ვაკუუმდოლური ამძრავი. გამახვილებულია ყურადღება კოლექტორიანი ვაკუუმდოლების კონსტრუქციების უარყოფით მახვევნებლებზე. დადგენილია, რომ რეციპიენტებში ჰიდრო-აეროლოგიურ და დოლის საკონტაქტო ზედაპირის რგოლურ ჭვრიტეში ჰერმეტიკობის უკეთეს პირობებს იძლევა, ცენტრალური გაწოვის ავმ (ავტონომიურ ვაკუუმურ მექანიზმებიანი) ვაკუუმდოლები.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.გოგია, მ.გელენიძე, გ.გელენიძე	პლაზმური ტექნოლოგიები მრეწველობაში	ელექტრონული ვერსია	135
2	რ. კიკვიძე	პლაზმის ფიზიკის საფუძვლები	ელექტრონული ვერსია	97
3	ნ.მოლოდინი, რ.მოლოდინი	ლენტური კონვეიერის ჩვეულებრივი და ვაკუუმდოლოური ამპრავები. მეთოდური მითითება ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად	თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	28
4	რ.ენაგელი, მ.ონიანი.	წიაღისეულის გადამუშავების პროცესების ავტომატიზაცია (მეთოდიკური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად).	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016 წ.	62
5	რ.ენაგელი, მ.ონიანი.	სამთო ავტომატიკის საფუძვლები (მეთოდიკური მითითებები პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად).	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016 წ.	
6	თ.ჯავახიშვილი	ამხმარე მეთოდური მითითებები: სასწავლო მასალის მომზადება. დამუშავდა “საქართველოს მაგისტრალური	ელექტრონული ვერსია	

		<p>გაზსადენების ავტომატიზებული მართვის სისტემის სტრუქტურა და ტექნიკური უზრუნველყოფა”</p>		
<p>1. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამთო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მასში განხილულია პლაზმური ტექნოლოგიების გამოყენების ასპექტები სამთო საქმეში, მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, მშენებლობაში.</p> <p>განხილული ძირითადი საკითხებია: პლაზმის განმარტება, პლაზმური ტექნოლოგიების ძირითადი სახეები და პარამეტრები, სამრეწველო პლაზმური დანადგარები, პლაზმატრონში გამოყენებული გაზებო, ძაბვების განაწილება ელექტროლაღურ პლაზმურ ნაკადში, მარგი ქმედების კოეფიციენტი. პლაზმატრონის ელექტროლები კათოდის დამზადების ხერხი. მძლავრი პლაზმური ჭავლის მიღების ხერხი. ლაზმური ტექნოლოგიები სამთო საქმეში. ლაზმური ბურღვა. ქვანახშირის ნარჩენების გადამუშავება. ლაზმური ტექნოლოგიები მეტალურგიაში ენერჯის ბალანსი პლაზმური ტექნოლოგიებისათვის.</p> <p>2. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამთო ელექტრომექანიკის/მექატრონიკისა და სპეციალური ტრანსპორტის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.</p> <p>სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: პლაზმა, როგორც ერთიანი გარემო, მოძრაობის განტოლება, პლაზმის გამტარებლობა, დიფუზური პროცესების ჰიდროდინამიკური წარმოდგენა; პლაზმის მაკროსკოპული თვისებები და ძირითადი განტოლებები.</p> <p>ტალღები ცივ ერთგვაროვან პლაზმაში. ლექტროსტატიკური და ელექტრომაგნიტური ტალღები პლაზმაში. დგრადი წონასწორობის ძირითადი პირობები.</p> <p>ტალღები ცხელ პლაზმაში. ჰიდროდინამიკური მიახლოების განტოლებები პლაზმური ტალღები და ითნური ბგერა.</p> <p>დამუხტული ნაწილაკების დაჯახებები.</p> <p>ლექტრული წინაღობა, სითბოგამტარობა და სიბლანტე, გამოსხივება. პლაზმის ფიზიკური კინეტიკა.</p> <p>3. სამუშაოს მიზანია მოქნილ საწევ ორგანოზე ხახუნის ამძრავი მექანიზმით (დოლით) წვეის ძალების თეორიული მნიშვნელობის ექსპერიმენტული წესით შემოწმების მეთოდების გაცნობა, აგრეთვე ანგარიშის და სტენდური კვლევების საფუძველზე მიღებული მონაცემებით, ამძრავის წვეითი თვისების გამომსახველი თეორიული და ექსპერიმენტული გრაფიკების აგება და ცდომილებათა ანალიზი. სამუშაოს შესრულების პროცესში, სტუდენტები გამოიმუშავებენ გამზომი აპარატურის საშუალებით ექსპერიმენტული კვლევების ჩატარების ჩვევებს და გაეცნობიან ექსპერიმენტის შედეგების დამუშავების მეთოდებს.</p> <p>4. მეთოდური მითითებები შედგენილია “წიაღისეულის გადამუშავების პროცესების</p>				

ავტომატიზაცია” სასწავლო გეგმის (სილაბუსის) მიხედვით. ეს საგანი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეკითხება სამთო და გეოინჟინერიის სპეციალობის ბაკალავრებს და მაგისტრანტებს. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი მამდიდრებელი ფაბრიკების ცალკეული პროცესების კონტროლისა და მართვის საშუალებები. ასალის ათვისების გასამყარებლად თითოეული სამუშაოს ბოლოს მოცემულია საკონტროლო კითხვები, რაც სტუდენტს დაეხმარება საგამოცდო ტესტის მომზადებაში.

5. მეთოდური მითითებები შედგენილია “სამთო ავტომატიკის საფუძვლები” სასწავლო გეგმის (სილაბუსის) მიხედვით. ეს საგანი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეკითხება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს. მეთოდური მითითებები შედგენილია შესაბამისი სასწავლო გეგმის (სილაბუსის) მიხედვით. ნაშრომში აღწერილია ავტომატური მართვის თეორიის და ავტომატური მართვის სისტემების აგების ფუნდამენტური პრინციპები, მათი მისადაგება სამთო ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემებთან. ასალის ათვისების გასამყარებლად თითოეული სამუშაოს ბოლოს მოცემულია საკონტროლო კითხვები, რაც სტუდენტს დაეხმარება საგამოცდო ტესტის მომზადებაში.

6. მომზადებულია მეთოდური მითითებების კომპიუტერული ვერსია, რომელიც განკუთვნილია ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის და რომელშიც ძირითადად გაშუქებულია შემდეგი საკითხები: განაწილებული ობიექტების ავტომატიზებული მართვის სისტემის აგების საფუძვლები;

ავტომატიკის ტექნიკური საშუალებები მილსადენი ტრანსპორტის ავტომატიზებულ მართვის სისტემაში;

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების პროცესის ავტომატიზაციის ძირითადი ასპექტები საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების მაგალითზე;

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის ოპერატიულ-დისპეჩერული მართვის სისტემა.

მეთოდური მითითებების გამოყენება მოხდება მაგისტრალური მილსადენების ავტომატიზაციის კურსში.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, გ.გოგია, მ.გელენიძე	ფრენის ელექტრო-რადიკალური გადამუშავება	ენერჯია №1 (77)	თბილისი 2016წ.	

2	ვ.ზვიადაური, გ.თუმანიშვილი, ი.ნადირაძე	ეკიპაჟ-ლიანდაგის რხევითი მოძრაობის განზოგადებული მათემატიკური მოდელის დამუშავება და მასების დინამიკური დატვირთვის განსაზღვრა	სტუ-შრომები №2 (500)	თბილისი 2016წ.	
3	ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, პ.კერვალიშვილი, გ.გოგია, მ.გელენიძე, თ.ბერბერაშვილი	ნანომასალების დაფრქვევის ხერხი		თბილისი 2016წ.	1
4	ა.ბეჟანიშვილი ნ.არუდაშვილი	საბადოს ღია წესით დამუშავებისას ელექტროდანადგარე- ბის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ	№1 (36), 2016	თბილისი „პოლიგრაფისტი“	4 (124-128)
5	ა. ბეჟანიშვილი	ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები გაზსაშიში სამუშაოების წარმოებისას	№1 (36), 2016	თბილისი „პოლიგრაფისტი“	4 (128-132)
6	ლ.მასხარაძე, ვ.სილაგაძე ს.სტერიაკოვა, მ.ჯანგიძე	დროებითი დისლო- კაციის ადგილების წყალმომარაგების ძირითადი ასპექტები	№ 1 (36). 2016	თბილისი „პოლიგრაფისტი“	8 (49-56)

7	დ. გელენიძე ლ. მახარაძე ლ. გავაშელი ვ. სილაგაძე მ. ჯანგიძე ზ. თაღუმაძე	ძნელდნობადი მასალების და სამრეწველო ნარჩენების სადნობი ახალი ტიპის თერმუ- ლი პლაზმური რკა- ლის ღუმელის ელექ- ტრომომარაგების სქემის დამუშავება და ანალიზი	№1 (36) 2016	თბილისი „პოლიგრაფისტი“	4 (57 – 60)
8	ვ. სილაგაძე ლ. მახარაძე მ. ჯანგიძე ს.სტერიაკოვა	საველე პირობებში დროებითი დისლოკაციის ადგილებში განთავსებული ობიექტების წყლით მომარაგება მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებითან „სამთო ჟურნალი“	№2 (37) 2016	თბილისი „პოლიგრაფისტი“	6 (34 – 39)
9	Махарадзе Л.И. Гавашели Л.Ш. Первов К.М. Стерякова С.И.	Магнитно-импульсная обработка деталей горных машин с целью их упрочнения «Горный журнал»	№2 (37) 2016	Тбилиси, «Полиграфист»	5 (45 – 49)
10	ნ.მოლოდინი რ. მოლოდინი	ლენტურსაკისრიანი კონვეიერები ვაკუ- უმდოლური ამძრა- ვებით	სამთო ჟურნალი №1(36). 2016	სტუ-ს გამომცემლობა	5 (64-68)
11	რ. ენაგელი, მ. ონიანი.	ფლოტაციის პროცესის ოპტიმიზაცია რეჟიმული სიდიდით.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №4 (502), 2016წ.	სტუ-ს გამომცემლობა	

12	რ.ენაგელი, მ. გამცემლიძე, გ.ჯავახიშვილი.	დიაფრაგმული სალექი მანქანის ოპტიმალური მართვის სისტემა.	სტუ-ს შრომების კრებული, №3 (501), 2016წ.	სტუ-ს გამომცემლობა	
13	რ.ენაგელი, მ. გამცემლიძე, დ. ტალახაძე, ნ.დულუნიშვილი.	სპილენძი-ოქროს შემცველი მადნების გამდიდრებადობის უნარის შესაფასებელი მოწყობილობა	„სამთო ჟურნალი“ №1(36), თბილისი, 2016წ;	სტუ-ს გამომცემლობა	5გვ.
14	რ. ენაგელი მ. გამცემლიძე, თ. რუხაძე, მ.თუთბერიძე, ნ.დულუნიშვილი, ნ.სამხარაძე	დიაფრაგმული სალექი მანქანის მართვის ხერხი დამატებითი მმართველი სიდიდის გათვალისწინებით	„სამთო ჟურნალი“ №1(36), თბილისი, 2016წ;	სტუ-ს გამომცემლობა	3გვ.
15	რ.ენაგელი, მ.გამცემლიძე, გ. ჯავახიშვილი, ზ.არაბიძე, მ.თუთბერიძე, თ.რუხაძე, დ.თევზაძე	დიაფრაგმულ სალექ მანქანაზე მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესის ოპტიმიზაცია	საქართველოს საინჟინრო სიახლენი №1 (77)		
16	დ.პატარაია, გ.ნოზაძე, ა.ქართველიშვილი, ე.წოწერიძე, რ.მაისურაძე	საბაგირო გზების განვითარების პერსპექტივები საქართველოში და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ევრონორმები	სამთო ჟურნალი№2 (37) 2016წ.		გვ.39
17	ჯ.კაკულია ზ. არაბიძე, ლ. ქართველიშვილი, ლ. ჩოჩია, თ. გურული	"საქართველოს მინერალური რესურსების კომპლექსური გამდიდრების ინტენსიფიკაციის პერსპექტივები კომბინირებული ტექნოლოგიური	ჟურნალში „სამთო ჟურნალი“ 2(37) , 2016 წ.	თბილისი	გვ.31

	სქემების გამოყენებით"			
<p>1. სტატია ეძღვნება ფრეონის ელექტრორკალური გადამუშავების რეაქტორის კონსტრუირებას. შექმნილია ელექტრორკალური რეაქტორის კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს გრძელ რკალს. იგი განკუთვნილია ფრეონის პლაზმაქიმიური გარდაქმნისთვის. გრძელი რკალი ანთია რეაქტორში შემავალ ფრეონის ორთქლში.</p> <p>მოწყობილობებში ელექტრული ენერჯია მიეწოდება მაღალი ძაბვით და მცირე სიდიდის დენით, რის გამოც ელექტრული ენერჯიის დანაკარგების სხვა ანალოგიურ მოწყობილობებთან შედარებით რამოდენიმეჯერ მცირდება. არდა ამისა შექმნილი რეაქტორი არის ეკოლოგიურად სუფთა-მუშაობს ყოველგვარი გამონახობის გარეშე.</p> <p>2. ცობილია, რომ ეკიპაჟის მოძრაობას თან ახლავს სივრცითი რხევითი პროცესები, რომელთაგან დომინირებული მნიშვნელობა აქვს ვერტიკალურ მდგენლებს, თუმცა განივ და ბრუნვით რხევებს შეუძლია ასევე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მასებს შორის დინამიკური დატვირთვების განაწილებაზე. ეკიპაჟის დინამიკური დატვირთვების ჩამკეტი რგოლებია თვალ-რელსის წყვილი და ამძრავის წყვილ თვალთან დამაკავშირებელი კბილანა გადაცემა, რომელთა შორის დინამიკური დატვირთვა და ხახუნის ძალა განაპირობებს სისტემის ხანგამძლეობას და ნორმალურ ფუნქციონირებას. პრობლემის გამოსაკვლევად სისტემური მიდგომის საფუძველზე დამუშავებულია ელმავლის სივრცითი რხევის დინამიკური მოდელი და მიღებულია სინუსოიდური აღზნებით გამოწვეული სივრცითი რხევის განტოლებები. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები ელმავლის შემადგენელ მასებს შორის დინამიკური დატვირთვების განსაზღვრის მიზნით მასების და დრეკადი ძალების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის</p> <p>3. ნაშრომი ეძღვნება ნანო ტექნოლოგიებს. ნაშრომის მიზანია დაფრქვეული ფენის ადგეზიის გაზრდა ფუძე მასალასთან, ფორიანობის შემცირება, სიმკვრივის გაზრდა და სხვა სასარგებლო წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური თვისებების მიღება.</p> <p>ეს შედეგი მიიღწევა იმით, რომ გათვალისწინებულია ჭურჭელში დასაფრქვევი მასალის გახურება, გადნობა, ამანქარებელი ფორმის ნაცმში გატარება და დაფრქვევა ფუძე მასალაზე. გამდნარი მასალის გახურება ამ მასალის დუდილის ტემპერატურზე მეტად და ნაცმში გატარება ხდება ორთქლის სახით.</p> <p>თბოგამძლე ჭურჭელში მოთასებილია სითბოს წყარო , რომელიც გარკვეულ ტემპერატურაზე ადნობს და აორთქლებს დასაფრქვევ მასალას . დასაფრქვევი მასალის ორთქლი ქმნის მაღალ წნევას და გაედინება ამანქარებელი ნაცმიდან (ლაგალის ნაცმი). ნაცმში მასალის ორთქლის ნაკადი იძენს ზებგერით სიჩქარეს და დაეფრქვევა დეტალის ზედაპირს . ნაცმიდან გამოდინების შემდეგ ხდება ნაკადის გაცივება და ორთქლის კონდენსირება. დაფრქვეული მასალის ზომები და დაჯახების სიჩქარე დამოკიდებულია ნაცმსა და დეტალს შორის მანძილზე. ზომები შესაძლებელია იცვლებოდეს რამდენიმე ნანომეტრიდან მილიმეტრამდე. ხოლო ნაწილაკების სიჩქარე შეიცვალოს რამდენიმე მახის ფარგლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ზომებისა და მაღალი სიჩქარეების კომბინაცია, რაც იძლევა ახალი მასალების მიღების საშუალებას დაფრქვეულ ფენაში. ეს ხერხი იძლევა აგრეთვე მონო ნანო მასალებისა და მრავალ კომპონენტის ნანო მასალების მიღების საშუალებას მარტივად დიდ სამრეწველო მასშტაბებში. ეს დამოკიდებულია</p>				

ტურჭელში მოთახილი მასალის ან მასალების გვარობაზე.

4. ნაშრომში მოცემულია უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ღია წესით დამუშავებისას გამოყენებული ელექტროდანადგარებისა და ელექტროგადაცემის ხაზებისათვის. განხილულია გადასატანი ელექტროდანადგარების მკვება ხაზებთან მიერთების, ელექტროდანადგარების სათავსების, ჩამიწების, საჰაერო და საკაბელო ხაზების, აგრეთვე საკონტაქტო ქსელისა და ლიანდაგების მოწყობის საკითხები. აღწერილია კარიერზე განათების ქსელის ექსპლუატაციასთან, ელექტრული წევის მოწყობილობის დათვალიერებასა და რემონტთან, კავშირისა და სიგნალიზაციის აპარატურით კარიერის აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები.

5. ნაშრომში მოცემულია გაზსაშიში სამუშაოების ჩამონათვალი და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები გაზსაშიში სამუშაოების წარმოებისას. აღნიშნულია, რომ ყველა გაზსადენი და გაზმოწყობილობა მოქმედ აირსადენთან მიერთებამდე, აგრეთვე რემონტის შემდეგ ექვემდებარება გარეგან დათვალიერებას და ჰაერით ან ინერტული აირით საკონტროლო დაწნეხას. განხილულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შიგა გაზსადენების, საქვებების, საზოგადოებრივ შენობებში საწარმოო ხასიათის გაზსადენებისა და გაზმოწყობილობის, გაზმარეგულირებელი სადგურების, პუნქტებისა და დანადგარების საკონტროლო დაწნეხასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ახლადაშენებული გაზსადენებისა და ობიექტების მოქმედ გაზსადენთან მიერთების თანამიმდევრობა. აღწერილია დაგაზიანებულ გარემოში სამუშაოთა წარმოებისას გამოყენებული ინსტრუმენტები და მომუშავეთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

6. ნაშრომში მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ განხილულია დროებითი დისლოკაციის ადგილების წყალმომარაგების ძირითადი ასპექტები, კერძოდ: დროებითი დისლოკაციის ადგილებში განთავსებული დაჯგუფებების წყალმომარაგების სპეციფიკა და ორგანიზება; წყალმომარაგების წყაროები; მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამეურნეო-სასმელი წყალი; წყლის ჯამური ხარჯები სამეურნეო-სასმელი და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის; წყალმომარაგების სისტემების შესაძლო პრინციპული სქემები; კვანძები წყლის მოპოვებისათვის; წყლის მიღება ზედაპირული წყაროებიდან (მდინარეებიდან, წყალსაცავებიდან, ტბებიდან); წყლის მიღება ზედაპირზე გამოძვარილი წყაროებიდან; ატმოსფერული ნალექების გამოყენება; წყლის მიწოდება (ტრანსპორტირება) მისი მოპოვების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე; წყლის ტრანსპორტირების ვარიანტების შერჩევა; წყალმომარაგების სისტემების ჰიდრაულიკური გაანგარიშების ასპექტები

7. სიგრძის ელექტრული რკალის ფორმირებას, რაც უზრუნველყოფს დენის სტაბილურობას და მართვას ელექტრულ რკალში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ელექტრული რკალის სვეტში მიწოდებული იქნეს გასადნობი მასალები და დნობის პროცესი განხორციელდეს. მიღწეულ ნაშრომში განხილულია ძნელდნობადი მასალების და სამრეწველო ნარჩენების სადნობი ახალი ტიპის თერმული პლაზმური რკალის ღუმელის ელექტრომომარაგების სქემა, რომელიც შეიცავს ელექტრული რკალის ანთებისა და ფუნქციონირების ელექტროფიზიკურ, კვების წყაროს და მისი მართვის ბლოკის პრინციპულად ახალ კვანძებს, რომელთა მახასიათებლები განაპირობებენ რაციონალური მაღალ ტემპერატურაზე გასადნობი მასალის სასურველი კონდიციით მისაღებად.

8. ნაშრომში განხილულია სავსე პირობებში დროებითი დისლოკაციის ადგილებში

განთავსებული ობიექტების (სამხედრო დაჯგუფებების, ექსპედიციების, ტურბაზების და ა.შ.) წყლით მომარაგების საკითხები მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებიდან, კერძოდ: რეკომენდაციები მათი ადგილის, განხორციელების სქემების და გამოყენებული საშუალებების შერჩევისათვის; ჭაბურღილებიდან წყლის დებიტის (ხარჯის) გაანგარიშებისათვის; წყალმომარაგებისა და წყალდასახარჯი პუნქტების მოწყობისა და ექსპლუატაციისათვის.

9. ნაშრომში განხილულია სამთო მანქანების დეტალების ზედაპირების მაგნიტური იმპულსური დამუშავების (მიდ) საკითხი მათი განმტკიცების მიზნით. ამ ახალი, მაგნიტური იმპულსური ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნივთიერებაზე მაგნიტური იმპულსური ზემოქმედებისას ხდება მისი ფიზიკური და მექანიკური თვისებების შეცვლა, რაც მიიღწევა ნივთიერების თავისუფალი ელექტრონების გარეგან ველთან მიმართული ორიენტაციით, რის შედეგადაც იზრდება სამთო მანქანის დეტალის თბო და ელექტროგამტარობა. ნარჩენი ან დაღლილობითი დაძაბულობის კონცენტრაციის ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია დეტალების დამზადების ტექნოლოგიასთან ან მათ დამუშავებასა და ექსპლუატაციასთან. სითბო, რომელიც განპირობებულია მიდ-ის გრიგალური ნაკადებით, ნაწილობრივ ამცირებს ნიშნის სტრუქტურის მარცვლებისა და კრისტალიტების შემდგენ ჭარბ ენერგიას განსაკუთრებით დაძაბული უბნების ზონაში. შენადნობის მიკროსტრუქტურა უმჯობესდება 0,01-1,0 წამის განმავლობაში, ხოლო გრიგალური მაგნიტური ველი განაპირობებს დეტალების უფრო თანაბარ გაცივებას.

10. სტატიაში განხილულია გარეგანი ხახუნის თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევის სრულყოფის თანამიმდევრობა, ტრიბოლოგიის დებულებების გათვალისწინებით, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ხახუნის ძალების რეგულირება. ტრიბოლოგიის უგელებელყოფა დაუშვებელია, ვინაიდან გამოკვლევები ხახუნის დარგში ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა. ვაკუუმ-დოლის მუშაობის პროცესი, განსაკუთრებით საწყის მომენტში ამუშავებისას, როდესაც ხახუნი მიმდინარეობს ჰიდროსტატიკურ რეჟიმში – ლენტური საკისრის მუშაობის რეჟიმის იდენტურია. შესაბამისად, მისი პარამეტრების განსაზღვრისას იტერაციული მეთოდით, შეიძლება გამოყენებული იქნას ლენტური საკისრის გაანგარიშების თეორიის სხვა საკითხებიც. ასე მაგალითად, შეხეთვის ამოცანების ამოხსნისას, ლენტური საკისრების კონსტრუირების მსგავსად, ვაკუუმ-დოლის კონსტრუირების შემთხვევაშიც, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ზომერფედლის განზოგადოებულ რიცხვს, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს.

11. სტატიაში განხილულია ჭიათურის საბადოს მანგანუმის მადნის ფლოტაციური ხერხით გამდიდრების პროცესის შემაშვოთებელი ზემოქმედების მიხედვით ავტომატური მართვის საკითხი. პროცესის მათემატიკური მოდელისა და წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის საშუალებით ჩატარებული ოპტიმიზაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შედგენილია მართვის ალგორითმი, რომელიც ასახავს რეაგენტის- თხევადი მინის დამოკიდებულებას საფლოტაციო კამერაში ქაფის დონესთან. მიღებული მართვის ალგორითმის მიხედვით აგებულ იქნა პროცესის მართვის სისტემის ფუნქციური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მართვას ტექნოლოგიური კრიტერიუმის და რეჟიმული სიდიდის- საფლოტაციო კამერაში ქაფის დონის მიხედვით. მართვის სისტემა უზრუნველყოფს შემაშვოთებელი ზემოქმედების ცვალებადობის მიუხედავად კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავალის მიღებას.

12. სტატიაში განხილულია მანგანუმის მადნის გამდიდრებელი დიაფრაგმული სალექი მანქანის ოპტიმალური მართვის სისტემის აგების საკითხები. პროცესის მათემატიკური მოდელისა და წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის საშუალებით ჩატარებული ოპტიმიზაციის შედეგების საფუძველზე შედგენილია მმართველი ზემოქმედებების – წყლის ძირითადი რხევის ამპლიტუდის, დამატებითი დაბალ ამპლიტუდიანი რხევების და მიწოდებული წყლის რაოდენობის ცვალებადობის მუშა განტოლებები და ოპტიმალური მართვის ალგორითმი. შედეგად შედგენილი იქნა დალექვის პროცესის ოპტიმალური მართვის სისტემის ფუნქციური სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც აგებული მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროცესის მართვას ტექნოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს შემაშფოთებელი ზემოქმედებების ცვალებადობის მიუხედავად კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლის მიღებას.
13. სტატიაში აღწერილია სპილენძი-ოქროს ძნელადგასამდიდრებელი მადნის გამდიდრებადობის უნარის შესაფასებელი მოწყობილობა, რომლის დახმარებით ფასდება სპილენძის შემცველობა გასამდიდრებელ მასალაში. მოტანილია მისი ლაბორატორიულ პირობებში გამოცდის შედეგები, განსაზღვრულია ძირითადი სტატისტიკული მახასიათებლები და რეგრესიის განტოლება. მოხდა მიღებული განტოლების კოეფიციენტის დაზუსტება. განისაზღვრა კავშირის სიმჭიდროვე (კორელაციური ფარდობა) დაუზუსტებელი და დაზუსტებული რეგრესიის განტოლებით კორელაციური ველის აპროქსიმაციის დროს. ფორმულის დაზუსტებით კორელაციური ფარდობა გაიზარდა 6,8%-ით.
14. ნაშრომში განხილულია მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესის მართვის ხერხი, რომელიც ითვალისწინებს დიაფრაგმული სალექი მანქანის კვებაში, სასარგებლო კომპონენტის ცვლილებებიდან გამომდინარე, დიაფრაგმის რხევის რეგულირებას. ასევე ჰიდროსტატიკულმიოდში ჩაყვინთული ელემენტის გადაადგილების (გასამდიდრებელ მადანში ნატეხების სიმსხოს შემფასებელი) ცვლილებიდან გამომდინარე, დიაფრაგმის რხევის სიხშირისა და ჩარჩოს მოძრაობის (წყლის დადმავალი ნაკადის) სიჩქარის რეგულირებას. სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (ხელშეკრულება №FR/354/3-1820/13) ფინანსური მხარდაჭერით.
15. სტატიაში განხილულია დიაფრაგმულ სალექ მანქანაში მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესის ოპტიმიზაციის საკითხები. ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე შედგენილია პროცესის მათემატიკური მოდელი და მიღებულია ოპტიმიზაციის ტექნოლოგიური კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს მაქსიმალური რაოდენობის საჭირო ხარისხის კონცენტრატის მიღებას მმართველი და შემაშფოთებელი ზემოქმედებების დადგენილ ზღვრებში ცვალებადობის გათვალისწინებით. პროცესის ოპტიმიზაცია ჩატარებულია წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის გამოყენებით. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ავაგოთ პროცესის ოპტიმალური მართვის სისტემა და შესაბამისი ოპტიმალური მართვის კანონები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შემაშფოთებელი ზემოქმედებების ცვალებადობა.
16. სტატიაში განხილულია საქართველოს სამგზავრო საბაგირო გზების სატრანსპორტო პარკის არსებული მდგომარეობა და საბაგირო ტრანსპორტის განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ნაჩვენებია თანამედროვე ტექნიკური რეგლამენტით

გათვალისწინებული უსაფრთხოების საკითხები და სავალდებულო ევრორეგულაციები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია საბაგრო გზების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ევროგაერთიანების ქვეყნებში. განხილულია პასუხისმგებელ სამსახურთა და ღონისძიებათა ნუსხა, რაც აუცილებელია საქართველოს საბაგრო ტრანსპორტთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტის ევროკავშირის სათანადო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში მოსაყვანად.

17. სტატიაში განხილულია საქართველოს მინერალური რესურსების - ტყიბულის საბადოს ქვანახშირის გამდიდრების ნარჩენების - კუდებისა და შლამების, მადნეულის სულფიდური მადნების, ჭიათურის მანგანუმის ძნელად გასამდიდრებელი მადნებისა და შლამების, ჩორდის ბარიტების გამდიდრების კუდებისა და ტრაქიტების, გამდიდრების კომბინირებული ტექნოლოგიური სქემები და ტექნოლოგიურ სქემაში ჰიდრომეტალურგიული და ბიოტექნოლოგიური პროცესების გამოყენების პერსპექტივები.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, პ.კერვალიშვილი, გ.გოგია, მ.გელენიძე, თ.ბერბერაშვილი	ნანომასალების დაფრქვევის ხერხი	საერთაშორისო კონფერენცია “ნანოტექნოლოგიები”. თბილისი 24-27/10/2016 წ.
2	Leon Makharadze	The Analysis of Hydrodynamic and Mechanical Processes Impact on Pressure Pipeline Durability and Exploitation Reliability During Hydro Aero-Mixtures Motion with Abrasive Solid and Loose Admixtures in it	Batumi, 5-9 September, 2016, Georgia VII International Joint Conference of the Georgian Mathematical Union & Georgian Mechanical Union: Dedicated to 125-th Birthday Anniversary of Academician N. Muskhelishvili
3	ვ.ზვიადაური,	გზის მრუდე მონაკვეთებში	საერთაშორისო

	გ.თუმანიშვილი, თ.ნადირაძე	ელმავლის თვლის და ლიანდაგის დინამიკური დატვირთვების შემცირების პრობლემა	კონფერენცია “სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია”. თბილისი 12- 24/10/2016წ.
4	რ. ენაგელი, მ.გამცემლიძე, დ.ტალახაძე, გ.ჯავახიშვილი, ნ.სამხარაძე	სპილენძ-ოქროს მადნის ფლოტაციის პროცესის შესწავლა ოპტიმალური მართვის მიზნით	შსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მე-3 სამეცნიერო კონფერენცია “სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები” თბილისი, 09/12/2016წ.
5	დ.პატარაია	ზოგიერთი არასტანდარტული კონსტრუქციის მყარი დეფორმირებადი ტანის დისკრეტული მოდელითა და მიმდევრობითი მიახლოებების ალგორითმით გაანგარიშების შესახებ;	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის 2016 წლის კონფერენციის მოხსენებათა კრებული
6	თ. ჯავახიშვილი, ფ.ვინარდი	“ბუნებრივი გაზის ფუნქციური სტანდარტების (ევრონორმების) პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები”	ბუნებრივი გაზის სექტორში საერთაშორისო ტექნიკური რეგულაციების და ევროპული სტანდარტების ხელმისაწვდომობა და დანგრევა. თბილისი, 22.02.2016წ.
7	მ. გამცემლიძე, დ. ტალახაძე, მ. თუთბერიძე, ნ. ლულუნიშვილი, თ. რუსაძე	„ძნელად გასამდიდრებელი სპილენძის მადნის მომზადება ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების წინ“	თბილისი, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, მის.: ე. მინდელის 7. 09. 12. 2016 წ.
8	ნ.ლომიძე, ზ. არაბიძე, ლ. ქართველიშვილი, თ. გურუელი	"თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიისში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში"	ურეკი, საქართველო 21-23 სექტემბერი 2016 წ.
1. ნაშრომი ეძღვნება ნანო ტექნოლოგიებს. ნაშრომის მიზანია დაფრქვეული ფენის			

ადგეზიის გაზრდა ფუძე მასალასთან, ფორიანობის შემცირება, სიმკვრივის გაზრდა და სხვა სასარგებლო წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური თვისებების მიღება.

ეს შედეგი მიიღწევა იმით, რომ გათვალისწინებულია ჭურჭელში დასაფრქვევი მასალის გახურება, გადნობა, ამჩქარებელი ფორმის ნაცმში გატარება და დაფრქვევა ფუძე მასალაზე. გამდნარი მასალის გახურება ამ მასალის დუღილის ტემპერატურზე მეტად და ნაცმში გატარება ხდება ორთქლის სახით.

თბოგამძლე ჭურჭელში მოთასებილია სითბოს წყარო, რომელიც გარკვეულ ტემპერატურაზე აღნობს და აორთქლებს დასაფრქვევ მასალას . დასაფრქვევი მასალის ორთქლი ქმნის მაღალ წნევას და გაედინება ამჩქარებელი ნაცმიდან (ლაგალის ნაცმი). ნაცმში მასალის ორთქლის ნაკადი იძენს ზეგერით სიჩქარეს და დაეფრქვევა დეტალის ზედაპირს . ნაცმიდან გამოდინების შემდეგ ხდება ნაკადის გაცივება და ორთქლის კონდენსირება. დაფრქვეული მასალის ზომები და დაჯახების სიჩქარე დამოკიდებულია ნაცმსა და დეტალს შორის მანძილზე. ზომები შესაძლებელია იცვლებოდეს რამდენიმე ნანომეტრიდან მილიმეტრამდე. ხოლო ნაწილაკების სიჩქარე შეიცვალოს რამდენიმე მახის ფარგლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ზომებისა და მაღალი სიჩქარეების კომბინაცია, რაც იძლევა ახალი მასალების მიღების საშუალებას დაფრქვეულ ფენაში. ეს ხერხი იძლევა აგრეთვე მონო ნანო მასალებისა და მრავალ კომპონენტური ნანო მასალების მიღების საშუალებას მარტივად დიდ სამრეწველო მასშტაბებში. ეს დამოკიდებულია ჭურჭელში მოთასებილი მასალის ან მასალების გვარობაზე.

2. სსიპ გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შესრულებულია ფართომასშტაბიანი თეორიული, აგრეთვე ექსპერიმენტული კვლევები მილსადენ ჰიდროსატრანსპორტო სისტემებში ჰიდროდინამიკური პროცესების და მილსადენების ჰიდროაბრაზიული ცვეთის შესასწავლად ანალოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც ახდენენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას მილსადენების ხანგამძლეობაზე და ექსპლუატაციის საიმედოობაზე, რადგან ექსპლუატაციის განმავლობაში ხდება მილსადენების კედლების ინტენსიური და არათანაბარი ჰიდროაბრაზიული ცვეთა. ჰიდროდინამიკური პროცესების დროს კი მილსადენის კედლებზე დატვირთვების სიდიდეების გამუდმებით ცვალებადობა, რაც განაპირობებს მათი სტრუქტურის ინტენსიურ რღვევას. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება მილსადენის სიმტკიცეზე, შესაბამისად მათ ხანგამძლეობაზე და საერთოდ სისტემის ექსპლუატაციის საიმედოობაზე. აქედან გამომდინარე, მოხსენება ეძღვნება სწორედ ამ პროცესების კვლევის შედეგების განხილვას და ანალიზს.

3. ელმავლის თვლების მუშაობის პოპირობები განსაკუთრებით მძიმეა გზის მრუდე მონაკვეთებში, რაც იწვევს ცვეთის ინტენსიობის, ვიბრაციების და ხმაურის ზრდას და დაკავშირებულია ეკონომიკურ პრობლემებთან. წარმოდგენილია ავტორების მიერ დამუშავებული წყვილთვალის ახალი კონსტრუქციის დინამიკური მოდელი და განხილულია მისი ინერციული და დრეკადი ურთიერთქმედება ელმავლის სხვა მასებთან. დამუშავებულია შესაბამისი მათემატიკური მოდელი დეფერენციალურ განტოლებათა სისტემას სახით და მოცემულია მათემატიკური მოდელიერების შედეგები. კვლევები ჩატარებული იქნა არსებული და ახალი წყვილთვალის პირობებში

და შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადასტურდა დინამიური დატვირთვების მნიშვნელოვანი შემცირება.

4. მადნეულის საბადოს სპილენძ-ოქროს ძნელადგასამდიდრებელი მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების პროცესის შესწავლის და რეაგენტების ოპტიმალური სიდიდეების დადგენის მიზნით შ.რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში ლაბორატორიულ პირობებში ცატარდა ექსპერიმენტები. ონაცემების საფუძველზე მოხდა პროცესის კვლევა ავტომატიზაციის თვალსაზრისით: აიგო მმართველ ზემოქმედებებსა და მართულ სიდიდებს შორის წყვილი და მრავლობითი დამოკიდებულებები. შესაბამისმა ნალიზმა აჩვენა, რომ მიღებული შედეგები გამოკვლეული პროცესის ადეკვატურია და მათ საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს ფლოტაციის პროცესის პარამეტრების ოპტიმალური სიდიდეები.
5. მეარი დეფორმირებადი ტანის მოდელირებისა და გაანგარიშების ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდი, რომელიც ეფუძნება დისკრეტიულ წარმოდგენასა და გაანგარიშების სპეციალურ ალგორითმს, გამოყენებული და გასინჯული იქნა ზოგიერთი რთული არასტანდარტული კონსტრუქციის გამოკვლევისას. კერძოდ, კონკრეტული ობიექტისთვის (დევდორაკი,საქართველო) დაპროექტებული და გაანგარიშებული იქნა ღვარცოფის საავარიო დონის სასიგნალიზაციო მოწყობილობის ბაგირ-ღეროვანი სისტემა. ეს არის გარკვეული წესით ერთმანეთთან ღეროებით დაკავშირებული ძირითადად პარალელურად განლაგებული სივრცითი ბაგირების კონა (სიგრძით 250მ), რომელზეც დამონტაჟებულია ღვარცოფის დონის სასიგნალიზაციო სისტემა. საპროექტო გაანგარიშებებისას გათვალისწინებული იყო ლოკატორის სხივების ნაკადის ორიენტაციის სტაბილობის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები, აგრეთვე მოწყობილობის გარკვეულ საზღვრებში გრძივი გადაადგილების შესაძლებლობა და ისეთი შემაშფოთებელი გარემოებები,როგორიცაა, ქარის ბიძგები, ტემპერატურული ნახტომები, ბაგირების მოყინვა. შაკონტროლო გაანგარიშებებმა, რომლებიც პარარელურად შესრულდა ძირითადად სასრულ ელემენტთა მეთოდზე დაფუძნებული სოფტით, დაადასტურა ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდით ამ გაანგარიშებისას მიღებული შედეგების სარწმუნოობა და ამ მეთოდის დადებითი თვისებები და უპირატესობები დიდი ზომების მქონე არაწრფივი არასტანდარტული ბაგირ-ღეროვანი კონსტრუქციებისა და სტრუქტურების მოდელირებისა და გაანგარიშებისას.
6. INOGATE-ს პროექტების ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა ბენეფიციარ ქვეყნებში ევრონორმების და დასავლური სამაგალითო პრაქტიკის დანერგვას, ეს იყო მორიგი ცონფერენცია, რომელიც ძირითადად მიეძღვნა EN1594 სტანდარტის (იგი უკვე საქართველოს სტანდარტია) და მასთან დაკავშირებულ ნორმატიული დოკუმენტების პარმონიზაციასა და ჩვენ პირობებში ადაპტაციას.
7. ძნელად გასამდიდრებელი სპილენძის მადნების ფლოტაციური მეთოდით გამდიდრებისას, რომ მივიღოთ კონდიციური კონცენტრატი მაქსიმალური გამოსავლით და სასარგებლო კომპონენტის ნაკლები დანაკარგით, საჭიროა გამდიდრების წინ გასამდიდრებელი მადნის წინდაწინ მომზადება, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებს მადნიდან დიდი რაოდენობით მსუბუქი ფრაქციის (ფუჭი ქანის)მოცილებას სასარგებლო კომპონენტების ნაკლები დანაკარგით. რაც საწინდარია აღნიშნული მადნის გამდიდრებადობის ხარისხის ამაღლებას. ფუჭი

ქანის მოცილებისთვის ცდები ჩატარებული იქნა გამდიდრების გრავიტაციული მეთოდიდან მიიმე სუსპენზიის ლაბორატორიულ მანქანაზე. კვლევის შედეგებიდან დადგენილი იქნა გასამდიდრებელი მადნის სისხოს ფრაქციის ზღვრები და სუსპენზიის სიმკვრივე, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნულ მანქანაზე მადნების გამდიდრების დიდი რაოდენობით ფუჭი ქანის მოცილებას, სასარგებლო კომპონენტების ნაკლები შემცველობით. მადნის მომზადებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე, ფლოტაციის პროცესისთვის საჭირო საანგარიშო კლასის -0,074 მმ-ის გამოსავლის დადგენა. ამ მიზნით დაფქვადობის პროცესის შესწავლისთვის ცდები ჩატარებული იქნა ლაბორატორიული ტიპის ბურთულეებთან წისქვილზე. ჩატარებული კვლევების საფუძველზე განსაზღვრული იქნა საფლოტაციო პროცესისთვის საანგარიშო კლასის -0,074 მმ -ის ოპტიმალური გამოსავალი და ამ სიდიდეების გათვალისწინებით დადგენილი იქნა შესაბამისი დაფქვის ნახერძლიობა. მადნის ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების წინა მოსამზადებელ პროცესებში (დაფქვა-კლასიფიკაცია) გამონთავისუფლებული ოქრო არ გადადის საკლასიფიკაციო გადანადენში, არამედ კონცენტრირდება ცირკულაციურ დატვირთვაში. დროთა განმავლობაში ოქრო ბრტყელდება ეკვრის წისქვილში არსებულ რკინის ბურთულეებს და გადანადენში გადადის წვრილი მცირე ზომის ფირფიტების სახით. აქედან გამომდინარე რთულდება მისი ამოკრეფა ფლოტაციურ პროცესში და საბოლოოდ ოქრო მიიღება დანაკარგის სახით. დანაკარგების შემცირების მიზნით ცირკულაციური დატვირთვის მასალას გამდიდრებთ გრავიტაციული მეთოდიდან დაღეკვის პროცესით. ცდები ჩატარებული იქნა MOD-ტიპის დიაფრაგმულ საღეკ მანქანაზე სადაც არსებულ მმართველ სიდიდეებთან ერთად შემოგვყავს ახალი დამატებითი მმართველი სიდიდეები, ისეთები როგორცაა წყლის ძირითად რხევებთან ერთად დაბალ ამპლიტუდიანი წყლის დამატებითი რხევები, გაძლიერებული წყლის დაღმავალი ნაკადის სიჩქარე. აღნიშნული სიდიდეების გათვალისწინებით დამღეკ მანქანაზე ცირკულაციური მასალის გამდიდრებისას მივიღეთ კონცენტრატი რომელშიც ოქრო ამოკრეფილია 22,5 % -ით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ.ზვიადაური, გ.გოგია, ნ.არულაშვილი	ელექტრომაგნიტური ვიბრომკვებავის ვიბრაციების ტრაექტორიის მართვა და ფხვიერი მასალების	საერთაშორისო სამეცნიერო- ტექნიკური ინტერნეტ- კონფერენცია “სამთო მომპოვებელი დარგის

		ტექნოლოგიური პროცესების ეფექტურობის გაზრდა	ინოვაციური განვითარება". რივოი როგი, უკრაინა, 2016წ.
2	ა. ბეჟანიშვილი	Еще раз о тангенциальном резании горных пород	Кривой Рог, 50027, Международная научно-техническая инженерная конференция «Иновационное развитие горнодобывающей отрасли». 14 декабря, 2016
3	Leon Makharadze Nikolae Ilias Omar Lanchava Mihai Radu Iosif Andras Roland Moraru	Measures to Ensure Full Reliability of Urban Water Supply Systems	Tirgu-Murs, October 6-7, 2016, Romania The XIth Edition the Annual Conference "The Academic Days of Technical Sciences Academy of Romania"
4	Leon Makharadze Omar Lanchava Nikolae Ilias Mihai Radu Roland Moraru	The Main Aspects of the Durability Encrease of Hydrotransportation Pipeline Systems Providing Exploitation Reliability and Efficiency	Petrosani, 14-15 October, 2016, Romania, 7th International Multidisciplinary scientific symposium "Universitaria Simmpo 2016
5	Leon Makharadze	Aspects of Ensuring Effectiveness, Reliability and Operating Life of Pressure Pipeline Hydrotransport Systems	Кривой Рог, 50027, Международная научно-техническая инженерная конференция «Иновационное развитие горнодобывающей отрасли», 14 декабря 2016
6	Н.Молодини Р. Мододини Ш.Келептришвили	ЕЩЕ РАЗ О ЗАДАЧЕ ПЕТРОВА – ЖУКОВСКОГО	Кривой Рог, 50027, Международная научно-техническая инженерная конференция «Иновационное развитие горнодобывающей отрасли». 14 декабря, 2016
1. სისტემური მიდგომის საფუძველზე მიღებულია სისტემის "ვიბროამპზნები-მუშა ორგანო-ტექნოლოგიური დატვირთვა" სივრცითი მოძრაობის მოდელი. მიღებულია სისტემაში შემადგენელი ელემენტების ურთიერთდაკავშირებული დიფერენციალური განტოლებები. გამოკვლეულია სხვადასხვა პარამეტრების (მათ შორის მუშა ორგანოს სივრცითი არა მუშა რხევებისა) გავლენა ტექნოლოგიურ დატვირთვაზე.			

ამოვლენილია ის რხევები, რომლებიც მუშა რხევებთან კომბინაციაში ხელს უწყობენ ფხვიერი მასის ტრანსპორტირების სიჩქარის გაზრდას. შექმნილია ელექტრომაგნიტური ვიბრომკვებავის ახალი კონსტრუქცია და გაკეთებულია სათანადო საპატენტო განაცხადი.

2. კრივოი რიგის ნაციონალური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ინტერნეტ კონფერენციაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ მასალაში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება ტანგენციური ჭრის დროს ჭრის რეჟიმის პარამეტრების და ინსტრუმენტის გეომეტრიის გავლენას ქანის დაშლის ძალებსა და ხვედრით ენერგოდანახარჯებზე, მათ შორის ჭიათურის საბადოს მანგანუმის მადნის ჭრისას. ჭიათურის მადნების დაშლისას, რომლებიც გამოირჩევიან მომატებული ტენიანობით, ჭრის ძალვა და ხვედრითი ენერგოდანახარჯები დასაწყისშივე მნიშვნელოვნად იზრდება, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ მადანი ეწეება საჭრისის მჭრელ წიბოს, მკვრივდება, წარმოიქმნება დატკეპნილი ბირთვი, მჭრელი წიბო ხელოვნურად ბლაგვდება და ამის გამო მკვეთრად მატულობს ჭრის ძალები და ხვედრითი ენერგოდანახარჯები. განხილულია მჭრელი იარაღის ცვეთამდეგობის გაზრდის გზები. იმის გათვალისწინებით, რომ ქანების ტანგენციური ხერხით ჭრისას საჭრისის ქანთან კონტაქტის გზის სიგრძე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე განმეორებითი ჭრისას, ტანგენციური ჭრის სახეობის შერწყმა საჭრისებთან, რომლებიც არმირებული არიან მყარი შენადნობის ორშრიანი ფირფიტებით, საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ხვედრითი დანაკარგები ინსტრუმენტზე.

3. განხილულია დიდი ქალაქების წყალმომარაგების სისტემების (წყალსადენების) ჰიდრაულიკური დარტყმებისაგან დაცვის ასპექტები, რომლებიც ეფუძნება გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში შესრულებულ ფართომასშტაბიან თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს, კერძოდ: წყალმომარაგების მილსადენი მაგისტრალის პროფილისგან დამოკიდებულებით ჰიდრაულიკური დარტყმების წარმოქმნის და განვითარების მიზეზები; ჰიდრაულიკური დარტყმების დროს წნევის ნახარდის გამოთვლის ალგორითმები; წნევის ნახარდის დასაშვებ დონემდე დემპფირების საშუალებები (მოწყობილობები), რომლებიც შექმნილია და გამოცდილია ასევე გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში. მათი ორიგინალურობა (სიახლე) და სარგებლიანობა (ეფექტურობა) დაცულია საავტორო მოწმობებითა და პატენტებით.

4. მოცემულია ანალიზი გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოებისა სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მილსადენი მაგისტრალების როგორც სწორხაზოვანი, ასევე არასწორხაზოვანი (მოსახვევების) უბნების მოცემულია ანალიზი გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოებისა სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მილსადენი მაგისტრალების როგორც სწორხაზოვანი, ასევე არასწორხაზოვანი (მოსახვევების) უბნების ჰიდროაბრაზიული ცვეთისა, აგრეთვე ანალოგიურ სისტემებში გარდამავალი რეჟიმების და დაუმყარებელი პროცესების დროს წნევების ცვალებადობის დროს წნევების ნახარდის მნიშვნელობების დასადგენად. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მილსადენი მაგისტრალების სიმტკიცეზე გაანგარიშებისას მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ორივე ფაქტორი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო

სისტემების ხანგამძლეობის გაზრდას (ექსპლუატაციის ვადების გაზრდას), საიმედოობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას.

5. კრივოი როვის ნაციონალური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ინტერნეტ კონფერენციაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ მასალაში ასახულია გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მიღსადენ ჰიდროსატრანსპორტო სისტემებში შესრულებული უმნიშვნელოვანესი სამუშაოების მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებულ კვლევების ძირითად შედეგებს, რომლებსაც ინტერნეტის საშუალებით შეიძლება გაეცნოს მთელი მსოფლიო და შერჩეული თემატიკის მიხედვით მოხდეს მკვლევართა დაკავშირება შემდეგი კვლევების განვითარებისათვის ან უკვე მიღებული შედეგების რეალიზებისათვის.
6. მოხსენებაში წარმოდგენილია მანქანათმშენებლობისათვის ტრიბოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანების: ხახუნის ძალების რეგულირების, საკონტაქტო ზედაპირების ცვეთისა და შეზეთვის როლის შესახებ. მოტანილია ვაკუუმდოლოური ამძრავით მოქნილ საწვევ ორგანოზე (საკონვეიერო ლენტზე) წვევის ძალების რეალიზაციის მრავალწლიანი კვლევის შედეგები. გათვალისწინებულია მეცნიერთა კვლევებით მიღებული შედეგები (მაგალითად, **Kummer H. W.** Unified theory of rubber and tire friction. Eng. Res. Bulletin, B-94, penn.StateUniv., 1966. –ის მიხედვით ჩაჭიდების კოეფიციენტი $\mu=5$) და დასახულია სამთამადნო პირობებისათვის ნაცვლად უკვე ჩვენს მიერ მიღებული შედეგებისა ($\mu=0,7 - 0,8$) გაიზარდოს ($\mu=1,5 - 2$) და შესაბამისად წვევის ფაქტორი $e^{\mu} \geq 20-30$. პარალელურად წარმოდგენილია ამძრავის რგოლურ ჭვრიტში ლენტის ქვეშ პეტროვ-უეკოვსკის ამოცანის შესაბამისი „შედარებითი სიმშვიდის“ და „დრეკადი სრიალის“ რკალების სიდიდეთა რეგულირებით მოქნილი საწვევი ორგანოს დაჭიმულობათა ეპიურის სახესხვაობის მიღების შესაძლებლობა, რაც ამძრავის სიმძლავრის შესაბამისად უზრუნველყოფს დრეკადი სრიალის სიჩქარის რეგულირებას.

სამშენებლო ფაკულტეტი

2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში

საინჟინრომექანიკისა და მშენებლობაში ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი თ. ბაციკაძე

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ფერდობის სტატიკური მდგრადობის კრიტერიალური პირობები, ზევისებრი ნაკადების დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება, პროგნოზირება და დაცვითი ღონისძიებები. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი. 2015წ.	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ტარიელ კვიციანი	ს. ავალიანი გ. ხუციშვილი

1. გადაწყვეტილია საგრანტო ხელშეკრულების II-III პერიოდში (05.11.2015-05.11.2016წწ.) დასახული ყველა ამოცანა. კერძოდ: ნაშრომში ფერდოსმდგრადობის ხარისხი შეფასებულია მდგრადობის მარაგის კოეფიციენტით (დაცურების წირის სიმრუდის ცენტრის მიმართ დამჭერი ძალების მომენტების ალგებრულ ჯამის ფარდობით იმავე წერტილის მიმართ მძვრელი ძალების მომენტების ალგებრულ ჯამთან). დაცურების წირის ყოველი წერტილის მცირე მიდამოსთვის მიღებულია მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა. აგრეთვე, საშიში დაცურების წირის განსახილველ წერტილში სიმრუდის რადიუსისა და სიმრუდის ცენტრის კოორდინატების გამოსათვლელი ფორმულები. ფერდოს ჩამონაქვევი მასის შესაძლო დაცურების წირის მისაღებად გათვალისწინებულია ფერდოზე მოქმედი რთული ბუნებრივი ფაქტორები, დროებითი და უეცარი დატვირთვები (მიწისძვრები ზემოქმედებით ირლვევა ქანებში დამყარებული ბუნებრივ რეჟიმი, იცვლება დამაბულობის ველი და წარმოიშვება დეფორმაციები. მიღებული შედეგების ანალიზით დადგენილია და გამოყოფილია დაცურების წირი,

რომელიც მდგრადობის დაკარგვის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, და, რომელიც მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოითხოვს დაცურების კონტურის გასწვრივ შეჭიდულობის ძვრაზე მარაგის კოეფიციენტისათვის მიღებულია $\tau(S)$ ფუნქციის ის მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც განსხვავებულ უბანზე ფერდოსსტატიკური მდგრადობის ნამდვილ საზომს წარმოადგენს. კვლევის შედეგებით შესაძლებელია დადგენილი იქნეს ფერდოსმასივის ჩამონგრევის ზონები. განვიხილეთ მეწყერ-ჩამონაქცევი ზედაპირის განსაზღვრავად სივრცითი ამოცანა. პირველადაა გამოყვანილი კერძოწარმოებულნი დიფერენციალური განტოლება, რომელსაც აკმაყოფილებს მთის ქანების ფერდობის მეწყერ-ჩამონაქცევების საშიში დაცურების ზედაპირის ამსახველი ზღვრული წონასწორობის განტოლება.

გათვალისწინებულია მთის ქანების დამახასიათებელი შეჭიდულობის კოეფიციენტი, ბუნებრივი ქანობის კუთხე და მოცულობითი წონა. შესრულებულია მიღებული დიფერენციალური განტოლების ზოგადი ანალიზური გამოკვლევა. მასში შემავალი პარამეტრების გარკვეული თანაფარდობისათვის დადგენილია ფერდობის სტატიკური მდგრადობის კრიტერიალური პირობები. ჩატარებულია მიღებული დიფერენციალური განტოლების ზოგადი ანალიზური გამოკვლევა. მასში შემავალი პარამეტრების გარკვეული თანაფარდობისათვის დადგენილია ფერდობის სტატიკური მდგრადობის კრიტერიალური პირობები..

მოყვანილია ფერდოს მეწყერ-ჩამონაქცევი მასის საშიში დაცურების ზღვრული ზედაპირის ამსახველი კერძოწარმოებულნი დიფერენციალური განტოლების ამოსახსნელად საჭირო საწყისი პირობები და დადგენილია დიფერენციალური განტოლებების ამოხსნადობის აუცილებელი პირობა. განხილულია კომის ამოცანა. შედგენილია რთული ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს კომის ამოცანის ამონახსნს, და, რომელიც განსაზღვრავს ფერდოს გრუნტის მასის დაცურების ზედაპირს. მოყვანილია კომის ამოცანის ამოხსნის კერძო შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ამ ამოცანის ამოხსნის აგება კონსტრუქციული გზით. კერძოწარმოებულნი დიფერენციალური განტოლების კომის ამოცანა დაყვანილია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში კომის ამოცანაზე და ჩატარებულია მთელი-რიგი კერძო შემთხვევების გამოკვლევა და ანალიზი.

შესრულებულია გამოკვლევები (თეორიული და საველი) ისეთ აქტუალურ ამოცანებზე, როგორებიცაა მეწყერის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა და ოპტიმალური საინჟინრო ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა. ამ ამოცანების გადასაჭრელად დაავადინეთ, რომ პირველ რიგში საჭიროა ჩატარდეს ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით საველი გამოკვლევები. საველი გამოკვლევის კომპლექსში იგულისხმება: ტოპოგრაფია (მიწის ზედაპირის გეომეტრია), გეოლოგია (სამთო ტექნიკური ფაქტორების ზემოქმედება), ჰიდროგეოლოგია (წყლის რეჟიმი, კლიმატური პირობები), მცენარეულობის საფარი, ფერდოს დახრილობის ცვლილების ისტორია და მეწყერის ტიპები (ბრუნვითი და ტრანსლიაციური). მეწყერის წარმოქმნის შემდეგ საჭიროა, აგრეთვე განისაზღვროს დაცურების ზედაპირის ფორმები და ყოველივე ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს გამაგრებითი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა. მოყვანილიადა დეტალურად არის აღწერილი, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მეწყერის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად გამაგრებითი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვისათვის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საჭირო პარამეტრის გამოკვლევის მეთოდი.

მოყვანილია მეწყერის სტაბილიზაციის უზრუნველყოფის, ოპტიმალური საინჟინრო ღონისძიებების შერჩევისა და განხორციელების მეთოდები. კვლევის საფუძველზე ეს მეთოდები მიმართულია ან დამძვრელი ძალების შემცირებისკენ, ან შემკავებელი ძალების გაზრდისკენ. რაც გამოიწვევს ფერდოს მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის გაზრდას.

I. 4

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"მოსაპირკეთებელი ქვის ბლოკების აფეთქებით მოპოვების თეორიული საფუძვლები და ტექნოლოგია"	სახელმწიფო გრანტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რუდოლფ მიხელსონი , სერგო ხომერიკი, მარინე ლოსაბერიძე
<p>1. საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვების კატალოგის შედგენა და გამოცემა; 2. მოსაპირკეთებელი ქვის მასივის დამზოგი აფეთქებებით მიმართული მოხლეჩის თეორიული საფუძვლების შემუშავება; 3. ქანში გარდატეხილი კაბვის ტალღების პარამეტრების განსაზღვრა; 4. ფეთქებადი ნივთიერების წრფივი და გარე მუხტების პარამეტრების კვლევა; 5. აფეთქებით ზემოქმედების შედეგად ქანის შესუსტების ზონების რადიუსების დადგენა; 6. ბლოკებიდან მოსაპირკეთებელი ფილების გამოსავლიანობაზე მრავალჯერადი აფეთქებების ზეგავლენის განსაზღვრა; 7. დამზოგი აფეთქებებით ქანის მიმართული მოხლეჩვის ტექნოლოგიური პარამეტრების ინჟინრული გათვლის მეთოდის შემუშავება.</p>			

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. ბაციკაძე, ჯ. ნიჟარაძე	Основы теории упругости и пластичности (ნაწილი პირველი)	წარდგენილია სამშენებლო ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოზე განსახილველად	
2	გურამ ბაღათურია	მასათა გეომეტრია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	

			სახელმძღვანელო მომზადებულია გამოსაქვეყნებლად	
<p>1. ავტორები: თ. ბაციკაძე,ჯ. ნიჟარაძე</p> <p>სახელმძღვანელო Основы теории упругости и пластичности რუსულ ენაზე, ნაწილი პირველი.</p> <p style="text-align: center;">ა ნ ო ტ ა ც ი ა</p> <p>სახელმძღვანელო შეიცავს ამ საგნის სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა საკითხს და შედგება 156 გვერდისა და 58 ნახაზისაგან. მასალა გადმოცემულია შესავალსა და ხუთ თავში, რომელთაგან თითოეულს დართული აქვს კითხვა-პასუხები.</p> <p>სახელმძღვანელოში შესულია შემდეგი თავები: 1. ძაბვებისა და დეფორმაციების თეორია. 2. დრეკადობის თეორიის ძირითადი თანაფარდობანი და თეორემები. 3. დრეკადობის თეორიის ამოცანების დასმა და ამოხსნის მეთოდები. 4. დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანა დეკარტეს კოორდინატებში. 5. დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანა პოლარულ კოორდინატებში.</p> <p>სახელმძღვანელოში მოყვანილია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა კონკრეტული მაგალითი და ნაჩვენებია მათი ამონახსნის გზები.</p>				
<p>2. მყარი სხეულის გადატანითი მოძრაობისას ინერტულობის ზომას წარმოადგენს მისი მასა, ხოლო მყარი სხეულის ბრუნვითი მოძრაობისას ინერტულობის ზომა არის სხეულის ინერციის მომენტი ბრუნვის ღერძის მიმართ.</p> <p>მყარი სხეულის დინამიკის შესწავლა იწყება მასათა გეომეტრიით. მყარი სხეულის ნებისმიერი მოძრაობის შესწავლისას აუცილებელია მისი მასათა ცენტრისა და ინერციის მომენტის გამოთვლა.</p> <p>წიგნში მოცემულია მასათა ცენტრისა და ინერციის მომენტების თეორია და ამოხსნილია ყველა ამოცანა ი.ვ. მეშჩერსკის თეორიული მექანიკის ამოცანათა კრებულის 36-ე გამოცემიდან. წიგნი ძირითადად განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ის გამოადგება აგრეთვე ინჟინრებს, რომლებსაც საკმე აქვთ მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობის გაანგარიშებასთან.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი,	ბჰპრდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	-------------------	---------------------

				გამომცემლობა	ნობა
1	თ. ბაციკაძე, ნ. მურღულია, ჯ. ნიჟარაძე, ვ. სოხაძე	ინტეგრირებული-დიფერენციალური განტოლების ეკვივალენტური დიფერენციალური განტოლების მიღება რხევის მიღვევადობის გათვალისწინებით	№1(40) 2016წ.	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	4 გვ.
2.	Бацикадзе Т.В., Мургулия Н.Н., Нижарадзе Дж.А.	Поведение фундаментов под энергетические машины в резонансной зоне при пусковом режиме	გამზადებუ ლია გამოსაცემად	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა”	
3	თ. ბაციკაძე, ნ. მურღულია, ჯ. ნიჟარაძე	ცილინდრული გარსების მდგრადობის საკითხისათვის	გამზადებუ ლია გამოსაცემად		
4	თ. ბაციკაძე, ნ. მურღულია, ჯ. ნიჟარაძე	შედგენილი ცილინდრული გარსის არასტაციონარული დეფორმაციის საკითხისათვის	გამზადებუ ლია გამოსაცემად		
5	თ. ბაციკაძე	აგროსაინჟინრო კომპლექსის ტექნიკური პარკის ზოგიერთი ასპექტი		სამეცნიერო ჟურნალი „ ეკონომიკა”	5 გვ.
6	ა. ხაბეიშვილი, რ.გიორგობიანი	„კომპურა ამწის მდგრადობა ინერციის ძალის გათვალისწინებით“	ჟურნალი „განათლება“ 2016 1(15)	ჟურნალი „განათლება“ სტუ	
7	რ.გიორგობიანი, ვ. სოხაძე	„სქელკედლიანი ცილინდრის განგარიშება რთული დეფორმაციის პირობებში“	ჩაშვებულია გამოსაცემად	ჟურნალი „მშენებელი“ სტუ	
8	ტ. კვიციანი	ფერდოს გრუნტის ზღვრული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ცვლილება სამთო სამუშაოების შესრულების პროცესში.			

		სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალ „მშენებლობა“			
9	ტ. კვიციანი	მთის ქანების ფერდობის მდგრადობაზე გაან -გარიშება ზღვრული დაძაბული მდგომარეობის მეთოდით. სამეცნიერო- ტექნიკურ ჟურნალი „მშენებლობა“			
10	ლიდა ბერიძე, დავით გორგიძე, რუსუდან გოგიბერიძე	თეორიული მექანიკის სწავლება საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები			
11	ზ. ციციშვილი	„მილისებრწყალშემკრებში გრუნ ტისწყლების ფილტრაციის ამოცანის ნისრიცხვითი რეალიზაცია“			
12	ზ. ციციშვილი	“წყალშეუღწევადი მრუდწირული ფუძის მქონე მიწის კაშხლისათვის ფილტრაციის ამოცანის ამოხსნის რიცხვითი ალგორითმი”			
13	Levan Jikidze Varden Tsutskiridze	Unsteady rotation problem of the motion infinite porous plate with the falling stream of the conductive fluid with account of magnetic field and heat transfer in case of variable electric conductivity and injection velocity. <i>Georgian Technical University. Transactions</i>			
14	Varden Tsutskiridze Levan Jikidze	Thenonstationary flow of a conducting fluid in a plane pipe in the presence of a transfer magnetic			

		field. <i>Transactions of A.Razmadze Mathematical Institute</i>			
15	გურამ ბაღათურია	ეილერის ფორმულის გამოყვანა მყარი სხეულის სფერული მოძრაობისათვის მეცნიერება და ტექნოლოგიები			
16	G. Kipiani D. Jankarashvili, A. Tabatadze, K. Iashvili, L. Kristesiahvili	ANALYSIS OF ROTATING CIRCULAR RING DISK HAVING CONSTANT THICKNESS RIGIDLY FIXED BY INNE	კონფერენც იის შრომების კრებული		
17	დ. ჯანყარაშვილი, დ. ტაბატაძე	გამჭიმავი ცენტრიდანული ძალების გავლენა დისკის კუთხურ სინქარესა და დატვირთვის ინტენსივობას შორის, მუდმივი სისქის მქონე შიდა კონტურით თავისუფლად დაყრდნობილი ბრუნავი დისკის გაანგარიშებისას.	მშენებლობა №2(41),2016		
18	ე. ქრისტესიაშვილი ლ. ზამბახიძე, გ. კოდუა	მშენებლობის ხარისხის თანამედროვე სტანდარტები	სტუდენტთა 84-ე დია სამეცნიერო კონფერენცი ა, მოსვენებათა თეზისები, 2016		
19	დ. ჯანყარაშვილი, დ. ტაბატაძე	გამჭიმავი ცენტრიდანული ძალების გავლენა შიდა კონტურით სახსრულად დაყრდნობილი ბრუნავი დისკის გაანგარიშებისათვის	მშენებლობა №(42),2016		

20	ლოსაბერიძე მარინე	პერიოდული ნორმალური დატვირთვით გამოწვეული დრეკად-პლასტიკური ნახევარსიბრტყის შეშფოთება	„სამთო ჟურნალი“ №2(37), 2016 თბილისი „პოლიგრაფი სტი		
21	Losaberide Marina Vazagashvili Mamuka Tutberidze Mikheil	Determination of the Stress Field the Brittle Rock Caused by Quasi-Static Load	Transactions of the VSB Civil Engineering Series. Vol. 16, №1, paper#8	Technical University of Ostrava, 2016	4

1. სტატიაზე : „ინტეგრ-დიფერენციალური განტოლების ეკვივალენტური დიფერენციალური განტოლების მიღება რხევის მილევადობის გათვალისწინებით“

ავტორები:თ. ბაციკაძე,ნ. მურღულია,ჯ. ნიჟარაძე, ვ. სოხაძე

ა ნ ო ტ ა ც ი ა

განიხილება ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე სისტემა გარდამავალი რეჟიმების დროს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემის რხევის მილევადობის გათვალისწინებას.ნაშრომში შიდა ხახუნით გამოწვეული რხევის მილევადობა გათვალისწინებულია მემკვიდრეობითობის წრფივი ბლანტ-დრეკადი თეორიით.

მათემატიკური მოდელი აისახება მეორე რიგის ინტეგრ-დიფერენციალური განტოლებით, რომლის ინტეგრალური ნაწილი ვოლტერას ტიპისაა. „გარდაქმნის“ მეთოდზე დაყრდნობით მიღებული ინტეგრ-დიფერენციალური განტოლება დაიყვანება ეკვივალენტურ სრულ მეორე რიგის დიფერენციალურ განტოლებაზე, რომლის ამოხსნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

2. Бацикадзе Т.В., Мургүлия Н.Н., Нижарадзе Дж.А.

Поведение фундаментов под энергетические машины в резонансной зоне при пусковом режиме

ა ნ ო ტ ა ც ი ა

შეისწავლება ტურბოგენერატორების ფუნდამენტების რხევები რეზონანსული ზონის გავლისას ანუ შეისწავლება არასტაციონარული რხევები.

ამოცანა დაიყვანება ჩართვის რეჟიმში რეზონანსული ზონის გავლისას, ერთი თავისუფლების ხარისხის მქონე სისტემის ვერტიკალური რხევების გამოკვლევაზე. სისტემის მასა შედგება ზედა საყრდენი ფილის, მანქანისა და დგარების მასებისაგან. ზამზარათა სიხისტე მოიცავს თავისთავში დგარების დაყვანილ სიხისტეებს.

მათემატიკური მოდელი განისაზღვრება მეორე რიგის ინტეგრ-დიფერენციალური განტოლებით. დადგენილია, რომ რხევები მცირდება მცირე პარამეტრის β ($0 < \beta \ll 1$), რომელიც

ახსნიათებს ამპლიტუდების ცლილების სიჩქარეს, ზრდისას.

3. თ. ბაციკაძე, ნ. მურღულია, ჯ. ნიჟარაძე

ცილინდრული გარსების მდგრადობის საკითხისათვის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

შეისწავლება ცილინდრული გარსის მდგრადობა კიდებზე ღერძსიმეტრიული, თანაბრად განაწილებული მკუმშავი დატვირთვის მოქმედებისას.

ამოცანა მდგომარეობს ცილინდრულ კოორდინატებში ჩაწერილი ცნობილი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების გარდაქმნაში ჩვეულებრივ, მუდმივი კოეფიციენტებიან, არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებებათა სისტემად საძიებელი u და w ფუნქციების მიმართ. ამისათვის გამოყენებულია $z_n(z)$ ცილინდრული ფუნქციის რეკურენტული თანაფარდობანი. განშლის კოეფიციენტები განსაზღვრულია სასაზღვრო პირობების ორივე ჯგუფიდან.

6. კოშკურა ამწის მდგრადობა ინერციის ძალის გათვალისწინებით

ავტორები: ა.ხაბეიშვილი, რ. გიორგობიანი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია სამშენებლო კოშკურა ამწის მდგრადობა ინერციის ძალის გათვალისწინებით. განსაზღვრულია დამატებითი ტვირთის სიდიდე, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადობის მოცემულ კოეფიციენტს და არსებითად ზრდის კოშკურა ამწის ტვირთამწეობას

7. სქელკედლიანი ცილინდრის გაანგარიშება რთული დეფორმაციის პირობებში

ავტორები: რ. გიორგობიანი, ვ. სოხაძე

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია ღრუტანიანი წრიული კვეთის სქელკედლიანი ცილინდრი, რომელიც დამზადებულია უკუმშვადი იზოტროპული მასალისაგან. იგი განიცდის ერთდერძა გაჭიმვას ცილინდრის ღერძის გასწვრივ, განივ ძერძას, რომელიც მხოლოდ ცილინდრის ღერძამდე მანძილზეა დამოკიდებული, გრეხას, რომლის დროსაც გრეხის კუთხე პროპორციულია დეფორმაციამდელი ცილინდრის ერთ-ერთ ზედაპირამდე მანძილისა. მიღებული გამოსახულებების გამოყენებით შესაძლებელია სქელკედლიანი ცილინდრების გაანგარიშება რთული სახის დეფორმაციის შემთხვევაში.

8. ანოტაცია

განხილულია სამთო სამუშაოების შესრულებისას ფერდობის მდგრადობის ამოცანის ამოხსნა ზღვრული დამაბული მდგომარეობის მეთოდით, როცა ფერდოს მასივი შეიცავსშესუსტებულ ზედაპირებს $K' < K$ და $\rho' < \rho$ მახასიათებლებით. ამოცანის გადასაწყვეტად დადგენილია აუცილებლობის პირობა, რომ გრუნტის სუსტ კონტაქტის წერტილებში ერთდროულად კმაყოფილდებოდეს ჩვეულებრივი და სპეციალური ზღვრული წონასწორობის პირობები. ამასთან $\theta = f(K', \rho', K, \rho, \sigma)$ ფუნქციონალური დამოკიდებულება განსაზღვრულია ანალიზურურად. ამოცანის გადასაწყვეტად დადგენილია სასაზღვრო პირობები და მიღებულია დამოკიდებულობები, რომლებიც მართებულია არა მარტო ზღვრული დამაბული მდგომარეობისთვის, არამედ ზღვრული წონასწორობის პირობისთვისაც.

9. ანოტაცია

განხილულია ფხვიერი გარემოს ზღვრული დამაბულობის თეორიის ბრტყელი ამოცანა. გამოყენებულია დრეკადობის თეორიის დამაბული მდგომარეობაში ნებისმიერად წრფივად დეფორმირებადი სხეულებისათვის წონასწორობის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. მიღებულია დაცურების წირის გასწვრივ მახასიათებლებისათვის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა, ხოლო სასრული სხვაობებით ალგებრული განტოლებათა სისტემა, რომლიც საშვალებას იძლევა მიახლოებით განვსაზღვროთ უცნობი სიდიდეები, აგრეთვე მინიმალური და მაქსიმალური დამაბული მდგომარეობის ჯდენისა და ამობურცვის

10. ანოტაცია

განიხილება თეორიული მექანიკის დისციპლინის სწავლების მეთოდების სრულყოფის საკითხები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსური გამოყენების საფუძველზე. თანამედროვე უმაღლესი განათლების დაწესებულებათასასწავლო პროცესში დღეს ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. თეორიულიმექანიკა ზოგადი საინჟინრო დისციპლინების აუცილებელი თეორიული საფუძველია, რომელიც მოიცავს მასალათა გამძლეობას, მანქანათა ნაწილებს, ჰიდრაულიკას, რხევათა თეორიას და სხვა. ნაშრომში წარმოდგენილია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ერთ-ერთი ფუნდამენტური, ზოგადი სამეცნიერო დისციპლინის, თეორიული მექანიკის სწავლების საკითხი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით.

11. ანოტაცია

ნაშრომში განხილულია გრუნტის წყლების დამყარებული ფილტრაციის ამოცანა არასრულყოფილი წყალშემკრებისათვის, რომელიც კვეთაში დაახლოებით წრიული ფორმისაა. თეორიულად ვუშვებთ, რომ წყალშემკრები უსასრულო სიგრძისაა და მასში წყლის დონე ისეთია, რომ შესაძლებელია გრუნტის წყლების მოდინება გამოჟონვის შუალედის გარეშე.

გრუნტი ითვლება ერთგვაროვნად და იზოტროპულად, ხოლო გრუნტის წყლების მოძრაობა ემორჩილება დარსის კანონს. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია, კერძოდ კონფორმული გადასახვის მეთოდები. ამოცანა ამოხსნილია ანალიზურად და მიღებულია განტოლებათა სისტემა გრუნტის წყლის ხარჯის და ფილტრაციული ნაკადის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საპოვნელად.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, თეორიულად მიღებული ამოხსნის ალგორითმის შემოწმება პროგრამა “MathCAD” -ის გამოყენებით რიცხვითი შედეგების მისაღებად.

მიღებული რიცხვითი შედეგები ამტკიცებს ამოცანის ამოხსნის ალგორითმის სისწორეს და გვაძლევს საშუალებას, დასმული ამოცანის პირობებიდან გამომდინარე, მიღებული იქნას წინასწარი შედეგები, რომლებიც ახასიათებენ ფილტრაციული ნაკადის ჰიდრომექანიკურ პარამეტრებს.

12. ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სითხის ფილტრაციის ბრტყელი ამოცანა მიწისზღუდარისათვის (კაშხლისათვის), რომელსაც გააჩნია მრუდწირული ფუძე და ფერდოგამოჟონვის შუაღედის გარეშე. სითხის მოძრაობა ერთგვაროვან, იზოტროპულ, არადეფორმადარეში ემორჩილება დარსის კანონს. ამოცანა ამოხსნილია კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის – კონკრეტულად ქრისტოფელ-შვარცის ფუნქციის გამოყენებით. ამოხსნის თეორიული ალგორითმი საშუალებას იძლევა მოიძებნოს ფილტრაციული ნაკადის უცნობი პარამეტრების მნიშვნელობები. ამ ალგორითმის შესამოწმებლად პროგრამა “MathCAD”-ის საშუალებით მიღებულ განტოლებებზე დაყრდნობით მოძებნილია რიცხვითი შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილის სახით. გამოთვლების შედეგები ამტკიცებს თეორიული ამოხსნის სისწორეს და გვაძლევს საშუალებას, ამოცანის პირობებზე დაყრდნობით გამოვთვალოთ ფილტრაციული ნაკადის მახასიათებელი პარამეტრების მნიშვნელობები.

13. ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია სიჩქარის $v_r = ar$, $v_\phi = 0$, $v_z = -2az$ კომპონენტების მქონე გამტარი სითხის დამცემი ნაკადით უსასრულო ფოროვანი ფირფიტის ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით. იგულისხმება, რომ ფირფიტის მართობულად მოქმედებს ერთგვაროვანი მაგნიტური ველი, ფირფიტაში ხდება იმავე სითხის გამოჟონვა v_w სიჩქარით და ფირფიტასა და სითხეს შორის მიმდინარეობს სითბოგადაცემის პროცესი. ამოცანაში განხილულია შემთხვევა, როცა ელექტროგამტარებლობის კოეფიციენტი და გამოჟონვის სიჩქარე წარმოადგენენ ტემპერატურაზე დამოკიდებულ $\sigma = \sigma_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$, $v_w = v_0 \left(1 - \frac{T}{T_\infty}\right)$ სახის ფუნქციებს.

ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია გამტარი სითხის მოძრაობის ნავიე-სტოქსის განტოლებები და ენერჯის განტოლება ჩაწერილი ცილინდრულ კორდინატებში. კარმანის განზოგადოებული ჩასმების გამოყენებით ეს არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები დაყვანილია ჩვეულებრივ არაწრფივ დიფერენციალურ

განტოლებებზე და ამოხსნილია მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.

დინამიკური და სითხური სასაზღვრო ფენათა სისქეების განსასაზღვრავად მიღებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლებები და ჩაწერილია მათი ზუსტი ამოხსნები ზოგიერთ კერძო შემთხვევაში, როდესაც გამოჟონვის სინქარე იცვლება სხვადასხვა კანონით და სასაზღვრო ფენათა სისქეებს შორის არსებობს $\delta_T(t) = \gamma\delta(t)$ სახის დამოკიდებულება. გამოთვლილია დინების ყველა ფიზიკური მახასიათებელი

14. ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის არასტაციონარული დინება უსასრულო სიგრძის ბრტყელ მილში განივი მაგნიტური ველის მოქმედების შემთხვევაში.

ლაპლასის გარდაქმნების გამოყენებით ნაპოვანია გამოსახულებები სითხის სინქარის კომპონენტებისათვის, აგრეთვე მაგნიტური და ელექტრული ველებისათვის, როდესაც სითხისა და მილის კედლების ელექტროგამტარებლობა ნებისმიერია. ამოხსნები წარმოდგენილია კომპლექსური ინტეგრალების სახით და გამოთვლილია იმ კერძო შემთხვევაში, როდესაც მილის კედლები იდეალურად გამტარია.

15. ანოტაცია

სტატიაში მოცემულია მყარი სხეულის სფერული მოძრაობის დროს სინქარეთა განაწილებისათვის ეილერის ფორმულის გამოყვანა. მყისი კუთხური სინქარის გეგმილები გამოსახულია მყარ სხეულთან დაკავშირებული მოძრავი საკოორდინატო დერძების მიმართული ვექტორებისა და მათი წარმოებულების საშუალებით. ნაჩვენებია, რომ მყისი კუთხური სინქარის ვექტორი ერთადერთია. ამის შემდეგ ვღებულობთ ეილერის ფორმულას, რომელიც აკავშირებს მყარი სხეულის ნებისმიერი წერტილის სინქარეს ამ სხეულის მყის კუთხურ სინქარესთან.

16. ანოტაცია

Dynamic studies of modern high-speed electromechanical follow-up drives are interfaced with taking into account of elastic properties of mechanical transmission elements that in turn, requires further improvement of methods and techniques associated with optimization parametric and structural synthesis of systems under study. In this paper are considered the methodological approaches and original mathematical relationships, aimed at further improvement of methods of dynamic synthesis of drive systems with elastic links in the mechanical part.

17. ანოტაცია

დრეკადი რგოლური ხისტად ჩამაგრებული დისკის ღუნვა ცენტრიდანულ ძალთა ველში დაიყვანება ორ ცვლად კოეფიციენტების მქონე დიფერენცული განტოლების ამოხსნაზე. ამ ორი დიფ განტოლების ნაცვლად იხსნება მათი ექვივალენტური ვოლტერის ტიპის ინტეგრალური განტოლება რიცხვითი მეთოდით, შემოთავაზებული მ.შ. მიქელაძის მიერ. რიცხვითი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ ზღვრული დამოკიდებულება დისკის კუთხურ სინქარეს და დატვირთვის ინტენსიობას შორის დრეკად სტადიაში, გამჭიმავი

ცენტრიდანული ძლების გათვალისწინებით და მის გარეშე არის 2,42%-ის ფარგლებში

18. ანოტაცია

სამშენებლო პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით და პროექტით დადგენილი საექსპლოატაციო თვისებების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით სამშენებლო პროდუქცია აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში დადგენილია და აქტიურად გამოიყენება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტების ISO 9001 სერია, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნებს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელსაც სჭირდება მომხმარებლის მოთხოვნის მუდმივად დაკმაყოფილებისა და მიმდინარე ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დემოსტრირება.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ინსტრუმენტული, ექსპერტული და შედარებითი მეთოდები. პირველი მეთოდი დაფუძნებულია გამზომი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, მეორე მეთოდი ეფუძნება ექსპერიმენტულ შეფასებებს, მესამე მეთოდი – ახდენს ხარისხის ფაქტიურ მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების შედარებას შესაბამის სტანდარტებთან

19. ანოტაცია

დრეკადი რგოლური თავისუფლად დაყრდნობილი დისკის ღუნვა ცენტრიდანულ ძალთა ველში დაიყვანება ორ ცვლად კოეფიციენტების მქონე დიფერენცული განტოლების ამოხსნაზე. ამ ორი დიფ განტოლების ნაცვლად იხსნება მათი ექვივალენტური ვოლტერის ტიპის ინტეგრალური განტოლება რიცხვითი მეთოდით, შემოთავაზებული მ.შ. მიქელაძის მიერ..

20. ანოტაცია

ნაშრომში ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით განხილულია ნახევარსიბრტყის დრეკად-პლასტიკური წონასწორობა. მაშინ, როდესაც მის საზღვარზე მოქმედებს პერიოდული ხასიათის ნორმალური დატვირთვა, მიღებულია ძაბვის ტენზორის საანგარიშო ფორმულები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგენილი იქნას მაქსიმალურად დაძაბული წერტილები და განისაზღვროს მაქსიმალური დეფორმაცია, აგრეთვე ბზარის გავრცელების ტრაექტორია არაერთგვაროვანი ძაბვების ველში. შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც იძლევა. დრეკად-პლასტიკური სხეულის საზღვარზე მოცემული პერიოდული ნორმალური დატვირთვის შემთხვევაში ძაბვის ფუნქციის გამოთვლის საშუალებას.

21. ანოტაცია

In the paper the the mathematical model has been proposed according of which the rock is considered as an orthotropic half-plane. On the boundary of this half-plane the loads, moving at a constant velocity, exert a pressure. The problem was solved by means of the theory of analytical functions.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	D.Jankarashvili, A. Tabatadze,	ANALYSIS OF ROTATING CIRCULAR RING DISK HAVING CONSTANT THICKNESS RIGIDLY FIXED BY INNE	ქ. ქუთაისი
2	გელა ბადათურია მარინე ლოსაბერიძე	დრეკად გარემოში მოთავსებული ცილინდრული მილის დრეკად-პლასტიკური დამაბული მდგომარეობა	ბათუმი, 5-9 სექტემბერი, 2016, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები მიძღვნილი აკადემიკოს მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი
3	სერგო ხომერიკი მარინე ლოსაბერიძე დავით ხომერიკი გრიგოლ შატბერაშვილი ედგარ მატარაძე	დრეკად გარემოში მოთავსებული ცილინდრული მილის დრეკად-პლასტიკური დამაბული მდგომარეობა	ბათუმი, 5-9 სექტემბერი, 2016, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები მიძღვნილი აკადემიკოს მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სერგო ხომერიკი ედგარ მატარაძე ნიკოლოზ ჩიხრაძე მარინე ლოსაბერიძე დავით ხომერიკი გრიგოლ შატბერაშვილი	The Rock Directed Breaking Under the Impulse load	2016 წლის 5-9 სექტემბერს ქ. პრალაში, ჩეხეთი, მულტიდისციპლინური მსოფ ლიოსი მპოზიუმი “დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში“ (World Multidisciplinary Earth Science Symposium) (WMESS 2016)

ა. სოხაძის სახელობის

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი № 102

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: პროფესორი ლია კახიანი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. ღარიბაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, შ. დოლიძე, თ. ნარეკლიშვილი,	„რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე,	თბილისი, 2016 წ.	

	გ. დოლიძე	მეარმატურე)"		
2	ლ. ავალიშვილი; ლ. ბალანჩივაძე	"მეთოდური მითითებები რკინაბეტონის კარკასული შენობების გასაანგარიშებლად სეისმურ ზემოქმედებაზე"	სტუ.ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016 წ.	
3	ლ. კახიანი, ლ. ავალიშვილი, ლ. ბალანჩივაძე	რკინაბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება ევრონორმების მიხედვით	სტუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016წ.	239გვ.

1. სახელმძღვანელოს მცდელობა დაეხმაროს სამშენებლო დარგის სპეციალისტებისათვის, კერძოდ, რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებლებს, რომელიც ასრულებენ ყალიბების, არმატურის ნაკეთობებისა და ბეტონის სხვადასხვა სამუშაოებს. სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და 6 თავისაგან. შესავალ ნაწილში გადმოცემულია სახელმძღვანელოს შექმნის მთავარი მიზანი: შეასწავლოს სტუდენტებს მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების დამზადებისას საყალიბე, საარმატურე და ბეტონის სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების ნორმებისა დაწესების დაცვით.

2. განხილულია ხიდურამწიანი ერთსართულიანი სამრეწველო კარკასული შენობის გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე, კერძოდ, დადგენილია განივ ჩარჩოზე სეისმური დატვირთვა, გათვალისწინებულია არმატურის კვეთის შესარჩევად სვეტების სეისმური ძაღვები. მოყვანილია დანართები მოქმედი სამშენებლო ნორმატივებიდან სეისმური რაიონებისთვის. ის დიდ დახმარებას გაუწევს სამშენებლო სპეციალობის სტუდენტს, ასევე ინჟინერ-სპეციალისტს კარკასული შენობის დაპროექტებისას.

3. წინამდებარე წიგნი შეიცავს რკინაბეტონის ელემენტების დაპროექტების საერთაშორისო ნორმების - ევრონორმების მოთხოვნებისა და რეკომენდაციების თანმიმდევრულ აღწერას. წიგნში მოცემულია მოთხოვნები ბეტონის და არმატურის შესახებ, პრინციპები რკინაბეტონის კონსტრუქციების დასაპროექტებლად. დეტალურად არის გადმოცემული გაანგარიშება ზიდვის უნარის მიხედვით და გამოიყენება ნორმალური ექსპლუატაციისას ღუნვადი, შეკუმშული და გაჭიმული ელემენტებისათვის, კონსტრუქციებისათვის, რომლებიც მუშაობენ გრეხაზე და ჩაღუნვაზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---------------------------------------	-----------------------	----------------------	------------------------

		დასახელება	ნომერი	გამომცემლობა	
1	ლ. კახიანი, მ. თავაძე	რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების მუშაობისა და რღვევის მექანიზმის კვლევა	"მშენებლობა", №1(40), 2016	თბილისი, 2016, სტუ	4
2	დ. გურგენიძე, ლ. კახიანი, ლ. ბალანჩივაძე, მ. სულაძე	სხვადასხვა ქვეყნის სეისმომდეგი მშენებლობის ნორმები და მათი კრიტიკული შფასება	"მშენებლობა", №1(40), 2016	თბილისი, 2016, სტუ	6
3	დ. გურგენიძე, ლ. კახიანი, მ. სულაძე	რკინაბეტონის მაღლივი კარკასული შენობები და მათი სეისმომდეგობაზე განგარიშების არსებული პრობლემები	"მშენებლობა", №1(40), 2016	თბილისი, 2016, სტუ	4
4	ლ.კახიანი, ლ. ვერულაშვილი, გ. ფუტყარაძე	მაღლივ კარკასულ შენობებში გამოყენებული სეისმოდამცავი სისტემები	"მშენებლობა", №4(43), 2016	თბილისი, 2016, სტუ	4
5.	ფ. ვერულაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, ნ. ნაკვეთაური	ხის კონსტრუქციებისაგან აგებული კემპინგები, ტურიზმის განვითარებისათვის	"მშენებლობა", №2(41), 2016	თბილისი, 2016, სტუ	4
6.	О.Г. Хазарадзе, Ф.Г. Верулашвили, В.Ш. Турашвили	Балки замкнутого сечения	"მშენებლობა", №3(42), 2016	თბილისი, 2016, სტუ	5

1. განხილულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებული რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კვლევები სეისმური დატვირთვების ზემოქმედებისა და საექსპლუატაციო ვარგისიანობის უზრუნველსაყოფად. განხილულია შემთხვევები, როდესაც შეკუმშულ ელემენტზე რეალურად მოქმედებს მლუნავი მომენტი, გრძივი

- ძალა და მგრები მომენტი, რომელიც მიწისძვრის დროს უმეტეს შემთხვევაში იწვევს ნგრევას.
2. განხილულია სხვადასხვა ქვეყნის სეისმომედეგი მშენებლობის ნორმები, სეისმური ძალის სისდიდის დადგენა, დინამური პარამეტრების გამოთვლა, მათი საერთო და განმასხვავებელი პირობები, გაანგარისების არსებული მეთოდის რეალური მონაცემების შეფასება.
 3. გადმოცემულია სეისმომედეგი შენობების პროექტირების და მშენებლობის პრობლემები, გაანგარიშების მეთოდების სრულყოფისათვის კვლევების მიმართულებები და ამოცანები;
 4. გადმოცემულია მაღლივ კარკასულ შენობებში სეისმოდამცავი სისტემების გამოყენება, მათი სახეობები, აგებულება, კონსტრუქციული გადაწყვეტა, დეფორმაციის შემცირება და დინამური მახასიათებლების დადგენა;
 5. განხილულია ხის კონსტრუქციების ორიგინალური შენობები, რომელიც შეიძლება დაინერგოს საქართველოს ტერიტორიაზე, მოსახერხებელია ექსპლუატაციისთვის, ადვილად ასაგებია, არ მოითხოვს დიდი ოდენობით დანახარჯებს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ფ. ვერულაშვილი, რ. კახიძე	სამფენოვანი ფილის პარამეტრებზე განფენის ტიპის დეფექტების გავლენა	ბათუმი, 5-9 სექტემბერი, 2016 წ." საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია
მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე			

**სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიის და საშენი მასალების
დეპარტამენტი №103**

**I.3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დამუშავება ვულკანური ფერფლის შემვსებებზე	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზ. ქარუმიძე	
2	ცოცვალობის უნივერსალური ბირთვი კონსტრუქციული მასალებისათვის დატვირთვის წინაისტორიისადმი მუდმივი, დროში მყისად ან მონოტონურად კლებადი „მეხსიერებით“.			გ. გვინჩაძე ჯ. ესაიაშვილი მ. ტურძელაძე
ანოტაცია				
<p>1. ამ ადგილობრივ მასალაზე კვლევის განახლება განაპირობა სხვადასხვა კომპანიების დაინტერესებამ გაჯის – როგორც მხოლოდ საქართველოს წარმოებული მასალის შეთავაზებამ უცხოეთისათვის. ცნობილია მისი გამოყენება საბათქაშე და საკედლე წყობის დუღაბებში, დაბალი სიმტკიცის ბეტონებში და სხვ. ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს მშრალი დუღაბების წარმოების შესაძლებლობას, ამ მასალას ხდის ტრანსპორტაბელურს შორ მანძილებზე, შესაბამისად საექსპორტოსაც.</p>				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი.ქვარაია	გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წარმოება უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს	ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 2016	101
2	ი.ქვარაია	მშენებლობის პროცესში გამოვლენილი დაზიანებების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა	ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 2016	104

ანოტაცია

1. მონოგრაფიაში აღწერილია ქ. თბილისის ცენტრში უკიდურესად შეზღუდულ პირობებში ისტორიული მნიშვნელობის შენობის რეკონსტრუქციის, მასთან ახალი კორპუსის მიშენებისა და ძველი და ახალი შენობების ფუნქციური გაერთიანების უნიკალური შემთხვევა. სამუშაოების შესრულებამ მრავალმხრივი გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებების ჩატარება მოითხოვა და ყოველივე ეს დეტალურად არის გადმოცემული.
2. მონოგრაფიაში გადმოცემულია რკინაბეტონის მონოლითური შენობა-ნაგებობების აგებისას გამოვლენილი სხვადასხვა დაზიანებებისა და ნაკლოვანებების გამოკვლევის დამათი სრულფასოვნად აღმოფხვრის ღონისძიების პრაქტიკული მაგალითი. აღწერილია კონკრეტული შემთხვევა, როდესაც საჭირო გახდა სამშენებლო სამუშაოების შეჩერება და სარდაფის სართულის ყველა მზიდი კონსტრუქციის მზიდუნარიანობის შემოწმება. შემდეგ დამუშავებული იქნა რეაბილიტაციის პროექტი, რომლის განხორციელების შემდეგ გახდა შესაძლებელი სამუშაოთა უსაფრტხოდ გაგრძელება.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. ეზუგბაია შ. ბაქანიძე ი. ქვარაია ი. ირემაშვილი	სამშენებლო პროცესების ტექნოლოგია I ნაწილი	თბილისი სტუ, 2016 წელი	250
2	ზ. ეზუგბაია შ. ბაქანიძე ი. ქვარაია ი. ირემაშვილი	სამშენებლო პროცესების ტექნოლოგია II ნაწილი	თბილისი სტუ, 2016 წელი	280
3	თ. ჯორჯაძე თ. ნარეკლიშვილი და სხვ.	განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში	კულტურის სამინისტრო თბილისი, 2016	800
4	ი.ღარიბაშვილი ლ. ბალანჩივაძე შ. დოლიძე თ. ნარეკლიშვილი გ. დოლიძე	რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე, მემარმატურე)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თბილისი 2016	380
5	მ. ტურძელაძე ზ. ქარუმიძე თ. ნარეკლიშვილი	სამშენებლო მასალათმცოდნეობა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ჩაშვებულია დასაბეჭდად)	380
6	ი.ღარიბაშვილი თ. ნარეკლიშვილი	საშენი მასალების შერჩევა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	160
7	ა. ჩიქოვანი	საშენი მასალები და კონსტრუქციები	თბილისი, სტუ. 2016	

ანოტაციები

1. განხილულია მეწყერული ფერდობების და კალთების გამაგრების ახალი ხერხი. მასალები წარდგენილია გამოგონებაზე პატენტის მოსაპოვებლად.
2. განხილულია მეწყერული ფერდობების და კალთების გამაგრების ახალი ხერხი. მასალები წარდგენილია გამოგონებაზე პატენტის მოსაპოვებლად.
3. სახელმძღვანელოს დამკვეთია საქართველოს კულტურის სამინისტრო. სახელმძღვანელო წარმოადგენს სასწავლო და საინფორმაციო რესურსს. მისი

- მიზანია გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს ის საკითხები, რომელიც დამუშავებულია კონკრეტული თანავტორის მიერ.
4. სახელმძღვანელოს მიზანია განუვითაროს სტუდენტებს მშენებლობისათვის საჭირო უნარები. სახელმძღვანელო მოიცავს 9 ძირითად თავს. აგრეთვე სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია გამოყენებული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი და გამოყენებული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს დაეხმარება წარმოდგენილი მასალის უკეთ ათვისებაში.
 5. სახელმძღვანელო გადაცემულია სტუ-ს გამომცემლობაში დასაბეჭდად. მშენებლობის პროცესში საშენი მასალების შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია საკითხია. მშენებლობის სეგმენტი კი ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, გარდა იმისა, რომ ქვეყნის კულტურის მაღალი დონის ყველაზე თვალსაჩინო მანქანებელი სწორედ მშენებლობაა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საყოველთაოდ აღიარებულ უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვას, რამეთუ მშენებლობისას ან ნაგებობების შემდგომი ექსპლუატაციისას დაშვებული მცირეოდენი, ზოგჯერ თითქოსდა უმნიშვნელო შეცდომაც კი შესაძლებელია გახდეს საფუძველი გლობალური რღვევისა და ასეთი კატასტროფისა, როდესაც ზარალი შესაძლებელია მოიცავდეს არა მარტო მატერიალურ, არამედ ადამიანურ რესურსსაც კი.
 6. გზამკვლევი მოიცავს სტანდარტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის ტექნიკოსი“-ს ზოგადი მოდულის ყველა სწავლის შედეგს და წარმოადგენს მასწავლებლის დამხმარე რესურსს ამ მოდულის სწავლებისთვის. უფრო კონკრეტულად, გზამკვლევის მიზანია მიეხმაროს მასწავლებელს, თეორიული და პრაქტიკული აქტივობების განხორციელებით, განუვითაროს სტუდენტებს მშენებლობისათვის საჭირო მასალების შერჩევის უნარები და მისცეს მათ საშუალება მიზანმიმართულად და რაციონალურად მოახდინოს მასალების შერჩევა და გამოყენება.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. ბაქანიძე ლ. ზამბახიძე გ. შალიტაური	შენობათა ფასადის კედლებში კარფანჯრის ბლოკების ჩამაგრების საკითხისათვის	ჟურნალი „მშენებლობა“, №3(42)	სტუ, თბილისი	5
2	შ. ბაქანიძე ლ. ზამბახიძე თ. მორალიშვილი	ქსცენტრულ კუმშვაზე მომუშავე ქვის კედლების გაძლიერების	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერჯია“	თბილისი 2016	5

		ხერხები	№4(80)		
3	შ. ბაქანიძე ლ. ზამბახიძე გ. შალიტაური	ლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეებისაგან შედგენილი ფერდლების მდგრადობა	ჟურნალი „მშენებლობა“ №3(42)	თბილისი 2016	6
4	შ. ბაქანიძე ნ. მსხილაძე	მეწყერსაწინააღმდეგო გრუნტულნაკერიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული გადაწყვეტა	სტუ, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი სამეცნიერო შრომების კრებული №70	თბილისი 2016	9
5	ნ. მსხილაძე	სუბუქი ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციები	ჟურნალი „მშენებლობა“ №2(41)	თბილისი 2016	8
6	მ. ლორთქიფანიძე ო. გიორგიშვილი ი. სალუქვაძე ნ. ბოჭორიშვილი ა. თათანაშვილი თ. ნინიძე	ადგილობრივ საშენ მასალებზე დამზადებულ დანამატისანი სამშენებლო მასალების თვისებების დანერგვა სამშენებლო წარმოებასა და საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურაში.	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „ენერჯია“ №4(80)	თბილისი, 2016	7
7	დ. გოცაძე	ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობების დამზადება ქარხნული წესით	ჟურნალი „მშენებლობა“ №2(41)	თბილისი, 2016	
8	ლ. უგულავა	საწარმოო პრაქტიკის საჭიროება მაღალი კურსების სტუდენტებისათვის			
9	ა. ნადირაძე ა. კანკავა	თბოელექტროსადგურის წანატაცი ნაცრების გამოყენება ახალი თაობის ცემენტების წარმოებაში	ჟურნალი „მშენებლობა“ №3(42)	თბილისი, 2016	

10	ა. ნადირაძე ა. კანკავა	ხალი თაობის ბეტონების მშრალ- წვრილმარცვლოვან- ფხვნილოვან შემესებებზე	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა“		5
11	ზ. ქარუმიძე	გაჯი – საქართველოში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა მასალა	იზნეს-ინჟინერინგი USS N 1512-053.	იანვარი 2017	
12	ბ. გვინჩაძე ჯ. ესაიასვილი ნ. ერემაძე მ. ტურძელაძე მ. აბაზაძე	შემოთავაზებული $\sigma - \varepsilon$ დამოკიდებულების ტრანსფორმაციები მემკვიდრეობის თეორიის და დაძველების პროცესების შესაბამისად	ჟურნალი „ენერჯია“ №1(77), 2016		8
13	ბ. გვინჩაძე ჯ. ესაიასვილი ნ. ერემაძე მ. ტურძელაძე მ. აბაზაძე	შემოთავაზებული $\sigma - \varepsilon$ დამოკიდებულებების $\theta_c, \varphi_k, \beta, \nu, m, k_c$ პარამეტრთა სპექტრის განსაზღვრა B15-B60 კასების ბეტონებისათვის	ჟურნალი „ენერჯია“ №1(77), 2016		6
14	ი.ქვარაია ი.ჩიტაძე	ცემენტ-ბურბუშელიანი მოუხსნადი ყალიბების მსგავსი ყალიბების წარმოების შესაძლებლობა საქართველოში	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა №1(40)	თბილისი, 2016	5
15	ი.ქვარაია შ. ყანჩაშვილი	დკინაბეტონის თაღოვანი კესონური გადახურვის მოწყობის პრაქტიკული მაგალითი	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა№1(40)		4
16	ი.ქვარაია ა. ფიროსმანიშვილი	მცირეგაბარიტიანი საბურღი დანადგარების გამოყენება ბურღტენილი ხიმინჯების მოწყობის	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა №2(41)	თბილისი, 2016	3

		დროს			
17	ი.ქვარაია	რკინაბეტონის საკომუნიკაციო გვირაბის მოწყობის	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა №2(41)		4
18	ი. ქვარაია ა. ფიროსმანიშვილი	თანამედროვე ხარაჩოების გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობები	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა №2(41)		4
19	ი.ქვარაია	დკინაბეტონის წრიულ ზედაპირზე მაღალი დიობების მოწყობის ტექნოლოგიური გადაწყვეტა	სტუ, ჟურნალი „მშენებლობა №2(41)		4
20	ი.ქვარაია ქ. ქუთათელაძე	მონოლითური რკინაბეტონი მშენებლობაში და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობები საქართველოში	დ.ადმაშენებლის სახელობის საქ.ეროვნული თავდაც. აკადემიის შრომები №2		5
21	თ.ესაძე ხ. ლეუაფა	ნანოდისპერსიულ ნატრიუმის სილიკატის კომპოზიციურ ნჭიდზე დამზადებული მხურვალმედვეგი ბეტონი	სტუ-ს შრომები №1(499)		6
22	ა.ჩიქოვანი თ.ესაძე ხ. ლეუაფა	ბეტონის სულფატის კოროზია	სტუ-ს შრომები №1(499)		7
23	თ.ესაძე ხ. ლეუაფა	მხურვალმედვეგი ბეტონის მიღება ნანოდისპერსიულ კაჟმიწა ნედლეულზე	შტუ-სა და საქართველოს საინჟ. აკადემიის ჯურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი	თბილისი №1-2/2016	3
24	Езугбая З.А., Итриашвили Л.А., Иремашвили И.Р.	Упращненная технология устройства зеленой кровли с использованием нового состава почво-грунтов	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“		5
25	Иорданишвили И.К. Иремашвили И.Р. Иорданишвили К.Т. Канделаки Н.В.	Динамика Формирования ложа водохранилищ Грузии	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“		15

26	Итриашвили Л.А. Иремашвили И.Р. Хосрошвили Е.З. Натрошвили Г.Т.	Некоторые аспекты движения влаги в почво- грунтах зоны аэрации	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“		5
----	--	--	--	--	---

ანოტაციები

1. განხილულია შენობათა ფასადის კედლების ღიობებში კარ-ფანჯრის ბლოკების ჩამაგრების საკითხი. დასაბუთებულია, რომ მათზე ქარის დატვირთვის განსაზღვრისას შენობის ადგილმდებარეობის ტიპის და სიმაღლის გათვალისწინების გარდა, საჭიროა სამაგრი დიუბელების შემოწმება არა მხოლოდ ჭრაზე, არამედ ღუნვაზეც.
2. ექსცენტრულ კუმშვაზე ქვის წყობის მუშაობის შემთხვევისათვის განხილულია კედლის გაძლიერების, დამოუკიდებელი გამბრჯენ-მიმღები კონსტრუქციების მოწყობის და კომბინირებული ღონისძიებების მაგალითები.
3. გაანალიზებულია კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრეებისაგან შედგენილი ფერდობის მდგრადობის საკითხი. რიცხვითი გაანგარიშების საფუძველზე დადგენილია, რომ ფერდოს და ქანების შრეების დახრის თანხვედრისას ფერდოს მდგრადობა უზრუნველყოფილი არ არის.
4. განხილულია მეწყერსაწინაარმდეგო საყრდენი კედელი, რომელიც სახსროვნადაა ჩამაგრებული საზირკველში. გრუნტის დაწნევისაგან გამოწვეული გადაბრუნებული მომენტისა და მოცურების ძალის მისაღებად. საყრდენი კედელი აღჭურვილია 2-იარუსად განთავსებული ანკერებით.
5. მსუბუქი ფოლადის თხელკედლიანი კონსტრუქციების (მფთკ) საფუძველს შეადგენს სხვადასხვა სისქის და კონფიგურაციის ციფრეხილი პროფილები. მფთკ-ს განსხვავებული თვისება არის თერმოპროფილების გამოყენება შემოღობვის კონსტრუქციებისათვის (კედლები, ჭერი და ა. შ.)
თერმოპროფილი ეს არის მოთუთიებული ფოლადის პროფილი გამჭოლი გრძივი ნაკეჭნებით, რომლებიც გაჭრილია ჭადრაკისებურად.
6. საქართველოს ეკონომიკური განვითარება მეტწილად დამოკიდებულია მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე. საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ნაწილის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც პირველ რიგში, გულისხმობს საქართველოს ხარისხიანი სატრანზიტო საგზაო ინფრასტრუქტურის, შექმნას და განვითარებას. საავტომობილო გზების მშენებლობის ინდუსტრიაში აქტუალურია ხანმედეგი და ეკონომიკურად გამართლებული როგორც ჩვეულებრივი, ასევე დატკეპნილი ბეტონების გამოყენება.
7. ბეტონი და რკინაბეტონი თანამედროვე მშენებლობაში ძირითადი საშენი მასალაა, რომელსაც ინჟინერ-მშენებელ-ტექნოლოგი სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს ანიჭებს. ამ მიმართულებით ჩვენს მიერ 2013-2015 წლებში შპს „წყალსაშენი-ლილოს“ და „მიქსორ“-ში დამზადებული და გამოკვლეული იქნა რკინაბეტონის საირიგაციო ნაკეთობები და რკინაბეტონის შპალები სატრანსპორტო მშენებლობისათვის.

8. სხვადასხვა ქვეყნების ინსტიტუტებში, სადაც ეუფლებიან მშენებლობის სპეციალობას სტუდენტები გადიან პრაქტიკას, სასწავლო-გაცნობით ან საწარმოს. პირველ რიგში ისინი ეცნობიან სხვადასხვა საშენი მასალების ტექნოლოგიას, მეორე- ისინი მონაწილეობენ საკმაოდ მნიშვნელოვან მშენებლობაში, ერკვევიან მასალის კონსტრუქციაში, რომელიც საწიროა ამ ნაგებობის ასენებისთვის.
9. განხილულია თბოელექტროსადგურის წინაბატი ნაცრების კლასიფიკაცია და ტექნიკური პარამეტრები, სტანდარტები და ნორმატივები, რომლებიც გამოიყენებიან ცემენტისა და ბეტონის წარმოებაში, მათი გამოყენების სფეროები საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში. დაწვრილებით მოცემულია წიდა ნაცრების ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. მოცემულია რეკომენდაციები მათ გადამუშავება გამოყენებაზე.
10. დამზადებულია სხვადასხვა სიმტკიცის ბეტონები მშრალ წვრილმარცვლოვან-ფხვნილოვან შემკვრებებზე, ცდების საშუალებით მიღებული იქნა სასურველი სიმტკიცის და თბოტექნიკური დანიშნულების ბეტონი, რამაც მოგვცა საკმაოდ ეკონომიკური ეფექტი.
11. ამ ადგილობრივ მასალაზე კვლევის განახლება განაპირობა სხვადასხვა კომპანიების დაინტერესებამ გაჯის – როგორც მხოლოდ საქართველოსი წარმოებული მასალის შეთავაზებამ უცხოეთისათვის. ცნობილია მისი გამოყენება საბათქაშე და საკედლე წყობის დუღაბებში, დაბალი სიმტკიცის ბეტონებში და სხვა. ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს მშრალი დუღაბების წარმოების შესაძლებლობას, ამ მასალას ხდის ტრანსპორტაბელურს შორ მანძილებზე, შესაბამისად საექსპორტოსაც.
12. $\sigma - \varepsilon$ დამოკიდებულების გარდაქმნებით მემკვიდრეობის და დრეკადი მემკვიდრეობის თეორიების და დაძველების პროცესების შესაბამისად მიღებულია ანალიზური გამოსახულება, სადაც ცოცვადობის ფუნქციები ჩაწერილია გახსნილი სახით და რომლის საფუძველზეც ν, θ_0, m პარამეტრების სიდიდეთა ცვლით მკაცრად დადგენილ ზღვრებში, შეგვიძლია აღვწეროთ როგორც დაძველებადი (ბეტონი), ასევე არადაძველებადი (ფუძის გრუნტი, კომპოზიტების ზოგიერთი სახეობა, ძალიან ძველი ბეტონი) საშენი მასალების ცოცვადობის დეფორმაციები.
13. ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება დრეკად-ცოცვადი ტანის თეორიის შემოთავაზებული $\sigma - \varepsilon$ დამოკიდებულების ცოცვადობის ბირთვის პარამეტრები ანალიზურად, რაც უკვე არსებული ნორმატიული მნიშვნელობებიდან მათი დანიშნულება გამოწვეულ შესაძლო უზუსტობას გამორიცხავს. ამ პარამეტრების განსაზღვრა უშუალოდ ექსპერიმენტებიდან ერთადერთი გზაა მათი სადიდეების დაზუსტებისაკენ და საფუძველს იძლევა შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის.
14. სტატიაში აღწერილია სამშენებლო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ცემენტ-ბურბუშელიანი მოუსხნადი ყალიბების მსგავსი ყალიბის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დამზადებას საქართველოში, რაც ძალზე რენტაბელური იქნება.
15. სტატია ეძღვნება რკინაბეტონის კესონური გადახურვის მოწყობის პრაქტიკულ მაგალითს. ასეთი გადახურვები უხსოვარი დროიდან მიმზიდველს ხდიდა შენობებს და აუცილებელია მათი ხშირად გამოყენება.
16. სტატიაში ყურადღება არის გამახვილებული ბურღტენილი ხიმინჯების მოწყობის დროს მძიმე, ძვირადღირებული ტექნიკის ნაცვლად, თანამედროვე, მობილური, მსუბუქი მანქანა-მექანიზმების გამოყენებაზე. იგი არ ითხოვს სამუშაო ადგილის წინასწარ

მომზადებას და არც სამუშაოების დასრულების შემდეგ ხდება საჭირო ტერიტორიის მოწესრიგება.

17. სტატიაში წარმოდგენილია მახათას მთაზე ტაძრის მსენებლობისას განხორციელებული სიახლე – სარდაფის ნაწილში შესასვლელად რკინაბეტონის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო გვირაბის ღია წესით მოწყობის სამუშაოების წარმოება. მისი ტექნოლოგიური გადაწყვეტა და სამუშაოთა მიმდინარეობა.
18. სტატიის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს თანამედროვე ხარაჩოების, კერძოდ ე.წ. ძალოვანი ხარაჩოების ფართოდ და მრავალმხრივი მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობების დემონსტრირებაზე. აღწერილია კონკრეტული შემთხვევები.
19. სტატიას საფუძვლად უდევს დიდი დიამეტრის წრიული მოხაზულობის მონოლითური რკინაბეტონის კედლის მოწყობისას მასში ღიობების დასატოვებლად წინასწარი საყალიბე სისტემების შექმნისა და წრიულად დასაბეტონებლად ნახევრად წრიული საყალიბე ფარის გამოყენების კონკრეტული შემთხვევა.
20. სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია საქართველოს საბინაო მშენებლობაში ადრე საყოველთაოდ გავრცელებული ასაწობი კონსტრუქციების გამოყენების ნაცვლად, უკანასკნელ წლებში მთლიანად მონოლითურ მშენებლობაზე გადასვლის წინაპირობები და მისი დადებითი შედეგები.
21. ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლი-სილიკატურ შემკერელზე დამზადებულმა მხურვალმედვემა ბეტონებმა თვისებების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებლები აჩვენა, ჩვეულებრივ მხურვალმედვე ბეტონებთან შედარებით, ეს აიხსნება იმით, რომ ნატრიუმის სილიკატის ნაცვლად, ნანოდისპერსული ნატრიუმის პოლისილიკატურ შემკერელზე დამზადებულ მხურვალმედვე ბეტონში მცირდება ტუტე ოქსიდის (N_{a2O}) – ადვილდნობადი შემადგენლის შემცველობა, შესაბამისად იზრდება ბეტონის საექსპლუატაციო თვისებები: თერმული მდგრადობა, გამოყენების ტემპერატურა, კოროზიული მდგრადობა და სხვა.
22. ქ. თბილისსა და მის შემოგარენსი განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სულფატური კოროზია, მიწისქვეშეთში არსებული გოგირდოვანი წყლების გამო, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული აგრესიულობა ბეტონის მიმართ. ბეტონის კოროზიისაგან დაცვის ზოგადი პრინციპები დაფუძნებულია მკვრივი ბეტონის მიღებაზე, მინიმალური ჟონდობით (ფილტრაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით) და ღია ფორიანობით (წყალშთანთქმა), რაც რეგლამენტირებულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით.
23. ნაშრომში განხილულია მხურვალმედვე ბეტონების მიღების შესაძლებლობები მაღალმოდულურ სილიკატურ სისტემებზე (პოლისილიკატებზე). ნაშრომში გაკეთებული დასკვნები საშუალებას იძლევა კვლევების შედეგების საფუძველზე საიმედოდ წარმართოს ბეტონში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მართვის რეგულირება გახურებისას. ასევე გახურების ზონაში უზრუნველყოფილი იქნას მასალის ერთგვაროვნება, რაც დადებითად მოქმედებს ბეტონის თერმულ მდგრადობაზე. მაშრომის ავტორები იძლევა ნანოსტრუქტურული კაჟმიწოვანი მხურვალმედვე ბეტონის გამოყენების შესაძლებლობის რეკომენდაციებს მრეწველობაში.
24. Разработан новый водоаккумулирующий состав грунтового слоя. Приводятся его характеристики количественный и качественный состав компонентов и технология приготовления. Предлагается унифицированная кассетная технология устройства зеленых перекрытий.

6	M.Gotsadze, A. Dundua, I.Beridze	Control of Elektrik Point Machine And Control of Railwiy Point in Microprocessor Centralization	The International Scientific Conference, Tbilisi, 2016;
<p>1. მრავალი თავისუფლების ხარისხის მქონე კბილანა-ბერკეტული მექანიზმების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ხუთგოლა კბილანა-ბერკეტული მექანიზმები ორი თავისუფლების ხარისხით. ჩატარებულია ორი თავისუფლების ხარისხის მქონე სფერული ხუთგოლა კბილანა-ბერკეტული მექანიზმის კინემატიკური კვლევა. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევიან დაპროექტდეს ხუთგოლა კბილანა-ბერკეტული მექანიზმები მათი პრაქტიკული შესაძლებლობის გამოვლენით.</p> <p>2. ნაჩვენებია, რომ მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის დანერგვის პირველ ეტაპზე დასაშვებია საისრო ამძრავების რელეური მართვა.</p> <p>3. შემოთავაზებულია გოგორწყვილებისა და რელსების დაზიანების გამოვლენის მობილური მოწყობილობის კონსტრუქცია. გაზომვის სიზუსტის გაზრდა ხორციელდება დამუშავებული მათემატიკური მოდელით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გოგორწყვილების როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი ცვეთის გამოვლენისა.</p> <p>4. განხილულია გემის ელექტრონული ქსელის (ან სინქრონიზაცია ან თვით-სინქრონიზაცია) სინქრონული გენერატორის ავტომატური სინქრონიზაციის ცნობილი მეთოდებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნაკლოვანება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ქსელის მუშაობის დარღვევები. შემოთავაზებული მეთოდი უზრუნველყოფს გენერატორი რეგულირებას</p>			

(პარალელურ ოპერაციაზე გადართვამდე) და საჭიროების შემთხვევაში გადართვას სათანადო ქსელზე.

5. ჩატარებულია საზღვაო ტერმინალების მონიტორინგისა და მართვის თანამედროვე სისტემების ანალიზი. განხილულია მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მართვის პროცესების ხარისხის ამაღლების საკითხები. შემოთავაზებულია დამუშავებული სისტემის ბლოკ-სქემა.

6. შემოთავაზებულია საისრო ამძრავის მართვის მოდერნიზებული სქემები ისრის მდგომარეობის ავტომატური კონტროლით, რომელიც მიკროპროცესორულ ცენტრალიზაციაში გამოყენებისას არ მოითხოვს დამატებით სამონტაჟო სამუშაოებს

ბ) უცხოეთში

№	მომსენებელი/ მომსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. გრიგორაშვილი	483A-07A ტიპის ჰაერმანაწილებელის სამატარებლო გამოცდები საქართველოს რკინიგზის ქუთაის-ტყიბულის უბანზე	ქ. დნეპროპეტროვსკი, 2016

მოსხენებაში წარმოდგენილია სატვირთო ვაგონების სამუხრუჭე სისტემის 483A-07A ჰაერმანაწილებელის სამატარებლო გამოცდების შედეგები. დასაბუთებულია ამ ჰაერმანაწილებლის უპირატესობა ძველი ტიპის 388 ჰაერმანაწილებელთან შედარებით.

საზღვაო და სპეციალური ტექნოლოგიური ტრანსპორტის დეპარტამენტი №511

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი არჩვაძე

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორები:

ირაკლი ჩხეტია, თეიმურაზ გელაშვილი, ემზარ გეგეშიძე, რომან ცხვარაძე, მათა ბარბაქაძე

ასისტენტ-პროფესორი: ვალერი ჯაჯანიძე;

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. გეგეშიძე, ი. მარგალიტაძე	სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე (დამხმარე სახელმძღვანელო)	თბილისი, შპს “უნივერსალი” 2016 წ.	130
2	თ. გელაშვილი, ჯ. იოსებოძე, გ. აბრამიშვილი, გ. არჩვაძე, ე. გეგეშიძე	საწვავ-საცხები მასალები საზღვაო ტრანსპორტზე (დამხმარე სახელმძღვანელო)	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016 წ.	410
3	თ. გელაშვილი, დ. ძოწენიძე ნ. ხარაზიშვილი ზ. ბოგველიშვილი	ელექტრობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრო მოწყობილობა	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016 წ.	340

ანოტაცია

1. ქვეყნის ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაში, მისი განვითარების მოთხოვნათა უზრუნველყოფი ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნა მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამიტომ, სატრანსპორტო სისტემის საკითხების გამოკვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმების, ეკომიკის ცალკეული დარგების, მათ შორის ტრანსპორტის რესტრუქტურის, ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დამკვიდრების სტადიაზე.

2. სახელმძღვანელოში განზოგადებულია მოთხოვნები, რომლებიც წაყენებათ თანამედროვე გემებზე გამოყენებულ საწვავებსა და სახეთ მასალებს. მოყვანილია სპეციფიკაციები ამ პროდუქტებზე, მითითებულია მათი თანამედროვე ასორტიმენტი მსოფლიოს წამყვანი მწარმოებელი ფირმებისა და კომპანიების მიხედვით, მოცემულია მათი ფაქტიური ხარისხის მაჩვენებლები, აღწერილია გემზე მათი მომზადების, დამუშავებისა და რაციონალური გამოყენების მეთოდები და საშუალებები, ამ პროდუქტების ნარჩენებით ზღვის გარემოს გატუჭყიანების აღკვეთის ხერხები. წიგნში, აგრეთვე, ზოგადაა განხილული სასაქონლო საწვავ-სახეთი მასალების წარმოების, საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესების, ალტერნატიული მასალებით მათი ჩანაცვლების პერსპექტივები. სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზღვაო და სპეციალური

ტექნოლოგიური ტრანსპორტის“ მიმართულების სტუდენტებისათვის. იგი სასარგებლო იქნება პროფესორ--მასწავლებლებისა და დოქტორანტებისათვის, აგრეთვე საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე დასაქმებული მექანიკოსებისათვის.

3.სახელმძღვანელოს საფუძველად დაედო „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციათა ციკლი საგანში „ელექტრობის საფუძველები და ავტომობილების ელექტრომომწობილობა“. შესაბამისად მასში, სტუდენტებთან ცოცხალი ურთიერთობის საფუძველზე, გათვალისწინებულია მათი მომზადების დონე, ფიზიკის, ქიმიისა და ელექტრობის ფუნდამენტალური საკითხების მათ მიერ აღქმის უნარი, მათი ინტერესი თანამედროვე ავტომობილების ელექტრომომწობილობის მიმართ. სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრა გადმოსაცემი მასალის მოცულობა, მისი შესწავლის რიგითობა და სიღრმე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფილური სასწავლო დაწესებულებების

სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, მომსახურების ობიექტების სპეციალისტებისა და ავტომოყვარულთა ფართო წრისათვის.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ბარბაქაძე, ვ.ქართველიშვილი	ტრანსპორტის როლი გლობალურ დათბობაში	სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“. ISSN 1512-102X. №8 (19), 2016წ.	თბილისი	9
2	მ. ბარბაქაძე, ვ. ქართველიშვილი	მექანიკის განვითარების ისტორია	სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“. ISSN 1512-102X. №8 (19), 2016წ.	თბილისი	6
3	ე.გუგუშვიდი, ი.მარგალიტაძე,	საქართველოს როლი და მნიშვნელობა ევრაზიის	ჟურნალი “საქართველოს საინჟინრო სიახლენი”. თბილისი,	თბილისი	3

	ლ. გაბიაშვილი	სატრანსპორტო დერეფანში	2016 წ.		
4.	გ. არჩვაძე ვ.ჯაჯანიძე ი. ჩხეტია თ. გელაშვილი ე. გეგეშიძე	ტრანსპორტის მექატრონულ სისტემებში ნიერონული ქსელების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”, თბილისი, 2016 წ. №2 (36)	თბილისი, 2016 წ	6
5.	გ. არჩვაძე ვ.ჯაჯანიძე ი. ჩხეტია თ. გელაშვილი ნ. ბუთხუზი	ტრანსპორტის კონკრეტული სახეობის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება ლოგისტიკის ერთიან სისტემაში	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”, თბილისი, 2016 წ. №2 (36)	თბილისი, 2016 წ	8
6.	ვ. ჯაჯანიძე თ. გელაშვილი დ. ძოწენიძე რ. ცხვარაძე	კრუიზ კონტროლის ინტეგრალური დიაგნოსტიკის ერთი შესაძლო მეთოდის შესახებ	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”, თბილისი, 2016 წ. №2 (36)	თბილისი, 2016 წ	6

ანოტაცია

1. დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მთელი სიმწვავეით დგას გლობალური დათბობის პრობლემა, რაც დედამიწის მცხოვრებთათვის დიდი საფრთხის შემცველია. როგორც ცნობილია, დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი თავმოყრილია პოლარული რაიონების აისბერგებში – 85...90%. დედამიწაზე კლიმატის დათბობა იწვევს პოლარულ რაიონებში ყინულების დნობას, რაც ადამიანთათვის კატასტროფის ტოლფასია, რადგანაც მტკნარი წყალი დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმსაზღვრელი ბიოქიმიური და ბიოფიზიკური პროცესების წარმართვის აუცილებელი კომპონენტია. გაეროს მონაცემებით, 2000 წლიდან 1,2 მლრდ ადამიანი იმყოფება მტკნარი წყლის მუდმივი დეფიციტის პირობებში, ხოლო XXI საუკუნის შუა წლებში

მათი რიცხვი გადააჭარბებს 4 მლრდ-ს! სამწუხაროდ, ამ პრობლემის შექმნაში უდიდესი როლი მიუძღვის ტრანსპორტს, ამიტომ შექმნილი რეალობიდან გამოსავლის ძიება მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

2. შეიძლება ითქვას, მექანიკის ისტორია არის კაცობრიობის ცივილიზაციის, პროგრესული განვითარების ისტორია, ხოლო მისი მომავალი – კაცობრიობის პროგრესული განვითარების მომავალია. მექანიკის განვითარების ისტორია ეფუძნება მეცნიერულ ფუნდამენტს და იძლევა შეკვეთას მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისთვის. მექანიკის სრულყოფა არის თანმდევი აუცილებლობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროცესში.

4. სტატიაში განხილულია მექატრონული სისტემების ევოლუციის ზოგადი პრინციპები თანამედროვე ტრანსპორტზე. მითითებულია, რომ აღნიშნული ევოლუციის ძირითადი ნიშანია ავტომატიზებული სისტემების გარდაქმნა ინტელექტუალურ მექატრონულ სისტემებად და საბოლოოდ ინტელექტუალური მექატრონული ქსელების ჩამოყალიბება უპილოტო „ჭკვიანი“ სატრანსპორტო საშუალებების შექმნის მიზნით. ასეთი ქსელების „სასიცოცხლო ციკლისათვის“ გადამწყვეტია ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი და დაზიანებათა საბორტო დიაგნოსტიკა. გემის მთავარი გადაცემის მაგალითზე განხილულია მექატრონული სისტემების მონიტორინგისა და ინტეგრალური დიაგნოსტიკის ინოვაციური მეთოდი ნეირონული ქსელების გამოყენებით.

5. სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული ტრანსპორტის სახეობების უპირატესობა და ნაკლოვანებები, მისი მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესში. საუბარია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობაზე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, რომელსაც უცხოელი პარტნიორები უყენებენ ჩვენს ქვეყანას. კვლევის საფუძველზე შესასწავლია და გამოკვეთილია ტრანსპორტის განვითარების ეფექტიანი გზები, დამუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება სიძნელების დაძლევა და ლოგისტიკის სტანდარტებთან მიახლოება.

6. სტატიაში განხილულია სატრანსპორტო საშუალებების კრუიზ კონტროლის ინტელექტუალურ მექატრონულ ქსელში ზოგი შესაძლო ცდომილების წარმოქმნის მექანიზმი. მითითებულია, რომ კრუიზ კონტროლის ინტელექტუალური მექატრონული სისტემების ევოლუციის საბოლოო მიზანია უპილოტო, „ჭკვიანი“ სატრანსპორტო საშუალებების შექმნა. ასეთი ქსელების „სასიცოცხლო ციკლისათვის“ გადამწყვეტია ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი და დაზიანებათა საბორტო დიაგნოსტიკა. გამოთქმულია ვარაუდი ნეირონული ქსელების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე ავტომობილის კრუიზ კონტროლის სისტემების მონიტორინგისა და ინტეგრალური დიაგნოსტიკისათვის.

საგზაო დეპარტამენტი №512

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ რურუა

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

მოისწრაფიშვილი ენვერ – პროფესორი (ემერიტუსი)

მოისწრაფიშვილი მანანა – პროფესორი

ბურდულაძე ალექსი – პროფესორი

ნადირაშვილი პეტრე – პროფესორი

მქაანარიშვილი თეიმურაზი – პროფესორი

ირემაშვილი ხვინა – ასოცირებული პროფესორი

დათუკიშვილი გივი – ასოცირებული პროფესორი

კობახიძე კახაბერ – ასოცირებული პროფესორი

რურუა ნუგზარ – პროფესორი

ჭურაძე თამაზი – პროფესორი (ემერიტუსი)

მჭედლიშვილი კონსტანტინე – პროფესორი

კუპატაძე თორნიკე – ასოცირებული პროფესორი

კვანტალიანი გულივერ – ასოცირებული პროფესორი

გრძელიშვილი მარინე – ასოცირებული პროფესორი

მაისურაძე ბორის – ასოცირებული პროფესორი

პაპუაშვილი თენგიზი – ასოცირებული პროფესორი

შიშინაშვილი მანუჩარი – ასისტენტ პროფესორი

პროექტი

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---	----------------------------	-----------------------	------------------------

	ბის მითითებით			
1	<p>მთიან რაიონებში განლაგებულ ჰიდროკვანძებზე ღვარცოფების კატასტროფული ზემოქმედების პროგნოზირება და პრევენცია.</p> <p>ჰიდრაულიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია; მათემატიკური მოდელირება</p> <p>და სისტემების იდენტიფიკაცია, გარემოს დაცვის ტექნოლოგიები.</p>	სტუ	გ.ჯინჯიაშვილი ხ.ირემაშვილი(თანახელმძღვანელი)	გ.ბერძენაშვილი თ.სტეფანია გ.არონია
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
<p>1. ანალიზური და გრაფიკული დამოკიდებულებები, რომელთა საშუალებით ოპერატიულად განისაზღვრება არათანაბარი მოძრაობის ღვარცოფული ნაკადი კალ-აპოტის შევიწროვებისა და გაგანიერების უბნებზე.</p> <p>2. გრაფიკული დამოკიდებულებები ღვარცოფის კინემატიკურ და დინამიკურ პარამეტრებზე მისი სატურაციისა და სტრატეგიკაციის ხარისხის გავლენის შესაფასებლად.</p> <p>3. გათვლის მეთოდის, გათვლის მაგალითები.</p>				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ.რურუა	სარკინიგზო მტყუნების შესწავლა,	თბილისი, სტუ.	394

		ანალიზი და ექსპერტიზა	2016 წ.	
2	კმჭედლიშვილი, აბურდულაძე	საავტომობილო გზების დაპროექტების საფუძვლები	თბილისი, სტუ. 2016 წ.	255

ანოტაცია

1. სახელმძღვანელოში „სარკინიგზო მტყუნების შესწავლა, ანალიზი და ექსპერტიზა“ განხილულია რელსებიდან მოძრავი შემადგენლობის თვლების ჩამოსვლის მიზეზები და მექანიზმი, კერძოდ: მატარებელში გრძივი მკუმშავი ძალების ზრდის მიზეზი; ურიკის თვლების გვერდითი ზემოქმედება რელსებზე განპირობებული მატარებლის კვაზისტატიკური შეკუმშვით დამუხრუჭების დროს; თვლების რელსებიდან ჩამოსვლის სახეები და მექანიზმი; მრუდებში რელსებიდან თვლების ჩამოსვლა გარე რელსის ჭარბი შემადლების გამო; მატარებლების ლიანდაგში ჩავარდნის მიზეზების გამოძიების სამი ძირითადი წესი; თვლების რელსებიდან ჩამოსვლის თავიდან აცილების ღონისძიებები; სალიანდაგო მიზეზებით თვლების რელსებიდან ჩამოსვლის თავიდან აცილების ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებები; ლიანდაგის გაანგარიშების მეთოდთა და შედეგები თვლის ქიმების წრიული სრიალის დროს რელსის თავის გვერდით წახნაგზე და თვლების გრძივი სრიალის დროს რელსებზე მრუდებში; მიჯახების კუთხის გაელენა რელსების გვერდითი ცვეთაზე და მისი ფაქტორი მნიშვნელობების ანალიზი; მრუდებში შიდა ძაფიდან გარე ძაფზე რელსების ცვეთის გადანაწილების ანალიზი; გარე რელსის შემადლების ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა მცირერადიუსიან და შედგენილ მრუდებში; თვლის ქიმებისა და რელსების ცვეთის ინტენსივობის შემცირების პრაქტიკული რეკომენდაციები. დასაბუთებულია მატარებლის ქვეშ სარელსო ლიანდაგის ტემპერატურული გაგდების შეუძლებლობა. გაანალიზებულია სარკინიგზო მტყუნებები. მოტანილია პრაქტიკული რეკომენდაციები თვლების რელსებიდან ჩამოსვლის ადგილის გამოკვლევის დროს. განხილულია რკინიგზის ტრანსპორტზე მატარებლის მარცხისა და ავარიის შემთხვევის ადგილის დათვალიერების წესები, დათვალიერების თავისებურებები მატარებლების შეჯახების და მოძრავი შემადგენლობის რელსებიდან ჩამოსვლის შემთხვევაში, სასამართლო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თავისებურებები მატარებლების შეჯახების და მოძრავი შემადგენლობის რელსებიდან ჩამოსვლის მიზეზების გამოძიების დროს. მოტანილია საცნობარო და ნორმატიულ-ტექნიკური მასალები.

2. სახელმძღვანელო განკუთვნილია საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მიმართულების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის. იგი სასარგებლო იქნება აგრეთვე ამავე მიმართულებით მომუშავე დოქტორანტებისა და პრაქტიკოსი ინჟინრებისათვის.

ნაშრომი ეყრდნობა საავტომობილო გზების დაპროექტებას ქართული საინჟინრო სკოლის მრავალი ათეული წლის გამოცდილებას. მხედველობაშია მიღებული აგრეთვე რუსული და დასავლეთ ევროპული სკოლების მიღწევები საავტომობილო გზების დაპროექტებაში. სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები: საავტომობილო გზების ქსელი, საავტომობილო გზის ელემენტები, ავტომობილის წვევის ბალანსი, მრუდების დაპროექტება გვეგმაში, მოთხოვნები გზის გრძივი და განივი პროფილის ელემენტებისადმი, ავტომობილთა

ნაკადის მოძრაობის კანონზომიერებანი, ბუნებრივი ფაქტორების გავლენა გზების მუშაობაზე, საგზაო წყალსარინი მცირე ხიდებისა და მიწების ჰიდრაულიკური ანგარიში. განხილულია აგრეთვე, ტრასის მიმართულების შერჩევის ძირითადი წესები, გრძივი პროფილის დაპროექტება, მოძრაობის უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვის მოთხოვნების გათვალისწინება გზების დაპროექტებისას.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებული დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.გველესიანი ხ.ირემაშვილი გ.ბერძენაშვილი გ.ნადარაია	სამთო ღრმა წყალსაცავში წყალსაში ფარებით გადაღინების ნაკადის მართვის მეთოდიკა მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის განტოლებების ანალიზური ამონახსნის გამოყენებით ჟურნალი „ენერჯია“	№3(79) 2016წ	კავშირი „მეცნიერება და ენერჯეტიკა“ ქ.თბილისი	5
2	ნ.რურუა, გ.ჯულაყიძე	რკინაბეტონის შპალები-ან მცირერადიუსიან მრუდებში ლიანდის გაგანიერების მოწყობის საკითხები ჟურნალი“ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”,	“ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”, 2016, ISSN 1512-3537 №1(35)-გვ.71-76.	თბილისი. “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა”	6
3	ნ.რურუა, ლ.ჩხეიძე	საპირაპირო ღრეჩოების მდგომარეობის ანალიზი და რგოლური ლიანდაგის სამედლობის პროგნოზირება ჟურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.71-76.	თბილისი. “მშენებლობა”	6
4	ნ.რურუა, ლ.რუხაძე	მოსაზრებები სარკინიგზო რელსების ელექტროკონტაქტური მეთოდით	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.79-	თბილისი. “მშენებლობა”	3

		შედულების ინსტრუქცი- აში ცვლილებების შეტა- ნის შესახებ ჟურნალი “მშენებლობა”	81.		
5	ნ.რურუა, ემოისწრაფიშივი ლი გ.ბიბილაშვილი	რკინიგზის მიწის ვაკი- სის მონიტორინგი რკი- ნიგზის ექსპლუატაციის პირობებში ჟურნალი“ტრანსპორტი და მანქანათმშენებლო- ბა”	“ტრანსპორტი და მანქანათმშ- ენებლობა”, 2016, ISSN 1512- 3537 №2(36).- გვ.174-180.	თბილისი. “ტრანსპორტი და მანქანათმშ- ენებლობა”	7
6	თ.პაპუაშვილი ვ.ჯღამაია მ.სულამანიძე	ბლანტი საგზაო ბიტუმე- ბის რეოლოგიური თვი- სებები ჟურნალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №1(40). –გვ.63- 67.	თბილისი. “მშენებლობა”	5
7.	კ.მჭედლიშვილი, უ. სტურუა	საავტომობილო სპორტი- სა და მისი ინფრასტ- რუქტურის განვითარების პერსპექტივები საქართვე- ლოში ჟურნალი “ბიზნეს- ინჟინერინგი”	“ბიზნეს- ინჟინერინგი” თბილისი. 2016, №3. –გვ.63-77.	თბილისი. “ბიზნეს- ინჟინერინგი”	14
8.	მ.შიშინაშვილი	ფრეზირებული მასალის გამოყენებით დამზადე- ბული კომბინირებული ასფალტობეტონის ნა- რევის გამოყენების პერს- პექტივები საქართველო- ში, ტექნიკური სამეცნი- ერო ჟურნალი “მშენებ- ლობა”	№3(38)	თბილისი, საქართველო	3
9	გ. დათუკიშვილი ბ. მაისურაძე თ. ჯაფარიძე	ევროკოდის დანერგვას- თან დაკავშირებული პრობლემები ხიდებისა და გზაგამტარების დაპროექტებისას “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი”, №1-4	თბილისი, საქართველო	2
10	მ. მოისწრაფი- შვილი	ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-ადღეენითი სამუშაოების ორგანიზე-	“ტრანსპორტი და მანქანათმშ- ენებლობა”,	თბილისი, საქართველო	9

	ლ. ანდლუღაძე	ბა გაუთვალისწინებელ მოვლენებისა და მომეტებული რისკის შემთხვევაში ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა",	2016, ISSN 1512-3537 №2(36).- გვ.5-13.		
11	მ. მოისწრაფი-შვილი ლ. ანდლუღაძე	სარკინიგზო ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავისებურებები ჟურნალი "მშენებლობა"	"მშენებლობა", თბილისი. 2016, №1(40). -გვ.25-31	თბილისი, საქართველო	7
12	М.Грдзелишვილი	Перспективы развития международных транспортных коридоров Е-60 и Е-70 в Грузии „Транспорт,,	„Транспорт,,- (1-4) 2016	Г.Тбилиси ГТУ	4
13	М.Грдзелишვილი К.Чурадзе	Анализ интенсивности коррозионного разрушения бетонных обделок в агрессивной сульфатной среде „Транспорт,,	„Транспорт,,- (1-4) 2016	Г.Тбилиси ГТУ	7
14	ბ.წულუკიძე, მ.გრძელიშვილი გ.ზურაბიანი	მეტროპოლიტენის დიდი ჩადრმაგების ერთთაღიანი სადგურები	"მშენებლობა" №3(38)2016	ქ.თბილისი სტუ	5
15	მ.გრძელიშვილი, ი.არჯევანიძე	ნაშეფუტეონის გამოყენება გვირაბმშენებლობაში ჟურნალი "მშენებლობა"	"მშენებლობა" №3(42)2016	ქ.თბილისი სტუ	4
16	კ. მჭედლიშვილი თ. ყურაშვილი	გარემოს დაბინძურება როგორც ავტომობილიზაციის უარყოფითი შედეგი და მასთან ბრძოლის ღონისძიებები ჟურნალი "ტრანსპორტი"	"ტრანსპორტი" № 1-4	ქ.თბილისი სტუ	6
17	კ. მჭედლიშვილი თ. ყურაშვილი	სატრანსპორტო პროცესში განვითარებული მოვლენათა პროგნოზირების მეთოდები და საშუალებები ჟურნალი	"ტრანსპორტი" № 1-4	ქ.თბილისი სტუ	8

		“ტრანსპორტი”			
18	კ. მჭედლიშვილი თ. ყურაშვილი	ავტომობილიზაცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნული ეკონომიკის წარმატების საფუძველი ქურონალი “ტრანსპორტი”	“ტრანსპორტი” № 1-4	ქ.თბილისი სტუ	5
19	ნ.რურუა, კ.მჭედლიშვილი, ზ.გაბედავა	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები ქურონალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №4(43).	თბილისი. “მშენებლობა”	5
20	ნ.რურუა, კ.მჭედლიშვილი, ზ.გაბედავა	საქართველოს ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ამოცანები ქურონალი “მშენებლობა”	“მშენებლობა”, თბილისი. 2016, №4(43).	თბილისი. “მშენებლობა”	12

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის ვერტიკალურად ბრტყელი ორგანოზომილებიანი (2) არასტაციონარული განტოლებების გამოყენებით დამუშავებულია კაშხალზე გადადინების და წყალსაშვი ფარებიდან ნაკადის გადინებით ექსტრემალური ტალღის სიმაღლის რეგულირების მათემატიკური მოდელი, სეისმოტექტონიკური ან დეარცოფულ/მეწყრული პროცესით წარმოშობილი ცუნამის ტიპის გრძელი ტალღების დროს. მიღებულია ანალიზური ამონახსნი იტერაციული პროცესის გარეშე, დროში წინმსწრები გამოთვლების თანამიმდევრული შეჯამების მეთოდით.
2. სტატიაში განხილულია რკინაბეტონის შპალებიან მცირერადიუსიან მრუდებში ლიანდის გაგანიერების მოწყობის საკითხები. გაანალიზებულია არსებული რკინაბეტონის შპალების მცირერადიუსიან მრუდებში მუშაობის კონსტრუქციული ხარვეზები. შემოთავაზებულია საქართველოს რკინიგზაზე გამოსაყენებელი რკინაბეტონის შპალების კონსტრუქცია, რომელშიც ლიანდის გაგანიერების უზრუნველყოფა სწორი უბნიდან მრუდში გადასვლისას უნდა მოხდეს ბიჯით საფეხურებად ან თანდათანობით სხვადასხვა ტიპის სამაგრების სისტემების - Vossloh, Pandrol და SB-3 გამოყენებით. გაგანიერება ხორციელდება კუთხური თამასების ან გვერდითი იზოლატორების საშუალებით 2-2,5 მმ-ის ჯერადი ბიჯებით. შემოთავაზებულია აგრეთვე სარელსო ლიანდის გაგანიერების სხვადასხვა ვარიანტები დამოკიდებული მისი მატების სიდიდეზე და ლიანდაგის ღერძის მიმართ განლაგებაზე. დადგენილია მანძილი გადასასვლელი მრუდის საწყისიდან იმ წერტილამდე, რომლის შემდეგ ახდენენ ლიანდის გაგანიერებას მრუდის რადიუსზე და გადასასვლელი მრუდის სიგრძეზე დამოკიდებულებით.
3. სტატიაში განხილულია საპირაპირო ღრწოების მდგომარეობის ანალიზი და

რგოლური ღიანდაგის სამედლობის პროგნოზირების საკითხები. გაანალიზებულია საპირაპირო ღრეჩოების მოწყობის და მოვლა-შენახვის არსებული ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც სრულად ვერ პასუხობენ 25 მეტრიანი რელსების ექსპლუატაციის მოთხოვნებს ურთიერთსაწინააღმდეგო რეკომენდაციების შემცველობის გამო. შემოთავაზებულია საპირაპირო ღრეჩოების მნიშვნელობების დაჯგუფების ხერხი ინტერვალური სტატისტიკური რიგის დახმარებით. განსაზღვრულია პიკეტურ ტემპერატურთა ფაქტიური მკუმშავი ვარდნის მნიშვნელობები. წარმოდგენილი საპირაპირო ღრეჩოების გახსნის გრაფიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნებისა და რეკომენდაციების გაცემა რგოლური ღიანდაგის მუშაობის საიმედოობაზე მინიმალური საანგარიშო ტემპერატურის დადგომის მომენტში, საპირაპირო ღრეჩოების გარეკვის ან რეგულირების გადაუდებელი სამუშაოების შესრულების საჭიროების შესახებ.

4. სტატიაში განხილულია მოსაზრებები სარკინიგზო რელსების ელექტროკონტაქტური მეთოდით შედუღების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. შემოთავაზებულია მოძრავი რელსშემდუღებელი მანქანით რელსების შედუღებისას შენადული პირაპირების ნიშანდების წესი, ასევე შენადული პირაპირის საკონტროლო ნიმუშის სტატიკურ განივ ღუნვაზე გამოცდის სქემა, დატვირთვის მოდებით რელსის თავზე და ფუძეზე.
5. სტატიაში განხილულია მიწის ვაკისის გეოტექნიკური სისტემა (მე გტს), როგორც რკინიგზის ღიანდაგის ბუნებრივ-ტექნიკური სისტემის ქვესისტემა (რკლ ბტს), რომელიც ურთიერთქმედებს სხვა ქვესისტემებთან და ასრულებს რა რკინიგზის ღიანდაგის კონსტრუქციის ფუნდამენტის ფუნქციას, უზრუნველყოფს სივრცეში ღიანდაგის ზედა ნაშენის განლაგების სტაბილურობას ექსპლუატაციის მთელი ვადის განმავლობაში. გაანალიზებულია მიწის ვაკისის და რკინიგზის ღიანდაგის ზედა ნაშენის ქვესისტემებს შორის გამყოფი საზღვრის გადაადგილების (ქანობის) უთანაბრობის დასაშვები მნიშვნელობები გრძივი და განივი მიმართულებით. დადგენილია რკინიგზის მიწის ვაკისის გეოტექნიკური სისტემის სქემის საფუძველზე “რკინიგზის” ზესისტემის გავლენა სამატარებლო დატვირთვის სახით.
6. დეტალურად არის მოცემული სხვადასხვა სახის ბიტუმების რეოლოგიური თვისებებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რათა უფრო ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ ბიტუმის ე.წ. “ქცევაზე” ასფალტბეტონის შემადგენლობაში. ახალი სტანდარტის პროექტში ყურადღება გამახვილებულია დინამიკურ სიბლანტეზე 60 გრადუსზე, კინემატიკურ სიბლანტეზე 135 გრადუსზე და დაძველების პროგნოზზე 163 გრადუსზე.
7. თანამედროვე მსოფლიოში არსებული, სპორტის მრავალი სახეობიდან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მიმზიდველია საავტომობილო სპორტი, რომელიც პოპულარულია ყველა ქვეყანაში. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონისა, მონაწილეობა და მყოფრებელთა ასაკისა და სქესისა, სოციალური მდგომარეობისა. სტატიაში განხილულია ავტოსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჩამოყალიბებულია პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული ობიექტების სია, რომელთა სათანადო მოდიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ავტოსპორტის ყველა სახეობის შეჯიბრებათა ჩატა-

რება საერთაშორისო დონეზე. ეს თავის მხრივ გამოიწვევს უცხოელი სპორტსმენებისა და მათი გულშემატკივრების დიდი რაოდენობით მოზიდვას საქართველოში, რაც უადრესად დადებით გავლენას მოახდენს ქვეყანაში სპორტის, ტურიზმის და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

8. სტატიაში განხილილია საქართველოში მოქმედი ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ძველი ასფალტბეტონის მეორადი გამოყენება, ხოლო ნაშრომში განხილული ფრეზირებული მასალის გამოყენების ახლებური ხედვა, რომლითაც შესაძლებელია მიღებულ იქნას, როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური ეფექტებიც.
9. სტატიაში განხილულია ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების რეალიზაციიდან გამომდინარე საპროექტო ნორმატიული ბაზის ცვლილების საკითხი საქართველოში ხელოვნური ნაგებობების, კერძოდ ხიდებისა და მილების, დაპროექტებასთან დაკავშირებით. განხილულია როგორც დაპროექტების ნორმების, ისე მშენებლობის და ექსპლუატაციის საკითხები, არსებული ნაგებობების გადაანგარიშების აუცილებლობის და ამასთან დაკავშირებული პრობლემების სირთულე. დასახულია პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა და გაზიარებულია სხვა ქვეყნების გამოცდილება იგივე საკითხთან დაკავშირებით.
10. სტატიაში განხილულია ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების საკითხი გაუთვალისწინებელ მოვლენებისა და მომეტებული რისკის ქვეშ, რომლისთვისაც დამუშავებულია მათემატიკური მოდელი და შემუშავებულია სქემა ეკოლოგიური მენეჯმენტის გათვალისწინებით. წარმოდგენილი მათემატიკური მოდელი ეყრდნობა რისკების შეფასების „დინამიურ კომპონენტურობას“, რომელიც შედგება, როგორც სარკინიგზო ობიექტზე ნეგატიური სიტუაციების გავლენისგან წარმოქმნილი, ასევე საჭირო ფინანსების უკმარისობის რისკებისაგან. სტატიაში მოცემულია საავარიო სიტუაციების განვითარების შესაძლო დროისა და საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული რკინიგზების განვითარებისა და მოდერნიზაციის სამუშაოების დროის მოდელირება. აგრეთვე, წარმოდგენილია სქემები ლიანდაგის ზედნაშენის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების ტიპური და ეკოლოგიური მენეჯმენტის ჩართვით, რაც გვაძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მფლობელ ორგანიზაციებში უნდა მუშაობდეს ეკოლოგიური მენეჯმენტი, რომლისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნას ფინანსები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას. სტატიაში განხილულია სარკინიგზო ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავისებურებები დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სტადიაზე. გაანალიზებულია თითოეულ სტადიაზე სარკინიგზო ინდუსტრიისგან მხრივ გარემოზე ზემოქმედების წყაროები და მოსალოდნელი სიდიდე.
11. სტატიაში წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების სიდიდის სქემატური გამოსახულება რკინიგზების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის სტადიაზე მათი ნორმალური ფუნქციონირებისას და ტექნოგენური ავარიების ზემოქმედებას ლიანდაგის ელემენტების მტყუნებისას. შემოთავაზებულია რკინიგზების მხრივ გარემოზე ანთროპოგენულ საზღვრებში ზემოქმედების ფარგლებში დარჩენისთვის საჭირო ღონისძიებათა მიმოხილვა. დასახულია სარკინიგზო ტრანსპორტის ეფექტურ ფუნქციონირებასთან ერთად ტექნოგენური კატასტროფების თავიდან აცილებისთვის

შემდგომი კვლევის მიმართულება.

12. საზღვარგარეთის გამოცდილების გაზიარებით განხილულია საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების E-60 და E-70 განვითარების პერსპექტივები. დასაბუთებულია საგვირაბო-ესტაკადური ვარიანტების გამოყენების და ზოგიერთი ტექნიკური გადაწყვეტის პერსპექტიულობა.
13. სტატიაში მოცემულია ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მოქმედებენ ბეტონის კოროზიაზე ქ.თბილისის მეტროპოლიტენის პირობებში. დადგენილია სულფატური კოროზიის დამოკიდებულება წყლის სეზონზე და სულფატიონების შემცველობის გავლენა კორელაციურ დამოკიდებულებაზე ბეტონის სიმტკიცესა და სამაგრის სისქეში გასული წყლის რაოდენობაზე.
14. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქ.თბილისის მეტროპოლიტენის ახალი რიგის მშენებლობაზე მრავალი სიახლე და მოწინავე კონსტრუქციული ტექნოლოგიური გადაწყვეტა იქნება რეალიზებული. გადმოცემულია სისტემური ხედვა გვირაბმშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე.
15. გვირაბმშენებლობაში ახლავსტრიული ხერხის გამოყენებისას დიდი როლი აქვს დათმობილი ნაშეფებტონს. სწორედ ამ ხერხის დანერგვამ გამოავლინა ნაშეფებტონისა და ანკერების გამოყენებით აგებული ეკონომიური დამყოლი სამაგრების უპირატესობანი.
16. სტატიაში წარმოდგენილია ავტომობილიზაციის ორი უმნიშვნელოვანესი უარყოფითი შედეგი: გარემოს დაბინძურება ტოქსიკური ნივთიერებებით ავტომობილთა გამონაბოლქვის ემისიის შედეგად და ავტომობილთა ნაკადების მოძრაობისაგან გამოწვეული ხმაური, მოცემულია ამ უარყოფითი ფაქტორების გამომწვევი კონკრეტული მიზეზები, მათი ნეგატიური ზეგავლენა მოძრაობის მონაწილეთა და გზისპირა სივრცეში მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ნაჩვენებია არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები, ხაზგასმულია თანამედროვე, ნორმატიულ-ტექნიკური ბაზისა და საკანონმდებლო მასალების შემუშავების აუცილებლობა, განსაკუთრებით ნორმატივებში მოცემული ტექნიკური პარამეტრების კონკრეტული სიდიდეების თანდათანობითი, ეტაპობრივი მიახლოების აუცილებლობა მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.
17. სტატიაში მოცემულია საავტომობილო ტრანსპორტზე მიმდინარე პროცესების პროგნოზირების მეთოდები და საშუალებები. კერძოდ, განხილულია პროგნოზირების ძირითადი მიმართულებები: ექსპერტების ანკეტირება, საძიებო და ფაქტორული პროგნოზირება. ჩამოყალიბებულია საპროგნოზო მოდელების შექმნის აუცილებელი წინაპირობები და მათემატიკური ფუნქციების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები. განხილულია ერთგანზომილებიანი და მრავალფაქტორიანი მოდელების აგების თავისებურებანი, ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები პროგნოზირებისათვის საწყისი მონაცემების შერჩევის, პროგნოზირების პერიოდისა და სიზუსტის შესახებ.
18. სტატიაში წარმოდგენილია ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგის ტრანსპორტის ძირითადი შემადგენელი ნაწილის საავტომობილო პარკისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის უდიდესი მნიშვნელოვა ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის.

სტატიაში მოწინავე ქვეყნების მაგალითზე ნაჩვენებია, რომ მათი ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო ავტომობილიზაციისა და ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის ერთობლივი, სინქრონული განვითარება. ნაჩვენებია აგრეთვე რა უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპების ჩამორჩენას ავტოპარკის ზრდის ტემპებისაგან. სტატიაში განხილულია საქართველოს ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების უახლოესი ამოცანები და ადგილობრივი ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების აუცილებლობა საგარეო კრედიტების გამოყენებაზე ორიენტაციის მაგიერ.

19. სტატიაში განხილულია სატრანსპორტო სისტემების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა. ნაჩვენებია, რომ ავტომობილი მიუხედავად მრავალი პრინციპული ხასიათის კონსტრუქციული ცვლილებებისა კვლავ დარჩება ძირითად სატრანსპორტო საშუალებად და შესაბამისად საავტომობილო გზების ქსელი იქნება მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილების აუცილებელი საშუალება. სტატიაში ნაჩვენებია აგრეთვე ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის დაპროექტების პროცესის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

20. სტატიაში განხილულია საქართველოს საერთაშორისო დანიშნულების ავტომაგისტრალების, აგრეთვე შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულებისა და ადგილობრივი გზების ქსელის განვითარების საკითხები. ხაზგასმულია, რომ საგზაო ქსელის განვითარების უპირველესი ამოცანაა საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან შეუფერხებელი მიმოსვლის უზრუნველყოფა დიდი სიღრმისა და სიგრძის გვირაბებით. აღნიშნულია განსაკუთრებით მაღალი ინტენტივობის მქონე მონაკვეთების რეკონსტრუქციის აუცილებლობა საავტომობილო მაგისტრალებად. აგრეთვე ამჟამად მშენებარე ავტომაგისტრალებთან ერთად იგივე დანიშნულების ავტომაგისტრალის აშენების აუცილებლობა სამცხე-ჯავახეთის გავლით. ნაჩვენებია მაღალმთიან პირობებში, რიგ შემთხვევებში, ვიწროლიანი რკინიგზების გამოყენების მეტი მიზანშეწონილობა საავტომობილო გზებთან შედარებით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ.ირემაშვილი	სამთო წყალსაცავში გად- ადინების მახასიათებლების	VI საერთაშორისო სამეცნი- ერო-ტექნიკური კონფერენ-

	გ.ბერძენაშვილი	გამოთვლის მეთოდიკა მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის სასახლოდრო ამოცანების ამოხსნით მიღებული შედეგების მიხედვით.	ცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ 22-25 სექტემბერი, 2016წ. ქ.თბილისი
2	ხ.ირემაშვილი გ.ბერძენაშვილი	სამთო ღრმა წყალსაცავში წყალუხვობის დროს მიწის კაშხლის წარეცხვის რისკების შეფასებისა და პროგნოზირების მეთოდიკა.	VI საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ 22-25 სექტემბერი, 2016წ. ქ.თბილისი
ანოტაცია			
<p>1. დამუშავებულია ვიწრო სამთო წყალსაცავებში ღვარცოფითა და სხვადასხვა ტიპის მეწყერით გენერირებული ექსტრემალური ტალღების შეფასების მეთოდიკა, რომელიც კაშხალზე გადადინების შედეგად საფრთხეს უქმნის წყალსატევის ნორმალურ ფუნქციონირებას და იწვევს ქვედა ბიუფში ეკოლოგიური წონსწორობის დარღვევას, მცირეამპლიტუდიანი ტალღების თეორიის ორგანოზომილებიანი (2) ანალიზური ანრიცხვითი მოდელირებით მიღებული შედეგების საფუძველზე.</p> <p>2. განხილულია მიწის კაშხლის ქიმზე გადადინების მახასიათებლების (სიმაღლისა და სიჩქარის) სწრაფი პროგნოზირებისა და წარეცხვის რისკების შეფასების მეთოდიკა ვიწრო და ღრმა სამთო წყალსატევეებისათვის ნაკადის დამყარებული მოძრაობის დროს.</p>			

III. სამეცნიერო-კვლევითი-საექსპერტო სამუშაოები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს საავტომობილო გზებზე	შპს “ინტერპროექტი”	თ. ცვარიანი	გ.დათუაიშვილი, ბ. მაისურაძე,

	განლაგებული 52 ხიდისა და გზაგამტარის გამოკვლევა-გამოცდა			კ. კობახიძე თ. ჯაფარიძე ზ. ტატიშვილი ლ. კალანდაძე ე. აგურაშვილი კ. ჭიჭილეიშვილი
2	ხიმინჯების გამოცდა მთლიანობაზე Piletest ხელსაწყოთი	შპს “მ კვადრატი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე კ. კობახიძე
3	ხიმინჯების გამოცდა მთლიანობაზე Piletest ხელსაწყოთი	შპს “ბლექსიგურუპი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე თ. ჯაფარიძე
4	სამტრედია-გრიგოლეთის ავტომაგისტრალზე მშენებარე ხიდებისა და გზაგამტარების ხიმინჯების გამოცდა სტატიკურ დატვირთვაზე	შპს “ალტკომი”	თ. ცვარიანი	კ. კობახიძე, გ. დათუკიშვილი, გ. ზექალაშვილი, ე. აგურაშვილი
5	მთლიანობაზე Piletest ხელსაწყოთი	შპს “ანაგი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე კ. კობახიძე
6	მთლიანობაზე Piletest ხელსაწყოთი	შპს “ფროფერტი მენეჯმენტი”	თ. ცვარიანი	ბ. მაისურაძე, თ. ჯაფარიძე
7	საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, სამგორში, დიდი ლილოში – პატარა ლილოს აეროპორტში მდებარე №01.19. 15.002.017 მიწის ნაკვეთზე აშენებული ხაზობრივი ნაგებობის (რკინიგზის ჩიხის ლიანდაგის) გრუნტთან უპირადი კავშირის, მდგრადობაზე და საექსპლუატაციოდ ვარგისიანობაზე (2016 წლის აპრილი).	შპს “ამტ98”	სტუს “სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი”-ხელმძღვანელი ენვერ მოისწრაფიშვილი	ნ.რურუა მ.მოისწრაფიშვილი
8	დოქტორანტურის საგანმანათლებლო	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო		ნ.რურუა

	<p>პროგრამების 2016 წლის კონკურსზე რეგისტრირებული საპროექტო განცხადების შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით</p>	<p>ფონდი</p>		<p>ა.ბურდულაძე</p>
<p>პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>				
<p>1. ხიდებისა და გზაგამტარების გამოკვლევა-გამოცდის სამუშაოები გულისხმობს ნაგებობების გამოკვლევას, მათი ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, და დროებითი დატვირთვის (დატვირთული თვითმცდელების) ზემოქმედების ქვეშ მისი მალის ნაშენის ქცევის შესწავლას დეფორმაციების გაზომვით, მისი მზიდუნარიანობის განსაზღვრისათვის. გამოკვლევა-გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე კეთდება კონკრეტული ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა და მისი ექსპლოატაციის რეჟიმის განსაზღვრა.</p> <p>2. 3. 5. 6. ხელსაწყოთი Piletest ხდება ნაბურღნატენი ხიმინჯის ტანის მთლიანობის განსაზღვრა, რაც განაპირობებს ხიმინჯის მუშაობის ადექვატურობას საანგარიშო სქემასთან და რითაც მოწმდება სამუშაოს შესრულების ხარისხი. გამოკვლევის შედეგად კეთდება დასკვნა ხიმინჯის ვარგისიანობის შესახებ.</p> <p>4. სტატიკურ დატვირთვაზე ნაბურღნატენი ხიმინჯების გამოცდა წარმოებს ხიმინჯის რეალური მზიდუნარიანობის განსაზღვრედად და ნორმებით მოთხოვნილ მის სიდიდესთან შესადარებლად. სტატიკური დატვირთვა წარმოებს ჰიდროდომკრატების მეშვეობით გარკვეული დროის განმავლობაში და ეტაპობრივად, რის დროსაც იზომება ხიმინჯის გადაადგილება. გამოცდის შედეგების ანალიზისას განისაზღვრება ხიმინჯის მზიდუნარიანობა და დასკვნის სახით ხდება მისი სიდიდის დადგენა.</p>				

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: პროფესორი ეგენი ბარათაშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორები:

1. ეგენი ბარათაშვილი
2. რამაზ ოთინაშვილი
3. ანზორ აბრალავა
4. რუსუდან ქუთათელაძე
5. კარლო ღურწყაია
6. ნინო ლაზვიაშვილი
7. ლელა კოჭლამაზაშვილი
8. თეიმურაზ ყანდაშვილი
9. მარინა მეტრეველი
10. კობა სოსხაძე
11. ნინო ქავთარაძე
12. ბესიკ ბარკალაია
13. ნინო ფაილოძე
14. თამარ ბერიძე

ასოცირებული პროფესორები:

1. რუსუდან ქინქლაძე
2. ნანა ნადარეიშვილი
3. ლია ბერიკაშვილი
4. რატი აბულაძე
5. ციალა ლომაია
6. ნინო ჩიკვილაძე
7. თამარ როსტიაშვილი
8. მათა სოსელია
9. ნოდარ ცანავა
10. ნატალია ჭანტურია

11. სოფო ბლიაძე
12. მანანა ხარხელი
13. თათია ლურჯაია
14. თამარ ღამბაშიძე
15. ნინო ფაილოძე
16. მაკა ფირანიშვილი
17. ლევან გრიგალაშვილი
18. ნაირა გალახვარიძე

ასისტენტ პროფესორები:

1. ქეთევან ქაჯაია
2. ნინო მაზიაშვილი
3. ხათუნა ხარხელაური
4. თამარ დევიძე
5. დავით ბიბინაძე
6. ნათია შენგელია
7. ედუარდ კავთიძე
8. ბელა გოდერძიშვილი

პროექტი

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა პროექტი: „კონფლიქტების შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციის ეფექტურობის შეფასების კოგნიტიური მოდელის დამუშავება სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით“	ზ. გასიტაშვილი	მ. მეტრეველი

საერთაშორისო პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მიითვებით			
1	პროექტის TEMPUS “Licence Masters professionnels en management des activités hôtelières pour le développement de l’industrie touristique en Géorgie, Azerbaïdjan et Moldavie (N 544191-TEMPUS-1-2013-1-PT)	ევროკავშირი	პროექტის კოორდინატორი ია მოსაშვილი	ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი ნინო ფაილოძე ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები
2	TEMPUS-ის პროგრამის Re-THINK-ის (Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტი (54417 8-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR	ევროკავშირი	პროექტის კოორდინატორი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ნინო ჩაჩავა,	ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის: პროფესორი ნინო ფაილოძე, ასისტენტ-პროფესორი გიორგი სულაშვილი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები
3	ტემპუსის პროექტი - საკრუიზო ტურიზმის განვითარება და კომპეტენციათა ცენტრის შექმნა შავი ზღვის რეგიონში 2013 – 2017	პადერბორნის (გერმანია) უნივერსიტეტი		ლია ბერიკაშვილი

1. ტემპუსის პროექტი „სასტუმრო მეურნეობის მართვის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამუშავება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში“ N 544191 Tempus 1-2013-1-PT JPCR; პროექტის ხანგრძლივობაა 3 წელი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც პროექტის კონსორციუმის წევრი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ TEMPUS -ის პროგრამის Re-THINK-ის (Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტში (544178-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR, საგრანტო ხელშეკრულება 2013-5076) ითვალისწინებს ურბანისტიკასა და

არქიტექტურის სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებას ორმაგი დიპლომების გაცემის შესაძლებლობით, გაძლიერებული გარემოს დაცვის კომპეტენციებით. გრანტი რეგისტრირებულია ფინანსთა სამინისტროში ნომრით 1024 (25.12.2015).

3. გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ბარათაშვილი თ.კვაბჭირიძე ი.გაბისონია ლ.ბაგრატიონი	სახელმწიფო ინვესტიციების ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება (სახელმძღვანელო)	ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი 2016	200 გვ.
2	ე. ბარათაშვილი ლ.ბაგრატიონი მ.მარიდაშვილი ი.მახარაშვილი	მენეჯმენტი წიგნი 1 (სახელმძღვანელო)	ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი 2016	606 გვ.
3	ე. ბარათაშვილი ლ.ბაგრატიონი მ.მარიდაშვილი ი.მახარაშვილი	მენეჯმენტი წიგნი 2 (სახელმძღვანელო)	ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი 2016	566 გვ.
4	ე. ბარათაშვილი პ.კოლუაშვილი ნ.გალახვარიძე გ.ჩადუნელი თ.კვაბჭირიძე ი.მახარაშვილი	საქართველოს ეკონომიკა სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა)	საქართველოს საინჟინრო აკადემია 2016	388 გვ.
5	აბულაძე რატი, წოწკოლაური	ელექტრონული	საქართველო, თბილისი,	258

	ფიქრია	ბიზნესი	გამომცემლობა უნივერსალი	
6	ნ.გალახვარიძე ე. ბარათაშვილი პ.კოლუაშვილი გ.ჩადუნელი თ.კვაბჭირიძე ი.მახარაშვილი	საქართველოს ეკონომიკა სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა)	საქართველოს საინჟინრო აკადემია 2016	388 გვ.
7	ბარათაშვილი ე. კვაბჭირიძე თ. ბაგრატიონი ლ.	სახელმწიფო ინვესტიციების საფინანსო- სამართლებრივი რეგულირება	თბილისი	
8	ე.ბარათაშვილი, მ.ჩხეიძე, ჯ.ზარანდია, ი.მახარაშვილი	შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია	თბილისი, პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“	578
9	М.Чечелашвили	Методы обучения/курс лекций для докторантов/	თბილისი, სტუ	130
10	М.Чечелашвили, И.Махарашвили	Разработка управлен- ческих решений/Курс лекций для магистрантов	თბილისი, ჩი „ შპს „კოპირინტ“ 2000	110
11	Е.Бараташвили, М.Чечелашвили, И.Махарашвили	Инновационная экономика/курс лекций/	თბილისი, ჩი , შპს „კოპირინტ“ 2000	105
12	გ. ამყოლაძე, დ. ბოკუჩავა, თ. დევიძე	პერსონალის მენეჯმენტი	საგამომცემლო სახლი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016 ISBN	105
13	ა. აბრალავა, ზ. ჯორბენაძე	ეკონომიკური ანალიზი	თბილისი, სტუ	364

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

5. ციფრულ ეპოქაში, ინტერნეტ-ტექნოლოგიებმა შეიცვალა ბიზნეს პროცესები, ბიზნეს მოდელები, ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედების ბალანსი. დღეს, ბიზნეს კომპანიები წარმატებისათვის იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, წებ-ს, სიცოცხლისუნარიან ბიზნეს-მოდელებსა და გრძელვადიან სტრატეგიას.

მსოფლიო ეკონომიკაში, მზარდი ელექტრონული ბიზნეს პროცესების ფონზე, აქცენტები კეთდება ისეთ აუთვისებელ რესურსებზე, როგორცაა: ელექტრონული ბიზნესი, ინტერნეტ-ბაზარი, ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული მართვა.

ნაშრომში განხილულია ელექტრონული ბიზნესი, რომელიც წარმოდგა გლობალური სავაჭრო რეჟიმით, მოქნილი ფასწარმოქმნის პოლიტიკით, ახალი ბიზნეს მოდელებით, პროდუქტისა და მომსახურების ფართო არჩევანით, კლიენტზე ორიენტირებული და ინდივიდუალური ურთიერთქმედების კონცეფციით.

სახელმძღვანელო მოიცავს ელექტრონული ბიზნესის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტს. წიგნში გაანალიზებულია ელექტრონული ბიზნესის ლანდშაფტი, ელექტრონული ბიზნესის ძირითადი მიმართულები, შესაძლებლობები და გამოწვევები.

კვლევის საფუძველზე შეფასებულია მობილური კომერციის ბაზარი, შედარებულია ინტერნეტისა და მობილურის გლობალური სივრცე, წარმოდგენილია მობილური კომერციის განვითარების რეკომენდაციები საქართველოში.

ელექტრონული ბიზნესის შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია სოციალური ქსელის ელექტრონული კომერცია, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული კომერციის ქვესიმრავლეს, ბიზნეს წარმატებებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში აღნიშნულია ელექტრონული ბიზნეს გარემო, რომელიც გენერირებს ორგანიზაციული ცვლილებებს, ელექტრონული ვაჭრობის ზრდას, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების კონვერგენციას, მწარმოებლურობის ზრდას, ბიზნეს პროცესების რაციონალიზაციას.

კვლევითი ნაშრომში გაშუქებულია ელექტრონული მთავრობის, ელექტრონული ტურიზმის, ელექტრონული ჯანდაცვის, ელექტრონული განათლების კვლევის საკითხები. წარმონიშნულია ციფრული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და ციფრული სივრცის საინვესტიციო მიმზიდველობა.

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია კიბერგარემოს გლობალური საფრთხეები, კიბერარმიის შექმნის ღონისძიებებისა და კიბერუსაფრთხოების მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების საჭიროება.

კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საბიუჯეტო დაფინანსება საკმარისი არ არის საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნის, ინტერნეტ-პროდუქტების განვითარების, ელექტრონული ვაჭრობის ზრდის, ელექტრონული კომერციის ექსპორტის, ელექტრონული ბიზნესისა და ინტერნეტ-ეკონომიკის მოცულობის ზრდისთვის.

მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგენილია ელექტრონული ბიზნესის განვითარების გამოწვევები და ტენდენციები საქართველოში. ნაჩვენებია ელექტრონული ბიზნეს გარემოს ეკონომიკური განზომილების მრავალფეროვნება და მდიდარი რესურსები.

კვლევითი ნაშრომი გამიზნულია ფართო საზოგადოებისათვის: უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური პროფილის სტუდენტების, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების, ბიზნესისა და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-მკვლევართათვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირათვის.

6. სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია როგორც მთკლიანად ქვეყნის ასევე რეგიონული ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, ეკონომიკური პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციაზე, ქვეყნის

გეოპოლიტიკურ გარემოზე, ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირებაზე, საქართველოსა და რეგიონალური დასაქმების საკითხებზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული ქვეყნის პერსპექტივებზე- ეკონომიკის მომავალი განვითარების მიმართულებებზე, შინაარსზე.

მონოგრაფიაში ვრცლადაა განხილული ეკონომიკის ისტორიის საგანი, კაპიტალისტურ წარმოებადღე პერიოდის მეურნეობის ტიპები, კაპიტალისტური ეკონომიკის გენეზისი, დასავლეთი სამყაროს ინდუსტრიალიზაცია და XIX-XX საუკუნეების მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

გარდა ამისა, დეტალურადაა გაანალიზებული ცვლილებები, რომელიც ხდებოდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში. ცალკეული პარაგრაფები ეძღვნება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის გენეზისს და სოციალისტური სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირში (ტოტალური მილიტარიზაცია, „პერესტროიკა“ და სხვ.).

ნაშრომის პირველ თავებში გაანალიზებულია ის ტიპოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აყალიბებს ეკონომიკური წარმოების წესს, კერძოდ: მენტალიტეტი, ეკოლოგია და გეოპოლიტიკა.

ნაშრომის შემდგომ თავებში განხილულია მომთაბარე მესაქონლეობა; მთის ცივილიზაციების ეკონომიკა; ირიგაციული სისტემების, ანუ სამდინარო ცივილიზაციები; ანტიკური სამყაროს მონათმფლობელური ეკონომიკა; ფეოდალური ეკონომიკის არსი; მსოფლიო ბაზრის წარმოშობის პირობები და მისი განვითარების ისტორია; ინგლისის, საფრანკეთის, გერმანიისა და აშშ ეკონომიკის თავისებურებები; კაპიტალისტური წარმოების განვითარების ძირითადი ტენდენციები; კოლონიური მეურნეობის თავისებურებები; ეკონომიკის მონოპოლიზაცია; პირველი მსოფლიო ომის ეკონომიკური შედეგები; მე-20 საუკუნის დიდი ძვრები, რომელიც მოხდა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.

7. ვარ მონოგრაფიის „სახელმწიფო ინვესტიციების საფინანსო-სამართლებრივი რეგულირება“ /ავტორები ე.ბარათშვილი, თ.კვაბზირიძე, ლ. ბაგრატიონი/ სამეცნიერო რედაქტორი. მონოგრაფიაში შესწავლილია შიდა სახელმწიფო და გარე უცხოური პირდაპირი ინვესტირების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, ვრცლადაა განხილული დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე შექმნილი ყველა სამართლებრივი აქტი და დაწვრილებითაა განხილული ყოველი მათგანის რეალური მოქმედების მაგალითები, კანონების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი დახვეწისა და სრულყოფის მიმართულებები.

8.სახელმძღვანელო განიხილავს შედარებით მენეჯმენტს, როგორც მენეჯმენტის თეორიის შემადგენელ ნაწილს, რომლის ჩარჩოებშიც ანალიზდება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთქმედება წარმოებისა და მართვის პროცესებში. ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოების მენეჯერების მიერ ბიზნესის მართვის ეფექტიანობის გაზრდა ამ საწარმოში დასაქმებულების, ბიზნეს-პარტნიორებისა და იმ ქვეყნების ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, სადაც ბიზნესი ხორციელდება.

ნაშრომში ნათლადაა გაშუქებული დებულება იმის შესახებ, რომ შედარებით მენეჯმენტს აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მიზნები და მისი კორექტული გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთნდობისა და

სიმპათიების ზრდას ერთმანეთის მიმართ.

სახელმძღვანელოში მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ავტორები განიხილავენ ეროვნული და მულტინაციონალური საქმიანი საწარმოების ფუნქციონირების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მხარეებს. ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით მომავალი სპეციალისტები შეძლებენ, გამოიმუშაონ მულტინაციონალური კოლექტივების მართვის პრაქტიკული ხედვა. სახელმძღვანელო მიმოიხილავს შედარებითი მენეჯმენტის ზოგად თეორიულ საკითხებს, მის გენეზისს, ქვეყნების კულტურულ თავისებურებებს, ქვეყნების კლასტერებად დაყოფის სვადასხვა მიდგომებს, მართვის სტილს სხვადასხვა კულტურაში, მოტივაციის მართვას, კომუნიკაციების სიტემებს და ფართოდ და საგანგებოდ - სხვადასხვა ევროპული, აზიური და ამერიკული ქვეყნების (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ევროპის სხვა ქვეყნები, ჩინეთი, კორეა და მრავალი სხვა) მენეჯმენტსა და მის თავისებურებებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში განხილულია ევროპული და დსთ (აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა და სხვ) ქვეყნების ბაზაზე წარმოქმნილი რეგიონული კლასტერები და კლასტერთა ქსელები. სახელმძღვანელოში მკაფიოდაა გაანალიზებული ქართული მმართველობითი კულტურა, მისი თავისებურებები და მოცემულია მისი სხვა ქვეყნების მმართველობით კულტურებთან შედარებითი ანალიზი.

9. ლექციების კურსი «Методы обучения» შექმნილია დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის, მოიცავს სწავლების პროცესის მათთვის საინტერესო ასპექტებს. სალექციო კურსში ფართოდაა განხილული სწავლების სტრუქტურა და პროცესი, სწავლების სამოტივაციო კომპონენტების ერთობლიობა, სწავლების ორგანიზების პროცესი და ახალი ცოდნის აღმოჩენისა და შეთვისების საფეხურები.

სალექციო კურსი მიმოიხილავს სწავლების პროცესის სოციალურ განპირობებულობას, ინდივიდუალურ დასაბუთებულობას, მიზანმიმართულობას, სისტემურობასა და სამეცნიერო სწავლების დიდაქტიზირებულობას.

გარდა ამისა, ლექციათა კურსი განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სწავლების პროცესის კანონზომიერებები, სწავლების პრინციპები, სწავლების პედაგოგიური პრობლემები, თანამედროვე სწავლების მეთოდები და შინაარსობრივი კონცეფციები.

10. ლექციების კურსი «Разработка управленческих решений» შექმნილია ბიზნესისა და ეკონომიკის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. მასში დაწვრილებითაა განხილული გადაწყვეტილების მიღების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მმართველობით გადაწყვეტილებათა მოდელები, მეთოდოლოგია და პროცესის ორგანიზება, ეტაპობრივადაა გაანალიზებული მიზნის დასახვისა და მისი შესრულების პროცესი, მრავალი მაგალითითაა გაშუქებული გადაწყვეტილების ოპტიმალური ვარიანტის მიღებისას მიღებული ალტერნატიული ქმედებები და მოცემულია მმართველობითი გადაწყვეტილებების მრავალვარიანტულობის (ვარიაციულობის) ილუსტრაცია.

11. ლექციების კურსი «Инновационная экономика» შექმნილია ბიზნესისა და ეკონომიკის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. მასში დაწვრილებითაა განხილული ინოვაციური ეკონომიკის კონცეფცია, ცნების „ინოვაციური ეკონომიკა“ შემეცნების აპარატი, ინოვაციური ეკონომიკის შინაარსი და ინოვაციების სახეები. გარდა ამისა, სალექციო კურსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

ინოვაციური საქმიანობის მოდელები და სტრატეგიები, ორგანიზაციის ინოვაციური განვითარება, ინოვაციური საქმიანობის ანალიზისადმი სისტემური მიდგომა და მისი თეორიული საფუძვლები, მართვის სისტემების საბაზისო ცნებები და სისტემური ანალიზის სტრუქტურა. კურსი მოიცავს ორიგინალურ თემატიკას, მაგალითად: ინოვაციური საქმიანობის კომპლექსური ანალიზის, ინოვაციების, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტის, ინვესტირების წყაროებისა და მათი კლასიფიკაციის საკითხებს.

12. დამხმარე სახელმძღვანელოში დამუშავებულია კომპანიებში პერსონალის მართვის მნიშვნელობა და ძირითადი ფუნქციები, მართვის თეორია ადამიანის როლის შესახებ, პერსონალის მენეჯმენტის პოლიტიკა და სტრატეგია, პერსონალის დაგეგმვის ძირითადი პრინციპები და საკადრო პოლიტიკა, პერსონალის მოზიდვა და შერჩევა, პერსონალის მენეჯმენტის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მოდელი, საქმიანობის SWOT-ანალიზი შეფასება და კომპეტენციები, პერსონალის ატესტაცია და კარიერის დაგეგმვა, კორპორატიული გარდაქმნების ეფექტიანობა. დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემული საკითხები მთლიანად შესაბამისობაშია საგნის „კადრები და ხარისხის მენეჯმენტი“ სილაბუსის კადრების მენეჯმენტის ნაწილში. ამის გარდა განხილულია კომპანიაში პერსონალის კორპორატიული მართვის საკითხები, რაც ახალი მიდგომაა.

13. სახელმძღვანელო მოიცავს ეკონომიკური ანალიზის საბაზისო საკითხებს. მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით დამუშავებულია ეკონომიკური ანალიზის თეორიის საწარმოს (ფირმის) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები, დეტალურადაა განხილული საწარმოში საფინანსო-საინვესტიციო ანალიზის ჩატარების ეტაპები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა ნადარეიშვილი, ნოდარ ძიძიკაშვილი, კობა კიკაბიძე	რეგიონული განვითარების პროგრამა (GARF-RD) პოლიტიკის დოკუმენტები №2	თბილისი, სამოქალაქო საზოგაროების ინსტიტუტი(ჩშ), ევროკავშირის მისიის ფინანსური მხარდაჭერით.	71-106
2	მაია ჩენელაშვილი	საქართველოს ბიზნესის აკადემიის მე-5 სამეცნიერო კონფერენციის „ბიზნესის	თბილისი, გამომცემლობა	7

		განვითარება გლობალური ეკონომიკის პირობებში“ სტატიების კრებული		
3	მაია ჩეხელაშვილი	“განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე და განვითარების პერსპექტივები“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული	გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
4	М.Чечелашвили	Сборник статей IX Международной научно-практической конференции «ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ СОВРЕМЕННОЙ НАУКИ», Сборник статей, часть 1; выпуск №9,	Москва, «Международные научные исследования»	8
5	მაია ჩეხელაშვილი	სამეცნიერო-პრაქტიკული საერთაშორისო კონფერენციის „საქართველო-ახალი გამოწვევების წინაშე“ მასალების კრებული	გორი, სუხიშვილის სახ. სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
6	М. Чечелашвили, Н. Шавишвили	Сборник статей XXVI Международной конференции: «Актуальные проблемы в современной науке и пути их решения»	Москва, http://euroasia-science.ru/wp-content/uploads/2016/1/1/euroasia_26_p1_2-4.pdf http://euroasia-science.ru/wp-content/uploads/2016/1	7 Global impact factor (0.388 за 2015)

			1/euroasia_26_p1_5-141.pdf	
7	М.Чечелашвили	Сборник статей IX Международной конференции: «Проблемы и перспективы современной науки», Часть 1	Москва, http://isi-journal.org/wp-content/uploads/2016/02/ISI-09_1_web.pdf	7 Global impact factor (0.374)
8	Maia Chechelashvili	Collection of scientific articles of the IV International scientific-practical conference "Financial Security in the System of National Economic Interests: Problems and Prospects"	Economic and Region, №2(57)	4 Global impact factor (0.574)
9	ლ. ბერიკაშვილი	„გასტრონომიის და აგროკულტურის როლი ტურიზმის განვითარებაში“ -	II საერთაშორისო კონფერენცია „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები: საზღვაო ტრანსპორტი, საინჟინრო ტექნოლოგიები, ლოჯისტიკა, ტურიზმი“ შრომათა კრებული ; 2016	გვ. 348- 351
10	ლ. ბერიკაშვილი	„საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგული ასპექტები“	III რეგიონული სიმპოზიუმი “საკრუიზო ტურიზმში-მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, შრომათა კრებული;2016	გვ. 83-88

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. წინამდებარე ნაშრომით წარმოდგენილია კონცეპტუალური ხედვა საქართველოს რეგიონულ განვითარებაზე და სივრცით მოწყობაზე, რომლებიც გადმოცემულია პარადიგმებისა და მოდელების განზოგადებით. ნაშრომში წარმოდგენილი სამი სივრცითი მოდელი გამოიკვეთა სხვადასხვა მეცნიერთა თეორიული ნაშრომების ანალიზის, სტატისტიკური მასალის სისტემატიზაციის, მოდელების დაჯგუფების, ჩვენი და უცხოური გამოცდილების საფუძველზე.

საქართველოში ამ ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები თვითმართველობის გაძლიერების მხრივ სულ ახალ პერსპექტივებს უქმნის ჩვენს რეგიონებს საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარებისა და საკუთარ ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტიურობის გასაძლიერებლად. ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე ხელშეკრულების დადების შემდეგ მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარებაც, რომელიც აღნიშნულ გაერთიანებას გააჩნია რეგიონული განვითარების და სივრცითი მოწყობის საქმეში.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზმა გვიჩვენა (მშპ-ს განაწილება, დემოგრაფია, დასაქმება, ცხოვრების დონე და ა.შ.), რომ მათ შორის შეინიშნება მნიშვნელოვანი ტერიტორიული არაერთგვაროვნება. ეს ეხება როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას, ისე განსახლებას და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განლაგებასაც. შესაბამისად, საქართველოს რეგიონებიც არათანაბარი განვითარებით გამოირჩევიან, როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით.

პირველ თავში წარმოდგენილია არსებული სიტუაციის დიაგნოსტიკა დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში, რომელიც მოიცავს ეკონომიკის დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურას, განსახლებას, ურბანიზაციას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის ტერიტორიულ განლაგებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ეკონომიკის ტრადიციული დარგების ანალიზს.

გამოკვეთილია დედაქალაქ თბილისის, როგორც ცენტრის როლი ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში. ნაჩვენებია ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკა და განსახლების სპეციფიკა. განსახლებაში გამოკვეთილია ძირითადი დერძი, რომელიც ემთხვევა ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის განვითარების დერძს.ამავე თავში განხილულია ევროპის სივრცითი მოწყობის გამოცდილება და რეგიონული განვითარების შესაბამისი ინსტიტუტები.

მეორე თავში წარმოდგენილია სივრცითი მოწყობისა და რეგიონული განვითარების ალტერნატივები და მათი ანალიზი. გაანალიზებულია რესურსული გზით განვითარებასა და ინოვაციურ განვითარებას შორის სხვაობები. ეს თავი ძირითადად ეძღვნება რეგიონულ განვითარებაში და სივრცით მოწყობაში არსებული თეორიების განხილვას, მათ ევოლუციას დროში. აქ ჩამოთვლილია სივრცითი მოწყობის ის მოდელები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენებოდა მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. რეგიონულ განვითარებაში და სივრცით მოწყობაში განხილული სხვადასხვა თეორიული შრომები და მოდელები, საბოლოოდ დაჯგუფდა და მათგან გამოიკვეთა სამი ძირითადი მოდელი (ფუნქციური, კარკასული და კლასტერული). აღნიშნული მოდელების გამოყენება საქართველოში შეიძლება როგორც ცალ-ცალკე, ისე მათი კომბინაციის სახით. ეს დამოკიდებული იქნება ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე

და მის სპეციფიკაზე. მოცემულია ასევე სხვადასხვა მოდელის დანერგვის სპეციფიკა.

მესამე თავი მთლიანად ეძღვნება შემოთავაზებულ მოდელებს, მათ დასაბუთებასა და ანალიზს. არჩეული პარადიგმისა და მოდელების დასაბუთებით ნაჩვენებია, თუ რა უპირატესობები გააჩნია საქართველოში ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლას და ინოვაციური გზით განვითარებას. აღწერილია, თუ რა ინოვაციური სტრუქტურები და ინსტიტუტებია გასავითარებელი ქვეყანაში და წარმოდგენილია მათი როლი სივრცით მოწყობაში. ხაზგასმულია, რომ სივრცითი მოწყობის ფუნქციური მოდელებიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტექნოპარკული სტრუქტურების ფორმირება-განვითარება. ესენია ტექნოპოლისები, ტექნოპარკები, ინდუსტრიული ზონები და სხვ. კარკასული მოდელების განხილვისას მნიშვნელოვანი აქცენტი გადატანილია ეკონომიკური ბირთვებისა და ზრდის პოლუსების გამოკვეთაზე, რადგან დასახლებული პუნქტების, რეგიონული სისტემების და ქვესისტემების წამყვანი ელემენტები მათი ცენტრებია (ბირთვები), რომლებიც ერთმანეთს ექვემდებარება. ამავე თავში განხილულია კლასტერული მოდელები, რომელთა განვითარებისათვის სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს ინიციატორად. აღნიშნულია, რომ ამ ტიპის მოდელის დანერგვა უნდა მოხდეს ქვემოდან, ანუ ბიზნესის ნებაყოფლობით და არა ზემოდან დირექტივების სახით. ამავე თავში განხილულია "ზრდის პოლუსებისა" და ეკონომიკური ბირთვების დანერგვისას შესაძლო წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები. შემოთავაზებულია ახალი სივრცობრივი სტრუქტურა (დანართი.N5) და ტექნოლოგიური პლატფორმების ფორმირების იდეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთა მონაწილეობით. მეოთხე თავი ეძღვნება დასკვნით ნაწილს, სადაც განხილულია ის პრაქტიკული შედეგები, რომელიც სავარაუდოდ უნდა მოყვეს სივრცით მოწყობაში და რეგიონულ განვითარებაში შემოთავაზებულ ცვლილებებს. გადმოცემულია ის პერსპექტივები, რომელიც ცვლილებების შედეგად შეიძლება მიღოს ქვეყანამ. პრაქტიკული ღონისძიებები გაწერილია ეტაპების მიხედვით საჭირო რეგულაციებისა და პასუხისმგებელი სტრუქტურების მითითებით.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმერდების რაოდენობა
1	ლ.გრიგალაშვილი	საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების სრულყოფისათვის	2 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამომცემლო	12

			კრებული, 2016წ	სახლი	
2	მ. მეტრეველი	„რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის IX საერთაშორისო კონფერენციის "ქრისტიანობა და ეკონომიკა - ქუთაისი - 2016" მოხსენებათა კრებული	კონფერენციის მოხსენებათა კრებული	ქ. ქუთაისი, გამომცემლობა "უნივერსალი"	10 გვერდი
3	მ. მეტრეველი	"საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები", მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016, „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ბიზნეს-ინჟინერინგი"	კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ჩაშვებულია დასაბეჭდად	ქ. თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა	მ. მეტრეველი
4	მ. მეტრეველი, გ. ჯაბნიძე	"ტურისტთა სტატუსური ქცევის ცნება როგორც ტურპროდუქტებზე მოთხოვნის მოტივაცია საქართველოს (აჭარის რეგიონი) შავი ზღვის კურორტებზე", მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია -	კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ჩაშვებულია დასაბეჭდად	ქ. თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა	10 გვერდი

		IEC 2016, „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი”			
5	მ. მეტრეველი, ბ. ხოტენაშვილი	“საქართველოს ტურიზმის რეგიონული განვითარების მნიშვნელობა”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	№2, 2016 http://publishhouse.gtu.ge/storage/archit/65/pdf-1469106383-RbLsdSwxxEus8FDQHUoBZQcQcC1YPbWG.pdf	ქ. თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა	6 გვერდი
6	აბულაძე რატი, ვეშაგური მაია	ციფრული ევოლუცია ფინანსურ სექტორში: ფინთექი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი" . ტომი, 9 №2. 2016	საქართველო, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	
7	აბულაძე რატი, წოწკოლაური ფიქრია	მობილური კომერციის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ინჟინერინგის	საქართველო, თბილისი	

			ფაკულტეტის, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. № 01-02. 2016.		
8	აბულაძე რატი, კაკულაშვილი ზოია	ციფრული ვალუტის მსოფლიოს ბაზარი: საფინანსო ტექნოლოგიური რევოლუცია"	საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "მოამბე". №24, 2016.	საქართველო, თბილისი, გამომცემლობა "მერიდიანი"	
9	ბესიკ ბარკალაია ხათუნა კურტანიძე ზაზა კურტანიძე	ტურიზმისა და დაცული ტერიტორიების ურთიერთდამოკიდებულების პრინციპების განსაზღვრა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები №2 2016.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას 77	5
10	ბესიკ ბარკალაია ნინო შაფათავა ანა ვაშაკიძე	ტურისტული პროდუქტის ფორმირებისათვის ძირითადი საკითხების განსაზღვრა	ჟურნალი „ეკონომიკა“ №1-2 2016.	კოსტავას 63	7
11	ბესიკ ბარკალაია ნინო შაფათავა	რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზეგავლენის გაზომვა	„ბიზნეს-ინჟინერინგი“ №2 2016.	კოსტავას 77 მე-6 კორპუსი	5
12	ოთინაშვილი რამაზ, კუტუბიძე შალვა	ქართული საადგილმამულო ბანკის ჩამოყალიბება, ე. სოციალური ეკონომიკა. XXI	N2	თბილისი, სტუ	5

		საუკუნის აქტუალური პრობლემები			
13	ოთინაშვილი რამაზ, კუტუბიძე შალვა	საადგილმამულ ბანკის საკრედ. ოპერაციები, ჟ.ბიზნეს-ინჟინერინგი	N1-2	თბილისი, სტუ	5
14	ოთინაშვილი რამაზ, კუტუბიძე შალვა	ქართული სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა, ჟ. ეკონომიკა	№11-12,	თბილისი,	4
15	რამაზ ოთინაშვილი, ლილი უშვერიძე	გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები და საქართველო, ჟ. სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები,	2015,N 5	თბილისი, სტუ	8
16	ოთინაშვილი რამაზ, იაშვილი მაგდა	საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ზოგიერთი ფაქტორის შესახებ, ჟ. მეცნიერება და ტექნოლოგიები	3(720)-1015	თბილისი, სტუ	5
17	ნ.ლაზვიაშვილი ჟ. ბალახაშვილი	მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკები და მისი შემცირების ძირითადი მიმართულებები, ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი“.	N4	თსუ	გვ.120-132
18	ნ.ლაზვიაშვილი	კომპანიაში კონტროლის ჩატარების პროგრამა, საერთ. რეფერ. და რეცენზ. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“, თბ., 2016.	N24	საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია	გვ.48-51
19	ხათუნა ხარხელაური	ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია და ანლიზი	№2;	“ინოვაციური ეკონომიკა და მართვა” ბთ. 2016	8
20	ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი, კ. კიკაბიძე	ფორსაიტი – ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების შერჩევის	შპსჟურნალი „სოციალურიეკონომიკა“ №3 (მაისი-	თბილისი-0171, კოსტავას ქ. 63.	6

		ინსტრუმენტი	იენისი) 2016		
21	ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი, კ. კიკაბიძე	ტექნოლოგიური პლატფორმები – სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პრიორიტეტებზე კონცენტრაციის მექანიზმი	შპს „ეკონომიკა“ №11-12 2016	თბილისი-0171, კოსტავას ქ. 63.	130-142 გვ.
22	ქეთევან ქაჯაია	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და CSR- საქართველოში. / ბიზნეს- ინჟინერინგი	№1-2	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
23	ქეთევან ქაჯაია, ნატო გეგენავა	ვროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. / ბიზნეს- ინჟინერინგი	№1-2	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
24	ქეთევან ქაჯაია	ინოვაციური ბიზნესის პერსპექტივები საქართველოში. / ბიზნეს- ინჟინერინგი	№3	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
25	ქეთევან ქაჯაია	ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, როგორც სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. / ბიზნეს- ინჟინერინგი	№3	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
26	ე. კავთიძე	განაწილებითი ურთიერთობების გააზრების საკითხები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის პირობებში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“	#1, 2016წ.	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4 გვ.
27	გ. ყურაშვილი ბ. გოდერძიშვილი	ტრანცნაციონალიზაციის განვითარების ტენდენციები საქართველოს კონტექსტში	საერთაშ. სამეც. კონფ.		7 გვ.
28	გ. ყურაშვილი	მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის თეორიული	საერთაშ. სამეც. კონფ.	შრ. კრებული ევროპის	6 გვ

		ასპექტები		უნივერსიტეტი	
29	რ. ქუთათელაძე გ.ყურაშვილი	ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში		ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ # 2.2016	5გვ
30	გ.ყურაშვილი ქინქლაძე რ.	მიგრაციული პროცესების ინფორმაციული წყაროები და მიგრაციის მაჩვენებლები	საერთაშ.სამეც. კონფ. „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ	შრ. კრებული გამომც. „უნივერსალი“	5გვ.
31	ბელა გოდერძიშვილი, ნ.ჭანტურია, რ. ქუთათელაძე	კიდევ ერთხელ შრომითი საქმიანობის მოტივირებისა და სტიმულირების საკითხისათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი	2016. 14-15 ოქტომბერი. თბილისი, ქუთაისი.	
32	მ.ჩეჩელაშვილი ს.დეკანოსიძე	„ქართული ფირმების საქმიანი კულტურის თავისებურებები: სტერეოტიპებიდან რეალობამდე“	ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნე“	№ 5	10
33	მ.ჩეჩელაშვილი ს.დეკანოსიძე	„მართვის ქართული სტილის სისტემებში გამოყენებული მენეჯმენტის ინსტრუმენტები“	ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნე“	№ 6	15
34	თ. დევიძე	ჯანდაცვის სისტემაში ინვესტიციების მართვა, სოციალური ეკონომიკა	№2 (38)	სტუ	4
35	თ. დევიძე, გ. გურეშიძე	ჯანდაცვის მენეჯმენტის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში	№3 (39)	სტუ	5
36	თ. დევიძე	სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ჯანდაცვის სისტემაში	№6	სტუ	5

37	დევიძე, მ. ჭუმბურიძე	თანამედროვე ტენდენციები პერსონალის შერჩევისა და გადარჩევის მეთოდების განვითარებაში	6	სტუ	5
38	თამარ ღამბაშიძე, ნაირა ღვედაშვილი	ლიდერული ინტერპრეტაციები ”ბიზნესი და კონომდებლობა”	2016. 3	თბილისი “უნივერსალი”	8
39	თამარ ღამბაშიძე	ორგანიზაციული კულტურისა და ქცევის დინამიზმი “ეკონომიკა”	7	თბილისი ლექტრონული ჟურნალი	7
40	თამარ ღამბაშიძე, ნატალია ჭანტურია	საწარმოს პერსონალის მართვა კრიზისულ ვითარებაში	8	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის “მაცნე”	8
41	თამარ ღამბაშიძე, ნატალია ჭანტურია	საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის თანამედროვე აქცენტები	გადაცემულია დასაბუჯდად ჟურნალში “სოციალური ეკონომიკა”		9
42	ნ.ცანავა	სახელმწიფოს როლი სამრეწველო საწარმოს რესტრუქტურისაციის პროცესში (საქართველოს მრეწველობის მაგალითზე)- ქ.თბილისი. უკრაინის ეკონომიკისა და ინოვაციების შავიზღვის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის და საქართველოს სულხან- საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენციის “ თანამედროვე ეკონომიკური	ონფერენციის კრებული	ქ. თბილისი 2016	ნგვერდ ი

		სივრცის ფორმირება: უპირატესობები, რისკი, რეალიზაციის მექანიზმები” მოსხენებების პურლიკაცია			
43	ნ.ცანავა ჯ.ბოკუჩავა	ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოში- არსებული რეალობა და პერსპექტივები, თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”	№4, 2016წ.	ქ. თბილისი	15 ბგერლი
44	ც.ლომაია ე.ლაგვილავა	ადამიანური რესურსის შერჩევის პროცედურა „შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის“ და სს „თელასის“ მაგალითზე	№4	თბილისი, ქ.სოციალური ეკონომიკა	12
45	ც.ლომაია	ინოვაციური მენეჯმენტის თავისებურებანი პირველად ჯანდაცვაში,	№1	თბილისი, ჟურნა ლი “მაცნე”, კსუ	7
46	ც.ლომაია თ ჩახუნაშვილი	სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის მიმართულებები პირველად ჯანდაცვაში	№1-2	თბილისი, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები	9
47	ნატალია ჭანტურია, თამარ ღამბაშიძე	სოციალური ეკონომიკა	გადაცემულია დასაბეჭდად	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
48	როსტიაშვილი თ. სოსელია მ., ბერიძე თ.	ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ქ. “ეკონომიკა”2016	№3-4	თბილისი	12
49	როსტიაშვილი თ;	ორგანიზაციის ინოვაციური მართვის თეორიული მიდგომები. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. 2016	№2 ტომი 3		5
50	როსტიაშვილი თ;	ინოვაციური საქმიანობის	№4	თბილისი	8

	ბერიძე თ; ბიბიჩაძე დ;	შეფასების ინდიკატორთა სისტემა, როგორც ინოვაციის მართვის მექანიზმი. სამეცნიერო ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” 2016			
51	სოსელია მ., როსტიაშვილი თ., ბერიძე თ	ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟ. “ეკონომიკა	№3-4	თბილისი	12
52	მ.სოსელია ზ.კურტანიძე	ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ- მეთოდოლოგიური საფუძვლები სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი	№3	თბილისი	7
53	მ.სოსელია ზ.კურტანიძე	ეკონომიკის ეკოლოგიზაციის ძირითადი მიმართულებები სტუ-ს საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, შრომების კრებული	№3(497),	თბილისი	5
54	ა. აბრალავა	ინოვაციური პროცესის მართვის მოდელები	ჟურნ. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, №2, ტ. II, 2016	ბათუმი	5
55	დავით ბიბიჩაძე ნინო მაქაცარია, თამარ ბერიძე,	ეკონომიკური ზრდა და სოციალური პროგრესი	ეკონომიკა (ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო	რვა გვერდი	

			ჟურნალი)		
--	--	--	----------	--	--

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებული სისტემის დამკვიდრების მცდელობა, მიუხედავად ამისა, მოქმედი ნორმატიული ბაზა და პრაქტიკა საგრძნობლად განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან. საჯარო სექტორის სტანდარტები, კერძო სექტორის სტანდარტების ბაზაზე იქნა შემუშავებული და ძირითადად ორიენტირებულია სამეწარმეო საქმიანობის განმარტოვებულ სუბიექტებზე.

2. ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილად და მოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. რეგიონული განვითარება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. რეგიონულ დონეებზე იგეგმება თანამედროვე ტიპის ცალკეული ინსტიტუციების თუ პილოტური ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელების გამოყენების წახალისება. რეგიონული პოლიტიკის მიმართულებების და შესაბამისად დამტკიცებული სტრატეგიების წარმატებული განხორციელებისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს უახლოეს მომავალში კონკრეტული სამოქმედო გეგმების ინკლუზიური შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ქმედითი მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებით და შესაბამისად გაზომვადი ინდიკატორების ერთობლიობით

3. საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის დარგი, ბოლო 20 წელია, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული. 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა დარგის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის კუთხით. მიუხედავად აშკარა პოზიტიური ცვლილებებისა დღემდე საქართველოს ტურისტული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული და ათვისებული. ძირითად პრობლემას რომელიც ხელს უშლის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას არის დარგის საკანონმდებლობაზის არასრულყოფილება. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ტურიზმის კანონებში არსებული ხარვეზები და ჩამოაყალიბოს მათი აღმოფხვრის პრაქტიკული მიმართულებები. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: ტურიზმის სამართლებრივი-იურიდიული ველის სივიწროვესა და საკანონმდებლო ბაზის სიმწირესთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების აქტივობათა განხილვა.

4. ნაშრომში მოცემულია ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების შესაბამისი სტატუსური ქცევის ანალიზი, რაც ტურპროდუქტებზე მოთხოვნისა და მათი მოხმარების მოტივაციის მნიშვნელოვანი შემადგენელია. გაანალიზებულია გამოცემული სტატისტიკური კვლევარომელიც ჩატარდა აჭარის ზღვისპირეთის საზღვარგარეთი კლასის სასტუმროებში განთავსებულ 300 ტურისტზე. კვლევა დაფუძნდა ტურისტთა სამ(მაღალ, საშუალო და დაბალსაშემოსავლო) ჯგუფს. კვლევამ წარმოაჩინა ტურისტთა სტატუსური ქცევის გამოყოფისა და გამოვლენის აუცილებლობა ტურპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის აქტივიზაციისათვის.

5. ტურიზმის განვითარების პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დარგის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. ტურიზმის განვითარების საკანონმდებლო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ახალი „საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ“, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს დარგში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, მიმართულს საქართველოს ერთიანი ტურისტული ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის და არეგულირებდეს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დასვენებისა და მოგზაურობის განხორციელების პროცესში, თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა უფლებების რეალიზაციისას; ადგენდეს ტურისტთა დაზღვევისა და უსაფრთხოდ მოგზაურობის პირობებს; ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და რეალიზაციის წესებს; განსაზღვრავდეს საქართველოს ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენების წესს; ახდენდეს ტურისტული საწარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას; ხელს უწყობდეს ტურისტულ საქმიანობას და ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს მისი განვითარებისთვის; განსაზღვრავდეს და მხარს უჭერდეს ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებებს; აყალიბებდეს შეხედულებას საქართველოზე, როგორც ტურიზმისათვის მიმზიდველ ქვეყანაზე; ახორციელებდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ტურისტული საქმიანობის მონაწილეებისა და მათი გაერთიანებების მხარდაჭერასა და დაცვას

6. 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი წარმოდგენილია ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებით, ფინანსური სფეროს ბიზნესმოდელების ტრანსფორმაციითა და ინოვაციის პოტენციალით. ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა მოახდინა საფინანსო „ლანდშაფტზე“. საფინანსო სექტორში ინტერნეტ-ტექნოლოგიებმა შეცვალა ბიზნესპროცესები, ხელი შეუწყო ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედების ბალანსს. დღეს, ფინანსური კომპანიები წარმატებისათვის იყენებენ ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, წებ-ს, სიცოცხლისუნარიან ბიზნეს-მოდელებსა და გრძელვადიან ციფრულ სტრატეგიებს. თანამედროვე ციფრულ სამყაროში, ფინანსურ-ტექნოლოგიური რევოლუციის ტალღა „ახალგაზრდაა“, თუმცა, უკვე ფართო გავლენისაა. ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის აღნიშნულ ტალღას წარმოადგენს ფინთექი (FinTech). სტატია აგებულია ახალი ფინანსური ტექნოლოგიის - ფინთექის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე, ნაჩვენებია ფინთექის ფასეულობა და სარგებელი, მოცემულია მისი გლობალური და ლოკალური გავლენა.

7. თანამედროვე ციფრულ გარემოში, მობილურმა ტექნოლოგიებმა გამოიწვია მობილური კომერციის ფორმირება, მობილური მთავრობის სისტემის განვითარება, მობილური სისტემების ინტეგრაცია საფინანსო სისტემაში, ბიომეტრული ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნეს და სახელმწიფო სექტორში.

მობილური სექტორი ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და მნიშვნელოვანი სარგებლით წარმოდგება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორისათვის.

სტატიაში ნაჩვენებია მობილური კომერციის ეკოსისტემა, გაანალიზებულია მობილური ტექნოლოგიების როლი ბიზნესსა და მმართველობაში, შეფასებულია ინტერნეტისა და მობილურის გლობალური ბაზარი.

ნაშრომი აგებულია მობილური ბაზრის კონიუქტურის კვლევისა და ანალიზზე.

კვლევით ნაშრომში წარმოჩენილია ინტერნეტისა და მობილურის კომერციის ბაზრის გამოწვევები და ტენდენციები საქართველოში.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია მობილური კომერციის ბაზრის განვითარების საჭირო რეკომენდაციები და წინადადებები.

8. თანამედროვე ფინანსური მსოფლიო მოძრაობს ონლაინ კომერციით, ფინტექით, ციფრული ბაზრის ინსტრუმენტებითა და ციფრული ფულით.

ციფრული ბაზრის უკანასკნელი პერიოდის „უმნიშვნელოვანესი ნაყოფია“ კრიპტოვალუტა, რომელიც ბიზნეს გარემოს ხელსაყრელობას, ბიზნესისათვის სასარგებლო პირობებსა და მრავალფეროვან ფინანსურ სარგებელს გენერირებს.

კრიპტოვალუტა დაკავშირებული არაა მთავრობასთან. კრიპტოვალუტა არის 2 ანგარიშსწორების სისტემა, რომელსაც არ აქვს ფიზიკური ფორმა და წარმოადგენს ონლაინ გაცვლის ფორმას.

სტატიაში განხილულია მსოფლიოში არსებული ციფრული ვალუტები, წარმოჩენილია ციფრული ვალუტის უპირატესობები და ნაკლოვანებები, კვლევის საფუძველზე დადგენილია ციფრული ფულის სამართლებრივი რეგულირების გამოწვევები.

ნაშრომში ხაზგასმულია ციფრული ვალუტების საფუძველზე, მის სპეციალიზებულ საიტებზე. შეფასებულია ფინანსური სექტორის მომავლის ძალა ბლოკჩეინის პლატფორმა.

კვლევით ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში, ციფრული ფულის დანერგვასთან დაკავშირებულ სირთულეებთან.

დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები.

12. სტატიაში „ქართული სააღდგილმამულო ბანკის ჩამოყალიბება“ აღნიშნულია, რომ ბანკის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლაში. აღნიშნული თემის სრულყოფილი შესწავლა და ქართული საფინანსო ინსტიტუტების წარმოშობის სათავეების კვლევა უდაოდ ხელს შეუწყობს დღევანდელი ქართული საბანკო ბიზნესის განვითარებას. მოყვანილი მასალებიდან ჩანს თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო. დღეს რა თქმა უნდა ვერ მოვთხოვთ თანამედროვე ბანკებს იმას, რაც შეძლო სააღდგილმამულო ბანკმა, მაგრამ სასურველია ისინი უფრო აქტიურად და ამასთან ეფექტურადაც იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების გადაწყვეტაში, იქნება ეს კულტურა, სპორტი თუ მეცნიერება.

სტატიაში ორიგინალურადაა გადმოცემული, რომ ქართული სათავადაზნაურო ბანკი იყო პირველი საფინანსო ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც როგორც საკრედიტო დაწესებულება ხელს უწყობდა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას და ამავდროულად ახერხებდა ფულადი სახსრების გამოყოფას საქველმოქმედო ფონდებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ აღორძინებაში. თბილისის და ქუთაისის სააღდგილმამულო ბანკები მოგების მნიშვნელოვან ნაწილს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოიყენებდნენ. ამ თვალსაზრისით ისინი არსებითად განსხვავდებოდნენ რუსეთის იმპერიაში არსებული ყველა საკრედიტო დაწესებულებებისაგან.

13. საქართველოში ადგილობრივი ხასიათის გართულებები, რამაც საგრძნობლად დასცა გირავნობის ფურცლების ფასი და შეამცირა მოთხოვნა სააღდგილმამულო კრედიტზე. მთავარი მიზეზი მაინც საყოველთაო სესხი იმალეობდა. საქმეთა საყოველთაო შეყოვნებაში, კომერციულ და სავაჭრო ბრუნვათა საყოველთაო გადარბევაში, ფულის ბაზრის სიმწირეში, რომელმაც თავი იჩინა არა მარტო რუსეთში,

არამედ ყველგან ევროპაში.

თბილისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო მოღვაწეობა გამოცოცხლდა 80-იანი წლების დასასრულს, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო გირავნობის ფურცლების კარგი კურსით ბირჟაზე, რომელიც 97%-ზე ქვევით არ ჩამოსულა, ხოლო 1889 წელს 99%-ს მიაღწია. 90-იანი წლებიდან საადგილმამულო ბანკის სასესხო ოპერაციები კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა. თბილისის გარდა ბანკი სესხს აძლევდა ბაქოს და ბათუმს.

მოყვანილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი კაპიტალის მოძრაობის საყურადღებო სტატისტიკა თბილისის საადგილმამულო ბანკში ასევე ცალკე ცხრილის სახითაა მოცემული ბანკში დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ვალის გადაუხდელობისათვის 1875-1905 წლებში.

14. სტატიაში „ქართული სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა“ ახსნილია სათავადაზნაურო ბანკის მართვის თავისებურებები. აღნიშნულია, რომ ბანკის ოპერაციების გაფართოებასთან ერთად, იზრდებოდა წმინდა შემოსავალი და მისი ის ნაწილი, რაც დივიდენდის სახით უნდა გაცემულიყო. ამ კუთხით მოყვანილია საყურადღებო სტატისტიკური მასალები. ასევე მონაცემები გაცემულ გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებზე.

განხილულია წვერი-დამფუძნებლების სამი კატეგორია. გაანალიზებულია ბანკის კაპიტალი, რომელიც შედგებოდა: 1. ძირითადი; 2. სათადარიგო; 3. საერთო სარგებლობის; 4. ექსტრარდინალური კაპიტალისაგან. ძირითადი კაპიტალი წარმოიქმნა შენატანებისაგან, რაც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ გაიღო იმ ფულიდან, რომელიც მათ მიღეს მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისა და ბანკის დაარსებისათვის უმაღლესად ნაბოძები 160 000 მანეთისაგან, რომელსაც ყოველწლიურად ემატებოდა მოგების 10%.

აღნიშნულია, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობამ 1890 წელს აღძრა საკითხი ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა ბანკისათვის 6%-იანი გირავნობის ფურცლების ნაცვლად 5%-იანი გირავნობის ფურცლების გამოშვების ნება დაერთოთ. ბანკის საგანგებო კრების შუამდგომლობა კონვერსიის თაობაზე, ფინანსთა სამინისტრომ დააკმაყოფილა.

15. სტატიაში: „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები და საქართველო“ აღნიშნულია, რომ განვითარებული და ჯანსაღი კონკურენცია ინვესტიციების მოზიდვისა და ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. თანამედროვე პირობებში ბიზნეს-კომპანიები აღმოჩნდნენ ახალ კონკურენტულ გარემოში. განისაზღვრა და გამოიკვეთა კონკურენტი მხარეების ინტერესების მრავალასპექტიანობა, აგრესიულობა და დინამიზმი. ამ პირობებში თანამედროვე მენეჯმენტში თავს იჩენს ახალი პრობლემები, რომლებიც შეიძლება გადაიჭრას მართვის მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

არსებული მრავალი სამეცნიერო ლიტერატურის მიუხედავად აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არასათანადოდაა შესწავლილი ინტეგრირებული/კომპლექსური მიდგომის საკითხები, თანამშრომლობის და კონკურენციის ურთიერთობები. კონკურენცია არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოველმხომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA).

სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკა

საერთაშორისო დონეზე იყოს კონკურენტუნარიანი. 2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით საქართველომ 69-ე პოზიცია დაიკავა და სამი ადგილით ზემოთ გადაინაცვლა 2013 წლის პოზიციიდან. მისასაღებელია, რომ უკვე მეოთხე წელია, საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან (WEF) ერთად კონკურენტუნარიანობის საკითხს იკვლევს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (The Global Competitiveness Index), რომელიც ზომავს მაკრო ეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. დღეს საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფება, მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს. აქაც მოსაწონია, რომ ჩვენმა ქვეყანამ პოზიცია წინა წელთან შედარებით 3 საფეხურით გაიუმჯობესა.

საჭიროა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ტრილში აღნიშნული კრიტერიუმების გაუმჯობესებაზე მომავალშიც მუდმივად მუშაობა. რადგან მიუხედავად კონკურენციის უგულბეღყოფის მრავალი ცდისა, რასაც ქადაგებდნენ რადიკალური ფუნდამენტური და რელიგიური კონცეფციები, საზოგადოებამ ჯერ ვერ მიადწია და ვერც მიადწევს კონკურენციის გარეშე ცხოვრებას. ვინაიდან კონკურენცია განვითარების მთავარი მოტივია. კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა არა კონკურენციის უგულბეღყოფის, არამედ მისი ცივილურ, ადამიანურ საზღვრებში მოქცევის პრობლემა. ადამიანი კონკურენციის ფენომენს აიძულებს იმუშაოს საზოგადოების სასიკეთოდ. ზოგ ქვეყანაში ამას ახერხებენ წარმატებით, ზოგში კი ვერ.

16. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოსთვის, მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის განვითარება. ამიტომ, ყოველთვის აქტუალურია იმ ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც აფერხებენ ქვეყანაში მცირე ბიზნესის გავრცელებას.

სტატიაში განხილულია ავტორთა მიერ ქ. თბილისში მცირე ბიზნესის სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. აღმოჩნდა, რომ მცირე ბიზნესში დღეისათვის არსებული სურათი არასახარბიელოა. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ბიზნესის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება. ჩამოთვლილია დასავლეთში აპრობირებული მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები.

17. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად დასმულია მედიკო-სოციალური მომსახურებისა და დაზღვევის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობის საკითხი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ 2005-2013 წლებში საქართველოში გაიზარდა მოსახლეობის ავადობა და მოკვდაობის დონე. ამ ფონზე არასწორადაა მიჩნეული ქვეყანაში სამედიცინო დაწესებულებების სიმძლავრის შემცირების დღეს მოქმედი პოლიტიკა. არასწორად არის შეფასებული მედიკო-სოციალური დაზღვევის საბჭოური მეთოდის სრული გაუქმება და სახელმწიფოს მიერ ამ ტვირთის მთლიანად თავის თავზე აღება.

სტატიაში შემოთავაზებულია ამ საკითხების დარეგულირების კონცეფტუალური მიდგომა.

18. კონტროლის ორგანიზაცია თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა. კონტროლის პროცესი იწყება პროგრამის შედგენით. იგი მოიცავს სულ მცირე სამი ეტაპის განხორციელებას.

- I ეტაპი – სტანდარტების და კრიტერიუმების შემუშავება;
- II ეტაპი – რეალური შედეგების გაზომვა და სტანდარტებთან შედარება;
- III ეტაპი – მაკორექტირებელი მოქმედებების განხორციელება.

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ კონტროლის პროგრამის შექმნისას პრაქტიკულად გამოიყენება სამი მიდგომა. ეს მიდგომებია:

- საბაზრო;
- ბიუროკრატიული;
- კლანური.

გასაკონტროლებელი ობიექტების ნაირსახეობათა და თვითკონტროლის ფორმების სიმრავლის გამო, კონტროლის უნიფიცირებული პროგრამა საერთოდ არ არსებობს.

19. ამ სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ გამოვიყენოთ ფინანსური ანგარიშგება ფირმის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის შეფასებისთვის. ჩვენ განვიხილავთ ფინანსური ანალიზს, მისი განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტებს: სასარგებლო ინფორმაციას, მონაცემების შედარების სტანდარტების და ანალიზს მეთოდებს. აქ წარმოდგენილია ანალიზის სამი ძირითადი მეთოდი: ჰორიზონტალური ანალიზი, ვერტიკალური ანალიზი და ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი. ჩვენ გამოვიყენებთ თითოეულ მათგანს ფინანსური ანგარიშგების კვლევისას, სს „თელასის“-ის ანგარიშგების გამოყენებით. ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი გავრცობილი და ჩამოყალიბებულია სტატიის დასასრულს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, ანალიზის ამ მეოდებს იყენებს იმისათვის რომზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მონაცემები გარდაქმნას მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციად. ფინანსური ანალიზი ამცირებს ჩენს ვარაუდების, ეჭვებს და გაურკვეველობას ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას. ამ სტატიაში აღწერილია ფინანსური ანალიზის მიზანი, მისი საინფორმაციო წყაროები, როგორ გამოვიყენოთ მონაცემების შედარება და განხილულია რამდენიმე საკითხი გამოთვლებთან დაკავშირებით.

20. ქვეყნის, რეგიონის, დარგების, ეფექტიანი სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს პრიორიტეტების დასაბუთებული შერჩევა, სამეცნიერო პოტენციალის, ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია მათი რეალიზაციისათვის. ამასთან, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში პრიორიტეტების დაწესება განიხილება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების კონტექსტში.

პრიორიტეტების შერჩევის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ფორსაიტი. ფორსაიტი გამოიყენება არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების საპროგნოზო პარამეტრების შესამუშავებლადაც.

საქართველოში ჯერ არ არის შექმნილი არც ერთი სტრატეგიული დოკუმენტი ფორსაიტის გამოყენების საფუძველზე. ყველა არსებული სტრატეგიული დოკუმენტი გათვლილია მაქსიმუმ 5 წელზე, ყოველგვარი მეცნიერულ-ტექნიკური ანალიზის გარეშე. ამასთან, ასეთი დოკუმენტები არ არის მემკვიდრეობითი ხასიათის და ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად ყველაფერი ახლიდან იწყება. იმედია, ქვეყნის ახლად დაანონსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარების სტრატეგიები, ფორსაიტი თავის

ადგილს დაიმკვიდრებს.

ამგვარად, სწორედ მეცნიერულად დასაბუთებული ფორსაიტის (და არა პროგნოზირების) კომპეტენტურად გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას ქვეყნის, რეგიონების, დარგების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ხელსაყრელი კლიმატი.

21. ნაშრომში განხილულია ტექნოლოგიური პლატფორმების არსი, მიზნები, ამოცანები, განვითარების ეტაპები და მათი ფორმირების ისტორია ევროკავშირის მაგალითზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა “საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო”, რომლის ძალისხმევით ქ. თბილისსა და ქ. ზუგდიდში ჩამოყალიბდა ტექნოპარკები, რეგიონებში დაარსდა ბიზნეს-ინკუბატორები, აქსელერატორები, ინოვაციური ლაბორატორიები და ცენტრები.

მიუხედავად აღნიშნული ინოვაციური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა ქვეყანაში ჯერ არ მომხდარა მთელი რესურსების (სახელმწიფოს, ბიზნესის, მეცნიერების) კონცენტრაცია პრიორიტეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ მიმართულებებზე. პრიორიტეტების შერჩევისა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე ძალისხმევის კონცენტრაციის მთავარ მექანიზმად მრავალ ქვეყანაში აღიარებულია ტექნოლოგიური პლატფორმები.

საზგასმულია, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით არც ერთი ტექნოლოგიური პლატფორმა არ არსებობს, მაგრამ, ავტორები ვარაუდობენ რამდენიმე ტექნოლოგიური პლატფორმის ფორმირების შესაძლებლობას: ნანოფაგების ტექნოლოგიური პლატფორმა, პლაზმის საშუალებით მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი პლატფორმა, ბაზალტური ტექნოლოგიების პლატფორმა, ფარმაკო-ქიმიური ტექნოლოგიური პლატფორმა, “ფლუიდური ტექნოლოგიური პლატფორმა” – ზეკრიტიკული CO₂-ით (ნახშირორქანით) ექსტრაქციების წარმოებისათვის. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ დაიწყებს ფორსაიტულ სტრატეგიაზე მუშაობას და აღნიშნული ტექნოლოგიური პლატფორმების ფორმირებაზე ზრუნვას.

22. უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნესსაქმიანობაზეც, რადგან ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი იმიჯის გაუმჯობესებას, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან. ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. ამიტომ სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დადებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაზე, არამედ, ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა საქართველოშიც უამრავი დადებითი შედეგის მომტანი იქნება. მთავარია, ხელისუფლებამ სწორად განსაზღვროს ეს პროცესები. სახელმწიფო სექტორის სწორი ნაბიჯები ხელს შეუწყობს კერძო სექტორს, რომ მან საკუთარი სოციალური

პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

23. ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტში წარმოდგენილი ბევრი შეზღუდვის მიუხედავად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთვის არის შესაძლებლობა, მოახდინოს წარმოებისა და მომსახურების განვითარება და შესაბამისი სტანდარტებითა თუ ნორმებით, საკანონმდებლო ცვილებებითა და სწორი რეგულაციებით, ეტაპობრივად მოახდინოს ევროპის განვითარებულ და უმსხვილეს ბაზარზე შესვლა, რაც თავისთავად ნიშნავს ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს 28 ქვეყნისგან შემდგარ, 500-მილიონიან გასაღების ბაზარზე თავის დამკვიდრების და ამ გზით საქსპორტო პოტენციალის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა გაუჩნდა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელზე უკვე აისახა. 2015 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 6%-ით არის გაზრდილი და 206 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ქართული ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი ტემპით გაიზრდება. საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, იპოვოს ისეთი მიმართულებები, რომლებშიც ჩვენს ქვეყანას შედარებითი უპირატესობა ექნება ევროპულ ბაზარზე, გააუმჯობესოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხი და წარუდგინოს იგი ევროპის 500-მილიონიან მომხმარებელს.

24. ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, 2013 წლიდან დაიწყო აქტიური მუშაობა რეფორმების პაკეტზე, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საქართველოში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა.

ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე.

მთავრობა, ასევე, ხელს უწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას, გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე, პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

25. ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სექტორის წახალისების მიზნით ქვეყანა ინვესტირებს სხვადასხვა სტიმულს სთავაზობს. მათ შორისაა, სასტუმროებში ინვესტირების ინციტივა და

თავისუფალი ტურისტული ზონები.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში ტურიზმის სექტორი ზრდას სწრაფი ტემპებით განაგრძობს. პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია. სწორედ მათი მიხედვით ტურიზმის სექტორში როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდას მომავალ წლებშიც განაგრძობს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. სასტუმრო მომსახურების სფეროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ასევე მზარდია სასტუმრო ბიზნესი, რადგან იგი დიდწილად ტურიზმის განვითარებაზეა მიბმული და მის წარმატებებს უცვლელად იმეორებს

26. განაწილების არასრულყოფილი სისტემების არსებობა გამოწვეულია საზოგადოების ინტელექტუალურ-კულტურული, მატერიალურ-ტექნიკური, შემეცნებითი და ზნეობრივი განვითარების შედარებით დაბალი, არასაკმარისი დონის გამო. ამ ნიადაგზე არსებობდა და არსებობს ადამიანთა ჩაგვრის ფაქტები.

სოციალისტებმა მეცნიერებაში შემოიტანეს ადამიანის ექსპლოატაციის ცნება, რომლის თანახმადაც მუშათა ექსპლოატაცია – ეს მათი შრომის ნაყოფის აუნაზღაურებლად მითვისებაა კაპიტალისტთა მიერ. სინამდვილეში კი, კაპიტალიზმის პირობებში, ადგილი აქვს ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ არა შრომით შექმნილი დოვლათის, არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი ფაქტორების მოქმედებით შექმნილი დოვლათის მითვისებას არსებული განაწილების წესის საფუძველზე, რაც სხვისი კუთვნილის მითვისებად და სოციალურ ჩაგვრად უნდა მივიჩნიოთ.

კაპიტალისტური სისტემის პირობებში კაპიტალისტები მხოლოდ მეშვების კუთვნილს კი არ ითვისებენ, არამედ ერთმანეთსაც ართმევენ ქონებას, თუმცა გადასახადების მეშვეობით უკანაც აბრუნებენ გარკვეულ ნაწილს. შემოსავლების ასეთი მითვისება უფრო მეტად „დამნაშავე“ ეკონომიკური სისტემის ბრალია. სოციალური უსამართლობა ამ ეკონომიკური ურთიერთობებისა და საბაზრო სტიქიის მეშვეობით საყოველთაო ხასიათს იღებს. ეს ძალები საზოგადოების ყველა ფენის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული.

27. გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია გარკვეული დილემის წინაშე ეკონომიკურად განვითარებად პატარა სახელმწიფოებს, მ. შ. საქართველოს აყენებს. საქართველო არ უნდა განუდგეს გლობალიზაციას და ტრანსნაციონალიზაციას, მაგრამ ამ პროცესში მან არ უნდა დაკარგოს თავისი თვითმყოფადობა, თავისი ეროვნულობა, რისი მიღწევაც შესაძლებელია გლობალიზაციასთან ადაპტირების სტრატეგიის შემუშავებით.

28. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი გულისხმობს წესრიგს როგორც ეროვნული ეკონომიკებს შორის ურთიერთობებში, ასევე ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში. თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, დაფუძნებულია ქვეყნებს შორის აღნიშნული ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე.

29. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოელ ინვესტორთა უშუალო მონაწილეობა წარმოების პროცესში, ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციების რაციონალური

გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისა და ბიზნესის განვითარებისათვის.

30. მოსახლეობის მიგრაციის აღრიცხვა ბუნებრივ მოძრაობასთან შედარებით მეტად რთულია, რადგან მიგრაციის დროს აღრიცხვას ექვემდებარება გადაადგილება, რომლის შედეგადაც მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის ცვლილებაა. ასევე, სირთულე განპირობებულია თავად მიგრაციული პროცესების მრავალფეროვნებით, მისი ტიპების, სახეობებისა და მიგრანტთა კატეგორიების სხვადასხვაობით.

32. სტატიაში „ქართული ფირმების საქმიანი კულტურის თავისებურებები: სტერეოტიპებიდან რეალობამდე“ განხილულია ქართული საქმიანი კულტურა და ბიზნესის წარმართვის ქართული ტრადიციები, გაანალიზებულია ქართული მენტალიტეტით განპირობებული თავისებურებები და გაანალიზებულია ქართველი ბიზნესმენებისა და მათ მიერ შექმნილი მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების სტილის ორიგინალური მეთოდები უცხოურ ანალოგებთან. სტატიის დასასრულ ავტორები გვთავაზობენ ორიგინალური ანალიზის საინტერესო შედეგებსა და საავტორო დასკვნებს.

34. ეკონომიკის საბაზრო პირობებში ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია საინვესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების და სხვადასხვა სახის ბირჟების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას და მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს; გააუმჯობესებს ინვესტიციების განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას; მათი განხორციელების მულტიპლიკატორული ეფექტის მიღწევას. ახალი საფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით აუცილებელია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების და სადაზღვევო კომპანიების შექმნის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტის პროცესის დაჩქარება.

35. საქართველოში ხორციელდება მიზანმიმართული ღონისძიებები ჯანდაცვის ეტაპობრივი სტრუქტურული რეორგანიზაციისათვის. ჩასატარებელი რეფორმის ძირითადი ამოცანებია: ჯანდაცვის დარგში მოქალაქეთა კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა, ჯანდაცვის მრავალწობიანობის ჩამოყალიბება სახელმწიფო სისტემაზე მოწინავე პოზიციების შენარჩუნებით, ჯანდაცვის დაწესებულებათა მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დარგის მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და საკადრო რესურსების გამოყენების ეკონომიკური და კლინიკური ეფექტიანობის ამაღლება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელოვან იქნენ ჯანდაცვის სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზების შემუშავების პრობლემა, აგრეთვე, დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობათა მოძიება. ჯანდაცვის დარგის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ფინანსური მენეჯმენტის როლი, რომელიც გულისხმობს სარესურსო პოტენციალის ოპტიმიზაციას. ამრიგად, აქტუალური რჩება საკითხი საქართველოში მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფორმირების შესახებ. მოცემული პრობლემის ფინანსური ასპექტი ყველაზე რთულია და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას მეცნიერების და პრაქტიკოსების მხრიდან.

36. ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო

ინოვაციური პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების კომპლექსური დამკვიდრებისათვის, რომლის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო იდეათა უზრუნველყოფა ჩასახვიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე. ინოვაციური სფეროს ფაქტიური მდგომარეობის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო მართვის ორგანოებით, ხოლო განხორციელება – ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებით. იმისათვის, რომ ჯანმრთელობის კვლევები საზოგადოების ჯანმრთელობისთვის მაქსიმალური შედეგის მომტანი იყოს, აუცილებელია მოხდეს პრინციპის აღმოჩენა–განვითარება–დანერგვა გათვალისწინება მომავალი სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვისას, რათა მოხდეს მეცნიერების მიერ შექმნილი ცოდნის ეფექტიანი მიტანა მოსახლეობამდე.

37. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ორგანიზაციებს შერჩევის მეთოდების უახლესი სტანდარტების დანერგვის საშუალება მისცა. რის შედეგადაც კადრების შერჩევის პროცესი მანამდე არსებულთან შედარებით სწრაფი და მოქნილი გახდა. შერჩევასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების მიზნით ბევრი ორგანიზაცია კანდიდატებზე ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით კრებს. ორგანიზაციას რომელიც ვაკანსიას გამოაცხადებს ნათლად უნდა აქონდეს ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია და პასუხისმგებლობა აპლიკანტების შერჩევის პროცესში.

38. მენეჯერმა, მმართველობითი ფუნქციების წარმატებით შესრულებისთვის, უნდა იცოდეს როგორ გაუძღვეს თავის ქვეშევრდომებს. თანამედროვე სიტუაციებში მმართველის, დიპლომატის, აღმზრდელის, ინოვატორის და უბრალოდ ადამიანის როლში მენეჯერი უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს როგორც ლიდერი. ლიდერული ქცევებით თანამედროვე მენეჯერში მანიპულირებენ ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერი რანგის მმართველის პროფესიულ საქმიანობაში.

ვინაიდან შრომითი პროცესი მიმდინარეობს სოციალურ ჯგუფებში, ყოველ კონკრეტულ ჯგუფში მოქმედებს ინდივიდი, რომელსაც მიჰყვება კოლექტივი. ასეთი ტიპის ინდივიდი წარმოადგენს სწორედ ლიდერს, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარშემომყოფებზე ძირითადად ორი სოციალურ-ფსიქოლოგიური არხით:

ა) ავტორიტეტის (ჯგუფის წევრები აღიარებენ ლიდერის უპირატესობას თანამდებობის, ოსტატობის, განათლების და ა.შ. მახასიათებლების გამო);

ბ) ქარიზმატული თვისებების (ადამიანობა, თავაზიანობა, ზნეობა). რეალურ ცხოვრებაში ეს ყველაფერი გამოიხატება ლიდერის განსაკუთრებლობის კეთილი ნების აღიარებაში, რაც ხასიათდება მისთვის უცილობლად გაყოლაში, მისი ქმედებების და საერთოდ ქცევების კოპირებაში.

ლიდერი-სოციალური ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც კი თავს იჩენს ადამიანთა რაიმე ერთობლიობა, მის სტრუქტურაში ჩნდება ლიდერი. რაც უფრო იზრდება ჯგუფის ფუნქციები და ფართოვდება მისი მოქმედების სფეროები, ყალიბდება ლიდერების იერარქია. აქ იწყებენ მოქმედებას “ფორმალური” და “არაფორმალური” ლიდერები. პირველები იღებენ უფლებამოსილებას მართონ ხალხი, ზემდგომი ინსტანციების საშუალებით, მეორენი ხდებიან ლიდერები გარშემომყოფთა აღიარებით.

ნამდვილ ლიდერს უნარი აქვს წაიყოლიოს ხალხი, ლიდერი ხდება ის ვინც ღებულობს ხალხისგან საყოველთაო აღიარებას. გარშემომყოფები აღიქვამენ ასეთი ლიდერის ოთხ მოდელს:

1) “ერთ-ერთი ჩვენთაგანი”. საგარაუდლოა, რომ ლიდერის ცხოვრების წესი

იდენტურია ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წევრის ცხოვრების წესის.

2)“საუკეთესო ჩვენთაგანი”. იგულისხმება, რომ ლიდერი წარმოადგენს მაგალითს მთელი ჯგუფისთვის, როგორც ადამიანი და როგორც პროფესიონალი. ამასთან დაკავშირებით, ლიდერის ქცევა ხდება საგანი მიბაძვისთვის.

3)“კეთილშობილების განსახიერება”. ითვლება, რომ ლიდერი არის ზოგადსაკაცობრიო მორალის ნორმების მატარებელი. ლიდერი იზიარებს ჯგუფთან მის სოციალურ ფასეულობებს და მზადაა დაიცვას ისინი.

4)“ჩვენი მოლოდინის გამართლება”. ხალხი იმედოვნებს ლიდერის ქცევითი მოქმედების მუდმივობას ცვალებადი ვითარების მიუხედავად. მათ უნდათ, რომ ლიდერი ყოველთვის სიტყვის ერთგული იყოს, არ უშვებდეს გადახრებს ჯგუფის მიერ მოწონებული ქცევის კურსიდან.

ხელქვეითებს სურთ, რომ მათი ლიდერი იყოს, არა მარტო და არა იმდენად პროფესიონალი ტექნოკრატიული განხრით, ორიენტირებული მხოლოდ წარმოების პროცესზე, არამედ პირველ რიგში - ადამიანური ხელმძღვანელი, ფსიქიკური განცდების სრული გამის მფლობელი. მის საქმიანობაში პირველ პლანზე უნდა იდგეს ადამიანი. სწორედ ამაში მდგომარეობს ნამდვილი ლიდერობის არსი. ყველა მმართველი (მენეჯერი) ვერ გახდება ლიდერი. ლიდერი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს საკმაოდ განსაზღვრული თვისებები:

- ა) **პატიოსნება**— სრული სიცხედე ზოგადსაკაცობრიო მორალის დაცვაზე. პასუხი კითხვაზე- “წახვიდოდი თუ არა ამ ადამიანთან დახვეწვაზე?”- უნდა იყოს დადებითი;
- ბ) **ინტელექტი** — ტვინის სისწრაფე, მოქნილობა და პროგნოზირების უნარი; — მკაცრი ყურადღება, სიტყვის წარმოთქმის უნარი; — ცნობისმოყვარეობა;
- გ) **ხალხის გაგების უნარი** — მოსაუბრის ქცევის შეგრძნების უნარი; ადამიანში პიროვნების დანახვის უნარი; ადამიანის სულიერად გამდიდრებისკენ მისწრაფება;
- დ) **შეხედულებების სიმყარე** — სიტუაციაზე ადექვატური რეაქცია; — ემოციების კონტროლი; — მოქმედებების მუდმივობა;
- ე) **თვითდაჯერებულობა**— პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისკენ მისწრაფება; — საკუთარ ღირსებასა და ნაკლში გათვითცნობიერებულობა; — მიზნის მიღწევაში დაუინებულობა;
- ვ) **ყოველდღიურ ცხოვრებაში მორიდებულობა**— სიმდიდრისადმი სწრაფვის უქონლობა; — ნივთებთან მოპყრობაში რაციონალურობა; — თვითმომსახურებისაკენ მიდრეკილება;
- ზ) **ერუდირებულობა**— მეცნიერებისა და სხვა ტექნიკის სხვადასხვა დარგის სიღრმისეული ცოდნა; — კარგი გათვითცნობიერებულობა ფილოსოფიაში, პოლიტოლოგიაში, ისტორიაში; — საზოგადოებათმცოდნეობაში

ზემოთ ნახსენები თვისებები წარმოადგენენ ლიდერის პოტენციალის ხერხემაღს. პიროვნების ამ თვისებებისა და ჩვევების გამოსატყულების ხარისხის გამოვლენა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების ერთობლიობით: ინდივიდის საქმიანობაზე დაკვირვებით, მისი საქმიანობის შედეგის შესწავლით და აგრეთვე პირადი ტესტების დახმარებით.

39. ორგანიზაციული კულტურისა და ქცევის დინამიზმი. ორგანიზაციული კულტურა ნიშნავს ადამიანის საწარმოო, საზოგადოებრივი და სულიერი მიღწევების მოწესრიგებულ ერთობლიობას. ორგანიზაციულ კულტურას ხშირად უწოდებენ აგრეთვე კორპორატიულ კულტურას. შემდეგში ამ ტერმინებს სინონიმებად ჩავთვლით. ის შეიძლება დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით, მაგალითად, ფირმის ყოველ თანამშრომელს შეუძლია გაეცნოს განაცხადს “კორპორატიული კულტურის შესახებ”.

ორგანიზაციული კულტურა მიიღება და გაითავისება ცალკეულ მუშაკთა და კოლექტივის მიერ ყოველგვარი მტკიცებულებებისა და ფირმის ხელმძღვანელობის მხრიდან ზეწოლის გარეშე, იმიტომ, რომ ის ამა თუ იმ სახით ნებისმიერ ორგანიზაციაში არსებობს.

ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს კომპანიის მუშათა და თანამშრომელთა ჯგუფების დამაკავშირებელ რგოლს, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს ერთმანეთისაგან “ჩემიანები“ და სხვები. ეს განსაკუთრებულად იჩენს თავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისას კომპანიაში. თუ ახალდაქირავებული მალე გაითავისებს კორპორატიული კულტურის პრინციპებს, მაშინ ის გაცილებით ადვილად შეძლებს კოლექტივში სოციალურ ინტეგრაციას და მისი მწარმოებლურობაც უფრო ეფექტური გახდება. თუ ის იმყოფება უცხო გარემოში, მისი საქციელი იქნება შებოჭილი და ის მუდმივად განიცდის უკმაყოფილების გრძნობას. ასეთ შემთხვევაში, ადამიანები კომპანიას პირველ ორ-სამ კვირაში ტოვებენ, ამიტომ პერსონალის მენეჯერებისა და ხაზობრივი ხელმძღვანელების ამოცანაა დაეხმარონ მათ არსებული კორპორატიული კულტურის გაგებას და მიღებაში.

შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ორგანიზაციული ქცევის ნაწილს. ამ ჭრილში ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცესი და როგორც მოვლენა. პირველ შემთხვევაში ესაა წესებისა და ნორმების ნაკრების ფორმირება და გამოყენება. მეორე შემთხვევაში კი – ის თვითონაა წერილობითი ან დაუწერელი პრინციპების, წესების, ნორმების ერთობლიობა, რაც კომპანიის ფილოსოფიაზე აისახება. ორგანიზაციული ქცევის მიზანია დაეხმაროს ადამიანებს უფრო ეფექტურად შრომაში, თავიანთი მოთხოვნილებებისა და მოლოდინის რეალიზებასა და ამ საქმიანობიდან კმაყოფილების მიღებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციული ქცევის მიზანს წარმოადგენს თითოეული თანამშრომელისათვის სწორი მოტივაციის მისადაგება. ამ მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია ორგანიზაციის და პიროვნების განსაზღვრული, ღირებული ორიენტაციისა შექმნა, საერთო პრინციპების, კანონზომიერებების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების ფორმირების გზით. ამ შემთხვევაში ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს მოტივაციაზე და შესაბამისად, მუშათა ქცევაზე გავლენის მქონე მნიშვნელოვან რესურსს.

40. საწარმოს პერსონალის მართვა კრიზისულ ვითარებაში. ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, მათ შორის კრიზისის პირობებშიც, განისაზღვრება მომუშავე პერსონალის ხარისხით: მისი კვალიფიკაციით, პოტენციალით, ერთსულოვნებით, ორგანიზაციის მიმართ ლოიალურობითა და მრავალმწარმოებლური შრომისადმი მოტივაციით. რა თქმა უნდა, ცალკეულ ხელმძღვანელთა პიროვნული თვისებები დიდ როლს თამაშობს

საწარმოს ეფექტურ ფუნქციონირებაში, ამასთან, მისი სტაბილურობა (“გადარჩენა”) უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია “საშუალო” დონის პერსონალის თვისებებზე, რომლებიც თავის მხრივ განისაზღვრებიან არსებული მუშაობის მართვის სისტემით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მობილურად რეაგირებს ის გარე სამყაროსა და საბაზრო მოთხოვნის ცვლილებებზე. ასეთ პირობებში აუცილებელია მომუშავეთა სრულიად ახალი ტიპი: მაღალკვალიფიციური, ინიციატივიანი, უნდა გააჩნდეს ინოვაციებისადმი მიდრეკილება, შეეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგება, შეეძლოს თავისი პირადი და ორგანიზაციის მიზნების დაკავშირება. როგორც წესი, საწარმოს კრიზისული სიტუაციის ძირითად მიზეზს მიკრო და მაკრო დონეზე წარმოადგენს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში პერსონალის მართვის მეთოდებისა და პრინციპების შეუსაბამობა.

საწარმოს ხელმძღვანელობას გააჩნია ადმინისტრაციული სისტემის მმართველობის ძლიერი სტრუქტურები, რომლისთვისაც პერსონალი წარმოადგენს დამხმარე რესურსს, ხოლო თითოეული მუშაკი განიხილება მხოლოდ როგორც მექანიზმის ადვილად შესაცვლელი ნაწილი.

41. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის თანამედროვე აქცენტები. საერთაშორისო კომპანიების უმრავლესობამ თავისი საქმიანობა დაიწყო ეროვნული ბაზრის ფარგლებში. ბაზრების ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობისა და კომპანიის კონკურენტული უპირატესობის გამოყენებით მათ გააფართოვეს ფუნქციონირების მასშტაბები საერთაშორისო ბაზრებზე. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მოიცავს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს - პროდუქციის საზღვარგარეთ გატანიდან დაწყებული მიმღებ ქვეყანაში წარმოების ორგანიზაციის ჩათვლით.

ტნკ-ის საქმიანობა სხვადასხვანაირად აისახება როგორც დონორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე. მათი გავლენის შეფასება ორივე კუთხით საკმაოდ რთულია და მაინც მეცნიერ-ეკონომისტთა შორის არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე, მაშინ: 1. როცა ამ ფირმების მიერ შემოტანილი ტექნოლოგია ანდა პროდუქცია არის მაღალდიფერენცირებული, 2. როცა ადგილობრივი რესურსები ხელმისაწვდომია ტნკ-სათვის 3. როცა კაპიტალი ჩაიდება შედარებით უკეთ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში.

რეციპიენტი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ თავიდან აიცილონ ტნკ-ის კონტროლი ეროვნულ ეკონომიკაზე. ამ მიზნით ისინი ახდენენ უცხოელთა ხელში არსებული რიგი დარგების ნაციონალიზაციას, (სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, სატრანსპორტო კომუნიკაციები, კომუნალური მეურნეობა დას ხვა), ტნკ-ის ფილიალების ხელმძღვანელობის ადგილობრივ სპეციალისტთა ხელში გადასვლას. ზოგიერთ მნიშვნელოვანი სფერო, ვთქვათ რადიო და ტელევიზია, საერთოდ დახურულია უცხოური ინვესტიციებისათვის. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობები ცდილობენ და მხარს უჭერენ კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ფირმების შექმნას, რათა თავიდან აიცილონ ამ სფეროებში უცხოელთა ბატონობა.

42. პირველ სტატიაში- “სახელმწიფოს როლი სამრეწველო საწარმოს რესტრუქტურისაციის პროცესში (საქართველოს მრეწველობის მაგალითზე)“- განხილულია საქართველოს სამრეწველო წარმოების რესტრუქტურისაციის საკითხები ქვეყნის

ინდუსტრიული განვითარების სფეროში წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად. ამასთან აღნიშნულია, რომ სამრეწველო საწარმოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი, საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია მისი რესტრუქტურისაცია, რომელიც მოლიანობაში ნიშნავს: მართვის სრუქტურისა და ფუნქციების სრულყოფას, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკურ ასპექტებში ჩამორჩენის დაძლევას, ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფას. კონკრეტული თვალსაზრისით, რესტრუქტურისაცია ნიშნავს ფირმის მიზნებისა და სტრატეგიის ძირეულ ცვლილებებს, ასევე მათი რეალიზაციის ხერხებისა და ბიზნეს – პროცესების (ორგანიზაციული სტრუქტურის რეიჟინერინგი). საქართველოს მრეწველობის კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულია, რომ მიუხედავად საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენისა, რომ ქვეყნის მრეწველობა არაფერს აწარმოებს, 2015 წელს, სტატისტიკური მონაცემებით წარმოებულ იქნა 8 მილიარდი ლარის პროდუქცია, ანუ თითქმის 2-ჯერ მეტი ვიდრე 2010 წელს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ სახელმწიფო, რომელიც რჩება ერთგული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების (საიდანაც ისღებულობს ფულს), არ ახდენს მიკროეკონომიკური დარგობრივი პრიორიტეტების ფორმირებას და მხარდაჭერას, ხოლო ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების გარეშე მისი შემდგომი დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია.

43. მეორე სტატიაში- “ ელექტროენერჯის ტარიფები საქართველოში-არსებული რეალობა და პერსპექტივები” განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორც არის სამომხმარებლო ტარიფები ელექტროენერჯიაზე და მათი ოპტიმიზაციის შესაძლებლობები. ამ მიზნით გაანალიზებულია სადისტრიბუციო კომპანიების არსებული სტრუქტურა. ყურადღება გამახვილებულია ელექტროენერჯის ბაზრის კონცენტრაციის მაღალ დონეზე, რაც განაპირობებს დღეს მოქმედ მაღალ სამომხმარებლო ტარიფებს, მასში ამ კომპანიების დანახარჯების მაღალი ხვედრითი წილიდან გამომდინარე და შესაბამისად დაყენებულია საკითხი მათი სტრუქტურის აუცილებელი ცვლილების შესახებ, საბოლოო ჯამში კონკრეტული სადისტრიბუციო ბაზრის ფორმირების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანი საკითხი რაზედაც გამახვილებულია აგრეთვე ყურადღება, ეს არის ელექტროენერჯის ტარიფის მისი მოხმარების რაოდენობასთან მიხედვით საკითხი. მიგვაჩნია, რომ ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობის ზრდასთან ერთად ტარიფი კი არ უნდა იზრდებოდეს, არამედ საბაზრო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე მცირდებოდეს, რათა გაიზარდოს ელექტროენერჯის რეალიზაცია და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას, როგორც მწარმოებლის (მოგების მიღების თვალსაზრისით) ასევე მომხმარებლის ინტერესები. ასევე გადასახედა, ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვისა და ამოღების ამჟამად მოქმედი წესი, რამდენადაც არსებობს 101 და 301 კვ/სთ ზევით ელექტროენერჯის მოხმარების წინასწარგანზრახული სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე დაფიქსირების რისკი, მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ. ეს რისკი კი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭობია, მომხმარებელი ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის მთელ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე (საფეფურზე)

44. ადამიანური რესურსის შერჩევის პროცედურა „შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და სს „თელასის“ მაგალითზე. ნაშრომში გადმოცემულია ადამიანური რესურსის შერჩევის

პროცედურა. ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესი განხილულია, როგორც საკადრო მომსახურების ფუნქცია. შერჩევის პროცესის ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია იმ ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მონაწილეობა, სადაც უნდა დასაქმდნენ ახლად შერჩეული მომუშავენი. მაღალი კულტურის მქონე მომუშავეებით სამუშაო ადგილების დაკომპლექტება ხდება უმაღლესი რანგის მენეჯერების ძალისხმევით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის საქმიანობაზე. პერსონალის შერჩევა არ წარმოადგენს იზოლირებულ ფუნქციას, იგი დაკავშირებულია პერსონალის მენეჯმენტის სხვა ფუნქციებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას.

სტატიაში განხილულია პერსონალის შერჩევის პროცესი ჩვენი კვლევის ობიექტების – შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა“ და სს „თელასის“ მაგალითზე. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ გახლავთ საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე წამყვანი კომპანია. მარტო დედაქალაქის წყალმომარაგებასა და წყალარინებაზე კომპანიის 2300-მდე თანამშრომელი ზრუნავს, რომლებიც 460 000 აბონენტს ემსახურებიან.

სს „თელასი“ ახორციელებს ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირებას. მომხმარებელთა მომსახურება ხდება 10 ბიზნესცენტრში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრირებულ რაიონში და ამ მისიის შესრულებას ემსახურება 2100 ადამიანზე მეტი.

ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ ამ კომპანიების სტრატეგიის პრიორიტეტულ ნაწილს წარმოადგენს ადამიანური რესურსების სწორად მართვა და პერსონალის შერჩევის პოლიტიკის თანამედროვე პროცედურები, რაც მოიცავს კანდიდატის ძებნას, შეფასებას, განსაზღვრასა და ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნას.

ადამიანური რესურსების ფორმირების მიზნით საკვლევ ობიექტებზე მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს პერსონალი, რისთვისაც გაძღვეთ რეკომენდაციებს.

45. ინოვაციური მენეჯმენტის თავისებურებანი პირველად ჯანდაცვაში. ნაშრომში შესწავლილია ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკისათვის ყველაზე ადეკვატური და მეცნიერულად დასაბუთებული ინოვაციები. შემუშავებულია მენეჯმენტის ძირითად თეორიებზე დაყრდნობით პირველადი ჯანდაცვის სექტორის მართვის ტექნოლოგიების სრულყოფის რეკომენდაციები. შეფასებულია ჯანდაცვის თანამედროვე მდგომარეობა ქ.თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებში. შესწავლილია სამედიცინო მომსახურების მართვის ეფექტიანობისა და მართველობით ინოვაციებში მომსახურების ხარისხის, როგორც უცხოეთში დაგროვილი გამოცდილება, ისე საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოვლენილია საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება და შეფასებულია პირველადი ჯანდაცვის ბავშვთა დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონე, რომელიც შედარებულია საერთაშორისო მონაცემებთან.

46. სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის მიმართულებები პირველად ჯანდაცვაში. ნაშრომში გადმოცემულია მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებასა და შესაბამისად ხარისხის როლი ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მნიშვნელობა ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის წარმატებით მომუშავე ეფექტური სისტემის შესაქმნელად, რომლის მართვის ეფექტური სისტემის ყველაზე უფრო დამაჯერებელი უპირატესობაა ავადმყოფების მკურნალობის გაუმჯობესება. ნაშრომში განხილულია კლიენტის ხარისხი,

მართვის ხარისხი და პროფესიული ხარისხი. მოცემულია პაციენტის კმაყოფილების კვლევა პირველადი ჯანდაცვის ბავშვთა დაწესებულებებში. შექმნილია სხვადასხვა სიმძლავრის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის წესები(პროექტი) ბავშვთა პოლიკლინიკებში. ასევე წარმოდგენილია ბავშვთა ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სანებართვო პირობები(პროექტი).

48. ბუნებრივი გარემოს ხარისხის მართვის სისტემის რეგულირებისათვის სხვადასხვა ქვეყანებში განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, რომელთა ტიპოლოგიზაციისა და პრაქტიკული გამოყენების არჩევანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მსოფლიო გამოცდილების ანალიზი. გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: ადმინისტრაციული რეგულირება, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და საბაზრო მეთოდები. ადმინისტრაციული რეგულირება გულისხმობს შესაბამისი ნორმატივების, სტანდარტებისა და შეზღუდვების დაწესებას. აგრეთვე ბუნებათსარგებლობის პროცესების ლიცენზირებისა და პირდაპირი კონტროლის საკითხებს, მ.შ. ეკოლოგიურ აუდიტს, ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ეკოლოგიურ დაზღვევასა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მონიტორინგს.

ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხების გადასაწყვეტად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ინსტრუმენტების ეფექტურობას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა - გადასაწყვეტი პრობლემის სფეროფიკა; ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული თავისებურება; დაბინძურების ტიპი; რეგიონის ეკოლოგიური სიტუაცია და ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

49. ინოვაცია წარმოადგენს სიახლის დანერგვის პროცესს, როგორც სამეცნიერო კვლევების კონკრეტულ შედეგს მართვის ობიექტის შეცვლის მიზნით და სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მისაღებად. სოციალურ სისტემაში განვითარებული ინოვაცია ხელს უწყობს მისი სტრუქტურის გარდაქმნას.

თანამედროვე სოციოლოგიაშია მოყვანილია ინოვაციის შესწავლის ორი ძირითადი მიდგომა: ორგანიზაციულად-ორიენტირებული და ინდივიდუალურად-ორიენტირებული.

ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს მრავალეფექტურულ პროცესს სტრატეგიული მარკეტინგის, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადების, სიახლის წარმოებისა და გაფორმების, სხვა სფეროებში მათი დანერგვისა და გავრცელების შესახებ. ინოვაციური საქმიანობა - საქმიანობის დამოუკიდებელი სახეა, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები.

სიახლის შემოდება წარმოადგენს ინოვაციური პროცესის შედეგს, რომელიც ახორციელებს მეცნიერული ცოდნის ტრანსფორმაციას ინოვაციაში.

ინოვაციური პროცესის მთავარი განსხვავება ინოვაციური საქმიანობისაგან ინოვაციის სავალდებულო დასრულებაში გამოიხატება ანუ შედეგის მიღებაში, რომელიც პრაქტიკული რეალიზაციისათვის გამოსადეგია.

3.ერთიანი ინოვაციური სივრცის შექმნისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, განკუთვნილი ევროკავშირის (ეკ) ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის განვითარების შედარებითი შეფასების ჩასატარებლად. ევროკავშირის კომისიის (ეკკ) სამეწარმეო დირექტორატის მიერ მოწოდებული სისტემა აერთიანებს 16 ინდიკატორს, გაყოფილს 4 ჯგუფად.

მოცემული მეთოდის მიხედვით ინოვაციური საქმიანობის შეფასება საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნების წარმატებები და განვსაზღვროთ ის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ძალისხმევას კერძო ორგანიზაციების და სახელმწიფოს

მხრიდან.

თანამედროვე დასავლურ (ამერიკულ) სოციოლოგიაში გამოყოფენ ინოვაციური იდეების შვიდ ძირითად წყაროს.

ინოვაციური გადაწყვეტილების ცხოვრებაში წარმატებით გასატარებლად დასავლეთელი მკვლევარები ხუთი ძირითადი კრიტერიუმის არსებობას თვლიან.

ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა შეიძლება შევაფასოთ მიღწეული პირდაპირი და ირიბი ტექნიკური და ეკონომიკური შედეგების საფუძველზე, ასევე იმ ადამიანთა ქცევებისა და შეხედულებების ცვლილებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პროცესში ან მისი მიზნის ფორმირებაში. რადგან ეს პირობები ისევე ახდენენ ადამიანების ფორმირებას როგორც, ადამიანები ახდენენ პირობების ფორმირებას.

ბუნებრივი გარემოს ხარისხის მართვის სისტემის რეგულირებისათვის სხვადასხვა ქვეყანებში განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, რომელთა ტიპოლოგიზაციისა და პრაქტიკული გამოყენების არჩევანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მსოფლიო გამოცდილების ანალიზი. გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: ადმინისტრაციული რეგულირება, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და საბაზრო მეთოდები. ადმინისტრაციული რეგულირება გულისხმობს შესაბამისი ნორმატივების, სტანდარტებისა და შეზღუდვების დაწესებას. აგრეთვე ბუნებათსარგებლობის პროცესების ლიცენზირებისა და პირდაპირი კონტროლის საკითხებს, მ.შ. ეკოლოგიურ აუდიტს, ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ეკოლოგიურ დაზღვევასა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მონიტორინგს.

51. ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხების გადასაწყვეტად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ინსტრუმენტების ეფექტურობას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა - გადასაწყვეტი პრობლემის სპეციფიკა; ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული თავისებურება; დაბინძურების ტიპი; რეგიონის ეკოლოგიური სიტუაცია და ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

52. გაეროს მიერ და ასევე ცალკეულ ქვეყნებში უსაფრთხო განვითარების შესახებ მიღებული კონცეფციების კვალობაზე საზღვარგარეთის მეცნიერულ წრეებში ფართო მუშაობა გაიშალა ამ პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესასწავლად. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ სამუშაოებზე, რომლებიც ეხება ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების კვლევის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ მიდგომებს. საზღვარგარეთელ ეკონომისტთა მეცნიერული აზროვნების გააქტიურებისა და განვითარების კვალობაზე ქვეყნის, მისი რეგიონების ეკონომიკის, უსაფრთხოების პრობლემების შესასწავლად კვლევებს აწარმოებენ ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები. პირობითად გამოვყოთ აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე ავტორთა სამი ჯგუფი:

პირველი, რომლებიც ეკონომიკური უსაფრთხოების სხვა აქტუალურ პრობლემების გვერდით ცალკე ადგილს უთმობენ ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის კონცეპტუალურ საკითხებს (ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული წინამძღვრები, ეკონომიკური უსაფრთხოება როგორც ეკონომიკური კატეგორია: არსი, შინაარსი, მაჩვენებლები, ფაქტორები, ინდიკატორები და სხვა).

მეორე, ჯგუფი ეკონომისტებისა ცალკე არ განიხილავენ ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებს, მაგრამ მნიშვნელოვან გამოკვლევებს აწარმოებენ ეკონომიკის ცალკეული დარგის ან ცალკეული პროდუქციის წარმოების სფეროში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მესამე ჯგუფში შემავალ ქართველ ეკონომისტებს უშუალო გამოკვლევები არ

ჩაუტარებიათ ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებზე, მაგრამ თვით ამ თემის სიფართოვის და მრავალწახნაგიანობის გამო მათ გამოკვლევებს მჭიდრო კავშირი აქვთ ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან.

53. "ეკონომიკის ეკოლოგიზაციის" ცნება XX საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული იხმარება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში. იოჰანესბურგის საერთაშორისო ფორუმზე წარდგენილ მოხსენებაში, მოცემულია ეკოლოგიზაციის შემდეგი განმარტება: ეკოლოგიზაცია ნიშნავს ბუნებრივი გარემოს ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური, მმართველობითი, იურიდიული და სხვა მეთოდების დანერგვას, რაც შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად ამაღლდეს ბუნებრივი რესურსების მოხმარების ეფექტურობა და შემცირდეს ანთროპოგენური დატვირთვა ბუნებრივ გარემოზე.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციისას მიზანშეწონილია შემდეგი თანამიმდევრობა და პრიორიტეტულობა:

- ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტები;
- მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების განვითარება;
- პირდაპირი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

ეკონომიკური მეცნიერების მიერ უნდა შემუშავდეს შესაბამისი თეორიული და მეთოდური პრინციპები და მეთოდები, რათა მათი საშუალებით მოხდეს სამეურნეო საქმიანობის მაკრო- და მიკროდონეზე ეკოლოგიური ფაქტორის ადეკვატური ასახვა, და აგრეთვე ეკოლოგიური და ეკონომიკური პირობების გაერთიანება ერთიან ეკოსისტემაში. პირველ რიგში უნდა განავითაროთ ეკონომიკური კვლევები საწარმოს დონეზე სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიზაციის მიმართულებით. სწორედ მიკროდონეზე ხდება პირველადი ინფორმაციის შეგროვება გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებასთან, ეკოლოგიური დანახარჯებსა და სხვა გარემოებებთან დაკავშირებით. გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მოპოვება-მოხმარების სფეროში საჭიროა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება.

54. დღეს, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა რესურსების მობილიზაცია, ინოვაციური პროცესების განვითარება, ადამიანური რესურსების მართვის ახალი სოციალური ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება მინიმალური მატერიალური დანახარჯებით შესაძლო მაქსიმალური ეფექტის მიღწევისაკენ. წარმოიშობა ორგანიზაციის ინოვაციური პროცესების განვითარების მოთხოვნილება. სიახლის შემოღება წარმოადგენს ინოვაციური პროცესის შედეგს, რომელიც ახორციელებს მეცნიერული ცოდნის ტრანსფორმაციას ინოვაციაში. ინოვაციური პროცესის მთავარი განსხვავება ინოვაციური საქმიანობისაგან ინოვაციის სავალდებულო დასრულებაში გამოიხატება ანუ შედეგის მიღებაში, რომელიც პრაქტიკული რეალიზაციისათვის გამოსადეგია. ინოვაციის დანერგვის პრაქტიკაში გამოიყოფა ინოვაციური პროცესის მოდელების რამდენიმე თაობა მისი შიგა სტრუქტურის აღსაწერად: ინოვაციური ჯაჭვის მარტივი მოდელიდან რთული ფუნქციონალური და მულტი ინსტიტუციონალური სტრუქტურის ურთიერთქმედების მოდელამდე. როცა ორგანიზაცია ხდება უფრო ფართო ინოვაციური სისტემის-ეროვნული ინოვაციური სისტემის (ვის) - ელემენტი.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებ ის რაოდენობა
1	M. Metreveli, I. Gogorishvili	"Defining company mission and social responsibility in business engineering", The 4th Business Systems Laboratory International Symposium: "Governing Business Systems: Theories and Challenges for Systems Thinking in Practice", Vilnius, Lithuania, August 24-26, 2016 www.bs-lab-symposium.net/wp-content/uploads/BSLab-Vilnius2016-e-book_of_Abstracts-v3.pdf	conference proceedings	Vilnius, Lithuania, The 4th Business Systems Laboratory International Symposium: "Governing Business Systems: Theories and Challenges for Systems Thinking in Practice"	180-185p.
2	M. Metreveli, I. Gogorishvili	„Tourist production and regional development“, Proceedings of the 9th International Conference for Entrepreneurship, Innovation and Regional Development, RESPONSIBLE ENTREPRENEURSHIP VISION, DEVELOPMENT AND ETHICS, Bucharest, Romania, June 23-24, 2016,	conference proceedings	Bucharest, Romania, Proceedings of the 9th International Conference for Entrepreneurship, Innovation and Regional Development, RESPONSIBLE ENTREPRENEURSHIP VISION,	184-196p.

		http://iceird2016.com/wp-content/uploads/2015/06/ICEIRD-2016-Conference-Program-Book-of-Abstracts1.pdf		DEVELOPMENT AND ETHICS	
3	ყურაშვილი გ. ქინქლაძე რ.	Women's Migration Processes from Georgia	საერთაშ. სამეცნ. კონფ. „ეკონომიკა და მართვა”2016.	ჩეხეთი, ბრნო	5 გვ.
4	ბელა გოდერძიშვილი, ნ. ჭანტურია, თ. ბერიძე, მ. ნოზაძე	WAYS TO IMPROVE FISCAL POLICY IN GEORGIA)	ჩეხეთში ქ. ბრნოს უნივერსიტეტში გაიმართა 21-ე საერთაშორისო კონფერენცია “Economics and Management-2016” (ICEM-2016).	ჩეხეთი ქ. ბრნო 2016 წლის 17–22 მაისი	
5	E. Baratashvili, M. Chechelashvili, N. Natroshvili	Ethno-Cultural Characteristics and Business Relations	Paper Code: 16US03000798	MIAMI, MARCH 24 - 25, 2016 Conference Link 2016/03/miami/ICBEMM	10 Global impact factor (2,4)
6	ც.ლომაია ვ.კატუკია	Социально-экономические реформы в Грузии и институционально-организационные аспекты правления.	№1	პოლტავა, უ. ეკონომიკა და რეგიონი	6
7	ც.ლომაია თ.ჩახუნაშვილი	მმართველობითი ინოვაციები ჯანდაცვაში (ინგლისურ ენაზე)	№2	პოლტავა, უ.ეკონომიკა და რეგიონი	5
8	Maka Piranashvili, Lamara Kadagidze	The Role of Tourism as an Interdisciplinary Subject in the Development of Georgian Economy	ISSN 1648-7974 2016 №1(28)	Lithuania Business University of Applied Sciences, Journal of Management	7
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					

1. The study aims at considering the associations between the components of the mission and identifying the role of the social responsibility in it by developing the model of a company mission. The study was accomplished by using the gravitation and new institutional theories and deduction and induction methods. Based on the gravitation and new institutional theories, the work considers the trends of installation of social responsibility at the companies in the developing countries by considering the opportunities of intellectual production and services. The components of a company mission and the nature of the relationship between them are considered as such trends

2. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე დომინირებს ტურისტული მომსახურების ექსპორტი – შემომყვანი ტურიზმი. შიდატურიზმი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საფუძველს და რომლის მოცულობაც რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო ტურიზმისას, ვითარდება არათანმიმდევრულად, არაგეგმაზომიერად და არამდგრადი ხასიათით გამოირჩევა. ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონების ტურისტული რესურსებისა და საშუალებების აღწერა-დახასიათება და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის წარმოჩენა. კვლევის მეთოდებად გამოყენებულია საქართველოს რეგიონებში ტურისტული საწარმოებისა და ზოგადად, ტურიზმის განვითარების შედეგების შეფასებისადმი სისტემური მიდგომა, ინდექსის, დედუქციისა და სტატისტიკის მეთოდები. ნაშრომში მოცემულია საქართველოს რეგიონების ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც წარმოადგენს ტურისტული მარშრუტების ძირითად დესტინაციებს. ასევე, განხილულია საქართველოს რეგიონებში ტურისტული პროდუქტის საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული რესურსებისა და შესაძლებლობების სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის როლის ამადლების აუცილებლობის მნიშვნელობა ადგილობრივი თემებისა და დასახლებების მოსახლეობის პროცესებში ჩართულობის დამკვიდრებისათვის.

3. მსოფლიო გლობალური პროცესების კვლადაკვალ მიმდინარე პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი ცვლილებების შესაბამისად მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლა, რომელიც ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგები საქართველოსთვის იქცა უმწვავეს პრობლემად. ამისათვის შეწავლილი იქნა ქვეყნის მოსახლეობის და განსაკუთრებით ქალთა მიგრაციის ტენდენციები 2000-2014

6. სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში და მათი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ასპექტები(რუსულ ენაზე).

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტრადიციული მიდგომები, ინტეგრაციული პროცესები ეროვნულ ეკონომიკაში და ბიზნესში გატარებული რეფორმები, ეროვნული ეკონომიკის გლობალურ პროცესებთან ადაპტირების ასპექტები.

საქართველომ ევროპის ეკონომიკურ ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი სუბიექტის ფუნქცია შეიძინა.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების როლი,

ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასებულია ახალი გამოწვევები, დასაბუთებულია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურებაში ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

გაანალიზებულია ინსტიტუციური მიდგომის ძირითადი მოთხოვნები. გამოყოფილია საქართველოს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ინსტიტუციურ სტრუქტურაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები. ასევე, დაფიქსირებულია ინსტიტუციური პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს ქვეყნის შემდგომ განვითარებასა და ევროკავშირის ბიზნესგარემოს რესურსის სრულ გამოყენებას.

7. მმართველობითი ინოვაციები ჯანდაცვაში (ინგლისურ ენაზე)

ნაშრომში გადმოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის სექტორში მსოფლიო ბაზრის ანალიზი. შესწავლილია მართვისა და მენეჯმენტის თავისებურებები ქ.თბილისის ბავშვთა 19 პოლიკლინიკაში. შესწავლილია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ძირითადი ეტაპების ანალიზი და ამ პროცესის ზეგავლენა მთლიანად საზოგადოებაზე. დადგენილია თანამედროვე ქართული ბავშვთა პოლიკლინიკაში შესრულებული პირველადი ჯანდაცვის სისტემის მმართველობითი საქმიანობის და კმაყოფილების დონის ალგორითმი სოციოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით შ შ-ეს მეთოდით კვების განვითარების ტენდენციები და შემოთავაზებულია მმართველობითი ინოვაციები მათი სრულყოფის მიზნით. ჩატარებული კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის ფორმირება, რომელიც დანერგულია პოლიკლინიკა „MMEDI-22“-ის ბაზაზე.

8. ტურიზმის, როგორც დარგთაშორისი დისციპლინის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელია არაიმდენად მარტო ცალკეული დარგების განვითარება, რამდენადაც სხვადასხვა დარგთაშორისი კომპლექსების ფუნქციონირება. ტურიზმს უნდა მიეუდგეთ როგორც ეროვნული ეკონომიკის მსხვილ დამოუკიდებელ დარგთაშორის სამეურნეო კომპლექსს, ვინაიდან ტურიზმის სფერო, აერთიანებს სხვადასხვა დარგებს.

საქართველოში ტურისტული ბაზარი უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების და ურთიერთობების ერთობლიობას მარკეტინგული კვლევების, წარმოების, გაცვლის და განაწილების სფეროში მწარმოებლებსა და ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა შორის. აქედან გამომდინარე ობიექტურად წარმოიშვა როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ტურისტული ბაზრების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზისა და მათი ფუნქციონირების პრობლემების გამოვლენის აუცილებლობა.

ტურიზმი საბჭოთა პერიოდში განიხილებოდა, როგორც სპორტი და დასვენება, დღეს კი მისი როლი და მნიშვნელობა გაიზარდა და წარმოგვიდგება როგორც ბიზნესის სფერო.

ტურისტული რესურსები(საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, 1997 წელი, მუხლი 2) ეს არის ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს

ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.

ზემოთ მოცემული რესურსებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სოციალური რესურსები, საინფორმაციო სექტორი და სერვისის სისტემა. ეს სწორედ ის სამი ფაქტორია, რაც ყველაზე მეტად აკლდა გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ტურისტულ საქართველოს და, ჩვენი აზრით, არც დღეს მოეპოვება უხვად. ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული რესურსების სიუხვე, თავისთავად, არ ნიშნავს გამართულ, წარმატებულ ტურისტულ ინდუსტრიას. აქ უმნიშვნელოვანესია ამ რესურსების ეფექტურად გამოყენება, რომელიც შეუძლებელია განათლებული და კვალიფიცირებული სოციალური რესურსების გარეშე, რომლებსაც ხელეწიფებათ განსაკუთრებული მოვლენებისა და აქტივობების, ტურისტული ინფრასტრუქტურისა თუ სერვისის სისტემის შექმნა. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად ინოვაციების მხარდამჭერ განათლების სისტემას გულისხმობს. ინოვაციებზე ორიენტაცია მთავარი სტრატეგიული ვექტორია მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოებისათვის.

ევროსაბჭოს 2009 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მომზადდა მიმართვა სრულად ფუნქციონირებადი ცოდნის სამკუთხედის - განათლების, კვლევისა და ინოვაციების (ბიზნესის) სამკუთხედის შესაქმნელად. თუკი ცოდნის სამკუთხედსა და ინოვაციებზე ორიენტირება ევროპისთვის ასეთ დატვირთვას ატარებს, გასაგებია მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის, რომლის საგანმანათლებლო სფეროში ტურიზმის შემსწავლელ სპეციალობას ერთი ათეული წლის ისტორია აქვს. სწორედ ტურიზმის საგანმანათლებლო სფეროშია უმნიშვნელოვანესი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კვალიფიციური კადრების მომზადება და ინოვაციებზე ორიენტირება.

განათლებლასა და მეცნიერებას შორის ინტეგრაცია და ინოვაციური მიდგომები ეს არის მთავარი ფაქტორი, რაც გააუმჯობესებს განათლების ხარისხს.

უპირველესი ამოცანა, რომელიც დღეს დგას საქართველოში, ტურიზმის წინაშე არის, საქართველოს როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯის შექმნა და პოპულარიზაცია, ასევე კვალიფიციური კადრების მომზადება ტურისტულ სექტორში და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო ტურისტულ ბირჟებსა და გამოფენებზე აქტიური მონაწილეობის მიღება და ქართული ტურისტული პროდუქტის „პრომოუშენი“, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ქვეყნისადმი ინტერესის ზრდა, ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა ნაკადების მატება და მოთხოვნის სტიმულირება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე.ბარათაშვილი თ.ლაგვილავა	ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთპარტნიორობის პერსპექტივები	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC-2016, 14 ოქტომბერი, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	ე.ბარათაშვილი თ.ლაგვილავა მ. ბერუაშვილი	ინტეგრაციული პროცესები ბიზნესის კლასტერიზაციის კონტექსტში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბათუმი, 21 ივნისი 2016 წ.
3	მ. მეტრეველი	“რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში”	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის IX საერთაშორისო კონფერენცია "ქრისტიანობა და ეკონომიკა - ქუთაისი - 2016", ქ. ქუთაისი, 22-23 ოქტომბერი, 2016
4	მ. მეტრეველი	"საქართველოს ტურიზმის საკანონმდებლო ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები"	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, ქ. თბილისი, 14-15 ოქტომბერი, 2016
5	მ. მეტრეველი, გ. ჯაბნიძე	“ტურისტთა სტატუსური	მეოთხე საერთაშორისო

		ქცევის ცნება როგორც ტურპროდუქტებზე მოთხოვნის მოტივაცია საქართველოს (აჭარის რეგიონი) შავი ზღვის კურორტებზე”	ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, ქ. თბილისი, 14-15 ოქტომბერი, 2016
6	მ. მეტრეველი	“თანამედროვე თბილისი და ტურიზმის მიმართულებები”	თბილისის მერიის საერთაშორისო კონფერენცია „თბილისი - შეხვედრების ადგილი - მზარდი შესაძლებლობების ქალაქი“, საგამოფენო ცენტრი ექსპოჯორჯია ჩო - 2016, ქ. თბილისი, 2016 წლის 15 აპრილი
7	მ. მეტრეველი	„საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები”	შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის სამეცნიერო კომფერენცია “სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანები საქართველოში”, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს პარლამენტი, ქ. თბილისი, 2015 წლის 20 ნოემბერი
8	აბულაძე რატი	ციფრული საფრთხეების ეკონომიკური გავლენა. მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. 14-15 ოქტომბერი, 2016. (იბეჭდება)	საქართველო თბილისი

9	ოთინაშვილი რამაზ	ბიზნეს-დაზვერვა - „საჭირო“ ინფორმაციის მოპოვების ეფექტური საშუალება	სტუ-ს ყოველწლ. (10-ე) საერთაშ. სამეცნ. კონფერ. „ხელისუფლ. და საზოგ.“ 26.11.2016. გვ 21;
10	ოთინაშვილი რამაზ, კუტუბიძე შალვა	ქართული საადგილმამულო ბანკის ფუნქციები და მიზანი	მეოთხე საერთაშორისო ეკ. კონფერენცია - IEC 2016 - „ეროვნ. ეკონ.-ის განვით. მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ-14-15.10.2016 წ. თბილისი, ქუთაისი. ე.ბიზნეს-ინჟინერინგიN3-4
11	ოთინაშვილი რამაზ	ბიზნეს-დაზვერვის განვითარებისა და კვლევის ისტორია	წმ. გრ. ფერადის თბილისის სასწ. უნივერსიტეტი, საერთაშ. სამეცნიერო-პრაქტ. კონფერენცია „საქართველო და თანამედ. სამყ. - გამოწვევ. მიღწევები, პროგრესი“, 25-26.11.2016
12	ხათუნა ხარხელაური	საინვესტიციო პროექტის შეფასება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის SEU SCIENCE 2016-ის მასალების კრებული თბ. 2016
13	სოფიო ბლიაძე, ლია ბიბილაშვილი	ორგანიზაციების ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა	მე-9 საერთაშორისო კონფერენცია. “განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები”. 18-19 ნოემბერი. 2016 წ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გორი. საქართველო.
14	ნ. ნადარეიშვილი.	Wellness ტურიზმისპერსპექტივებისაქართველოში	სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგისფაკულტეტი სტუ-ს საინჟინრო-

			<p>ეკონომიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი. მეოთხე საერთაშორისო ეკონო- მიკური კონფერენცია - IEC 2016 „ეროვნული ეკონომიკის განვი- თარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“ 14-15 ოქტომბერი, 2016 წ. თბილისი, საქართველო.</p> <p>დაიბეჭდა ჟურნალ „ბიზნეს- ინჟინერინგში“ №3. 2016. გვ. 240-243.</p>
15	ქეთევან ქაჯაია	ღვინის ტურიზმის პერსპექტივა საქართველოში	2016 წლის 14 ოქტომბერი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
16	ე. კავთიძე	განაწილებითი ურთიერთობები და საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების ფაქტორები	1-2 ივლისი, 2016 წ. თბილისი
17	ნ. გალახვარიძე	გარემომცველი გარემოს მენეჯმენტის სისტემა და ეკოტურიზმი	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, 08-09.2016
18	ნ. გალახვარიძე ე. გუგავა	ადამიანი და ეკოლოგია გარემოს მენეჯმენტის სისტემაში	თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი, 19.06.2016
19	ბელა გოდერძიშვილი, გ. ყურაშვილი	ტრანსნაციონალიზაციის განვითარების ტენდენციები საქართველოს კონტექსტში	სულხან-საბას სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია

20	ნინო ფაილოძე, იაშა მურვანიძე	აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC 2016. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების - მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ“, 14-15 ოქტომბერი, 2016 წ.
21	თამარ ლამბაშიძე	კორპორატიული კულტურის ფორმირება საერთაშორისო კომპანიებში	03. 10. 16 რობაქიძის უნივერსიტეტი
22	ნოდარ ცანავა	სახელმწიფოს როლი სამრეწველო წარმოების რესტრუქტურზაციის პროცესში	2016 წლის 29 აპრილი, უკრაინის ეკონომიკისა და ინოვაციების შავიზღვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის მიერ მოწოდებული საელაშორისო კონფერენცია” თანამედროვე ეკონომიკური სივრცის ფორმირება: უპირატესობები, რისკი, რეალიზაციის მექანიზმები”, ქ. თბილისი
23	ნოდარ ცანავა	სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურზაციის პრობლემები(საქართველოს მრეწველობის მაგალითზე)	2016 წელი 26 ნოემბერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს- ინჟინერინგის ფაკულტეტის და ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალ” ხელისუფლება და საზოგადოების” საერთაშორისო კონფერენცია: “ ხელისუფლება და საზოგადოება”, ქ. თბილისი
24	ნატალია ჭანტურია, მარინე თოფჩიშვილი	კლასტერიზაცია, როგორც ქართული ბიზნესის განვითარების სტრატეგია	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო

		(უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების მაგალითზე)	“განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები” 18-19 ნოემბერი, 2016
25	ნატალია ჭანტურია, რუსუდან ქუთათელაძე, ბელა გოდერძიშვილი	კიდევ ერთხელ შრომითი საქმიანობის მოტივირებისა და სტიმულირების საკითხებისათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC- 2016 “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ 14-15 ოქტომბერი, 2016 თბილისი, საქართველო
26	მაკა ფირანაშვილი, ლამარა ქადაგიძე	MYSTICS AS A PRODUCT OF CULTURAL TOURISM (On the Example of Georgia’s Archeology)	ევრაზიის V მულტიდისციპლინარული ფორუმი EMF 2016, თბილისი, 27-28 ოქტომბერი
27	მაკა ფირანაშვილი, თამარ გამსახურდია	სამკურნალო ტურიზმი, როგორც პროდუქტი ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის	პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “სამედიცინო ტურიზმი: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში”, ბათუმი, 18-19 ნოემბერი, 2016.
28	როსტიაშვილი თ; სოსელია მ; ფოღიაშვილი დ;	ინოვაციური მცირე საწარმოების პიარი და იმიჯი.	1-2 ივლისი. 2016 წ.თბილისი თსუ პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო –სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ეკონომიკა და

			მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”.
29	მ.სოსელია თ.როსტიაშვილი დ.ფოდიაშვილი	“ინოვაციური მცირე საწარმოების პიარი და იმიჯი” ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	1-2 ივლისი, თბ. 2016წ.
30	ლ. კოჭლამაზაშვილი თ. ყანდაშვილი	ბეჭდვითი ნაწარმის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში	2016 წლის 29 აპრილი თბილისი
31	ლ. კოჭლამაზაშვილი თ. ყანდაშვილი	საერთაშორისო გადაზიდვების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში	2016წლის 8-9 სექტემბერი. ბათუმი
32	ა. აბრალავა	ინოვაციური საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის შეფასება	თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის

			„ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“
--	--	--	---

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი არამარტო გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლებური ხედვისა და მიდგომების გაზიარებას გულისხმობს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს (DCFTA), რომლის ამოქმედებით საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაიხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანასა და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, პოლიტიკურ სტაბილურობას და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას.
2. კლასტერები, როგორც წესი, ყალიბდება პროგრამების ფარგლებში შემდეგი სამი სუბიექტიდან ერთ-ერთის ინიციატივით, ესენია: საკუთრივ მცირე საწარმოები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და/ან მსხვილი კორპორაციები. კლასტერების ინტეგრაციული პროცესები თავისთავად საკუთრების პოზიციიდან აქტივებზე კონტროლის დაწესება და მათი მართვაა. იგი შეიძლება განხორციელდეს ორი გზით. პირველი გზა გვხვდება, როდესაც საქონლის წარმოება და რეალიზაცია ფართოდება კომპანიის შიდა წყაროების ხარჯზე. მეორე გზა ვარაუდობს ბიზნესის გაფართოებას სხვა კომპანიათა აქტივების შეძენის ხარჯზე ან მიმდინარეობს კლასიკური ინტეგრაციის ფორმით. საზღვარგარეთული გამოცდილება კლასტერების ინტეგრაციულ პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა გვეცადა ქართულ სინამდვილეში და გამოგვეყენებინა ძალისხმევითა კონსოლიდაციის სფეროში ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარების საქმეში.
3. ქართული რელიგიური და საპილიგრიმო ტურები ეფუძნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდიდარ ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოლოცვის მიზნით საქართველოში ქრისტიანთა ჩამოსვლის უმნიშვნელოვანეს მოტივად უნდა იქცეს ის განსაკუთრებული ფაქტი, რომ აქ განისვენებს მსოფლიო მნიშვნელობის სიწმინდე – იესო ქრისტეს უკერველი კვართი. მომლოცველთა მოსახიდად არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენა და სიწმინდე. საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც შიდა მომლოცველთა და რელიგიური მიზნებით მოგზაურთა რაოდენობის, ასევე ქვეყანაში რელიგიური ტურიზმით უცხოელ მოგზაურთა რაოდენობის ზრდა. ქვეყანაში რელიგიური ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს საქართველოს

საპატრიარქოს ეპარქიათა ეკლესია-მონასტრებში დღემდე შემონახული ხუროთმოძღვრული და ტრადიციული ხელოვნების ნიმუშების (მინანქრის, ოქრომჭედლობის, ქარგვის, თექისქსოვის, საეკლესიო და ქართული ეროვნული შესამოსელის) მონახულების შესაძლებლობა, რაც ტურისტთათვის მოგზაურთათვის ძირითად მოტივაციას წარმოადგენს. საქართველოს თითოეული ეკლესია-მონასტრის რელიგიური საგანძურის და წმინდანთა სახელობითი დღესასწაულები საუკეთესო ფაქტორია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენ ქვეყანაში მოგზაურ მომლოცველთათვის ქვეყნის რელიგიური მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და კულტურათა დაახლოების თვალსაზრისით.

4. საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის დარგი, ბოლო 20 წელია, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული. 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა დარგის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის კუთხით. მიუხედავად აშკარა პოზიტიური ცვლილებებისა დღემდე საქართველოს ტურისტული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული და ათვისებული. ძირითად პრობლემას რომელიც ხელს უშლის ტურისტული პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას არის დარგის საკანონმდებლობაზის არასრულყოფილება. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ტურიზმის კანონებში არსებული ხარვეზები და ჩამოაყალიბოს მათი აღმოფხვრის პრაქტიკული მიმართულებები. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: ტურიზმის სამართლებრივ-იურიდიული ველის სივიწროვესა და საკანონმდებლო ბაზის სიმწირესთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების აქტიუობათა განხილვა.
5. ნაშრომში მოცემულია ტურისტთა ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების შესაბამისი სტატუსური ქცევის ანალიზი, რაც ტურპროდუქტებზე მოთხოვნისა და მათი მოხმარების მოტივაციის მნიშვნელოვანი შემადგენელია. გაანალიზებულია გადმოცემული სტატისტიკური კვლევა რომელიც ჩატარდა აჭარის ზღვისპირეთის სამი განსხვავებული კლასის სასტუმროებში განთავსებულ 300 ტურისტზე. კვლევა დაეფუძნა ტურისტთა სამ(მაღალ, საშუალო და დაბალ საშემოსავლო) ჯგუფს. კვლევამ წარმოაჩინა ტურისტთა სტატუსური ქცევის გამოყოფისა და გამოვლენის აუცილებლობა ტურპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის აქტივიზაციისათვის.
6. თბილისის ისტორიულ-კულტურული ცენტრი - ეს არის ტერიტორიები, სადაც თავმოყრილია პრაქტიკულად ყველაფერი ის, რაც შეადგენს დედაქალაქის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. ნაშრომში წარმოდგენილია ქ. თბილისში არსებული და ახალი ტურისტული მარშრუტების მიმოხილვა
7. ტურიზმის განვითარების პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დარგის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. ტურიზმის განვითარების საკანონმდებლო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ახალი „საქართველოს კანონი ტურიზმის შესახებ“, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს დარგში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, მიმართულს საქართველოს ერთიანი ტურისტული ბაზრის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის და არეგულირებდეს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის მოქალაქეების, უცხო ქვეყნის

მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დასვენებისა და მოგზაურობის განხორციელების პროცესში, თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა უფლებების რეალიზაციისას; ადგენდეს ტურისტთა დაზღვევისა და უსაფრთხოდ მოგზაურობის პირობებს; ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და რეალიზაციის წესებს; განსაზღვრავდეს საქართველოს ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენების წესს; ახდენდეს ტურისტული საწარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას; ხელს უწყობდეს ტურისტულ საქმიანობას და ქმნიდეს ხელსაყრელ პირობებს მისი განვითარებისთვის; განსაზღვრავდეს და მხარს უჭერდეს ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებებს; აყალიბებდეს შეხედულებას საქართველოზე, როგორც ტურიზმისათვის მიმზიდველ ქვეყანაზე; ახორციელებდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ტურისტული საქმიანობის მონაწილეებისა და მათი გაერთიანებების მხარდაჭერასა და დაცვას.

8. ეკონომიკა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე. ინტერნეტ-ტექნოლოგიები აფართოებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, ისე საფრთხეებს, იწვევს სოციალურ ცვლილებებს, ზრდის საზოგადოებრივ გაურკვევლობას, წარმოაჩენს სახელმწიფოს კიბერ საფრთხეებსა და მოწყვლად ადგილებს. სამეცნიერო ნაშრომში ნაჩვენებია ინტეგრირებული კიბერგარემოს ფორმირების საფუძველი და მოსალოდნელი ტენდენციები. აღნიშნულია კიბერთავდასხმების ზრდისა და ინტერნეტ-ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირების კავშირი. ნაჩვენებია, კიბერთავდასხმების მზარდი საფრთხე, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას დიდ ზიანს აყენებს. კვლევების საფუძველზე დადგენილია საქართველოს კიბერგარემოს გამოწვევები. კვლევით ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არ ხდება ელექტრონული ბიზნეს სივრცის ათვისება და ვერ ყალიბდება მძლავრი ელექტრონული მმართველობითი სისტემა, სტატიაში გამოკვეთილია კიბერიერიშიტანილი სფეროები, სახელმწიფოს კიბერდაცვისათვის საჭირო ღონისძიებები და პრევენციის მექანიზმები. დასკვნის სახით ჩამოყალიბებულია ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო რეკომენდაციები და კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა.
9. დაზვერვის საწყისები მომდინარეობს უძველესი დროიდან. გვიან შუასაუკუნეებში ხმელთაშუა ზღვისპირეთის სავაჭრო ქალაქებში ჩაისახა ეკონომიკური დაზვერვა. მოგვიანებით განვითარდა სამრეწველო შპიონაჟიც. ბიზნეს-დაზვერვის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება დაიწყო გასული საუკუნის 80-ან წლებში. 90-იანი წლების დასაწყისისთვის კი უკვე ჩამოყალიბდა კონკურენტული დაზვერვის პროფესიონალური საერთაშორისო და ეროვნული საზოგადოებები. ამჟამად მოწინავე მეთოდებით შეიარაღებული ბიზნეს-დაზვერვა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკურენტთა შესწავლით. იგი იკვლევს მთელ ბიზნეს-გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს ბიზნეს-ობიექტი. კერძოდ, შეისწავლება პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარება ქვეყანაში. იმ პერსონალიათა საკადრო გადაადგილებები, ვისმა საქმიანობამაც შეიძლება მოახდინოს გავლენა კომპანიაზე. დღეს კონკურენტული ბიზნეს-დაზვერვის წარმატებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებიც ხშირად იყენებენ მათ მიერ აპრობირებულ მოწინავე მეთოდებს საკუთარ საქმიანობაში;

10. სტატიაში „ქართული სააღდგილმამულო ბანკის ფუნქციები და მიზანი“ არნიშნულია, რომ სააღდგილმამულო ბანკის დაარსება XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროგრესული მოვლენა იყო, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა ეკონომიკური ურთიერთობების წინსვლაში, საბაზრო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაში. ასევე განათლების სისტემის რეფორმირებაში. შეფასებულია ილია ჭავჭავაძის როლი ბანკის დაარსებასა და განვითარებაში, რომელიც ყოველთვის იცავდა ბიზნესის კანონებსა და კონკურენციის მოთხოვნებს. მოყვანილი მასალებიდან ჩანს თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობა. შეიძლება ითვქას, რომ მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომლის განვითარებაში საკუთარი წვლილი არ შეეცანოს.

თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ილიამ საუკეთესოდ ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია ქართული სააღდგილმამულო ბანკის მიზნებზე და ამოცანებზე. ამასთან განსაზღვრა ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო განათლებისათვის ზრუნვა იმ დროინდელ საქართველოში და თანაც არ უნდა დაკარგულიყო სააღდგილმამულო ბანკის კომერციული ფუნქცია. უფრო ზუსტად მთავარი უნდა ყოფილიყო მისი ბიზნეს-ფუნქცია, ანუ ბანკი უნდა გადაქცეულიყო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობად. მას უნდა ჰქონოდა მიზანი ხელი შეეწყო ბიზნესის განვითარებისათვის და იმავდროულად ყოფილიყო ეროვნული ფასეულობების დაცვის სადარაჯოზე.

11. თანამედროვე პირობებში წარმატებული კომპანიები აქტიურად მიმართავენ ბიზნეს-დაზვერვის მეთოდებს, რომელიც კონკურენტული ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. დაზვერვის საწყისები მომდინარეობს უძველესი დროიდან. ამჟამად, მოწინავე მეთოდებით შეიარაღებული ბიზნეს-დაზვერვა კონკურენტების შესწავლასთან ერთად იკვლევს მთელ ბიზნეს-გარემოს, ასევე პოლიტიკურ და სამართლებრივ ვითარებას ქვეყანაში.

12. კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტი არის საწარმოს გრძელვადიანი აქტივების მართვის გეგმა. კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება კი არის პროცესი გრძელვადიანი ალტერნატიული ინვესტიციების ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღებისა თუ რომელი აქტივები შევიძინოთ ან გავყიდოთ. ამ გადაწყვეტილებების შედეგად შესაძლოა მოხდეს ახალი პროდუქციის შექმნა, ახალი დანადგარის ან შენობის ყიდვა, ანდა მთლიანად ახალი კომპანიის შექმნა. მთავარი ამოცანა ამ გადაწყვეტილებებისა არის ის რომ ინვესტირებიდან მივიღოდ სასურველი ოდენობის უკუგება.

განსაზღვრულობის პირობებში საინვესტიციო პროექტიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების ყველაზე უკეთეს მეთოდ წარმოადგენს - წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი (NPV). თუმცა რეალობაში არსებობენ რისკები, რომლებიც თან ახლავს მომავალში ამ ფულადი ნაკადების მიღებას. ამ ნაშრომში განხილულია ის მეთოდები, რომლის მეშვეობითაც შესაზღვრებელია საინვესტიციო პროექტის შეფასება რისკის და განუსაზღვრელობის პირობებში.

ნაშრომში ნაჩვენებების თუ როგორ მცირდება პროექტის ანალიზში საინვესტიციო გარემოს განსაზღვრულობა მასში რისკების ჩართვით. მოკლედ არის განხილული რისკები და განუსაზღვრელობა და ორი მეთოდი: პირველი რისკებით კორექტირებული დისკონტირების განაკვეთის (RADR) მეთოდი, რომელიც იყენებს კაპიტ.და რეალური ექვივალენტიალის ღირებულებას (ხარჯებს). კიდევ ერთი გზა, რათა დადგინდეს RADR არის კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM). იგი ახდენს შეფასებას რისკის პრემიის გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: რისკი, განუსაზღვრელობა, მოსალოდნელი ღირებულება, რისკის პრემია RADR; CAPM

13. სტატიაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის წარმატებული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სწორად იქნას განსაზღვრული ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება იმ მენეჯერებს, რომლებიც ადგენენ და ანხორციელებენ კომპანიის სტრატეგიულ მენეჯმენტს და მართვას. ასევე გასათვალისწინებელია ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. ამ რესურსების სათანადო გამოყენება იძლევა ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირების შესაძლებლობას.
14. დაახლოებით ოთხი წელია, რაც მთელ მსოფლიოში ღვინის ტურიზმის ბუმი დაიწყო. ღვინის მწარმოებელ ნებისმიერ ქვეყანაში ცდილობენ, რომ საკუთარ ღვინის ქარხნებსა თუ პატარა მარნებში მოაწიონ ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც ტურისტებს ღვინის გარდა სხვა მნიშვნელოვან მომსახურებასაც შესთავაზებენ (გართობა, ღვინოსთან დაკავშირებულ პროცესებში ჩაბმა, რთველში მონაწილეობა, ღვინის დაწურვა, კერძების დეგუსტაცია და სხვ.). ამ კუთხით საქართველოს უპირატესობა უცხოელი ღვინის ექსპერტების აზრით ისაა, რომ საქართველოში შემორჩენილია ტრადიციული მეღვინეობა, არსებობს ქვევრის კულტურა და ის, რომ ღვინის კულტურა საქართველოში მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასთანაა შერწყმული.

განსხვავებულობა, რომელიც ქართულ ღვინოსა და მეღვინეობას გააჩნია, აშკარაა და უცხოელები ამას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ. განსახვავებული ნიშის პოვნა კი კონკურენტულ უპირატესობასაც ნიშნავს. მთავარია, ხელისუფლებამ ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვას და დაინტერესებულ დამწვებ ფერმერსა თუ გლეხს შესთავაზოს ხელშეწყობის ისეთი პროგრამა, რაც არაერთია აგრარულ სექტორში. ჩვენ მსოფლიო კონკურენციაში გარკვეული უპირატესობები უკვე გაგვაჩნია, რადგან აღარ არის საკამათო, რომ ღვინის ტრადიციული კულტურა საქართველოდან დააიწყო და ქვევრის მისტიკაც თავის როლს თამაშობს. საქართველოში უკვე არსებობენ ინფრასტრუქტურულად განვითარებული კომპანიები, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რისი შესაძლებლობა და პოტენციალიც არსებობს.

15. როგორც ცნობილია, განაწილება არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის კვლავწარმოების პროცესის აუცილებელი ფაზა, წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული დამაკავშირებელი რგოლი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური არსი საზოგადოებაში გაბატონებული წარმოების წესითაა განპირობებული. ყველა

ცივილიზებულ საზოგადოებაში იგი სამართლებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირების მექანიზმია.

განაწილება მთელ სამყაროში ქაოსურია და არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, მაგრამ საფუძვლიანი განხილვისას დასტურდება, რომ ეს ასე არ არის. ბუნებაშიც შეიძლება ზედაპირული მოვლენების მიღმა განაწილების კანონზომიერება ვიპოვოთ. მთლიანობაში ყოველივე ისეა განაწილებული, რომ საბოლოო ჯამში რაღაც კანონზომიერებასა და წესრიგს ექვემდებარება. ადამიანის ბუნება და განვითარების პროცესი წარმოქმნის დოვლათის განაწილების ობიექტურობის ტენდენციას, რომელიც მთელი საზოგადოების სრულყოფის თანდათანობითი, ხანგრძლივი და მუდმივი პროცესია, რომელიც სათანადო პირობების მომწიფებას ემყარება.

გლობალური თვალთახედვით, განაწილების ფაქტორები უნდა განვიხილოთ საერთო-საკაცობრიო ფასეულობებთან - სამართლიანობასთან, ჭეშმარიტებასთან და ზნეობრიობასთან მიმართებით. ამ დროს თვალნათლივ გამოჩნდება, თუ რამდენად ობიექტური და ჰუმანურია განაწილების ფაქტორივი სისტემა ან რამდენად გადახრილია მათგან და უპირისპირდება მათ.

თუ განვიხილავთ რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს და ვნახავთ, თუ რამდენად ნორმალური და კანონზომიერია განაწილების ესა თუ ის ფაქტორი, ნათელი გახდება ამ პერიოდში მოქმედი ფაქტორების მიმართება საერთო-საკაცობრიო ფასეულობებთან. ამგვარად, დადგინდება განაწილების არსი და პროგრესულობის დონე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში.

16. ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნება ადამიანსა და ბუნებას შორის არის ის მთავრი ამოცანა, რომელიც თამნამედროვე თაობის წინაშე დგას, ბიოსფეროს შეუძლია არსებობა ადამიანის გარეშე, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია არსებობა ბიოსფეროს გარეშე. ეკოტურიზმი ბუნების მოყვარულთა ტურიზმია, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურად დაუზიანებელ ადგილებში მოგზაურობას დასვენებისა და შემეცნებითი მიზნით.
17. გარემოს ხარისხის მართვითი მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ადმინისტრაციული, ეკოლოგიური და საბაზრო მეთოდები. გარემოს ხარისხის რეგულირების თითოეულ მეთოდს აქვს თავისი ეფექტიანად გამოყენების სფერო- მას შეუძლია ზოგიერთი პრობლემა ეფექტიანად გადაჭრას, მაგრამ რიგ შემთხვევაში მისი გამოყენება არამიზანშეწონილია, ამიტომ აუცილებელია გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ხარისხის რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების რაციონალური შეხამება.
18.
19. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას; ფინანსური კონტროლი მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის. ფინანსური კონტროლის მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით

უზუსტობას და დასკვნის გამოტანა, მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნების და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

21. კორპორატიული კულტურის ფორმირება საერთაშორისო კომპანიებში

საერთო ფასეულობები ორგანიზაციული კულტურის საფუძვლად გვევლინება და განსაზღვრავს, თუ რა არის მთავარი მისი სუბიექტების აზრით. კოლექტივის ნებისმიერ წევრს შეუძლია ჩამოთვალოს და განმარტოს საერთო ფასეულობები, რადგან ის საყოველთაოდ არის აღიარებული და მიღებული. საერთო ფასეულობებს განეკუთვნება: საკვანძო აქტივები ან ჩვევები; პრაქტიკულ ქმედებებზე კონცენტრაცია; საქმიანობის შედეგები; ფუნქციური მიმართულებისადმი ყურადღება; მენეჯმენტის სტილი; საერთო მიზანი.

ორგანიზაციული კულტურა სხვებისგან რომ განსხვავდებოდეს, მან უნდა გამოიმუშაოს მისთვის დამახასიათებელი ქცევის ნორმები, რომლებიც გავლენას მოახდენს ორგანიზაციის ყველა წევრის გადაწყვეტილებაზე. განვითარებული და კარგად ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები ეფექტურ გავლენას ახდენს კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე. ქცევის ნორმებს გააჩნია ორი მახასიათებელი: ინტენსიურობა ანუ მოსალოდნელ შედეგთან თანხმობის ან უთანხმოების დონე და კონსენსუსი ანუ ქცევის ნორმის კოლექტივის მიერ აღიარება. ქცევის ნორმები ახდენს საერთო ფასეულობების შესაბამისი ქმედებების სტიმულირებას.

დამფუძნებელი და ორიგინალური მისია მიუთითებს კომპანიის წარმოშობის ორიგინალურ სათავეებზე. ეს შეიძლება იყოს როგორც ძლიერი პიროვნება _ კომპანიის დამფუძნებელი, ასევე მისი მართვის სტილი და დაფუძნებისას ჩამოყალიბებული მისია;

მიბაძვის თანამედროვე პერსონაჟი. ფასეულობების და ნორმების გადაცემას, პერსონალიზაციას და განმტკიცებას ხელს უწყობენ თანამედროვე გმირები და პერსონაჟები, რომლებიც შეიძლება მიბაძვის ობიექტებად იქცნენ;

ხელმძღვანელობის მიერ კულტურის ძირითადი პრინციპების ფორმულირების შემდეგ იწყება მათი განმტკიცება. ამისთვის უმთავრესია იმ თანამშრომლების აყვანა სამუშაოზე, რომელთა პიროვნული თვისებები, მრწამსი, უნარები შეესაბამება ორგანიზაციაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. შემდეგ ეტაპზე ახალბედებს გააცნობენ კომპანიაში დამკვიდრებულ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ წესებს. პირველ შემთხვევაში ამას აკეთებენ ხელმძღვანელები და გამოცდილი თანამშრომლები, ხოლო მეორე ამოცანას თავს წარმატებით ართმევენ კოლეგებიც. ახალწვეულებს აგრეთვე გააცნობენ კომპანიის ისტორიას, მათ შორის ლეგენდების მეშვეობითაც და განაწყობენ არსებული კულტურის მოთხოვნების დასაცავად, რისთვისაც ხდება იმ თანამშრომელთა წახალისება, ვინც სანიმუშოდ იცავს მას, ხოლო ვინც სისტემატურად არღვევს, ისჯებიან.

ახალი თანამშრომლების მიღებისას მენეჯერებმა ორიენტაცია უნდა აიღონ არა მარტო მაღალ პროფესიულ უნარებზე და საუკეთესო სამსახურებრივ გამოცდილებაზე, არამედ კანდიდატის პიროვნულ თვისებებზეც. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მაღალია იმ კანდიდატების სამუშაოზე აყვანის შანსები, რომელთა ფასეულობათა სისტემა, სამუშაოსადმი დამოკიდებულება და პიროვნული თვისებები შეესაბამება ორგანიზაციულ

კულტურას. მეორე მხრიდან რომ შევხედოთ ვითარებას, კანდიდატებიც ცდილობენ, იმ კომპანიებში მოეწყონ სამუშაოდ, სადაც, მათი აზრით, უფრო სიამოვნებით და ნაყოფიერად იშრომებენ. ის თანამშრომლები, რომლებიც ვერ შეეწყობიან კომპანიას, როგორც წესი, სწრაფად თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევებში, ანუ როდესაც მუშაკთათვის მისაღებია ორგანიზაციაში დამკვიდრებული ატმოსფერო, ისინი ხანგრძლივი ვადით რჩებიან სამუშაოზე. რაც უფრო დიდხანს მუშაობს ადამიანი კომპანიაში, მით უფრო ძლიერია მასზე ორგანიზაციული კულტურის ზემოქმედება და მით უფრო მყარად და სრულად ითვისებს მას.

გლობალიზაციის პირობებში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციული კულტურა, როგორც წესი, რამდენიმე სუბკულტურისგან შედგება. ფასეულობები, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები ხშირად ფრიად განსხვავდება განყოფილებების, გეოგრაფიული რეგიონების და ფუნქციონალური ერთეულების მიხედვით. განყოფილებათა სუბკულტურები შესაძლოა არ იყოს ერთმანეთის შესაბამისი, უფრო მეტიც, კონფლიქტურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან, თუკი მათთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილი, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები. გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიები მეტნაკლებად მულტიკულტურული არიან, რაც მათში დასაქმებულებს შორის არსებული ფსიქოლოგიური, ტრადიციული და ენობრივი განსხვავებებით აიხსნება. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიების სუბკულტურებს შორის თანამშრომლობა არ არის გამორიცხული.

ყოველი ორგანიზაციის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე. თუ კულტურის ელემენტები შეესაბამება სტრატეგიას და მის მიზნებს, მაშინ ორგანიზაციული კულტურა დადებით გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი აფერხებს მას. მყარი და სტრატეგიასთან შეხამებული ორგანიზაციული კულტურა ძლიერი იარაღია სტრატეგიის წარმატებული რეალიზების საქმეში. მაგალითად, მომჭირნეობის და ეკონომიის კულტურა, რომელიც მხარდაჭერილია კომპანიის ყველა თანამშრომლის მიერ, ხელს უწყობს დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის განხორციელებას. ის კულტურა კი, რომლის მთავარი ელემენტებია შემოქმედებითობა, ნოვატორობა, მობილობა, ახალი საქონლის შემუშავებას და შესაბამისად, ინოვაციური სტრატეგიის რეალიზებას განაპირობებს.

22. მოსხვებებში განხილულ იქნა სახელმწიფოს როლი სამრეწველო საწარმოს რესტრუქტურისაციის პროცესში (საქართველოს მრეწველობის მაგალითზე)- საქართველოს სამრეწველო წარმოების რესტრუქტურისაციის საკითხები წარმოდგენილ იქნა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების სფეროში წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად. ამასთან აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი, საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია მისი რესტრუქტურისაცია, რომელიც მთლიანობაში ნიშნავს: მართვის სრუქტურისა და ფუნქციების სრულყოფას, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკურ ასპექტებში ჩამორჩენის დაძლევას, ფინანსურ-ეკონომიკური

პოლიტიკის სრულყოფასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფას. კონკრეტული თვალსაზრისით, რესტრუქტურისაცია საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ფირმის მიზნებისა და სტრატეგიის ძირეულ ცვლილებებს, ასევე მათი რეალიზაციის ხერხებისა და ბიზნეს – პროცესების განახლებას ე. წ. ორგანიზაციული სტრუქტურის რეიჟინერინგს.

24. კლასტერიზაცია, როგორც ქართული ბიზნესის განვითარების სტრატეგია (უაღკოპოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების მაგალითზე)

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში. ამ შეჯობებაში იმარჯვებენ ის ქვეყნები, რომლებიც მეწარმეებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო პირობებს სთავაზობენ.

გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებელი ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკის კლასტერული განვითარების სტრატეგიაა. სათანადო კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში იდეალური პირობებია უაღკოპოლო მინერალური სასმელების, ნატურალური სასმელი წყლის მოპოვება-წარმოებისა და რეკრეაციული ტურიზმის კლასტერიზაციისათვის.

საქართველოში წარმატებით განვითარდება წყლის (მინერალური და სასმელი), ტურისტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ-საკურორტო კლასტერები. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანი განვითარებისათვის, ოპტიმალურია კლასტერული მიდგომა, ხოლო კლასტერების ჩამოყალიბების მოტივების სპექტრი- შეუზღუდავი.

25. კიდევ ერთხელ შრომითი საქმიანობის მოტივირებისა და სტიმულირების საკითხებისათვის .

მსოფლიო დღეს უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ეს ხდებოდა ოდესმე. მნიშვნელოვნად ვითარდება ცხოვრების ყველა სფერო, სწრაფად იცვლება ადამიანი და მისი საჭიროებები, ცოდნა, უნარები, მიდგომები, რწმენა და ფასეულობები. ამ ცვლილებების ერთობლიობა ცვლის ადამიანის კარიერულ შესაძლებლობებს: წარმოიქმნება ახალი პროფესიები, იცვლება სამუშაოს ხასიათი და შესაბამისად იზრდება მოთხოვნა მოტივირებულ პროფესიონალ თანამშრომლებზე.

გლობალური შრომის ბაზარი თანდათანობით იზრდება და ივსება მილიონობით განათლებული, მოტივირებული და ამბიციური ადამიანებით. იდეოლოგიური დაპირისპირების აღმოფხვრის თუ შესუსტების შემდეგ, დასაქმების მსურველთა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აქტივობა გასცდა ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და გლობალიზაციის ნისნები შეიძინა:

ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა დასაქმების ფორმები, შესაძლებლობები და შინაარსი.

მგვარად, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა, სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ადამიანური რესურსის გაძლიერებულმა

ინდივიდუალიზმმა, პოლიტიკურმა და დემოგრაფიულმა ცვლილებებმა გავლენა იქონიეს შრომის ბაზრის ისეთ მდგენელებზე, როგორცაა სამუშაოსა და დასაქმების ხასიათი, ორგანიზაციული მენეჯმენტი, რაც თავის მხრივ გულისხმობს მშრომელთა მოტივირებისა და სტიმულირების ინსტრუმენტების ახლებურ გააზრებასა და სისტემატიზაციას.

26. მისტიკა, როგორც კულტურული ტურიზმის პროდუქტი (საქართველოს არქეოლოგიის მაგალითზე)

საქართველოს ტურიზმის განვითარებაში მითებისა და ლეგენდების, როგორც არამატერიალური ტურისტული რესურსის გამოყენებას დიდი პერსპექტივა აქვს. მსოფლიო გამოცდილება და ფსიქოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მითებისა და ლეგენდების, როგორც ტურისტული რესურსის, გამოყენება ზრდის როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა ტურისტების დაინტერესებასა და მოტივაციას ესტუმრონ ამათუიმ დესტინაციას. ცნობილია, რომ საქართველო ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ რესურსებთან ერთად, განსაკუთრებით მდიდარია მითების, ლეგენდებისა და მისტიკური მრავალფეროვნებით, რომლის ათვისებაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ქვეყანა ტურისტებისათვის უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს.

საქართველო გამოირჩევა მითებისა და ლეგენდების მრავალფეროვნებით. ალბათ ხშირად გინახავთ, ადგილობრივ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი ასაკოვან ადამიანებთან, თავშეყრილი ტურისტები, რომლებიც ენის ბარიერის მიუხედავად ცდილობენ შეიტყონ უცნაური, საინტერესო ამბავი, სამოგზაურო ადგილთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კიდევ ერთი მაგალითია იმის, რომ ტურისტებს სჭირდებათ მოკლე, დასამახსოვრებელი, საინტერესო, თუნდაც ცოტა უცნაური ისტორიებიც კი. ხშირ შემთხვევაში, ეს ყველაფერი მათ ეხმარება ემოციური კავშირის დანახვასა და დამყარებაში სამოგზაურო ადგილთან.

საქართველოს არქეოლოგია კულტურული ტურიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. საინტერესოა და მისტიკასთან არის დაკავშირებული გრაკლიანისა და ვანის არქეოლოგიური გათხრები.

გრაკლიანის განვითარება საქართველოს მთავრობის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მთავარი პრიორიტეტია. მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ძეგლზე. ეს არის შეუქცევადი პროცესი, იმ მიზნით, რომ ადგილზე მოეწყოს ღია გზისპირა სამუზეუმო სივრცე და უძველესი კულტურის წარმოსახენი თანამედროვე და მოწესრიგებული გარემო.

ამ დროისთვის, მიმდინარეობს მუშაობა, რომ მაქსიმალურად მაღალპროფესიულ დონეზე მოხდეს ახლადგამოვლენილი წარწერის გაშიფვრა, რომ ქართველ მეცნიერთა მიღწევა საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე დადასტურდეს და გამყარდეს.

ეროვნული მნიშვნელობის გრაკლიანის გორა ცხადად გამოხატავს სახელმწიფო პოლიტიკას ძეგლთა დაცვის სფეროში. გზის მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლი, როგორც სპეცილისტები ვარაუდობენ, კიდევ არაერთ საინტერესო აღმოჩენას გვპირდება, რომლის კვლევისა

და განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან 2014-2015 წლებში გამოყოფილი ბიუჯეტი ჯამში 430 000 ლარს შეადგენდა. 2014 წელს 10 000 ლარი პროექტებისთვის და 50 ათასი არქეოლოგიური კვლევისთვის გამოიყო; 2015 წელს კი ბიუჯეტი გაიზარდა - 100 000 ლარი არქეოლოგიურ კვლევაზე, ხოლო 270 000 ლარი ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სამუზეუმო სივრცის მშენებლობაზე დაიხარჯა.

2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 400 000 ლარი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის 2016 წლის პროგრამის ფარგლებში, გაწერილი გეგმის მიხედვით, გრაკლიანის ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევის გაგრძელებასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდა.

ანტიკურ ხანაში ვანის ტერიტორიაზე მდებარეობდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელმაც აყვავებას მიაღწია ძვ.წ. III-I სს-ში. 1947 წლიდან მიმდინარეობდა სისტემატური გათხრები.

ვანში აღმოჩენილი მდიდრული სამარხების ინვენტარის საფუძველზე 1987 წელს მუზეუმში გაიხსნა ოქროს ფონდი, რომელშიც ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები ვანის ნაქალაქარიდან. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია ასახავს ვანის ტერიტორიაზე არსებული კულტურის განვითარების პერიოდს ძვ.წ. VIII ს-დან I ს-ის ჩათვლით (ბრინჯაოს ქანდაკებები, მათი ცალკეული ფრაგმენტები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი, ნუმიზმატიკის ნიმუშები და სხვ.).

ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში დიდწილად განაპირობებს შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობებს: - განვითარების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეული, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ თავიანთ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, არქეოლოგიაზე, ნაკრძალებსა და ბუნებრივ პირობებზე.

ორიენტირება ტურიზმის განვითარებაზე მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებას, ადგილობრივი ფოლკლორის, ტრადიციების, ხელოვნებისა და სამხარეულოს დაცვასა და შენარჩუნებას.

27. სამკურნალო ტურიზმი, როგორც პროდუქტი ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ, მოსახლეობის

დემოგრაფიულმა დაბერებამ და საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების სფეროს ლიბერალიზაციამ თუ გლობალიზაციამ, განსაკუთრებით ბოლო ორ ათწლეულში, კატალიზატორის როლი შეასრულა სამკურნალო ტურიზმის განვითარების სფეროში. სამკურნალო ტურიზმზე მოთხოვნის გაზრდა, პროპორციულად ზრდის ქვეყანა-ორგანიზატორის ეკონომიკურ მახასიათებლებს: ინვესტიციების მოზიდვის ინტენსივობას, შემოსავლებს, დასაქმებას და ექსპორტს.

„დღეს ადამიანების უმრავლესობას ფულზე მეტად, ჯანმრთელობის მოთხოვნა აქვს“ - წერს პოლ ზეინ პილზნერი, ეკონომისტი და ანალიტიკოსი, აშშ პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი. ამიტომაც სამედიცინო მომსახურება დღითიდღე აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში.

გლობალური ველნეს ინსტიტუტისა (The Global Wellness Institute™ (GWI) და ამერიკული კვლევითი ორგანიზაცია SRI International-ს მონაცემებით მსოფლიო სპა ინდუსტრია ექვსი წლის მანძილზე 60 მილიარდი აშშ. დოლარიდან (2007 წ.), გაიზარდა 94 მილიარდამდე (2013 წ.). SRI International -ის შეფასებით ამავე პერიოდში სპა ცენტრების რაოდენობამ 27%-ით მოიმატა და 2007 წელს არსებული 71762-დან 2013 წელს 105591-ს მიაღწია.

საქართველოში აღრიცხულია თერმული და მინერალური წყლების 2400 წყარო დებიტით 120-დან 130.000 მ (საიდანაც, 60 წყარო გაზიანია, რასაც ხაზი უნდა გაესვას). თუმცა ამ წყლების ამოტუმბვის ხერხების სისწორე ნამდვილად გადასახედა. მაგალითად, გადამოწმდა ბორჯომის წყაროების ექსპლუატაცია, რომ მეთოდი მიახლოებოდა საერთაშორისო კრიტერიუმებს.

საბჭოთა რეჟიმის უკანასკნელი წლების განმავლობაში, 4-5 მილიონი ვიზიტორიდან 1 მილიონი სამკურნალოდ ან უბრალოდ დასასვენებლად ჩამოდიოდა საქართველოში. შედარებისათვის, საფრანგეთის ყველა ბალნეოლოგიური კურორტი იმ ეპოქაში და ახლაც ოდნავ ნაკლებ ვიზიტორს სტუმრობს. დღეისათვის, სამკურნალოდ ჩამოსულთა რაოდენობა საქართველოს სამ უმთავრეს კურორტზე ათიათასს არ აღემატება.

სამედიცინო და სამეცნიერო ასპექტების მხრივ საქართველოში მკურნალობის 14 მიმართულებაა (საფრანგეთში 13). ფიზიოთერაპიული და ბალნეოლოგიური კვლევების სამეცნიერო ინსტიტუტე ჩამოყალიბდა 1927 წელს. ათი წლის განმავლობაში ეს კვლევები შეჩერებული იყო, განახლდა 2000 წლიდან.

მინერალური წყაროების მაღალი ბალნეო-თერაპიული თვისებების შერწყმა ბუნების განსაკუთრებულ სილამაზესთან და მრავალფეროვნებასთან, ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა საქართველოში განვითარდეს ბალნეოლოგიური კურორტები, როგორცაა ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, ნუნისი და სხვა.

საქართველოში ისხმებოდა რამოდენიმე ასეული მილიონი ბოთლი ”ბორჯომი” და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და მსოფლიოს რამოდენიმე ათეულ სახელმწიფოში იგზავნებოდა. ცალკეული გაანგარიშებით, მინერალური წყლის ”ბორჯომის” დებიტის ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩამოესხას 1 500 მილიონი ბოთლი. ეს უზრუნველყოფდა 18-19 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას და 100-120 მილიონი დოლარის შემოსვლას ქვეყნის ბიუჯეტში.

საფრანგეთის ტურზმის დეპარტამენტის კონსულტანტმა თერმალიზმის საკითხებში

ბატონმა მარკ პეპიმ გამოაქვეყნა ანგარიში „ბალნეოლოგია და რეკრეაციული ტურიზმი საქართველოში“. ამ დოკუმენტში ის აღნიშნავს, რომ „პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს თბილისზე, რადგან მას დედაქალაქის სტატუსი აქვს. ...იშვიათია დედაქალაქი, რომელსაც აქვს სამკურნალო წყლები. ერთი ასეთი ბუდაპეშტია, რომელიც მნიშვნელოვანი კურორტია. შემდეგ ნაკლებად ცნობილი პროვანსი და ნანსია“. სახელწოდება - თბილისი, სწორედ, მინერალურ წყლებთანაა დაკავშირებული. ეს ფაქტი დამატებითი ინსტრუმენტი, ამ ქალაქის, როგორც სპაცენტრის პოზიციონირებისა და ბრენდინგისათვის.

მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება უცხოეთში წასული პაციენტების ნაკადი და ამას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი. საქართველოს შემთხვევაში ძირითადი მიზეზი არის უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ან ისეთი მომსახურების მიღების სურვილი, რომელიც საქართველოში არ ტარდება, ან არასაკმარისად არის განვითარებული. მართალია, დღეს საქართველო არ მოიაზრება სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრით მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს შორის, მაგრამ მას აქვს კარგი შანსი, სწრაფად განავითაროს სამედიცინო ტურიზმი მცირე რეგიონული მასშტაბით.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება ინდოეთის, კარიბის ზღვის ქვეყნების, ისრაელისა და

განსაკუთრებით, თურქეთის გამოცდილების გაზიარება. ამ შემთხვევაში, სამედიცინო ტურიზმი შეიძლება იქცეს ჩვენი ჯანდაცვის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებად.

ბალნეოლოგიურ კურორტებს, როგორცაა ვიში, კარლოვი-ვარი და ბადენ-ბადენი დიდი მოგება მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ამ თვალსაზრისით მომავალში საქართველოც არ იქნება გამონაკლისი. ბალნეო კურორტების განვითარება ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანია, რადგან სამედიცინო რესურსები (წყაროები) მართლაც უნიკალური გაგვაჩნია, მთავარია ინვესტიციების მოზიდვა, რეკლამა, კარგად შეფუთული პროდუქტი და მკურნალობის პარალელურად მიმზიდველი გარემოს შექმნა.

სპა ინდუსტრიის ძლიერ მხარედ, ასევე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, საქართველოს, როგორც წარმატებული საკურორტო ქვეყანის იმიჯი, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მოსახლეობაში. ამიტომ რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში შედარებით ადვილია საქართველოს, როგორც „სპა და ველნეს მიმართულების“ პოზიციონირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბევრი პრობლემისა საქართველოს სამკურნალო ტურიზმი განვითარების გზას ადგას. ამას ადასტურებს უკანასკნელ 3-5 წელიწადში ამ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და მათით შექმნილი ახალი, ან მოდერნიზებული ძველი ცენტრები. მაგალითად გამოდგება ლოპოტას ტბა, ყვარლის ედემი, კოჯრის სამედიცინო კურორტი „ბიოლი“, სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი „სამრაან“ და თუნდაც, რეკონსტრუირებული წყალტუბო სპა რეზორტი და კურორტი საირმე.

28. პიარი (Public Relations, PR) მცირე ინოვაციური საწარმოსათვის წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემას, რომელიც გულისხმობს მრავალჯერად საქმიანობას ინოვაციურ მცირე ორგანიზაციას (ფირმას) და საზოგადოებას შორის.

იმიჯი – ეს არის ინოვაციური მცირე ორგანიზაციის, მისი საქონლის ერთობლივი ემოციურ-ფუნქციური მახასიათებლები, რომლებიც მას მიზნობრივ სეგმენტში გამოარჩევენ. იმიჯისერთ-ერთისახეა: კორპორაციული იმიჯი.

კორპორაციული იმიჯის მართვის ნებისმიერი მოდელის განუყოფელი ელემენტია მისი მკაფიოდ დასაბუთებული სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია იერარქიული წყობა.

კორპორაციული სტილი განმარტებულია – როგორც მუდმივი ელემენტების (სიტყვათა, გრაფიკული, ფერთა და სხვა) ნაკრები, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს ინოვაციური ფირმის საქონლის ვიზუალურ და ვერბალურ ერთიანობას, მისგან გამომავალ ყველა ინფორმაციას, მის გარე და შიდა დიზაინს. აღნიშნულია, რომ კორპორაციული სტილის ამოცანაა ფირმის

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, მისი ინდივიდუალობის, განმასხვავებელი თვისებრივი მახასიათებლების ხაზგასმა.

კორპორაციული ძლიერი იმიჯი აუცილებელი პირობა ხდება ინოვაციური მცირე ფირმისათვის მდგრადი და ხანგრძლივი წარმატების, განსაზღვრული საბაზრო ძალის მისაღწევად, იგი იცავს ორგანიზაციას კონკურენტების თავდასხმისაგან, აიოლებს რესურსების, მ.შ. ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანური რესურსების მისაწვდომობას.

32. ნაშრომში განხილულია საქონლის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფი მნიშვნელოვანი ფაქტორები, მოცემულია მათი გამოყენების კონკრეტული სქემა და ღონისძიებათა კომპლექსი, წარმოდგენილია კონკურენტუნარიანობის გაანგარიშების მათემატიკური აპარატი, საქონლის ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური ინდექსის გამოყენებით.

ბ) უცხოეთში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M. Metreveli, I GogoriSvili	"Defining company mission and social responsibility in business"	The 4th Business Systems Laboratory

		engineering"	International Symposium: “Governing Business Systems: Theories and Challenges for Systems Thinking in Practice”, Vilnius, Lithuania, August 24-26, 2016
2	M. Metreveli, I GogoriSvili	„Tourist production and regional development“	The 9th International Conference for Entrepreneurship, Innovation and Regional Development, RESPONSIBLE ENTREPRENEURSHIP VISION, DEVELOPMENT AND ETHICS, Bucharest, Romania, June 23-24, 2016
3	M. Metreveli, I GogoriSvili	“Major Trends of the Tourism development State Policy of Georgia”, 24th Scientific Conference on Economic Policy Economic Policy in the EU Member States – 2016 (Jäneda, Estonia)	Jäneda, Estonia, 30 June -2 July, 2016
4	Ketevan Kokrashvili, Anzor Abralava, Rusudan Kutateladze, Nino Pailodze, Ketevan Kutateladze	Global Processes and Georgian Economic Policy	International Science Index Vol: 18. Dubai UAE Jan 28-29, 2016, 18 (1) Part XXV
5	Evgeni Baratashvili, Anzor Abralava, Rusudan Kutateladze, Nino Pailodze, Irma Makharashvili	The Features of the Synergistic Approach in Marketing Management to Regional Level	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23- 25, 2016.
6	Nino Pailodze, Malkhaz Sulashvili, Tea Khutsishvili, Irma	The Decision-Making Mechanisms of Tax Regulations	18th International Conference on Economics, Management of

	Makharashvili, Aleksandre Kekenadze, Tsiuri Phkhakadze		Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23- 25, 2016.
7	Kutateladze R., Tchanturia N., Kipiani M., Beridze T., Gomarteli N.	Gender aspects of migration of a human resource of Georgia	Economic Commission for Europe Conference of European Statisticians Works Session on Demographic Projections Geneva, Switzerland, 2016, 18 - 20 April
8	Nozadze M., Beridze T., Tchanturia N., Goderdzishvili B.	WAYS TO IMPROVE FISCAL POLICY IN GEORGIA	20 th International Scientific Conference, Economics and Management 2016 (ICEM-2016). 2016,19-20 May Brno University of Technology, Brno, Czech Republic.
9	Maka Piranashvili, Lamara Kadagidze, Nodar Grdzlishvili	Mount Khvamli - a Cultural-Mystical Product for the Development of Sustainable Tourism in Georgia	9th International Conference for Cultural Tourism in Europe INTANGIBLE HERITAGE: INCOMPARABLE ASSET FOR SUSTAINABLE AND RESPONSIBLE TOURISM DEVELOPMENT, 23 - 24 September 2016, Guimaraes, Portugal
10	Anzor abralava ,Ketevan Kokrashvili, Anzor Abralava, Rusudan Kutateladze, Nino Pailodze, Ketevan Kutateladze	Global Processes and Georgian Economic Policy	International Science Index Vol: 18. Dubai UAE Jan 28-29, 2016, 18 (1) Part XXV
11	AanzorAbralava ,Evgeni Baratashvili, Rusudan Kutateladze, Nino Pailodze, Irma Makharashvili	The Features of the Synergistic Approach in Marketing Management to Regional Level	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology.

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. ნაშრომი ეფუძნება გრაფიკის ადაპტაციის სალინსტიტიტუციურ თეორიებს. მასში განხილულია განვითარებად ქვეყნებში კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ტენდენციებს, ინტელექტუალური პროდუქტისა და მომსახურების შესაძლებლობების განხილვის საშუალებით
2. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე დომინირებს ტურისტული მომსახურების ექსპორტი – შემომყვანი ტურიზმი. შიდა ტურიზმი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საფუძველს და რომლის მოცულობაც რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო ტურიზმისას, ვითარდება არათანმიმდევრულად, არაგეგმაზომიერად და არამდგრადი ხასიათით გამოირჩევა. ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონების ტურისტული რესურსებისა და საშუალებების აღწერა-დახასიათება და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის წარმოჩენა. კვლევის მეთოდებად გამოყენებულია საქართველოს რეგიონებში ტურისტული საწარმოებისა და ზოგადად, ტურიზმის განვითარების შედეგების შეფასებისადმი სისტემური მიდგომა, ინდუქციის, დედუქციისა და სტატისტიკის მეთოდები. ნაშრომში მოცემულია საქართველოს რეგიონების ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც წარმოადგენს ტურისტული მარშრუტების ძირითად დესტინაციებს. ასევე, განხილულია საქართველოს რეგიონებში ტურისტული პროდუქტის საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული რესურსებისა და შესაძლებლობების სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის როლის ამაღლების აუცილებლობის მნიშვნელობა ადგილობრივი თემებისა და დასახლებების მოსახლეობის პროცესებში ჩართულობის დამკვიდრებისათვის.
3. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის სტრატეგიული მოდელი და მისი სრულყოფის მიმართულებები. კვლევის მიზანია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის შემადგენელთა განხილვა - მათ შორის, ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიზანი, რომელიც მდგრადი განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს და ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტარიაში, რომლის დეფიციტი სერიოზულად აფერხებს ზრდისა და განვითარების პროცესებს. ნაშრომში გამოყენებულია ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული უცხოელ და ქართველ მეცნიერთა შრომები. კვლევის მასალების საფუძველზე კი შემუშავებულია ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიღწევა დაგვაახლოებს დარგის განვითარების ძირითადი მიზნის რეალიზაციის პროცესთან.
4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში, როცა სახელმწიფოთა ინტეგრაცია და ურთიერთდამოკიდებულება სწრაფად იზრდება, უაღრესად აქტუალური გახდა ქვეყნის იმ წესების შესწავლა, რომლებსაც ისინი კონფლიქტებისა და უთანხმოებათა შემთხვევებში მისდევენ. უთანხმოებათა საბაბი

საერთაშორისო ბაზრებზე ხშირად ხდება ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, რადგან ამ ბაზრის მონაწილეები წარმოებისა და ექსპორტის მოცულობებსა და სტრუქტურას, აგრეთვე, შრომის საერთაშორისო დანაწილების დონეს ერთმანეთს შორის კონკურენციის საფუძველზე განსაზღვრავენ.

5. თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებები იმის ჩვენებას იძლევა, რომ არაერთი წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გადაჯგუფებულია. ისინი დიდ გავლენას ახდენენ და განსაზღვრავენ კიდევ ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ტრადიციული რესურსების კლებადი შესაძლებლობები უკავშირდება როგორც მათი გამოყენების ფიზიკურ შესაძლებლობებს და ზღვართან მიახლოებას, ისე დაქვეითებულ ეფექტიანობას და იმავდროულად ბუნებათდაცვის ღონისძიებებზე დანახარჯების გაზრდას. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის მოდელში წამყვანი უნდა გახდეს ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური პროცესების სისტემა.
 6. ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ეროვნული შემოსავალი. ეროვნული შემოსავლის განაწილების, გადანაწილების და ბიუჯეტის შემოსავლების შექმნის ძირითად მეთოდად სახელმწიფო გადასახადებს, სესხებს და ემისიას იყენებს. გადასახადები წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მთავარ იარაღს, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში თავს იყრის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი. საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა წარმატებით ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციებს.
 7. საქართველოს ადამიანური რესურსების მიგრაციის გენდერული ასპექტები. შრომითი მიგრაცია-ეს არის პროცესი, რომელიც მეტად არაერთმნიშვნელოვნად აისახება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტების მიერ განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა საგრძნობლად შეუმსუბუქა ყოფა მოსახლეობის თითქმის მეოთხედს, გლობალურად, შრომითი მიგრაციების უარყოფითი გავლენა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე აშკარაა: დღეს ცხადი ხდება, რომ მიგრაციულ პროცესებში უფრო აქტიურად მონაწილეობენ ქალები, რომელთა საშუალო ასაკი უდრის აქტიურ რეპროდუქციულ ასაკს და მერყეობს 36,6-34,8 წლებს შორის. ამ ასაკში ქალის ჩვეულ სოციუმს მოწყვეტა და ცხოვრების რადიკალური შეცვლა-ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად უცხო ქვეყანაში მიგრირება, როგორც მინიმუმ აფერხებს მისი რეპროდუქციული განწყობისა და გეგმების რეალიზებას, რაც სავალალოდ აისახება ისედაც დეპოპულაციის ზღვარზე მყოფ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ პორტრეტზე.
- მიგრაცია იწვევს მიგრანტების გენდერული როლების, ურთიერთობებისა და იდეოლოგიის შეცვლას როგორც ლოკალურად, ისე გლობალურად.
- წინამდებარე ნაშრომში სხვ საკითხებთან ერთად, გაანალიზებული და შეფასებულია ისეთი საკითხები, როგორცაა:
- გენდერის გავლენა მიგრაციის სქესობრივ სტრუქტურაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე;

- ემიგრანტთა წარმატებული რეინტეგრაციის შანსი საკუთარ ოჯახებსა და სოციუმში 3, 5, 10 და მეტი წლით შრომით ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ;
- სახელმწიფო სტრუქტურებისა და შესაბამისი ორგანიზაციების მცდელობა და ქმედითი ხელშეწყობა თანამემამულეთა დაბრუნებადობის უზრუნველსაყოფად;
- ვიზალიბერალიზაციის მოსალოდნელი როლი და მნიშვნელობა წარმატებული რეინტეგრაციის განხორციელების საქმეში.

8. ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესების გზები საქართველოში. იმ ძირითად პრობლემებს შორის, რომელიც საქართველოს უახლოეს მომავალში აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევას, რომლის საფუძველსაც ფისკალური პოლიტიკა და მისი მიმართულებების სწორად განსაზღვრა წარმოადგენს.

ფისკალური პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში განსაზღვრავს ის, რომ იგი გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს არსებობის ფინანსური უზრუნველყოფის (ფისკალური ფუნქცია) ან კიდევ ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის მიზნით (ეკონომიკური ფუნქცია), არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების მიზნით და ასეთ პოლიტიკას ფისკალურთან და ეკონომიკურთან ერთად გააჩნია წმინდა სოციალური დატვირთვაც. საბიუჯეტო ხარჯების ფორმირებით სახელმწიფო უზრუნველყოფს არა მხოლოდ მის წინაშე მდგარი ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ღონისძიებების დაფინანსებას, სახელმწიფო ხარჯებით იგი უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესშიც.

ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახელმწიფოებისათვის ფისკალურ გადაწყვეტილებებს აქვთ განსხვავებული მიზანი: ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური ზრდის ტემპების უზრუნველყოფისაკენ, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა და მისი მიმართულებები გულისხმობს, უპირველესად, ფინანსური რესურსების ეფექტიან მობილიზაციას და მათ რაციონალურ გამოყენებას, რაც ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებში ვლინდება.

ნებისმიერი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით აუცილებელია შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ხელისუფლების ყველა დონის ბიუჯეტების შემოსავლების, ხარჯებისა და დეფიციტის მდგომარეობა და ასევე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ნებისმიერი წინადასრულებული ტენდენციები. ამის საფუძველზე კი შესაძლებელია კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და მათი ამოქმედების მექანიზმების განსაზღვრა, მათ შორის ქვეყანაში ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის უკეთესი პირობების შექმნა, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუტების განვითარება, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საკუთრების

უფლებების განმტკიცება.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მართლაც გაუმჯობესდა ბიზნეს-გარემო, გამარტივდა საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პროცედურები, გაუმჯობესდა საბიუჯეტო პოლიტიკა, შემცირდა კორუფციისა და კონტრაბანდის მასშტაბები, მაგრამ, ბოლო ორი წლის დამოუკიდებელი კვლევების მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში საკუთრების უფლების დაუცველობა წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის და, მათ შორის, ფისკალური პოლიტიკის შემაფერხებელ გარემოებას. გატარებული რეფორმების მიუხედავად, საქართველოს ფისკალური პოლიტიკა შემდგომ განვითარებას და ოპტიმიზაციას საჭიროებს.

9. ხვამლის მთა – კულტურულ-მისტიკური პროდუქტი საქართველოში მდგრადი ტურიზმის გასაერთარებლად. მითები და ლეგენდები ოდითგანვე და დღესაც იწვევს ინტერესს საზოგადოებაში. ეს ინტერესი განპირობებულია იმით, რომ ადამიანებს გააჩნია ქვეცნობიერი სურვილი გაეცნონ რაიმე უნიკალურს, საინტერესოს, ახალსა და უცნაურს. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ დაიწყო ამ ინტერესის გამოყენება და ტურისტებს შესთავაზა არამატერიალური ტურისტული რესურსი მითების, ლეგენდებისა და მისტიკის სახით. ცნობილი და საინტერესო მაგალითია შოტლანდიაში არსებული ლოხნესის ტბა, რომელიც ლოხ ნესის ურჩხულის ლეგენდის წყალობით, ერთ-ერთი ცნობადი და მონახულებადი ტურისტული დესტინაციაა. ლეგენდამ ლოხ ნესის ურჩხულზე ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია მეცნიერებში, ჟურნალისტებში, კინორეჟისორებშიც კი, რამაც თავის მხრივ ინფორმაციის გავრცელებასა და ტურისტების დაინტერესებას შეუწყო ხელი. გაზრდილმა ტურისტულმა ნაკადებმა კი ადგილის ცნობადობის გაზრდას, ასევე ტბის შემოგარენში სხვადასხვა ბიზნესის განვითარებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური შემოსავლების ზრდას შეუწყო ხელი. ლოხ ნესის ტბის სტუმრები წელიწადში დაახლოებით 50 მილიონ ფუნტს ხარჯავენ ისეთ ტურისტულ სერვისებში, როგორიცაა: ნავით გასეირნება, განთავსება, კვება და სხვა.

საინტერესო მაგალითია, ასევე ინგლისში მდებარე უძველესი ტურისტული ადგილი სტოუნჰენჯი – „Stonehenge“, რომელიც არა მხოლოდ საკუთარი უძველესი ისტორიითა და თანამედროვე პერიოდში სილამაზით იზიდავს ტურისტებს, არამედ ლეგენდებით, მითებითა და მისტიკით, რომელიც ამ ადგილის შესახებ არსებობს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, „Stonehenge“-ის ქვები გიგანტების გაქვავებულ ცეკვას წარმოადგენს მზის ღვთაების მიმართ და სწორედ ცეკვით აიხსნება ქვების წრეზე განლაგებაც. ეს ლეგენდა განსაკუთრებით ბევრ ტურისტზე ახდენს გავლენას და ბევრ მათგანს სჯერა კიდევ. საინტერესოა, რომ „Stonehenge“-ს წელიწადში დაახლოებით მილიონი ტურისტი სტუმრობს და მიღებული შემოსავლები წელიწადში საშუალოდ 10 მილიონ დოლარს შეადგენს.

რუმინეთი, კერძოდ ტრანსილვანია ცნობილია დრაკულას სასახლითა და მრავალი მისტიკური თქმულებით. ასევე რუმინეთის ქალაქ სიბიუში, რომელიც ძალიან ბევრ ტურისტს იზიდავს, არის პატარა ლამაზი ხიდი, რომელსაც „ტყუილების ხიდს“ უწოდებენ. ლეგენდის თანახმად, თუ ადამიანი ტყუილს იტყვის ხიდზე, ხიდი ახმაურდება და ტყუილის მთქმელი ადამიანი დაისჯება. ტურისტების სიმრავლემ ხიდის სიახლოვეს

სხვადასხვა სახის ბიზნესის განვითარებასაც შეუწყო ხელი.

მითებისა და ლეგენდების გამოყენებას ტურიზმის სფეროში კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი გააჩნია. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანი მარტივად იმასსოვრებს უცნაურ, მისტიურ და გამორჩეულ ამბავს, რომელიც იწვევს მათში ემოციებს და აქვს სურვილი ის სხვებსაც გაუზიაროს. ამიტომ თუ ჩვენ შევძლებთ მითებისა და ლეგენდების ტურისტებამდე საინტერესოდ მიტანას, ისინი ამას უფრო მარტივად დაიმასსოვრებენ და ეცდებიან ის სამეგობრო ან სანაცნობო წრეს გაუზიარონ. ამრიგად მითებისა და ლეგენდების გამოყენების საშუალებით ტურისტების მოგზაურობას საქართველოში საინტერესოს გავხდით და ჩვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასაც მეტად შევუწყოთ ხელს.

უამრავი საინტერესო მითი, ლეგენდა თუ მისტიკური თქმულება უკავშირდება „ხვამლის მთას“. ამბობენ, რომ „ხვამლის მთა“ არის მეფეთა უძველესი განძთსაცავი. ასევე, მთის სახელს უკავშირებენ არგონავტების მოგზაურობას და პრომეთესაც. რაც შეეხება ადილობრივ მოსახლეობას, ისინი ხვამლის მთის მიხედვით განსაზღვრავენ ამინდს და პატივს სცემენ, როგორც ამინდისა და ჭექა ქუხილისა ღმერთის სამყოფელს, საიდანაც მოწმენდილ ამინდში შესაძლებელია როგორც შავი ზღვის, ასევე კავკასიონის ქედის დანახვა.

ხვამლის მთა ერთ-ერთი ამოუხსნელი ადგილია, რომელიც ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავს. იგი დაულაშქრავთ მოგზაურებს, რათა ამოეხსნათ მასში დამარხული საიდუმლო, მაგრამ მიუვალი კლდეები და გამოქვაბულები საიმედოდ ინახავდა მეფეთა საგანძურს და დღემდე მეცნიერთა ინტერესის და კვლევის ობიექტად რჩება, ადილობრივი მოსახლეობა კი მესსიერებაში შემონახული გადმოცემებით აცოცხლებს შორეულ წარსულს.

რაც შეეხება ხვამლის დაკავშირებას ასტრონომიასთან, ძველ დროში ასტრონომიულ ცოდნას ფლობდნენ ქურუმები, რომლებიც ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ და მხოლოდ განდობილებს გადასცემდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, ცაზე აისახება. XVII საუკუნის პოლონელი ასტროლოგის, იან გველის ატლასში ჰიდრას თანავარსკვლავედს თუ მოვებნით, უცნაურ პარალელს გავაველებთ ხომლთან: გაწოლილ გველეშაპს თასი ზურგზე ადგას, კუდას კი ყორანი უზის; ჰიდრას ქვემოთ არგოს თანავარსკვლავედია, გვერდით - კენტავრისა, რომელსაც ძველად მხედარი ერქვა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს თასი იგივე გრაალია ან ოქროს საწმისი, ის საკრალური ცოდნა, რომლის დაუფლებასაც ცდილობდნენ ბერძნები, ეს კი ის ყორანია, რომელიც გულ-ღვიძლს უკორტნის კავკასიონის მთაზე მიჯაჭვულ პრომეთეს. ექსპედიციის დროს ხვამლის ციხე-ქვაბულის კედელზე აღმოჩენილი იქნა პიქტოგრამები, ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულებით. ხვამლის თავზე არსებული სალოცავის ძველი ფენების გვემა, მისი განლაგება მნათობების და ვარსკვლავების მიმართ გვაფიქრებინებს, რომ აქ უძველესი ობსერვატორია იყო.

ხვამლის კლდის ძირში აღმოჩენილია უძველესი დასახლების ნაშთები. აუცილებელია, ჩატარდეს არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ხვამლს ძველი მსოფლიოს ისტორიის ისეთი აღმოჩენების რანგში დააყენებს, როგორცაა ტროა, იერიქონი, გიობექლი თეფე. ყოველივე ეს საქართველოში კულტურულ-მისტიკური ტურიზმის განვითარებას, ქვეყნის

იმიჯსა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მთიანი რეგიონები დღემდე წარმოადგენს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს, იქნება ეს არქიტექტურის ძეგლები თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოდელები, ხალხური რეწვა თუ ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები. ამიტომ, ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონები საერთოდ და მათ შორის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე, შეიძლება ჩავთვალოთ ტურიზმის მდგრადი განვითარების სფეროდ.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა ალპინიზმის, სამთო და ფეხით მოსიარულეთა ტურისტებისათვის ხვამლის მთის გარდა აქ არის, ასხის და სვანეთის მაღალმთიანი გადასასვლელები, რიონსა და ცხენისწყალზე — რაფტინგი; შეიძლება მოეწყოს კემპინგები ნადირობისა და თევზჭერისათვის, ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა მარშრუტების დამუშავება და ლაშქრობების ორგანიზება, ამასთან, სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების მშენებლობა, რომლებიც შესაფერისი იქნება ტურისტების დასაბინავებლად.

საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს მდიდარ ბუნებასთან ერთად საშუალება ეძლევათ მოინახულონ ისტორიული ძეგლები, რომლითაც მდიდარია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი. ამ მხარეში არ მოიძებნება ხეობა თუ სოფელი, წარსულის რაიმე ნაშთი რომ არ იყოს დარჩენილი — ეკლესია, სამრეკლო და ციხის ნანგრევები. რაჭა-ლეჩხუმის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 250-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი და ისტორიულ-კულტურული ძეგლი, ისტორიული ექსპონატებით მდიდარი 3 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის აქ მოსულ ტურისტებს საქართველოს და ამ რეგიონის ისტორიის და კულტურის შესახებ. ღსანიშნავია ისიც, რომ უდიდესი წმინდანი მაქსიმე აღმსარებელი ლეჩხუმში განისვენებს და აქვე მდებარეობს მისი სახელობის ტაძარი, სადაც როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ასევე კათოლიკე ქრისტიანები ერთად ღოცულობენ.

რეგიონში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, დასაქმების სფეროს გაფართოებას, შემოსავლების ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას. ტურიზმის განვითარებისათვის რეგიონში არსებობს ხელშემწყობი პირობები და იგი სრულად უნდა იქნას ათვისებული და გამოყენებული.

10. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში, როცა სახელმწიფოთა ინტეგრაცია და ურთიერთდამოკიდებულება სწრაფად იზრდება, უაღრესად აქტუალური გახდა ქვეყნის იმ წესების შესწავლა, რომლებსაც ისინი კონფლიქტებისა და უთანხმოებათა შემთხვევებში მისდევენ. უთანხმოებათა საბაბი საერთაშორისო ბაზრებზე ხშირად ხდება ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, რადგან ამ ბაზრის მონაწილეები წარმოებისა და ექსპორტის მოცულობებსა და სტრუქტურას, აგრეთვე, შრომის საერთაშორისო დანაწილების დონეს ერთმანეთს შორის კონკურენციის საფუძველზე განსაზღვრავენ.
11. თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებები იმის ჩვენებას იძლევა, რომ არაერთი წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გადაჯგუფებულია. ისინი დიდ გავლენას

ახდენენ და განსაზღვრავენ კიდევ ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ტრადიციული რესურსების კლებადი შესაძლებლობები უკავშირდება როგორც მათი გამოყენების ფიზიკურ შესაძლებლობებს და ზღვართან მიახლოებას, ისე დაქვეითებულ ეფექტიანობას და იმავდროულად ბუნებათდაცვის ღონისძიებებზე დანახარჯების გაზრდას. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის მოდელში წამყვანი უნდა გახდეს ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური პროცესების სისტემა

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: **სრული პროფესორი გენადი იაშვილი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორები:

- გიორგი ბაღათურია;
- შოთა დოღონაძე;
- ალექსანდრე ედიბერიძე;
- გენადი იაშვილი;
- ირინე იაშვილი;
- ბესარიონ ფარცვანია;
- ალეკო ცინცაძე;
- ოთარ ქონორაძე.

ასოცირებული პროფესორები:

- ნუნუ ოვსიანიკოვა;
- თამარ რევაზიშვილი;
- მიხეილ ქანთარია;
- გელა ჭიკაძე;

ასისტენტ პროფესორები:

- ოთარ ბაღათურია;
- თეონა ბაქანიძე;
- ზაზა ქოიავა.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. იაშვილი	კონფლიქტის მენეჯმენტი ორგანიზაციაში	სტუ თბილისი 2016	160 გვ.
<p>1. ნაშრომში განხილულია კონფლიქტის არსი და მისი ზეგავლენა ორგანიზაციის მუშაობის შედეგებზე. ნაჩვენებია თუ როგორი ტიპის კონფლიქტები არსებობს და რა არის თითოეულის გამომწვევი მიზეზი. კონფლიქტი განხილულია ორი განსხვავებული მხრიდან – მენეჯერის და თანამშრომლის პოზიციიდან. ნაშრომში ასევე განხილულია კონფლიქტის მოგვარების რა ხერხები არსებობს პრაქტიკაში. ნაჩვენებია, თუ როგორ არეგულირებს კანონი კონფლიქტს ორგანიზაციაში და თუ როგორ ხდება კონფლიქტის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება ქართულ რეალობაში.</p> <p>დამხმარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის, დოქტორანტებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსახლეობის იმ ფართო ფენებისთვის, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში რიგით თანამშრომლებად თუ მენეჯერებად</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. იაშვილი, ნ. ბრეგაძე	მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება მომსახურების სისტემაში	სოციალურ მეცნიერებათა საკითხები IX შრომების კრებული	გამომც. „უნივერსალი“ თბილისი 2016	4 გვ.
2	გ. იაშვილი ბ. შერაზადიშვილი	შრომის შედეგების შეფასების	მეოთხე საერთაშორისო	თბილისი, საქართველ	5 გვ.

		თავისებურებები საჯარო სფეროს ორგანიზაციებში	ეკონომიური კონფერენცია	ოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
3	გ. ბაღათურია ნ. ხუნაშვილი	პოლიტიკური რეალიზმი და საქართველო	სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” 2 (38) 2016	თბილისი	12 გვ.
4	დ. ბაღათურია ნ. ოსიანიკოვა	“ინფობოქსი“ - ორგანიზაციის თანამშრომელთა შორის ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემა	სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” 3 (39) 2016	თბილისი	10 გვ.
5	თ. რევაზიშვილი	ახალი მიზნები მდგრადი განვითარების სფეროში	სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” 4 (40) 2016	თბილისი	7 გვ.

1. ინფრასტრუქტურული საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრისადმი არსებული მიდგომები მათი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით ფართოდაა წარმოდგენილი ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში და ძირითადად დაიყვანება ამ ეფექტურობის შეფასებაზე ან კერძო მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით, ან განმაზოგადებელი მაჩვენებლის საშუალებით, რომელიც ასახავს შედეგისა და მისი (შედეგის) მიღწევისათვის აუცილებელი რესურსების (დანახარჯების) შეფარდებას. მნიშვნელოვანწილად აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებების არსებობა განპირობებულია მომსახურების გაწევის საქმიანობის სპეციფიკით, ინფრასტრუქტურის მისიის თავისებურებებით.

ცნობილია, რომ საწარმოო პროცესების განხორციელების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურული საქმიანობის პროდუქტს წარმოადგენენ მომსახურების სხვადასხვაგვარი სახეობები - სარემონტო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო და სხვა სახეობები, რომლებიც განკუთვნილნი არიან საწარმოო სისტემის მატერიალურ-საგნობრივი ქვესისტემის მომსახურებისათვის, და სარეკრეაციო, სამედიცინო, საზოგადოებრივი კვების სფეროში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სფეროში - რომლებიც განკუთვნილნი არიან საწარმოო სისტემის საკადრო ქვესისტემისათვის. ინფრასტრუქტურული საქმიანობის

მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის მომსახურების გაწევა, ყოველგვარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასე შემდეგ. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საკითხები მომსახურების სისტემაში.

2. შესრულებული სამუშაოს შეფასება წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ თავიანთი თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებისა და ორგანიზაციის მიზნების მიღწევის ეფექტურობის განსაზღვრას. სამუშაოს შესრულების შეფასების მთავარი მიზანია თანამშრომელთა შრომის გაუმჯობესება მუშაობის პროცესში. თუმცა, თანამშრომლების შრომითი ნაყოფიერების მონიტორინგის გარდა, შესრულებული სამუშაოს შეფასება კიდევ რამდენიმე, უადრესად მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, შეფასების პროცედურა უფრო ნათელს და გასაგებს ხდის თანამშრომლისთვის იმას თუ რა მოლოდინები არსებობს მის მიმართ ორგანიზაციაში. რა ვალდებულებების შესრულებას აკისრებს ხელმძღვანელი და რა სტანდარტები არსებობს მათი შესრულების კუთხით.

თანამედროვე მსოფლიოში განუზომელია ორგანიზაციების ინტერესი შეფასების ინსტრუმენტების, კრიტერიუმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გადმოღება ხდება, გასათვალისწინებელია იმ კონკრეტული სახელმწიფოს თავისებურებები რომელშიც ხდება შეფასების სისტემის დანერგვა. სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს, თუმცა ზოგადად, ევროპის ქვეყნების მასშტაბით, ტექნიკური ტიპის გამოწვევები ნაკლებად პრობლემურია, ვიდრე მენეჯმენტის პრობლემები.

3. სტატია ეხება თანამედროვე პოლიტიკურ რეალობას საქართველოში, არსებულ პრობლემებსა და მათი რეალურად შეფასების საკითხებს. ამ მიზნით სტატიაში განხილულია ძირითადად ნიკოლო მაკიაველის რეალისტური ხედვები და პოლიტიკური რეალიზმის არსი როგორც ერთ-ერთი საწყისი შესაძლებლობა საქართველოში არსებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით. მასში გაანალიზებულია ძალის ფაქტორი, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფოები გამოდიან საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, როგორც სუვერენული და ძლევამოსილი სახელმწიფოები. სწორედ პოლიტიკურ რეალიზმზე დაყრდნობით შესაძლებელია სიტუაციის რეალური შეფასება და სათანადო სტრატეგიების დამუშავება სახელმწიფოს მართვის მიზნით.

4. სტატიაში განხილულია ავტორთა მიერ დამუშავებული ემმართველობის სისტემის ქვეპროგრამა – „ინფობოქსი“, რომელიც არსებულ მეთოდებსა და სისტემებთან შედარებით უფრო ეფექტიანს ხდის ინფორმაციის გაცვლის პროცესს ისეთ დიდ ორგანიზაციებში, სადაც ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლას თანამშრომელთა შორის (როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის ეფექტიანად მართვის თვალსაზრისით. “ინფობოქსის” უპირატესობა ინფორმაციის მიმოცვლის არსებულ სისტემებთან (მაგ. ელ-ფოსტა) შედარებით, არის მისი სიმარტივე, რაც გულისხმობს:

- userfriendly – მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგები და მარტივი
- cross-browser – პროგრამა არ საჭიროებს ინსტალაციას. მასში სამუშაოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი ბროუზერი ნებისმიერ ოპერაციულ სისტემაზე

- სისწრაფე და სხვა თვისებები, რაც განაპირობებს ინფორმაციის გაცვლის პროცესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვას, კერძოდ: ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნის არსებობისას,

- შეტყობინებაზე კომენტარების დაუყოვნებლივ გაკეთებისა და ფაილების მიმაგრების შესაძლებლობას კატერ.“ინფობოქსი” ფუნქციონირებს როგორც კომპანია პსპ -ს ინტრანეტის ნაწილი, შემდგომში მოხდება მისი კონვერტირება ადამიანური რესურსების მართვის ემმართველობის ცენტრალიზებულ სისტემაში, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესშია.

5. 2015 წლის 25-27 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო 70-ე სესიის ფარგლებში ჩატარებულ სამიტზე მიღებულ იქნა გლობალური მიზნების მეორე პროგრამა მდგრადი განვითარების სფეროში - ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: „მდგრადი განვითარებისდღის წესრიგი 2030 წლისთვის“. ეს არის 2016-2030 წლებზე გათვლილი უნივერსალური და ამბიციური პროგრამა მთელი კაცობრიობისა და ყველა ქვეყნისთვის, რომელიც შედგება 17 მიზნისა და 169 ამოცანისგან. „მდგრადი განვითარების მიზნებმა“, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 სექტემბრიდან, ჩაანაცვლა 2000 წლის სექტემბერს მიღებული „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ (8 მიზანი), რომელსაც ვადა ამოეწურა 2015 წელს. სტატიაში შეჯამებულია ათასწლეულის მიზნების შედეგები, განხილულია მდგრადი განვითარების ახალი მიზნები და გაანალიზებულია მათი მნიშვნელობა კაცობრიობის მომავლისათვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. იაშვილი ი. მანველიძე	ელექტრონული მთავრობის რეგიონალური პრობლემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	საფრანგეთის ICDGS 2016–ს 18–ე საერთაშორისო კონფერენცია ელექტრონული დემოკრატია, ელექტრონული	პარიზი, საფრანგეთი. 21–22 იანვარი, 2016.	4 გვ.

			მთავრობა და ელექტრონული საზოგადოება		
2	გ. იაშვილი ი. მანველიძე	ელექტრონული მთავრობის, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმირების ელემენტის განვითარება, აჭარის მაგალითზე	18-ე საერთაშორისო კონფერენცია ICCASET 2016	ამსტერდამი, ნიდერლანდები, 12-13 მაისი 2016	3 გვ.

1. თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების პირობებში ელექტრონული მთავრობა განიხილება როგორც სახელმწიფოს მმართველობის განვითარების და ორგანიზაციის საშუალება. აქედან გამომდინარე მოცემულ ეტაპზე კვლევის ობიექტი რეგიონალური ელექტრონული მთავრობა, მისგან გამომდინარე კვლევის მიზანია აჭარის რეგიონში რეგიონალური ელექტრონული მთავრობის სისტემის დანერგვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა; ვახვენოთ თუ რამდენად ეფუძნებიან თანამედროვე რეგიონალური მმართველობის სისტემები და სტრუქტურები საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. არის თუ არა პრაქტიკულად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებული მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან (მათ შორის არა მხოლოდ არჩევნები, მისაღები გადაწყვეტილების ქვემოდან ინიცირება ან დაინტერესებულ პირთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება-მიღება სხვადასხვა კერძო საქმიანობის ლიცენზირება, გადასახადების გადახდა და ადმინისტრირება და ა.შ.), საკუთარ თანამშრომლებთან (საჯარო მოსამსახურებთან) და ერთმანეთთან (სხვადასხვა დონის და დარგის საჯარო დაწესებულებებს შორის ურთიერთქმედებანი).

დასახული მიზნების მიღწევისათვის საწყის ეტაპზე აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: დაზუსტდეს გაგებით-კატეგორიული აპარატი, რომლიც ახსნის რეგიონალური ელექტრონული მთავრობის დანერგვის და ფუნქციონირების პროცესს, მის სტრუქტურას და ფუნქციებს რეგიონში; გამოვაგლინოთ ბევრად უფრო გავრცელებული პრობლემები და დაბრკოლებები რეგიონალური ელექტრონული მთავრობის შექმნის და განვითარების გზაზე; შესწავლილ იქნას საკითხთან დაკავშირებული უცხოური გამოცდილება და მათი შესაძლო გამოყენება რეგიონთან მიმართებით.

2. საქართველოში, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საჯარო მმართველობის სისტემას მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. ამასთან, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინონ

სახელმწიფო აპარატის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, მოქალაქეებისა და სხვადასხვა ინსტიტუტების ჩართულობაზე. მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში კორუფციისა და არასაჭირო პროცედურების შემცირება. ამ კონტექსტში, ელექტრონული მთავრობის შექმნა და მისი ეფექტური ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ნდობის ამაღლება საჯარო ხელისუფლებისადმი. ელექტრონული მთავრობა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მოქალაქეთათვის მიწოდებული სერვისების ავტომატიზებას. ელექტრონული მთავრობა არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მიაწოდოს სერვისები მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით და უზრუნველყოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კომუნიკაციების ეფექტურობა.

ტექნოლოგიურ ცვლილებებს გააჩნიათ გავლენა საზოგადოების არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ელემენტებზე. ელექტრონული მთავრობა წარმოიშვა დასავლეთის ქვეყნებში, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპრეცედენტო განვითარების შედეგი. იგი მოიცავს როგორც ადგილობრივ მმართველობებს, აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლებას. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური საკომუნიკაციო სისტემები, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ვებ-საიტები საჯარო ორგანიზაციებისათვის. აგრეთვე, შესაძლებელი ხდება მიწოდებული იქნას ინფორმაცია საზოგადოებისათვის აქტივობების, ბიუჯეტის, ვაკანსიების, სიახლეების და სხვა საკითხების შესახებ. ეს უპრეცედენტოდ ზრდის ჩართულობას საჯარო მართვაში. იმისათვის, რომ გაიზარდოს ნდობა ხელისუფლების მიმართ, დემოკრატიული საზოგადოება (მოქალაქეები, საჯარო ჯგუფები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნესი) აგრეთვე ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

„აჭარის ელექტრონულმა მთავრობამ“ უნდა გაზარდოს საჯარო სერვისების ხარისხი და ეფექტურობა მოქალაქეებისათვის და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საჯარო ინსტიტუტების აქტივობების შესახებ. აგრეთვე, უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა საჯარო ინსტიტუტებს შორის. „აჭარის ელექტრონული მთავრობის“ სტრატეგიის დანერგვა დაფუძნებული უნდა იყოს არა მხოლოდ კონცეპტუალურ, არამედ სამართლებრივ საფუძველზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	შ. დოლონაძე	საქართველოს საჯარო და	საერთაშორისო სამეცნიერო

		დიპლომატიური სამსახურების მარეგულირებელი კანონების თანაფარდობა	კონფერენცია 26 ნოემბერი, 2016 თბილისი
2	გ. ბაღათურია	საქართველოს სახელმწიფო მმართველობის წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 26 ნოემბერი, 2016 თბილისი
3	შ. ჭუმბურიძე ო. ქოჩორაძე	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საფრანგეთის ფინანსური მენეჯმენტი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 26 ნოემბერი, 2016 თბილისი
4	ს. კენჭოშვილი ო. ქოჩორაძე	სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის თანამედროვე განზომილებები საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 26 ნოემბერი, 2016 თბილისი
5	კ. ჭიჭინაძე ნ. ოვსიანიკოვა	საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა კონტრაქტის პირობების გავლენა კარიერის მართვის პროცესზე	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 26 ნოემბერი, 2016 თბილისი
<p>1. საკონფერენციო მოხსენებაში დეტალურად იქნა გაანალიზებული საქართველოს კანონები “საჯარო სამსახურის შესახებ” და დიპლომატიური სამსახურის შესახებ” აღნიშნული კანონები არეგულირებს საჯარო სამსახურის ზოგად და სპეციფიკურ პრობლემებს. კანონები ახალია და ძირითადად პასუხობს დროის მოთხოვნებს, თუმცა მათი თანაფარდობა სრულად ვერ ასახავს იმ პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვან წილად განაპირობებს თანამედროვე საჯარო სამსახურის ორგანიზაციის საკითხებს. კანონების მიერ პრაქტიკულად ვერ იქნა გადაწყვეტილი (თუნდაც საკანონმდებლო დონეზე) ისეთი საკითხი, როგორცაა პლიტიკური, უფრო სწორად პარტიული მიუკერძოებლობა საჯარო სამსახურის სივრცეში.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. იაშვილი	ელექტრონული მთავრობის	საფრანგეთის ICDGS

	ი. მანველიძე	რეგიონალური პრობლემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	2016–ს 18–ე საერთაშორისო კონფერენცია პარიზი, საფრანგეთი. 21–22 იანვარი, 2016.
2	გ. იაშვილი ი. მანველიძე	ელექტრონული მთავრობის, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმირების ელემენტის განვითარება, აჭარის მაგალითზე	18–ე საერთაშორისო კონფერენცია ICCASET ამსტერდამი, ნიდერლანდები, 12–13 მაისი 2016

1. თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების პირობებში ელექტრონული მთავრობა განიხილება როგორც სახელმწიფოს მმართველობის განვითარების და ორგანიზაციის საშუალება. აქედან გამომდინარე მოცემულ ეტაპზე კვლევის ობიექტი რეგიონალური ელექტრონული მთავრობა, მისგან გამომდინარე კვლევის მიზანია აჭარის რეგიონში რეგიონალური ელექტრონული მთავრობის სისტემის დანერგვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა; ვაჩვენოთ თუ რამდენად ეფუძნებიან თანამედროვე რეგიონალური მმართველობის სისტემები და სტრუქტურები საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. არის თუ არა პრაქტიკულად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებული მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან (მათ შორის არა მხოლოდ არჩევნები, მისაღები გადაწყვეტილების ქვემოდან ინიცირება ან დაინტერესებულ პირთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება-მიღება სხვადასხვა კერძო საქმიანობის ლიცენზირება, გადასახადების გადახდა და ადმინისტრირება და ა.შ.), საკუთარ თანამშრომლებთან (საჯარო მოსამსახურებებთან) და ერთმანეთთან (სხვადასხვა დონის და დარგის საჯარო დაწესებულებებს შორის ურთიერთქმედებანი).

2. ტექნოლოგიურ ცვლილებებს გააჩნიათ გავლენა საზოგადოების არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ელემენტებზე. ელექტრონული მთავრობა წარმოიშვა დასავლეთის ქვეყნებში, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპრეცედენტო განვითარების შედეგი. იგი მოიცავს როგორც ადგილობრივ მმართველობებს, აგრეთვე ცენტრალურ ხელისუფლებას. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური საკომუნიკაციო სისტემები, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ვებ-საიტები საჯარო ორგანიზაციებისათვის. აგრეთვე, შესაძლებელი ხდება მიწოდებული იქნას ინფორმაცია საზოგადოებისათვის აქტივობების, ბიუჯეტის, ვაკანსიების, სიახლეების და სხვა საკითხების შესახებ. ეს უპრეცედენტოდ ზრდის ჩართულობას საჯარო მართვაში. იმისათვის, რომ გაიზარდოს ნდობა ხელისუფლების მიმართ, დემოკრატიული საზოგადოება (მოქალაქეები, საჯარო ჯგუფები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნესი) აგრეთვე ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

„აჭარის ელექტრონულმა მთავრობამ“ უნდა გაზარდოს საჯარო სერვისების ხარისხი და ეფექტურობა მოქალაქეებისათვის და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საჯარო ინსტიტუტების აქტივობების შესახებ. აგრეთვე, უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა საჯარო ინსტიტუტებს შორის. „აჭარის ელექტრონული მთავრობის“ სტრატეგიის დანერგვა დაფუძნებული უნდა იყოს არა მხოლოდ კონცეპტუალურ, არამედ სამართლებრივ საფუძველზე.

სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო აქტივობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი 2016 წელს აგრძელებდა გეგმაზომიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას.

კვარტალში ერთხელ დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების წინაშე მოხსენებით გამოდიოდნენ პროფესორ-მასწავლებლები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მიღწეული შედეგებით.

2016 წლის 26 ნოემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა მე-10 საერთაშორისო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება -2016”, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა – 100-მდე პროფესორმა, ახალგაზრდა მეცნიერმა და მკვლევარმა. (კონფერენციის სამუშაო ენებია – ქართული, ინგლისური, რუსული). კონფერენციაზე მუშაობდა შემდეგი სექციები: „საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის თეორია, პრაქტიკა, მეთოდოლოგია“; „ისტორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური გაკვეთილები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის ეკონომიკური საკითხები“; „პოლიტიკა და კულტურა“¹, „სახელმწიფო და რელიგია“.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში „ხელისუფლება და საზოგადოება (თეორია, ისტორია, პრაქტიკა)“ და „სკრიპტა მანენტი“, ასევე კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორის - ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე (აღსანიშნავია, რომ ასოციაციის წევრთა შორის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორა და სტუდენტები ჭარბობენ).

2016 წელს დეპარტამენტში მომზადებულმა 4 დოქტორანტმა დაიცვა დოქტორის აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში.

დეპარტამენტში ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია.

ლაბორატორიის უმთავრეს ამოცანაა მეცნიერულად გაანალიზებული და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების

შესწავლა, ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მომავალი საჯარო მოხელეების სათანადო ცოდნით აღჭურვა.

კვლევებში ჩაბმულია საჯარო მმართველობის სტუდენტები, მაგისტრები, დოქტორანტები მომზადდა და მზადდება პუბლიკაციები, საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე. სტუდენტები მოხსენებებით წარსდგენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე „ხელისუფლება და საზოგადოება“ (2016 წწ.), ნაშრომები გამოქვეყნებულ იქნა სამეცნიერო ჟურნალში “ხელისუფლება და საზოგადოება”

ლაბორატორია აქტიურადაა ჩაბმული იმ სამუშაოში, რომელიც უკავშირდება დეპარტამენტში სადოქტორო და სამაგისტრო დისერტაციის მზადებას ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკის ირგვლივ. გამოქვეყნდა 10 სამეცნიერო სტატია, მარტო მიმდინარე წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება - 2016“ აღნიშნულ პრობლემატიკას მიეძღვნა და დოქტორანტთა 5 გამოსვლა.

მიმდინარე ეტაპზე მუშავდება შემდეგი თემები:

1. საარჩევნო სისტემების გავლენა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზე;
2. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ინსტიტუციონალური ფაქტორი;
3. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საჯარო მმართველობაში;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანად განხორციელება-წარმატებული თვითმმართველობის საფუძველი;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილი და როლი საჯარო ხელისუფლების სისტემაში;
6. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური სისტემის შედარებითი ანალიზი საფრანგეთსა და საქართველოში;
7. ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური მართვის საკითხები;
8. თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები;
9. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება – ეფექტიანი საჯარო მმართველობის საფუძველი საქართველოში;
10. სახელმწიფო მართვის სისტემაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემა და მათი გადაჭრის გზები;
11. თვითმმართველობის განსაკუთრებული სტატუსის რეალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები ქალაქ თბილისში;

ამ მიმართულებით დამუშავებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (ქართული და უცხოური წყაროები), გაანალიზებულია არსებული საკანონმდებლო ბაზა; მომზადდა სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მოხსენებები. ჩატარდა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სემინარები და კოლოკვიუმები.

პერიოდულად (2 თვეში ერთხელ) ტარდება „მრგვალი მაგიდა“ რომელშიაც მოქმედი მოხელეები და მეცნიერები მონაწილეობდნენ.

ამჟამად დოქტორანტურაში “საჯარო მმართველობის” პროგრამაზე სამ კურსზე სწავლობს 128 სტუდენტი. მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციების მომზადება საჯარო მმართველობის სპეციალობით, კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს სახელმწიფო მართვის არა ერთ მნიშვნელოვან პრობლემას.

დეკემბრის ბოლოს დასრულდება დეპარტამენტის მიერ მოამზადებული პროექტი, რომელიც გამიზნულია უფროსკლასელებს შორის სამოქალაქო თვითშეგნებისა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრება-გადრმავებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყანაში საერთო სამოქალაქო თვითშეგნებისა და სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის კულტურის ამაღლებას, რაც დადებითად წაადგება ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ განვითარებას.

მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფების მომზადება სახელმწიფო მართვის, სამოქალაქო თვითშეგნებისა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრება-გადრმავების მიმართულების ტრენინგებად, მომავალი წლიდან ისინი ჩაატარებენ შესაბამის სწავლებას საქართველოს სკოლების უფროსკლასელთა შორის. ამგვარად მომზადებულ ტრენინგებსა და შემდეგ უფროსკლასელებს ეცოდინებათ რა არის რეალურად სახელმწიფო მართვა, როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში ფართო საზოგადოებრიობამ.

მომზადებულია და წარდგენილია ანალოგიური ფორმის პროექტი, რომელიც განხორციელდება 2017 წელს: “საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში ელექტრონული ბიზნესის ანბანის სწავლება”.

დეპარტამენტში გრძელდება უცხოურ ენებზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზა. ამ თვალსაზრისით დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან. განსაკუთრებული თანამშრომლობა აკავშირებს დეპარტამენტს უკრაინის სამეცნიერო ცენტრებთან.

საზინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფესორი რატი ბურდიაშვილი;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- გიორგი ცაავა;
- ალეკო ქუთათელაძე;
- რატი ბურდიაშვილი;
- მერაბ ვანიშვილი.

ვალერი მოსიაშვილი;
 გიორგი ხანთაძე;
 მზევინარ ნოზაძე;
 ლილი გვენეტაძე.
 გიორგი სულაშვილი;

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	TEMPUS-ის პროგრამის Re-THINK-ის (Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტი (54417 8-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR	ევროკავშირი	პროექტის კოორდინატორი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ნინო ჩაჩავა	ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი სულაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც პროექტის კონსორციუმის წევრი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ TEMPUS -ის პროგრამის Re-THINK-ის (Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტში (544178-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR, საგრანტო ხელშეკრულება 2013-5076) ითვალისწინებს ურბანისტიკასა და არქიტექტურის სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებას ორმაგი დიპლომების გაცემის შესაძლებლობით, გაძლიერებული გარემოს დაცვის კომპეტენციებით. გრანტი რეგისტრირებულია ფინანსთა სამინისტროში ნომრით 1024 (25.12.2015).

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი ცაავა ალექსანდრე სიჭინავა გიორგი ხანთაძე	კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია) სასწავლო- პრაქტიკული სახელმძღვანელო.	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016	726 გვ. (ელექტრონული წიგნი).
2	გიორგი ცაავა	ფულის თეორიის ეკოლუცია და ირვინგ ფიშერის „მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში“ კორექტივის შეტანის შესახებ: ლექციის კონსპექტი.	თბილისი, გამომცემლობა „დანი“	2016. – 30
3	გიორგი ცაავა	ფულის ფუნქციების გაფართოების რეალობა: ლექციის კონსპექტი.	თბილისი, გამომცემლობა „დანი“,	2016. – 36 გვ.

4	გიორგი ცაავა	ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები: „ოქროს კვეთას“ პროპორცია ბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში (მონოგრაფია)	თბილისი, გამომცემლობა „დანი“	2016. – 126 გვ.
5	მერაბ ვანიშვილი, გაბა ნიქაბაძე, ნინო ვანიშვილი	ფინანსები	თბილისი, გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“, 2016	424 გვ.
6	მერაბ ვანიშვილი, ბადრი გეჩბაია	მენეჯერული ეკონომიკა: მეთოდური რეკომენდაციები	თბილისი, ბათუმი, გამომცემლობა „კალმოსანი“, 2016	125 გვ.
7	მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ.	ფინანსები	თბილისი, გამომცემლობა „დანი“	540

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო „კორპორაციული ფინანსები“ ეხება კორპორაციული ფინანსების თეორიას, მეთოდებს, პრაქტიკას და თანამედროვე კორპორაციული ფინანსების აქტუალურ საკითხებს. მასში გაშუქებულია საკუთარი კაპიტალის ფასეულობის მაქსიმიზაციის ასპექტები, კომპლექსურადაა წარმოდგენილი ტოპ-მენეჯერების მოტივაცია, ფულის დროითი ფასეულობა, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების შეფასება, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები, საინვესტიციო პროექტების დამუშავებისა და შეფასების ასპექტები, ფინანსური ლევერიჯის თავისებურებები, დივიდენდური პოლიტიკა, ტრანსეროგნული კორპორაციის საქმიანობა, საერთაშორისო საინვესტიციო პროექტების რისკი და შემოსავლიანობა, ბიზნესის შეფასების მიდგომები და მეთოდები, ანალიტიკური ფინანსური საბუთების სისტემა, სამუშაო კაპიტალის მართვა, მმართველობითი ფინანსური ანალიზი, სავალო ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო პორტფელის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრის

მეთოდები, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისა და მართვის სტრატეგია. სალექციო კურსის თეორიული მასალა გამყარებულია ტესტებითა (120) და მრავალრიცხოვანი პრაქტიკული მაგალითებით (82), რომლებიც კორპორაციული ფინანსების ეკონომიკური და საინვესტიციო 4 სტრატეგიის განხილვას, შესწავლასა და განმტკიცებას ემსახურება. წიგნში დანართის სახით წარმოდგენილია საკმაოდ ტევადი (50) პრაქტიკული მაგალითები ფინანსურ მენეჯმენტში.

ავტორები გულითად მადლიერებას გამოხატავენ მოსკოვში “გამომცემლობა იურაიტში“ 2012 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს „კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის“ ავტორებს (УДК 336, ББК 65 290-93#73, ISBN 978-5-9916-1728-4): მიხეილ ლიმიტოვსკის, ელენე ლობაჩოვას, ვიგენ მინოსიანს, ვიქტორ პალამარჩუკს და განსაკუთრებით პირველ ავტორს ჩვენი სახელმძღვანელოს ჩამოყალიბებასა და შექმნაში მიღებული წვლილისა და გაწეული საქმიანი კონსულტაციებისათვის.

სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, ფინანსური მენეჯერების, ფინანსური და აღმასრულებელი დირექტორების, მთავარი ბუღალტრების, კომპანიების ხაზინდარების, აგრეთვე ხელმძღვანელი პორების ფართო წრისა და ფუნქციური მენეჯმენტით დაინტერესებული პირებისათვის, კორპორაციული და სტრატეგიული ფინანსების სფეროში დასაქმების მსურველი სპეციალისტებისათვის.

2. ლექციის კონსპექტში გაანალიზებულია ფულის თეორიების ევოლუცია, როგორცაა: ფულის ლითონური თეორია, სასაქონლო-ლითონური თეორია, ნომინალისტური თეორია, ი. ფიშერის რაოდენობრივი თეორია, კემბრიჯის სკოლის თეორია, ჯ. მ. კეინზის ფულის თეორია, კლასიკური მონეტარული თეორია, კ. მარქსის ფულის რაოდენობრივი თეორია. მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე და იმაზეც, რომ ეროვნული ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზე იზრდება. კომერციული ბანკები ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან, როდესაც გასცემენ სესხებს და, პირიქით, ფულადი მასა მცირდება, როდესაც კლიენტები აღებულ დავალიანებს ბანკებს უბრუნებენ.

აღინიშნულია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 – 90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ხაზგასმულია, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. განხილულია საბანკო სისტემაში ფულადი რესურსის მულტიპლიცირებით ახალი უნაღდო მნიშვნელოვანი ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობა და აღნიშნულის გათვალისწინებით, ირვინგ ფიშერის „მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში“ კორექტივის აუცილებლობის შესახებ ავტორისეული ვარიანტია შეთავაზებული.

3. სტატიაში აღნიშნულია, რომ მსოფლიო ფულის ფუნქციებში საგადასახადო საშუალებების მიმოქცევის კანონზომიერებების თეორიულ გააზრებასთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების თეორიის მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება და თანამედროვე პირობებში ისინი დამატებით შესწავლას და კვლევას საჭიროებენ.

4. „ოქროს კვეთას“ პროპორცია კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. პირველი ლიტერატურული წყარო, რომელშიც ოქროს კვეთა, ანუ მონაკვეთის საშუალო პროპორციულ ნაწილებად დაყოფა არის გადმოცემული, მოცემულია ევკლიდეს ცნობილ „საწყისებში“. სავარაუდოა, რომ ოქროს კვეთა ევკლიდემდეც იყო ცნობილი. კერძოდ, ოქროს კვეთას პროპორციას იყენებდნენ ძველი ეგვიპტელი არქიტექტორები მონუმენტური პირამიდების ასაგებად. ოქროს კვეთა ცნობილი იყო აგრეთვე პითაგორას და მისი მოწაფეებისათვის, რომელთა საცნობი ნიშანი იყო წესიერი ხუთკუთხედის დიაგონალებით შექმნილი ხუთქიმიანი ვარსკლავი. ოქროს კვეთისადმი ინტერესმა ზენიტს შუასაუკუნეებში მიაღწია. მას იყენებდნენ არა მარტო გეომეტრიაში, არამედ პოეზიაში, მუსიკაში, და განსაკუთრებით არქიტექტურაში. აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ნაშრომში „მეტრი და რითმიკა ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნავს, რომ „პოეზიაში რუსთაველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთაზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობის პოეტური ნაწარმოები. მისი პოემის 1587 სტროფიდან 869 ოქროს კვეთაზეა აგებული“. თანამედროვე ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებელმა, იტალიელმა ლუკა პაჩიოლიმ ოქროს კვეთას მიუძღვნა სპეციალური წიგნი სათაურით „ღვთაებრივი პროპორცია“. ტერმინი „ოქროს კვეთა“ პირველად შემოიტანა და დაამკვიდრა ლეონარდო და ვინჩი, რომელიც თვლიდა, რომ ოქროს კვეთის პროპორციის მიხედვით ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურის შემადგენელი ელემენტების განლაგება ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს ქმნის და უმაღლეს ჰარმონიას აღწევს. ოქროს კვეთას ფენომენს ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის გამოკვლევები ეკონომიკაში, ბიზნესის მართვის სფეროში. წინამდებარე ნაშრომის ავტორი, მისი კვლევების ინტერესის ფარგლებში აგრძელებს რა ოქროს კვეთას ფენომენის შესწავლას მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში, ასკენის, რომ აღნიშნული პროპორციის ოპტიმალური ნორმატივების სახით პრაქტიკაში დამკვიდრება საკმაოდ აქტუალური საკითხია.

5. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორცაა: ფინანსების არსი და ფუნქციები; საფინანსო სისტემა და ფინანსური ბაზარი; ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; ფინანსების მართვა და მისი სისტემა; გადასახადები და საგადასახადო სისტემა; ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო კრედიტი, მისი ორგანიზაცია და მართვა; სახელმწიფო სპეციალური ფონდები; სამეწარმეო (კომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; ფინანსური ბაზრის პროფესიონალურ მონაწილეთა ფინანსები; არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების) ფინანსები; საერთაშორისო ფინანსები და ფინანსური პოლიტიკა; საერთაშორისო (გლობალური და რეგიონული) საფინანსო ორგანიზაციები.

ტექსტის გადმოცემის გამარტივების, ადვილად აღქმადობისა და ათვისების მიზნით, წიგნში თითოეული თემა დაყოფილია საკვანძო საკითხებად. ამასთან, ყოველი თემის ბოლოს მოტანილია საკონტროლო კითხვები შექმნილი ცოდნის დონის შემოწმებისათვის, რომლებიც თემათა საკვანძო საკითხების ათვისების ხარისხის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, ძირითადი თემების დასრულების შემდეგ მოცემულია რეკომენდებული ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი, რაც მკითხველს შესასწავლი მასალის უფრო სიღრმისეულად ათვისებაში დაეხმარება.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის; ფინანსების სფეროს სახელმწიფო სტრუქტურებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკებისათვის; ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

6. მეთოდური რეკომენდაციები შეესაბამება „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას და მიზნად ისახავს, ჯერ-ერთი, სტუდენტების დარწმუნებას ეკონომიკურ თეორიასა და საქმიან პრაქტიკას შორის მჭიდრო კავშირის არსებობაში, და მეორეც, მათ მიერ მენეჯერული გადაწყვეტილებების გამომუშავებისა და მიღებისას ეკონომიკური ცნებებისა თუ ანალიზის მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევების ათვისებას. განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის; მენეჯერული ეკონომიკის თეორიითა და პრაქტიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

7. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ფინანსების არსი და ფუნქციები, ფინანსების მართვა და ფინანსური სამართლის სისტემა, საფინანსო სისტემა და მისი ელემენტები, ფასწარმოქმნა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ფულის ღირებულება დროში, სახელმწიფო ბიუჯეტი, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი, სახელმწიფო კრედიტი, საგადასახადო სისტემა, საქართველოს საგადასახადო სისტემა, საწარმოების (კორპორაციების) ფინანსები, არაკომერციული (არასამეწარმეო) ორგანიზაციების ფინანსები, საოჯახო მეურნეობათა (შინამეურნეობათა) ფინანსები, ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია, ფინანსური რისკების მართვა, საერთაშორისო ფინანსები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ფინანსური გლობალიზაცია.

წიგნი განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსის მსმენელთათვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის. იგი აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს ფინანსების აღნიშნული საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის	გამოცემის ადგილი,	გვერდების
---	-----------------	----------	-------------------	-----------

		სახელწოდება	გამომცემლობა	რაოდენობა
1	ლილი გვენეტაძე	საქართველოს საფინანსო სექტორის განვითარების თანამედროვე ასპექტები“., ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.	კრებულის დასახელება - გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკისა და ბიზნესში	გვ. 167-170

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

ნაშრომში საფინანსო სექტორი განიხილება, როგორც ისეთი ურთიერთდაკავშირებული ფინანსური ინსტიტუტების ერთობლიობა, როგორცაა ფინანსური შუამავლები, საფონდო ბირჟა და სხვა საფინანსო სერვისცენტრები. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს საფინანსო სექტორში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების, კერძოდ: კომერციული ბანკების საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების და საფონდო ბირჟის შედეგობრივი მაჩვენებლები. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვალის პროცესში გლობალიზაციის პრინციპები არ იყო გათვალისწინებული. დღემდე ვერ განხორციელდა საფინანსო სექტორის ეფექტური ტრანსფორმაცია. რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოების სტაგნაცია გამოიწვია. საფინანსო სექტორში საბანკო სეგმენტს მონოპოლიური ადგილი უკავია. ბანკებს შორის კონკურენცია სუსტია. საფონდო ბაზარი განუვითარებელია. შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის მხარჯველი სუბიექტები ვერ იყენებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის პირდაპირი დაფინანსების ეფექტურ შესაძლებლობებს, დამზოგველ სუბიექტებს კი ფინანსური რესურსების განთავსების ალტერნატიული შესაძლებლობები არ გააჩნიათ. რაც თავის მხრივ აფერხებს ინვესტიციებში დაბანდებს და ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსვლას.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამომცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	გიორგი ცაავა	ბანკის საკრედიტო პორტფელისა და საკრედიტო და საპროცენტო რისკების ურთიერთკავშირის მართვა.	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2016 N 4 (4)	თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო „სეუ 2016“,	გვ. 45 - 53.
2	გიორგი ცაავა	ფინანსური მენეჯმენტი და ეფექტიანი მართვის პრობლემები. - თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2016“,	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2016, 4 (4), 2016, N 4 (4),	თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2016“,	გვ. 59 - 65
3	გიორგი ცაავა	სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის პრობლემების თეორიული ასპექტები. - თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2016, N 4 (4),	თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2016“,	გვ. 92 - 98.
4	ნანა შონია	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე	ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ N2	ბათუმი, 2016 წ. ტომი 2	გვ. 18 - 21
5	ჭელიძე მ., ბერიძე თ.	რისკების მართვა საბანკო სფეროში.	3 (21)	თბილისი, გამომცემლობა	3

		ჟურნალი „ათინათი“.		„უნივერსალი“	
6	გ. ცაავა ვ. მოსიაშვილი	ფინანსური ტრანზაქციების ახალი გადასახადის შემოდების აუცილებლობა	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ჟურნალი „სეუ & მეცნიერება“, № 3.,	თბ., 2016.	7 გვ.
7	ვ. მოსიაშვილი შ. ბერუაშვილი	The analysis of foreign trade of Georgia after the accession in the WTO	საერთაშორისო აკადემიის ჟურნალი „ათინათი“, № 2/(20),.	თბ., 2016.	7 გვ.
8	ვ. მოსიაშვილი	ფინანსური ურთიერთობები თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ გარემოში	საერთაშორისო აკადემიის ჟურნალი „ათინათი“, № 3/(21),.	თბ., 2016.	6 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. სესხებზე ფასების ადეკვატური დადგენა კრედიტორისაგან სესხის არდაფარვის რისკისადმი, პორტფელური რისკისადმი და პროცენტული რისკისადმი ყურადღებას მოითხოვს. პორტფელური რისკი თითოეული ცალკეული სესხის ეკონომიკურ მდგომარეობასთან კოვარიაციით განისაზღვრება პროცენტული რისკი ბანკებისათვის სესხების მიხედვით მცურავი საპროცენტო განაკვეთების დადგენით ნიველირდება. ბანკის საკრედიტო პორტფელის მათვის განხილული ასპექტები ამომწურავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მოცემული დებულებების პრაქტიკაში გამოყენება ქვეყნის კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხისა და თვით ბანკების საიმედოობის ამადლების საწინდარია.

2. აღნიშნულია, რომ მულტიპლიკატორის მოდელი ყველაზე ნათლად გამოხატავს წარმოების მოცულობაზე ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის ზემოქმედებას. წარმოების ერთად-ერთ მოგებიან დონეს ისეთი მდგომარეობა წარმოადგენს, რომლის დროსაც მომხმარებლების მიერ შექმნების მოცულობა ზუსტად მეწარმეებისათვის საჭირო წარმოების მოცულობის ტოლია. ინვესტიციები წარმოების მოცულობაზე მულტიპლიკაციურ ეფექტს ახდენს. მითითებულია, რომ საჭიროა დავიმახსოვროთ შემდეგი: მულტიპლიკატორის უმარტივესი მოდელი წარმოებისა და შემოსავლის სიდიდის ცვლილებაში მოთხოვნის სიდიდის ცვლილების განსაკუთრებულობაზე უსვამს ხაზს. ამასთან ყველაზე მთავარია - იგი რესურსების არასრულად გამოყენების სიტუაციისათვის არის მოხერხებული. ხაზგასმულია, რომ ფისკალური პოლიტიკის ანალიზი მულტიპლიკატორის კეინსიანურ მოდელზეა დაფუძნებული. აღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხარჯების გადიდება,

კერძო პირების გადასახადებისა და ინვესტიციების უცვლელობის პირობებში, მშპ-ს მოცულობას მნიშვნელოვნად უფრო მეტ სიდიდეზე აღიღებს, ვიდრე ხარჯების საწყისი ცვლილება. გადასახადების დონის შემცირება, კერძო ინვესტიციებისა და სახელმწიფო ხარჯების უცვლელობის დონისას, ეროვნული წარმოების წონასწორობის დონეს ამადლებს. მაგრამ რამდენადაც არსებული შემოსავლის თითოეული დამატებითი დოლარი მხოლოდ ნაწილობრივ მიდის დანაზოგებზე, მოხმარების გადიდება ზუსტად არ შეესაბამებოდეს იქნება არსებული შემოსავლის ნაზარდს, აქედან გამომდინარე, გადასახადების მულტიპლიკატორი ნაკლებია სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს ინტერესებსა და გადასახადგადამხდელების ინტერესებს შორის წინააღმდეგობების არსებობა მათ „ანტიფისკალურ“ ქცევაში და გადასახადების გადახდის სამართლებრივ ნიჰილიზმში გამოიხატება, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს. ფიზიკური პირების შემოსავლების გადასახადით დაბეგვრა საგადასახადო დატვირთვის არათანაბარი განაწილებით ხასიათდება, რაც არყვეს მოსახლეობის „საგადასახადო პატიოსნების“ საფუძველს. ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტალური საფუძვლები დღეს, ბოლო ათწლეულის პერიოდში თანამედროვე რეალიების და შემუშავებული შედეგებისა და კვლევების გათვალისწინებით, გადააზრებას და კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს.

3. საქართველოს ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე პასუხისმგებლობის დაზღვევა დაბალი მოთხოვნადობით ხასიათდება, მიუხედავად იმ იდეისა რისი მატარებელიც აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტი არის. პასუხისმგებლობის დაზღვევა ის აუცილებელი ატრიბუტია საფინანსო-სადაზღვევო სისტემისა, რომლის გარეშეც დღევანდელი მაღალგანვითარებული სახელმწიფო წარმოუდგენელია. შესაძლებელია ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების კვალდაკვალ აუცილებლად უნდა მოხდეს, დაზღვევის, და კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევის უფრო მეტად შესვლა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამან არა გარკვეული ტვირთის, არამედ სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნება უნდა დატოვოს სადაზღვევო პროდუქტით მოსარგებლეში, ამისთვის კი აუცილებელია სადაზღვევო პრემია შესაბამისი პოლისის მფლობელის მოსალოდნელ ზიანზე ნაკლები სიდიდის იყოს.

4. ჩვენს ქვეყანაში პრობლემები, როგორც ზოგადად სადაზღვევო ბიზნესში, მრავლადაა პასუხისმგებლობის დაზღვევაშიც. აღსანიშნავია, რომ ისეთი პრობლემების მოგვარება, რომლის შედეგადაც არსებული სოციუმი უფრო დაცულად იგრძნობს თავს, ხელეწიფება მხოლოდდამხოლოდ სახელმწიფოს, თუმცა აუცილებელია შესაბამისი ქმედებები სადაზღვევო კომპანიათა ჩართულობით განხორციელდეს. შესაძლებელია, პასუხისმგებლობის დაზღვევის პრობლემატიკა რამოდენიმე ერთმანეთთან მჭიდროდ არსებულ პრობლემად დავსახოთ, კერძოდ - დღეისათვის ეროვნულ ბაზარზე არსებობს ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტი, მაგრამ კვლევის შედეგად მხოლოდ 0,3 პროცენტი სარგებლობს აღნიშნული პროდუქტით, ამიტომ მიგვაჩნია რომ აუცილებელია ამ პროდუქტის საგადასახადო სახედ გადაქცევა მზღვეველებისა და სამედიცინო დაწესებულებების დახმარებით. სწორედ ამ სუბიექტებს შეუძლიათ თითოეული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას შემთხვევით რისკებისაგან. შესაძლებელია შესაბამისი სქემის განხორციელება გარკვეული პროგრამის მეშვეობით სადაც

სახელმწიფოსა და ექიმს შორის უშუალოდ რგოლებად სამედიცინო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები მოგვევლინებინ.

5. ნებისმიერ საქმიანობაში მოგების მაღალი დონე, როგორც წესი, დაკავშირებულია მაღალი რისკის შემცველი ოპერაციების განხორციელებასთან. საბანკო საქმიანობაში რისკიანებად ითვლება ძალიან მომგებიანი, ან ძალიან წამგებიანი ოპერაციები. ამასთან, მაქსიმალური მოგების მიღების პოტენციური შესაძლებლობა იზრდება რისკის ხარისხის ზრდასთან ერთად. სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებისას რისკის ხარისხის ანალიზის დროს ბანკი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, რათა მაქსიმალურად შეამციროს შესაძლო ზარალი.

6. ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. მითითებულია, რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე ახალი გადასახადების შემოღება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების აღრიცხვიანების დარეგულირების როლს შეასრულებდა. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი აუცილებელი გადასახადის დადგენის მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ქვეყნის ბიუჯეტში რეალური დამატებითი რესურსების წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი იქნება.

7. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს ისეთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევენ მსოფლიოს დაბალგანვითარებად ქვეყნებს გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში. აღსანიშნავია საქართველოს თანამშრომლობა მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, განსაკუთრებით კი მის ერთ-ერთ ორგანიზაციასთან-რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (ინგლ. International Bank for Reconstruction and Development-IBRD).

2015 წლის მაისში ორგანიზაცია IBRD წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან. შეხვედრის აქტუალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაცია აპირებს ინვესტიციების ჩადებას სხვადასხვა დარგებში. მოდით გადავხედოთ ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მიღწეულ შედეგებს და დავრწმუნდეთ პროდუქტიულია თუ არა მასთან თანამშრომლობა.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ინგლ. International Bank for Reconstruction and Development-IBRD), წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ძირითად დაწესებულებას. ის არის მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია. იგი გაეროს სპეციალიზებული სახელმწიფოთაშორისი ინვესტიციური

ინსტიტუტია, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად 1944 წელს ბრეტონ-ვუდის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად. ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო 1946 წლიდან.

8. მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულსა და ორმოციანი წლების დასაწყისში და მეორე მსოფლიო ომის "უდიდესი დეპრესიის" მტკივნეული გაკვეთილების შემდეგ აშშ-მა თავის თავზე ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის აღდგენის საქმეში დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის ლიდერის როლი აიღეს. ამერიკული მთავრობის აღნიშნულმა ძალისხმევამ ევროპაში მარშალის გეგმის და აზიაში განსაკუთრებით იაპონიაში და ჩინეთში დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფორმა მიიღეს. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნა ჩამოყალიბებული, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) 1944 წელს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) 1945 წელს, გენერალური შეთანხმება ტარიფებთან და ვაჭრობასთან მიმართებაში 1945 წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 1949 წელს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჭელიძე მ., გელიტაშვილი გ.	საკრედიტო რისკის მართვის შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016 წლის 11-12 ნოემბერი.

2	ქუთათელაძე რ., ყიფიანი მ., ჭელიძე მ.	ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე	IV საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2016 - „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური განვითარების და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. თბილისი, 2016 წლის 14-15 ოქტომბერი.
3	ჭელიძე მ.	ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2016“. თბილისი, 2016 წლის 3-4 ივნისი.
4	ვ. მოსიაშვილი	„ტურიზმის პირდაპირი და ირიბი გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე“,	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები“ 7-8 მაისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ, თბილისი 2016.
5	გიორგი სულაშვილი, ჟანა გაბარაევი	ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი აუდიტორულ საქმიანობაში	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC 2016. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების - მოდელები: გუშინ, დღეს და ხვალ“, 14-15 ოქტომბერი, 2016 წ.

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. საკრედიტო რისკები ყველაზე გავრცელებულ და სახიფათო რისკებს მიეკუთვნება, რამდენადაც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობასთან, ხოლო ბანკების გაკოტრება დიდწილად არის განპირობებული სწორედ მსესხებლების მიერ სესხების დაუბრუნებლობით

და ბანკის არათანმიმდევრული პოლიტიკით რისკების სფეროში. ამიტომ, საბანკო-საკრედიტო რისკის მართვის საკითხი, რომლის დროულ გადაჭრაზე დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის ეფექტიანი საქმიანობა და ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს.

2. საზოგადოებრივი განვითარება დაკავშირებულია მთავარ მიზანთან - კაცობრიობის კეთილდღეობის ზრდასთან მისი ყველა გამოვლინებით. თუმცა, რაც უფრო მაღალ შედეგებს აღწევს საზოგადოება ეკონომიკური განვითარების კუთხით, მით უფრო აშკარა ხდება კეთილდღეობის მაჩვენებლებსა და მოსახლეობის ცხოვრების დონეში სახელმწიფოთაშორისი და რეგიონალური განსხვავებები, უფრო მაღალია რისკები კეთილდღეობის იმ დონის მიმართ, რომელსაც მიაღწიეს განვითარებულ ქვეყნებში, უფრო აქტუალური ხდება ტერიტორიული გათანაბრების საკითხები, მოსახლეობის სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფისა და ცხოვრების მისაღები დონის შენარჩუნების ამოცანები.

მიღწეულ საზოგადოებრივ პროგრესს, ფაქტობრივად, მიყვარათ მსოფლიოში ეკონომიკის პერიფერიული მოდელის განმტკიცებამდე, მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების მიერ მცირე კომპანიების გაკოტრებამდე, ღარიბ ქვეყნებში მილიონობით ადამიანის ცხოვრების დონის შემცირებამდე, სიმდიდრისა და სიღარიბის კონცენტრაციამდე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უღარიბეს ქვეყნებს მიეკუთვნებიან სამხრეთ აზიის, აღმოსავლეთ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების დიდი ნაწილი. მსოფლიო ლიდერების მიერ „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ შემუშავება დაკავშირებულია სწორედ ცხოვრების დონის ამაღლებასთან ყველა ქვეყანაში.

3. ინვესტირება ფინანსურ აქტივებში ხორციელდება საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის პროცესში, რომელიც მოიცავს საინვესტიციო მიზნების დასახვას, საინვესტიციო პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციას. ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები: აქციებში, ობლიგაციებში, სხვა ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოშვებულია როგორც კერძო საწარმოების, ისე სახელმწიფოს და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ; უცხოურ ვალუტებში; საბანკო დეპოზიტებში; თეზაურაციის ობიექტებში. ფინანსური ინვესტიციების მხოლოდ ნაწილი მიემართება რეალური კაპიტალის ზრდისკენ, მათი დიდი ნაწილი - კაპიტალის არასაწარმოო დაბანდება.

საბაზრო მეურნეობაში ფინანსური ინვესტიციების სტრუქტურაში ჭარბობს კერძო ინვესტიციები. სახელმწიფო ინვესტიციები წარმოადგენენ დეფიციტური დაფინანსების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

რეალური ინვესტიციების განხორციელებისას დასახული მიზნების მიღწევის მთავარ პირობას წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და მისი შემდგომი რეალიზაციისთვის საჭირო შესაბამისი არასაბრუნავი აქტივების გამოყენება.

კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის შეფასება მოითხოვს მთელი რიგი სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას. მაგრამ გრძელვადიანი ინვესტირების სტრატეგიის არჩევაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგულდაგულო კვლევების ჩატარების შემდეგ, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმალური ვარიანტის მიღებას. ასეთი მიდგომა სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე გვაიძულებს უფრო ფართოდ და ყოველმხრივ შევხედოთ სხვადასხვა ანალიტიკური ხერხებისა და

მოდელის გამოყენებას.

4. ტურიზმი არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სახედ (სახეობად, შემადგენელ ნაწილად).

სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა - ეს არის სახელმწიფო ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების ერთობლიობა, ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე, რათა მიღწეული იქნას სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის დასახული მიზნების შენარჩუნება და განვითარება.

ზოგადად ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიმართულებები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მოგზაურთა უფლებების დაცვა; ტურისტული პროდუქტების ეროვნული მწარმოებლების ინტერესებთა დაცვა; შიდა და შემომავალი ტურიზმის სრული მხარდაჭერა, რომელმაც შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახე (რომელიც შეიძლება ამ სახით წარმოგვიდგეს):

- ა) პირდაპირი ინვესტიციების გაცემა ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში;
- ბ) ეროვნული ტურისტული პროდუქტის სამეცნიერო და სარეკლამო-საინფორმაციო მხარდაჭერა და ხელჭეწობა მსოფლიო ბაზრაზე;
- გ) საინვესტიციო ნაკადების საგადასახადო და საბაჟო შეღავათების განხორციელება.

5. IT სისტემები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ამ სფეროს განვითარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის გლობალიზაციაში, კავშირების გამყარებაში და ინფორმაციის სწრაფ გაცვლაში, რაც თავისთავად შეეხო თანამედროვე ეკონომიკის ყველა სფეროს. აუდიტშიც, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ერთ ერთი ინსტიტუტი აქტიურად დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება როგორც აუდიტის ჩატარების პროცესში ასევე შედეგების შეფასებისას. აუდიტის განვითარების და ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავება და განვითარება რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებას და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

ბ) უცხოეთში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Kipiani M., Nozadze M., Chelidze M., Beridze T.	Pension System as an Important Part of Country's Social Policy (Case Study of Georgia).	6 th World Congress of Psychology and Behavioral Sciences (Management, Psychology, Political and Social Science). Barcelona, Spain. September 6-8, 2016.

2	Челидзе М., Мосиашвили В.	Пути совершенствования налоговой системы Грузии	XI Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы современной науки». Москва-Астана-Харьков-Вена. 30 августа 2016 г.
3	Челидзе М.	Анализ рынка платежных карт Грузии	VIII очная международная научно-практическая конференция «Государство и бизнес: современные проблемы экономики». Северо-Западный институт управления Федерального государственного образовательного учреждения высшего образования «Российской академии народного хозяйства при Президенте Российской Федерации» при участии законодательных и исполнительных органов государственной власти Российской Федерации. Санкт-Петербург, 20-22 апреля 2016 г.
4	Мосиашвили В., Челидзе М.	Коррупция, как фактор, способствующий нарушению прав и свобод человека.	II международная научно-практическая конференция «Добросовестность в действии: Российский и зарубежный опыт». Новосибирск, 21-23 апреля 2016 г.
5	Мосиашвили Валери Челидзе Меде	“КОРРУПЦИЯ, КАК ФАКТОР, СПОСОБСТВУЮЩИЙ НАРУШЕНИЮ ПРАВ И СВОБОД ЧЕЛОВЕКА”	II –Я Международная научно-практическая конференция «Добросовестность в действии: российский и зарубежный опыт» 21-23 апреля 2016 г. Новосибирского государственного технического университет

6	Valeri Mosiashvili Natia Akhalkatsi	Bona fide behavior priorities in public funds management field	II –я Международная научно-практическая конференция «Добросовестность в действии: российский и зарубежный опыт» 21-23 апреля 2016 г. Новосибирского государственного технического университет.
7	Giorgi Sulashvili, Vladimer Kekenadze, Olga Khutsishvili, Bela Khotenashvili, Tsiuri Phkhakadze, Besarion Tsikhelashvili	The Tourism in the Regional Development of South Caucasus	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23-25, 2016.
8	Evgeni Baratashvili, Giorgi Sulashvili, Malkhaz Sulashvili, Bela Khotenashvili, Irma Makharashvili	The Investment Decision-making Principles in Regional Tourism	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May23-25, 2016.

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. საპენსიო სისტემა მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო სისტემებს. განვითარებად ქვეყნებში, სახელმწიფო საპენსიო სისტემას აქვს უპირატესობა კერძო საპენსიო სისტემასთან შედარებით.

საქართველოში კერძო საპენსიო სქემების განვითარება ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება. ამის მიზეზს წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე და სახელმწიფო პოლიტიკის არქონა. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემაზე გადასვლა მოითხოვს სახელმწიფო სტიმულირებას.

სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეგულირების ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა; კანონის წინაშე თანასწორობა; უნივერსალიზმი; მუდმივობა; თაობებს შორის სოლიდარობა; სახელმწიფო გარანტია.

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით: 1) სახელმწიფო პენსიის ტვირთი მძიმედ აწვება საქართველოს ბიუჯეტს და მთლიანად ფინანსურ სისტემას; 2) საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, პენსიონერთა წილი მთელს მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია.

2. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების პრობლემა. ეფექტური საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის

ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მთავარი ამოცანაა ისეთი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც იქნება მოქნილი, ეფექტური, არსებული გამოწვევების ადეკვატური, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ბიუჯეტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამეწარმეო აქტივობას, ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ნაშრომში მიზნად დავისახეთ საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლა, ანალიზი და არსებული ხარვეზების გამოსწორებისთვის რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

3. ნაშრომში მოცემულია საქართველოს საგადასახადო ბარათების ბაზრის დეტალური დახასიათება; განხილულია საგადასახადო ბარათების, როგორც გადახდის ინსტრუმენტის, განვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის როლი; მოტანილია საქართველოს საგადასახადო ბარათების ბაზრის განვითარების სტატისტიკა; გაანალიზებულია მიმოქცევაში არსებული საგადასახადო ბარათების დინამიკა, ასევე საგადასახადო ბარათების მომსახურე ობიექტებისა და ბოლო წლებში ინტერნეტით შესრულებული ოპერაციების დინამიკა მოცულობით და თანხობრივ ჭრილში.

4. ნაშრომში საუბარია ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორცაა კორუფცია, რომელიც შესაძლოა კონკრეტულ სიტუაციაში გახდეს ადამიანის უფლებების და/ან თავისუფლების შემზღუდავი ფაქტორი. საქართველოს სინამდვილეში აღნიშნული საკითხი ერთ-ერთი აქტუალურია და ამ მიმართულებით არაერთი სერიოზული პროექტი და გამოკვლევა განხორციელდა.

ცხადია, რომ კორუმპირებული ხელისუფლება, რომელიც უარყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების პატივისცემელი და დამცველი ვერ იქნება. ამიტომ, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მიმართული ქმედებები არ არის შეუთავსებელი პროცესი, ეს რთული და ურთიერთდამოკიდებული პროცესია.

კორუფცია ხელს უწყობს უთანასწორობის დამკვიდრებას, ეს კი დისკრიმინაციის მიზეზი ხდება. როგორც კორუფციის დაძლევა, ისე ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება მოითხოვს ძლიერი და ინტეგრირებული სისტემის შექმნას.

კორუფცია საფრთხეს უქმნის ადამიანის თავისუფლებას. ადამიანის უფლებების

5. ფაქტია, რომ კორუფციისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლა, საქართველოს რეალიტეტზე რომ არაფერი ვთქვათ, კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაცაა. უკანასკნელ წლებში საქართველოში საკმაოდ ბევრი იწერება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ. ჩვენს პირობებში კორუფციის თემაც ერთერთი ყველაზე აქტუალურია და ამ მიმართულებით არაერთი სერიოზული პროექტი თუ გამოკვლევა განხორციელდა. თუმცა ნაკლებადაა პუბლიკაცია, რომელშიც ამ ორი მოვლენის ურთიერთმიმართებაზე იქნებოდა ლაპარაკი. ცხადია, რომ კორუმპირებული ხელისუფლება, რომელიც უარყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების პატივისცემელად და დამცველად ვერ გამოდგება. ამიტომ, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მიმართული ქმედებები ორი სხვადასხვა შეუთავსებელი პროცესი არ არის. ეს რთული და ურთიერთდამოკიდებული პროცესია. როგორც კორუფციის დაძლევა, ისე ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება

მოითხოვს ძლიერი და ინტეგრირებული სისტემის შექმნას. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ როგორც ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში, ისე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი როლი სამოქალაქო საზოგადოებას ენიჭება. როდესაც სახელმწიფო არ ებრძვის კორუფციას და მის სხვა გამოვლინებებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის ვერც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს დაიცავს.

მაინც რომელი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უწყობს ხელს კორუფცია? ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ნათქვამია: „ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თავისი ღირსებითა და უფლებებით თანასწორი“. ადამიანის ღირსება – მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისება, რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების მიუხედავად, თავისუფლებასა და თანასწორობასთან ერთად, ის ფუნდამენტია, რომელზედაც დაფუძნებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

6. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია თუ როგორი უნდა იყოს კეთილსინდისიერი ქცევის პრიორიტეტები საჯარო სახსრების მართვისა და საბაჟო-საგადასახადო სისტემის სფეროში. დახასიათებულია მიმდინარე ეტაპზე საქართველოში არსებული პრობლემები და მოცემულია იმ ღონისძიებების სიტემა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აღნისნულ სფეროებში ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საგადასახადო შემოსავლებისა და ბიუჯეტის ხარჯების სამართლიანად და კეთილსინდისიერად მართვის საკითხებზე.

საჯარო სახსრების მართვა. ბიუჯეტის როგორც ფორმირების, ასევე საბიუჯეტო სახსრების მართვის პროცესი ხშირად კორუფციულ ხასიათს იძენს, რისი დაძლევაც შესაძლებელია გამჭვირვალებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის გზით.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიზანშეწონილია პრინციპის - პოლიტიკა პროგრამა-ბიუჯეტირება-მონიტორინგის გამოყენება, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდება სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო პროგრამებით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად. დაიწყება პროგრამული ბიუჯეტის ცხოვრებაში რეალურად დანერგვა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპების დანერგვის მიზნით აუცილებელია, მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საბიუჯეტო პრიორიტეტების, პროგრამებისა და ასიგნებათა მიზნების ფორმულირების პროცესში, ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი პრიორიტეტები საზოგადოებრივ საჭიროებათა მონაწილეობითი დიაგნოსტიკის გზით.

7. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტურიზმი ვითარდება სწრაფი ტემპებით და აქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ტურიზმი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ტურიზმის განვითარების წყალობით იქმნება ათასობით სამუშაო ადგილი, მაგრდება მცირე და საშუალო ბიზნესის პოზიციები, მაღლდება მოსახლეობის კულტურა და განათლება.

ტურისტული ინდუსტრია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შეიძლება განისაზღვროს როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რომელიც მოიცავს: სამგზავრო ტრანსპორტს მისი ტექნიკური მომსახურების ქსელით, სხვადასხვა სახის სპეციალიზირებული ტურისტულ საწარმოებს, მომსახურების ფართო ქსელს, რომლითაც სარგებლობენ ტურისტები.

8. ეკონომიკური განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ

განვითარებას. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილად და მოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. რეგიონული განვითარება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად.

**საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის**

2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. გიულმამედოვი, მ. ჩხარტიშვილი, თ.ბაკურაძე	Azərbaycanca-Gürcüca- İngilizcə danışıq kitabı აზერბაიჯანულ- ქართულ-ინგლისური სასაუბრო Azerbaijani-Georgian- English Phrasebook	სტუ-ს გამომცემლობა	156 გვერდი
2	ხათუნა ჩაფიჩაძე	“ევროპის ინდივიდუალურობა: კულტურა და იდეოლოგია” (ლექციების კურსი)/ელექტრონული სახელმძღვანელო	თბილისი, საქართველო	120 გვ.
3	ხათუნა ჩაფიჩაძე	“ევროკავშირის რეგიონული ინტეგრაცია” (ლექციების კურსი)/ელექტრონული	თბილისი, საქართველო	145 გვ.

		სახელმძღვანელო		
4	თამარ მეტეხე	Theory and Practice of Translation. A Course of Lectures and Texts for Translation for Post-Graduate Students at the Department of Informatics. Publishing House of Georgian Technical University	Tbilisi, Publishing House of Georgian Technical University 2016	250 გვ.
5	ტ.მეგრელიშვილი	თანამედროვე რუსული და რუსულენოვანი ლიტერატურული პროცესი	ელექტრონული სახელმძღვანელო, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ-ს ბიბლიოთეკის კატეგორია: CD- CD-2385	150 გვ.
6	ტ.მეგრელიშვილი	Text-file. Русский язык - B2.2. (ტექსტ-ფაილი. რუსული ენა - B2.2.)	ელექტრონული სახელმძღვანელო, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ-ს ბიბლიოთეკის კატეგორია: CD- CD-2393	186 გვ.
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. სასაუბრო შეიცავს ფრაზებისა და გამოთქმების ტიპურ მოდელებს თემების ფართო სპექტრისათვის, ტექსტებს ქართულსა და ინგლისურ ენებზე თანახლავს ტრანსკრიპცია, რომელიც ამ ენების ბგერებს გადმოსცემს. სასაუბრო განკუთვნილია როგორც საქართველოში მცხოვრებ, ასევე აზერბაიჯანიდან ჩამოსული აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის, რომლებიც ქართულსა და ინგლისურს სწავლობენ. მასალა განლაგებულია თემატური პრინციპის მიხედვით, ხშირად გამოყენებადი სიტუაციებისათვის (გაცნობა, სასტუმრო, რესტორანი და ა. შ.) მოცემულია ტიპური ფრაზები და გამოთქმები. სასაუბრო ხელს შეუწყობს სტუდენტებს სათანადო ლექსიკის გამოყენებაში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სიტუაციების დროს (ქალაქში გასეირნება, საყიდლებზე სიარული და ა. შ.) და გაუადვილებს მათ კონტაქტის დამყარებას ქართულენოვან და ინგლისურენოვან მოსაუბრეებთან.</p> <p>2. ლექციების კურსი პირველყოფლისა განკუთვნილია სტუ-ს ევროპის მცოდნეობის სპეციალობის სტუდენტ-ბაკალავრებისათვის, თუმცა ამავდროულად მის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ევროპის მცოდნეობის,</p>				

რეგიონმცოდნეობისა და სოციალურ მეცნიერებათა სპეციალობების ფართო სპექტრის ბაკალავრი, მაგისტრანტი თუ დოქტორანტი სტუდენტები საქართველოში ფუნქციონირებადი სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ასევე, სახელმძღვანელო საინტერესო უნდა იყოს ზოგადად ევროპისა და კონკრეტულად, მისი კულტურისა და იდეოლოგიის ძირითადი ტენდენციებისა თუ მიმართულებების შესწავლით, აგრეთვე მსოფლიო ღირებულებებში ე.წ. დასავლურ ფასეულობათა სპეციფიკური როლისგარკვევით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

3. ლექციების კურსი უპირველესად განკუთვნილია სტუ-ს ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტ-ბაკალავრებისათვის, თუმცა ამავედროულად მის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ევროპისმცოდნეობის, რეგიონმცოდნეობისა და სოციალურ მეცნიერებათა სპეციალობების ფართო სპექტრის ბაკალავრი, მაგისტრანტი თუ დოქტორანტი სტუდენტები საქართველოში ფუნქციონირებადი სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ამასთან, სახელმძღვანელო საინტერესო უნდა იყოს ევროკავშირის რეგიონული ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებისა თუ აღნიშნული პოლიტიკისა და კონკრეტულ რეგიონებთან მიმართებაში ინდივიდუალურ სტრატეგიათა შემმუშავებელი ინსტიტუციებისა და მათი განმახორციელებელი სტრუქტურების შესწავლით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

4. სახელმძღვანელო „თარგმანის თეორია და პრაქტიკა ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის“ წარმოადგენს საჭირო სამეცადინო მასალას ინგლისური ენის პედაგოგებისათვის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში „თარგმანის თეორია“ მოცემულია 15 სალექციო მასალა თარგმანის თეორიაში, სადაც განიხილება თარგმანის თეორიის ძირითადი საკითხები. სახელმძღვანელოს თეორიული ნაწილი შეიძლება იყოს გამოყენებული თარგმანის თეორიის სწავლების დროს ყველა ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ავტორს მოყვანილი აქვს 15 სათარგმნი ტექსტი ინფორმატიკის ფაკულტეტის მაგისტრატურისთვის. ყველა ტექსტს ახლავს სამენოვანი ლექსიკონი და სპეციალური ტერმინების განსაზღვრებები. სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი წარმოადგენს ინგლისურ-ქართულ-რუსული სპეციალური ტერმინების ლექსიკონს და სათარგმნი მასალისთვის აუცილებელ აკრონიმების და დეფინიციების ნუსხას. სპეციალური ტერმინებისთვის ქართული და რუსული ექვივალენტების მოძებნა ყველაზე სწრაფად განვითარებადი მეცნიერების სფეროში წარმოადგენდა ავტორის ერთ-ერთ ძირითად მიზანს. ლექსიკონი შედგება 623 ერთეულისაგან.

5. სტუდენტ - დოქტორანტებისათვის განკუთვნილი სასწავლო სახელმძღვანელო
6. ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო სახელმძღვანელო, რომლებიც რუსულ ენას სწავლობენ სწავლების მაღალ ეტაპზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებ ის რაოდენ ობა
1	ნ.ბოჭორიშვილი	“სწავლების მეთოდების გამოყენება”, გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული.	№6	თბილისი 2016 გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	5 გვ.
2	ია ბურდული	პოსტმოდერნისტული ასპექტები... რა არის ჩემთვის ემიგრაცია კრებული: მიგრაციის პროცესები და იდენტობის ტრანსმისია	იბეჭდება	თსუ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი თბილისი 2016	7გვ.
3	ია ბურდული	ჰერმან ჰესეს თამაშის ელემენტები პოსტმოდერნიზმის ზღურბლზე და პიესა კოტრაბასი სამეცნიერო ჟურნალი სეუ და მეცნიერება	№4	სეუ თბილისი 2016	7გვ.
4	ია ბურდული	ვინ არის რაინდი? (“ვეფხისტყაოსნისა” და გერმანული ეპოსის მოტივები) სიმპოზიუმი- ვეფხისტყაოსანი და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში. თაამედროვე ინტერპრეტაციები	7	თსუ, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2016	5გვ.

		საერთაშორისო კონფერენციის მასალები			
5	ია ბურღული	Kulturwandel im Fahrwasser der Postindustrialisierung პოსტინდუსტრიალიზაც იით გაპირობებული კულტურული ცვლილებები სამეცნიერო ჟურნალი სეუ და მეცნიერება	№3	სეუ თბილისი 2016	5 გვ.
6	ხათუნა ჩაფიჩაძე	ირანი, როგორც მზარდი რეგიონული ძალა სამხრეთ კავკასიაში"/ "ირან- საქართველოს თანამედროვე ურთიერთობები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები	(გამოცემის პროცესშია)	თსუ თბილისი 2016	5 გვ.
7	ხათუნა ჩაფიჩაძე	ვარშავის სამიტის წინა რეალიები"/ "ვილნიუსის სამიტიდან ბუქარესტის სამიტამდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს	(გამოცემის პროცესშია)	თბილისი 2016 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	5 გვ.

		განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები		საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები	
8	ხათუნა ჩაფიჩაძე	თანამედროვე ქართული ფემინიზმის სპეციფიკა”/მსოფლიო და გენდერი“ სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრისა და სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	№4	სტუ. თბილისი 2016	6 გვ.
9	ხათუნა ჩაფიჩაძე (თანაავტორი: ემილია ალავერდოვი)	"For the Question of Significance of the World War II in the 21st Century"/ “მეორემსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია” სტუ. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, სტუ-ს ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად ორგანიზებული	(გამოცემის პროცესშია)	სტუ. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, სტუ-ს ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად	5 გვ.

		საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები		ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები	
10	გამყრელიძე ნ.	გენდერული ასპექტების კომუნიკაციური სპეციფიკა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და კავკასია“ მოხსენებათა თეზისების კრებული, 2016 წლის 17 ივნისი		თბილისი 2016	4-5 გვ
11	ზ. გურამიშვილი	რუსული ენის შესწავლის ეფექტურობის გაზრდა ფრაზელოგიზმების შესწავლის პროცესში ჟურნალი „განათლება“	№1 (15)	სტუ,	4
12	ზ. გურამიშვილი	საქმიანი თამაშების როლი სტუდენტების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაში, რუსული ენის, როგორც უცხოურის ათვისებაში ჟურნალი „განათლება“	№2 (16)	სტუ,	5
13	ოლღა კალანდარიშვილი	„რუსული ზმნის აპექტის სწავლება ქართულ აუდიტორიაში“ ჟურნალი „განათლება“	ჩაშვებულია დასაბუქდად	სტუ. თბ. 2016	4 გვ.
14	ნინო ლომსაძე	“Different levels of proficiency and the influence of large classes in the English Language	N6	თბილისი 2016 საერთაშორისო სამეცნიერო კრებული გურამ	5 გვ.

		teaching Process”. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული		თავართქილადის სასწავლო უნივერსიტეტი	
15	ნინო ლომსაძე ნინო ბოჭორიშვილი	“ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების და მიდგომების ზოგადი მიმოხილვა” V საერთაშორისო კონფერენცია “ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები.”	V საერთაშორისო კონფერენცია “ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები.”	თბილისი 2016 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვ.
16	თამარ მებუკე Tamar Mebuke	Translation as Interpretation in Ganatleba, Georgian Technical University	№2 (16)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2016	7 გვ.
17	თამარ მებუკე Tamar Mebuke	On Interlinguistic Translation. In: Verbal Communication Techniques – 5 International Conference Proceedings	Proceedings of the Fifth International Conference	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016	5 გვ.
18	მურმან პაპაშვილი	ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანტოკათოლიკური პროპაგანდა ოდიშის სამთავროში გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი კრებული შრომათა	კრებული №9	გორი 2016 გამ-ბა “კოლორპაკი”	24 გვ. (126-149)
19	მურმან პაპაშვილი	ჯუსტინო ლივორნოელის ერთი	კრებული №10	გორი 2016	

		დღემდე უცნობი რედაცია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი კრებული შრომათა		გამ-ბა “კოლორპაკი”	18 გვ. (204-216)
20	მურმან პაპაშვილი	1274 წლის ლიონის კრება და საქართველო გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი შრომათა კრებული	კრებული №14	გორი 2016 გამ-ბა “კოლორპაკი”	42 გვ. (253-295)
21	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Net Jargon” სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent	№1 (29)	თბილისი, 2016 სტუ	3 გვ.
22	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Web-based teaching and new possibilities for teachers and learners” სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent	№ 2 (30)	თბილისი, 2016 სტუ	4 გვ.
23	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Characteristics of the nomination of computer terminological system” სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent	№ 3 (31)	თბილისი, 2016 სტუ	4 გვ.
24	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Internet discourse as an actively developing dynamic system” სამეცნიერო ჟურნალი Scripta Manent	№ 4 (31)	თბილისი, 2016 სტუ	4 გვ.
25	რუსუდან	“Latest Trends for Teachers	IRCEELT 2016, Volume	International Black	5 გვ.

	გოცირიძე Rusudan Gotsiridze	and Learners of English” The 6th International Research Conference on Education, Language and literature Proceedings Book	1	Sea University, Tbilisi, 22-23 .04 2016	
26	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Metaphoric Nomination in English Language Computer Terminology” International Conference “Language, Culture and World View” Proceedings Book	“Language, Culture and World View” იბეჭდება	University of Georgia, Tbilisi, 21.09 2016	3 გვ.
27	ტ.მეგრელიშვილი	Творческий интеллигент глазами «старших» символистов (Д.Мережковский. «Лермонтов - поэт сверхчеловечества») (შემოქმედებითი ინტელიგენტი „უფროსი“ სიმბოლისტების თვალთ (დ. მერეჟკოვსკი „ლერმონტოვი - ზეადამიანურობის პოეტი“)//ლიტერატურად მცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მსოფლიო მოდერნიზმი	XII	თბილისი, ივ.ჯავახიშვილი ს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	10 გვ.
28	ჟ. ვარძელაშვილი	სოციალურ ქსელებში ინტერპერსონალური ურთიერთობის პეტროგენური ერთეულები საერთაშორისო სიმპოზიუმის “Culture Dialogue of the Silk Road Countries” მასალების	(5-6.05.2016)	E-ISBN 978-975- 442-813-1 ერზრუმი, თურქეთი, ათა თურქის უნივერსიტეტის გამომცემლობა	გვ. 621- 625

		კრებული			
29	უ. ვარძელაშვილი, ნ. პვენაია	სიტყვის აზროვნული სივრცის სემანტური ტრანსფორმაციების დინამიკის ინტეგრაციული ანალიზი Special Issue of the International Virtual Forum		ISSN 2148-3582 Journal Park Open Journal Systemes Istambul University Press	გვ. 190- 200
30	ზორანიანი. მ Zoranyan, M.	Defamiliarization as an Artistic Technique of Making Language Strange სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	№1 (29)	თბილისი	4 გვ. 38 - 41
31	ზორანიანი. მ Zoranyan, M.	Hemingway’s Iceberg Principle or “How to Get the Most from the Least” სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	№2 (30)	თბილისი	5 გვ. 19 – 23
32	ზორანიანი. მ Zoranyan, M.	The Concept of “Mind Style” in Literary Stylistics სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	№3 (31)	თბილისი	5 გვ. 30 – 34
33	ზორანიანი. მ Zoranyan, M.	Foregrounding as a Means of Defamiliarization in Literary Stylistics სამეცნიერო ჟურნალი “Scripta Manent”	№4 (32)	თბილისი	5 გვ. 20 – 24
34	ზორანიანი. მ Zoranyan, M.	Symbol as a Means of Revealing Author’s Idea IRCEELT 2016. The Sixth International Research Conference on Education, Language and Literatures in English. Conference Proceedings საკონფერენციო მასალების კრებული	№6, Volume I	თბილისი, IBSU	4 pp. 119 – 122

35	ზორანიანი. მ ასლანიშვილი. მ Zoranyan, M. Aslanishvili, M.	The Disillusionment and Decline of the American Dream in F. Scott Fitzgerald's "The Great Gatsby". IRCEELT 2016. The Sixth International Research Conference on Education, Language and Literature in English. Conference Proceedings საკონფერენციო მასალების კრებული	N6, Volume I	თბილისი, IBSU	4 გვ. pp. 135 – 138
36	რუსუდან თაბუკაშვილი	კომპრესიის ფსიქოლინგვისტური ასპექტები ტექსტის პროდუცირების/რეპროდუცირების პროცესში scripta manent	N 3(31) 2016	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	14 გვ.
37	რუსუდან თაბუკაშვილი ია ჩიქვინიძე	ტექსტისა და დისკურსის დეფინირების საკითხისათვის scripta manent	N2(30) 2016	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	7 გვ.
38	რუსუდან თაბუკაშვილი მაია ჩხეიძე	ტექსტის მთლიანობის არსი ფსიქოლინგვისტურ განზომილებაში scripta manent	N2(30) 2016	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6 გვ
39	რუსუდან თაბუკაშვილი ია ჩიქვინიძე	თარგმანის ზოგადი თეორია და კომუნიკაციური ლინგვისტიკა scripta manent	N4(32) 2016	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	9 გვ.
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					

1. ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების მიმოხილვა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ასპექტები;
2. მიგრანტთა ლიტერატურის ასპექტები: სამშობლოს დაკარგვა, უსამშობლობა და უცხო მხატვრული ხატი თანამედროვე ინტერკულტურული იდენტობის საკითხის კვლევას უკავშირდება (ბერნდ ბალზერი და ვოლკერ მერტენსი, მაიერის ლექსიკონის რედაქცია 1990, გვ.414).
მიგრანტული ცნების გავრცობის პათოსი ემსახურება არა მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობისათვის – "ლიტერატურა გადასახლებაში" განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას, არამედ, ეს დამოკიდებულება ამავდროულად, ბიძგს აძლევს ასეთი ტექსტების ისეთ განხილვას, რომ გადასახლების სხვადასხვა ნაციონალური, რელიგიური და პოლიტიკური გამოცდილება მიგრანტთა გლობალურ მოძრაობას დაუკავშირდეს. ხოლო რაც ამ მოძრაობას აერთიანებს ყოვლისმომცველი სკეპტიკური დამოკიდებულებაა ეროვნული კულტურის კონცეფციისადმი. ამ საკითხისადმი ასეთი ახლებური მიდგომა, უკვე თომას მანთან იკვეთება, როგორც მნიშვნელოვანი განხილვის საგანი. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა მისი "ჯადოსნური მთა". რომანი „ჯადოსნური მთა“ უცხო გარემოდ აღიქმება და მასში ემიგრაციის ირონიული ინტერტექსტუალობა შრეებად ლაგდება.
3. პოსტმოდერნიზმი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ის ეპოქას გამოსახავდა. მავე დროს, ეს ეპოქა ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე მისი აღქმის გამოსახატავად გამოიყენებდნენ ტერმის *პოსტმოდერნს* ან *პოსტმოდერნიზმს*. XX საუკუნეში, გასაკუთრებით მის მეორე ნახევარში, აქტუალური გახდა რეალიზმსა და არარეალისტურ სტილებზე ძველი კრიტერიუმებისა და არსებული დეფინიციის გადასინჯვა, რადგან რეალიზმის ცნება მეტისმეტად გაფართოვდა, მან თავისებურად შეითვისა ფატასტიკური ელემენტი და ზღვარი რეალიზმსა და არარეალიზმს შორის არამყარი გახდა. თეატრსა და კულტურაში დაიწყო ტრადიციებისა და ყველა საუკუნის ნოვაციების გადასინჯვა. ამ სიტუაციაში, 60-იან წლებშიც კი გერმანულ ლიტერატურეს ტრადიციულ და ახალ ტედეციებს შორის *გარდამავალი მდრომარეობა* გააჩნდა. ამით გამოირჩევა გერმანული უახლესი ლიტერატურა ინტერნაციონალური ლიტერატურული სცენისაგან. ასეთი მიმეტური გამომსახველობა მსუბუქი იუმორითა და ფანტასტიკური ელემენტით ჰერმა ჰესეს ტექსტში აშკარად იკვეთება, რასაც პატრიკ ზიუსკინდის გახმაურებული თანამედროვე პოსტმოდერისტული პიესა კონტრაბასი ეხმიანება.
4. ფოლკლორულ თემატიკაზე შექმნილი რომანტიკული და საგმირო თქმულებები არსებითი მასალაა როგორც აშუღური, ასევე ტრუბადურების (გერმანიაში ტრუვერთა) პოეზიისა და ჰანგისათვის (ონ – ისათვის), მაგრამ სოციალური და ყოფიერების საკითხები არ ყოფილა უცხო არც დასავლური და არც აღმოსავლური სარაინდო ხანის პოეზიისათვის, რაც ასევე ხშირად ხალხური ფესვებიდან, ძველი თქმულებებიდან იღებდა სათავეს. ეს მოტივები აქტუალური იყო არა მხოლოდ მოხეტიალე მუსიკოსების, არამედ აგრეთვე საკარო ლიტერატურისათვის და სარაინდო რომანის მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა. სამყაროს ქმნადობა, სამყაროს არსი სიყვარულია

“ვეფხისტყაოსანში”. პოემის პერსონაჟებისათვის სიყვარულისათვის ბრძოლა, სიყვარულის ძიება არის გზა სამყაროსაკენ, სამყაროს შეცნობისაკენ, საწყისის არსისაკენ, რაც პოემის პროლოგშია გადმოცემული. სამყაროს არსის ეს საიდუმლო და მისკენ სავალი გზა გრაალის თასის სიმბოლოში იყრის თავს გერმანული სარაინდო რომანის მთხზველის ვოლფრამ ფონ ეშენბახის საგმირო ეპოსში “პარციფალი”. ეს არის სიყვარულისკენ გასავლელი გზა, დაბრკოლებებით, შეცდომების დაშვებითა და მათი გაცნობიერებით, გზა, რომელიც უნდა განვლოს ჭეშმარიტმა რაინდმა, რომ შეიცნოს გრაალის საიდუმლო – ჭეშმარიტი სიყვარული, შეიმეცნოს მოყვასის განცდა. მაშინ სრულდება რაინდის გასავლელი სახიფათო გზა. “ვეფხისტყაოსნის” ბოლოს ვკითხულობთ: “გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა...” და ეს ფინალი მავანის ცხოვრების ბოლოს გაცდილ ემოციას მოერგება ნებისმიერ ეპოქაში. “ღამის სიზმარი”, “სიმუხთლე ჟამისა” გერმანულ საგმირო ეპოსში “სიმღერა ნიბელუნგებზე” ტექსტის დასაწყისშივე იჩენს თავს; კრიმჰილდეს სიზმარში დასაწყისშივე იხსნება დასასრული, მაგრამ კრიმჰილდე მაინც გაივლის გზას სიყვარულის სისხლიან დასასრულამდე. განსაკუთრებულია ქალური მუხტის ზეგავლენა რაინდულ სულისკვეთებაზე და ქალის გავლენა სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას როგორც “ვეფხისტყაოსანში”, ასევე ეპოსში “სიმღერა ნიბელუნგებზე”. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟ ქალებს მაღალი სტატუსი გააჩნიათ, რაც შესაბამის აღზრდასთან ერთად, უფლებას აძლევთ მათ თამამი და სისხლიანი გადაწყვეტილებებიც კი მიიღონ. ისინი სიყვარულით იმყარებენ ძალაუფლებას და ძალაუფლებას წირავენ სიყვარულისათვის. რაც შეეხებათ დაბალი სტატუსის ქალ პერსონაჟებს, მათი ფსიქო-ტიპი და რაინდებთან დამოკიდებულება, მათი გავლენა რანდთა ცხოვრებაზე განსხვავებულად იკვეთება. საგულისხმოა ასევე ქალთა ეროტიკული შტრიხები და გავლენა რაინდთა ემოციებზე. საინტერესოა, თუ რით განსხვავდება სარაინდო რომანი ადრეული საგმირო თქმულებებისაგან, როგორ იკითხება რეალობა და როგორ ჩამოყალიბდა რაინდის მხატვრული ხატი.

5. დღეს პოსტმოდერისტულ დისკურსში ცნებები „სოციალური“ და „საზოგადოება“ მხოლოდ თეორიული კონცეპტები აღარ არის, ისინი ცოცხალ ურთიერთობებს აყალიბებენ. გლობალიზაციის პროცესს ამიტომაც შესწევს უნარი შეასუსტოს ერთიანი სახელმწიფო- ნაციის შემოთავაზებული იდეა და სავარაუდო ინტეგრაცია, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება, ვერ ვიტყვით, რომ თითქოს ეს პროცესი დასრულდა. ამავედროულად აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო კულტურისა და გლობალიზაციის პროცესებისა და ფასეულობების ზრდასთან ერთად ფართოვდება სიმბოლოები, გამომსახველობები და ვითარდება კულტურების მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის გაცნობიერების პროცესები. სინკრეტიზმი და ჰიბრიდიზაცია დღეს, როგორც წესი, უკვე იშვიათია.

დღეს კულტურა ინდუსტრიული პოტენციალის ღირებულებებს ატარებს და პოსტმოდერნისტულ დისკურსში ეკონომიკა ადამიანური მიზნებისთვის კულტურული პროცესებით მართული ბუნების გარდაქმნაა .

6. ირანის რევოლუციურმა თავისი არსით ბირთვულმა შეთანხმებამ და გაეროს,

აშშ-სა და ევროკავშირის მიერ მისადმი იქამდე ურანის გამდიდრების შეჩერების მიზნით დაწესებული სანქციების მოხსნის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებების მოლოდინი განაპირობა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის.

ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, რომელშიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც მონაწილეობენ, წარმოადგენს სტრატეგიულ ენერგო და სატრანსპორტო პროექტს ირანის, როგორც რეგიონული ძალის მზარდი განვითარების მიმართულებით ახლად შექმნილ განსხვავებულ გლობალურ რეალობაში.

7. სტატიაში მოცემულია ნატო-ს სამიტების მოკლე შეფასება საქართველოსთვის, მოყოლებული ბუქარესტიდან - ვარშავამდე და გაანალიზებულია ნატო-ს ოფიციალური დაპირებები საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მასში ხაზგასმულია ის ფაქტობრივი პრობლემები, რაც აფერხებს ნატო-ს შეპირებების შესრულებას ამ მიმართულებით, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით სულ უფრო მზარდი რუსეთის წინააღმდეგობის გამო, რასაც ეს უკანასკნელი გამოხატავს არამარტო საქართველოსთან, არამედ ასევე, ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან მიმართებაში მის საზღვრებთან ახლოს. მეორეს მხრივ, სტატიაში აღნიშნულია, რომ ნატო პარალელურად აგრეთვე აძლიერებს თავის სამხედრო ინფრასტრუქტურას და შეიარაღებულ ძალებს როტაციის რეჟიმში ზრდის, რომლებიც პერმანენტულად უნდა განლაგდნენ კერძოდ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (ბალტიისპირეთში, პოლონეთში) და ასევე თურქეთში.
8. სტატია იწყება საქართველოში ქალთა მოღვაწეობის ისტორიული წინამძღვრების მოკლე ანალიზით, რაც სათავეს იღებს მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან. მასში საუბარია “ქართული ფემინიზმის” წარმოშობის ორგანულ ბუნებაზე. განხილულია “ქალთა საკითხებით” დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ან უშუალოდ ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებმაც საქართველოში ფუნქციონირება დაიწყეს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან. აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა სტატიაში კრიტიკულადაა შეფასებული ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ნაკლებობის გამო - გამომდინარე ძირითადად მათი დამოკიდებულებიდან დონორ ორგანიზაციებზე მაღალკონკურენტულ გარემოში, სადაც მოცემულმა ორგანიზაციებმა უპირატესად მოახდინეს გრანტების მოპოვებაზე ორიენტირება. სტატიის ძირითადი ნაწილი განიხილავს ქალთა და ფემინისტთა ნაკლებად სტრუქტურირებულ, მცირე ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ამჟამად ხილვადია საქართველოში. ისინი გარკვეულწილად სოციალური მედიის პროდუქტია და ახორციელებენ თვითორგანიზებად აქტივობებს, ეწევიან კამპანიებს ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ და გენდერული უთანასწორობის პოლიტიკურ-სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით.
9. სტატია ეხება მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობის საკითხს 21-ე საუკუნეში და მოიცავს ორი სხვადასხვა ეპოქის შედარებით ანალიზს მსოფლიო ომის ფენომენთან მიმართებაში, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია კონკრეტულად მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებაზე.
10. თანამედროვე ენათმეცნიერება ადამიანის სამეტყველო ენას, კულტუროლოგიურ

ჭრილში განიხილავს, რადგან იგი ერის კულტურისა მენტალური მსოფლხედვის ძირითადი გამოხატულებაა. შეიძლება ითქვას, რომ კულტურა თავადაა ენა და პირიქით ენა-კულტურაა. ენისა და კულტურის ურთიერთგანპირობებულობა წარმოქმნის კითხვას: რა არის ენა, იგი კომუნიკაციური ფუნქციის მქონე დეტერმინატორია თუ თავადაა ერის კულტურულ-შემოქმედებითი პროცესის სულისჩამდგმელი? ნაშრომი „ვერბალური კომუნიკაციის გენდერული ასპექტები“ წარმოადგენს ინტერკულტურული გენდერული კომუნიკაციის პროცესში ფონური ცოდნისა და მზა მენტალური სტერეოტიპული მოდელების იდენტურობის ხარისხის მნიშვნელობის დადგენის მცდელობას გენდერულ ჭრილში.

11. სტატიაში გათვალისწინებულია სავარჯიშოების კომპლექსი, რაც ხელს შეუწყობს უსული ფრაზეოლოგიზმების სწორედ შერჩევის და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
12. ოცემული სტატის ეძღვნება რუსული ენის, როგორც უცხოურის სწავლების როლის ამაღლებას, რომელს ერთ ერთ ელემენტს წარმოადგენს საქმიანი თამაში. განხილულია თამაშების ჩატარების პირობები, რომლებიც ხორციელდება “როლური თეორიის” ფარგლებში.
13. სტატიაში განხილულია რუსული ზმნის ასპექტის შესწავლისას მშობლიური ენის ზეგავლენით გამოწვეული ინტრეფერენციული შეცდომები და დასახულია საწყის ეტაპზე მათი დაძლევის საშუალებები.
14. ინგლისური ენის სწავლების პრობლემა მრავალდონიან ჯგუფებში და მრავალრიცხოვანი ჯგუფების გაკლენა სწავლა-შესწავლის პროცესზე.
15. ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების მიმოხილვა და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ასპექტები
16. თარგმანი როგორც ინტერპრეტაცია
იაკობსონის მიხედვით არსებობს სამი სახის თარგმანი: შიდაენობრივი (ენობრივი ნიშნების ინტერპრეტაცია იგივე ენის სხვა ნიშნებით), ენათაშორისი (სიტყვიერი ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნებით – თვით თარგმანი), და სემიოტიკური სისტემების შორისი (სიტყვიერი ნიშნების ინტერპრეტაცია არასიტყვიერი ნიშანთა სისტემების ნიშნებით). სე რომ ნებისმიერი თარგმანი წარმოადგენს ინტერპრეტაციას ვინაიდან ნიშნის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სხვა ნიშნით ინტერპრეტაციით. მის გამო უმბერტო ეკო განსაზღვრავს თარგმანს როგორც „თითქოს იგივეს თქმის“ ოსტატობას, ვინაიდან მნიშვნელობის მსგავსება დგინდება ინტერპრეტაციის გზით, და თარგმანი, პირსის განსაზღვრით, წარმოადგენს ინტერპრეტაციის კერძო შემთხვევას. თარგმანი აძლევს მკითხველს არა მხოლოდ ორიგინალის ენის და კულტურის გაგების საშუალებას, არამედ თავისი კულტურის და ენის გამდიდრების საშუალებას, ვინაიდან ნებისმიერი ინოვაციური ნაშრომის თარგმნის დროს ენა იძულებული ხდება გამოხატოს ის, რისი გამოხატვა მას არ შეეძლო, რაც ემსახურება ენის განვითარებას.
17. ენათაშორისი თარგმანი წარმოადგენს თარგმანის ისეთ სახეობას, როდესაც ტექსტი ითარგმნება ერთი ენიდან მეორეზე, როდესაც ხდება სიტყვათა ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნებით, რაც წარმოადგენს იმის მაგალითს როგორ

შეიძლება გამოხატო იგივე მნიშვნელობა სხვა ნიშანთა სისტემით. ენათაშორისი თარგმანი შეიძლება იყოს ზუსტი ან ადეკვატური, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კარგ თარგმანში გათვალისწინებულია არა მხოლოდ სიტყვების დენოტაცია, არამედ მათი კონოტაციაც. მნიშვნელობის ეკვივალენტობა არ წარმოადგენს სწორი თარგმანის კრიტერიუმს, ვინაიდან სხვადასხვა ენებს გააჩნია ერთი და იგივე მტკიცების გამოხატვის განსხვავებული საშუალებები. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ თარგმანი დაკავშირებულია ინტერტექსტუალურ, ფსიქოლოგიურ და თხრობის კომპეტენციებთან. თარგმანი აგრეთვე ყოველთვის ასახავს გადასვლას ერთი კულტურიდან მეორეზე. თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად, თუ ორ განსხვავებულ კულტურაში შეიძლება დადგინდეს ერთი და იგივე მნიშვნელობა. სე რომ თარგმანი ყოველთვის წარმოადგენს ინტერპრეტაციის კერძო შემთხვევას.

18. სტატიაში პირველწყაროებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად გამოვიკვლიეთ, თუ რატომ შეუდგნენ 1639 წელს ოდიშის სამთავროში ჩამოსული რუსი ელჩები პავლე ზახარევი და ფედოტ ელჩინი ფანტაზიით მოცულ ანტიკათოლიკურ პროპაგანდას და კათოლიკური სარწმუნოების მიმართ რუსეთში არსებული სიძულვიულის ქართულ ნიადაგზე გადმოტანას. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და შესაბამისად ოდიშის მთავარს არასოდეს აეღო ორიენტაცია “მწვალებლურ” დასავლეთზე და მის სულიერ მეთაურ რომის პაპზე. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას კი თავის საყრდენად მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია მიეჩნია, ხოლო ქართველ სახელმწიფო მესვეურებს მარტოოდენ რუსეთის სახელმწიფო ელიტებისათ “მესამე რომად”.
19. კაპუჩინი მისიონერი ჯუსტინო ლივორნოელი საქართველოში ჩამოვიდა 1678 წელს. მის სახელს უკავშირდება გორის მისიონის დაარსება, რომლის პრეფექტი იყო 1681 წლამდე. მისი ერთ-ერთი ვრცელი რელაცია, რომლის ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება ახალ ცნობებს შეიცავს თბილისისა და გორის მისიონის მდგომარეობის, საქართველოში კათოლიკობის გავრცელების სირთულეების, ქართლის მეფის გიორგი XI-ის მიერ კათოლიკობის მიღების, ქართველი კათოლიკე პერსონების სრულიად დღემდე უცნობი პირების შესახებ. გამოქვეყნებული წყარო კომენტარებით ახალ შუქს ჰყენს 1678-1681 წლების საქართველო ვაკტიკანის რელიგიურ-კულტურულ ურთიერთობებს.
20. ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლები ყურადღება მიექცა აღნიშნულ პრობლემას. ყველა ხელმისაწვდომი წყაროებისა და უცხოური სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე ავტორმა საფუძვლიანად შეისწავლა ლიონის კრების უნიატურის იდეების მიმართ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება. ნაშრომში უარყოფილია იმ მკვლევართა თვალსაზრისი, რომლებიც ირიბი წყაროების საფუძველზე ასაბუთებდნენ ქართული ეკლესიის ანტიუნიატურ განწყობილებებსა და მოქმედებას. ამ მიზნით ავტორის მიერ მოხმობილი არგუმენტები და წყაროები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ქართული ეკლესია ლიონის კრების მიმართ არანაირ პოზიციას არ ავლენდა და ინარჩუნებდა უწინდელ ლოიალურ დამოკიდებულებას, როგორც კათოლიკე მისიონერების, ასევე კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხელს არ იღებდა თავის დამოუკიდებლობაზე და არ ავლენდა უნიის მიმართ

არანაირ ინტერესს, თუმცა არც გამოხდა და არც იწონებდა მას.

21. ჟარგონი კომპიუტერულ ქსელში ჟარგონის შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი თემის სრულყოფილად გაგების თვალსაზრისით. დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად სარგებლობს ინტერნეტ და ონლაინ მომსახურებით. ტექნოლოგიური ლექსიკა რომელსაც ადრე მხოლოდ კომპიუტერის პროგრამისტები და "ჰაკერებად" წოდებული კომპიუტერით მანიპულატორები იყენებდნენ, დროთა განმავლობაში შეიჭრა კომპიუტერული ქსელების ყველა მომხმარებლის ლექსიკაში. შედეგად, ტექნოლოგიური ლექსიკა თანდათან მკვიდრდება არა-ტექნოლოგიურ კომუნიკაციაში.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის პერიფერიაზე არის ნაკლებად გამოყენებადი და ვიწროსპეციალური ტერმინები. ბირთვულ ნაწილს კი შეადგენს სამომხმარებლო და ინტერნეტის ლექსიკა, რომელიც არც თუ იშვიათად უახლოვდება ზოგადი გამოყენების ლექსიკას. ინტერნეტის ლექსიკა ინარჩუნებს პროფესიული ტექნიკური ჟარგონის ცალკეულ ნიშნებს და აქტიურად იყენებს ზოგადი მოხმარების ლექსიკას. კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემაა, რომლის ბევრი სიტყვა გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში. ტერმინოლოგიაში ექვემდებარება კომპიუტერული სლენგიც. კომპიუტერული სლენგი თავისი ხასიათით, პროფესიული ჟარგონის ნაირსახეობა, ჟარგონიზებული მეტყველებაა.

22. ინტერნეტ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სწავლება და ახალი შესაძლებლობები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის

სტატიკაში განხილულია ინგლისური ენის სწავლებისა და შესწავლის უახლესი ტენდენციები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და ახალი მიმართულებების გაჩენამ განათლების მეცნიერებაში შესაძლებელი გახადა სათანადო დონეზე დაპროექტებული, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინტერაქტიური, ხელმისაწვდომი, ეფექტური და მოქნილი ელექტრონული სასწავლო გარემოს შექმნა. ინტერნეტი ინგლისური ენის შესწავლის ალტერნატიული გზაა. მსოფლიო ქსელზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს და ინტერნეტ კავშირებს მოაქვს ახალი შესაძლებლობები განათლების სისტემაში და უახლესი მიმართულებები მასწავლებლისა და მოსწავლეების საქმიანობაში.

23. კომპიუტერული ტერმინოსისტემის ნომინაციის მახასიათებლები

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდი გავლენა საზოგადოებაზე განაპირობებს დარგობრივი სუბენების ლინგვისტური ინტერესის სფეროში მოქცევას. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სუბენას შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწორედ კომპიუტერული ტექნოლოგიების სუბენას. თუ ადრე კომპიუტერს ფლობდნენ მხოლოდ სპეციალისტები, ბოლო წლებში მას ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ კომპიუტერული სუბენის მატარებელთა მკვეთრ ზრდაზე. დღესდღეობით არა მარტო მეცნიერების, ტექნიკისა თუ მრეწველობის პრაქტიკულად ყველა სფეროს კომპიუტერიზაციის კონსტატირებაა შესაძლებელი, არამედ სახეზე გვაქვს კომპიუტერის შეჭრის პროცესი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. კომპიუტერული ტერმინოსისტემა წარმოადგენს

ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სფეროს ცნებათა ნომინაციას. კომპიუტერული ტერმინების ნომინაციის საშუალებები უნივერსალური და კოდიფიცირებულია: სიტყვა-ტერმინები და ტერმინ-შესიტყვებები. ტერმინოლოგიური ნომინაციის ხერხები ასევე უნივერსალურია: სემანტიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური.

24. ინტერნეტ დისკურსი როგორც აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემა კომპიუტერისა და ინტერნეტის ინტენსიური დანერგვა იწვევს განსაკუთრებული სახის დისკურსის - ინტერნეტ-დისკურსის ფორმირებას. ინტერნეტის ენა ერთი მხრივ ქმნის განსაკუთრებულ ენობრივ ქვესისტემას, მეორე მხრივ კი ვითარდება ზოგადეროვნული ენის წესების მიხედვით. ინტერნეტის ლექსიკა ექვემდებარება გარკვეული ენის იმანენტურ კანონზომიერებებს და არაფორმალური ლექსიკის გაჩენის პრინციპების მიხედვით ყალიბდება. ენაში ხდება განსაკუთრებული ლექსიკური სუბსისტემის ფორმირება, რომელსაც აქვს საკუთარი ენობრივი თავისებურებები და განსაკუთრებული სოციო-კულტურული მახასიათებლები. ინტერნეტმა განაპირობა ენის ფუნქციონირების ახალი გარემოს შექმნა, გაჩნდა ქსელური ან ელექტრონული ენა. თავისი არსებობის მანძილზე ამ ენამ შეიძინა ლინგვისტური თავისებურებები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ინტერნეტის ლექსიკური თავისებურებები

25. ახალი მიმართულებები ინგლისური ენის მასწავლებლებისა და შემსწავლელთათვის

მსოფლიო ქსელზე დაფუძნებული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ ახალი შესაძლებლობებისა და უახლესი მიმართულებების გაჩენას მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთობაში. უახლესი ტექნოლოგიები, როგორცაა ინტერნეტი და მობილური მოწყობილობები, აი-ფონი, და სხვ. უცხოური ენის შესწავლის ახალი შესაძლებლობაა. ენის სწავლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარტო საკლასო ოთახით და არ უნდა სრულდებოდეს საკლასო ოთახის მიღმა. ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება უნდა ხდებოდეს მუდმივად როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მიერ, რადგან ინტერნეტ კავშირი და მობილური მოწყობილობები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სასარგებლო გზაა ენის შესწავლის თვალსაზრისით.

26. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის მეტაფორული ნომინაცია მეტაფორული გადატანა ლექსემების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხია ინტერნეტის ენაში. კომპიუტერული და ინტერნეტ ცნებების გამოხატვის ძირითადი ხერხი - მეტაფორა განიხილება როგორც ფუნდამენტური კოგნიტური ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამეტყველო სქემების გადატანას ერთი კონცეპტუალური სფეროდან მეორეში.

ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტექნიკურ ტერმინოსისტემაში ტერმინ-მეტაფორები განაწილდა შემდეგნაირად:

ა.ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის ანტროპომორფული მოდელი, რომელიც გულისხმობს ადამიანს მთელი მისი ბიოლოგიური და ფსიქო-ინტელექტუალური თვისებებით და მისი მოღვაწეობის განსხვავებული გამოვლინებებით, როცა ის გვევლინება ცენტრალურ სფეროდონორად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში.

ბ.ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტექნიკური ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის არაანთროპოლოგიური მოდელი, რომელიც გულისხმობს ადამიანის გარემომცველ მოვლენებსა და საგნებს, როცა ისინი გვევლინებიან ცენტრალურ სფერო-დონორებად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში.

სამყაროს შეცნობის მეტაფორულ მეთოდს საყოველთაო ხასიათი აქვს. ინტერნეტი ქმნის საკუთარ სტერეოტიპებს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ფრაგმენტების სახით.

27. ნაშრომში განხილულია მოდერნისტული ცნობიერების საკითხები დამერეჟოვსკის კრიტიკულ მემკვიდრეობაში

28. ჩვენი გაგებით სოციალურ ქსელებში ინტერპერსონალური ურთიერთობა ერთგვარი მულტიმოდალური დისკურსია. სოციალური მედიის ინტეგრალურობა წარმოადგენს კომპლექსური კომპონენტების სინთეზს. სოციალური მედიის დისკურსში სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის შერეული კოდების ნათელი მაგალითია სუბკულტურის ელემენტი – ინტერნეტ მემი: ვერბალურ-გრაფიკული კონსტრუქტი, სურათი ტექსტით. ჩვენ ვაანალიზებთ ინტერნეტ მემს როგორც ჰეტეროგენულ კომუნიკაციურ ერთეულს, კულტურული ტექსტების რეპლიკატორს.

29. სტატიაში წარმოდგენილია სიტყვის ინტეგრაციული ანალიზის თეორიული ბაზა და მეთოდები. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, სიტყვა განიხილება როგორც დინამიკური მიკროსისტემა – ფრეიმი/კონსტრუქტი, რომელშიც კოგნიტური და ლინგვისტური პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს. ჩვენი ანალიზის მიზანია დავასაბუთოთ და შევამოწმოთ ვარაუდი, რომ გონებაში არსებობს საგნის გაგების ათვლის წერტილი. ჩვენი მოსაზრებით, ეს ათვლის წერტილია თავდაპირველი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია. მას გააჩნია ვერბალიზებული მუდმივი კომპონენტი – კონცეპტუალიზებული მნიშვნელობის მქონე პროტოტიპული ბირთვი. მრავალმხრივ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვაჩინოთ, რომ თავდაპირველი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია არის სიტყვის მნიშვნელობაში შემდგომი ტრანსფორმაციების საფუძველი. ამ ტრანსფორმაციების მამოძრავებელი ძალაა სიტყვის ინტენციური გამოყენება კონკრეტულ კონტექსტში.

30. დეფამილარიზაცია, როგორც ენისთვის უჩვეულობის მიმნიჭებელი მხატვრული ხერხი

სტატიაში განხილულია დეფამილარიზაციის ცნება ლიტერატურულ სტილისტიკაში. ტერმინი "დეფამილარიზაცია" პირველად შემოიტანა რუსული ფორმალიზმის წარმომადგენელმა შკლოვსკიმ. რუსული ფორმალიზმი უკავშირდებოდა ლიტერატურულობის ცნებას. ზემოაღნიშნული მიმდინარეობის მიზანი იყო სალიტერატურო ენის თვისებებისა და მახასიათებლების იზოლირება ყოველდღიური სასაუბრო ენისგან. რუსი ფორმალისტებისათვის ლიტერატურულობა, ან სხვაობა ლიტერატურულ და სასაუბრო ტექსტებს შორის ხორციელდებოდა დეფამილარიზაციის გზით. ისინი თვლიდნენ, რომ ნებისმიერი ხელოვნების მიზანი იყო ნაცნობის გადაქცევა უცნობად, რაშიც იგულისხმებოდა, რომ ნაწარმოების თემის შესახებ საჭირო იყო ახალი შეხედულების შექმნა მკითხველისთვის.

31. ჰემინგუეისეული აისბერგის პრინციპი ან "როგორ მიიღოთ ყველაზე მეტი ყველაზე ნაკლებიდან"

სტატია ეხება ჰემინგუეისეულ აისბერგის პრინციპს. ჰემინგუეიმა შეიმუშავა წერის სტილი, რომელიც ცნობილია როგორც აისბერგის თეორია. კრიტიკოსები ახასიათებენ მის სტილს როგორც ეკონომიურს, 'აშკარად მშრალსა და შეუღამაზებელს'. ამ სტილმა დიდი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაზე. როგორც მოკლე მოთხრობების ავტორმა, ჰემინგუეიმა ისწავლა, თუ 'როგორ მიაღწიოს მაქსიმუმს მინიმალური საშუალებებით', და ამგვარად აქციოს წერის მანერა ლაკონურად. ის ყურადღებას ამახვილებდა ზედაპირულ ელემენტებზე და აშკარად არ იხილავდა ნაწარმოების თემას. ჰემინგუეის მიაჩნდა, რომ ნაწარმოების მნიშვნელობა არ უნდა იყოს ცხადი მოთხრობის ზედაპირიდან, არამედ მოთხრობის არსი უნდა მდებარეობდეს ზედაპირის ქვემოთ, და ავტორმა უნდა მისცეს მას საშუალება, ანათებდეს იქედან. ჰემინგუეი ამტკიცებდა, რომ ზედაპირული და გარე საკითხების გამოტოვებით ნაწერი ხდება საინტერესო მკითხველისთვის.

32. "გონების სტილის" ცნება ლიტერატურულ სტილისტიკაში

"გონების სტილის" ცნება ლიტერატურული სტილისტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია "გონებრივი განწყობის" პროეცირება სახვადასხვა ლინგვისტური და კოგნიტური თვისებების გამოყენებით. "გონების სტილი" არის ავტორის, მოხრობელის ან მოქმედი პირის მსოფლმხედველობა, რომელიც გამოიხატება ტექსტის იდეური სტრუქტურით. ტერმინი შემოტანილია ფაულერის მიერ, "რათა აღიწეროს ის ხერხები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აღიწეროს ტექსტის ლინგვისტური თავისებურებები, რომელთა პროეცირებაც ხდება ზოგიერთი მოქმედი პირების ან/გე მოხრობელის თვისებებზე. ამ გზით აისახება ის ხერხები, რომელთა გამოყენებითაც ხორციელდება კონცეპტუალიზაცია და სამყაროს გააზრება მათ ირგვლივ". ყოველი ტექსტი ასახავს გარკვეულ "გონების სტილს", რომელიც შეიძლება გადაიხაროს ნორმისგან მეტად ან ნაკლებად. "გონების სტილის" ცნება შეიძლება განვიხილოთ როგორც სოლი, რომელიც მოძრაობს გონების სტილიდან, "რომელიც ადვილად ახდენს შთაბეჭდილებას მკითხველზე თავისი სიმარტივით", ისეთ სტილამდე, "რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს მხატვრული სამყაროს ორიგინალური კონცეპციით".

33. წინა პლანზე წამოწევა როგორც დეფამილიარიზაციის საშუალება ლიტერატურულ სტილისტიკაში

სტატია იხილავს წინა პლანის ცნებას ლიტერატურულ სტილისტიკაში. ეს ტერმინი თავდაპირველად იხმარებოდა ვიზუალურ ხელოვნებაში. სტილისტიკაში ის შემოღებულ იქნა ხელოვნებათმცოდნეობიდან, რომელიც ანსხვავებს ნახატის წინა პლანს და ფონს. 'წინა პლანი' დამყარდა როგორც ლინგვისტური ტერმინი (ლიტერატურულ სტილისტიკაში) როგორც საშუალება, რომლის დახმარებითაც დეფამილიარიზაციას აქვს ადგილი. იგი პირველად იქნა პრავის სკოლის ლინგვიტის მუკარჟოვსკის მიერ გამოყენებული. წინა პლანის თეორია გულისხმობს, რომ ტექსტში არსებობს გარკვეული ბგერები, სიტყვები, ფრაზები და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დანარჩენი კონტექსტისგან ანუ გარკვეული ენობრივი 'ნორმისგან', რის შედეგადაც ისინი წინა პლანზე გამოდიან და უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან. ნებისმიერი ლინგვისტური

ან სტილისტური თვისების წინა პლანზე გამოტანა შეიძლება განხორციელდეს დევიაციის (გადახრის) ან პარალელიზმის (გამეორების) გამოყენებით. წინა პლანზე გამოტანა მკითხველის ემოციებს იწვევს და ახანგრძლივებს კითხვის დროს.

34. სიმბოლო როგორც ავტორის აზრის გამოხატვის საშუალება

სტატია ეხება სტილისტურ საშუალებას – სიმბოლოს – როგორც ავტორის აზრის გამოხატვის ხერხს. სიმბოლიზმი არის ობიექტის ან სიტყვის გამოყენების ხელოვნება; იგი გამოიყენება აბსტრაქტული იდეის გამოსახატავად. მწერლები იყენებენ სიმბოლიზმს, როცა მათ სურთ მეტი მნიშვნელობა და გრძნობა მიანიჭონ თხრობას, მოცემულ აბსტრაქტულ აზრზე პირდაპირი მითითების გარეშე. ეს ხერხი ხშირად გამოიყენება მოკლე მოთხრობების ავტორების მიერ, რადგან სიმბოლიზმი აძლევთ მათ საშუალებას გამოხატონ ბევრი რამ ცოტა სიტყვების გამოყენებით. სიმბოლო შეიძლება იყოს პიროვნება, ობიექტი, მოქმედება, ადგილი, მომხდარი ფაქტი, რომელიც, თავისი პირდაპირი ანუ დენოტაციური მნიშვნელობის გარდა, გვთავაზობს უფრო რთულ მნიშვნელობას ან მნიშვნელობათა დიაპაზონს. ერნესტ ჰემინგუეი ცნობილია იმისათვის, რომ ის ხშირად იყენებდა სიმბოლიზმს როგორც ტექნიკურ საშუალებას მის ნოველებსა და მოთხრობებში. მოთხრობა “კატა წვიმაში” მოიცავს ჰემინგუეის ცხოვრებისეული ფილოსოფიის გამოხატვას. მოთხრობაში სიმბოლოების გამოყენება განსაკუთრებულია, და ეს სიმბოლოები საშუალებას გვაძლევს სხვა კუთხით დავინახოთ საგნები. ჰემინგუეის მიერ სიმბოლიზმის გამოყენებას დიდი წვლილი შეაქვს მისი მოქმედი პირების ხატების სიმდიდრეში. ეს აძლევს მკითხველს საშუალებას უკეთესად გაიგოს მოქმედი პირების გამოცდილება იმ გარემოების საშუალებით, რომელშიც ისინი არიან მოთავსებული. ისეთი სიმბოლოური ხატების გარეშე, როგორცაა გამოყენებული მოთხრობაში “კატა წვიმაში”, მოთხრობა თავის სიკაშკაშესა და კოლორიტს დაკარგავდა.

35. იმედგაცრუება და ამერიკული ოცნების დაცემა ფ.ს.ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”

სტატია ეხება ამერიკული ოცნების ცნებას ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”. ამერიკული ოცნება არის იდეალთა კომპლექსი ამერიკელებისთვის, რომელსაც მათ სთავაზობს თავისუფლება წარმატებისა და კეთილდღეობის შესაძლებლობის სახით. ეს ტერმინი შემოიტანა ტრასლოუ ადამსმა წიგნში “ამერიკის ეპოსი”. ამერიკული ოცნების თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”. მოთხრობელის ურთიერთობის მაღალ საზოგადოებასთან საშუალებით ავტორი აჩვენებს, თუ როგორ საბოლოოდ გარდაიქმნა ამერიკული ოცნების თავდაპირველად წმინდა იდეალები თანამედროვე ღირებულებების ზემოქმედებით მატერიალისტული ძალის სქმად. ფიცჯერალდი ამერიკული ოცნების დაცემაში ადანაშაულებს სიმდიდრეს, პრივილეგიებს, ჰუმანურობის ნაკლებობას. ფული ნაჩვენებია როგორც ამერიკული ოცნების დაცემის მთავარი მიზეზი. ფული შეირწყო იმედთან და წარმატებასთან და ახალ ამერიკულ ოცნებაში შეცვალა ისინი მატერიალიზმით. სიმდიდრე, რომლის საშუალებითაც გეტსბის აქვს იმედი დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული, იქცევა მისი დაცემის იარაღად. გეტსბის ცხოვრება გვეუბნება ჩვენ, რომ მატერიალიზებული ამერიკული ოცნება განაპირობებს გეტსბის ტრაგიკულ

დასასრულს.

36. სტატიაში განხილული ენობრივი მოვლენა *კომპრესია* მიხნეულია მნიშვნელოვან ფსიქოლინგვისტურ ფაქტორად დისკურსის/ტექსტის პროდუცირება/რეპროდუცირების პროცესში. დისკურსი განსაზღვრულია როგორც ტექსტი კომუნიკაციაში და აერთიანებს ენისა და ენობრივი აზროვნების ყველა ასპექტს, შესაბამისად, მოიცავს მათი კვლევის ყველა მიმართულებას. შეუფერხებელი კომუნიკაციური პროცესის განხორციელების საფუძველს ეთნო-კულტურულ, სოციოკულტურულ ასპექტებთან ერთად ქმნის ერთი მხრივ კომუნიკანტთა ფსიქოლოგიური ფაქტორი, მეორე მხრივ -რეციპიენტ/პროდუცენტის ფონური ცოდნა. დისკურსის/ტექსტის ფსიქოლინგვისტური კვლევა ეყრდნობა რეცეფცია/პერცეფციის პროცესებს. აღნიშნულ ფსიქო-ლინგვისტურ პროცესთა მთლიანობა განსაზღვრავს ტექსტის საზრისს. იგი ეფუძნება კომუნიკატორის კომუნიკაციური ინტენციის მთლიანობას და აზრობრივი პრედიკატების იერარქიას. ამ კონტექსტში ტექსტის მთლიანობის შენარჩუნება ხორციელდება კომპრესიის საფუძველზე - მარგინალური ელემენტების ჩამოშორებით არ ირღვევა დისკურსის აზრობრივი სრულყოფილება. კომპრესირებული ტექსტების პარადიგმას საკვანძო სიტყვების ფორმირების, მათი გამოყოფისა და ფორმულირების მექანიზმის საკითხიც ქმნის.
37. სტატიაში განხილულია დისკურსისა და ტექსტის გამიჯვნასთან დაკავშირებული დიქტომიები, განსაზღვრული და დაზუსტებულია ისეთი ურთიერთგადამკვეთი და მომიჯნავე ცნებების შინაარსი და არსი, როგორებიცაა ენა და მეტყველება და მათ ჭრილში მიმოხილულია ტექსტისა და დისკურსის ცნებები. ენა ნაშრომში განსაზღვრულია დასახელებული სამივე ცნების - მეტყველება, ტექსტი და დისკურსი - ოპოზიციურ კომპონენტად. დისკურსის ფენომენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ენობრივი მოვლენა მიხნეულია კომპლექსურ წარმონაქმნად, რომლის კვლევის მასშტაბების და მოცულობის განსაზღვრის დადგენა ხდება როგორც კვლევის ობიექტის შესაბამისად, ასევე მკვლევარის ინტენციიდან გამომდინარე. დისკურსი ფართო გაგებით კომუნიკაციაა, ყველაფერი ის, რაც ზეპირსა და წერილობით მეტყველებას განეკუთვნება. შესაბამისად, დისკურსი კომუნიკაციისაგან განუყოფელია, ის კომპლექსური კომუნიკაციური მოვლენაა, რომელიც აერთიანებს ყველა პარამეტრს, რომლებიც როგორც ტექსტისთვის, ასევე მეტყველებისთვისაა რელევანტური. ამდენად, დისკურსი ესაა ტექსტი კომუნიკაციაში, ესაა ფენომენი, რომელიც აერთიანებს ენისა და ენობრივი აზროვნების ყველა ასპექტს და მათი კვლევის ყველა მიმართულებას მოიცავს.
38. ტექსტის მთლიანობას ქმნის შინაარსის, თემის ერთიანობა, რომელიც ფსიქოლინგვისტური ფენომენია და წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ინტეგრალს. ტექსტის მთლიანობა განისაზღვრება კომუნიკატორის ჩანაფიქრის მთლიანობით, რომელიც ტექსტის თემაშია ასახული. თემა შინაარსის შეკუმშული, კომპრესირებული და შესაბამისად, განზოგადებული ასახვაა და წარმოადგენს ტექსტის გააზრების პროცესის რეზულტატს. იგი კომუნიკატორის ჩანაფიქრის ექსპლიციტური ვერბალიზაციაა. ტექსტის რეცეფციისა და პერცეფციის მთლიანობა განისაზღვრება ტექსტის საზრისის წინასწარგანჭვრეტით, რომელიც ასევე ფსიქოლოგიური ფენომენია. ტექსტის მთლიანობის არსის განსაზღვრა ეყრდნობა კომუნიკატორის კომუნიკაციური ინტენციის მთლიანობას და

აზრობრივი პრედიკატების იერარქიას. ამ თვალსაზრისით, ტექსტის მთლიანობა მაშინ ნარჩუნდება, ანუ, ტექსტი მაშინაა ტექსტი, თუ იგი კომპრესიის ერთი საფეხურიდან მეორეზე, უფრო სიღრმისეულ საფეხურზე თანმიმდევრული გადასვლისას, მარგინალური ელემენტების ჩამოშორების ხარჯზე, მაინც ინარჩუნებს აზრობრივ სრულყოფილებას.

39. თარგმანის ზოგადი თეორია თარგმნის ლინგვისტიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია და ქმნის ერთიან პარადიგმას თარგმანის კერძო თეორიებთან ერთად, რომლებიც ცალ-ცალკე შეისწავლიან ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის ლინგვისტიკურ ასპექტებს, ლინგვისტურ კანონზომიერებებს. თარგმანის ლინგვისტიკური მექანიზმის აღწერა შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ნორმატიული რეკომენდაციების, პრინციპებისა და წესების, თარგმანის მეთოდებისა და ხერხების ფორმულირებას, რომლებიც ხელს უწყობენ მთარგმნელს გაართვას თავი თარგმნის პროცესში წარმოშობილ ამოცანებსა და პრობლემებს. არც თუ უმნიშვნელოა კულტურული ადაპტაციის ასპექტიც, რომელიც მიზნად ისახავს თარგმანის ორიენტაციის უზრუნველყოფას უცხოენოვან რეციპიენტზე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზორანიანი. მ Зоранян М.	Роль экстралингвистических факторов в реализации категории уподобления (на материале современного английского языка)	Germany: Lambert Academic Publishing	103 стр.
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				
<p>1. ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლი მიმსგავსების კატეგორიის რეალიზაციაში</p> <p>მოცემული წიგნის ცენტრში მოქცეულია პროდუქტული სუფიქსური სიტყვათწარმოება თანამედროვე ინგლისურ ენაში, კერძოდ კი, ექსტრალინგვისტური განპირობებულობის პრობლემა მიმსგავსების ლექსიკურ-მორფოლოგიური კატეგორიის კუთხით. ლექსიკურ-მორფოლოგიურ კატეგორიებს</p>				

საფუძვლად უდევს აბსოლუტური პროდუქტულობის ცნება, რომელიც განისაზღვრება როგორც სიტყვის წარმოების უსაზღვრო შესაძლებლობა. მიმსგავსების კატეგორია წარმოადგენს ორი კატეგორიული ფორმის - “არსებობისა”, რომელიც გამოხატულია არსებითი სახელით, და “მიმსგავსების”, რომელიც გამოხატულია ზედსართავი სახელით სართით –ლიკე - შეპირისპირებას.

სართის –ლიკე სემანტიკის სპეციფიკამ განაპირობა მიმსგავსების კატეგორიის რეალიზაციის თავისებურებები. გადამეწვეტი როლი ამ კატეგორიის რეალიზაციაში ეკუთვნის ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (ანუ მოლაპარაკის ფიზიკურ და სოციალურ გამოცდილებას).

თვით მიმსგავსების ფაქტი განისაზღვრება იმით, რომ მოლაპარაკეს (დამწერს) აქვს საგანსა და ექსტრალინგვისტური რეალობის მოვლენას შორის მსგავსების წარმოდგენა.

შესასწავლი მოვლენის მაქსიმალური სიღრმით შესწავლის მიზნით, მიმსგავსების კატეგორიის საკითხი მოცემულ წიგნში იყო გამოკვლეული ორი ფუნქციური სტილის – მხატვრულისა და სამეცნიეროს - მასალაზე.

მხატვრულ ლიტერატურაში ავტორები ქმნიან მიმსგავსების კატეგორიას იმისათვის, რომ მოახდინონ გარკვეული გავლენა მკითხველზე და გამოიწვიონ მასში შესაბამისი ემოციურ-ექსპრესიული შეფასებითი რეაქციები.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიმსგავსებას ჩვეულებრივ არა აქვს ემოციურ-ექსპრესიული შეფასებითი ობერტონები, რადგან ის ემსახურება მოცემული სტილის ძირითადი ფუნქციის რეალიზაციას – ინტელექტუალური ინფორმაციის ოპტიმალურ გადაცემას. ამიტომ ნაწარმოები ზედსართავი სახელის სართით – ლიკე გამოყენებისას სამეცნიერო ტექსტების ავტორები ადარებენ რაღაც ახალს, უცნობს რაღაცასთან, რაც ცნობილია, საგნის შესახებ უფრო ვიზუალური წარმდგენის შესაქმნელად.

წარმოდგენილი მონოგრაფია გამოსადეგია როგორც ფილოლოგებისთვის, ისე არაენობრივ სასწავლებლებში უცხოური ენის მასწავლებლებისთვის (პროდუქტული სიტყვათწარმოების სწავლებისას).

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ზ.გურამიშვილი (თანაავტორი ო. კალანდარიშვილი)	კომუნიკატიური კომპეტენციის შესწავლის აქტუალურობა მართლწერაში, რუსულის, როგორც	ბაქო, აზერბაიჯანი, აზერბაიჯანის ენათა ინსტიტუტი	იბეჭდება

		უცხოურის შესწავლაში.		
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. სტატია ეძღვნება მართლწერის როლის და მნიშვნელობის ანალიზს, ლინგვისტიკური კომუნიკატიური კომპეტენციის ფორმირებაში.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Is Democracy Consolidating in Georgia?”/ The AsiaN	magazine N 201611	http://www.theasian.asia/archives/96839	2 pages
2	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“What Can Be Expected from the Abashidze-Karasin Talks?”/ “Post-Soviet States between Russia and the EU: Analysing Special Circumstances and Political Tendencies” FP 7 IRSES Week at the Moldova State University organized by International Relations Department, Faculty of International Relations, Political and Administrative Sciences of Moldova State University		Chişinău, Moldova, Universitatea de Stat din Moldova(Under publishing)	7 pages
3	Khatuna Chapichadze (ხათუნა)	“Evaluating GTU Students’ Integrity Autumn Camp/School and CIB & Social Accountability Activities Project - Lessons		London, UK (Under publishing)	18 pages

	ჩაფიხადე) (Coauthor: Mariami Bagauri (მარიამ ბაგაური)	Learned at the Georgian Technical University” Integrity Action			
4	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიხადე)	“Some Problems of Academic Integrity in Georgia on the Example of One State University”/ «Добросовестность в действии: российский и зарубежный опыт» Вторая международная научно-практическая конференция		г. Новосибирск, Изд-во НГТУ 21-23 апреля 2016 г.	3 ст.
5	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიხადე) (Coauthors: OrhanGafarli, ArevikAnapiosyan, Mehmet FatihOztarsu)	"Russian Foreign Policy in the South Caucasus", Role of Global and Regional Actors in the South Caucasus/ The South Caucasus and Its Neighborhood: From Politics and Economics to Group Rights		The South Caucasus and Its Neighborhood: From Politics and Economics to Group Rights	5 pages
6	ტ.მეგრელიშვილი (ზ.გურამიშვილის თანაავტორობით)	Современная русскоязычная литература Грузии: концептосфера и культурная идентичность საქართველოს თანამედროვე რუსულენოვანი ლიტერატურა: კონცეპტოსფერო და კულტურული იდენტობა		თურქეთი სტამბული, სტამბულის უნივერსიტეტის გამომცემლობა	8 გვ.

7	ტ.მეგრელიშვილი (ზ.გურამიშვილის თანაავტორობით)	Русский язык в современном мультилингвальном пространстве Грузии: вопросы эффективности обучения რუსული ენა საქართველოს თანამედროვე მულტილინგვალურ სივრცეში: შესწავლის ეფექტურობის საკითხები		სლოვაკეთი, ქ. ტრანავა, წმ. კირილეს და მეთოდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	8 გვ
8	ზ. გურამიშვილი (თანაავტორი ო.კალანდარიშვი ლი)	კომუნიკატიური კომპეტენციის შესწავლის აქტუალურობა მართლწერაში, რუსულის, როგორც უცხოურის შესწავლაში (20-21October 2016, Baku	A Book of Conference Proceedings © ADU, 2016 იბეჭდება	ბაქო, აზერბაიჯანი, აზერბაიჯანის ენათა ინსტიტუტი Baku 2016	8 გვ.
9	ტ.მეგრელიშვილი	Великий Шелковый путь и мультикультурное пространство Кавказа: «кавказские произведения» М.Ю.Лермонтова დიდი აბრეშუმის გზა კავკასიის მულტიკულტურულ სივრცეში: მ. ლერმონტოვის „კავკასიური ნაწარმოებები“		თურქეთი, ერზურუმი, ატატიურკ უნივერსიტეტი	8 გვ.
10	თამარ მებუკე Tamar Mebuke	Archetype Development in Narrative (Diachronic Study) in: Consciousness, Theatre and the Arts	A Book of Conference Proceedings ISBN (10): 1-	Cambridge Scholars Publishing 2016	13

			44389794-4		
11	თამარ მებუკე Tamar Mebuke	Multicultural Problems in Language Teaching. In: Humanitarian Aspects in Geocultural Space. The International Virtual Forum. pp.609-613	ISSN№: 2148-3582	Istanbul 2016	5
12	Tamar Mebuke	Teaching Language and Culture. In: Book of Abstracts. International Conference on Current Issues in Cognitive and Applied Linguistics. <i>(20-21October 2016, Baku,</i>	A Book of Conference Proceedings © ADU, 2016	Baku 2016	2
13	ტ.მეგრელიშვილი	Концептосфера и дискурс в русскоязычной поэзии Грузии //Polilog კონცეპტოსფერო და დისკურსი საქართველოს რუსულენოვან პოეზიაში	№ 6	პოლონეთი, სლუპსკი, აკადემია პომორსკა სლუპსკი-ს გამომცემლობა	10 გვ.
14	ტ.მეგრელიშვილი	Лермонтов: загадки и парадоксы// Кавказ лერმონტოვი: გამოცანები და პარადოქსები// კავკაზი	№ 123	რუსეთი, პიატიგორსკი, მ.ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის გამომცემლობა	16 გვ.
15	ტ.მეგრელიშვილი	Современная художественная парадигма развития русскоязычной литературы Грузии საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატურის განვითარების თანამედროვე მსატერული პარადიგმა		მოლდოვა, კიშინიოვი, მოლდოვას სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	10 გვ.
16	ტ.მეგრელიშვილი	Художественная концепция национального		ბელორუსი, მინსკი,	8 გვ.

		<p>в творчестве русскоязычных авторов Грузии ნაციონალურობის მხატვრული კონცეფცია საქართველოს რუსულენოვანი ავტორების შემოქმედებაში</p>		<p>ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</p>	
17	ტ.მეგრელიშვილი	<p>Неизвестная статья о творчестве Лермонтова: из фондов Парламентской библиотеки Грузии</p> <p>უცნობი სტატია ლერმონტოვის შემოქმედების შესახებ: საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ფონდებიდან</p>		<p>რუსეთი, პიატიგორსკი, მ.ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის გამომცემლობა</p>	8 გვ.
18	ტ.მეგრელიშვილი	<p>После постмодернизма: русская и русскоязычная литература в поисках новых художественных средств</p> <p>პოსტმოდერნიზმის შემდგომ: რუსული და რუსულენოვანი ლიტერატურა ახალი მხატვრული საშუალებების ძიებებში</p>		<p>რუსეთი, კრასნოიარსკი, ციმბირის სახელმწიფო ფედერალური უნივერსიტეტის გამომცემლობა</p>	10 გვ.
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. სტატიაში მოცემულია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის 2016 წლის ნოემბრის არჩევნების შედეგების ანალიზი საქართველოს საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კონტექსტში. სტატიის დასკვნით ნაწილში საუბარია საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სასარგებლოდ გაკეთებული, საკმაოდ მკვეთრად გამოხატული არჩევანის პრევალირებაზე.</p>					

2. სტატია მოიცავს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ერთადერთი მოქმედი აღიარებული ფორმატის - აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ანალიზს და გაცხადებული აპოლიტიკურობისა და შინაარსობრივად მისი ხაზგასმით სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულების მიუხედავად, აღნიშნული ფორმატის პოლიტიკური შედეგების შეფასებას.
3. სტატია წარმოადგენს “სტუ-ს სტუდენტთა კეთილსინდისიერების საშემოდგომო ბანაკ/სკოლისა და კომ & სოციალური ანგარიშგაღებულების აქტივობების” (GTU Students’ Integrity Autumn Camp/School and CIB & Social Accountability Activities) პროექტის შეფასებას ან თვითშეფასებას პროექტის ავტორის, ტრენერ-ფასილიტატორისა და ძირითადი შემსრულებლის მიერ - პროექტის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლთან, სტუ-ს სტუდენტთან ერთად.
4. სტატია ეფუძნება სტუ-ს სტუდენტთა კეთილსინდისიერების სწავლებისა და მათ მიერ უნივერსიტეტში თანატოლთა შორის 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვა-კვლევის შედეგების ანალიზს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სტუ-ში კეთილსინდისიერების კუთხით არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი ეფექტური დაძლევისათვის სტუდენტების მიერვე პროაქტიული ინტერვენციის დაგეგმვა.
5. სტატია განიხილავს გლობალური და რეგიონული აქტორების, კერძოდ, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ევროკავშირისა და აშშ-ს როლს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, აღნიშნული პოსტ-საბჭოთა ქვეყნების როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო განვითარების პრიზმებიდან - რუსეთის სამხრეთ კავკასიურ საგარეო პოლიტიკაზე სპეციფიკური ფოკუსით. სტატიაში არის მცდელობა მაქსიმალური პოლიტორექტულობისა და ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით მოხდეს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებთა სპეციფიკის, საჭიროებებისა და არაერთგვაროვანი თუ კონფლიქტს მიღმა მოსახლეობის ან დე-იურე ხელისუფლებათა ინტერესებთან მათი კონფრონტაციაში ყოფნის განმაპირობებელი გარემოებების გაანალიზება.
6. სტატიაში განხილულია კულტურული მენტალობის და კულტურული იდენტურობის ურთულესი საკითხები.
7. სტატიაში განხილულია რუსულის, როგორც უცხოურის შესწავლის მეთოდი, საქართველოს ტენიკურ უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.
8. სტატია ეძღვნება მართლწერის როლის და მნიშვნელობის ანალიზს, ლინგვისტიკური კომუნიკატიური კომპეტენციის ფორმირებაში.
9. კვლევაში წარმოდგენილია მ. ლერმონტოვის „კავკასიური ნაწარმოებების“ ინტერპრეტაციის ახალი მეთოდები
10. არქექტიპის განვითარება ნარატივში (დიაქრონული შესწავლა)
სტატიაში განხილულია ნარატივის სტრუქტურის განვითარება და არქექტიპის ასახვა მითიდან მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებამდე. მითი წარმოადგენს იმ „არქივს“ რომლის საფუძველში დევს ადამიანის სულიერი სფერო დაკავშირებული ფსიქოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ ცნებებთან, რომლებსაც კ.გიუნგი უწოდა არქექტიპი. რქექტიპები ასახავენ და გადმოსცემენ იმ პარადიგმებს, რომლების მიხედვით ადამიანი მოქმედებს, მათთვის დამახასიათებელია ციკლური განმეორება,

არადისკრეტულობა რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში ღებულობს დისკრეტულ ხასიათს, ხაზოვან სტრუქტურას, და ლოგიკურ აზროვნებას რომლის გამო მოვლენების თანმიმდევრობა ღებულობს უნიკალურ ხასიათს და მითოლოგიური ტექსტი შეიძლება იყოს წაკითხული თანამედროვე თვალსაზრისიდან რომლისათვის დამახასიათებელია დისკრეტული აზროვნება, „დასაწყისის“ და „დასასრულის“ ცნებები, ხაზოვანი სტრუქტურა და ორგანიზაცია.

11. კულტურათაშორისი პრობლემები ენების სწავლებაში

სტატიაში განიხილება უცხო ენების სწავლება და სწავლების პოლიტიკა გლობალიზაციის პერიოდში. ავტორის აზრით, გამოსავალს წარმოადგენს კულტურათა სიმბიოზი, ანუ ურთიერთ გამამდიდრებელი ერების და კულტურების თანაარსებობა. აღინიშნება პედაგოგის როლი სტუდენტებში ენობრივი, ეროვნული და კულტურული შემწყნარებლობის მათი სწავლების ენის კულტურის ზიარების გზით. მაგალითისათვის მოყვანილია თომას ელიოტის “სატელიტური კულტურის” განსაზღვრება.

12. ენის და კულტურის სწავლა

სტატიაში ენა განიხილება როგორც კულტურის განუყოფელი ნაწილი. ცხო ენების სწავლებისას პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ენას უკავია უნიკალური როლი ადამიანის ცხოვრებაში. ნა წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ერის მსოფლმხედველობის ასახვას (ვილჰელმ ჰუმბოლტის მიხედვით), იგი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასახავს ცალკე კულტურას. ულტურული კომპეტენცია კი, თავის მხრივ დაფუძნებულია სხვა კულტურის პატივისცემაზე. მის გამო კულტურათაშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს განხილული როგორც ცალკე კულტურის ენობრივი აგრესიის დაძლევის საშუალება. ომუნიკაცია აძლევს საშუალებას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ისწავლონ ერთმანეთისაგან და განვითარონ ერთმანეთის პატივისცემის, არაგანსჯის და მოსმენის უნარ-ჩვევები;

13. კვლევა ეძღვნება საქართველოს რუსულენოვან პოეზიაში კონცეპტოსფეროს და დისკურსის ურთიერთობების ურთულესი საკითხების შესწავლას.

14. ნაშრომი ეძღვნება მ. ლერმონტოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობის არაკანონიკური ასპექტების ინტერპრეტაციას თანამედროვე მეცნიერული აზროვნების პოზიციიდან

15. ნაშრომი ეძღვნება საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატურის ფუნქციონირების თანამედროვე პარადიგმის ფორმირების, განვითარების და გააზრების საკითხებს.

16. კვლევა ეძღვნება ნაციონალურობის კონცეფციის შესწავლის კვლევის შედეგებს საქართველოს რუსულენოვანი ავტორების პროზაში.

17. კვლევა ეძღვნება მეცნიერულ ურთიერთობაში მ. ლერმონტოვის შესახებ უცნობი სტატიის შემოტანას, რომელიც აღმოჩენილია საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ფონდებში.

18. კვლევა ეძღვნება თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში ახალი მხატვრული პარადიგმების მომავალი განვითარების და ფორმირების გზების სამეცნიერო გააზრებას.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნუგზარ ბარდაველიძე	აღმსარებლობა და ეროვნება	გორის სასწავლო უნივერსიტეტი
2	ნუგზარ ბარდაველიძე	აშშ-ვატიკანი- კუბათანამშრომლობის ზიგზა გები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	ნუგზარ ბარდაველიძე	საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წელი და რელიგიათმცოდნეობის განვითარების ეტაპები	23-24 ივნისი 2016წ. V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ვეროპა და სამხრეთ კავკასია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4	ია ბურდული	მიგრაცია და კულტურული იდენტობა გერმანულ ლიტერატურულ დუხკურსში	სტუ საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენცია ხელისუფლება და საზოგადოება 26 ნოემბერი 2016
5	ია ბურდული	ჰერმან ჰესეს თამაშის ელემენტები პოსტმოდერნიზმის ზრურბლზე და პიესა კოტრაბასი	სეუ (საშემოდგომო) საერთაშორისო კონფერენცია 17. 12. 2016
6	ია ბურდული	ვინ არის რაინდი? (“ვეფხისტყაოსნისა” და გერმანული ეპოსის მოტივები)	საერთაშორისო კონფერენცია: ვეფხისტყაოსანი და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში. თაამედროვე ინტერპრეტაციები თსუ, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

			4-5 ნოემბერი 2016
7	ია ბურდული	Kulturwandel im Fahrwasser der Postindustrialisierung პოსტინდუსტრიალიზაციით გაპირობებული კულტურული ცვლილებები	სეუ (საგაზაფხულო) საერთაშორისო კონფერენცია თბილისი 20-21 მაისი 2016
8	ია ბურდული	ეთნო-კულტურული მხატვრული ხატები და ჰაინერ მიულერი	ევროინტეგრაციის V საერთაშორისო სიმპოზიუმი: ევროპა და სამხრეთ კავკასია 2 ივნისი 2016
9	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Democracy and Capitalism: Crisis of the Interdependence? (the World Context)”	November 29, 2016, Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi, Georgia, Public panel discussion entitled: “Challenges for Georgia and the South Caucasus arising from current developments in Azerbaijan and its foreign relations”, Friedrich-Ebert-Stiftung South Caucasus Office
10	ხათუნა ჩაფიჩაძე (Khatuna Chapichadze)	“ინდუსტრიული პოლიტიკა საქართველოს განვითარებისთვის: საბაზისო პრობლემები”	2016 წლის 25 აპრილი, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, საქართველო, კონფერენცია “ინდუსტრიული პოლიტიკა საქართველოს განვითარებისთვის” (ქართულ და ინგლისურ ენებზე), საქართველოს საზოგადოების კვლევის ცენტრი (Centre for Social Studies) და Friedrich-Ebert-Stiftung (ფრიდრიხ ებერტის ფონდი)
11	ხათუნა ჩაფიჩაძე	“ირანი, როგორც მზარდი რეგიონული ძალა სამხრეთ კავკასიაში”	2016 წლის 15 აპრილი, თსუ, თბილისი, საქართველო, საერთაშორისო კონფერენცია “ირან-

			საქართველოს თანამედროვე ურთიერთობები”, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი
12	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Russian Foreign Policy in the South Caucasus”	February 23, 2016, Georgian National Museum, Tbilisi, Georgia, Symposium: Prospects for Conflict Transformation and Regional Cooperation in the South Caucasus, Center for Conflict Transformation "IMAGINE", South Caucasus Open School
13	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Prospects for Conflict Transformation and Regional Cooperation in the South Caucasus”	January 24-25, 2016, ZP Palace Hotel, Tbilisi, Georgia, Prospects for Conflict Transformation and Regional Cooperation in the South Caucasus, Center for Conflict Transformation "IMAGINE"
14	გამყრელიძე ნ.	გენდერული ასპექტების ვერბალური სპეციფიკა უცხოენოვან კომუნიკაციაში	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამეცნიერო კონფერენცია მსოფლიო და კავკასია მაისი 2016
15	გამყრელიძე ნ.	თანამედროვე ტექნოლოგიები უცხოეური ენების სწავლების პროცესში	თბილისი, საქართველო 1 - 2 დეკემბერი 2016, ტექნოპარკი საქართველო, საკონფერენციო – “ირმის ნახტომი ფორუმი -სემინარი ტექნოლოგიების გადაცემაზე: სამართალი,

			პოლიტიკა და პრაქტიკა
16	ო. კალანდარიშვილი	რუსულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისას წერით მეტყველებაში კომუნიკაციური კომპენტენციის შესწავლის აქტუალობა	2016 წ. 20-21 ოქტ. ქ. ბაქო, აზერბაიჯანი.
17	მურმან პაპაშვილი	1274 წლის ლიონის უნია და საქართველო	გორი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენცია. 26 თებერვალი 2016 წელი
18	მურმან პაპაშვილი	საქართველო პაპ იოანე XXII-ის რელიგიურ პოლიტიკაში	თსუ პროფ. შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მეათე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 14-15 ივნისი-2016 წელი
19	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	“Latest Trends for Teachers and Learners of English”	The 6th International Research Conference on Education, Language and literature Tbilisi, International Black Sea University
20	რუსუდან გოცირიძე Rusudan Gotsiridze	Metaphoric Nomination in English Language Computer Terminology	საერთაშორისო კონფერენცია „ენა, კულტურა და სამყაროს ხატი“ 21/09/2016 თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი
21	ჟ. ვარძელაშვილი (საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მოსხენებელი)	ინტერნეტ-სივრცეში ზოგიერთი არავერბალური ნიშნის ფუნქციონირების სპეციფიკა და	ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 25-27 ნოემბერი, 2016.

		თავისებურებანი	
22	ჟ. ვარძელაშვილი (სექციის თავმჯდომარე, მოხსენებელი)	საწყისი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაციის ლინგვისტური ანალიზი კროს-კულტურულ კვლევებში	ქ. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 25 მაისი, 2016
23	ჟ. ვარძელაშვილი	სიტყვის როგორც ინდივიდუალური აზროვნების მარკერ-რეფლექსივის ინტენციონალური გამოყენება	ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, 27-30 ივნისი, 2016
24	ჟ. ვარძელაშვილი (სექციის თავმჯდომარე, მოხსენებელი)	სიტყვის ჰერმენევტული პორტრეტი	ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, 17-18 თებერვალი, 2016.
25	Zoranyan, M.	Symbol as a Means of Revealing Author's Idea	April 22-23, IBSU, Tbilisi
26	Zoranyan, M. Aslanishvili, M.	The Disillusionment and Decline of the American Dream in F. Scott Fitzgerald's "The Great Gatsby"	April 22-23, IBSU, Tbilisi
27	თამარ მეტეხიძე	OnInterlinguistic Translation	25-27 November 2016 Georgian Technical University, Tbilisi, Georgia
28	რუსუდან თაბუკაშვილი, ია ჩიქვინიძე	თარგმანის ზოგადი თეორია და კომუნიკაციური ლინგვისტიკა	სართავორისო კონფერენცია "ხელისუფლება და საზოგადოება" თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 26-27 ნოემბერი 2016
29	ტ.მეგრელიშვილი	Творческий интеллигент глазами «старших» символистов (Д.Мережковский. «Лермонтов - поэт сверхчеловечества») SemoqmedebiTi inteligenti „ufrosi“ simbolistebis TvaliT (დ. მერეჟოვსკი „ლერმონტოვი -	თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016 წ. 28-30 სექტემბერი

		ზეადამიანურობის პოეტი“)	
30	ზ. გურამიშვილი (თანაავტორი ო.კალანდარიშვილი)	რუსული ენის, როგორც უცხოურის შესწავლის ინტერაქტიული მეთოდები ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები №5	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მოსხენება „აღმსარებლობა და ეროვნება“, შეეხება საზოგადოებისა და პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემებს. რამდენად განსაზღვრავს ინდივიდის ცნობიერებას, მისი რომელიმე რელიგიურ აღმსარებლობასთან მიკუთვნება. ყოველივე ეს კი განხილულია ისტორიული განვითარების კონტექსტში და თანამედროვეობის გამოწვევათა გათვალისწინებით.
2. მოსხენება „აშშ-ვატიკანი-კუბა თანამშრომლობის ზიგზაგები“, არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა გაანალიზებულ იქნას პაპ ფრანცისკეს 2016 წელს, განხორციელებული დიპლომატიური ნაბიჯების შედეგები. მრავალწლიანი დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, პაპ ფრანცისკემ შესძლო წარმატებით დაესრულებინა ჯერ კიდევ იოანე-პავლე II-ის მიერ დაწყებული შერიგების პროცესი აშშ-სა და კუბას შორის. ასევე ერთის მხრივ ვატიკანსა და მეორეს მხრივ აშშ-კუბას შორისახალ თანამშრომლობით ხელშეკრულებებს გაფორმების ფონზე მოხდა 60 წლიანი ინტერვალის შემდგომ, აშშ-სა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა.
3. მოსხენება, „საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წელი და რელიგიათმცოდნეობის განვითარების ეტაპები“, წარმოადგენს ერთ-ერთი პირველ მცდელობას, გაანალიზოს თანამედროვე საქართველოში რელიგიათმცოდნეობის განვითარების თავისებურებები და წარმოაჩინოს მისი პერსპექტივები. ასევე აღნიშნულ მოსხენებაში მოცემულია ავტორისეული ხედვა საქართველოში რელიგიათმცოდნეობის განვითარების ეტაპობრივ პერიოდებად დაყოფისა.
4. ინტერკულტურული კომპეტენცია სხვა მრავალ საკითხთან ერთად ემიგრანტთა სოციალური, კულტურული და ლიტერატურული იტეგრაციის საკითხის შესწავლას გულისხმობს იმ ქვეყნების დისკურსში, სადაც ემიგრანტ ჩადის. კულტურაციის საკითხები განიხილავს თანამედროვეობის როგორც მეციერულ, ასევე მხატვრულ ლიტერატურეს, თუ როგორ ერწყმის ჩვენი დღევანდელი ყოფის რეალობას ემიგრანტთა უწყვეტი ნაკადი. გადასახლებისა და ემიგრანტული ლიტერატურეს ახალი ასპექტებია სამშობლოს დაკარგვა – უსამშობლობა და უცხოს მხატვრული ხატი, რაც იტერკულტურული იდენტობის საკითხის კვლევას უკავშირდება.
5. პოსტმოდერნიზმი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ის ეპოქას გამოსახავდა. მავ დროს, ეს ეპოქა ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე მისი აღქმის გამოსახატავად გამოიყენებდნენ ტერმის *პოსტმოდერნს* ან *პოსტმოდერნიზმს*. XX საუკუნეში, გასაკუთრებით მის მეორე ნახევარში, აქტუალური გახდა რეალიზმსა და არარეალისტურ სტილებზე ძველი კრიტიკიუმებისა და არსებული დეფინიციის გადასინჯვა, რადგან რეალიზმის ცნება მეტისმეტად გაფართოვდა, მან თავისებურად შეითვისა ფატასტიკური ელემენტი და ზრვარი

რელიჯიზმა და არარელიჯიზმს შორის არამყარი გახდა. თეატრსა და კულტურაში დაიწყო ტრადიციებისა და ყველა საუკუნის ნოვაციების გადასიჯვა. ამ სიტუაციაში, 60-იან წლებშიც კი გერმანულ ლიტერატურეს ტრადიციულ და ახალ ტედეციებს შორის *გარდამავალი მდრომარეობა* გააჩნდა. ამით გამოირჩევა გერმანული უახლესი ლიტერატურა ინტერნაციონალური ლიტერატურული სცენისაგან. ასეთი მიმეტური გამომსახველობა მსუბუქი იუმორითა და ფანტასტიკური ელემენტით ჰერმა ჰესეს ტექსტში აშკარად იკვეთება.

6. ფოლკლორულ თემატიკაზე შექმნილი რომანტიკული და საგმირო თქმულებები არსებითი მასალაა როგორც აშუღური, ასევე ტრუბადურების (გერმანიაში ტრუვერთა) პოეზიისა და ჰანგისათვის (ონ – ისათვის), მაგრამ სოციალური და ყოფიერების საკითხები არ ყოფილა უცხო არც დასავლური და არც აღმოსავლური სარაინდო ხანის პოეზიისათვის, რაც ასევე ხშირად ხალხური ფესვებიდან, ძველი თქმულებებიდან იღებდა სათავეს. ეს მოტივები აქტუალური იყო არა მხოლოდ მოხეტიალე მუსიკოსების, არამედ აგრეთვე საკარო ლიტერატურისათვის და სარაინდო რომანის მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა. სამყაროს ქმნალობა, სამყაროს არსი სიყვარულია “ვეფხისტყაოსანში”. პოემის პერსონაჟებისათვის სიყვარულისათვის ბრძოლა, სიყვარულის ძიება არის გზა სამყაროსაკენ, სამყაროს შეცნობისაკენ, საწყისის არსისაკენ, რაც პოემის პროლოგშია გადმოცემული. სამყაროს არსის ეს საიდუმლო და მისკენ სავალი გზა გრაალის თასის სიმბოლოში იყრის თავს გერმანული სარაინდო რომანის მთხვეელის ვოლფრამ ფონ ეშენბახის საგმირო ეპოსში “პარციფალი”. ეს არის სიყვარულისკენ გასავლელი გზა, დაბრკოლებებით, შეცდომების დაშვებითა და მათი გაცნობიერებით, გზა, რომელიც უნდა განვლოს ჭეშმარიტმა რაინდმა, რომ შეიძლოს გრაალის საიდუმლო – ჭეშმარიტი სიყვარული, შეიმეცნოს მოყვასის განცდა. მაშინ სრულდება რაინდის გასავლელი სახიფათო გზა. “ვეფხისტყაოსნის” ბოლოს კითხულობთ: “გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა...” და ეს ფინალი მავანის ცხოვრების ბოლოს გაცდილ ემოციას მოერგება ნებისმიერ ეპოქაში. “ღამის სიზმარი”, “სიმუხთლე ჟამისა” გერმანულ საგმირო ეპოსში “სიმღერა ნიბელუნგებზე” ტექსტის დასაწყისშივე იხენს თავს; კრიმჰილდეს სიზმარში დასაწყისშივე იხსნება დასასრული, მაგრამ კრიმჰილდე მაინც გაივლის გზას სიყვარულის სისხლიან დასასრულამდე. განსაკუთრებულია ქალური მუხტის ზეგავლენა რაინდულ სულისკვეთებაზე და ქალის გავლენა სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას როგორც “ვეფხისტყაოსანში”, ასევე ეპოსში “სიმღერა ნიბელუნგებზე”. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაწარმოებში მთავარ პერსონაჟ ქალებს მაღალი სტატუსი გააჩნიათ, რაც შესაბამის აღზრდასთან ერთად, უფლებას აძლევთ მათ თამამი და სისხლიანი გადაწყვეტილებებიც კი მიიღონ. ისინი სიყვარულით იმყარებენ ძალაუფლებას და ძალაუფლებას წირავენ სიყვარულისათვის. რაც შეეხებათ დაბალი სტატუსის ქალ პერსონაჟებს, მათი ფსიქო-ტიპი და რაინდებთან დამოკიდებულება, მათი გავლენა რანდთა ცხოვრებაზე განსხვავებულად იკვეთება. საგულისხმოა ასევე ქალთა ეროტიკული შტრიხები და გავლენა რაინდთა ემოციებზე. საინტერესოა, თუ რით განსხვავდება სარაინდო რომანი ადრეული საგმირო თქმულებებისაგან, როგორ იკითხება რეალობა და როგორ ჩამოყალიბდა რაინდის მხატვრული ხატი.

7. დღეს პოსტმოდერნისტულ დისკურსში ცნებები „სოციალური“ და „საზოგადოება“ მხოლოდ თეორიული კონცეპტები აღარ არის, ისინი ცოცხალ ურთიერთობებს აყალიბებენ. გლობალიზაციის პროცესს ამიტომაც შესწევს უნარი შეასუსტოს ერთიანი სახელმწიფო– ნაციის შემოთავაზებული იდეა და სავარაუდო ინტეგრაცია, მაგრამ ყურადღების მოღუნება არ შეიძლება, ვერ

ვიტყვი, რომ თითქოს ეს პროცესი დასრულდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო კულტურისა და გლობალიზაციის პროცესებისა და ფასეულობების ზრდასთან ერთად ფართოვდება სიმბოლოები, გამომსახველობები და ვითარდება კულტურების მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის გაცნობიერების პროცესები. სინკრეტიზმი და ჰიბრიდიზაცია დღეს, როგორც წესი, უკვე იშვიათია. დღეს კულტურა ინდუსტრიული პოტენციალის ღირებულებებს ატარებს და პოსტმოდერნისტულ დისკურსში ეკონომიკა ადამიანური მიზნებისთვის კულტურული პროცესებით მართული ბუნების გარდაქმნაა.

8. პოსტმოდერნიზმი გულისხმობს სიძნელეებზე მითითებას, რაც მუდმივად მზარდი კულტურათა ორგანიზების შედეგად წარმოიქმნება, მაგრამ საგულისხმოა რომ თავად ორგანიზების პრიციპი განხილვის საკითხია და რთულია ლეგიტიმირება, რადგან თვით პოსტმოდერნიზმის განსაზღვრა არ არის ცალსახად ფორმირებული. იგი ზოგჯერ მოდერის პროექტისადმი დაკარგულ ნოსტალგიურ კულტურულ პროცესად აღიქმება, მაგრამ აშკარაა, რომ პოსტმოდერნიზმი გლობალიზაციის პროცესის ნაწილია და თუ „ნარჩენები“ გლობალურ სათამაშო მოედანზე გამოფეილია, მაშინ ჩნდება შანსი ახალი ალტერნატიული ამბავი შეიქმნას, აღიწეროს გლობალური ისტორიული განვითარება.

სწორედ ისტორიულ და მხატვრულ „ნარჩებს“ გულისხმობს გერმანელი პოსტმოდერნისტი მწერალი და დრამატურგი ჰაინერ მიულერი „შპიგელთან“ თავის ინტერვიუში, როცა თავის დრამაზე „Verkommenes Ufer Medeamaterial Landschaft mit Argonauten“ – „მედეამასალის ლანდშაფტსა“ და არგონავტებზე საუბრობს.

კოლონიაციით იწყება ევროპის ისტორია და სწორედ ეს წარმოადგენს დედამიწისთვის მთავარ საფრთხეს აცხადებს მწერალი და მისი აზრით, იასონის ისტორია ყველაზე ძველი მითია კოლონიზაციის შესახებ. ასევე საგულისხმოა, რომ მიულერისათვის იასონს თავის გემი ღუპავს. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის მედუა დაუცველი ეთნოსი, ეთნო კულტურაა.

დრამატურგს მიაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოების ერთდერთი მნიშვნელოვანი უნარია, გაადვივოს სამყაროს სხვა მდგომარეობისადმი სწრაფვა და ეს მცდელობა რეკოლუციურია.

ცხადია, კულტურული და ინტერკულტურული პროცესების განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ „პოსტმოდერნი“ უნდა განვიხილოთ არა როგორც ეპოქალური ნაპრაღი ან კაპიტალისტური აზროვნების ახლებური ხედვა, არამედ უწინარესად ყურადღება უნდა მივაპყროთ თაამედროვე პოსტმოდერნისტულ პროცესს, როგორც ქმედებას ეკონომიკასა და კულტურას შორის, რომლის დროსაც კულტურულ პროცესებსა და კვლევებში სულ უფროდაუფრო იზრდება საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ფასეულობათა ზრდასთან ერთად.

9. მოხსენება ეხებოდა დემოკრატიისა და კაპიტალიზმის ურთიერთდამოკიდებულების კრიზისს, რაც განსაკუთრებით მიმდინარე მოვლენებით დასტურდება როგორც აღმოსავლეთ აზიის, ასევე დასავლეთ და მთლიანად ევროპის ისევე, როგორც აშშ-ს მაგალითზე.

10. მოხსენება მოიცავდა საქართველოში ინდუსტრიული პოლიტიკის პრაქტიკული არარსებობის პრობლემის და პოლიტიკური ელიტების მიერ შესაბამისი საბაზისო ხედვის დეფიციტის მიზეზთა ანალიზს.
11. ირანის რევოლუციურმა თავისი არსით ბირთვულმა შეთანხმებამ და გაეროს, აშშ-სა და ევროკავშირის მიერ მისადმი იქამდე ურანის გამდიდრების შეჩერების მიზნით დაწესებული სანქციების მოხსნის პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებების მოლოდინი განაპირობა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის.
ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, რომელშიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც მონაწილეობენ, წარმოადგენს სტრატეგიულ ენერგო და სატრანსპორტო პროექტს ირანის, როგორც რეგიონული ძალის მზარდი განვითარების მიმართულებით ახლად შექმნილ განსხვავებულ გლობალურ რეალობაში.
12. მოხსენება ეხებოდა გლობალური და რეგიონული აქტორების, კერძოდ, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ევროკავშირისა და აშშ-ს როლს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, აღნიშნული პოსტ-საბჭოთა ქვეყნების როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო განვითარების პრიზმებიდან - რუსეთის სამხრეთ კავკასიურ საგარეო პოლიტიკაზე სპეციფიკური ფოკუსით. მოხსენებაში ადგილი ჰქონდა მცდელობას მაქსიმალური პოლიტკორექტულობისა და ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით მომხდარიყო სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებთა სპეციფიკის, საჭიროებებისა და არაერთგვაროვანი თუ კონფლიქტს მიღმა მოსახლეობის ან დე-იურე ხელისუფლებათა ინტერესებთან მათი კონფრონტაციაში ყოფნის განმაპირობებელი გარემოებების გაანალიზება.
13. მოხსენება ეხებოდა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივების ზოგად გააზრებას.
14. **მოხსენებაში "გენდერული ასპექტების ვერბალური სპეციფიკა უცხოენოვან კომუნიკაციაში"** თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ადამიანის სამეტყველო ენა განხილულია გენდერულ ასპექტის კულტუროლოგიურ ჭრილში რადგან ენა, როგორც მოცემულობა ერის კულტურისა და მენტალური მსოფლხედვის ძირითადი გამოსატულეაა. კულტურა თავადაა ენა და პირიქით ენა-კულტურაა. ენისა და კულტურის ურთიერთგანპირობებულობა წარმოქმნის კითხვას: რა არის ენა, იგი კომუნიკაციური ფუნქციის მქონე დეტერმინატორია თუ თავადაა ერის კულტურულ-შემოქმედებითი პროცესის სულისჩამდგმელი. საზოგადოების განვითარების მანძილზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები ილექება ადამიანთა გამოცდილებაში, გამუდმებით რეგულირდება ამ გამოცდილების ფორმალური სტრუქტურული და ფუნქციური ნიუანსები. აღნიშნული გულისხმობს მის განახლებას და შინაარსობრივად ახლებურ გადააზრებას, კომუნიკაციური პროცესისი გენდერულ ჭრილში განხილვას. ერის წიაღში მიმდინარე მოვლენათა კულტუროლოგიურ ასპექტში კვლევა მაინტეგრირებელი პროცესია, რადგან "კულტურა არა მარტო ჩვენს გარშემო არსებული ადამიანური სინამდვილის, არამედ ყოველი ჩვენგანის შინაგანი სულიერი განხორციელებაა."

15. მოსენებაში "თანამედროვე ტექნოლოგიები უცხოური ენების სწავლების პროცესში" განხილულია, თუ რა როლი ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიებს უცხოური ენების სწავლების პროცესში. რამდენად ზრდის თანამედროვე ტექნოლოგიები უცხოური ენების ეფექტური სწავლების სპეციფიკას და რამდენად უწყობს ხელს უცხოური ენის შემსწავლელთა მოტივაციას? შესაძლებელია თუ არა ეფექტური უცხოენოვანი ვერბალური კომუნიკაცია თანამედროვე ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობისა და კომპეტენციის გარეშე და სააუდიტორიო პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში რა როლი ენიჭება უცხოური ენების სწავლების პროცესში, კერზოდ კი ცოდნის ტრანსფერისას თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობას
16. სტატისტიკაში განხილულია წერიტი მეტყველების როლი და მნიშვნელობა ლინგვისტიკური კომუნიკაციი ფორმირებაში.
17. ყველა ხელმისაწვდომი წყაროებისა და უცხოური სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე ავტორმა დაასაბუთა, რომ ლიონის კრების უნიატური იდეების მიმართ არანაირ პოზიციას არ ავლენდა და ინარჩუნებდა უწინდელ ლოიალურ დამოკიდებულებას, როგორც კათოლიკე მისიონერების, ასევე კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხელს არ იღებდა თავის დამოუკიდებლობაზე და არ ავლენდა უნიის მიმართ არანაირ ინტერესს, თუმცა არც გამობდა და არც იწონებდა მას.
18. ავინიონელი პაპი იოანე XXII განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აღმოსავლურ რელიგიურ პოლიტიკაში საქართველოში მისიონერთა საქმიანობას. ამის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ პაპს საქართველო მოკავშირედ გაეხადა ეგვიპტის მამელუქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის სანაცვლოდ პაპი გიორგი V ბრწყინვალეს ჰპირდებოდა ეკლესიათა გაერთიანებას საქართველოს წინადადებების გათვალისწინებით.
19. ახალი მიმართულებები ინგლისური ენის მასწავლებლებისა და შემსწავლელთათვის
 მსოფლიო ქსელზე დაფუძნებული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ ახალი შესაძლებლობებისა და უახლესი მიმართულებების გაჩენას მასწავლებელთა და მოსწავლელთა ურთიერთობაში. უახლესი ტექნოლოგიები, როგორცაა ინტერნეტი და მობილური მოწყობილობები, აი-ფონი, და სხვ. უცხოური ენის შესწავლის ახალი შესაძლებლობაა. ენის სწავლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარტო საკლასო ოთახით და არ უნდა სრულდებოდეს საკლასო ოთახის მიღმა. ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება უნდა ხდებოდეს მუდმივად როგორც მოსწავლელის, ასევე მასწავლებლების მიერ, რადგან ინტერნეტ კავშირი და მობილური მოწყობილობები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სასარგებლო გზაა ენის შესწავლის თვალსაზრისით.
20. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის მეტაფორული ნომინაცია მეტაფორული გადატანა ლექსემების შემნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხია ინტერნეტის ენაში. კომპიუტერული და ინტერნეტ ცნებების გამოხატვის ძირითადი ხერხი - მეტაფორა განიხილება როგორც ფუნდამენტური კოგნიტური ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამეტყველო სქემების გადატანას ერთი კონცეპტუალური სფეროდან მეორეში.

ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტექნიკურ ტერმინოსისტემაში ტერმინ-მეტაფორები განაწილდა შემდეგნაირად:

ა. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის ანტროპომორფული მოდელი, რომელიც გულისხმობს ადამიანს მთელი მისი ბიოლოგიური და ფსიქო-ინტელექტუალური თვისებებით და მისი მოღვაწეობის განსხვავებული გამოვლინებებით, როცა ის გვევლინება ცენტრალურ სფერო-დონორად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში.

ბ. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტექნიკური ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის არაანტროპოლოგიური მოდელი, რომელიც გულისხმობს ადამიანის გარემომცველ მოვლენებსა და საგნებს, როცა ისინი გვევლინებიან ცენტრალურ სფერო-დონორებად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში.

სამყაროს შეცნობის მეტაფორულ მეთოდს საყოველთაო ხასიათი აქვს. ინტერნეტი ქმნის საკუთარ სტერეოტიპებს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ფრაგმენტების სახით.

21. მოსხენება ეხება ინტერნეტ-სივრცეში ზოგიერთი არავერბალური ნიშნის ფუნქციონირების სპეციფიკისა და თავისებურების საკითხებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩატებში, ბლოგებსა და სოციალურ ქსელებში ურთიერთობისას დისტანციურობა და ანონიმურობის შენარჩუნების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა, განვიხილოთ ადრესატი და ადრესანტი როგორც სიმულიაკრი და არა რეალური მოსაუბრე. სოციალურ ქსელებში, ფორუმებში, ბლოგებში ინტერნეტ-ურთიერთობის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნევთ სინთეტიკური სემიოტიკური კოდის – ვერბალურისა და ვიზუალურის – აქტიურ ფუნქციონირებას. მოცემულია ჟანრული, სტილისტური, ფუნქციონალური და სტრუქტურული ნიშან-თვისებების მიმოხილვა და ინტერნეტ-კომუნიკაციის ამ ერთეულების პროპოზიციონალური განწყობის ანალიზი.

22. მოსხენებაში წარმოდგენილია საწყისი კოგნიტიურ დენოტაციური სიტუაციის ანალიზი ლინგვოკულტურული ჭრილში. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს არა ახლო მონათესავე, მაგრამ ფართე გაგებით ერთიანი ცივილიზაციური არეალის ენების, რუსულის, ქართულის ინგლისურის და ლიტვურის, მასალები. დადგენილია უნივერსალური და ეთნიკურად მარკირებული კომპონენტები ანალიზისათვის შერჩეული თავდაპირველი ფონდის სიტყვების მნიშვნელობებისა, რომლებიც ასახავს ენის ერთეულებში დაფიქსირებული მსოფლხედვის ერთიანობასა და მრავალფეროვნებას.

23. სიტყვის დისკურსული რეალიზაცია ყოველთვის წარმოადგენს ლექსიკური ერთეულის ინტენციურ გამოყენებას, დამყარებულს ენობრივი პიროვნების აზროვნებაში მიმდინარე მენტალური პროცესების ლოგოსქემებზე, რომელშიც სინქრონიზებულია კოგნიტიური და ლინგვისტური პროცესები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სიტყვა განიხილება როგორც დინამიკური მიკროსისტემა, რომელიც იწყება თავდაპირველი კოგნიტიურ-დენოტაციური სიტუაციით – ჩვენს გონებაში საგნის გაგების ათვლის წერტილიდან. კვლევის ამოცანაა თავდაპირველი კოგნიტიურ-დენოტაციური სიტუაციის რეკონსტრუქცია და დისკურსულ რეალიზაციაში მისი სხვადასხვაგვარი თანდათანობითი ტრანსფორმაციის ინტეგრირებული ანალიზი.

24. ჩვენი გაგებით, სიტყვის ჰერმენევტიული პორტრეტი, არის არა მარტო ნიშნის ფიზიკური ბუნების უკან მდგომი ლოგიკური და გრძნობითი მნიშვნელობების შესწავლის მცდელობა, არამედ მისი აზრობრივი ინტერპრეტირების რაციონალური დასაბუთების ძიება.

მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ გონება იმაზე უფრო მაღალი დონის მენტალური კონსტრუქტებით ოპერირებს, ვიდრე ეს ნიშნის ფიზიკური ბუნებაა. მასალის ინტეგრირებული ანალიზი მიუთითებს, რომ თავდაპირველი იერსახის ლექსიკის სიტყვებს შემეცნების პროცესში შინაარსობრივი მნიშვნელობის გაფართოვების უნარი შესწევთ, და, ამასთანავე, ინარჩუნებენ აღსანიშნავთან კავშირს, მაგრამ ეს კავშირი ყოველთვის გაიგივებული არ არის პირდაპირი რეფერენტული კავშირის დონეზე. კოგნიტურ-სემანტიკურ ტრანსფორმაციებს სიტყვის სემანტიკური ველის სტრუქტურაზე ზემოქმედების, სინკრეტიზმისა და ენობრივი ნიშნის სიმბოლიზაციის პროცესების გენერირების უნარი შესწევს.

25. სიმბოლო როგორც ავტორის აზრის გამოხატვის საშუალება

სტატია ეხება სტილისტურ საშუალებას – სიმბოლოს – როგორც ავტორის აზრის გამოხატვის ხერხს. სიმბოლიზმი არის ობიექტის ან სიტყვის გამოყენების ხელოვნება; იგი გამოიყენება აბსტრაქტული იდეის გამოსახატავად. მწერლები იყენებენ სიმბოლიზმს, როცა მათ სურთ მეტი მნიშვნელობა და გრძნობა მიანიჭონ თხრობას, მოცემულ აბსტრაქტულ აზრზე პირდაპირი მითითების გარეშე. ეს ხერხი ხშირად გამოიყენება მოკლე მოთხრობების ავტორების მიერ, რადგან სიმბოლიზმი აძლევთ მათ საშუალებას გამოხატონ ბევრი რამ ცოტა სიტყვების გამოყენებით. სიმბოლო შეიძლება იყოს პიროვნება, ობიექტი, მოქმედება, ადგილი, მომხდარი ფაქტი, რომელიც, თავისი პირდაპირი ანუ დენოტაციური მნიშვნელობის გარდა, გვთავაზობს უფრო რთულ მნიშვნელობას ან მნიშვნელობათა დიაპაზონს. ერნესტ ჰემინგუეი ცნობილია იმისათვის, რომ ის ხშირად იყენებდა სიმბოლიზმს როგორც ტექნიკურ საშუალებას მის ნოველებსა და მოთხრობებში. მოთხრობა “კატა წვიმაში” მოიცავს ჰემინგუეის ცხოვრებისეული ფილოსოფიის გამოხატვას. მოთხრობაში სიმბოლოების გამოყენება განსაკუთრებულია, და ეს სიმბოლოები საშუალებას გვაძლევენ სხვა კუთხით დავინახოთ საგნები. ჰემინგუეის მიერ სიმბოლიზმის გამოყენებას დიდი წვლილი შეაქვს მისი მოქმედი პირების ხატების სიმდიდრეში. ეს აძლევს მკითხველს საშუალებას უკეთესად გაიგოს მოქმედი პირების გამოცდილება იმ გარემოების საშუალებით, რომელშიც ისინი არიან მოთავსებულები. ისეთი სიმბოლოური ხატების გარეშე, როგორიცაა გამოყენებული მოთხრობაში “კატა წვიმაში”, მოთხრობა თავის სიკაშკაშესა და კოლორიტს დაკარგავდა.

26. იმედგაცრუება და ამერიკული ოცნების დაცემა ფ.ს.ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”

სტატია ეხება ამერიკული ოცნების ცნებას ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”. ამერიკული ოცნება არის იდეალთა კომპლექსი ამერიკელებისთვის, რომელსაც მათ სთავაზობს თავისუფლება წარმატებისა და კეთილდღეობის შესაძლებლობის სახით. ეს ტერმინი შემოიტანა ტრასლოუ ადამსმა წიგნში “ამერიკის ეპოსი”. ამერიკული ოცნების თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ფიცჯერალდის რომანში “დიდი გეტსბი”. მოხრობელის ურთიერთობის მაღალ საზოგადოებასთან საშუალებით ავტორი აჩვენებს, თუ როგორ საბოლოოდ გარდაიქმნა ამერიკული ოცნების თავდაპირველად წმინდა იდეალები თანამედროვე ღირებულებების ზემოქმედებით მატერიალისტული ძალის სქმად. ფიცჯერალდი ამერიკული ოცნების დაცემაში ადანაშაულებს სიმდიდრეს, პრივილეგიებს, ჰუმანურობის ნაკლებობას. ფული ნაჩვენებია როგორც ამერიკული ოცნების დაცემის მთავარი მიზეზი. ფული შეირწყო იმედთან და წარმატებასთან და ახალ ამერიკულ ოცნებაში შეცვალა ისინი მატერიალიზმით. სიმდიდრე, რომლის საშუალებითაც გეტსბის აქვს იმედი დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული, იქცევა მისი დაცემის იარაღად. გეტსბის ცხოვრება გვეუბნება ჩვენ, რომ მატერიალიზებული ამერიკული ოცნება განაპირობებს გეტსბის ტრაგიკულ დასასრულს.

27. **ენათაშორის თარგმანზე** ენათაშორისი თარგმანი წარმოადგენს თარგმანის ისეთ სახეობას, როდესაც ტექსტი ითარგმნება ერთი ენიდან მეორეზე, როდესაც ხდება სიტყვათა ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნებით, რაც წარმოადგენს იმის მაგალითს როგორ შეიძლება გამოხატო იგივე მნიშვნელობა სხვა ნიშანთა სისტემით. ენათაშორისი თარგმანი შეიძლება იყოს ზუსტი ან ადეკვატური, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კარგ თარგმანში გათვალისწინებულია არა მხოლოდ სიტყვების დენოტაცია, არამედ მათი კონოტაციაც. მნიშვნელობის ეკვივალენტობა არ წარმოადგენს სწორი თარგმანის კრიტერიუმს, ვინაიდან სხვადასხვა ენებს გააჩნია ერთი და იგივე მტკიცების გამოხატვის განსხვავებული საშუალებები. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ თარგმანი დაკავშირებულია ინტერტექსტუალურ, ფსიქოლოგიურ და თხრობის კომპეტენციებთან. თარგმანი აგრეთვე ყოველთვის ასახავს გადასვლას ერთი კულტურიდან მეორეზე. თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად, თუ ორ განსხვავებულ კულტურაში შეიძლება დადგინდეს ერთი და იგივე მნიშვნელობა. ეს რომ თარგმანი ყოველთვის წარმოადგენს ინტერპრეტაციის კერძო შემთხვევას.
28. თარგმანის ზოგადი თეორია თარგმნის ლინგვისტიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია და ქმნის ერთიან პარადიგმას თარგმანის კერძო თეორიებთან ერთად, რომლებიც ცალ-ცალკე შეისწავლიან ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის ლინგვისტიკურ ასპექტებს, ლინგვისტურ კანონზომიერებებს. თარგმანის ლინგვისტიკური მექანიზმის აღწერა შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ნორმატიული რეკომენდაციების, პრინციპებისა და წესების, თარგმანის მეთოდებისა და ხერხების ფორმულირებას, რომლებიც ხელს უწყობენ მთარგმნელს გაართვას თავი თარგმნის პროცესში წარმოშობილ ამოცანებსა და პრობლემებს. არც თუ უმნიშვნელოა კულტურული ადაპტაციის ასპექტიც, რომელიც მიზნად ისახავს თარგმანის ორიენტაციის უზრუნველყოფას უცხოენოვან რეციპიენტზე.
29. მოსხენებაში განხილულია მოდერნისტული ცნობიერების საკითხები დ. მერეჟკოვსკის კრიტიკულ მემკვიდრეობაში
30. სტატიაში განხილულია ინტერაქტიული სწავლების ფორმატი და ასევე ინტერაქტიული სწავლების კავშირი თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკასთან

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	"Georgia and Its Security Problems"	November 19, 2016, Ostrowiec Świętokrzyski, Poland, College of Business and Entrepreneurship in Ostrowiec Świętokrzyski (Wyższa Szkoła Biznesu i Przedsiębiorczości w Ostrowcu Świętokrzyskim)
2	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	"Georgia and Its "Westernization" Processes"	November 18, 2016, Ostrowiec Świętokrzyski, Poland, University of the Third Age, College of Business and Entrepreneurship in Ostrowiec Świętokrzyski (Wyższa Szkoła Biznesu i Przedsiębiorczości w Ostrowcu Świętokrzyskim)
3	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	"Neoliberal Policy: Measure for Conflict Resolution/Transformation or Escalation?"	November 18, 2016, Ostrowiec Świętokrzyski, Poland, The International Scientific Conference "Territorial Defence and Its Role in Contemporary Security Systems" (November 17- 18, 2016), College of Business and Entrepreneurship in Ostrowiec Świętokrzyski (Wyższa Szkoła Biznesu i Przedsiębiorczości w Ostrowcu Świętokrzyskim) (co organizer: Georgian Technical University)
4	Khatuna Chapichadze	"Communicating Policies for Youth (Georgian Experience)"	October 16-20, 2016, Rhodes Mitsis Grand Hotel, Rhodes

	(ხათუნა ჩაფიჩაძე)		Island, Greece, Political Leadership Academy: Communicating Policies for Youth”
5	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Some Problems of Academic Integrity in Georgia on the Example of One State University” (via Skype)	21-23 апреля 2016 г., г. Новосибирск, Россия, «Добросовестность в действии: российский и зарубежный опыт», Вторая международная научно-практическая конференция, НГТУ, Integrity Action
6	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“South Caucasus Security: Threats & Opportunities for Georgia”	April 1-2, 2016, Hotel Arthurs, Agveran, Republic of Armenia, “South Caucasus Security: Threats & Opportunities”, The “Concord” Centre for Political and Legal Studies, Friedrich-Ebert-Stiftung South Caucasus Office
7	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Russian Foreign Policy in the South Caucasus”	February 21, 2016, Bass Boutique Hotel, Yerevan, Republic of Armenia, Round-Table Discussion: Prospects for Conflict Transformation and Regional Cooperation in the South Caucasus, Center for Conflict Transformation "IMAGINE", South Caucasus Open School
8	Khatuna Chapichadze (ხათუნა ჩაფიჩაძე)	“Georgian Perspective towards the Nagorno Karabakh Conflict”	February 10-11, 2016, University of Bern, Bern, Switzerland, “Nagorno Karabakh Conflict – Russia’s next Pandora’s Box?”, ICP (Institute for Conflict Transformation and Peacebuilding), Centre of Global Studies (University of Bern), SGMOK (Swiss Society of Middle East and Islamic Culture)

9	ჟ. ვარძელაშვილი	სოციალურ ქსელებში ინტერპერსონალური ურთიერთობის ჰეტეროგენური ერთეულები	ათა თურქის უნივერსიტეტი, ერზრუმი (თურქეთი), 5-6 მაისი, 2016
10	ჟ. ვარძელაშვილი	რეპლიკატური ტექნიკა როგორც საკომუნიკაციო უნარების განვითარების მამოტივირებული სტრატეგია	მინსკის სახ. უნივერსიტეტი, მინსკი (ბელარუსი), 18-21 მაისი, 2016
11	ჟ. ვარძელაშვილი, ნ. პეენაია (სექციის თავმჯდომარე, მოხსენებელი), ნ. პეენაია	სიტყვის აზროვნული სივრცის სემანტური ტრანსფორმაციების დინამიკის ინტეგრირებული ანალიზი	სტამბოლის უნივერსიტეტი, სტამბოლი (თურქეთი), 1-6 ოქტომბერი, 2016
12	თამარ მებუკე Tamar Mebuke	Multicultural Problems in Language Teaching. In: Humanitarian Aspects in Geocultural Space. The International Virtual Forum. Istanbul 2016	01-06 October 2016 VIII International Virtual Forum in Istanbul University
13	თამარ მებუკე Tamar Mebuke	Teaching Language and Culture.	October 20-21, 2016 Azerbaijan University of Languages. Baku, Azerbaijan
14	რუსუდან თაბუკაშვილი	Sprachliche Ausdrucksmittel von geschlechtsspezifischen Stereotypen in der Jugendkommunikation სქესისათვის სპეციფიკური სტერეოტიპების ენობრივი გამოხატვის საშუალებები ახალგაზრდების კომუნიკაციაში	24-29 მაისი ავსტრია, გრაცი
15	ტ.მეგრელიშვილი	Современная художественная парадигма развития русскоязычной литературы Грузии საქართველოს	მოდლოვა, კიშინიოვი, მოდლოვას სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემია, 2016 წ. 1-3 ოქტომბერი

		რუსულენოვანი ლიტერატურის განვითარების თანამედროვე მხატვრული პარადიგმა	
16	ტ.მეგრელიშვილი	Художественная концепция национального в творчестве русскоязычных авторов Грузии ნაციონალურობის მხატვრული კონცეფცია საქართველოს რუსულენოვანი ავტორების სემოქმედებაში	ბელორუსი, მინსკი, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წ. 14-16 მარტი
17	ტ.მეგრელიშვილი	Неизвестная статья о творчестве Лермонтова: из архивов Парламентской библиотеки Грузии უცნობი სტატია ლერმონტოვის შემოქმედების შესახებ: საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის არქივიდან	რუსეთი, პიატიგორსკი, მ.ლერმონტოვის სახლ- მუზეუმი, 2016 წ. 10-12 მაისი
18	ტ.მეგრელიშვილი	После постмодернизма: русская и русскоязычная литература в поисках новых художественных средств პოსტმოდერნიზმის შემდგომ: რუსულენოვანი ლიტერატურა ახალი მხატვრული საშუალებების ძიებაში	რუსეთი, კრასნოიარსკი, ციმბირის სახელმწიფო ვედერალური უნივერსიტეტი, 2016 წ. 5-10 ოქტომბერი
19	ტ.მეგრელიშვილი (ზ.გურამიშვილის თანაავტორობით)	Современная русскоязычная литература Грузии: концептосфера и культурная идентичность საქართველოს თანამედროვე რუსულენოვანი ლიტერატურა: კონცეპტოსფერო და კულტურული იდენტურობა	თურქეთი, სტამბული, სტამბულის უნივერსიტეტი, 2016 წ. 1-6 ოქტომბერი
20	ტ.მეგრელიშვილი (ზ.გურამიშვილის თანაავტორობით)	Русский язык в современном мультилингвальном пространстве Грузии: вопросы эффективности обучения რუსული ენა საქართველოს თანამედროვე	სლოვაკეთი, ქ. ტრნავა, წმ. კირილეს და მეთოდეს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წ. 5-6 მაისი

		მულტილინგვურ სივრცეში: შესწავლის სფსქტურობის საკითხები	
21	ტ.მეგრელიშვილი	Великий Шелковый путь и мультикультурное пространство Кавказа: «кавказские произведения» М.Ю.Лермонтова დიდი აბრეშუმის გზა კავკასიის მულტიკულტურულ სივრცეში: მ. ლერმონტოვის „კავკასიური ნაწარმოებები“	თურქეთი, ერზურუმი, ატატიურკ უნივერსიტეტი, 2016 წ. 2-3 მაისი

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მოსხენება ეხებოდა საქართველოსა და მისი უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევების შეფასებას - ჩვენი ქვეყნის კერძოდ ნატო-ში, როგორც ერთადერთ სასურველ ალიანსში ინტეგრაციის დინამიკისა და ამ კუთხით საქართველოს შიდა განვითარებიდან თუ საერთაშორისო ფაქტორებიდან გამომდინარე, ობიექტურად არსებული შესაძლებლობების გააზრების კონტექსტში.
2. მოსხენება მოიცავდა საქართველოსა და მისი "ვესტერნიზაციის" პროცესების განხილვას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის გაწევრიანების დისკურსში, სადაც ხაზი გაესვა სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობების არსებობას ევროკავშირში ინტეგრაციისა და ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით ისევე, როგორც ამ განსხვავებული პერსპექტივების საქართველოს მხრიდან აუცილებელი და დროული გაცნობიერების საჭიროებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგრეთვე ინსტიტუციური და მენტალური ინტეგრაციის კუთხით ევროკავშირისა და ნატო-ს შემთხვევაში ორი სხვადასხვა მოცემულობის აღქმისა და შესაძლო უპირატესობების გამოკვეთის მნიშვნელობას საქართველოს მიერ.
3. მოსხენება ეხებოდა იმის გარკვევას, ნეოლიბერალური პოლიტიკა წარმოადგენს კონფლიქტის რეგულირების/ტრანსფორმაციის თუ ესკალაციის საშუალებას. უპირატესად ესკალაციის სასარგებლო არგუმენტებს შორის თავად ნეოლიბერალიზმის კონფლიქტური ბუნების (კონკურენცია, შეჯიბრებითობა) ანალიზის გარდა, ამგვარი პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების კუთხით ხაზი გაესვა მსოფლიოს არასახარბიელო გამოცდილებას (სხვადასხვა მატერიალური რესურსების მოპოვებისათვის ნეოლიბერალური სახელმწიფოების მიერ ე.წ. განვითარებად სამყაროში წარმოებული ომები) და თვით განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ასევე კრიზისულ შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და მენტალურ მოვლენებს, აგრეთვე მსგავსი განვითარების სამომავლო ტენდენციებსაც.
4. მოსხენება ეძღვნებოდა საქართველოს გამოცდილებას ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არსებული ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდობისათვის

- კომუნიკაციის სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავების კუთხით.
5. მოხსენება ეხებოდა სტუ-ს სტუდენტთა კეთილსინდისიერების სწავლებისა და მათ მიერ უნივერსიტეტში თანატოლთა შორის 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვა-კვლევის შედეგების ანალიზს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სტუ-ში კეთილსინდისიერების კუთხით არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი ეფექტური დაძლევისათვის სტუდენტების მიერვე პროაქტიული ინტერვენციის დაგეგმვა.
 6. მოხსენებაში გაშუქებული გახლდათ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხები და კერძოდ, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და შესაძლებლობები.
 7. მოხსენება განიხილავდა გლობალური და რეგიონული აქტორების, კერძოდ, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ევროკავშირისა და აშშ-ს როლს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, აღნიშნული პოსტ-საბჭოთა ქვეყნების როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო განვითარების პრიზმებიდან - რუსეთის სამხრეთ კავკასიურ საგარეო პოლიტიკაზე სპეციფიკური ფოკუსით. მოხსენება მოიცავდა მცდელობას, მაქსიმალური პოლიტიკორექტულობისა და ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით მოეხდინა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებთა სპეციფიკის, საჭიროებებისა და არაერთგვაროვანი თუ კონფლიქტს მიღმა მოსახლეობის ან დე-იურე ხელისუფლებათა ინტერესებთან მათი კონფორმაციაში ყოფნის განმაპირობებელი გარემოებების გაანალიზება.
 8. მოხსენება ეხებოდა საქართველოს პერსპექტივის ანალიზს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში.
 9. სოციალურ ქსელებში ინტერპერსონალური ურთიერთობა ერთგვარი მულტიმოდალური დისკურსია. სოციალური მედიის ინტეგრალურობა წარმოადგენს კომპლექსური კომპონენტების სინთეზს. სოციალური მედიის დისკურსში სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის შერეული კოდების ნათელი მაგალითია სუბკულტურის ელემენტი – ინტერნეტ მემი: ვერბალურ-გრაფიკული კონსტრუქტი, სურათი ტექსტით. ჩვენ ვაანალიზებთ ინტერნეტ მემს როგორც ჰეტეროგენულ კომუნიკაციურ ერთეულს, კულტურული ტექსტების რეპლიკატორს.
 10. კვლევებს წარვუდგენთ მამოტივირებელი „რეპლიკატორული“ ტექნიკის ჩვენ მიერ შემუშავებულ ალგორიტმს, რომელიც მიგვაჩნია, რომ აფართოებს რუსულის როგორც უცხო ენის მეცადინეობებზე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარების სტრატეგიის დიაპაზონს. ტექნიკის საფუძველია ლათინური ცნება “replico”: 1) გამეორება; 2) პასუხი. ამგვარად, ტექნიკის ღერძია გამეორება და პასუხი. ლინგვოდიდაქტიკური ასპექტია – საგნობრივი მიზნებისა და სასწავლო ამოცანების განხორციელების მამოტივირებელი გარემოს შექმნა – გრამატიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სინტაგმებსა და ფრაზებში ახალი სიტყვების დამახსოვრება, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება.
 11. მოხსენებაში წარმოდგენილია სიტყვის ინტეგრირებული ანალიზის თეორიული ბაზა და მეთოდები. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, სიტყვა განიხილება როგორც დინამიკური მიკროსისტემა – ფრეიმ/კონსტრუქტი, რომელშიც კოგნიტური და ლინგვისტური პროცესები ერთდროულად მიმდინარეობს. ჩვენი ანალიზის მიზანია დავასაბუთოთ და შევამოწმოთ ვარაუდი, რომ გონებაში

არსებობს საგნის გაგების ათვლის წერტილი. ჩვენი მოსაზრებით, ეს ათვლის წერტილია თავდაპირველი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია. მას გააჩნია ვერბალიზებული მუდმივი კომპონენტი – კონცეპტუალიზებული მნიშვნელობის მქონე პროტოტიპული ბირთვი. მრავალმხრივ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვაჩინოთ, რომ თავდაპირველი კოგნიტურ-დენოტაციური სიტუაცია არის სიტყვის მნიშვნელობაში შემდგომი ტრანსფორმაციების საფუძველი. ამ ტრანსფორმაციების მამოძრავებელი ძალაა სიტყვის ინტენციური გამოყენება კონკრეტულ კონტექსტში.

12. მოხსენებაში განიხილება უცხო ენების სწავლება და სწავლების პოლიტიკა გლობალიზაციის პერიოდში. ავტორის აზრით, გამოსავალს წარმოადგენს კულტურათა სიმბიოზი, ანუ ურთიერთ გამამდიდრებელი ერების და კულტურების თანაარსებობა. აღინიშნება პედაგოგის როლი სტუდენტებში ენობრივი, ეროვნული და კულტურული შემწყნარებლობის მათი სწავლების ენის კულტურის ზიარების გზით. მაგალითისათვის მოყვანილია თომას ელიოტის “სატელიტური კულტურის” განსაზღვრება.
13. მოხსენებაში ენა განიხილება როგორც კულტურის განუყოფელი ნაწილი. ცხო ენების სწავლებისას პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ენას უკავია უნიკალური როლი ადამიანის ცხოვრებაში. ნა წარმოადგენს არა მხოლოდ განსაზღვრული ერის მსოფლმხედველობის ასახვას (ვილჰელმ ჰუმბოლტის მიხედვით), იგი მნიშვნელოვანია ვინაიდან ასახავს ცალკე კულტურას. ულტურული კომპეტენცია კი, თავის მხრივ დაფუძნებულია სხვა კულტურის პატივისცემაზე. მის გამო კულტურათაშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს განხილული როგორც ცალკე კულტურის ენობრივი აგრესიის დაძლევის საშუალება. ომუნიკაცია აძლევს საშუალებას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ისწავლონ ერთმანეთისაგან და განვითარონ ერთმანეთის პატივისცემის, არაგანსჯის და მოსმენის უნარ-ჩვევები.
14. წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს სქესისათვის სპეციფიკურ სტერეოტიპებს, რომლებიც განიხილება როგორც კომპლექსი კულტურულად და სოციალურად განპირობებული წარმოდგენებისა სქესისათვის სპეციფიკური როლების შესახებ. სქესისათვის სპეციფიკური როლებში იგულისხმება მოლოდინი, რომელიც ადამიანს აქვს გოგონებისა და ვაჟების ქცევათა ნიმუშების მიხედვით ამათუ იმ კულტურაში და ასევე განსაზღვრულ სოციალურ პირობებში. ამ პრობლემის ლინგვისტური კვლევისას ყურადღება გამახვილებულია ენობრივ ერთეულებზე, რომელიც გერმანული ენის სისტემას აქვს, რათა გენდერული იდენტობის კონსტრუირება მოახდინოს. ორივე სქესის განსხვავებული სტერეოტიპული ენობრივი ქცევა ნაშრომში განხილულია რამდენიმე კრიტერიუმით. სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით ყურადღება გამახვილებულია ენობრივ-ლექსიკური ერთეულების ფაქტორზე და სქესისათვის სპეციფიკური სტერეოტიპების სტრუქტურაზე. ამ კონტექსტში განიხილება კონტექსტუალური შეფასების პრობლემაც ახალგაზრდათა კომუნიკაციის პროცესში გამოყენებული ლექსიკისა. პეჟორატიული შეფასების უპირატესობა განპირობებულია ახალგაზრდების სწრაფვით შეაფასონ პიროვნებათა სუბიექტურად. შეფასებითი მეტაფორების საშუალებით(გამოყენებით) გამოხატავენ ახალგაზრდები სარკაზმს, ირონიასა და დაცინვას. ახალგაზრდათა ენაში მეტაფორიკის სტრუქტურული კლასიფიკაციის

- საფუძველზე გამოიკვეთა არსებითი სახელების დომინანტური როლი.
15. მოხსენება ეძღვნება საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატურის ფუნქციონირების თანამედროვე პარადიგმის ფორმირების, განვითარების და გააზრების საკითხებს.
 16. მოხსენება ეძღვნება ნაციონალურობის კონცეფციის შესწავლის კვლევის შედეგებს საქართველოს რუსულენოვანი ავტორების პროზაში.
 17. მოხსენება ეძღვნება მეცნიერულ ურთიერთობაში მ. ლერმონტოვის შესახებ უცნობი სტატიის შემოტანას, რომელიც აღმოჩენილია საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ფონდებში.
 18. მოხსენება ეძღვნება თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში ახალი მხატვრული პარადიგმების მომავალი განვითარების და ფორმირების გზების სამეცნიერო გააზრებას
 19. სტატიაში განხილულია კულტურული მენტალობის და კულტურული იდენტურობის ურთულესი საკითხები.
 20. სტატიაში განხილულია რუსულის, როგორც უცხოურის შესწავლის მეთოდი, საქართველოს ტენქიკურ უნივერსტეტში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.
 21. მოხსენებაში წარმოდგენილია მ. ლერმონტოვის „კავკასიური ნაწარმოებების“ ინტერპრეტაციის ახალი მეთოდები.

სხვა აქტივობა

III. კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების მეთოდიკაში

საქართველო

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	ტრენინგი	ტრენინგის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ლომსაძე	ტრენინგი:“ Lesson Planing and Feedback”, ETAG” საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია 2016	ETAG” საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია 2016 წ. მარტი , თბილისი

2	ნინო ლომსაძე	ტრენინგი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესიული განვითარების ცენტრი აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ) ”სათემო კოლეჯები საერთო განვითარებისთვის ინქ.(აშშ)” ”პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა”	07.06.2016 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესიული განვითარების ცენტრი აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ) ”სათემო კოლეჯები საერთო განვითარებისთვის ინქ.(აშშ)” თბილისი
სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული ზრდა, სასწავლო გარემო			

ბ) უცხოეთში

№	მომსახურებელი/ მომსახურებლები	მოსახურების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Nino Lomsadze	TKT Module 1 Language and background to language learning and teaching,	Cambridge English; Language Assessment. The UK. 15.04.16 Certificate Number:0052655774
2	Nino Lomsadze	TKT Module 2 Lesson planning and use of resources for language teaching,	Cambridge English; Language Assessment. The UK. 15.04.16 Certificate Number:0052655796
3	Nino Lomsadze	TKT Module 2 Managing the teaching and learning Process.	Cambridge English; Language Assessment. The UK. 06.07.16 Certificate Number:0053372390
საერთაშორისო გამოცდა , ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. ინგლისური ენის მასწავლებელთა სერთიფიცირებისთვის საერთაშორისო დონის მოსაპოვებლად.			

III. კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების მეთოდულში

საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მომსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ.ბოჭორიშვილი	ტრენინგი: “Lesson planning and Feedback”, ETAG	საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია. 2016 წ. მარტი. თბილისი
2	ნ.ბოჭორიშვილი	კვალიფიკაციის ამაღლების კურსები: ტრენინგი : “პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა.”	07.06.2016 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ). კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. თბილისი.
3	ნ.ბოჭორიშვილი	კვალიფიკაციის ამაღლების კურსები: “სწავლების შედეგები და მათი შეფასება.”	08.12.2016 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ). კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. თბილისი.
4.	ნ.ბოჭორიშვილი	ტრენინგი: “Teaching techniques for teaching the TOEFL IBT”.	04.12.2016 The course on teaching skills for the English Language teachers. “Education and training international”. ETI
სწავლების მეთოდულში, პროფესიული ზრდა, სასწავლო გარემო, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.			

ბ) უცხოეთში

	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Nino Bochorishvili	TKTModule 1 Language and background to language learning and teaching	Cambridge English; Language Assesment. The UK Certificate Number:0052655772 15/04/2016
2.	Nino Bochorishvili	TKTModule 2 Lesson planning and use of resources for language teaching	Cambridge English; Language Assesment. The UK Certificate Number:0052655794 15/04/2016
3.	Nino Bochorishvili	TKTModule 3 Managing the teaching and learning process	Cambridge English; Language Assesment. The UK Certificate Number: 0053372388 06/07/2016
საერთაშორისო გამოცდა ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში ინგლისური ენის მასწავლებელთა სერთიფიცირებისათვის საერთაშორისო დონის მოსაპოვებლად.			

ტრენინგები: ზორანიანი. მ

1.) Training in Teaching Strategies. Certificate of Completion, to certify the completion of the module “Strategies for Effective Presentation” – International Federation of Language Teacher Associations, University of Georgia, Multilingual Association of Georgia, January 18, 2016.

2.) Training in Teaching Strategies. Certificate of Completion, to certify the completion of the module “Strategies for Teaching English” – International Federation of Language Teacher Associations, University of Georgia, Multilingual Association of Georgia, January 17, 2016.

3.) Workshop: “Critically Evaluating an Assessment

რუსუდან გოცირიძე

ტრენინგები:

1. “Training In Teaching Strategies” - “Strategies for Teaching English” Certificate of Completion

International Federation of Language Teacher Association, University of Georgia, Multilingual Association of Georgia 17.01. 2016

2. “Training In Teaching Strategies” - “Strategies for Effective Presentation” Certificate of Completion, International Federation of Language Teacher Association, University of Georgia, Multilingual Association of Georgia 18.01. 2016
3. “Training In Teaching English” – “Teaching English to Speakers of Other Languages” Certificate of Completion, International Federation of Language Teacher Association, University of Georgia, Multilingual Association of Georgia 17.02. 2016

Workshops ია ბურღული

1. 2016 10.10 –14.10 bei Goethe Institut Tiflis

Teilnahmebestscheinigung am Kurs: *Globalisierung, Migration und Grenzen in Europa*

*Essays zur aktuellen Kulturwissenschaft übersetzen Deutsch-georgiescher
Übersetzungsworksho.* (Goethe Institut :Übersetzung Kartozia, Texterschließung
und Diskussion Schönborn)

2. 2016 GTU Teacher training program *Professional Orientation and Carrier Planning*
Iowa State University Center of Excellence in Teaching and Learning
Georgian Technical University PDC cetl

გამყრელიძე ნ.

	<p>გამყრელიძე ნ. საერთაშორისო ტრეინინგის მონაწილე, მსმენელი. ტრენერი: მაკა ჩხეიძე “კომუნიკაციური კომპეტენცია” და “ეფექტური კომუნიკაციური ქმედების ტექნიკა”</p>	<p>საერთაშორისო ტრეინინგი იუნესკოს (UNESCO) ოფიციალური პარტნიორი ორგანიზაციის – მასწავლებელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIPL) ეგიდით</p>	<p>თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 7 დეკემბერი 2016</p>
<p>ტრენინგი “კომუნიკაციური კომპეტენცია” და “ეფექტური კომუნიკაციური ქმედების ტექნიკა” მიმდინარეობდა მსჯელობა კულტურისა და კულტუროლოგიის ურთიერთგანპირობებულობაზე, კულტუროლოგია უნდა გავიგოთ, როგორც კულტურის მენტალური გააზრება და ადამიანის თვითგააზრების საშუალება. ლინგვისტურ დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ ენობრივი მოვლენებისადმი კულტუროლოგიურ მიდგომაზე, როგორც</p>			

ენის თვითგააზრებაზე. კულტურა და გამოცდილება ერთმანეთის მიმართ შინაარსობრივ და სიმეტრიულ მიმატებაშია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო გამოცდილებაა შინაარსი და კულტურა მისი ფორმა, არამედ პირიქით – კულტურაა შინაარსი, ხოლო გამოცდილება კი მისი ფორმა. კულტურა ადამიანურ სინამდვილეს ეკუთვნის მისი შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში იბადება და ადამიანის განუყოფელ განზომილებას წარმოადგენს. რეალიების ცვლილებების შესაბამისად იცვლება კულტუროლოგიური ორიენტირი და კომპონენტი.

თეოლოგიის სასწავლო ცენტრი

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	კირიონ I დიდი კათალიკოსი ყოველი ივერიისა (IV-VII სს.),	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	261 გვ.
2	პავლიაშვილი ქეთევანი	კატაკომბური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები	თბილისი გამომცემერიდიანი (ჩაშვებულია სტამბაში)	700 .

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. წიგნი ეხება კირიონ I-ის დამსახურებასა და ღვაწლს ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე. განსაკუთრებულია კირიონ I-ის დამსახურება ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე. თუ არა მისი დაუვიწყარი ღვაწლი, ქართველი ერის ერთი ნაწილი არმენიზაციის ჭაობში გაქრებოდა ისევე, როგორც გაქრა და დავიწყებას მიეცა ალბანელი ერი, მის მიმართ განხორციელებული სომხური საეკლესიო პროზელიტიზმის შედეგად, რასაც კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი. ასეთივე ბედი ელოდა ჩვენი ერის მნიშვნელოვან ნაწილს, თუ არა კირიონ დიდი

კათალიკოსის დეაწლი, როცა მან არმენიზაციის გზაზე შემდგარ ქართველებს გუგარქში აღუდგინა ქართულენოვანი ლიტურგია, და უფრო მეტიც, მან დაიწყო პროცესი სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთდაშორებისა, რამაც, როგორც ითქვა, ასიმილაციისაგან იხსნა ქართველი ერის ერთი ნაწილი.

მისმა თავდადებამ საოცარი შედეგი გამოიღო საქართველოს გარეთაც, კერძოდ კი, გამოაფხიზლა არმენიის ვრცელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველობა, ამის შედეგად მათ თავი დააღწიეს არმენიზაციის პროცესს, სრულად აღიდგინეს თავიანთი ქართულ-ეროვნული იდენტობა, და VII-X საუკუნეებში, დაუბრუნდნენ ქართული ეკლესიის წიაღს.

წიგნში ასევე გამოყენებულია ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებული მასალის ნაწილი სხვა ნაშრომებიდან.

2. მონოგრაფიაში გადმოცემულია ქრისტიანული კატაკომბიზმის იდეის ისტორია; მისი წარმოშობის ადგილი, მიზეზები, მიზნები, მიღებული შედეგები; განხილულია კატაკომბიზმის განვითარების ევოლუციური გზა. ნაშრომში განხილულია საეკლესიო კატაკომბიზმი ათონის წმინდა მთაზე, რუსეთის იმპერიულ სისტემაში, აფხაზეთის რეგიონში; გადმოცემულია აფხაზეთის კატაკომბიზმის ამოცანები, მიზეზ-შედეგები და აფხაზურ-ქართული კატაკომბური საეკლესიო დაჯგუფებების მოღვაწეობის ისტორია. საარქივო უცნობ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესწავლილია რუსეთის თვითმპყრობელური და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საეკლესიო კატაკომბიზმისადმი; სახელისუფლებო რეპრესიების მეთოდ-ხერხები და ა.შ. მონოგრაფიულად არის შესწავლილი მართლმადიდებლურ ეკლესიის მიერ კვალიფიცირებული ე.წ. “სახელმადიდებლობის ერესი“, მისი წარმოშობის მიზეზები, განვითარების ეტაპები; აღწერილი და გაანალიზებულია თანამედროვე და წარსულის მეცნიერ-მკვლევართა და საეკლესიო მამათა, ინტელიგენციისა და ზოგადად საზოგადოების შეფასებები, გამოკვლევები და დამოკიდებულებები „სახელმადიდებლობის ერესისა“ და კატაკომბური ეკლესიისადმი. გამოკვლევაში შეფასებულია განდგომილი საეკლესიო მიმართულების ე.წ. “ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ეკლესიის“ მნიშვნელობა, მისი წარმომადგენლები, მათი ბრძოლა ცარიზმის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ნაშრომს ახლავს მონოგრაფიაზე მუშაობისას გამოყენებული საარქივო დოკუმენტები და მათზე დართული სამეცნიერო კომენტარები. ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	-----------------------------	--------------------------------	---------------------

1	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	35 გვ.
2	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	სამეგრელო არქანჯელო ლამბერტისა და კორნელი ბოროზდინის აღწერით	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	47 გვ.
3	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	გურამ გრიგოლიას ეგრის-ლაზიკის შესახებ	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	93 ვ.
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ათეიზმის გაბატონების შემდეგ, ჩამოყალიბდა ახალი ისტორიოგრაფია, რომელიც ამტკიცებს, რომ დაარსების შემდეგ ქართული ეკლესია პროზელიტური ბუნების იყო, მოიცავდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთის რეგიონს, თითქოს IX-X სს-ში შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, გააუქმა იქ კონსტანტინოპოლის იურისდიქცია, ასევე კახეთში გააუქმა ალბანეთის იურისდიქცია, სამხრეთ საქართველოში – სომხური ეკლესიის იურისდიქცია. წიგნი ეძღვნება ამ საკითხის რკვევას.</p> <p>2. წიგნი წარმოადგენს არქანჯელო ლამბერტისა და ბოროზდინის მიერ სამეგრელოს აღწერების ანალიზს.</p> <p>3. ნაშრომში ავტორი განიხილავს გურამ გრიგოლიას კვლევებს დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ, ასევე გამოყენებულია წმიდა სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებები ამ საკითხთან დაკავშირებით.</p>				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პავლიაშვილი ქეთევანი	აკ.წერეთლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო	ქ.ქუთაისი, ქუთაისის ა.წერეთლის სახ.უნივერსიტეტის გამომცემლობა	8 გვ.

		კონფერენციის კრებული		
2	პავლიაშვილი ქეთევანი	„ვლადიკონობისადმი“ მიძღვნილი სამეცნიერო კრებული	ქ.ზუგდიდი. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა	12 გვ.
3	პავლიაშვილი ქეთევანი	„ბათუმქალაქობისადმი“ მიძღვნილი სამეცნიერო კრებული	ქ.ბათუმი. ბათუმის შ.რუსთაველის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	8 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

- საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის წინასაეკლესიო სათათბიროზე და ა.წერეთელი.
ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი - რუსეთის წინასაეკლესიო სათათბიროზე (1906 წ.); გაანალიზებულია საქართველოს ეკლესიის თვითმწესეობისათვის ქართველი საზოგადოების ყველა სოციალური ფენის მეცადინეობა. ნაშრომში მოცემულია ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულება ავტოკეფალიის საკითხისადმი; გაშუქებულია აკაკი წერეთლის ღვაწლი ამ მიმართულებით; ნაჩვენებია ა.წერეთლის შეხედულება მიმდინარე პრობლემაზე, რომელსაც ის ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს; განხილულია ა.წერეთლის წინადადებები საეკლესიო პრობლემის დაძლევის მიმართულებით; მოცემულია მისი აქტიური მუშაობის ეტაპები საქართველოს საეკლესიო კრებებზე; კონტაქტები რუსეთის ხელისუფლებასთან საკითხის სამართლიანად მოგვარების კუთხით. ნაშრომი სრულად ეყრდნობა საარქივო გამოუქვეყნებელ წყაროებს.
- XVII საუკუნის საქართველოს ევროპული ორიენტაციის დიდი სამკუთხედი - როსტომ-ხან ბაგრატიონი, ლევან მეორე დადიანი, ნიკიფორე ჩოლაყაშვილი-ირბახი.
საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში შესწავლილია ქართლის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს დიპლომატიური ურთიერთობები, კერძოდ, საერთო საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები. გამოკვლევაში ასახულია XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების შეხედულებები სამეგრელოს სამთავროსა და ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ-კულტურულ პროცესებზე; სამეგრელოსა და ქართლის ხელისუფლების ევროპული ორიენტაციების გამოვლინებები; ამ მოვლენების ხელისშემშლელი ფაქტორები; დიპლომატიური საქმიანობის ამსახველი ფაქტები

და მოვლენები; მათი ანალიზი. გამოკვლევაში შეფასებულია ევროპული ორიენტაციის განმახორციელებელთა დიდი სამკუთხედის წევრების - როსტომ- ხან ბაგრატიონის, ლევან მეორე დადიანისა და არქიმანდრიტ ნიკიფორე ჩოლაყაშვილ-ირუბაქიძის მოღვაწეობა.

3. თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია აჭარაში და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეაქცია (XX-XXI სს-ის მიჯნა).
 ნაშრომში ასახულია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რელიგიასთან მიმართებაში პოლიტიკური სპეკულატიურული კვლევების მომრავლების ფაქტები და მისი გამომწვევი მიზეზები; ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის მოპოვების მცდელობები რელიგიური კუთხით. გამოკვლევაში გადმოცემულია ამ მიმართულებით საქართველოს შორეული თუ მეზობელი ქვეყნების დაინტერესება; საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიებისადმი გამოვლენილი აქტიური ქმედებები; ნაშრომში კონკრეტულად შესწავლილია აჭარის რეგიონში თურქეთის სახელმწიფოს რელიგიური კუთხით ჩარევის მცდელობები; თურქეთის რელიგიური ზემოქმედებები აჭარის რეგიონზე, სადაც გეოპოლიტიკური ინტერესებით მიმდინარეობს თურქეთის დაპირისპირება რუსეთთან. გამოკვლევაში ასახულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეაქცია თურქეთის თანამედროვე რელიგიურ პროცესებზე. მოცემულია მიმდინარე პრობლემის დაძლევის გზები. ამ მიმართულებით ისტორიული მეხსიერების გააქტიურებული პროპაგანდა და თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გაცემის მეთოდები და ხერხები.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	უწმინდეს პატრიარქს	სვეტიცხოველი, 2016, №1	თბილისი	52 გვ.
2	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	mefe miriani	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	11 გვ.
3	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	გ. გასვიანი აფხაზეთის შესახებ	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	11 გვ.

4	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	ქობულეთიდან ტრაბზონამდე	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	5 გვ.
5	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	წმიდა ილია მართალი და საქართველოს ეკლესია	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	9 გვ.
6	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	ზემონი ქვეყანანი	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	4 გვ.
7	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	„ჰაიასა“ - „აიას ქვეყანა“ შემდგომი კოლხიდა)	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	7 გვ.
8	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	ქისტების გამაჰმადიანება XX ს-ის საქართველოში	სვეტიცხოველი, 2016, №2	თბილისი	9 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უწმინდესი ასევე მრავალჯერ ეწვია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრს, რომელსაც მეუფე ანანია ხელმძღვანელობს. ამ შეხვედრების დროს მეუფე ანანიამ მრავალჯერ მიმართა სიტყვით უწმინდეს პატრიარქს. ამასთან დაკავშირებით თეოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა მოიპოვეს ის სიტყვები და მისაღმებები რომლითაც მეუფე ანანიამ მიმართა უწმინდეს პატრიარქს ამ ბოლო წლების მანძილზე.
2. სტატიაში მოტანილია სხვადასხვა ქართული წყაროების მიმოხილვა მეფე მირიანის მოღვაწეობის შესახებ.
3. სტატიაში გადმოცემულია გ. გასვიანის მოსაზრებები აფხაზეთის და აფხაზების შესახებ
4. მოცემულია უწმიდესისა და მეუფე ანანიას შეხვედრა ანკარაში თურქეთის რელიგიათა მინისტრთან.
5. სტატიაში გადმოცემულია ილია (მართალი) ჭავჭავაძის გამონათქვამები და შეფასებები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შესახებ.
6. გადმოცემულია ძველ ქართულ წყაროებში, აღნიშნული სახელი „ზემო ქვეყანანი“, ის აღნიშნავდა როგორც წესი ტაოს მიმდებარე მხარეებს.
7. განხილულია ტერმინი ჰაიასა.
8. გადმოცემულია ეთნოგრაფ-მკვლევართა დაკვირვებები ქისტების შესახებ. მათი დაკვირვებებით ქისტები საქართველოში XIX ს. დასაწყისში

ჩამოსახლდნენ ვითარცა ქრისტიანები და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ერთგული დამცველნი, XIX ს. ბოლოს მათში თანდათან გავრცელება იწყო მამაჰადიანობამ, XX ს. შუა წლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ კი მათი უმრავლესობა უკვე გამაჰადიანებული იყო, სრული გამაჰადიანება XX ს. 90-იან წლებში დასრულდა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	„ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველება“	საერთაშორისო კონფერენცია „რუსთაველის 850 წლისთავი“, თბილისი, 11 ნოემბერი, 2016
2	პავლიაშვილი ქეთევანი	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის წინასაეკლესიო სათათბიროზე და აკ.წერეთელი	ქუთაისის აკ.წერეთლის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016 წ. 17-19 ოქტომბერი.
3	პავლიაშვილი ქეთევანი	თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია აჭარაში და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეაქცია (XX-XXI სს-ის მიჯნა)	ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2016 წ. 5-7 სექტემბერი
4	პავლიაშვილი ქეთევანი	XVII საუკუნის საქართველოს ევროპული ორიენტაციის დიდი სამკუთხედი - როსტომ - ხან ბაგრატიონი, ლევან მეორე დადიანი, ნიკიფორე	ზუგდიდი. ზუგდიდ-ცაიშის ეპარქია და ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი.

		ჩოლოყაშვილი-ირბახი	2016 წ. 14-15 ივლისი
5	პავლიაშვილი ქეთევანი	ე.წ. აფხაზეთის ეკლესია - ტროას ცხენი - საერთაშორისო საეკლესიო პოლიტიკაში	თბილისი საქართველოს საპატრიარქო. 2016 წ. 12 ნოემბერი
6	პავლიაშვილი ქეთევანი	ე.წ. “ალანის ეპარქია“ - წარმოშობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები და დაძლევის გზები	თბილისი საქართველოს საპატრიარქო. 2016 წ. 10 დეკემბერი

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

- ქართველი ერის უკვდავი საგანძურია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, გვირგვინი ქართული პოეზიისა, მისი ავტორი უდიდესი ქართველი ღვთისმეტყველია პოეტა შორის, რუსთაველმა შეძლო აღმატებული სიტყვიერებით ედიდებინა უფალი ღმერთი. უკვდავი პოემა იწყება ღვთის დიდებით, და მისი ღვთისმეტყველება მთლიანად ეფუძნება წმიდა წერილს, კერძოდ კი წმიდა წერილის გამორჩეულ წიგნებს - შესაქმესა და ფსალმუნებს, მოციქულთა ეპისტოლეებს.
- ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი - რუსეთის წინასაეკლესიო სათათბიროზე (1906 წ.); საქართველოს ეკლესიის თვითმოწესების აღდგენისათვის ქართველი საზოგადოების მეცადინეობა. ნაშრომში მოცემულია საქართველოს საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ამ მიმართულებით აქტივობა; განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართველ თავადაზნაურთა მუშაობაზე, კერძოდ, აკაკი წერეთლის ღვაწლზე ამ მიმართულებით. ნაშრომში გაშუქებულია ა.წერეთლის შეხედულებები მიმდინარე პროცესებზე, რომელიც მას ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად ესახება. ნაშრომში განხილულია ა.წერეთლის წინადადებები საეკლესიო პრობლემის დაძლევაზე; მოცემულია მისი აქტიური მუშაობის ეტაპები და მეთოდოლოგია; საქართველოს საეკლესიო კრებებში ჩართულობის გზა; კონტაქტები რუსეთის ხელისუფლებასთან საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის კუთხით. ნაშრომი სრულად ეყრდნობა საარქივო გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს.
- ნაშრომში ასახულია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რელიგიასთან მიმართებაში პოლიტიკური სპეკულატიურული ხასიათის კვლევების მომრავლების ფაქტები და მისი წარმოშობის მიზეზ-მიზნები, შედეგები; ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე პოლიტიკური გავლენის რელიგიური კუთხით მოპოვების მცდელობები; ნაშრომში გაანალიზებულია ამ მიმართულებით საქართველოს შორეული თუ მეზობელი ქვეყნების დაინტერესების მიზეზები; საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიებისადმი გამოვლენილი აქტიური ქმედებები. ნაშრომში კონკრეტულად შესწავლილია აჭარის რეგიონში თურქეთის სახელმწიფოს ჩარევის მცდელობები; თურქეთის რელიგიური პოლიტიკის ზეწოლის გამოვლენებები აჭარის რეგიონზე, სადაც მას გეოპოლიტიკური ინტერესებით უპირისპირდება რუსეთის სახელმწიფო.

გამოკვლევაში ასახულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პოლიტიკა თურქეთის თანამედროვე რელიგიური პოლიტიკისადმი; მოცემულია მიმდინარე პრობლემის დაძლევის გზები; ამ მიმართულებით ისტორიული მეხსიერების გააქტიურებული პროპაგანდა და თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გაცემის მეთოდები და ხერხები.

4. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში შესწავლილია ქართლის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი, კერძოდ, საერთო საგარეო პოლიტიკის ევროპული ორიენტირები. გამოკვლევაში ასახულია XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების შეხედულებები სამეგრელოს სამთავროსა და ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ-კულტურულ პროცესებზე; სამეგრელოსა და ქართლის ხელისუფლების ევროპული ორიენტაციის გამოვლინებები, ევროპული გზის არჩევანი და ამ გზის ევოლუციური ეტაპები; ამ გამოვლინებათა ხელისშემშლელი ფაქტორები; დიპლომატიური საქმიანობის ამსახველი ფაქტები და მოვლენები. ნაშრომში შეფასებულია ევროპული ორიენტაციის განმახორციელებელთა დიდი სამკუთხედის - როსტომ-ხან ბაგრატიონის, ლევან მეორე დადიანისა და არქიმანდრიტ ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძის შემოქმედება.
5. უახლეს წყაროებზე დაყრდნობით, ნაშრომში შესწავლილია ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის თანამედროვე პრობლემა; აფხაზეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მინიჭების სტატუსის საკითხი. ამ საკითხის სამართლებრივი, პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობის განსაზღვრება. გამოკვლევაში გაშუქებულია აფხაზეთის საკითხით დაინტერესებული მხარეების: ვატიკანის, კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოების მოღვაწეობა; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პოზიცია; ახსნილია ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ადგილი საერთაშორისო თანამედროვე საეკლესიო პოლიტიკაში. ნაშრომში შესწავლილია ე.წ. აფხაზეთის ეკლესიაში მიმდინარე განხეთქილების პროცესი; სამღვდელოების შიდა დაპირისპირებები და მათი საეკლესიო ორიენტაციები; პროდასავლური და პრორუსული დაჯგუფებების საეკლესიო ინტერესები; ე.წ. “წმინდა სამიტროპოლიტოს“ შექმნის მიზნები, მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები და მათი დაძლევის გზები.
6. უახლეს წყაროებზე დაყრდნობით, ნაშრომში გადმოცემულია ე.წ. “ალანიის ეპარქიის“ საეკლესიო პრობლემის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. მისი წარმოშობის მიზანი, მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები და ამ პრობლემის დაძლევის გზები. განხილულია ცხინვალის ოლქის ოსი სამღვდელოებისა და საერთო თვითგამოცხადებული ხელისუფლების თანამშრომლობა საეკლესიო საკითხში; ოს სამღვდელოებაში მიმდინარე დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები; საეკლესიო ორიენტაციის საკითხი; გარე საეკლესიო ფაქტორის (საბერძნეთისა და რუსეთის ეკლესიების) აქტიურობის მიზეზები; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამოკიდებულება ცხინვალის საეკლესიო პოლიტიკისადმი; “ალანიის ეპარქიის“ ავტოკეფალიის საკითხი საერთაშორისო მართლმადიდებლურ სამყაროში და სხვ.

ბუცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Ketevan Pavliashvili	“GGreat Tringle” – Catholic Europe, Orthodox Russia and Islamic World. Religious-Political Orientation of Georgia.	Constanta-Ramicu-Valcea (Romania). 2016. 15-18 September
2	Павлиашвили Кетеван	Православная Церковь о современном экологическом кризисе и проблемах	Г.Ужгород 2016 6-9 Октября
<p style="text-align: center;">მომხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. ნაშრომში გაშუქებულია „დიდი სამკუთხედის“ - კათოლიკური ევროპის, ორთოდოქსალური რუსეთის და ისლამური სამყაროს დამოკიდებულება საქართველოსადმი განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდში. გამოკვლევაში ნაჩვენებია და გაანალიზებულია საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი მოცემული სამკუთხედის სახელმწიფოებს შორის XVII საუკუნის მანძილზე; გამოკვლეულია საქართველოს ორიენტაციული არჩევანის ევოლუციური ეტაპები. ამ გზის ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და მიღებული შედეგები.</p> <p>2. ნაშრომში განხილულია ზოგადად მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის მიმართ; ჩამოყალიბებულია ქრისტიანული ეკლესიის ხედვა ეკოლოგიური კრიზისის დაძლევის გზებზე. გამოკვლევაში გაშუქებულია პრობლემის გადაჭრის საშუალებები ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებზე დაყრდნობით; მოცემულია ძველად აღთქმისეულ წინასწარმეტყველთა და საეკლესიო მამათა განმარტებები და შეხედულებები ადამიანის დამოკიდებულებაზე ღვთის ქმნილების - ბუნებისა და ზოგადად სამყაროსადმი.</p>			

ქართული ფილოლოგიისა და მედიატორელოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

**14 სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს
საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები“	შოთა რუსთაველის საზოგადოება	თსუ პროფესორი ქეთევან სიხარულიძე	პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი
<p>1. აგრძელებდა მუშაობას რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტში “ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები”, რომელიც დაწყებულია 2015 წელს. დაამუშავა კავკასიის ხალხთა ფოლკლორის კრებულები, მოიძია ფოლკლორული ტექსტები, დაწერა 2 გამოკვლევა – ერთი „საერთოკავკასიური ფოლკლორული ცნობიერების გამოვლენა ქართულ ფოლკლორში“ იბეჭდება საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მომავლ“ (2016 წლის გამოშვება), მეორე – „კავკასიის ხალხთა ფოლკლორის კვლევის ძირითადი ტენდენციები“ იბეჭდება ჟურნალ „განათლების 2017 წლის პირველ ნომერში“.</p>				

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მარინე ლომიძე და ავტორთა კოლექტივი	ჟურნალისტიკა	გადაცემულია დასაბეჭდად	332 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. **ჟურნალისტიკა.** სახელმძღვანელო მოიცავს ჟურნალისტიკის დარგის ყველა ძირითად ასპექტს: ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებს ზოგადად და განსაკუთრებით ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებს; მედიისა და ჟურნალისტიკის, მედიისა და საზოგადოების მიმართების საკითხებს; სიტყვის თავისუფლების პრობლემებს; მედიის რეგულირებასა და თვითრეგულირებას; ჟურნალისტიკას, როგორც სისტემას(ვიზუალური ჟურნალისტიკა, ფოტოჟურნალისტიკა, კინემატოგრაფია, ტელევიზია, რადიოჟურნალისტიკა, ბეჭდური ჟურნალისტიკა, ახალი მედია); ასახვის ფორმებს ჟურნალისტიკაში; საზოგადოებასთან ურთიერთობას(პიარს); მედიასაშუალებებსა და გლობალიზაციას; მედიასაშუალებების ეკონომიკურ მოდელებს; ჟურნალისტიკას, როგორც პროფესიას

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. ხასაია	ფილოსოფიის შესავალი	თბილისი ამიმცემლობა „მერანი“	196 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. წინამდებარე სახელმძღვანელო „ფილოსოფიის შესავალი“ წარმოადგენს ავტორის მიერ წინა წლებში გამოცემული სახელმძღვანელოების „მეტაფიზიკური ნიჰილიზმი“ (2011), ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები“ (2014) და „ფილოსოფიის სისტემური კურსი“ გადაშუშავებულ ვარიანტს. წიგნში თავმოყრილია ფილოსოფიის თითქმის ყველა საკვანძო პრობლემა. ფილოსოფიის ისტორიული მასალა წარმოდგენილია თეორიული პრობლემების მიხედვით. ფილოსოფიის ნაწილებს შორის უმეტესი ადგილი ეთმობა ონტოლოგიის საკითხებს, რადგან სწორედ ონტოლოგია, ანუ მეტაფიზიკა ითვლებოდა ძველთაგანვე „პირველ ფილოსოფიად“. ავტორი ცდილობს ფილოსოფიის პრობლემები დააღაგოს და გააშუქოს საკუთარი ფილოსოფიური პოზიციიდან. ეს განაპირობებს წიგნის თ და ლოგიკურ მთლიანობას. ემატურ და

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი	„ისევ სუნთქავენ ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“ (მეცნიერული ნაშრომების კრებული)	თბილისი გამომც. „ავტოგრაფი“, 2016 წ. (რედაქტორი: პროფ. ლ. მინაშვილი, რეცენზენტები: ასოც. პროფ. ს. კვანტალიანი, პროფ. ქ. სიხარულიძე	504 გვერდი
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1 წიგნში წარმოდგენილია ბოლო დროს შექმნილი ფოლკლორისტიკის, ლიტერატურისმცოდნეობის, ლინგვისტიკის პრობლემატიკის სამეცნიერო წერილები და გამოკვლევები. ისინი შეიცავენ ისეთი პრობლემების კვლევებს, როგორებიცაა ტაო-კლარჯეთის ქართული ქრისტიანული ტაძრის ხანძთის ადგილმდებარეობის გარკვევის ცდა, თანამედროვე ქართული ფოლკლორისტიკის ჩრდილო კავკასიურ ფოლკლორულ ტრადიციებთან მიმათების სპეციფიკა, ხალხური ეპოსის, ზღაპარმცოდნეობის, „ერეკლეს ეპოსის“, როგორც ქართული მხატვრული ეპიური ცნობიერების გამოსატვის თავისებურებები, ვაჟა-ფშაველას, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მირიანაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, თედო ბეგიაშვილის, ქს. სიხარულიძის, ფ. ზანდუკელის ფოლკლორისტული ძიებების ანალიზის შემცველი ნარკვევები, ტ. ჭანტურიას, რ. სტურუას პოეზიის, მხატვრული ენის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნარკვევები და ა. შ.</p> <p>ყველა ნარკვევი ავტორის ფილოლოგიური ხედვის კონცეპტუალობით არის გაერთიანებული.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თემურ ჯაგოდნიშვილი	„ამაგდარი“ (პროფესორ იური სიხარულიძის 85 წლისთავის გამო)	№2 (16)	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 92-98

		ჟურნალი „განათლება“			
2	ბორის იმნაძე	„ინდივიდი კომუნიკაციური ზე- წოდის პირობებში“ ჟურნალი „განათლება“	№1 (15)	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 116-119
3	ელიზავეტა კოზლოვა	Социальные характеристики журналиста и их роль в общеметодологическом подходе к созданию модели специалиста	№ 3 (16)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი	5
4	ქეთევან გიორგობიანი	ავტორისა და რედაქტორის ერთობლივი მუშაობის მიზანი და შედეგი „განათლება“	№1 (15)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი	გვ. 104- 111
5	ქეთევან გიორგობიანი	რედაქტირების განსხვავებული კრიტერიუმები „განათლება“	№ 3 (16)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი	გადაცემუ ლია დასაბუჟდა თ
6	თამაზ ნუცუბიძე	მეორე მსიფლიო ომი და „ვეფხისტყაოსანი“ ჟურნალი „პარალელი“	№8	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი	3 გვ.
8	ფიქრია დიდებაშვილი	„ფრანკფურტის სკოლის სოციალური ფილოსოფია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ჟურნალი, „საისტორიო ვერტიკალები“	№34	თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	6
9	ფიქრია დიდებაშვილი	„გენდერული თანასწორობა 21-ე საუკუნის საქართველოში“ საერთაშორისო - სამეცნიერო		თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	6

		კონფერენციის შრომების კრებული „მსოფლიო და გენდერი“			
10	ფიქრია დიდებაშვილი	რისარდო გვარდინი „მასობრივი ადამიანის“ პერსპექტივის შესახებ“, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“	№20	თბილისი	11
11	ფიქრია დიდებაშვილი	„თომა კემპელის „მიბაძვა ქრისტესი“ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული	№2	გორი	იბეჭდება
12	ფიქრია დიდებაშვილი	„ხელოვნებისა და ზნეობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის“ „ საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“	№21	თბილისი	იბეჭდება
13	როზა გაფრინდაშვილი	თომას მალთუსი და ერთსქესიანთა ქორწინების დემოგრაფიული ეფექტი	ჟურნ. „ვერტიკალი“ № 34	“ტექნიკური უნივერსიტეტი”	6
14	როზა გაფრინდაშვილი	ცალცალკე	ჟურნ. „პარალელი“ № 8	“ტექნიკური უნივერსიტეტი”	12
15	როზა გაფრინდაშვილი	3. სქესთა შორის მსგავსება- განსხვავებულობის ბიოლოგიური	ჟურნ. მსოფლიო და გენდერი, საერთაშორისო-სამეცნიერო	სტუ გენდერული თანასწორობის კვლევითი	

		ფაქტორები, სოციალური მიღწევები და „ფარშევანგის კულის ეფექტი“	კონფერენციის შრომების კრებული	ცენტრი	6
16	ხეოშვილი გიორგი	მერაბ მამარდაშვილი რუსული ფილოსოფიის შესახებ	მერაბ მამარდაშვილისა დმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციის მასალები	ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	13 გვერდი
17	ხეოშვილი გიორგი	კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)	ენციკლოპედია „საქართველო“ ტომი IV (ჩაბარებულია)	გამომცემლობა „ქართული ენციკლოპედია“	4 გვერდი
18	აფხაიძე თინათინ, ვერულაშვილი ანა	პიარის განვითარების ასპექტები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“	2016(33)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ 59-66
19	ირაკლი მიქავა	ეგზისტენციალური განწყობის ფენომენი/ საისტორიო ვერტიკალები	33	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4
20	მარინე ლომიძე	გენდერული საკითხების გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრის საერთაშორისო -სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2016		სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2016	4 გვ.

21	მარინე ლომიძე ხათუნაკაჭარავა	ამერიკული ტოქშოუ და ქართული ანალოგები ამერიკის შესწავლის საკითხები. ამერიკის შესწავლის ასოციაცია	6.	თსუ გამომცემლობა, 2016.	7 გვ.
22	ს. ლომინაძე	PR-коммуникация в современном обществе.	მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მსოფლიო და კავკასია 17 ივნისი. 2016	სტუ თბილისი სტუ. თბილისი	2 გვ.

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

- 1 წერილში ასახულია პროფესორ იური სიხარულიძის ცხოვრება-მოდვაწეობა, წარმოჩენილია მისი წვლილი საქართველოს ისტორიის, ქართული ისტორიული გეოგრაფიის, ფოლკლორის, ტოპონიმიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემის კვლევაში.
- 2 სტატიაში განხილულია კომუნიკაციური ზეწოლის პირობებში ინდივიდის სტრესულ პირობებში მოქმედება. კომუნიკაციური ზეწოლის პირობებში უპირატესობა მნიშვნელოვან სიტუაციებსა და შეტყობინებებს ენიჭება. გამოკვლეულია კომუნიკაციური ზეწოლის წარმოქმნის მიზეზები, დადგენილია, რომ იგი დროის რესურსის უკმარისობაში უნდა ვეძიოთ.
- 3 მეოცე საუკუნის მიწურულს საზოგადოებაში ყალიბდება მასობრივი კომუნიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს უახლეს ტექნიკურ საშუალებებს და პრაქტიკულად ვრცელდება დიდ აუდიტორიაზე. ამრიგად იგი ძალაა, რომელიც ახდენს გავლენას ადამიანის სულიერი სიმდიდრის მთელ სისტემის ჩამოყალიბებაზე. სტატიაში მოკვლედაა გაანალიზებული ფართდე და არც თუ ბოლომდე შესწავლილი თეორეტიკოსების მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით.
- 4 სტატიაში საუბარია ავტორისა და რედაქტორის შეთანხმებული, ერთობლივი მუშაობის აუცილებლობაზე დასახული მიზნის მისაღწევად და სათანადო შედეგის მისაღებად. აღნიშნულია, რა ეტაპებისგან შედგება ეს მუშაობა, და რა ფაქტორებს ითვალისწინებს.
- 5 ნაშრომში საუბარია რედაქტირების განსხვავებული კრიტერიუმების შესახებ ბეჭდურ მედიასა და ელექტრონულ მედიასთან დაკავშირებით. განხილულია ის წინადადებები და რეკომენდაციები, რისი გათვალისწინება მართებს საგაზეთო ან საჟურნალო სტატიის გასწორებისას რედაქტორს, ასევე ის მითითებები, რაც უნდა შეასრულოს მაუწყებლობის სფეროში დასაქმებულმა რედაქტორმა სატელევიზიო მასალების მომზადებისას.
- 6 ნაშრომში განხილულია შალვა ნუცუბიძის მიერ მოსკოვში 1941 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური რუსული თარგმანის და დავით სულაძის მიერ

ბერლინში 1943 წელს ქართულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის და გავრცელების საინტერესო ისტორია.

7 სტატიაში გაანალიზებულია მ. ვებერის მიერ ადამიანის ადგილისა და პერსპექტივის განსაზღვრ. ის დარწმუნებულია, რომ ცხოვრების რაციონალიზაცია შეუქცევადი და მზარდი პროცესია. ეს კი ემუქრება ადამიანის ინდივიდუალობას, პიროვნულობას, თავისუფლებას. ბიუროკრატიული პერსპექტივა დასავლურ სამყაროში ყველაზე ადრე ვებერმა შენიშნა. ვებერი გვაფრთხილებს თავი შევიკავოთ პიროვნული ერთობებისგან. ადამიანის თავისუფლება უნდა დაფუძნდეს „ფორმალური რაციონალობის“ ფარგლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი წარმოების სფეროში. „ადამიანი სპეციალისტი“ ფორმალური რაციონალობის ნაწილია. მაგრამ ადამიანი შეიცავს ზოგადკაცობრიულსაც. მან უნდა გამოიყენოს „თავისუფალი დრო“ - გაემიჯნოს „ადამიან-სპეციალისტს“ და დაუპირისპირდეს მას, დაეუფლოს „მარტოობის კულტურას“, იქონიოს მიმართება „ზოგად ადამიანთან“ თავის თავში და ამ გზით განავითაროს თავისი პიროვნულობა. ეს ადამიანის გახლეჩაა ორად, მისი შინაგანი დაძაბულობაა, მაგრამ სწორედ ესა თავისუფლება. თავისუფლების ამგვარი გაგებით ვებერი დაუპირისპირდა გერმანიის კლსიკურ ფილოსოფიურ ტრადიციას, რომელიც ადამიანის მთლიანობაზე იყო ორიენტირებული.

8 სტატია ეხება XX საუკუნის გერმანულ ფილოსოფოსებს, რომელთა მოღვაწეობა „ფრანკფურტის სკოლის“ სახელითაა ცნობილი. მისი წარმომადგენლები არიან: მაქს ჰორკჰაიმერი(1895-1973), თეოდორ ადორნო (1903-1969), ჰერბერტ მარკუზე (1898-1979), იურგენ ჰაბერმასი (1929წ.), ერის ფრომი(1900-1980) და სხვები.

ეს ფილოსოფოსები განაზოგადებენ მეოცე საუკუნის დასავლური კულტურაში მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ვითარებას და გვთავაზობენ თავისებურ გამოსავალს ამ კრიზისული ვითარებიდან. ისინი განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სოციალური მართვის ტოტალიტარული სისტემის მიმართ და ფიქრობენ, რომ ეს სისტემა წარმოიქმნება აზროვნების გარკვეული მეთოდიდან. ამ მეთოდად მათ მიაჩნდათ დასავლური რაციონალიზმი, რომელიც ამოდიოდა ზოგადის უპირობო პირველობიდან კონკრეტულის მიმართ. მათი აზრით, ამან გამოიწვია გრძობადი სინამდვილის გაუფასურება, რაც გამოვლინდა ნაცისტური რეჟიმის, კერძოდ, საკონცენტრაციო ბანაკების სახით. დასავლურმა კულტურამ უარი უნდა თქვას ეგრეთწოდებულ ტოტალურ იდეებზე და ყველაზე მაღლა უნდა დააყენოს ინდივიდუალური ადამიანის ღირებულება. ეს მიმართულებაც თავის რისკებს შეიცავს, მაგალითად, ანარქიზმის საფრთხეს, მაგრამ ფრანკფურტის სკოლას შესაძლებლად მიაჩნია ამ სოციალური პროცესების გაკონტროლება.

9 სტატიაში ნაჩვენებია, რომ გენდერული უთანასწორობა უნივერსალურია და ყველა საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი, რაც იმის ნათელი მაგალითია, რომ ამ პრობლემას ისტორიული ხასიათი აქვს. გაანალიზებულია გენდერული თანასწორობის არსი და მნიშვნელობა. განხილულია გენდერული კვოტა, როგორც ეფექტური საშუალება გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

10 სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამ შექმნა ადამიანის ტექნოლოგიური აღჭურვის და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობები. მეორე მხრივ, მატერიალურ ცხოვრებაში თავი იჩინა ეგრეთწოდებულმა გლუბალურმა

პრობლემებმა, ხოლო სულიერ ცხოვრებაში – პიროვნების რღვევის მძლავრმა სიმპტომებმა.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანელი კათოლიკე ფილოსოფოსისა და თეოლოგის რიხარდო გვარდინის (1885--1968) წიგნი „ახალი დროის დასასრული. ორიენტაციის მცდელობა“. წიგნის ავტორი დაუპირისპირდა ხოსე ორტეგა-გასეცის ბესტსელერს „მასების ამბოხი“. გერმანელი ფილოსოფოსი არ ემხრობა „თანამედროვე მასის“ გაიგივებას „უფორმო სიმრავლესთან“, ადამიანთა გროვასთან. კათოლიკე ფილოსოფოსი აღმართავს იდეას: „ძალაუფლება ძალაუფლებაზე!“. ეს იდეა მან დაუპირისპირა „ძალაუფლების ნების“ მაკიაველურ-ნიცშეანურ იდეას. მისი აზრით

ჩვენს დროის მთავარი ამოცანა ადამიანის „სახის“ შენარჩუნებაა. ყველა „სახე“ განუშეორებელია და ამდენად კარგია ადამიანთა მასობრივი სიმრავლე. მაშასადამე, „მასების საზოგადოება“ კათოლიკურ მოაზროვნეს ეჩვენება არა მხოლოდ გარდუვალობად, არამედ აგრეთვე ზნეობრივად გამართლებულ მდგომარეობად.

24	ნატო ჩიკვილაძე, ვახტანგ დათაშვილი, მაკა ბულუღაშვილი	კონსალტინგური საქმიანობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სისტემა	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის პრობლემები“ 2016წ.,N4	„-----“	10გვ.
25	ნატო ჩიკვილაძე, ვახტანგ დათაშვილი, მაკა ბულუღაშვილი	კონსალტინგური ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის პრობლემები“ 2016წ.,N6	„-----“	12გვ.
26	ნატო ჩიკვილაძე, ვახტანგ დათაშვილი, მაკა ბულუღაშვილი	კონსალტინგის როგორც ბაზრის ინფრასტრუქტურის ელემენტის არსი	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის პრობლემები“ 2016წ.,N6	„-----“	11გვ.
27	ნაზი ჭიკაიძე	ფისკალური პოლიტიკის ბუნება გარდამავალი პერიოდის მქონე ქვეყნებში	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“	№ 5	5
28	ნაზი ჭიკაიძე თეკლე ხელაძე	უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენება საქართველოში	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“	№ 5	10
29	ნაზი ჭიკაიძე ნატო თუშიშვილი	საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა და მისი თავსებადობა ევროპულ მოდელთან	ჟ.ბიზნეს- ინჟინერიზმი	№ 3	5
30	ვეშაპიძე შ.	ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები ღია	ჟურნ. ”მეცნიერება და ცხოვრება“,		6

		ეკონომიკის ორიენტირების („ფრიტრედერობა და პროტექციონობა“) შესახებ	№1(13), 2016, გვ.47-52		
31	გველესიანი მ. ვეშაპიძე შ.	„ევროპული ღირებულებები: რა განვასორციელოთ საქართველოში და როგორ განვასორციელოთ“.	ევროპის უნივერსიტეტი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და გლობალიზაციის ს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია: ევროპული ინტეგრაცია და საქართველო. თბილისი, 2016 წლის 19 ივნისი. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 1, 2016. გვ.40-46		7
32	გველესიანი მ. ვეშაპიძე შ	ღირებულებათა წინააღმდეგობები და ეკონომიკური განვითარების ორიენტირები	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა: “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”. 15-16 ოქტომბერი 2016.		8

			“ბიზნეს-ინჟინერინგი”, №3, 2016		
33	ვეშაპიძე შ.	ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური კეთილდღეობის გლობალურ კონტექსტში განსაზღვრის პრიორიტეტების შესახებ	დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, შრომები, №1(2), 2016, გვ. 7-15		
34	კონსტანტინე ყიზილაშვილი	ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამალგების თუშეთში გზები	ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ № 4		
35	შოთა ყიზილაშვილი კონსტანტინე ყიზილაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხისათვის	ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №3		
36	პარმენ ლემონაჯავა, ნატო გეგენავა	ეკონომიკური განვითარების საწარმოთა პარტნიორული მოდელის არსი, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი	N 3, 2016	სტუ-ს სტამბა	3 გვ
37	ნატო გეგენავა, ქეთევან ქაჯაია	ევროპული ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი	და N 1-2, 2016	სტუ-ს სტამბა	3 გვ
38	აკაკი გვარუციძე, ნატო გეგენავა	ვენჩურული კაპიტალის როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში,	N 4, 2016	სტუ-ს სტამბა	6 გვ

		ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი			
39	ნატო გეგენავა, თეონა ბაქანიძე	ინოვაციების მნიშვნელობა რეგიონის განვითარებისათვის, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“	N2, 2015	სტუ-ს სტამბა	3 გვ
40	ნატო გეგენავა, თეონა ბაქანიძე	ორგანიზაციის მართვის სახეები, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი	N2, 2015	სტუ-ს სტამბა	4გვ.
41	აკაკი გვარუციძე	რისკები ინოვაციურ ეკონომიკაში	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“,	№1-2 თბილისი გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	
42	აკაკი გვარუციძე	რისკების მართვა ეკონომიკაში	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“,	№4 თბილისი გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“	
43	აკაკი გვარუციძე	საბანკო ინოვაციური ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვის თანამედროვე სტრატეგიული ტენდენციები	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“	№1-2 თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	
44	მ. ვანიშვილი ლ. ლემონჯავა	საჯარო ფინანსების მართვის სისტემა თანამედროვე საქართველოში	სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი	ევროპის უნივერსიტეტი №1, 2016წ,	5-6
45	მ. ვანიშვილი ლ. ლემონჯავა	ფულის დროითი ღირებულების თეორიულ – მეთოდოლოგიური საფუძვლები	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა:	სტუ, №3 ,2016 წ,	4-5

	განვითარებად ქვეყნებში	“ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”. 15-16 ოქტომბერი 2016. “ბიზნეს-ინჟინერინგი”, №3, 2016		
--	------------------------	--	--	--

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. სტატიაში მოცემულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებები. ნაჩვენებია მოწინავე ეკონომიკური ცენტრების დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ანუ „ვაშინგტონის კონსენსუსიდან“ „პეკინის კონსენსუსისაკენ“ გადაადგილება, რაც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაზე აისახება.
2. სტატიაში განხილულია ის გამოწვევები, რომელთა წინაშე თანამედროვე საზოგადოება და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო – განათლება აღმოჩნდა. უპირველესად საკითხი ეხება ინდუსტრიულ რეგულაციაში მიმდინარე ცვლილებებს, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების არნახული განვითარებით გამოვლინდა. ბუნებრივია ამ ცვლილებებმა განათლების სისტემაშიც საჭურადღებო სტრანსფორმაცია მოითხოვა, რაც სამეწარმო უნივერსიტეტების ფორმირებით წარმოჩნდა.
3. მიწის რესურსების სრულად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პირობების შექმნა და მართვის გაუმჯობესება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ხასიათდება მცირე მიწიანობით და ეროზიული პროცესების სწრაფი განვითარებით. ამასთან მიწის, როგორც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელი პირობის და წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზღვრულობა, შეუნაცვლებადობა, მოსახლეობის სწრაფად ზრდა და მატერიალური დოვლათის წარმოების მატების საჭიროება, ქვეყანაში განაპირობებს მიწის რესურსების უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას. სტატიის ავტორის აზრით, საქართველოში ეკოსისტემების და კერძოდ ტყის დეგრადაციის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ტყეების ეკოსისტემური მომსახურების შეუფასებლობა, როდესაც ტყის ღირებულება ფასდება მხოლოდ მერქნისა და ტყის დამხმარე პროდუქტების მიღების შესაძლებლობით და არ გაითვალისწინება ტყეების ბუნების დაცვის ფუნქციები. ავტორის აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭიროა სერიოზული სამუშაოების ჩატარება. პრობლემის გადასაჭრელად სტატიაში მოცემულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ჩამოყალიბებულია გარკვეული

რეკომენდაციები. ტვის რესურსების შეფასება განხილულია სამკურნალო მცენარე ფურისულას მაგალითზე.

ინფორმაციულ საუკუნეში კომპანიებს კოლოსალური მოცულობის ინფორმაციასთან უწევთ მუშაობა და მისი რაოდენობა საოცარი სისწრაფით იზრდება. დღეს მრავალი ექსპერტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მსოფლიოში ინფორმაციის მოცულობის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მცირდება ადამიანების მიერ ინფორმაციის მართვის შეადგებლობა, ხოლო ინფორმაციის მოცულობის ექსპონენციალური ზრდის შენარჩუნების პირობებში კი, შესაძლოა საქმე მივიდეს ადამიანის მიერ ინფორმაციის მართვის სრულ შეუძლებლობამდეც. აქტორების რაოდენობა, უპირატესად, მმართველობის იმ სტილით განისაზღვრება, რომელიც კომპანიის მართვის ამა თუ იმ სტატიაში მმართველობითი გადაწყვეტილების პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები სამ დონედ არის დაყოფილი: ორგანიზაციული, პიროვნული და ინფორმაციული.

4. რეალურ ცხოვრებაში ინფორმაციული გადატვირთვის მიზეზები სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფაქტორების მთელი კომპლექსი. ამასთან, ინფორმაციული გადატვირთვის თავიდან აცილების მეთოდების ეფექტურობაც შესაძლოა იცვლებოდეს სწორედ სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ კვლავინდებურად სტაბილური რჩება მოთხოვნა ისეთ ხარისხიან ინსტრუმენტულ-ტექნოლოგიურ გადაწყვეტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიან ინფორმაციულ-ფუნქციურ მხარდაჭერას მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
5. სტატიაში "ეკონომიკური ზრდის არითმეტიკა", გეომეტრიული პროგრესიის განტოლების გამოყენებით, გაანალიზებულია პროდუქციის გამოშვების მომავალში მისაღწევ რომელიდაც კონკრეტულ დონესა და მის მისაღწევად საჭირო წლების რაოდენობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის მეთოდიკა (მშპ-ის საბაზისო დონისა და ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მოცემული მნიშვნელობებისას).
გეომეტრიული პროგრესიის აღნიშნული განტოლების გამოყენებით განსაზღვრულია, რომ საქართველოში, 2001-2015 წლებში, ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა: 5,77%.
დასაბუთებულია, რომ აღნიშნული 5,77%-იანი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი საკმარისი არ არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად (მით უფრო, რომ 2011-2015 წლებში შეინიშნება ეკონომიკურ ზრდის ყოველწლიური ტემპების შემცირების უკიდურესად არასასურველი ტენდენცია), ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე არსებული ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების ეფექტიან გადაწყვეტას;
6. სტატიაში "ინფლაციის მიზეზები, ტემპები, სახეები და გაღრმავების ეტაპები პოსტკომუნისტურ საქართველოში - 1990-იანი წლების დასაწყისში", გაანალიზებულია საქართველოში, 1990-იანი წლების დასაწყისში, ფასების მკვეთრი ზრდის ძირითადი მიზეზები.

დასაბუთებულია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ერთდროულად გამოვლინდა, როგორც მოთხოვნის ინფლაცია, აგრეთვე დანახარჯების ინფლაცია. ინფლაციის გაღრმავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა უცხოეთიდან იმპორტირებულმა ინფლაციამ, რომელიც მისი გამომწვევი მიზეზებისაგან დამოკიდებულებით, ხან მოთხოვნის ინფლაციის სახეს ღებულობდა, ხან კი დანახარჯების ინფლაციისას.

მოთხოვნის ინფლაცია ჩვენთან ძირითადად გამოწვეული იყო ფულის ჭარბი ემისიით.

ერთობლივი მიწოდების შემცირებით განპირობებული ინფლაცია საქართველოში გამოიწვია: არსებული სამეურნეო კავშირების მოშლით გამოწვეულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ, დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის შემცირებამ, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით გაპირობებულმა ერთობლივი მიწოდების შემცირებამ და ა. შ.

დანახარჯების ინფლაციის წარმოქმნაში და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და სხვა ნედლეულის იმპორტის გაძვირებამ, რაც გამოწვეული იყო მათ მწარმოებელ ქვეყნებში (ძირითადად ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში) ფასების ლიბერალიზაციით. ამგვარად, ინფლაცია საქართველოში გამოწვეული იყო მიზეზების მთელი რიგით. ამასთან, მისი გამკაცრება და ჰიპერინფლაციაში გადაზრდა ძირითადად გაპირობებული იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და შეღავათიანი კრედიტების გასაცემად განხორციელებული ფულის ჭარბი, უკონტროლო ემისიით და ინფლაციური მოლოდინით განპირობებული ფულის მიმოქცევის სიჩქარის გადიდებით.

7. სტატიაში "ლარიზაცია: პრობლემები და პერსპექტივები" გაანალიზებულია:

- ლარიზაციის დაბალი დონის მიზეზები; - 2015 წლის მანძილზე დოლართან თანაფარდობაში ლარის კურსის მკვეთრი შემცირების ძირითადი მიზეზები;

- ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა - ლარის კურსის აღნიშნული გაუფასურების პირობებში;

დასაბუთებულია, რომ ლარიზაციის დაბალი დონე გაპირობებულია ქვეყნის ეკონომიკაში ფორმირებული შემოსავლების დაბალი დონით, ინფლაციის მოსალოდნელი ტემპისა და ნომინალური პროცენტის განაკვეთის შედარებით მაღალი დონით, აგრეთვე დოლართან თანაფარდობაში ლარის მიმდინარე და მოსალოდნელი გაცვლითი კურსების არასტაბილურობით და შესაბამისად, ლარისადმი ნდობის ფაქტორის დეფიციტით.

განხორციელებული ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომლის თანახმადაც 2015 წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდამ გამოიწვია დოლართან თანაფარდობაში ლარის მომავალში მოსალოდნელი ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირება, რამაც თავის მხრივ განაპირობა ლარის მიმდინარე ნომინალური გაცვლითი კურსის შემცირების (რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო საგარეო ეკონომიკური ფაქტორების

არახელსაყრელი ცვლილებით) გაღრმავება და დროში გახანგრძლივება.

სტატიის დადებითად არის შეფასებული ეროვნული ბანკის შედარებით ნეიტრალური სავალუტო პოლიტიკა - ლარის კურსის ზემოაღნიშნული გაუფასურების პირობებში. ამასთან, უარყოფითად არის შეფასებული ეროვნული ბანკის პოლიტიკა რეფინანსირების სესხების პარალელურ ზრდასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ისაა, რომ რეფინანსირების სესხების ზრდა სტატიის მიხედვით ლარის კურსის შემცირების გაღრმავებისა და დროში გახანგრძლივების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

დაზუსტებულია ლარის გაცვლითი კურსის ამდლების მიზეზები 2016 წლის მარტი-მაისის თვეებში. სხვა თანაბარ პირობებში, ლარის კურსის აღნიშნული გაძვირების გათვალისწინებით, განსაზღვრულია ლარიზაციის ამდლების პერსპექტივები.

8. სტატიის აღნიშნულია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი და იგი გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მეცნიერებისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური საქმიანობისადმი, განსაზღვრავს მათ მიზნებს, მიმართულებებსა და განვითარების ფორმებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საბაზრო მექანიზმი მეცნიერების განვითარებას და მისი მიღწევების გამოყენებას ვერ უზრუნველყოფს. მის განსახორციელებლად სახელმწიფოს ყოველმხრივი მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან კერძო საწარმოების უაღრესად პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე ცალკეული გამოკვლევები ვიწრო დარგობრივ ხასიათს ატარებს და საზოგადოებრივ ინტერესებს იშვიათად შეესაბამება.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობაა. იგი მიმართულია საზოგადოების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის წარმოქმნასა და განვითარებაზე.

სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს: ეროვნული მეცნიერების სახელმწიფო მხარდაჭერა, სამეცნიერო მიღწევების წარმოების სფეროში დანერგვა და ეფექტური გამოყენება, ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

9. სტატიის აღნიშნულია, რომ უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა, რაც აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ეკონომიკურ ზრდას. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. უმუშევრობით გამოწვეულ პრობლემებს შორისაა შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ნეტოერთობლივი შემოსავლისა და დანახარჯების სტრუქტურის შეუსაბამობა, ინფლაციის პროცესების დაჩქარება. ნაშრომში განხილულია რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა, უმუშევრობის საყოველთაო მაჩვენებლები მსო-ს მიხედვით, წარმოდგენილია უმუშევრობის

დონე ქალაქებსა და სოფლებში, განხილულია დასაქმებულთა შორის დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი, უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში. უმუშევრობა ამცირებს წარმოებას, აქედან გამომდინარე მშპ-ს, კმნის კრიზისის ეკონომიკურ წინაპირობებს.

სტატიაში განხილული და გაანალიზებული საკითხებიდან გამომდინარე, საქართველოში დასაქმების პოლიტიკისა და უმუშევრობის დაძლევის გზებზე შეიძლება მივიჩნიოთ: სახელმწიფო სტრუქტურებსა და მეწარმეებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება; სოციალური დაცვის სისტემის რეგულირება; მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან დაახლოება; მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება; შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა.

10. სტატია ეხება თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ფართოდ განხილულ თემას - სოციალურ უთანასწორობასა და სიმდიდრის განაწილებას. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია. სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზებისა და წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების გზების კვლევა არის მოცემული სტატიის მიზანი. შემოსავალი და სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავს სოციალურ სტატუსსა და ადამიანის მომავალ შესაძლებლობას. სოციალური უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანის პერსპექტივებსა და მომავალზე. სოციალური უთანასწორობის ზრდის ტენდენციის შემთხვევაში მაღალია არასტაბილური გარემოს შექმნის, რევოლუციის და აშ. რისკი.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შემოსავლის უთანასწორობა წლების განმავლობაში იზრდება. სიღარიბის შემცირების მიზანი ეკონომიკური ზრდაა. მაგრამ სიღარიბის შემცირება არ ნიშნავს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებასაც, რადგან ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის დიდი ნაწილი სწორედ მდიდარ ადამიანებთან მიდის. შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი ბერკეტი ფისკალური პოლიტიკაა. სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები, გადასახადები და ფისკალური შემოსავლები მნიშვნელოვან კავშირშია უთანასწორობასთან. სახელმწიფოს მიერ ფინანსების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, არ ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. უთანასწორობა მცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სახსრები მიმართულია ჯანდაცვისა და განათლებისაკენ

11. თანამედროვე ფორმების საქმიანობაში ხშირია განმეორებადი ბიზნეს-პროცესები, რომელთა ეფექტიანად განხორციელებაზეც დიდადაა დამოკიდებული ამ ფორმების ღირებულება და კონკურენტუნარიანობა. 1980-იან წლებში, როცა ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობები ამოიწურა, ობიექტურად გაჩნდა ახალი მიმართულებებით დისციპლინის ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის განვითარების საჭიროება. ყველა რეინჟინერინგული პროექტი ეფუძნება ბიზნესის ძირფესვიან განახლებასა და

ინოვაციებს, რომლებიც მოიცავენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დამუშავებებს, აგრეთვე ყველა იმ ცვლილებას, რომელთაც ფირმის საქმიანობის გაუმჯობესება შეუძლიათ.

რეინჟინერინგის პროცესს ფირმა იწყებს მისთვის ორი საკვანძო თეზისის ფორმულირებით. პირველმა აშკარა უნდა გახადოს თუ სად იმყოფება ფირმა, რატომ ესაჭიროება მას სახეცვლილება და რა მოხდება იმ შემთხვევაში თუკი ყველაფერი ძველებურად დარჩება. რაც შეეხება მეორეს, მან ფირმის მომავალი იერსახე უნდა წარმოაჩინოს.

საქართველოს ფირმებზე თუ ვისაუბრებთ ,აქ ისეთი სპეციფიკური მოტივები მოიაზრება რეინჟინერინგის ჩასატარებლად, როგორცაა საერთაშორისო ბაზრებზე ფეხის მოკიდება, შიდა ბაზარზე უცხოელი კონკურენტების გამოჩენის პროგნოზის არსებობა, უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის გაძლიერება და სხვა.

12. კომპანიის რეორგანიზაციის დროს სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით გამყოფი და დამწყები (საწყისი) ბალანსების ფორმირების საქმეში. გამყოფი ბალანსი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ ნორმატიულ შეზღუდვებს , კრედიტორების ინტერესებს, აქციონერთა მიერ დასმულ ამოცანებს და მდგრადი ბიზნესის მოთხოვნებს. დამწყები ბალანსის კონტროლი გარდამავალ პერიოდში ამ მოთხოვნათა შესრულებას უზრუნველყოფს .

თანამედროვე ბიზნესში ჩვეულებრივ ამბადაა ქცეული კომპანიის რეორგანიზაცია. ხშირად კომპანიები ალიანსებში შედიან ერთმანეთთან, რომლებიც შემდგომში იურიდიულ გაერთიანებად გარდაიქმნებიან. უფრო ძლიერი კონკურენტები ზოგჯერ იერთებენ და შთანთქავენ უფრო სუსტებს. თანამედროვე კრიზისი მთელ რიგ კომპანიებს უბიძგებს ცალკეული აქტივების ან ბიზნესების გამოყოფისკენ, რათა ან გირაოდ მოხდეს მათი გადაცემა, ან გაიყიდოს და ისე დაიფაროს საკრედიტო პორტფელი.

შთანთქმისა და შემოერთების შემთხვევაში ფინანსური საკითხები მცირეა- ყველა კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმ ერთ სამართალმემკვიდრის ხელში გადადის , რომელიც ყველა მათგანზე აგებს პასუხს.

გარდამავალი პერიოდის შედეგების, სამართალმემკვიდრეების წესების შესრულებისა და რეორგანიზებული საზოგადოების ფინანსური მდგრადობის კონტროლისთვის გამოყოფილი საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციამდე მიზანშეწონილია „ შუალედური “გამყოფი ბალანსის შედგენა. დამწყები ბალანსი ყალიბდება სარეორგანიზაციო საზოგადოებიდან ახლად შექმნილი საზოგადოებისათვის გადაცემის აქტების საფუძველზე. სარეორგანიზაციო კომპანიის აქციონერები ვალდებულნი არიან შეაფასონ ფაქტიური დამწყები ბალანსის შესაბამისობა

შუალედურთან და მიიღონ სათანადო მმართველობითი ზომები.(პრემირება, დათხოვნა)

ჩამოთვლილი პროცედურების რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ფინანსურად და ეკონომიკურად მდგრადი ახალი კომპანიების შექმნა რეორგანიზაციის შედეგად.

13. თანამედროვე კომპანიებისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ღირებულების საფუძველზე განხორციელებული მართვა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ახალი კონცეფცია – კომპანიის მართვა დამატებული ეკონომიკური ღირებულების (EVA®) საფუძველზე, რომელიც ამჟამად უკვე ყველაზე უფრო კარგად დამუშავებული და მრავალ კომპანიაში მიღებული კონცეფციაა. EVA® მარტივი მეთოდია და იმას გულისხმობს, რომ ფირმა გამუდმებით უნდა წარმოქმნიდეს თავისუფალი ფულადი სახსრების ისეთ ნაკადებს, რომელთა წყალობით მიღებული მოგება აჭარბებს შემოსავლიანობის აუცილებელ ნორმას. ამით ეს მეთოდი მეტად პოპულარული გახდა როგორც მთელი მსოფლიოს კომპანიებში ისე აკადემიურ წრეებშიც.

კომპანიის ეფექტიანობის განსაზღვრა საკვანძო საკითხია მართვის თვალსაზრისით: ამაზეა დამოკიდებული კომპანიის მესაკუთრეთა მატერიალური სარგებელი, მმართველი რგოლის ბონუსები, კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა და ა.შ.

ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებისაგან EVA® -ის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ იგი არ ითვალისწინებს ბიზნესის წარმართვაზე გაწეულ ყველა დანახარჯს – როგორც ფაქტიურს (აშკარას), ისე ალტერნატიულს (ფარულს).

EVA®-ის განსაზღვრის დროს განხორციელებულ კორექტირებებს სხვადასხვა ბიზნესისათვის იტყენებენ: მომპოვებელ, მომსახურე, საფინანსო თუ სამრეწველო, რადგან ღირებულების დრავიერი ყოველთვის იქნება სხვადასხვა ტიპის აქტივები, რომლებსაც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტულ მეთოდებში არ ითვალისწინებენ.

ღირებულების მართვის ეფექტიანი სიტემის შექმნისთვის აუცილებელია ეკონომიკური მოგების, როგორც კომპანიის საქმიანობის სტრატეგიული ეფექტიანობის საზომის, საკვანძო ფაქტორების განსაზღვრა. ეს ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია.

EVA® მაჩვენებელი, ერთი მხრივ, ადვილად გასაანგარიშებელია, ხოლო მეორე მხრივ, არა მარტო ფუნდამენტური ღირებულების შეფასების საშუალებას გვიქმნის, არამედ მისი ცვლილების მაჩვენებლად და დროის ყოველ მომენტში კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ინდიკატორადაც გამოდგება. სწორედ ამით იწვევს იგი დღეს როგორც თეორეტიკოსთა ისე პრაქტიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს.

14. საერთაშორისო ბიზნესი-თანამედროვე პერიოდში პოპულარული სიტყვათწყობაა

არა მხოლოდ საერთაშორისო მეწარმეობითი საქმიანობის რეალურ სამყაროში, არამედ სასწავლო გარემოშიც. პრაქტიკულად ყველა თანამედროვე კომპანია ცდილობს გახდეს გლობალური დონის მოთამაშე, რომლებიც ცნობილია შორს, საკუთარი საბაზო ქვეყნების საზღვრების მიღმა, ხოლო „საერთაშორისო ბიზნესის“ პროფილის მიხედვით სწავლების პროგრამები ფართოდ მოთხოვნადია კლასიკურ უნივერსიტეტებშიც და უცხო ქვეყნების ბიზნეს სკოლებშიც, ასევე მრავალი ქვეყნის და მათ შორის ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ბიზნესის ფაკულტეტებზეც, რისთვისაც მეურნე სუბიექტებისათვის აუცილებელია ინტერნაციონალიზება, ეროვნული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ გასვლით. ქვეყნების დიდი უმეტესობის ეკონომიკური სისტემების კერძო მეურნე სუბიექტების (ბიზნეს-სტრუქტურების, ფირმების, და ასევე ფიზიკური პირების) საფუძველია სრულიად სხვადასხვა ფორმებში რეალიზებადი ურთიერთქმედება, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, რომელიც განსაზღვრავს მათ მიერ განხორციელებად კომერციულ ოპერაციათა საკვანძო პარამეტრებს. მიღებულია, რომ ასეთი მეურნე სუბიექტები, მისდევენ *მეწარმეობას*. ასე, მაგალითად, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად მეწარმეობითს წარმოადგენს დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებადი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატიურ მიღებაზე ქონების გამოყენებისაგან, საქონელთა გაყიდვისაგან, სამუშაოთა შესრულებისაგან და მომსახურებათა გაწევისაგან იმ პირების მიერ, რომლებიც ამ სახით დაწესებულნი არიან კანონიერი წესით.

15. საერთაშორისო ბიზნესის თეორიები უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური აზრის კლასიკურ და ინსტიტუციონალურ მიმართულებათა ევოლუციები, ისე ფუნქციონალური მიდგომის პოზიციებიდან, რომელიც ასახავს სხვადასხვა ინსტრუმენტარიუმების გამოყენებას საერთაშორისო წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. პირველ შემთხვევაში ჩვენ გამოვდივართ სრულყოფილი კონკურენციის დაშვებიდან, იმ ვარაუდით, რომ ბაზრებს იდეალური სტრუქტურა გააჩნიათ, ხოლო ბაზრის ჩავარდნები-გამონაკლისებია, რომელიც ადასტურებს საერთო წესს.
16. ახალი ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს საერთაშორისო ბიზნესის გაფართოებას, კერძოდ, ინტერნეტის და ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა შეღწევას საქმიანობის ყველა სფეროში, მსოფლიოს ყველა რეგიონში. მაგალითის სახით შეიძლება მოვიტანოთ ფართოდ ცნობილი ფაქტი, რომ მონაცემთა ბაზის არსებობა მიზნობრივი ბაზრების შესახებ მნიშვნელოვნად აადვილებს მიზნობრივი ბაზრების გამოკვლევას, პროგნოზირებას. კონკურენტული ანალიზი გამარტივდა, რამდენადაც შესაძლებელია კომპანიების საიტების მიხედვით მოვიძიოთ საკმარისი რაოდენობის მასალები ბაზარზე კომპანიის საქმიანობის, ასორტიმენტული პოლიტიკის შესახებ. ფინანსურმა ინფორმაციამ ინვესტორებისათვის შესაძლებელია იწინასწარმეტყველოს ამა თუ იმ ბაზრის პერსპექტიული სტრუქტურა.
17. თანამედროვე ბიზნესი სწრაფადგლობალიზებად სამყაროში დიდწილად გადაიქცა საერთაშორისო ბიზნესად, რომელიც გულისხმობს დამატებით შესაძლებლობებს კომპანიებისთვისაც და ინდივიდუალური მეწარმეებისთვისაც.

შემთხვევითი როდია, რომ საერთაშორისო ბიზნესის ლოზუნგი - „იფიქრე გლობალურად-იმოქმედე ლოკალურად“- ცნობილი ფრაზა გახდა 21-ე საუკუნეში, რაც საქმიანი გადაწყვეტილებების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას ნიშნავს გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინებას, საგარეო გარემოს შეშხაპუნებების ასახვის ჩათვლით, და ასევე პლანეტარული ხასიათის მომავალი პერსპექტივების გამოყენებას.

18. ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარების მსოფლიო გამოცდილების შესწავლამ, ტურიზმის ახალმა კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურმა მიდგომამ, რაც გამოიხატება ტურიზმის, როგორც სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარებაში, საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები და დასკვნები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურიზმის დანქარებულ განვითარებას ქვეყანაში და შესაბამისად, მისი მეშვეობით სიღარიბის დონის შემცირებას.
19. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის თანამედროვე ტენდენციების განხილვისას ნაჩვენებია, რომ დღესდღეისობით კაპიტალის ტური ეკონომიკური სისტემა კვლავ ფუნქციონირებს, თუმცა განსხვავებით 20-30 წლის წინანდელი მდგომარეობიდან, ახლა უკვე თითქმის მთელი მსოფლიო კაპიტალისტურია; შეიცვალა ტექნოლოგიები, უფრო მეტიც, მოხდა ნამდვილი ციფრული რევოლუცია. ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მოქმედებაც მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებთან. ასევე დასაბუთებულია, რომ დღეს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს გლობალიზაციის ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე
20. ნაშრომში გაანალიზებულია, რომ გლობალურ საერთაშორისო სისტემაში გარკვეულწილად კნინდება ცალკეული სახელმწიფოების როლი, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამავე დროს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ყველასგან განცალკევებული, იზოლირებული ქვეყნის არსებობა დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით რთული პრობლემის წინაშე დგანან პატარა ქვეყნები, რადგან მათ უნდა შეძლონ საკუთარი თვითმყოფადობის და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაც და საერთაშორისო სისტემაში სათანადო ადგილის დამკვიდრებაც.
21. საქართველოში კონსალტინგური საქმიანობის შემდგომი განვითარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება პირდაპირ უკავშირდება კონსულტანტთა თვითრეგულირებადი გაერთიანებების შექმნას, რომლებიც თავიანთ თავზე აიღებენ რეგიონებში კონსალტინგური მომსახურების ბაზრის ორგანიზებისა და რეგულირების ფუნქციებს. თვითრეგულირებადი პროფესიული გაერთიანებებისთვის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციის გადაცემის პროცესი დადებითი მოვლენაა. საჭიროა ამ გაერთიანებათა შესახებ კანონის მიღება და მათთვის დახმარების გაწევა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან სპეციალისტების მომზადებისა და ატესტაციის უზრუნველყოფის ნაწილში, როგორც სპეციალისტების, ისე კონსალტინგური ფორმების რეესტრების წარმოება.
22. შემოთავაზებულია კონსალტინგური მომსახურების ეფექტიანობის შეფასების

მეთოდისა. მას საფუძვლად უდევს დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ და ერთმანეთს დავუკავშიროთ საწარმოს საქმიანობისა და ნებისმიერი კონსალტინგური პროექტის მაჩვენებლები რამდენიმე მიმართულებით: კლიენტზე ორიენტირებით, შიდასაფირმო, საინოვაციო ან ფინანსური მიმართულებით. მეთოდის გამოყენების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მწარმოებელმა საწარმოებმა უფრო თამამად დაიწყეს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში იმ რეკომენდაციების გამოყენება, რომლებსაც კონსულტანტები აყალიბებენ. შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვამ საწარმოებს იმის საშუალება მისცა, რომ ვიწრო ადგილების ლიკვიდაციისკენ წარემართათ თავიანთი ძალისხმევა და ამაღლებინათ წარმოებისა და სარეალიზაციო საქმიანობის ეფექტიანობა.

23. შემუშავებული და აპრობირებულია კონსალტინგური ფირმის ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის იმიტაციური მოდელი. მას უნივერსალური ხასიათი აქვს და შეგვიძლია ვიყენებდეთ როგორც მთელი ფირმის საქმიანობის მოდელირებისთვის, ისე კონკრეტული კონსალტინგური პროექტის ანალიზისთვისაც.

24. ჩატარებულმა კვლევებმა შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მისცა ავტორებს:

განმარტებულია კონსალტინგის არსი და დაზუსტებულია მისი შინაარსი, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც სპეციალური კომპანიებისა და ფიზიკური პირების ფასიანი, დამოუკიდებელი და ობიექტური პროფესიული მომსახურება, რომელსაც შემკვეთს უწევს პრობლემების გამოვლენისა და მათი გადაჭრის რეკომენდაციის შემუშავების მიზნით.

შემოთავაზებულია კონსალტინგური საქმიანობის მიმართულებათა კლასიფიკაცია, სადაც ჯგუფები იმის მიხედვითაა გამოყოფილი, თუ საწარმოთა რომელი ფუნქციების ეფექტიანობის ამაღლებისკენაა ისინი მიმართული.

25. შემოთავაზებულია კონსალტინგური საქმიანობის მიმართულებათა კლასიფიკაცია, სადაც ჯგუფები იმის მიხედვითაა გამოყოფილი, თუ საწარმოთა რომელი ფუნქციების ეფექტიანობის ამაღლებისკენაა ისინი მიმართული.

დადგენილია კონსალტინგური საქმიანობის ეფექტის არსი. ესაა ამ საქმიანობის ჩატარებაზე დაბანდებული სახსრებისგან უკუგების სიდიდე, რომელიც იზომება როგორც თანხობრივად, ისე კონსალტინგური ფირმის შემკვეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაგეგმვის, აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების სრულყოფის სახით.

26. კონსალტინგი როგორც ბაზრის ინფრასტრუქტურის ელემენტი მაღალ სისტემაწარმოქმნელ პოტენციალს შეიცავს, რომელსაც, ჩვენი აზრით, ეკონომიკიდან სახელმწიფოს წასვლის შედეგად გამოთავისუფლებული ნიშები შეუძლია დაიკავოს და სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მიზანმიმართული პოლიტიკის სუბსტიტუტის (შემცვლელის) როლში შეუძლია მოგვევლინოს.

ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს

კონსალტინგური საქმიანობის ეფექტიანობის არსის გამოვლენას, რაც მისი მართვის მეთოდებისა და ხერხების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. კონსალტინგური საქმიანობის ეფექტიანობის მართვა განსხვავებული მეთოდების გამოყენებას გულისხმობს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ორგანიზაციულ მეთოდებს ეკუთვნის. ამიტომ მათი სრულყოფა ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

27. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში ფისკალური პოლიტიკა აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე რთული კომპონენტი, რადგანაც მასში თავი იჩინა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო სხვა სფეროებში მიმდინარე ცვლილებებთან. ქვეყნები, რომლებმაც ვერ შეძლეს ჩაეტარებინათ ეკონომიკის თანმიმდევრული ლიბერალიზაცია, აღმოეფხვრათ ფარული და ღია სუბსიდიები, გაეტარებინათ მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მიმართ, უარი ეთქვათ ინტერვენციონისტული მისწრაფებებისათვის, დროულად გაეტარებინათ საგადასახადო რეფორმა და გაეუმჯობესებინათ საგადასახადო სისტემა და ა. შ., აღმოჩნდნენ ფინანსურ კრიზისში. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

28. ნაშრომი, „უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოყენება საქართველოში“, ეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენის მოხდენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. თანამედროვე პირობებში უძრავი ქონების როლის ზრდამ გამოიწვია ინტერესის ზრდა მისი შეფასების საკითხში. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი მიდგომა უძრავი ქონების შეფასებაში. ეს გარკვეულ ქაოსს იწვევს. ამან განაპირობა ისეთი სისტემის შემოღების აუცილებლობა, რომელიც მისაღები იქნებოდა თითოეული ქვეყნისათვის. შეფასების ერთიანმა, საერთაშორისო სისტემამ, შესაძლებელი გახდა უძრავი ქონების შეფასება საერთაშორისო დონეზე. შეფასების პროცესი მოიცავს კონკრეტულ ეტაპებს. კერძოდ, ეტაპების რაოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა შეფასების გამოყენების მიზნობრიობა, ქონების ხასიათი, შეფასებისთვის აუცილებელი სამუშაოების მასშტაბი, ასევე მონაცემთა ხელმისაწვდომობა. ქვემოთ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს შეეხება. თემაში განხილულია უძრავი ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მიღებულია შეფასების საერთაშორისო საბჭოს მიერ. თემაში განხილულია სტანდარტები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებზეა დაფუძნებული და ყველაზე ხშირად გამოიყენება საქართველოში.

29. ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურ განვითარებაზე, ასევე მიზანმიმართულ და მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სტრატეგიაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრების დონესთან მიახლოების გარანტს. ჩვენთვის, როგორც ევროკავშირის სამომავლო წევრობაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის, ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ევროპულ სისტემებთან მაქსიმალური დაახლოება. ეს შეეხება ქვეყნის განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, გარემოს დაცვას, კვლევით და ინოვაციურ საქმიანობას, სავაჭრო ურთიერთობებს და ა.შ.

სოციალური დაცვის სისტემის ინტეგრირება უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. სოციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს და ეკონომიკური სისტემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდეს. ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, უნივერსალიზმზე და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება. ეფექტურად მომუშავე სოციალური პოლიტიკა, თანამედროვე ქვეყნის ხერხემალს და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს;

30. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები საგარეო ვაჭრობის წარმატებული განხორციელების და ღია ეკონომიკის ორიენტირების შესახებ გვიხსნის საგარეო ვაჭრობის წარმატებული განხორციელების ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის პრინციპს, ფრიტრედერობის და პროტექციონიზმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოსტულატებს, ღია ბაზარის პრიორიტეტებს ერის ფუნდამენტური ინტერესების დაცვის მიზნით, გმობს მონოპოლიზმს და „ერის საერთო კეთილდღეობის“ უჭველი უზრუნველყოფის, მისი „თვითარსებობის“ ფუნდამენტური პრინციპის აუცილებელი განხორციელებისკენ მოგვიწოდებს.

31. ღირებულებათა ურთიერთგადასვლები მათი ფარგლების დასახდურისა და კლასიფიკაციის სიძნელეებს განაპირობებს. ღირებულებები როგორც ადამიანთა და საზოგადოებათა ქცევის სოციალური ორიენტირები წარმოქმნიან სხვა დონეს ეკონომიკურ ღირებულებებთან შედარებით. მოხსენებაში გამოყოფილია სოციალურ ღირებულებათა წინააღმდეგობების ხუთი სახეობა, რომელთაგან მესამე – წინააღმდეგობა ერების ღირებულებათა შორის – მოიცავს ოთხ დანარჩენს. სარგებლობაზე, რომელსაც ერები იღებენ ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთგამდრების შედეგად, ევროპული და ქართული ღირებულებების სიახლოვეზე, რაზეც ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე უთითებდა.

32. სტატიები ეხება ეროვნულ ღირებულებათა სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას კორუფციის დონეზე; მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების შედარებითი ანალიზი ევროპასა (სადაც ისინი 1980-ან წლებში დაიწყო) და საქართველოში (სადაც დაიწყო 1997 წელს), აღნიშნულია, რომ საქართველოში თვითმმართველობითმა საწყისებმა მიიღეს უფრო ფორმალური ხასიათი, მაშინ როდესაც ქართველი ხალხის ტრადიციები ქმნიან თვითმმართველობის სამაგალითო მოდელის შექმნის საფუძველს.

33. ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური წარმატების აუცილებელ გზად ეკონომიკის კარგახსნილობას (ღია ეკონომიკას) თვლიდა და გადამწყვეტ როლს შრომის

ნაყოფიერების გადიდებას და სპეციალიზაციას, იაფი და მაღალხარისხიანი საქონლის წარმოებას და საგარეო ვაჭრობის წარმატებით განხორციელებას ანიჭედა.

ილიას მიაჩნდა, რომ საჭიროა ხელი მოვკიდოთ ჩვენი რეალური ეკონომიკის განვითარებას, ყველაფრის მოყვანას, რის მოცემაც შეუძლია ჩვენს მდიდარს ქვეყანას, რისთვისაც ჰავა და მიწა ხელს გვიმართავს. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვავლინოთ, მივაღწიოთ და დავინახოთ ჩვენი შედარებითი უპირატესობები. მხოლოდ ასე ვისწავლით ერთი და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვადებინოთ მიწას, ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავალი მოვიყვანოთ იმისთანა, რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. სწორედ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი საქონელი ვაწარმოოთ, რაც ქვეყანას შეუძლია, მივაღწიოთ ქვეყნის მდგრად განვითარებას, შევინარჩუნოთ მისი "თვითარსებობა" და ამასთან ერთად, მაქსიმალური ეფექტიანობით ჩავეერთოთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ილია ჭაფჭავაძემ დაასაბუთა, რომ გლობალიზაციის შედეგად ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის ზომის ზუსტად მიგნება განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული, ერის საერთო ინტერესების კონტექსტში გადაწყვეტა, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა.

34. წარმოდგენილ სტატიაში „ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები თუშეთში“ განხილულია თუშეთში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიების საკითხები.

თუშეთში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მთელი რიგი შესაძლებლობები არსებობს, რომლის გამოყენების შემთხვევაში უფრო მეტად გაიზრდება მისი ეკონომიკური ეფექტიანობა. ამიტომ ამ რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების თვალსაზრისით მეცნიერულად დასაბუთებული გზების ძიების და ღონისძიებების დამუშავებას მათზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუშეთში ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი გზები და ღონისძიებებია: საინფორმაციო მომსახურება და ტურიზმის განვითარება: გზა – ბილიკების სრულად მოწესრიგება, ტურისტების და თუში მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, შინამრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის განვითარება, სოფლებისა და ისტორიული ძეგლების აღდგენა, თუშეთის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა.

35. წარმოდგენილ სტატიაში „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხისათვის“ განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს ამჟამინდელი სოფლის მეურნეობა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, მცირდება სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე, მოსახლეობის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფა.

სტატიის ავტორთა შეხედულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების, მოსახლეობის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით

უზრუნველყოფის პრობლემის მოღიანად გადაწყვეტის გზად მიაჩნიათ: სოფლის მეურნეობაში უკვე გამოყენებული და მიწათმოქმედებისათვის ვარგისი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუყენებელი მიწების რაციონალური და პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება; სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაციის ძირეული შეცვლა და მის მაგიერ ქართული, ეროვნული, ტრადიციული, თანაბარზომიერი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შექმნა; პერსპექტივაში გამოსაყენებელი მიწის ფართობის განაწილების სტრუქტურა, მიწათმოქმედების მაღალი კულტურა.

36. მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის თვალსაზრისით ცნობილია ეკონომიკური განვითარების საბაზრო ეკონომიკის ზოგადი ეფექტიანი მოდელი, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით შეზღუდული რესურსების პირობებში საჭიროა სხვა დამატებითი მოდელის ძიებაც. ამიტომ, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ საფუძვლიანად დაუმკვიდრებელი სახელმწიფო – კერძო საწარმოთა პარტნიორულ მოდელზე სათანადო ყურადღების გამახვილება. ნებისმიერი პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის წარმატებით მშენებლობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო-კერძო საწარმოთა პარტნიორული მოდელის გზით განვითარების მნიშვნელობას. ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო-კერძო საწარმოთა დიდი ნაწილი ამ პროცესში ჩამოყალიბდნენ, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც წარმატებით დაადგნენ პარტნიორული მზრუნველობის საფუძველზე სოციალურეკონომიკურ განვითარების გზას. ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ ამ საფუძველზე მიეცათ მათ, ახალი დამოუკიდებელი მენეჯმენტის, ნორმატიული იურიდიული ბაზის შექმნისა და მისი შესაბამისი ახალი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა და ამით საზოგადოების ცხოვრების დონის რამდენადმე ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალება.
37. ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტში წარმოდგენილი ბევრი შეზღუდვის მიუხედავად, ღრმა და ყოველმხომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოსთვის არის შესაძლებლობა, მოახდინოს წარმოებისა და მომსახურების განვითარება და შესაბამისი სტანდარტებითა თუ ნორმებით, საკანონმდებლო ცვლილებებითა და სწორი რეგულაციებით, ეტაპობრივად მოახდინოს ევროპის განვითარებულ და უმსხვილეს ბაზარზე შესვლა, რაც თავისთავად ნიშნავს ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს 28 ქვეყნისგან შემდგარ, 500-მილიონიან გასაღების ბაზარზე თავის დამკვიდრების და ამ გზით საექსპორტო პოტენციალის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა გაუჩნდა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გავლენა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელზე უკვე აისახა. 2015 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 6%-ით არის გაზრდილი და 206 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ქართული ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის

ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი ტემპით გაიზრდება. საქართველო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, იპოვოს ისეთი მიმართულებები, რომლებშიც ჩვენს ქვეყანას შედარებითი უპირატესობა ექნება ევროპულ ბაზარზე, გააუმჯობესოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხი და წარუდგინოს იგი ევროპის 500-მილიონიან მომხმარებელს.

38. ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი და განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზაციის შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალი მისი მფლობელისათვის უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“. განხილულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საკითხებში, რომ ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება; აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციურორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენჩურული ფირმები, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, ნოვატორები, რომელთა დეფიციტს საქართველო არ განიცდის.

39. სტატიაში განხილულია ინოვაციათა მნიშვნელობა რეგიონების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. ნახვენებია, რომ ქვეყნის რეგიონების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის წანამდგრების შექმნა შეუძლებელია ინოვაციური პროცესების აქტივიზაციისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების გარეშე, რამაც აქცენტი გადაიტანა ინოვაციური პროგრამების მართვის სფეროში ფედერალურიდან რეგიონულ დონეზე. ჩატარებულია რეგიონულ დონეზე ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების თანამედროვე მიდგომების ანალიზი. გამოვლენილია რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების ძირითადი ფუნქციები. სტატიაში ასევე ნახვენებია, რომ ინოვაციური პროგრამებისა და ცალკეული მსხვილი პროექტების რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ეფექტური რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურების, როგორც ეროვნული ინოვაციური სისტემის ქვესისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობით.

40. სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე ორგანიზაციისათვის აქტუალური მართვის ორი სახე: სტრატეგიული და კორპორაციული მართვა. განხილულია სტრატეგიული მართვა, როგორც სამეწარმეო საქმიანობა. ორგანიზაციის შესაძლებლობები წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, რომელიც მიმართულია სტრატეგიული მიზნების მიღწევასაკენ. მთლიანობაში, სტრატეგიული პრობლემებით დაკავებული მენეჯერის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მომგებიანობის მუდმივი პოტენციალის უზრუნველყოფა. ამრიგად,

სტრატეგიული მართვის მიზანია გაზარდოს ორგანიზაციის პოტენციალი, თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით. სტატიაში ასევე განხილულია კორპორაციული მართვა, როგორც კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურა. იგი არის კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი, კორპორაციული მართვა მოიცავს ურთიერთობებს კომანიის მენეჯმენტს, მის სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტი დაკავშირებულია კორპორაციებში გარე კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფასთან. კორპორაციული მართვა ასევე ითვალისწინებს იმ გზების გამონახვას, რომლის საშუალებითაც შეძლებს დაინტერესოს დაკავშირებული მხარეები, რათა მათ განახორციელონ სოციალურად ეფექტიანი ინვესტიციები სპეციფიკურ ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალში.

41. სამეცნიერო სტატიაში „რისკები ინოვაციურ ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ინოვაციური ეკონომიკა წარმოუდგენელია რისკების გარეშე. რისკი არის საფრთხე, სავარაუდო ზარალი ან ზიანი, რომელიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესურსების ნაწილი, ვერ მიიღოს დაგეგმილი მოგება ან გაუზრდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ცხადია, ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ახალ პროდუქციასა და მომსახურებას ბაზარი არ მიიღებს, ან თუკი ინოვაციური მმართველობითი მეთოდები არ აღმოჩნდება ეფექტიანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით, ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხებულია.

ინოვაციური ბიზნესი და მასთან დაკავშირებული რისკების იმართება და რეგულირდება როგორც სახელმწიფო ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას ქვეყნის მთავრობა არეგულირებს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მქდავანდება ინოვაციური ბიზნესის დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირ მეთოდს მიეკუთვნება ინოვაციური ფირმების შეღავათიანი დაბეგვრა გადასახადებით.

42. აკაკი გვარუციძე სამეცნიერო სტატიაში „რისკების მართვა ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ეკონომიკა წარმოუდგენელია გარკვეული რისკების გარეშე. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკაში რისკების დადგომის ალბათობა. რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი გულისხმობს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენის, რისკის შეფასების, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო, ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მქლავნდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით

43. სტატიაში „საბანკო ინოვაციური ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვის თანამედროვე სტრატეგიული ტენდენციები“ აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ინოვაციები ბანკების სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს.

განსაზღვრულია, რომ საბანკო ბიზნესის მიმდინარე რეალიები მკაფიოდ საბანკო ინოვაციური საქმიანობის სამი ძირითადი კატალიზატორის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა: მსოფლიო ფინანსური ბაზრებისა და საბანკო მომსახურების ბაზრების გლობალიზაციას, საბანკო და არასაბანკო სექტორების მხრიდან მზარდ კონკურენციას, მსოფლიო ფინანსურ კრიზისს.

დადგენილია, რომ საბანკო დარგში ინოვაციებად შეიძლება ჩაითვალოს: ახალი საბანკო პროდუქტების ან მომსახურების ეკონომიკური რეალიზაცია, უკვე არსებულების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, აგრეთვე ბიზნესის გაძღოლის საქმიანი პრაქტიკის ახალი ტექნოლოგიური, მარკეტინგული, მმართველობითი ან ორგანიზაციული მეთოდები.

44. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ფინანსების მართვის სისტემა საქართველოში. ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურებია სახელმწიფო აუდიტის სამსახური, დამოუკიდებელი აუდიტორული ფინანსური კონტროლის სამსახურები და ა.შ.

ცენტრალიზებული საბიუჯეტო სისტემა შეცვალა ახალმა საბიუჯეტო სისტემამ, რომლის ამოსავალი საფუძველი სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ერთმანეთისაგან რეალური დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობაა. იგულისხმება საკუთარი თუ მარეგულირებელი გადასახადებით შემოსავლების ფორმირება და მათ გახარჯვაში (კანონით განსაზღვრული) თავისუფლება. ამასთან, მათ შორის ახალი ურთიერთობები და ვალდებულებებიც ჩამოყალიბდა. სახელმწიფო ბიუჯეტი ავტონომიური რესუბლიკების და ადგილობრივ ბიუჯეტებს გადასცემს ტრანსფერებს.

45. სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა შესწავლილი ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ფულის დროითი ღირებულება, ნაჩვენებია

მისი განსაზღვრისა და გამოყენების თავისებურებანი განვითარებად ქვეყნებში.საკითხის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის, როდესაც წინა პლანზე დგება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირების აუცილებლობა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აკაკი გვარუციძე, ლევან ტატიშვილი	რისკების მართვა ეკონომიკაში	თბილისი, სტუ, 17 ოქტომბერი
2	გურამ ჯოლია	უმაღლესი განათლება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პირობებში	მე-4 საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდულები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი-ქუთაისი, სტუ, 17-18 ოქტომბერი
3	ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი	ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის .	14-15, ოქტომბერი, 2016, თბილისი, სტუ
4	დალი სეხნიაშვილი, ზაზა სიჭინავა	მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის ინსტრუმენტულ- ტექნოლოგიური ასპექტები	14-15, ოქტომბერი, 2016, თბილისი, სტუ
5	დალი სეხნიაშვილი	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები ინტერნეტ-სივრცის ზეგავლენის პირობებში	2016წ. თბილისი, სეუ, 2016 4
6	დალი სეხნიაშვილი, ზაზა სიჭინავა	სტრატეგიული მართვის ახალი პარადიგმა	24 დეკემბერი, 2016წ. თბილისი, სეუ

7	დემნა კვარაცხელია, დიანა კვარაცხელია	”ეკონომიკური ზრდის ართიმეტიკა”	2016 წლის 16-17 ოქტომბერი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8	ელენე მენაბდე-ჯობაძე	უმუშევრობის დინამიკა საქართველოში	თბილისი-ქუთაისი, 14-15 ოქტომბერი
9	ელენე მენაბდე-ჯობაძე	სოციალური უთანასწორობის პრობლემების რეტროსპექტული ანალიზი	თბილისი-ქუთაისი, 14-15 ოქტომბერი
10	Р.З. Гараканидзе	На энергетическом перекрестке. Доклад был представлен на семинаре «Российско-грузинские отношения — перспективы сотрудничества»	Тбилиси 2 апреля 2016 года http://www.georgiamonitor.org /news/254/1474/
11	ნატო ჩიკვილაძე, ლაშა კაკულია	საქართველოს საქმიანი კულტურის თავისებურებები და მათი გავლენა მართვის სამამულო სისტემაზე	სტუ.თბილისი;აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი,2016წ.16-17 ოქტომბერი
12	ნატო ჩიკვილაძე	საქართველოს საინვესტიციო გარემო	რუსთავი, ეკვთიმე თაყაიშვილის სახ.სასწავლო უნივერსიტეტი, 2016წ.10 დეკემბერი
13	ნაზი ჭიკაიძე	სიღარიბის დაძლევის ღონისძიებები საქართველოში	იენისი,2016წ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ-2016”
14	ნაზი ჭიკაიძე შოთა გურული	ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა საქართველოში	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ,დღეს,ხვალ”.თბილისი, 14-15 ოქტომბერი

15	ნაზი ჭიკაიძე	ტურიზმის განვითარების ორგანიზაციულ- ეკონომიკური პრობლემები	პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები“ სეუ, 2016წ, 7-8 მაისი
16	ალექსანდრე სიჭინავა	ბასაია სიჭინავა პირველი ევროპული ორიენტაციის ქართველი კაპიტალისტი	14-15, ოქტომბერი, 2016, თბილისი, სტუ

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. რისკების მართვა ეკონომიკაში

სამეცნიერო სტატიაში „რისკების მართვა ეკონომიკაში“ აღნიშნულია, რომ ეკონომიკა წარმოუდგენელია გარკვეული რისკების გარეშე. ეკონომიკის გლობალიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკაში რისკების დადგომის ალბათობა. რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნის მიუღწევლობის ან რაღაცის დაკარგვის საშიშროების შემცველი პროცესი. რისკი, როგორც ეკონომიკური პროცესი, არის მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს.

რისკები მრავალნაირია. იმის მიუხედავად, რომ ყველანაირი რისკი საბოლოო ჯამში ეკონომიკური შედეგით ფასდება, მათ მაინც აჯგუფებენ: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და პიროვნულ რისკებად.

რისკების მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ დინამიურად განვითარებადი სახის პროფესიულ საქმიანობას და დღითიდღე სულ უფრო აქტუალური ხდება. იგი გულისხმობს სავარაუდოდ, რისკის გამოვლენის, რისკის შეფასების, რისკის მართვის მეთოდის შერჩევას და მისი გამოყენებით მიღებული შედეგის შეფასებას.

რისკები ეკონომიკაში იმართება და რეგულირდება, როგორც სახელმწიფო, ისე ფირმის დონეზე. სახელმწიფო დონეზე მას არეგულირებს ქვეყნის მთავრობა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი რეგულირება მქდავნიდება საწარმოთა დოტაციურ დაფინანსებაში, ხოლო არაპირდაპირი საწარმოთა შეღავათიან დაბეგვრაში გადასახადებით.

2. განათლების მიღების აუცილებლობა კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქას ახასიათებდა. ასეა დღესაც, – პოსტინდუსტრიულ, საყოველთაო ცოდნის საზოგადოებაში. თუმცა, მისი მიღების პირობები არსებითად შეიცვალა, რადგან ყოფა-ცხოვრებაში მრავალფეროვანი გაჯეტები აქტიურად გამოიყენება.

არსებული რეალობა განათლების სისტემისადმი სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს: იცვლება განათლების მიღების ფუნდამენტური პარადიგმა (ინფორმაციის ფლობა). წინა პლანზე გამოდის ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გააქტიურება და უნარები, ანუ „უმწიფრობიდან გამოსვლა“.

თავის მხრივ, ყოველდღიურად ძლიერდება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებიც. მრავალ სფეროში ადამიანს რობოტი ჩაანაცვლებს. შეიცვლება თვით დასაქმების სფეროებიც.

ტრანსფორმირდება უმაღლესი სასწავლებლები და მათი აქტიორების (პროფესორი, სტუდენტი) პრიორიტეტები. უნივერსიტეტები ვირტუალურ სტრუქტურებად გარდაიქმნება, ხოლო პროფესორი ცოდნის შეფასების პროცესიდან გამოეთიშება და ცოდნის მიმწოდებლად, კონსულტანტ/მრჩეველად დარჩება. გააქტიურდება სტუდენტის ძალისხმევა თვითგანათლების მიღების მიმართულებით, საკუთარი განათლების დაგეგმვასა და კონსტრუირებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსსენებაში გაშუქებულია თანამედროვე პირობებში განათლების ცვლილების აუცილებლობა, ცოდნის შეფასების კომპონენტში პროფესორის ჩართულობის გამორიცხვა, სტუდენტთა ყურადღების გადატანა არა ინფორმაციის მახსოვრობაზე, არამედ კრეატიული უნარების გამომუშავება-გააქტიურებაზე.

3. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე იმყოფება, რომელიც ხასიათდება როგორც შემეცნების მჭიდრო კავშირით საქმიანობის ფასეულობით-მიზნობრივ პარამეტრებთან, ასევე, შემეცნების საშუალებების ექსპლიკაციით. შედეგად, საზოგადოებამ მიიღო სრულიად ახლებური გაგება ეკონომიკური შემეცნების სუბიექტის და ობიექტის, ახალი გაგება ეკონომიკური რეალობისა და რაციონალურობის, ეკონომიკური ცოდნის ობიექტური სფეროს გაფართოება, რაც შემეცნებელი სუბიექტის მახასიათებლებთან, მის ფასეულობებთან, კულტურულ დეტერმინანტებთან, ცოდნის სოციალურ შემადგენელთანაა მეტად მჭიდროდ დაკავშირებული. რაციონალურობის სტრუქტურაში ჩართული იქნა ისეთი მახასიათებლები, როგორცაა ეკონომიკური სუბიექტის ფასეულობები და მიზნები.

დღეს ეკონომიკურ ექსპერიმენტებს მიმართავენ ეკონომიკის მრავალ სფეროში, მაგალითად: ინდივიდუალური ქცევის სფერო, თამაშთა თეორია, ბაზრების თეორია, ინფორმაციის და საზოგადოებრივი სიკეთის ეკონომიკა. ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის შესწავლაში და დაასაბუთა ზოგიერთი ეკონომიკური მოდელის უუნარობა.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური ექსპერიმენტების მეთოდს დიდი მომავალი აქვს. მისადმი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და სწორედ ამაშია მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების პროგრესის და მისი

მდგრადი განვითარების გარანტია.

4. დღეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია კომპანიის მართვის ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფაა. ამასთან დაკავშირებით, ფართოდ გავრცელებული ინფორმაციული სისტემები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ კომპანიის ეფექტიანად ფუნქციონირების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა კლასიფიკაცია, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაცია მოვახდინოთ კომპანიის მართვის დონეების ფარგლებში ფუნქციურ ორიენტაციაზე დამოკიდებულების მიხედვით. გამოვყოფთ სამ ძირითად სისტემას: მმართველობითი ინფორმაციული სისტემა (MIS), გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემა (DSS) და ხელმძღვანელის მხარდაჭერი ინფორმაციული სისტემა (ESS). ინფორმაციის დამუშავების ინფორმაციული სისტემები საოცარი სისწრაფით განიცდიან სრულყოფას. ვფიქრობთ, რომ ასეთი სისტემების განვითარების კვალობაზე, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი სულ უფრო მარტივი და ეფექტური გახდება. ასევე, ვფიქრობთ, რომ სემანტიკური და კოგნიტური ანალიზის სფეროში შემდგომი კვლევები განსაზღვრავენ მართვისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი ავტომატიზებული სისტემების განვითარების ვექტორს.

5. სტატიაში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების განვითარების ახალი ტენდენციები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების სრულიად ახალი ობიექტების ფორმირებაში გამოიხატება. ინტერნეტ გარემოში მათ მეტად მაღალი მოგების მოტანა შეუძლიათ.

ავტორის აზრით, ინტელექტუალური საკუთრების სტრუქტურაში უნდა აისახოს ისეთი ობიექტები, როგორებიცაა: დომენური სახელები, საკვანძო სიტყვები, გეომარკერები, საძიებო ალგორითმები და სხვა ვირტუალური საქონელი, რომელთა გამოყენება აუცილებელი გახდა ინტერნეტ-გარემოში სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად.

სამეწარმეო ძალების განვითარება განაპირობებს ინტელექტუალური შრომის ახალი ობიექტების გამოჩენას, რომელთა ბაზაზე წარმოშობილი ურთიერთობები გადის ეროვნული საზღვრების მიღმა. ეს გარემოება კი ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუციონალური გარემოს განვითარებას, მათი ლოკალური ბუნების უგულებელყოფას და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არსებული კანონების სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან თანხვედრის აუცილებლობას განაპირობებს.

6. სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიული მიდგომების შესწავლის საფუძველზე, ავტორები შეეცადნენ მოეხდინათ მათი სისტემატიზაცია. აღნიშნული მიდგომები დაყოფილია სტრატეგიის შემუშავების კლასიკურ ანუ ტრადიციულ მეთოდებად და ახალ მეთოდებად, რომლებიც გათვლილია არაკონკურენტულ ბაზარზე.

სტატიაში აგებულია სტრატეგიული მართვის მეთოდების სისტემა და ავტორების აზრით, ფირმის სტრატეგიის შემუშავების და რეალიზაციისას მომავალი ეკუთვნით იმ მეთოდოლოგიებსა და საშუალებებს, რომლებიც წარმატებულად ახდენენ ერთიან მთლიანობაში კლასიკური მეთოდების, ბაზრის საზღვრების გაფართოების ინსტრუმენტების და „ცოდნის“ კონცეფციების სინთეზს.

ავტორები ფიქრობენ, რომ ნებისმიერი პროცესი ციკლურია და სტრატეგიის შემუშავება მოითხოვს მყარი და საიმედო უკუკავშირის არსებობას, რომლის შედეგების მიხედვითაც მოხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების კორექტირება.

7. მოხსენებაში ”ეკონომიკური ზრდის არითმეტიკა”, გეომეტრიული პროგრესიის განტოლების გამოყენებით, გაანალიზებულია პროდუქციის გამოშვების მომავალში მისაღწევ რომელიღაც კონკრეტულ დონესა და მის მისაღწევად საჭირო წლების რაოდენობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის მეთოდიკა (მშპ-ის საბაზისო დონისა და ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპის მოცემული მნიშვნელობებისას).

გეომეტრიული პროგრესიის აღნიშნული განტოლების გამოყენებით განსაზღვრულია, რომ საქართველოში, 2001-2015 წლებში, ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა: 5,77%.

დასაბუთებულია, რომ აღნიშნული 5,77%-იანი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი საკმარისი არ არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად (მით უფრო, რომ 2011-2015 წლებში შეინიშნება ეკონომიკურ ზრდის ყოველწლიური ტემპების შემცირების უკიდურესად არასასურველი ტენდენცია), ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე არსებული ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების ეფექტიან გადაწყვეტას.

8. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა, რაც აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ეკონომიკურ ზრდას. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში უმუშევრობა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. უმუშევრობით გამოწვეულ პრობლემებს შორისაა შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ნეტოერთობლივი შემოსავლისა და დანახარჯების სტრუქტურის შეუსაბამობა, ინფლაციის პროცესების დაჩქარება. ნაშრომში განხილულია რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა, უმუშევრობის საყოველთაო მაჩვენებლები შსო-ს მიხედვით, წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქებსა და სოფლებში, განხილულია დასაქმებულთა შორის დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი, უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, უმუშევრობის დონე რეგიონალურ ჭრილში. უმუშევრობა ამცირებს წარმოებას, აქედან გამომდინარე მშპ-ს, ქმნის კრიზისის ეკონომიკურ წინაპირობებს.

სტატიაში განხილული და გაანალიზებული საკითხებიდან გამომდინარე,

საქართველოში დასაქმების პოლიტიკისა და უმუშევრობის დაძლევის გზებზე შეიძლება მივიჩნიოთ: სახელმწიფო სტრუქტურებსა და მეწარმეებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება; სოციალური დაცვის სისტემის რეგულირება; მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან დაახლოება; მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება; შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა.

9. მოხსენება შეეხო თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ფართოდ განხილულ თემას - სოციალურ უთანასწორობასა და სიმდიდრის განაწილებას. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება არსებობს. საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია. სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზებისა და წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების გზების კვლევა არის მოცემული სტატიის მიზანი. შემოსავალი და სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავს სოციალურ სტატუსსა და ადამიანის მომავალ შესაძლებლობას. სოციალური უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ადამიანის პერსპექტივებსა და მომავალზე. სოციალური უთანასწორობის ზრდის ტენდენციის შემთხვევაში მაღალია არასტაბილური გარემოს შექმნის, რევოლუციის და აშ. რისკი.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შემოსავლის უთანასწორობა წლების განმავლობაში იზრდება. სიღარიბის შემცირების მიზანი ეკონომიკური ზრდაა. მაგრამ სიღარიბის შემცირება არ ნიშნავს შემოსავლების უთანასწორობის შემცირებასაც, რადგან ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის დიდი ნაწილი სწორედ მდიდარ ადამიანებთან მიდის. შემოსავლების უთანასწორობის შემცირების ერთ-ერთი ბერკეტი ფისკალური პოლიტიკაა. სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები, გადასახადები და ფისკალური შემოსავლები მნიშვნელოვან კავშირშია უთანასწორობასთან. სახელმწიფოს მიერ ფინანსების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, არ ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. უთანასწორობა მცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სახსრები მიმართულია ჯანდაცვისა და განათლებისაკენ.

11. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ქცევის თავისებურებები წარმოადგენენ გარკვეული მოვლენებისა და ერის არსებობის პირობების შედეგს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ბიზნესის ტრადიციები საქართველოში ყალიბდებოდა როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, რაც განაპირობებდა მათ ცვალებადობას და მრავალსახეობას.

ქართულ ბიზნესს გააჩნია რიგი თავისებურებები, რომელთა უდიდესი ნაწილი აიხსნება ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარებით;

ბაზარზე გადასვლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მმართველობით ქცევაში, იმავდროულად საქართველოში ინსტიტუციონალური სფეროს ნელი

განვითარება არ შეესაბამებოდა პრინციპულ ცვლილებას ფასეულობათა სისტემაში, რაც ხსნის თანამედროვე საქმიანი კულტურის ბევრ ნეგატიურ ნიშან-თვისებას;

მენეჯერმა, რომელიც საქმიანობს საქართველოში უნდა გაითავისოს ეს თავისებურებები და გამოიყენოს ისინი მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

12. ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ქვაკუთხედიანია. სწორედ მოწესრიგებულ და მიმზიდველ ბიზნეს-გარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივი გარანტიების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობას.

საქართველო წარმოადგენს ხიდს, რომელიც რამოდენიმე ეკონომიკურ რეგიონს აკავშირებს და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მყოფი, იგი ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის როლს ასრულებს. საქართველო ყველაზე მოკლე სატრანზიტო მარშრუტია დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობისა და გაზის, ასევე, როგორც მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- 1) უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ.
 - 2) ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.
 - 3) სახელმწიფო უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე ხელს უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკრო-ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.
13. მაშინ როდესაც, მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში ცხოვრობს და მისწრაფის წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენ, საქართველოსათვის სიღარიბის დაძლევა, ცხოვრების დონის ამაღლება და ქრონიკული უმუშევრობის შემცირება უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. ბოლო მონაცემებით, ქვეყნის

მოსახლეობის მესუთედზე მეტი ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, რომლის გამომწვევი მიზეზი ბევრია, ერთ-ერთი უმთავრესი უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობაა.

სტატიის მიზანია სიღარიბის, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემის ანალიზი, მისი ძირითადი ფორმებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა. სიღარიბის მასშტაბების დონისა და დინამიკის ანალიზი, ჯინის კოეფიციენტის საფუძველზე, სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შეფასება და მისი დაძლევის მიმართულებების ჩამოყალიბება.

სიღარიბის დაძლევა და დასაქმების უზრუნველყოფა მთავრობის მიერ მომზადებული სხვადასხვა რანგის სტრატეგიულ დოკუმენტში პრიორიტეტულ მიმართულებად არის მოხსენიებული. ფისკალური წესრიგის დამყარებამ მთავრობას სოციალურ სფეროზე ხარჯების გაზრდის საშუალება მისცა, მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არასაკმარისია. სიღარიბის შემცირების სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში გამოიყოფა: წარმოების ზრდისათვის პირობების შექმნა და შესაბამისად, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდება; მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა (მხარდაჭერა); ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება; შრომის ანაზღაურების მინიმალური სიდიდის დაწესება; სოციალური პროგრამების და მათი რეალიზაციის მექანიზმის დამუშავება.

14. იმ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანებიდან, რომელიც საქართველოს უახლოეს მომავალში აქვს გადასაწყვეტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის საფუძველსაც სწორი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისათვის და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას.

15. ტურიზმის დარგის ორგანიზაციული საკითხების გადაჭრისათვის აუცილებელია თეორიისა და პრაქტიკის შესაბამისობის არსებობა. განვითარებულ ქვეყნებში ტურიზმის ბიზნესის პრაქტიკამ განსაზღვრა თეორია, ახლა კი იქ ხორციელდება ტურიზმის განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური თეორიული პრობლემების დამუშავება და გადაჭრა. ქვეყანაში ტურიზმის ისეთი გაგების ფორმირება, რომელიც გააერთიანებს მის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს, დარგის განვითარების საკვანძო საკითხს წარმოადგენს.

ტურიზმის განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა

საერთაშორისო მასშტაბით შექმნეს კარგი პირობები ცალკეულ ქვეყანაში ტურიზმის დარგის განვითარებისათვის. მათი უმრავლესობისათვის საერთაშორისო ტურიზმი წარმოადგენს: ვალუტის შემოდინების უმნიშვნელოვანეს წყაროს და ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს საგადასამხდლო ბალანსის ზრდას; სხვადასხვა დარგის დი-ვერსიფიკაციისა და განვითარების მძლავრ სტიმულს . ეკონომიკური ზრდა, სოციალური პროგრესი, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფა, დასაქმებულთა თავისუფალი დროის გადიდება, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაძლიერება, ტექნოლოგიური პროგრესი ტელეკომუნიკაციების სფეროში, სასაზღვრო რეჟიმის შერბილება ხელს შეუწყობს ტურიზმის ეკონომიკური როლის ზრდას საერთაშორისო დონეზე.

16. 1860 წელს ქართველმა ვაჭარმა ბ.კ.სიჭინავამ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონი) სოფ.ლესიჭინეში გახსნა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა. სოფ.ლესიჭინე უძველესი დროიდან ითვლებოდა აბრეშუმის წარმოების მნიშვნელოვან პუნქტად. იგი მდებარეობს შუა სამეგრელოს გზაზე, რომელიც ქუთაისსა და ზუგდიდს შორის გზას 70 კილომეტრით ამოკლებს. ბ.კ.სიჭინავამ 60-იან წლებამდე დაიწყო აბრეშუმის პარკის შესყიდვა, მისი გადაყიდვისა და მოგების მიღების მიზნით, მაგრამ შემდეგ – 1860 წელს თვითონ დააარსა აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკა და მიმოქცევის სფეროდან გადავიდა წარმოების სფეროში. ბ.კ. სიჭინავას ფაბრიკაში მუშაობდა 40 დაზგა, მაგრამ ისინი უბრალო იყო – მოძრაობაში ხელით შედიოდა. აქედან ნათელია, რომ ამ პერიოდისათვის ბ.კ.სიჭინავას საწარმოს ჰქონდა მანუფაქტურის ფორმა. ამ საწარმომ იარსება 1865 წლამდე, ე.ი. აბრეშუმის წარმოებაში კრიზისის დადგომამდე. აბრეშუმის პარკის წარმოებაში კრიზისმა და მოუსავლიანობამ საწარმოს დახურვა გამოიწვია.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი, მედეა ჩიქავა, ნაზი ჭიკაიძე	„უძრავი ქონების - მიწის და ტყის რესურსების შეფასების პარადიგმები საქართველოში“	21-23 აპრილი, 2016 წ. ქ. რომი (იტალია)
2	ალექსანდრე სიჭინავა, მედეა ჩიქავა,	უძრავი ქონების-მიწის და ტყის რესურსების	21-23 აპრილი, 2016 წ. ქ.რომი(იტალია)

	დალი სესნიაშვილი, ნაზი ჭიკაიძე	შეფასების პარადიგმები საქართველოში	საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი: „განათლება, კლიმატის ცვლილება და ეკონომიკის განვითარება“
3	სესაძე ნელი სესაძე ვალიდა	სინერგეტიკა-ეკონომიკური სისტემების კვლევის ალტერნატიული მეთოდი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ეკონომიკისა და ინოვაციების შავი ზღვის კვლევის ინსტიტუტი (უკრაინა) სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი (თბილისი), 2016წელი, 29 აპრილი

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მიწის, როგორც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელი პირობის და წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზღვრულობა, შეუნაცვლებადობა, მოსახლეობის სწრაფად ზრდა და მატერიალური დოვლათის წარმოების მატების საჭიროება, ქვეყანაში განაპირობებს მიწის რესურსების უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას. მათ ეკონომიკურ შეფასებას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა ბუნების დაცვის სფეროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გვევლინება სწორი მმართველობით გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლად.

საქართველოში მიწის რეფორმისა და მასზე კერძო საკუთრების წარმოშობის შემდგომ წლებში მიწის ღირებულების ფორმირება თანდათან დაექვემდებარა საბაზრო ფასს, რაც მასზე მოთხოვნა მიწოდების პრინციპებით არის ნაკარნახევი.

ავტორთა აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭიროა სერიოზული სამუშაოების ჩატარება. პრობლემის გადასაჭრელად სტატიაში მოცემულია არსებული სიტუაციის ანალიზი და ჩამოყალიბებულია გარკვეული რეკომენდაციები.

სტატიის ავტორების აზრით, საქართველოში ეკოსისტემების და კერძოდ ტყის დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ტყეების ეკოსისტემური მომსახურების შეუფასებლობა, როდესაც ტყის ღირებულება ფასდება მხოლოდ მერქნისა და ტყის დამხმარე პროდუქტების მიღების შესაძლებლობით და არ გაითვალისწინება ტყეების ბუნების დაცვის ფუნქციები.

ავტორები თვლიან, რომ რიგ შემთხვევებში ტყის ფუნქციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების შეფასებისას გამოიყენება რთული მათემატიკური გაანგარიშება, რასაც მწირი ინფორმაციის პირობებში მიყვავართ არასწორ

დასკვნამდე. გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამიტომ ავტორთა აზრით, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასებისათვის ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომად უკეთესია, გამოყენებულ იქნას საერთო ეკონომიკური ფასეულობის (ღირებულება) კონცეფცია.

ავტორები თვლიან, რომ საქართველოში ბუნებრივი კაპიტალისა და ეკოსისტემური მომსახურებების ღირებულება არ აისახება სახელმწიფოებრივ და კერძო დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, და ასევე სხვადასხვა სახის ტყით სარგებლობის ფასწარმოქმნისას. ნაჩვენებია, რომ ძირითადი ტყის წარმომქმნელი ჯიშების მერქნის გამოყენებისათვის გადასახადი უმცირესია, ასევე ძალიან დაბალია ის ტყის ფონდის მიწების სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობისათვის, დაბალია არენდით გადაცემის სააუქციონო ფასები ტყის ეკოსისტემების ფუნქციების შეფასებით მიღებულ შედეგებთან შედარებით. სტატიაში ავტორებს შემოთავაზებული აქვთ წინადადებები ამ პრობლემების გადაჭრისათვის.

2. მიწის, როგორც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელი პირობის და წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზღვრულობა, შეუნაცვლებადობა, მოსახლეობის სწრაფად ზრდა და მატერიალური დოვლათის წარმოების მატების საჭიროება, ქვეყანაშიგანაპირობებს მიწის რესურსების უფრო სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას. მათ ეკონომიკურ შეფასებას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა ბუნების დაცვის სფეროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გვევლინება სწორი მმართველობით გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლად.

საქართველოში მიწის რეფორმისა და მასზე კერძო საკუთრების წარმოშობის შემდგომ წლებში მიწის ღირებულების ფორმირებათანდათან დაეჭვემდებარა საბაზრო ფასს, რაცმასზე მოთხოვნა მიწოდების პრინციპებით არის ნაკარნახევი.

ავტორთა აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭიროასერიოზული სამუშაოების ჩატარება. პრობლემის გადასაჭრელად სტატიაში მოცემულია არსებული სიტუაციის ანალიზი დაჩამოყალიბებულიაგარკვეული რეკომენდაციები.

სტატიის ავტორების აზრით, საქართველოში ეკოსისტემების და კერძოდ ტყის დეგრადაციის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ტყეების ეკოსისტემური მომსახურების შეუფასებლობა, როდესაც ტყის ღირებულება ფასდება მხოლოდ მერქნისა დატყის დამხმარე პროდუქტების მიღების შესაძლებლობით და არ გაითვალისწინება ტყეების ბუნების დაცვის ფუნქციები.

ავტორები თვლიან, რომ რიგ შემთხვევებში ტყის ფუნქციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების შეფასებისასგამოიყენება რთული მათემატიკური გაანგარიშება, რასაც მწირი ინფორმაციის პირობებში მიგვავართ არასწორ დასკვნამდე. გარდაამისა, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ამიტომავტორთააზრით, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასებისათვის ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომად უკეთესია გამოყენებულიქნას საერთო ეკონომიკური ფასეულობის (ღირებულება) კონცეფცია.

ავტორები თვლიან, რომ საქართველოში ბუნებრივი კაპიტალისა და ეკოსისტემური მომსახურებების ღირებულება არაისახება სახელმწიფოებრივ და კერძო დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, და ასევე სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობის ფასწარმოქმნისას. ნაჩვენებია, რომ ძირითადი ტყის წარმომქმნელი ჯიშების მერქნის გამოყენებისათვის გადასახადიუმცირესია, ასევე ძალიან დაბალია ის ტყის ფონდის მიწების სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობისათვის, დაბალია არენდითგადაცემის სააუქციონო ფასები ტყის ეკოსისტემების ფუნქციების შეფასებით მიღებულ შედეგებთან შედარებით. სტატიაში ავტორებს შემოთავაზებული აქვთ წინადადებები ამ პრობლემების გადაჭრისათვის.

3. ეკონომიკის კრიზისი კაცობრიობის გონებრივი განვითარებისა და ცოდნის კრიზისია. რამაც მოითხოვა ახალი მიდგომები და მოდელები შეცვლილი რეალობის გასაცნობიერებლად.

ასეთი ალტერნატიული თეორია ეკონომიკური სინერგეტიკაა. მკვლევართა ნაწილის აზრით, სინერგეტიკას, როგორც ინოვაციურ მიმართულებას მეცნიერებაში ძალუძს თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა. მისი ძირითადი დებულებები ასეთია: სინერგეტიკა კოოპერატიულ თანამშრომლობას ეკონომიკური სისტემის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად განიხილავს. ტრადიციული ეკონომიკური თეორიები კი კონკურენციას ეკონომიკური განვითარების აქსიომად თვლიდნენ. ამ თეორიის მიხედვით საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი-„ქაოსი-წესრიგი“ და „წესრიგი-ქაოსი“ ურთიერთ-გადასვლებს უკავია. უკანასკნელ პერიოდამდე სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ამ საკითხებს. ეკონომიკური სისტემის წონასწორობა და პროპორციულობა გამონაკლისია, დინამიკური უწონასწორობა და დისპროპორციულობა - კი წესი. ტრადიციული ეკონომიკური თეორიები არ განიხილავდნენ უწონასწორო პროცესებს, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად სწორედ ეს პროცესები მართავენ ეკონომიკას.

მეოცე საუკუნის ბოლოს ი.პრიგოჟინმა და ჰ.ჰაკენმა ჩამოაყალიბეს ფაზურ-უწონასწორო ქცევის მსოფლმხედველობრივი მიდგომა და მათი მათემატიკური ფორმალიზებული მოდელები. ეკონომიკური სინერგეტიკა სწორედ ამ მეცნიერულ მიდწევებს ეყრდნობა.

პერენფესტმა და მოგვიანებით ლ.ლანდაუმ შემოგთავაზეს ფაზური გადასვლების თეორიის საფუძვლები. უწონასწორო ეკონომიკურ დინამიკურ სისტემებში ფაზური გადასვლები ახალი სტრუქტურების, კლასტერების, სისტემების ჩამოყალიბების საფუძველად იქცა. ამ თეორიის ბაზაზე სინერგეტიკულმა თეორიამ შემოგთავაზა სინერგეტიკული ბაზრის მოდელი.

არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა ხაზარაძე (თანაავტორები: ლ. მელიქიშვილი, ნ. მინდაძე, თ. ხოხობაშვილი, ნ. ბახსოლიანი,)	ქალი დროსა და სივრცეში	თბილისი, 2016, გამომცემლობა “მწიგნობარი” ISBN978-9941-465-37-6	გვ. 202
2	თ.ხოხობაშვილი (თანაავტორები: ნ. ხაზარაძე, ლ. მელიქიშვილი, ნ. მინდაძე, ნ. ბახსოლიანი,)	ქალი დროსა და სივრცეში	თბილისი, 2016, გამომცემლობა “მწიგნობარი” ISBN 978-9941-465-37-6	გვ. 202
3	ლამარა ასლამაზიშვილი	ქალის უფლებები ქორწინების და განქორწინების შემდეგ	თბილისი, 2016 გამომცემლობა “უნივერსალი	გვ . 82
4	ლამარა ასლამაზიშვილი	სარწმუნოების და მრწამსის პრობლემა ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში	თბილისი, 2016 გამომცემლობა “უნივერსალი	გვ. 86

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მონოგრაფიის პროექტის იდეის ავტორი ნ. ხაზარაძე, რედაქტორი - მ. ხიდაშელი, რეცენზენტი - მ. ყიფიანი. საკვლევი პრობლემა 16 ნარკვევითაა წარმოდგენილი, აქედან, ნ. ხაზარაძე ორი ნარკვევის ავტორი და ოთხის თანაავტორია. ნარკვევებში ქალის სოციალური სტატუსი სხვადასხვა დამწერლობებით (ლურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაული,

ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) სხვადასხვა ენოვანი (შუმერული, აქადური, ხეთური, ლუვიური, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური, ძველი და ახალი ქართული) წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფთა და მოგზაურთა მიერ მოძიებული არტეფაქტების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითაა შესწავლილი.

2. მონოგრაფიის პროექტის იდეის ავტორი ნ. ხაზარაძეა, რედაქტორი - მ. ხიდაშელი, რეცენზენტი - მ. ყიფიანი. საკვლევი პრობლემა 16 ნარკვევითაა წარმოდგენილი, აქედან, ნ. ხაზარაძე ორი ნარკვევის ავტორი და ოთხის თანაავტორია. ნარკვევებში ქალის სოციალური სტატუსი სხვადასხვა დამწერლობებით (ღურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაული, ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) სხვადასხვა ენოვანი (შუმერული, აქადური, ხეთური, ლუვიური, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური, ძველი და ახალი ქართული) წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფთა და მოგზაურთა მიერ მოძიებული არტეფაქტების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითაა შესწავლილი.

3. ნაშრომს მიზანია აჩვენოს ქალის ცხოვრების გათხოვების და განქორწინების ეტაპების სურათი, აგრეთვე, მისი უფლება-მოვალეობების ყოველდღიური ცხოვრების გარკვეულ სიუჟეტებში. ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის კარგად ჩანს შუა საუკუნეების მანძილზე ქალთა ემანსიპაციის პროცესი. ვხედავთ როგორ ნელ-ნელა იპოვებს ქალი უფლებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასევე ოჯახურ გარემოში

4. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოტივი საერთოდ მთელიფეოდალური ხანისა და განსაკუთრებით, ადრეფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამიჯვნა ხანდახან შეუძლებელი ხდება.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანახაზარაძე (ირინე მელიქიშვილი)	ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში	წიგნი 18	თბილისი, 2016, გამომცემლობა პალიტრა L	712 (26-34)

		წიგნი “ქართველები”, ყველაფერი ქართველთა კულტურის და ეთნოსის შესახებ			
2	ნანახაზარაძე	ჯავახოსის ქვეყნაისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლის და პროპაგანდის ცენტრი “ანალები”	XII	თბილისი, 2016, გამომცემლობა “უნივერსალი”	37-44,
3	ნანახაზარაძე	იოსებ ფლავიოსი და მოსოსხის იდეოტიფიკაციის საკითხი სამეცნიეროკონფერენცია “საქართველოს ეკლესია გუშინ, დღეს”, შრომები	-----	თბილისი, 2016, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	100 (6-12)
4.	ნანახაზარაძე	ანთროპოგენეზი და გენდერის პრობლემები „მსოფლიო და გენდერი“ საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული	-----	თბილისი, 2016, სტუ	236 (89-92)
5.	ნანახაზარაძე, ნანა ბახსოლიანი	ძველი ანატოლიის სამხედრო საქმის ისტორიის ამსახველი ლუვიური იეროგლიფები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების სერია	№2	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	ნგვ.

6	ნანახაზარაძე, ნანა ბახსოლიანი	ურარტული ეპიგრაფიკული ძეგლების SAL/MUNUS, ^{SAL} GAŞAN, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“	№34	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	4გვ.
7.	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი დარეჯანცუცქირიძე)	მარიამ დედოფალი – “მსგავსი თამარ მეფისაშემდგომადარღარა ვინ”, სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი “სვეტიცხოველი”	2016, №1	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	63-69 7 გვ.
8.	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი თამარ ხოხობაშვილი)	მარადისობის გზაზე სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი “სვეტიცხოველი”	2016, №2	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	46-50 5 გვ.
9	მაია ქუთათელაძე	ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება, „მსოფლიო და გენდერი“ საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული	-----	თბ., საგამომცემლო სახ- ლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2016	6 გვ
10	მაია ქუთათელაძე	მმართველი სამოხელეო არისტოკრატია გვიანანტიკური ხანის ქართლში, სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი “სვეტიცხოველი”	№2	თბ., საგამომცემლო სახ- ლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“	9 გვ

11	დარეჯან ცუცქერიძე (თანაავტორი ნინო პეტრიაშვილი)	გენდერული თანასწორობა თუ ფემინიზაცია? – ქალი თავდაცვის მინისტრები ევროპის ოთხი ქვეყნის მაგალითზე. “მსოფლიო და გენდერი”, საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული.	----	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს- ინჟინერინგის ფაკულტეტი, სტუ- ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2016	გვ. 56-64
12	ნათელა ჯორჯიკია	საარქივო მასალა ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის ჰუგო ჰუპერტის შესახებ, ჟურნალი ქართული წყაროთმცოდნეობა	XVII-X VIII	თბილისი, 2016 გამომცემლობა “უნივერსალი”	7 გვ
13	თ.ხოსობაშვილი	არისტოფანე და ბერძენ ქალთა ამბოხი “მსოფლიო და გენდერი”, საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული.	-----	თბილისი, 2016, სტუ	107-110 4 გვ.
14	თ.ხოსობაშვილი (თანაავტორები: თამარ საღრაძე)	ქართლის (იბერიის) სამეფო და სამხრეთ- დასავლეთსაქართველოს ზღვისპირეთი (ძვ. წ. III – ახ.წ. VI სს.) კრებული “გურია”, მხარის კვლევა-ძიების შედეგები (საიუბილეო გამოცემა)	№6	თბილისი, 2016, საქართველოს ეროვნულია კადემია და სტუ-ს სასწავლო- სამეცნიერო ცენტრი “ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა”	105-111 7 გვ

15	ღამარა ასლამაზიშვილი	ქორწინება, განქორწინება ქისტურ სამართალში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ივ. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი	---	საქართველოს თბილისი, 2016	8
16	ნინო ზაალიშვილი(ნინო გომართელი)	ევროპა და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები, ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის შრომები	№ 7	თბილისი, 2016	3 გვ.
17	ნინო ზაალიშვილი (ნინო გომართელი)	საქართველო თანამედროვე სერთაშორისო სისტემაში: პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, თბილისის საერთაშორისო აკადემიის შრომების კრებული	იბეჭდებ ა	თბილისი, 2016	4 გვ
18	ნინო ზაალიშვილი (ნინო გომართელი)	საქართველო ევროპულ სივრცეში-გზა ევროინტეგრაციისაკენ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ჟურნალი	№4	თბილისი 2016	4 გვ

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. ქართველთა პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციის პრობლემა, რომლის ირგვლივ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ყველას მიერ გაზიარებული თვალსაზრისი არ არსებობს, ერთი მხრივ, ლანდშაფტის, კლიმატის, ფლორის, ფაუნის, ტოპონიმიკის, ჰიდრონიმიკის, ორონიმიკის ამსახველი სვანური, ქართული, მეგრულ-ჭანური დექსიკური შესატყვისობების, ხოლო მეორე მხრივ, ქართულში საქართველოს ისტორიული ტერიტორიის

სამხრეთით მდებარე რეგიონში განსახლებული ეთნოსების ენებიდან, კერძოდ: შუმერულიდან, სემიტურიდან, ხური-ურარტულიდან, ინდოევროპულიდან (ხეთური), ხათურიდან ნასესხობათა მონაცემთა კონტექსტშია შესწავლილი. ავტორები იმ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მიდიან, რომ კავკასიაში ქართველთა პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია; მითუმეტეს, რომ ეს თვალსაზრისი კავკასიაში მოპოვებული არტეფაქტებითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება.

2. სტატია ისტორიოგრაფიული ხასიათისაა, რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერის დევი ბერძენიშვილის ხსოვნას ეძღვნება. მასში გამოწვილვითაა შესწავლილი ის დიდი წვლილი, რომელიც დ. ბერძენიშვილმა ძირძველი ქართული პროვინციის – ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების, ისტორიული გეოგრაფიის და პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე ისტორიის მეცნიერულ რეკონსტრუქციაში შეიტანა. სტატიაში ის ნაშრომებიცაა წარმოჩენილი, რომელიც საქართველოს ისტორიის მავანთა და მავანთა მიერ ფალსიფიკაციის შემთხვევებს ეხება.

3. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში არ დასტურდება არც ერთი მონაცემი, რომელიც კაპადოკიის ტერიტორიაზე კიმერიელების ბინადრობის ან ამ ქვეყანაში მათი ლაშქრობის შესახებ მიუთითებდეს, რასაც ძველადმოსაველური წერილობითი წყაროებიც ადასტურებს. ავტორის აზრით, იოსებ ფლავიუსისა და მისი მიმდევრების კონცეფცია კაპადოკიის ტერიტორიაზე მოსოხის შთამომავალთა განსახლებისა და მოსოხელებთან, მოსხებთან, მესხებთან მათი იდენტიფიკაციის საწინააღმდეგო არგუმენტები ჯერჯერობით არ არსებობს.

4. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საზოგადოების სოციალურ იერარქიაში, მამაკაცთან შედარებით ქალის დაბალი სოციალური სტატუსის თვალსაზრისი სათავეს შესაქმნის შესახებ - შუმერულ, აქადურ, ძველგვიპტურ, ძველებრაულ რწმენა-წარმოდგენებში იღებს სათავეს. მასვე ადასტურებს მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე ეთნოგრაფთა და მოგზაურთა მიერ მოძიებული არტეფაქტები.

5. ავტორთა მიერ შესწავლილი იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებული 8 ნიშანი და სამხედრო აღჭურვილობის და სამხედრო საქმის ამსახველი ტერმინოლოგია სრულ შესატყვისობაშია როგორც ხეთური ლურსმული, ასევე, იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლების, ლექსიკოლოგიური მასალის და არქეოლოგიური არტეფაქტების მონაცემებთან.

6. ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე ირკვევა, რომ ძვ. წ. IX-VII სს-ით დათარიღებულ ურარტუს მეფეთა სახელებით შედგენილ ტექსტებში ძირითადად, SAL/MUNUS სიტყვა დაპყრობილი ქვეყნებიდან ურარტუში დეპორტირებული ქალების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ურარტუს საზოგადოებაში ქალის სოციალური სტატუსისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმები და ურარტუს პანთეონში

ქალღვთაებისათვის პანთეონის იერარქიაში განკუთვნილი ადგილი.

7. სტატიაში ქართული, სპარსული, იტალიური, ფრანგული წერილობითი წყაროებისა და საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, წარმოჩენილია მარიამ დედოფლის ერთი მხრივ პოლიტიკური, მეორე მხრივ, საეკლესიო მოღვაწეობის მნიშვნელობა XVII საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ნაჩვენებია, რომ მისმა ღვაწლმა შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაშივე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, რასაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაც იზიარებს.

8. სტატია ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავს ეძღვნება. ისტორიოგრაფიული ხასიათის ამ ნარკვევში ძირითადი ყურადღება 1914-1918 წლებზეა გადატანილი, რომლებიც მეცნიერის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების მომზადებითა და გამოცემით აღინიშნება. ნაჩვენებია, რომ სწორედ ამ წლებში, საქართველოში მყარი საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელმაც ასწლოვანი გზა ღირსეულად განვლო და ეროვნულ უმაღლეს განათლებას.

9. 1832 წლის აჯანყება, რომელიც უფრო მეტად „შეთქმულების“ სახელითაა ცნობილი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. 1832 წლის შეთქმულებაში ქალთამონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მწირია. მათ შორის ყველაზე ხანდაზმულად თამარ ბაგრატიონის საქტიური მონაწილეობა გამოიკვეთა. თუმცა გამოძიების მასალები დანიარკვევა, რომ მისგარდა სხვა ქალებიც ერივნენ შეთქმულთა წრეში, მაგრამ, სავარაუდოდ ისინი აკლებად იყვნენ გაცემულნი.

1832 წლის შეთქმულებაში ეროვნული მუხტის მიმცემი ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წევრები და მათი უახლოესი ნათესავები იყვნენ. მასალი სიმცირის გამო შეთქმულთა შორის ქალბატონების როლი ნაკლებადაა გამოკვეთილი და შესწავლილი. მონაწილეებს შორის ქალები უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა მათი ღვაწლი და თავდადება გამორჩეულ პატივისცემას იმსახურებს.

10. სამეცნიერო სტატია გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის გამორჩეულად მნიშვნელოვან – საზოგადოების სოციალური სტრუქტურის რეკონსტრუქციის პრობლემას ეხება. გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფო მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებით გამოირჩეოდა. სოციალური ფენების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროების მონაცემები, მათ შორის უცხოელი ავტორების ცნობები. იმის მიუხედავად, რომ ქართული ნარატივები მოგვიანო ეპოქისაა, ისინი წინაქრისტიანული ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიის შესახებ ყველაზე ინფორმატიულია. საქმე ეხება როგორც ქართულ საისტორიო, ისე სასულიერო მწერლობის ძეგლებს. ქართლის სამეფოს სამოხელეო არისტოკრატიის საკითხის შესასწავლად არანაკლები მნიშვნელობისაა მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი

უცხოენოვანი ეპიგრაფიკული წარწერები. ქართლის სამეფოს სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატის ზედაფენის, ე.წ. ერისთავთა სოციალური კატეგორიისა და ქართლის სამეფო უმაღლესი მოხელის – ეზოსმოდვრის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემორჩენილი მასალისა და ჩვენს ხელთ არსებული უცხოურენოვანი წყაროების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი დასკვნები.

11. სტატიაში განხილულია, გენდერულ თანასწორობასა და ფემინიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება გამახვილებულია, ქალების თავდაცვის მინისტრებად დანიშვნის აქტუალობასა და მათი დანიშვნის პირობებზე. ავტორები საკვლევ პრობლემატიკას იხილავენ ევროპის ოთხი ქვეყნის მაგალითზე - ფინეთის, ესპანეთის, გერმანიისა და იტალიის. განიხილავენ აღნიშნულ ქვეყნებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით არსებულ ანგარიშებს და ქალი თავდაცვის მინისტრების ბიოგრაფიულ ფაქტებს. სტატიაში შედარებულია ოთხ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით გატარებული რეფორმები, ქალების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, პირველი ქალი მინისტრებისა და პირველი ქალი თავდაცვის მინისტრების დანიშვნის ვადები. გერთ პოფსთიდის ეროვნული კულტურის განზომილებებების მიხედვით დახასიათებულია აღნიშნული ქვეყნები. ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზების საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

12. ავსტრიელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჰუგო ჰუპერტი მთარგმნელ მარია პრიტვიცის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის რედაქტირების მიზნით, საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების მოწვევით, 1950 წელს ჩამოვიდა საქართველოში. 1951 წლის 19 მარტის წერილში საქართველოს კპ ცეკას იმდროინდელი მდივნის კანდიდ ჩარკვიანისადმი ჰუპერტი სინანულით აღნიშნავს მ. პრიტვიცის თარგმანის დილექტანტური ხასიათის, სუსტი მხარეების და დაბალი მხატვრული ღირებულების შესახებ. მას მიზანშეწონილად მიაჩნია თავად შეასრულოს პოემის თარგმანი, რისთვისაც წერილის ადრესატს მხარდაჭერას სთხოვს.

სტატიაში გამოქვეყნებულია სხვა დოკუმენტებიც: მწერალთა კავშირის გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“-ს 1950 წლის 3 დეკემბრის გამოშვება, საიდანაც ვიგებთ, რომ მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის მიერ მოწყობილ, ჰუგო ჰუპერტის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანის“ კითხვა-განხილვაზე, თარგმანს მაღალი შეფასება მიეცა; საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარის გოგლიძის 1953 წლის 6 მაისის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჰუგო ჰუპერტის მიერ თარგმანის შესრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალია გადმოცემული.

ორი მთარგმნელის მარია პრიტვიცისა და ჰუგო ჰუპერტის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების ურთიერთმიმართების შესახებ სტატიაში განხილულია შტეფი ხოტივარი იუნგერის, შალვა ნუცუბიძისა და გივი კარბელაშვილის პუბლიკაციები.

13. სტატია ძვ.წ. V საუკუნის მოღვაწის, დღემდე საკმაოდ პოპულარული

კომედოგრაფის, არისტოფანეს შემოქმედებას ეძღვნება. მხედველობაშია ძვ.წ. 411 წელს ათენის თეატრალურ სცენაზე დადგმული მისი კომედია „ლისისტრატე“. პიესის მოქმედება პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე ათენისათვის საკმაოდ საბედისწერო მოვლენების ფონზეა წარმოდგენილი. ათენისათვის ამ უჩვეულო სიტუაციაში პოლიტიკურ ასპარეზზე თავისუფლების მოყვარე, მაგრამ სრულიად უუფლებო ქალები გამოდიან. მათი ძირითადი მიზანი ომის შეწყვეტა, სამშობლოს, ოჯახების, შთამომავლობის და საბოლოო ჯამში უკვე დამკვიდრებული დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების გადარჩენაა. ანტიკური ხანის საბერძნეთში ქალები თავგანწირვამდე მისულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობას ავლენენ და გენდერული თანასწორობისათვის იბრძვიან.

14. სტატია ეძღვნება ქართლის (იბერიის) სამეფოს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის შესწავლას ძვ.წ III- ახ.წ. VI სს-ში. საკითხის ირგვლივ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ III- ახ.წ. VI სს-ში ქართლის სამეფო ფლობდა რა სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთს, ერთი მხრივ აკონტროლებდა კოლხეთ-ლაზიკეს, ხოლო მეორე მხრივ რომსა და შემდგომში სპარსეთ-ბიზანტიასთან თავისი ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა.

15. ნაშრომის მიზანია ახალგაზრდებს აჩვენოს ქისტების ადათ-წესების ზნე-ჩვეულებათა და ტრადიციების უნიკალურობა და დაანახოს მათ, რომ ამ კანონების გარეშე ცხოვრება კარგავს მიმზიდველობას და რომ, მარტო ნამაზი და მარხვა არ კმარა სამოთხეში მოსახვედრად.

16. ნაშრომის მიზანია ახალგაზრდებს აჩვენოს ქისტების ადათ-წესების ზნე-ჩვეულებათა და ტრადიციების უნიკალურობა და დაანახოს მათ, რომ ამ კანონების გარეშე ცხოვრება კარგავს მიმზიდველობას და რომ, მარტო ნამაზი და მარხვა არ კმარა სამოთხეში მოსახვედრად.

17. საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. დღეს საქართველოსთვის შეიქმნა დასავლურ სამყაროსთან დაბრუნების ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, მასთან პოლიტიკური, სიციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ინტეგრაციის რეალური ისტორიული შესაძლებლობა.

18. სტატიაში განხილულია საკითხი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის საკუთარი ადგილის განსაზღვრის ამოცანას, რაც გულისხმობს:ევროპის ცალკეულ ქვეყნებთან, აგრეთვე, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა გარკვევა-ჩამოყალიბებას.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ევროპა არის, არა უბრალოდ, ქართველი ხალხის რაციონალური არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ისტორიული სახლია. ევროპა – ამ სიტყვაში განსახიერებულია ყველა ივერი, რისკენაც ჩვენი ერი მიისწრაფის. ეს არის თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა,

კეთილდღეობა და თანასწორობა. ეროინტეგრაცია არის ჩვენი უნიკალურობის, თვითმყოფადობის სრულად რეალიზების ახალი სივრცე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანახაზარაძე, ნანა ბახსოლიანი	ძველი ანატოლიის სამხედრო აღჭურვილობასთან და სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ამსახველი ლუვიური იეროგლიფები	30 მაისი-1 ივნისი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2016
2	ნანახაზარაძე, ნანა ბახსოლიანი	ჰეროდოტე და აზია-ევროპის საზღვრის ლოკალიზაციის საკითხი	17 ივნისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თბილისი,2016
3	ნანახაზარაძე, ნანა ბახსოლიანი	ხეური კანონების გენდერული ასპექტები	3-4 ივნისი, თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა და პოლიტიკა“, თბილისი, 2016 26 ნოემბერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების

4.	ნანა ხაზარაძე	ქარხეშიში – ჯერაბლუსი ისტორია და თანამედროვეობა	ფაკულტეტი, 10-ე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება – 2016”, თბილისი
5	მაია ქუთათელაძე	კავკასიის პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მიზეზები	V საერთაშორისო სიმპოზიუმი „ევროპა და სამხრეთ კავკასია“ თბილისი, სტუ 2016
6	მაია ქუთათელაძე	მმართველი სამოხელეო არისტოკრატია გვიანანტიკური ხანის ქართლში	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“, თბილისი, სტუ, 2016
7	დარეჯან ცუცქერიძე	პიროვნული ფაქტორის გავლენასოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე	მე-10 სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება. 26.11. 2016
8	ნათელა ჯორჯიკია	მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გლეხობის მიმართ განხორციელებული რეპრესიების ისტორიიდან	მაისი, თბილისი, სტუ 2016
9	ნათელა ჯორჯიკია	ანტირელიგიური პროპაგანდის საწინააღმდეგო ეპიზოდები საქართველოში (1937-1938 წლები)	26 ნოემბერი, თბილისი, სტუ, 2016
10	თამარ ხოსობაშვილი	ქართული არქეოლოგია და ანდრია ავაქიძე	3-4 ივნისი, თბილისის საერთაშორისო აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა და პოლიტიკა“, თბილისი, 2016

11	ნინო ზაალიშვილი (ნინო გომართელი)	საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში: ეკონომიკური ასპექტები და პოლიტიკური გამოწვევები	2016, 23-24 ივნისი, სტუ ვეროპა და სამხრეთ კავკასია - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
12	ნინო ზაალიშვილი (ნინო გომართელი)	ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა	2016, ივნისი, სტუ სოფლიო და გენდერი – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. მოხსენება ავტორთა მიერ შესწავლილი იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებულ 8 ნიშანსა და სამხედრო აღჭურვილობის და სამხედრო საქმის ამსახველ ტერმინოლოგიას შეეხება, ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ სამხედრო აღჭურვილობის გამომსახველი ლუვიური იეროგლიფები სრულ შესატყვისობაშია როგორც ხეთური ლურსმული, ასევე, იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლების, ლექსიკოლოგიური მასალის და არქეოლოგიური არტეფაქტების მონაცემებთან.

2. მოხსენება აზია-ევროპის საზღვრის ლოკალიზაციის საკითხს შეეხება. ავტორების თვალსაზრისით, საკვლევად შერჩეული ჰეროდოტეს მოყვანილი ცნობა ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია, რაკი მისივე მოწმობით, ქართველთა განსახლების უძველესი (ძვ. წ. V ათასწლეულიდან მაინც) ტერიტორია ევროპულ სივრცეში მოიაზრება. თუმცა, წერილობითი პირველწყაროების იმ მნიშვნელოვან ჩვენებათა გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, ჰიდრონიმი „ფაზისი“ ჭოროხსა და არაქსსაც ეწოდებოდა, ავტორები ვერ გამორიცხავენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ აზია-ევროპის საზღვარი არა ფაზის-რიონზე, არამედ ფაზის-ჭოროხზე, ან ფაზის-არაქსზე გადიოდა, მითუმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არგონავტების მითის გმირების მოქმედების არეალს არა მხოლოდ მდინარე ფაზის-რიონის, არამედ ფაზის-ჭოროხის რეგიონს (ურარტული წერილობითი წყაროების „კულხა-კოლხას“, ან ანტიკური მწერლობის „აია-კოლხეთს“) უკავშირებენ, თავად ჰეროდოტე მდინარე არაქსს ფაზისის სახელით მოიხსენიებს, ხოლო ტერმინი „კოლხეთი“ არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს აღმნიშვნელი იყო.

3. მოხსენება ხეთური სამართლის ძეგლების გენდერული თვალსაზრისით შესწავლას ეძღვნება. იგი საოჯახო ურთიერთობის ნორმებს, შრომის სამართალს, ზნეობრივ საკითხებსა და სისხლის სამართალს შეეხება. ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება აჩვენებს, რომ ხეთურ საზოგადოებაში ქალის - არაწა, არაწან(ნი)-, (თავისუფალი) ქალის კუ(წ)ან(ა)=(= SAL/MUNUS), მხევალის, მსახური (ქალის) აფხმძიმის არმაწანტ-, არმანტ-, არმაჰჰანტ-; უ ანტარი-, colis DAM, AŠŠATU(M), ქვრივის შუდატი- (?)უფლებების დარღვევის კოეფიციენტი არცთუ ისე მაღალი იყო. ეს კანონზომიერება, ავტორთა მიერ ხეთური საისტორიო

წყაროების იმ მონაცემებითაა დადასტურებული, რომელიც დედოფლის – თავანანას, სამეფო ორბიტაში მოქცეული ქალების და პანთეონში უზენაესი ღვთაებისა და ქალი ქურუმების შუა მაღალ სტატუსს შეეხება.

4. მოხსენებაში, ერთი მხრივ, ასურული, ურარტული-ლურსმული და იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების, არქეოლოგიური არტეფაქტების და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა საფუძველზე, რეკონსტრუირებულია ჩრდილოეთ სირიის ერთ-ერთი უძველესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის – ქარხემიშის (დღევ. ჯერაბლუსი) ისტორია, ხოლო მეორე მხრივ, 2016 წლის მსოფლიო ელექტრონული და ბეჭდური მედიის ინფორმაციის გათვალისწინებით, ნაჩვენებია ის ტრავიკული შედეგები, რომელიც სირიაში მიმდინარე ბარბაროსულმა ომმა ამ ქალაქს მოუტანა.

5. კონფლიქტების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ II მსოფლიო ომის შემდგომ სამყაროში თავდაპირველი, ძველი იდენტობის გამოცოცხლება გახდა. ისეთები, როგორცაა ტომი, ეთნიკურობა, რელიგია. თავის მხრივ, ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებებთან. კერძოდ, მათ ბიძგს სწორედ პოლიტიკური პროცესები აძლევს. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობისა და საბჭოთა მმართველობის მემკვიდრეობა კვლევის ისტორიულ ჩარჩოს განსაზღვრავს. კავკასიის რეგიონში არსებული თითოეული კონფლიქტის კერძო ასპექტის ანალიზი და მისი უკეთ გაგება, ისტორიული არასტაბილურობის სტრუქტურისა და კონფლიქტების ბუნების გააზრება ამ კონფლიქტების მსგავსებათა, განსხვავებათა და ურთიერთკავშირების დანახვაში გვეხმარება.

6. მოხსენება გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის გამორჩეულად მნიშვნელოვან – საზოგადოების სოციალური სტრუქტურის რეკონსტრუქციის პრობლემას ეხება. გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფო მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებით გამოირჩეოდა. სოციალური ფენების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროების მონაცემები, მათ შორის უცხოელი ავტორების ცნობები. იმის მიუხედავად, რომ ქართული ნარატივები მოგვიანო ეპოქისაა, ისინი წინაქრისტიანული ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიის შესახებ ყველაზე ინფორმატიულია. საქმე ეხება როგორც ქართულ საისტორიო, ისე სასულიერო მწერლობის ძეგლებს. ქართლის სამეფოს სამოხელეო არისტოკრატის საკითხის შესასწავლად არანაკლები მნიშვნელობისაა მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხოენოვანი ეპიგრაფიკული წარწერები. ქართლის სამეფოს სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატის ზედაფენის, ე.წ. ერისთავთა სოციალური კატეგორიისა და ქართლის სამეფო უმაღლესი მოხელის – ეზოსმოდვრის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემორჩენილი მასალისა და ჩვენს ხელთ არსებული უცხოურენოვანი წყაროების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

7. კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებაში შესასწავლ პრობლემატიკად

განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა პიროვნული ფაქტორის გავლენა პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ლიდერის პიროვნული თვისებების განმსაზღვრებელ როლზე, კერძოდ თეორიული მოსაზრების დასადასტურებლად წარმოდგენილია, სხვადასხვა პერიოდის სამი მოღვაწის, ფარნავაზ მეფის, მეფე თამარისა და გიორგი ჭყონდიდელის სახეები და კონკრეტული ისტორიული ფაქტებისა და მათი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით ნაჩვენებია რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი როლი აქვს პიროვნულ თვისებებს მოვლენების განვითარების კუთხით. ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, ასევე გამოყენებულია ლიდერობისა და ლიდერის პიროვნული თვისებების შესახებ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თეორიები.

21. A. dolidze, G. Kvartskhava, R. Chedia, T. Samsonia, L. Dolidze. Some Problems of Utilization of Liquid Rocket Fuel Components. *Georgian Engineering News*, N3, 1999, pp 88-89.
22. S. Adamia, M. Gverdtsiteli, G. Kvartskhava. Algebraic-Chemical Study of Some Tin-Containing Acetylenic Compounds and the Reaction of their Synthesis. *Bulletin of the Georgian Academy of Sciences*. 159, N2, 1999, pp 264-265.
23. G. Kvartskhava, M. Gverdtsiteli, T. Kovziridze, A. Dolidze. Theoretical Study of Bioactivity Using Algebraic Chemistry. *Bulletin of the Georgian Academy of Scinces*, 158, N1, 1998, pp 77-78.
24. M. Gvertsiteli, G. Kvartskhava. Algebraic Characterization of Boron Halogenides. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences*. 1997, 23, N1-4, pp 167-168.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

2016 წლის
სამეცნიერო ანგარიში

ინტერიერისა და დიზაინის დეპარტამენტი №602

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თინათინ ჩიგოგიძე	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში - რუსულ ენაზე. (დამხმარე სახელმძღვანელო. ელექტრონული ვერსია)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	217
<p>1. მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში - რუსულ ენაზე.</p> <p>დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის რუსულენოვანი სტუდენტებისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება უცხოელ სტუდენტებს თეორიული მასალის ათვისებასა და სემინარების მომზადებაში, რადგან შეესაბამება სასწავლო კურსის “მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში” სილაბუსს. მისი ძირითადი ამოცანაა შეასწავლოს სტუდენტებს ტრადიციული და თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები, მათი მექანიკური, საექსპლუატაციო, ტექნიკური, ესთეტიკური თუ ეკოლოგიური მახასიათებლები. ასევე დღევანდელი ბაზრის მიერ შემოთავაზებული პროდუქციის ცოდნა საშუალებას მისცემს პროექტანტებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების ინტერიერის პროექტირებისას გააყვონ მოსაპირკეთებელი მასალების სწორი, ოპტიმალური და კვალიფიციური არჩევანი.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მზია მილაშვილი, მირანდა შამილაძე, მარიამ წიკლაური	ძველი თბილისის სადარბაზოების წარსული, აწმყო და მომავალი/სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები	№ 1 2016 წელი იანვარ-თებერვალი	თბილისი. სტუ	225-228. /4 გვერდი
2	ქეთევან სალუქვაძე	„თანამედროვე ინტერიერების ხელოვნური მოსაპირკეთებელი თუ სამშენებლო მასალები“	ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში 2016 წლის ნოემბერი http://business-engineering.bpengi.com/home/2016/number-01-02	ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი თბილისი	გვ.236
3	ქსალუქვაძე ნ.კოპალიანი თ.ბიძინაშვილი	„ურბანიზაცია და აგრარული რევოლუცია“	სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი 2016/1 http://business-engineering.bpengi.com/home/2016/number-01-02	სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი 2016/1 თბილისი	გვ.52
4.	ქსალუქვაძე	„კონტრურბანიზაციის პროცესზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორები“	სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი	სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-	

			2016/1 (მიმდინარე)	ინჟინერინგი 2016/1 2016/1	...
5	ნ.ხაბეიშვილი ა.ხაბეიშვილი	დეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ინჟინრული ხერხით., საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "განათლება"	№2(16)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
6	ნ.ხაბეიშვილი მ.ცალქალაძე	ფერი როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მისი როლი არქიტექტურული სივრცის ფორმირებისას., "ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-5", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	-	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6
7	ნათია ქონლაძე	“მეოთხე განზომილება – ფუტურისტული ფანტაზიების რეალიზაცია” სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	№2(41),2016	თბილისი	30-35 გვ

1. ძველი თბილისის სადარბაზოების წარსული, აწმყო და მომავალი

სტატიაში განხილულია თბილისში არსებული ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე შენობების ერთ-ერთი არქიტექტურული ელემენტის – სადარბაზოების ინტერიერების ფორმირების ეტაპები და მათი სტილისტური გადაწყვეტები. ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დეტალურადაა აღწერილი მათი ამჟამინდელი მდგომარეობა, დასაბუთებულია მათი ადგილი და როლი ქალაქის არქიტექტურულ კონტექსტში. საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე განსაზღვრულია ის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია ისტორიული სადარბაზოების რესტავრაციისა და მათ თანამედროვე ქალაქურ გარემოში ადაპტაციისათვის.

2. „თანამედროვე თანამედროვე ინტერიერების ხელოვნური მოსაპირკეთებელი თუ სამშენებლო მასალები“

ხელოვნური მასალები ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე ინტერიერების მომოსაპირკეთებლად. მათი თვისებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ

რამდენად უსაფრთხოა მათი გამოყენება. შესაბამისად, გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა, როგორც ინტერიერში ჰაერის ფილტრაციის საკითხია, რაც ამავედროულად ხელს შეუწყობს მიკროგარემოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას, შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას.

3. ურბანიზაცია და აგრარული რეგულაცია

სტატიაში განხილულია ურბანული მოსახლეობის გადანაწილების გამომწვევი ფაქტორები, რომელიც უკავშირდება დემოგრაფიულ თანაფარდობას და წარმოდგენილია მარტივი განტოლება, რომელიც მიუთითებს თუ როგორ იწვევს ორი კომპონენტის მონაწილეობა მოსახლეობის ზრდის სიჩქარის ცვლილებას ურბანულ და სოფლის დასახლებებში ან სხვა სახის გეოგრაფიულ ადგილებში.

ურბანიზაცია დღევანდელ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობს მაღალი ბუნებრივი ზრდის ფონზე. მაშინ როცა ბუნებრივი ზრდა წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მთავარ მიზეზს, სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაშინ როცა ბუნებრივმა ზრდამ ხელი შეუწყო როგორც სოფლის ასევე ურბანული მოსახლეობის ზრდას ინდუსტრიალიზაციის დროს, შიდა მიგრაცია აშკარად მიმართული იყო ურბანულისკენ. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია გახდა მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც განაპირობა ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება სოფელთან შედარებით. ჩვენ განვიხილავთ კონცეპტუალურ მოდელს, რომლის მიზანია განვითარებულ რეგიონებში ურბანული მოსახლეობის თავმოყრის გადამწვევტი ფაქტორების დადგენა და შევადარებთ მას დღევანდელ სიტუაციას, რომელსაც ადგილი აქვს ნაკლებად განვითარებად რეგიონებში, სადაც ურბანიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

4. “კონტრურბანიზაციის პროცესზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორები“

ურბანიზაციას თან ახლავს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესი, ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს არის უწყვეტი, შეუქცევადი პროცესი. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც ქალაქის საზოგადოება ვითარდება და მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალიან მაღალია, მოსახლეობის ზრდის ტემპი და სუფთა შიდა მიგრაციის მიმართულება ხშირად იცვლება პატარა, ნაკლებად დასახლებული ადგილების სასარგებლოდ. ამას ეწოდება კონტრურბანიზაცია, რასაც ადგილი აქვს ამერიკაში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. კონტრურბანიზაცია განისაზღვრება როგორც მოსახლეობის ხელახალი განაწილება ურბანული ადგილებიდან სოფლად

სტატიაში განხილულია კონტრურბანიზაციის, როგორც შეუქცევადი პროცესის გამომწვევი მიზეზები და მისი აქტუალობის საკითხები. ფართოს წარმოდგენილია კალვინ ბეილის მოსაზრება მონოგრაფიიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში სოფლის დასახლება იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ქალაქის. უფრო მეტიც, ეს ზრდა

განპირობებული იყო ქალაქიდან სოფელში სუფთა შიდა მიგრაციის ზრდის შედეგად, რომელიც კომპლექსურია და ასევე განხილულია ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორი; დასაქმების დეცენტრალიზაცია, სოფლის ცხოვრების მოდერნიზაცია, მოსახლეობის დაბერება, სოფლად ცხოვრებისთვის უპირატესობის მინიჭება. ეს ფაქტორები კონტრურბანიზაციის სათავეში დგას. კონტრურბანიზაციის პროცესის საერთო არგუმენტი არის ის, რომ კავშირი განვითარებასა და ურბანიზაციას შორის.

5. ღეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ინჟინრული ხერხით

სტატიაში განხილულია ღეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ინჟინრული ხერხით დარტყმაზე. ამ ხერხის მიხედვით დარტყმის წერტილში ხდება უცნობი დინამიკური ტვირთის მოდება და შიგა დრეკადი ძალოვანი ფაქტორების საშუალებით განისაზღვრება პოტენციური ენერჯია. დინამიკური ძალის საშუალებით განისაზღვრება დინამიკური ძაბვა. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ გამოყენებული ინჟინრული ხერხი მარტივია, ეფექტურია და ამასთან მისი გამოყენება არ მოითხოვს დინამიკურობის კოეფიციენტის დადგენას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია.

6. ფერი როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მისი როლი არქიტექტურული სივრცის ფორმირებისას

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ფერი ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი ცხოვრებისეული ქმედითუნარიანობის ფორმირებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი ფერის შეგარძნებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შინაარსზე ყურადღების სწორი ფოკუსირების საშუალებას იძლევა და ინტერიერის პროექტირებისას მეცნიერული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას წარმოადგენს. ფერით, ფორმითა და განათების მეშვეობით ნაჩვენებია სივრცეში ფუნქციის სიმბოლიზების შესაძლებლობა და შექმნილია მიზანმიმართული ატმოსფერო, რომელიც შეესაბამება როგორც დამკვეთის მოთხოვნებს ასევე იმ ღონისძიებებს, რომელსაც ადგილი ექნება მოცემულ სივრცეში.

შტატია მიზნად ისახავს იმ ძირითადი ასპექტების მნიშვნელობის დასაბუთებას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დასახული ფუნქციის ჰარმონიული ფსიქოლოგიური კლიმატის მქონე თანამედროვე ინტერიერის არქიტექტურის ფორმირებისათვის.

7. მეოთხე განზომილება – ფუნქციონალური ფანტაზიების რეალიზაცია

სტატიაში განხილულია კინეტიკური არქიტექტურის, კინეტიკური ფასადებისა და ქანდაკებების მაგალითები მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან დღემდე. აღწერილია მექანიკის, ელექტრონიკის და რობოტოტექნიკის მიღწევების ზეგავლენა არქიტექტურაზე, რაც სტატიურ, მყარ ობიექტებს დროში ცვალებადობის, ფიზიკურად ადაპტირების უნარს სძენს, რამაც არქიტექტურას მეოთხე განზომილება – დრო – შემატა. აღწერილი მაგალითებიდან გამომდინარე განსაზღვრულია ის ტენდენციები რა მიმართულებითაც შესაძლოა განვითარდეს კინეტიკური არქიტექტურა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M.M Милашвили, B.B. Мchedlishvili	Вопросы формирования бифункциональной типологии жилища в курортных регионах Грузии. Материалы международной научно-практической конференции	№ 1	Баку. Азербайджанский архитектурно-строительный университет	160-163./ 4 ст.
2	ნათელა ჯობაძე ნათია ქონლაძე	ПЕРСПЕКТИВА РАЗВИТИЯ ТУРИЗМА И СОПУТСТВУЮЩИЕ ВОПРОСЫ АДАПТАЦИИ ВЫСОКОГОРНЫХ ПОСЕЛЕНИЙ ГРУЗИИ НА ПРИМЕРЕ МЦХЕТА-МТИАНЕТСКОГО РЕГИОНА	27-28 ოქტომბერი 2016	ბაქო -2016	37-40 გვ

1.. ნაშრომში, ავტორთა მიერ საქართველოს კურორტებზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე, განხილულია კურორტებზე დამსვენებელთა და მუდმივ მაცხოვრებელთა განთავსებისათვის საჭირო ახალი ტიპის საცხოვრისის ფორმირების საკითხი. განსაზღვრულია დამსვენებელთა ცხოვრების ძირითადი ფორმები და შესაბამისი გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირებისათვის საჭირო რეკომენდაციები.

2. საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის ტურიზმი ეკონომიკურად მომგებიანი სფეროა. მოცემული ნამუშევრის მიზანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული პოტენციალის შესწავლა და ტურისტულ სფეროში უფრო პერსპექტიული მიმართულებების დადგენა. ბოლო დროის მანძილზე ბევრი მაგალითი გაჩნდა კერძო მეწარმეთა მიერ ლოკალური, მოგზაურთათვის პოპულარული სასტუმროების განახლებისა, მაგრამ დღესდღეობით ჩვენ ასეთი აქტუალური საკითხის გადაწყვეტის უფრო მასშტაბური მიდგომა გვაინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ მოცემული ტერიტორიის პოტენციალი და იმ დასკვნამდე

მივედით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმატებულად შეიძლება განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორცაა:

1. შემეცნებითი (ექსკურსიული) – მომლოცველობა, ეთნიკური ტურიზმი;
2. გამაჯანსაღებელი – ბალნეოლოგიური, კლიმატური;
3. სპორტული – ალპინიზმი, სათხილამურო სპორტი, რაფტინგი, საცხენოსნო სპორტი;
4. ეკოტურიზმი;
5. აგროტურიზმი;
6. ფოტოტურიზმი.

მდგრადი განვითარების ტურიზმის შესაბამისი განვითარების გეგმის ზედმიწევნით დამუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისა და მცირე ბიზნესის ჩართვა, გააზრებული არქიტექტურული გადაწყვეტა საქართველოს მაკროეკონომიკური რეგიონებში ტურიზმის განვითარების მყარი საფუძველი იქნება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გელაშვილი შოთა	კულტურული ლანდშაფტების დაცვისა და ადაპტაციის პერსპექტივები საქართველოში.	ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და კავკასია” თბილისი, 2016 წელი 17 ივნისი

2	მილაშვილი მზია გელაშვილი შოთა	ქუჩის ხელოვნური განათების არქიტექტურულ-მხატვრული მნიშვნელობა თანამედროვე ქალაქების მაგალითზე.	ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და კავკასია” თბილისი, 2016 წელი 17 ივნისი
3	ქ. სალუქვაძე თ. ბიძინაშვილი	XXI საუკუნის თანამედროვე ინტერიერის მიკროკლიმატის პრობლემები	ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და კავკასია” 17 ივნისი 2016 წელი
4	ქ. სალუქვაძე	სტუ-ს სამეცნიერო კონფერენცია არქიტექტურისა და ქალქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. „სოფლის თემიდან ქალაქის საზოგადოებად ტრანსფორმაციის სოციალური საკითხები“ (დასავლეთის მაგალითი) ტრანსფორმაციის სოციალური საკითხები” დასავლეთის მაგალითი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 19.12.2016
5	თინათინ ჩიგოგიძე	ახალი ტექნოლოგიები ინტერიერის გაფორმებაში	ამერიკისმცოდნეობის XVII სამეცნიერო კონფერენცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. 2016 წლის 19-21 მაისი.

6	ნ. ხაბეიშვილი მ. ცალქალამანიძე	ფერი როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მისი როლი არქიტექტურული სივრცის ფორმირებისას	25-27 ნოემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-5", თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
7	ნათია ქონლაძე	“მეოთხე განზომილება – ფუტურისტული ფანტაზიების რეალიზაცია შეერთებულ შტატებში”	ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თბილისი, თსუ, 20 მაისი

1. კულტურული ლანდშაფტების დაცვისა და ადაპტაციის პერსპექტივები საქართველოში.

მოხსენებაში განხილულია, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ობიექტების პრობლემატიკა და მათი ახალი გამოწვევები. მათზე მრავალი ფაქტორი ახდენს უარყოფით ზეგავლენას - მოძველებული ინფრასტრუქტურა, გარემოზე არანორმირებული დატვირთვა, უძრავი ქონებით სპეკულაცია თუ სხვა მრავალი. ყოველივე ეს ხელს უშლის ისტორიული და კულტურული ღირებულებების მქონე ობიექტების შენარჩუნების პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას. სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად სასურველია, ასეთი ღირებულებების მქონე ობიექტების მართვა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლების დაცვის პოლიტიკის კონტექსტში წარმოებდეს.

კვლევისთვის შევისწავლეთ ტურისტულად აქტიური და წარმატებული ქვეყნების გამოცდილება იმ მიზნით, რომ გავცნობოდით თუ როგორ განავითარეს ადგილობრივი ტურისტული რესურსები და როგორ შეინარჩუნეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული დასახლებების თვითმყოფადი გარემო, როგორ მოარგეს ძველი განაშენიანება თანამედროვე მოთხოვნებს და მიანიჭეს მათ ახალი ფუნქცია, როგორ იყენებენ ლანდშაფტს და როგორ ახერხებენ ეკოსისტემის, თვითმყოფადი არქიტექტურისა და გარემოს დაუზიანებლად მის ჩართვას ტურისტულ ინფრასტრუქტურაში.

როგორც საკითხის შესწავლამ გვაჩვენა, იმისთვის რომ განხორციელდეს საქართველოში არსებული ლანდშაფტების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მართვა, აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს ევროპის ლანდშაფტების კონვენციის რატიფიცირება. ამისთვის მოხსენებაში წარმოვადგენთ და განვიხილავთ რეკომენდაციებს საჭირო ღონისძიებების გატარებისთვის.

2. ქუჩის ხელოვნური განათების არქიტექტურულ-მხატვრული მნიშვნელობა თანამედროვე ქალაქების მაგალითზე.

მოხსენებაში განხილულია ქუჩის ხელოვნური განათების ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ხელს უწყობს თანამედროვე არქიტექტურული გარემოს საინტერესო იერსახის შექმნას.

ანხილულია ისტორიული მიმოხილვა და ასახულია დღევანდელი რეკომენდაციის სახით წარმოდგენილია სწორი ფუნქციონალური დღევანდელი რეკომენდაციის სახით წარმოდგენილია სწორი ფუნქციონალური გადაწყვეტის გზები. იმისთვის, რომ ხელოვნური განთების კომპლექსური თანხვედრა მოხდეს ქალაქის იერსახესთან, მთლიანი განათების სისტემების პროექტირებისას საჭიროა რაიონების, ქუჩების, მოედნების, ბაღ-პარკების, წყლის სარკების და ა.შ ცალკეული გადაწყვეტების ურთიერთკავშირები.

3. „სოფლის თემიდან ქალაქის საზოგადოებად ტრანსფორმაციის სოციალური საკითხები“ (დასავლეთის მაგალითი)

სტატიაში განხილულია სოფლის თემიდან ქალაქის საზოგადოებად ტრანსფორმაციის სოციალური საკითხები კერძოდ ამერიკის მაგალითზე. წარმოდგენილია კვლევის შედეგები თუ უპირატესობები. ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა, მისი ეკონომიკის ეფექტიანობა და გაზრდილი კონკურენცია და უნარი მოახდინოს რესურსების მობილიზაცია ეროვნულ პრიორიტეტებთან მიმართებაში დამოკიდებულია სატრანსპორტო და კომუნიკაციის სისტემებზე, აქედან გამომდინარე, სოფელს უზარმაზარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის და საკვები პროდუქტებისა და ენერჯის უსაფრთხოების საქმეში.

4. XXI საუკუნის თანამედროვე ინტერიერის მიკროკლიმატის პრობლემები

წამყვან ქვეყნებში როგორცაა იტალია, ამერიკა, რუსეთი, იმ მიზნით, რომ გამოვლენილიყო მოსაპირკეთებელი მასალით გამოწვეული დაზიანებები მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული. კვლევების შედეგად შემაშფოთებელი შედეგები გამოვლინდა, კერძოდ დადგინდა, რომ სინთეტიკური მოსაპირკეთებელი მასალებით მოპირკეთებული ინტერიერის მიკროკლიმატი ოთხჯერ უფრო დაბინძურებულია და შვიდჯერ უფრო ტოქსიურია, ვიდრე ავტომანქანებისა თუ სხვა სახის გამონაბოლქვებით გაჯერებული ურბანული გარემო შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას.

ზემოთ აღწერილი მასალები ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე ინტერიერების მოსაპირკეთებლად. მათი თვისებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ რამდენად უსაფრთხოა მათი გამოყენება. შესაბამისად, გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობა, როგორც ინტერიერში ჰაერის ფილტრაციის საკითხია, რაც ამავედროულად ხელსშეუწყობს მიკროგარემოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლიათ დავასკვნათ, რომ შენობის სწორად შერჩეული ინტერიერის ბუნებრივი გამწვანება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული შედეგები შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ნებისმიერ ინტერიერში მწვანე კუთხის არსებობა ცხოვრების და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი ამცირებენ ოპტიკურ დაძაბულობას შედეგად კი ადამიანის თვალზე დატვირთვას.

5. ახალი ტექნოლოგიები ინტერიერის გაფორმებაში

ინტერიერის ინდუსტრია ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, ბაზარზე ჩნდება ახალი მოსაპირკეთებელი მასალები და ტექნოლოგიები. ინტერიერის გაფორმებაში ახალი ტექნოლოგიების სფეროში გეომეტრიული პროგრესიის სისწრაფით ჩნდება ორიგინალური და საინტერესო შემოთავაზებები. ინტერიერის დიზაინი, რაც ნიშნავს კომფორტსა და სიმყუდროვეს ყოველდღიურობაში, მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანისათვის. კაცობრიობა მუდმივ ძიებაშია თავისი სურვილების დაკმაყოფილებისთვის რაიმე ახლისა და ექსკლუზიურისკენ მისწრაფებაში.

თუ ვილაპარაკებთ სიახლეებზე მოსაპირკეთებელ მასალებში, არ შეიძლება არ ვახსენოთ 3 გამოსახულებებით კედლების მოპირკეთება, იატაკისთვის „ცოცხალი ფილა“, „ტკვიანი ფანჯარა“ და ა.შ. საინტერესო ინოვაციური ტექნოლოგიები ყოველთვის აქტუალურია.

6. ფერი როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებელი, მისი როლი არქიტექტურული სივრცის ფორმირებისას

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ფერი ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი ცხოვრებისეული ქმედითუნარიანობის ფორმირებაში.

თემაში განხილული ფერის შეგრძნებებთან დაკავშირებული საკითხები შინაარსზე ყურადღების სწორი ფოკუსირების საშუალებას იძლევა და ინტერიერის პროექტირებისას მეცნიერული მიდგომის პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას წარმოადგენს. ნაჩვენებია ფერით, ფორმითა და განათებით სივრცეში ფუნქციის სიმბოლიზების შესაძლებლობა და შექმნილია მიზანმიმართული ატმოსფერო, რომელიც შეესაბამება როგორც დამკვეთის მოთხოვნებს ასევე იმ ღონისძიებებს, რომელსაც ადგილი ექნება მოცემულ სივრცეში.

წარმოდგენილი თემა მიზნად ისახავს იმ ძირითადი ასპექტების მნიშვნელობის დასაბუთებას, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დასახული ფუნქციის ჰარმონიული ფსიქოლოგიური კლიმატის მქონე თანამედროვე ინტერიერის არქიტექტურის ფორმირებისათვის.

7. მეოთხე განზომილება – ფუტურისტული ფანტაზიების რეალიზაცია შეერთებულ შტატებში”

კინეტიკური არქიტექტურა ეს არის ტრანსფორმირებადი, მექანიზირებული სტრუქტურა, რომელიც კლიმატის, საჭიროების და ჩანაფიქრის მიხედვით იცვლება. ამ მიმდინარეობას დინამიურ არქიტექტურასაც უწოდებენ. კინეტიკური არქიტექტურული ობიექტები იმგვარადაა აგებული, რომ მის ნაწილებს სტრუქტურის მთლიანობის დაურღვევლად შეუძლიათ მოძრაობა. მიმდინარეობის პიონერების აზრით, კინეტიკური არქიტექტურა გარემოს შექმნის შემდგომი ნაბიჯია. ჩვენს მიერ განხილული კინეტიკური არქიტექტურული და დიზაინერული ობიექტები დაახლოებით ბოლო 60 წლის მანძილზეა შექმნილი და როგორც მაგალითებიდან ჩანს, მისი განვითარება ტექნიკის განვითარებას ფეხდაფეხ მიყვება. მეოთხე განზომილების მქონე, დროში ცვალებადი ობიექტები კინეტიკური თვისებების წყალობით ცოცხალ ორგანიზმებს ემსგავსება, რაც ადამიანის არქიტექტურისადმი ახლებურ მიდგომასა და უფრო მჭიდრო კავშირს აყალიბებს.

ბ) უცხოეთში



№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნათელა ჯობაძე ნათია ქონლაძე	ПЕРСПЕКТИВА РАЗВИТИЯ ТУРИЗМА И СОПУТСТВУЮЩИЕ ВОПРОСЫ АДАПТАЦИИ ВЫСОКОГОРНЫХ ПОСЕЛЕНИЙ ГРУЗИИ НА ПРИМЕРЕ МЦХЕТА- МТИАНЕТСКОГО РЕГИОНА	საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია ბაქო, აზერბაიჯანის არქიტექტურულ სამშენებლო უნივერსიტეტი, 27 ოქტომბერი
2	მ.მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი	Вопросы формирования бифункциональной типологии жилища в курортных регионах Грузии.	ქ.ბაქო 27-28 ოქტომბერი 2016
<p>1. საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის ტურიზმი ეკონომიკურად მომგებიანი სფეროა. მოცემული ნამუშევრის მიზანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული პოტენციალის შესწავლა და ტურისტულ სფეროში უფრო პერსპექტიული მიმართულებების დადგენა. ბოლო დროის მანძილზე ბევრი მაგალითი გაჩნდა კერძო მეწარმეთა მიერ ლოკალური, მოგზაურთათვის პოპულარული სასტუმროების განახლებისა, მაგრამ დღესდღეობით ჩვენ ასეთი აქტუალური საკითხის გადაწყვეტის უფრო მასშტაბური მიდგომა გვაინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ კიდევ ერთხელ გავანალიზეთ მოცემული ტერიტორიის პოტენციალი და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმატებულად შეიძლება განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორიცაა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შემეცნებითი (ექსკურსიული) – მომლოცველობა, ეთნიკური ტურიზმი; 2. გამაჯანსაღებელი – ბალნეოლოგიური, კლიმატური; 3. სპორტული – ალპინიზმი, სათხილამურო სპორტი, რაფტინგი, საცხენოსნო სპორტი; 4. ეკოტურიზმი; 5. აგროტურიზმი; 6. ფოტოტურიზმი. 			




მდგრადი განვითარების ტურიზმის შესაბამისი განვითარების გეგმის ზედმიწევნით დამუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისა და მცირე ბიზნესის ჩართვა, გააზრებული არქიტექტურული გადაწყვეტა საქართველოს მაკროეკონომიკური რეგიონებში ტურიზმის განვითარების მყარი საფუძველი იქნება.




2. ბიფუნქციური საცხოვრისის ტიპოლოგიის ფორმირების საკითხები საქართველოს საკურორტო რეგიონებში





მოსხენებაში, საქართველოს კურორტებზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე, წარმოდგენილია კურორტებზე დამსვენებელთა და მუდმივ მაცხოვრებელთა განთავსებისათვის საჭირო ახალი ტიპის საცხოვრისის ფორმირების საკითხი. განსაზღვრულია დამსვენებელთა ცხოვრების ძირითადი ფორმები და შესაბამისი გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირებისათვის საჭირო რეკომენდაციები.

შესრულებული არქიტექტურული პროექტები.

1	შოთა გელაშვილი - მოწ. მასწავლებელი	1) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დაბა შეკვეთილში. (პრ. მთ. არქიტექტორი ჯგუფთან ერთად) - მიმდინარე	
			


		<p>2) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სოფელ პანტიანში (პრ. ავტორი – მიმდინარე)</p>	
			
		<p>3) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი აგარაკისთვის (პრ. ავტორი – პროექტი)</p>	




		
	<p>4) სასტუმროს რეკონსტრუქციის პროექტი დაბა სტეფანწმინდაში (პრ. მთ. არქიტექტორი ჯგუფთან ერთად)</p>	
		


		<p>5) საცხოვრებელი ბინის ინტერიერის დიზაინი გურამიშვილის გამზირზე – მიმდინარე (ჯგუფთან ერთად)</p>	
			
		<p>6) საცხოვრებელი ბინის ინტერიერის დიზაინი ბათუმში – მიმდინარე (ჯგუფთან ერთად)</p>	
			

		<p>7) საცხოვრებელი ბინის ინტერიერის დიზაინი საგურამოში – მიმდინარე (ჯგუფთან ერთად)</p>	
			
		<p>8) საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის ინტერიერისა და გარემოს დიზაინის პროექტი – განხორციელებული (ჯგუფთან ერთად)</p>	
			

		9) საცხოვრებელი ბინის ინტერიერის დიზაინი ნუცუბიძის ქუჩაზე – მიმდინარე (ჯგუფთან ერთად)	
			
2	მ.მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი	1) ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. ალექსიძის ქუჩაზე
		2) ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. გურამიშვილის ქუჩაზე
		3) სამ ოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. ბახტრიონის ქუჩაზე
		4) ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. ალექსიძის ქუჩაზე
		5) ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. გურამიშვილის ქუჩაზე

		6) სამ ოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. ბახტრიონის ქუჩაზე
		7) ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის ინტერიერის პროექტი	ქ.თბილისი. ალექსიძის ქუჩაზე
3	მ.მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი, შ. გელაშვილი	1) რესტორანი “ნიკალა” დაშენებისა და რესტავრაციის პროექტი	ქ.სიღნაღი. სარაჯიშვილის ქუჩაზე
		2) სასტუმრო “ძველი უბანი” მიშენებისა და რესტავრაციის პროექტი	ქ.სიღნაღი. გორგასაღის ქუჩაზე
4	ქეთევან სალუქვაძე	მცხეთის ხიდის რეაბილიტაცია, არქიტექტურულ-ესტეთიური კონცეფცია	

			
5	<p>დაამუშავა ნ. ქონლაძე, ბ. თინიკაშვილი</p> <p>პრ. მთ. არქიტექტორი თ. შაშიაშვილი</p>	<p>1) ქ. თბილისში ავლაბრის ქ. 34-ში მდებარე საქართველოს წითელი ჯვრის [შენობის გამაგრებისა და რეკონსტრუქციის პროექტი</p> <p>2016წ. შეთანხმებული</p> <p>პრ. მთ. არქიტექტორი თ. შაშიაშვილი</p> <p>დაამუშავა ნ. ქონლაძე, ბ. თინიკაშვილი</p>	
	<p>ნ. ქონლაძე, ბ. თინიკაშვილი</p>	<p>2) ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ენისელში მარნის შენობის პროექტი</p> <p>2016წ. შეთანხმებული</p>	

			
	<p>ნ. ქონლაძე, ბ. თინიკაშვილი</p>	<p>3) ქ. თბილისში ინგოროყვას ქ. N26-ში საცხოვრებელი სახლის მიშენების პროექტი 2016 წ. შეთანხმებული ესკიზური პროექტი</p>	

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მედეა მელქაძე	არქიტექტურული აზრის ისტორიული ექსკურსი	N1(15)	სტუ „განათლება“ თბილისი	252–256
2	მედეა მელქაძე	არქიტექტურა არის სინამდვილის შემეცნების სპეციფიკური	N2(16)	სტუ „განათლება“ თბილისი	244–249

		ფორმა			
3	მედეა მელქაძე	ისტორიული ქალაქის პრობლემები ლანდშაფტური ზონის იდენტიფიცირების კონტექსტში	N6(16)	სტუ არქიტექტურა და ქალაქმშენებლობის თანამედროვე პრობლემები სამეცნიერი-ტექნიკური ჟურნალი. თბილისი	48-58
4	ნინო იმნაძე	„პოლონეთის უახლესი არქიტექტურა - ტენდენციები და მიმართულებები (ვარშავის მაგალითზე)“	თბ. 2016 №1(15)	ჟურნალი „განათლება“; სტუ.	გვ. 246 – 251
5	ნინო იმნაძე	“კლასიკური მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია XX –XXI საუკუნის ქართულ არქიტექტურაში ამერიკული პროფესიული აზროვნების კონტექსტში”	# 6/2016	ამერიკის ესწავლის საკითხები; ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია.	გვ. 222 – 226
6	ნინო იმნაძე; თანაავტორი არქიტექტორი მიხეილ ჯინჭარაძე;	„კედელი“	სტუ. თბ. 2016 №2(16)	ჟურნალი „განათლება“;	გვ. 231 – 237
7	ნინო იმნაძე; თანაავტორი არქიტექტორი თეა ჩუბინიძე;	„თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ გარემოში“	თბ. 2016 №2(16)	ჟურნალი „განათლება“; სტუ.	გვ. 237 – 243

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. ამ სტატიის მიზანი არის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენი კოლეგების კვლევების ძირითადი პოსტულატები, რაც არქიტექტურული აზროვნების ქართულ სეგმენტს, ნამდვილად, ამშვენებს. თინათინ ჩიჩუა-ჩვენი საყვარელი ლექტორი და უდიდესი მეცნიერი. მისი კვლევა „მცხეთის ჯვარი“ – გახლავთ ქართული მეცნიერების აზრთა საცავის ერთერთი გამორჩეულად უნიკალური მოდული. მისი ოცდაათწლიანი კვლევა დაგვირგვინდა სადოქტორო დისერტაციის სახით, რამაც შეუქმნა ჩვენი ხალხის ისტორიისა და აღმსარებლობის ძეგლს – მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმშენებლობის დათარიღებას ურყევი საფუძველი. იმის გამო, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ნუმისმატიკის სფეროში გაკეთებულმა აღმოჩენებმა, ბატონი გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გამოკვლეულ ჯვრის ტაძრის დათარიღებას გამოაცალა საფუძველი, ქალბატონ თინათინს მისცა საშუალება სხვა მეთოდოლოგიით შეევესო ბატონი გიორგის კვლევა. ეს ვექტორებია: საქართველოს კათალიკოს პატრიარქთა გენეალოგიაში არსებული ვაკუუმის აღმოჩენა და შევსება; სომხების კათალაკოსის წყევლის წერილი სომხებისადმი, იმის შესახებ, თუ ვინც ილოცებდა ქართველებთან ჯვრის თამარშიმას ანათემაზე გადასცემდნენ; ტაძრის კონსტრუქციული სისტემის მდგრადობის ანალიზი და ა.შ.

მეორე ნაშრომი გახლავთ ქალბატონ ნინო იმნაძის კვლევა ბატონ მიხაკო შავიშვილის შემოქმედებისა, სადაც ავტორი დიდი პროფესიონალიზმით აანალიზებს ბატონი მიხაკოს შემოქმედებას ქალაქგეგმარებითი და სივრცულ-არქიტექტურული კუთხით. ეს კვლევა იყო კიდევ ერთი აგური ჩვენი ეროვნული არქიტექტურული სკოლის სისტემური ანალიზის საქმეში, სადაც ეპოქის კონტექსტში განხილული იყო ადამიანი და შემოქმედი, როგორც ერთი მთლიანი აღმშენებლობითი მუხტი.

2. ამ სტატიაში განხილულია საკითხი კეთდება თუ არა შემოქმედება დადგენილებებითა და კანონებით თუ იგი არის თავისუფალი შემოქმედის თავისუფალი აზროვნების შედეგი. ამ კონტექსტში განხილულია 1955 წლის ხრუმჩოვის დადგენილება „ზედმეტობები არქიტექტურაში“, სადაც ის კომუნისტური პარტიის ცეკას დადგენილებაში კანონის დონეზე განაცხადს აკეთებს სტალინური არქიტექტურის ეპოქის დასასრულსა და ე.წ. ხრუმჩოვიური არქიტექტურის დასაწყისის შესახებ.

საინტერესოა, რომ 1924 წელს სორბონის უნივერსიტეტში ლე კორბუზიე აკეთებს მოხსენებას თანამედროვე არქიტექტურის ნიშნებისა და ტენდენციების შესახებ, სადაც აყალიბებს რკინა-ბეტონის როგორც მასალის 5 პოსტულატს. ეს გახლავთ ნათელი მაგალითი, თუ კორბუზიე, როგორც თავისუფალი აზროვნების მატარებელი დიდი შემოქმედი, როგორ იწყებს საუბარს XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არსებული არქიტექტურის მოძველებული ენის მოდერნიზაციის შესახებ. თუ ჩვენ ამ 2 მოვლენას, რომელიც ერთმანეთის მიმართ 31 წლის დიაპაზონში არსებობს, განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ხრუმჩოვის დადგენილება ეს არის არქიტექტურის შემოქმედების არსის უარყოფელი და ლე კორბუზიეს ანალიზი კი არის არქიტექტურაში, როგორც დარგში შემოქმედების განმაპირობებელი მუხტი.

3.სტატიაში განხილულია, პრობლემა – შეიძლება თუ არა ლანდშაფტური ძეგლი იყოს უგულებელყოფილი მასზე ანთროპოგენული კონსტრუქციის – არქიტექტურის დადგმით. აქ განხილულ იქნა დახრილი ხაზის ფენომენი სივრცეში: ფერდი არის თუ არა დახრილი ხაზი? და არის თუ არა ლოგიკური მთაზე მთის დადგმა? თუ იუმორის კუთხით განვიხილავთ – ქუდზე ქუდის დადება. ცხადია, არა. ამიტომაც, პროექტ „პანორამის“ ზედა ლანდშაფტური თემა წარმოადგენს ნონსენსს სივრცულ–არქიტექტურული გადაწყვეტილების კუთხით. მაგრამ ამ პრობლემას აქვს თავისი, როგორც ბიოკლიმატური, ისე კონსტრუქციულ–ტექნოლოგიური ასპექტები. ყველა ეს ასპექტი განხილულ იქნა ზემოაღნიშნულ სტატიაში და დასკვნების სახით განცხადდა: 1. ბიოკლიმატურ კონტექსტში პერიმეტრალურად მოშენებული არქიტექტურის მინის ტერასული სისტემა, საშიშროებას წარმოადგენს ბუნებრივი გარემოსათვის, როგორც სითბური, ისე რადიაციული გამოსხივების კუთხით. ყოველივე ამის საფუძველზე, ირკვევა რომ იცვლება რა სითბურ–რადიაციული რეჟიმი ფერდზე აღნიშნული არქიტექტურით – იჭრება ინვერსიული ჰაერის ნაკადები, რომლებიც სუფთა ჰაერის საშუალებით ახდენენ ვენტილაციას დღის განმავლობაში არამარტო ფერდზე, არამედ თბილისის მიმდებარე უბნებში. 2. კონსტრუქციული თვალსაზრისით, რასაც ემატება ტექნოლოგიური ასპექტი ტერასული საფეხურების რითმი რაც რენდერებზე არის ნაჩვენები ინსინუაციას წარმოადგენს და სინამდვილეში მოგცემს საფეხურების რითმის სრულ შეცვლას და შესაბამისად, აბსოლუტურად სხვა იერსახის არქიტექტურას.

ანოტაცია

პოლონეთის უახლესი არქიტექტურა - ტენდენციები და მიმართულებები (ვარშავის მაგალითზე)

სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

პროფესორი ნინო იმნაძე

თემის მიზანია ვარშავის არქიტექტურული გამოცდილების რეტროსპექტული განხილვა და მიმდინარე პროცესების ანალიზი, რადგან ქალაქის გარდასახვის პრობლემა აქტუალურია თბილისისთვის. ვარშავის უახლესი არქიტექტურის აქტუალური საკითხებიდან ავლნიშნავთ რამოდენიმეს, რომლებიც ანალოგიურად აქტუალურია თბილისისთვის: ძველი ქალაქის რესტავრაცია - რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია; თანამედროვე შენობის ჩასმა ისტორიულ გარემოში; სამრეწველო სივრცეების ტრანსფორმაცია; მაღლივი მშენებლობა; პროექტები, რომელთაშიც ვლინდება ახალი პარადიგმის ძიება; ღია და დახურული საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზება; უბარიერო სივრცის ფორმირება. ანალიზით მტკიცდება მოსაზრება, რომ პოლონეთი თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ავანგარდშია. არქიტექტურული პრობლემები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტებით, ისე არქიტექტურული ფორმადწარმომქმნელი ძიებების მრავალფეროვნებით. ვერ ვიტყვით, რომ აქ ადგილი აქვს კონფლიქტს ან ბრძოლას შემოქმედებითი პირველობისთვის, აქ უფრო კონფროტანცია და თანაარსებობაა. დროის თანამედროვედ ყოფნა, სურვილი ჩაეწეროს მსოფლიო არქიტექტურულ ბრძოლაში, თუმცა ანალიზი რამდენადმე სუბიექტური ხასიათისაა.

"კედელი"

ნინო იმნაძე, სრული პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიხეილ ჯინჭარაძე; არქიტექტორი

წინამდებარე სტატიაში განხილულია არქიტექტურული სტილების გავლენით, კედლის სახეცვლილებაზე, არა როგორც უბრალოდ შემომზღუდავ კონსტრუქციაზე, არამედ როგორც მეტყველ ორგანიზმზე.

განალიზებულია, საუკუნეების მანძილზე ამ არქიტექტურული ფორმის ტრანსფორმაცია დროში და სივრცეში. როგორ გახდა ორნამენტი კედლის ატრიბუტი და როგორ გაორნამენტდა თავად, როგორ გარდაიქმნა ფასადი ქანდაკებად.

კონკრეტულად განხილულია სამი არქიტექტურული სტილის ეკლექტიზმის, პოსტმოდერნიზმისა და დეკონსტრუქტივიზმის შედარებითი ანალიზი. როგორ იკითხება დეტალებში სტილი, ემოცია, ეროვნულობა, იდეოლოგია, სწრაფვა სიმძიმიდან და მრავალფეროვნებიდან სიმსუბუქისა და სიმარტივისაკენ.

თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ გარემოში (თბილისის მაგალითზე)

სტუ. პროფესორი ნინო იმნაძე

არქიტექტორი თეა ჩუბინიძე

წინამდებარე სტატიაში, ჩვენს მიერ განხილულია არქიტექტურის ისტორიის და თეორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, როგორცაა ურთიერთობა ახალსა და ძველს შორის - თუ როგორ უნდა მოხდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ გარემოში თანამედროვე ნაგებობის შეტანა ისე, რომ არ დაირღვას მთლიანობა, ჩნდება კითხვა: საჭირო თუ არა ერთიანობის შენარჩუნება?

კვლევის მიზანია არსებული მსოფლიოს და საქართველოს გამოცდილების ანალიზით, კონკრეტული არქიტექტურული ობიექტების განხილვით, გამოვავლინოთ ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის თავისებურებანი, ისეთი როგორცაა: რამდენად შენარჩუნდა ან დაირღვა ძველის იდენტობა ახალი ორგანიზმის შეტანით; შედგა თუ არა დიალოგი ძველსა და ახალს შორის; რამდენად ორგანულად ჩაეწერა ან პირიქით დაუპირისპირდა ახალი შენობა ჩამოყალიბებულ გარემოს. როგორ შეცვალა თვითდამკვიდრებისა და ახალი სიტყვის თქმის სურვილმა გარემო. სწორედ ამ კუთხით არის დანახული ძველი და ახალი თბილისი, როგორც ტრადიციულ და ინტერნაციული არქიტექტურას შორის ურთიერთობა.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მედეა მელქაძე	მთიანი კურორტების პრობლემები (აჭარის რეგიონი)		აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. აზერბაიჯანის არქიტექტურულ- სამშენებლო უნივერსიტეტი ბაქო, 2016 წელი	50-54
2	მედეა მელქაძე მარიამ ლომიძე	აჭარის რეგიონის კურორტების პოტენციალი და განსაკუთრებულობა		აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. აზერბაიჯანის არქიტექტურულ- სამშენებლო უნივერსიტეტი ბაქო, 2016 წელი	41-44
3	ნინო იმნაძე	“Особенности архитектуры туристических		აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების	

	центров в регионах Грузии”;		სამინისტრო. აზერბაიჯანის არქიტექტურულ- სამშენებლო უნივერსიტეტი ბაქო, 2016 წელი
--	-----------------------------	--	---

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. სტატიის მიზანია, საქართველოს ულამაზესი კუთხის – აჭარის მთიან რეგიონში ჩატარებული ექსპედიციის საფუძველზე გამოვლენილი კვლევითი პარამეტრების სისტემური, პარალელური, გამჭოლი ანალიზი და ანკეტირება, ფოტო და ვიდეო ფიქსაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ამ რეგიონის როგორც ქალაქმაფორმირებელ-გეგმარებითი, ასევე ბიოკლიმატური განსაკუთრებულობა და მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე წარმოჩენილი პრობლემები, როგორცაა: აჭარისწყალსა და ჭოროხზე 5 კასკადიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და მათთან დაკავშირებული ბიო-კლიმატური პრობლემები. ცნობილია, რომ აჭარის რეგიონის მთიანი ნაწილი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით, რაც ფიქსირდება არაერთი ნაკრძალი და აკრძალული ზონების, დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების არსებობით. ამავე დროს, რეგიონი განიცდის საგზაო კომუნიკაციების ტექნიკური აღჭურვის არასრულყოფილებას, რაც გამოიხატება სამშენებლო ტექნიკის მიერ დაზიანებულ ინფრასტრუქტურასა და მთიანი აჭარის სოფლებთან გრუნტის გზების მოდერნიზაციის ნაკლებობაში. ამასთან, აშკარად იკვეთება მთიანი აჭარის მინერალური წყლის რესურსების სტანდარტიზაციის უქონლობა და ამის შედეგად სამუშაო ადგილების დეფიციტი.
2. სტატიაში განხილულია ბათუმი, როგორც რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი კულტურულ-ბიოკლიმატური განსაკუთრებულობა. სტატიაში განხილულია, ბათუმის პრეისტორია – ანტიკური ხანის პერიოდიდან მისი ოფიციალურად დაფუძნების პერიოდამდე 1878 წ. და მას შემდეგ. აქედან, ცხადი ხდება თუ ბათუმი, როგორც სტრატეგიული პორტი რამდენად მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის და მისი მნიშვნელობა დღეს უფრო ცხადი ხდება. ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენას, რომ ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებისა და უნიკალობის სივრცეს, რაც თანამედროვეობაში განვითარებული მოვლენებით, საფრთხის წინაშე დგას. რასთან გვაქვს საქმე? – 1. ბოლო 15 წლის განმავლობაში ახალმშენებლობები, რომელთაც სერიოზულად შეცვალეს ბათუმის ზღვის სანაპიროს ბიოკლიმატური სტატუს-კვო და შესაბამისად, ადამიანის არსებობისათვის საჭირო ჯანსაღი პარამეტრების შეცვლა უარესობისაკენ. 2. ბათუმის სანაპირო ზოლის დესტრუქციული პროცესები, რომელიც ჭოროხზე მშენებარე 5 კასკადიანი ჰიდროელექტროსადგურის შედეგს წარმოადგენს. ხდება ჭოროხის დელტაში ნაპირშემქმნელი ქვის მასალის – ხრემის გაზიდვა გვირაბების ასაშენებლად.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მედეა მელქაძე	კანონებისა და დადგენილებების როლი არქიტექტურულ შემოქმედებაში	ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. 9-21 მაისი, თბილისი 2016 წ
2	მერაბ ბოლქვაძე	თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმი კონცეფციის საკითხები	ქ. ბორჯომი; თბილისის მერიის მიერ მოწყობილი კონფერენცია 2016 წლის 26 ნოემბერი
3	თეიმურაზ ზედელაშვილი	თბილისის აგლომერაციის საკითხები	ქ. ბორჯომი; თბილისის მერიის მიერ მოწყობილი კონფერენცია 2016 წლის 26 ნოემბერი
4	ვლადიმერ ვარდოსანიძე	ურბანული ინდიკატორები	ქ. ბორჯომი; თბილისის მერიის მიერ მოწყობილი კონფერენცია 2016 წლის 26 ნოემბერი
5	მაია ჯავახიშვილი; ბ. თინიკაშვილი	საავადმყოფოების არქიტექტურა	ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. 9-21 მაისი, თბილისი 2016 წ
6	ნინო იმნაძე	„თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ განაშენიანებაში“	კონფერენცია „არქიტექტურის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი, 2016 წლის 13 თებერვალი.

7	ნინო იმნაძე	„საქლავო სივრცის ადაპტაცია მცირემობილური მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად ამერიკულ არქიტექტურაში“ -	ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. თბ. 9-21 მაისი 2016 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8	ნინო იმნაძე	ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაცია ტურისტულ არქიტექტურაში	თბილისი; სტუ; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ვერბალური კომუნიკაციები; 25-27 ნოემბერი

მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

მოხსენების მიზანია, გავარკვიოთ, თუ დადგენილებები და კანონები რა გავლენას ახდენს არქიტექტურულ შემოქმედებაზე. ამ კონტექსტში განხილულია 1955 წლის ხრუმჭოვის დადგენილება „ზედმეტობები არქიტექტურაში“, სადაც ის კომუნისტური პარტიის ცეკას დადგენილებაში კანონის დონეზე განაცხადს აკეთებს სტალინური არქიტექტურის ეპოქის დასასრულსა და ე.წ. ხრუმჭოვი არქიტექტურის დასაწყისის შესახებ.

საინტერესოა, რომ 1924 წელს სორბონის უნივერსიტეტში ლე კორბუზიე აკეთებს მოხსენებას თანამედროვე არქიტექტურის ნიშნებისა და ტენდენციების შესახებ, სადაც აყალიბებს რკინა-ბეტონის როგორც მასალის 5 პოსტულატს. ეს გახლავთ ნათელი მაგალითი, თუ კორბუზიე, როგორც თავისუფალი აზროვნების მატარებელი დიდი შემოქმედი, როგორ იწყებს საუბარს XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არსებული არქიტექტურის მოძველებული ენის მოდერნიზაციის შესახებ. თუ ჩვენ ამ 2 მოვლენას, რომელიც ერთმანეთის მიმართ 31 წლის დიაპაზონში არსებობს, განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ხრუმჭოვის დადგენილება ეს არის არქიტექტურის შემოქმედების არსის უარყოფელი და ლე კორბუზიეს ანალიზი კი არის არქიტექტურაში, როგორც დარგში შემოქმედების განმაპირობებელი მუხტი.

თუ ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე საქართველოს, ირკვევა, რომ ყველა ის პრობლემა რომელიც არსებობდა მე-20 საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში, თავს იჩენს დღევანდელ თბილისსა და მთლიანად ქვეყანაში. საინტერესოა, ის მოვლენები რაც განვითარდა რიყესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერეკლე II-ის მოედანსა და მის ნიშნულზე გასწორებული მტკვრის სანაპირო ზოლსა და მის მიმდებარე უნიკალურ ლანდშაფტზე, ყოფილი კორტების ტერიტორიაზე, სადაც აშენდა „იუსტიციის სახლი“. ეს არ არის კერძო დადგენილებებისა და ბრძანებების შედეგი? – ცხადია არის. ჩამოთვლილი მაგალითები მეტყველებს, რომ დღეს საქართველოში კერძო პიროვნებების სურვილი შეიძლება გახდეს კანონი, დადგენილება და ყოველივე ეს იყოს განხორციელებული. თუ ეს ზომომოყვანილმა ობიექტებმა არ გამოიწვია ბუნებრივი კატაკლიზმები, მაშინ ვერეს ხეობაში გაყვანილმა სატრანსპორტო კვანძმა 2015 წლის ზაფხულში,

ცნობილი წყალდიდობის შედეგად შექმნა სასაკლავო არაერთი ადამიანისათვის და სხვები კი დატოვა უსახლკაროდ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მედეა მელქაძე	მთიანი კურორტების პრობლემები (აჭარის რეგიონი)	ბაქო, 27-28 ოქტომბერი 2016 წელი
2	მედეა მექაძე მარიამ ლომიძე	აჭარის რეგიონის კურორტების პოტენციალი და განსაკუთრებულობა	ბაქო, 27-28 ოქტომბერი 2016 წელი
3	ნინო იმნაძე	“Особенности архитектуры туристических центров в регионах Грузии”;	ბაქო, 27-28 ოქტომბერი 2016 წელი
4	ნინო იმნაძე	ვიზუალური კომუნიკაცია ტურისტულარქიტექტურაში	თბილისი,


მომხსენებთა ანოტაცია ქართულ ენაზე




1. სტატიის მიზანია, საქართველოს ულამაზესი კუთხის – აჭარის მთიან რეგიონში ჩატარებული ექსპედიციის საფუძველზე გამოვლენილი კვლევითი პარამეტრების სისტემური, პარალელური, გამჭოლი ანალიზი და ანკეტირება, ფოტო და ვიდეო ფიქსაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ამ რეგიონის როგორც ქალაქმფორმირებელ-გეგმარებითი, ასევე ბიოკლიმატური განსაკუთრებულობა და მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე წარმოჩენილი პრობლემები, როგორცაა: აჭარისწყალსა და ჭოროხზე 5 კასკადიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და მათთან დაკავშირებული ბიო-კლიმატური პრობლემები. ცნობილია, რომ აჭარის რეგიონის მთიანი ნაწილი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით, რაც ფიქსირდება არაერთი ნაკრძალი და აკრძალული ზონების, დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების არსებობით. ამავე დროს, რეგიონი განიცდის საგზაო კომუნიკაციების ტექნიკური აღჭურვის არასრულყოფილებას, რაც გამოიხატება სამშენებლო ტექნიკის მიერ დაზიანებულ ინფრასტრუქტურასა და მთიანი აჭარის სოფლებთან გრუნტის გზების მოდერნიზაციის ნაკლებობაში. ამასთან, აშკარად იკვეთება მთიანი აჭარის





მინერალური წყლის რესურსების სტანდარტიზაციის უქონლობა და ამის შედეგად სამუშაო ადგილების დეფიციტი.

2. სტატიაში განხილულია ბათუმი, როგორც რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი კულტურულ-ბიოკლიმატური განსაკუთრებულობა. სტატიაში განხილულია, ბათუმის პრეისტორია – ანტიკური ხანის პერიოდიდან მისი ოფიციალურად დაფუძნების პერიოდამდე 1878 წ. და მას შემდეგ. აქედან, ცხადი ხდება თუ ბათუმი, როგორც სტრატეგიული პორტი რამდენად მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის და მისი მნიშვნელობა დღეს უფრო ცხადი ხდება. ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენას, რომ ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებისა და უნიკალობის სივრცეს, რაც თანამედროვეობაში განვითარებული მოვლენებით, საფრთხის წინაშე დგას. რასთან გვაქვს საქმე? – 1. ბოლო 15 წლის განმავლობაში ახალმშენებლობები, რომელთაც სერიოზულად შეცვალეს ბათუმის ზღვის სანაპიროს ბიოკლიმატური სტატუს-კვო და შესაბამისად, ადამიანის არსებობისათვის საჭირო ჯანსაღი პარამეტრების შეცვლა უარესობისაკენ. 2. ბათუმის სანაპირო ზოლის დესტრუქციული პროცესები, რომელიც ჭოროხზე მშენებარე 5 კასკადიანი ჰიდროელექტროსადგურის შედეგს წარმოადგენს. ხდება ჭოროხის დელტაში ნაპირშემქმნელი ქვის მასალის – ხრემის გაზიდვა გვირაბების ასაშენებლად.

არქიტექტურული პროექტები

1	ვაჟა გელაშვილი	 <p data-bbox="646 1625 966 1734">მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი თბილისში</p>	თბილისი 2016 წ.	კონკურსის მონაწილე ვარიანტი 1
---	----------------	--	--------------------	-------------------------------------

2	ვაჟა გელაშვილი	 <p>მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი მელიქიშვილის ქ.</p>	თბილისი 2016 წ.	კონკურსის მონაწილე ვარიანტი 2
3	ვაჟა გელაშვილი	 <p>საგამოფენო დარბაზი გულიაშვილის მოედანზე</p>	თბილისი 2016 წ.	კონკურსის მონაწილე
4	ვაჟა გელაშვილი	 <p>ჟურნალ „არქიტექტურული დაიჯესტის“, №16 ნომერი</p>	თბილისი 2016 წ.	რედაქტორი- გამომცემელი.

5	გია ნადირაძე	 <p data-bbox="646 541 964 653">მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი თბილისში</p>	თბილისი 2016 წ.	კონკურსის მონაწილე
6	გია ნადირაძე	 <p data-bbox="646 961 964 1073">მრავალ ფუნქციური საცხოვრებელი სახლი მელიქიშვილის ქ.</p>	თბილისი 2016 წ.	კონკურსის მონაწილე
7	გია ნადირაძე გონა მიქიაშვილი	 <p data-bbox="613 1356 997 1430">საბავშვო ბაღი 400 ადგილზე ახალციხეში</p>	ახალციხე 2016 წ.	მშენებარე
8	გია ნადირაძე გონა მიქიაშვილი მამუკა ბარათაშვილი	 <p data-bbox="607 1703 1000 1776">ეკონომიკის სამინისტროს შენობა სანდრო ეულის ქ. 3</p>	თბილისი 2016 წ.	ონკურსი II ადგილი.
9	ნინო ჩხეიძე	ქობულეთის მუნიციპალიტეტის	2016 წ.	აჭარის სივრცითი

		სივრცითი მოწყობის გეგმა		მოწყობის ჯგუფი
10	ნინო ჩხეიძე	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა	2016 წ.	აჭარის სივრცითი მოწყობის ჯგუფი
11	ნინო ჩხეიძე	ხულოს მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა	2016 წ.	აჭარის სივრცითი მოწყობის ჯგუფი
12	ნინო ჩხეიძე	შუახევი მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა	2016 წ.	აჭარის სივრცითი მოწყობის ჯგუფი
13	ირაკლი მურღულია	ბაკურიანის და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობის სივრცითი მოწყობის და განაშენიანების რეგულირების გენგეგმის დამუშავება	2016 წ.	

არქიტექტურული საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი №603

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.დავითაია,	“ამერიკული არქიტექტურა, გენეზისი“	N 1(15),	სტუ-ს ჟურნალი „განათლება“ თბ.2016	გვ.240-246,

2	მ.დავითაია,	„ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები პიტერ ეიზენმანთან“ (მოსხენება-სტატია)	კატალოგი	ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-2016, IV საერთაშორისო კონფერენცია	გვ. 150-154
<p>1. სტატიაში განხილულია ამერიკული არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები. სტატია მიმოხილვითი ხასიათისაა და გვთავაზობს აშშ-ს ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელთა კულტურას, კოლონიალურ პერიოდს (XVI ს.-1775წ.), XVIII საუკუნეში ემიგრანტების მიერ შემოტანილი ტრადიციებისა და ადგილობრივი თავისებურებების ნაზავით შექმნილ არქიტექტურას – გოთიკური ცვლის რომანულს, ბერძნულს, ბაროკალურს, მოდერნს, ნეოკლასიკურს და ა.შ. XIX საუკუნის ბოლოდან იწყება ცათამბრჯენების მშენებლობა, XX ს. დასაწყისიდან კი ბატონობს ფუნქციონალური სტილი. XX ს-ში ამერიკაში გავრცელდა დეკონსტრუქტივიზმი და სტატიაში წარმოდგენილია არქიტექტორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ მიმართულების დამკვიდრებაში.</p> <p>2. პიტერ აიზენმანის დეკონსტრუქცია 1990-იანი წლებიდან იცვლის მიმართულებას და ინაცვლებს არახაზოვანი არქიტექტურისკენ. ახალი შთაგონება წამოვიდა მეცნიერული აღმოჩენების მხრიდან, თვით ორგანიზებადი ორგანული სტრუქტურების იდეიდან, ჟდელეზის თეორიიდან-ფრაქტალური თეორიიდან. აიზენმანის არქიტექტურაში ვერბალურ კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს ენიჭება უპირატესობა. ეს ეხება როგორც კედელს, ჭერს, და ა.შ. ასევე ადამიანის მოძრაობის ხაზს და შესაბამისად არქიტექტურა ამ ხაზით იქმნება, რომელსაც აიზენმანი იყენებს როგორც თეორიაში ასევე პრაქტიკაში.</p>					

III. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ.დავითაია,	„მაღალმთიანი რეგიონი სვანეთი. გუშინ და დღეს“ (მოსხენება-სტატია კატალოგში გვ.44-48,)	ბაქოში გამართული საერთაშორისო კონფერენცია 2016 წ.

2	მ.დავითაია,	<p>„გადაადგილებები პიტერ აიზენმანის არქიტექტურაში“</p> <p>(მოხსენება)</p>	<p>ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ამერიკის-მცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ამერიკისმცოდნეობის მე-17 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია</p> <p>2016 წ. 21 მაისი</p> <p>ეძღვნება ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის 240-ე წლისთავს</p> <p>(სერტიფიკატი)</p>
<p>ანოტაციები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Высокогорный регион – Сванетия (в частности село Ушгули) входит в список всемирного культурного наследия ЮНЕСКО и является центром туризма. Предпосылками стали факторы: природа со сложным рельефом и альпийской зоной, традиции и язык, архитектура. Для сохранения исторического наследия и улучшения жизненных условий региона были проведены реставрационно-реабилитационные работы, что повлияло на увеличение потока туристов в этот экзотический край Грузии и придал ему новую жизнь. 2. დეკონსტრუქციული არქიტექტურის ერთ-ერთი დამფუძნებელი პიტერ აიზენმანი ამ მიმართულებით მუშაობისას იკვლევს არქიტექტურას იდეის სახით, ხოლო შთაგონების წყაროდ ირჩევს ჟაკ დერიდას მოსაზრებებს და ფსიქონალიზს. მისი აზრით არქიტექტურა უნდა იყოს კრიტიკული, არ უნდა ითვალისწინებდეს დამკვეთის მოთხოვნებს, არამედ პირიქით არქიტექტურამ უნდა დასახოს პრობლემა. ის ამტკიცებს რომ საქმე აქვს არა აბსტრაქტულ იდეებთან, არამედ იმასთან რაც აქამდე დამალული იყო თუმცა არქიტექტურა მას შეიცავდა. არქიტექტორის მოვალეობაა გამოაშკარავოს რაც დამალული იყო, დაეხმაროს იმის გამოხატვაში რაც მანამდე ითვლებოდა არაფუნქციუნალურად, უშინაარსოდ და ა.შ. 			

სხვა აქტივობა:

1. სტუ-ს სტუდენტთა 84-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2016 წლის ივნისი. მონაწილეობა მიიღო 1 სტუდენტმა. აბაშიძე ვლადიმერი „აფრიკული არქიტექტურა“ 3 ადგილი

2. რეცენზია ლიანა გიორგობიანის სადისერტაციო ნაშრომზე „ქაშვეთის არქიტექტურული ანსამბლი“ 2016 წლის 12 ივლისი
3. სტუ-ს III–IV კურსის სტუდენტთა გამოფენა (ხელმძღვანელი) „არქიტექტურული დისკურსის თემები საერთაშორისო არქიტექტურაში“ 2016 წ. ნოემბერ-დეკემბერი
4. 2016 წლის სექტემბრიდან „არქიტექტურათმცოდნეობა დოქტორანტურა“ პროგრამის ხელმძღვანელი
5. 2016 წლის სექტემბრიდან „არქიტექტურათმცოდნეობა მაგისტრატურა“ პროგრამის ხელმძღვანელი

1	ი. ბერძენიშვილი, კ. კამკამიძე, მ. ზაკუტაშვილი	მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები კოროზიულ კვლევებში	ქუთაისი, 19-20.05.2016
2	ვ. თვალთაშვილი, მ. სირაძე, ი. ბერძენიშვილი	ფოსფორიპიდები და მათი როლი მცენარეული ბეთების გენეტიკაში	თბილისი, 15 ივნისი, 2016
ანოტაცია			
<p>1. განხილულია კონსტრუქცია-ნაგებობების რესურსის პროგნოზირების უტყუარობაზე მოქმედი ფაქტორები დაზიანებათა სტატისტიკის მიხედვით. ნაჩვენებია, რომ კონსტრუქციის რესურსის პროგნოზირებისას მნიშვნელოვანია პროგნოზირების სათანადო მათემატიკური მოდელის შერჩევა.</p> <p>2. ნაშრომი ეხება მცენარეული ზეთების ხარისხისა და გამოსავლიანობის გაუმჯობესებას მათი რაფინირების პროცესის დროს, კერძოდ, ფოსფორიპიდების გავლენას მცენარეული რაფინირებული ზეთების გამოსავლიანობაზე. დამტკიცებულია, რომ რაფინატის გამოსავალი მცენარეული ზეთების ტუტოვანი ნეიტრალიზაციის პროცესში არის პირდაპირ დამოკიდებულებაში ფოსფორიპიდების კონცენტრაციასთან.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	И.Г. Бердзенишвили, И.И. Матешвили.	Основные тенденции развития рынка тарного стекла	10 марта, 2016, Россия, Челябинск.
ანოტაცია			
<p>1. მიმოხილულია საფუთავების ბაზრის კონიუნქტურა, მინის ტარის წარმოების ინდუსტრიის თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები. ნაჩვენებია, რომ ბაზრის კონიუნქტურა თავად გვეკარნახობს მკაცრ მოთხოვნებს.</p>			

სხვა აქტივობები

1. პროფ. ირინე ბერძენიშვილი არჩეულია აშშ-ს *David Publishing Company*-ს რეცენზენტად, 13.04.2016 წ.
2. პროფ. ირინე ბერძენიშვილის სახელზე გამოგონების პატენტის გაცემის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის “საქპატენტის” ბრძანება № 950/01. ქ. მცხეთა 22.11.2016.
3. **I.G. Berdzenishvili. CERTIFICATE** სამეცნიერო ცენტრი “AETERNA”, რუსეთის ფედერაცია, 2016.

2. სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულება

სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფ. თამაზ გაბადაძე

სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულების სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. პროფ. თ. გაბადაძე
2. პროფ. თ. ჭყიშვილი
3. პროფ. გ. გაფრინდაშვილი
4. პროფ. ი. სულაძე (გარდაიცვალა 2016 წლის 3 აგვისტოს)
5. ასოც. პროფ. გ. ლოლაძე

I. 4. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიზნით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1.	ახალი მეთოდით აგებული მსოფლიო დონის 3დ სტერეოსკოპიული კონკურენტუნარიანი აგრეგატის შექმნა პროექტი № AR/111/3-112/14 ტელე-კინო ინდუსტრიის განვითარება	რუსთაველის ფონდი (თანადამფინანსებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)	გივი ლოლაძე	თ. ჭეიშვილი ზ. ლომიძე
ანოტაცია				
გარდამავალი პროექტის პროგრამით გათვალისწინებული გეგმის შესაბამისად მე-3 პერიოდში განხორციელდა გარდამქმნელი მოწვობილობის აგება, რომელიც სტერეოსკოპულ წყვილ ვიდეო სიგნალს ანაგლიფური მეთოდით გვიჩვენებს რეალურ დროში. ე.ი. ანაგლიფური სათვალთ შეხედვის (ყურების) დროს მიღებულ მოწვობილობაზე დავინახავთ მოცულობით გამოსახულებას რეალურ დროში ანუ სტერეოსკოპულ გამოსახულებას 3დ-ში კომპიუტერის გარეშე.				

II. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	გ. გაფრინდაშვილი	ინფრაწითელი სხივებით პურ-ფუნთუშეული პროდუქტების ცხოხვა. ჟურნალი „კერამიკა“	Vol..18, №1 (35), 2016	http://www.ceramics.gtu.ge	6
2.	Т.Чеишвили, Н.Чиджавадзе	Особенности термического расширения и электросопротивления стекломатериалов в системе $Cu_2O-MnO-B_2O_3$ ჟურნალი „კერამიკა“	Vol.18, №1 (35), 2016	http://www.ceramics.gtu.ge	5

ანოტაციები

1. ნაშრომში განხილულია ინფრაწითელი სხივებით პურფუნთუშეული პროდუქტების ცხობის ტექნოლოგიის თავისებურებები. სინთეზირებულია ადგილობრივი ნედლეულების: ჯვარისა-გურნის კაოლინის ან არგილიტის, ოზურგეთის კაოლინიზირებული ტრაქიტის, ფარავნის პერლიტის და ძირულის თაღკის გამოყენებით თერმიულად მდგრადი კერამიკა კვარცის, მულიტის და კორდიერიტის ფაზური შედგენილობით. მიღებულია მაღალი სიშავის კოეფიციენტის კერამიკული დამფარავი სისტემით- SiO_2 - Al_2O_3 - Fe_2O_3 - MnO - MgO - Na_2O .

მნიშვნელოვანია ინფრაწითელი სხივებით, სითბური დამუშავების ეფექტურობა - განსაკუთრებით კვების პროდუქტების მიმართ. ოპტიმალური სიგრძის ტალღის დროს ინფრაწითელი გამოსხივება ინტენსიურად შთაინთქმება იმ წყლის მიერ, რომელიც მასალაშია, მაგრამ არ შთაინთქმება ან უმნიშვნელოდ შთაინთქმება თვით მასალით. ეს იმას ნიშნავს, რომ წყლის მოცილება აორთქლებით შესაძლებელია მასალის უმნიშვნელო გახურების პირობებში ($\sim 60^{\circ}C$). წარმოდგენილი თერმიული რეჟიმი საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად მთლიანად შევინარჩუნოთ კვების პროდუქტებში ვიტამინები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ანტიოქსიდანტები, არომატი, გემოვნება და სხვა მნიშვნელოვანი დანამატები.

წარმოდგენილი სამუშაო განიხილა და დადებითად შეაფასა თბილისის პურის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარემ, ტექნიკურურ მეცნიერებათა დოქტორმა მ.დოლიძემ. განზრახულია თბილისის №4 პურის ქარხანაში 2017 წელს მოხდეს ახალი ტექნოლოგიის დანერგვა და პურ-ფუნთუშეული ნაწარმის ინფრაწითელი სხივებით ცხობა.

2. ნაშრომში წარმოდგენილია Cu_2O - MnO - B_2O_3 სისტემაში სპეციფიკური მინამასალების მიღების პირობები და განხილულია შედგენილობის გავლენის საკითხი მათი დაგრძელებისა და ელექტროწინარობის ტემპერატურულ დამოკიდებულებასთან. ნაჩვენებია, რომ 10-40 მოლ. %-იან ზღვრებში მანგანუმის (II) და სპილენძის (I) ურთიერთჩანაცვლებით შესაძლებელია სტაბილური ელექტროფიზიკური მახასიათებლების მინამასალების მიღება.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. ჩიჯავაძე,	ბორატული ფუძის და ორი დ- ელემენტის ოქსიდების შემცველი ნაღნობების	19-20 მაისი, 2016, ქუთაისი, საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

	თ. ჭეიშვილი	საფუძველზე ახალი სახის ამორფულ-კრისტალური მასალების მიღება	„თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“
2.	თ. ჭეიშვილი, ზ. ჩიჯავაძე	აფუებული თიხაფიქალი, მისი მახასიათებელი თვისებები და გამოყენების პერსპექტივები	19-20 მაისი, 2016, ქუთაისი, საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“

ანოტაციები

1. ბორის, მანგანუმის და სპილენძის ოქსიდების შემცველ სისტემაში განხორციელდა სპეციფიკური თვისებების მატარებელი და ელექტროტექნიკური დანიშნულების მასალების სინთეზი. ტექნოლოგიურად ასეთი მასალები მიიღება გარკვეული შედგენილობის ნადნობების გადაცივებით და შემდგომი მოწვის ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებით. მიღებული იქნა ამორფულ-კრისტალური ბუნების კომპოზიტები, რომლებიც უჩვეულო ელექტროთვისებებით, კერძოდ მხოლოდ ლითონთა სპეციალური შენადნობებისათვის დამახასიათებელი აქტივაციის ენერჯის და ელექტროწინააღობის ტემპერატურული კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობებით ხასიათდებიან. ახალი სახის მასალების თვისებათა თავისებურება მიღების პროცესის ტექნოლოგიურობა შესაძლებელს გახდის მათ საფუძველზე მაღალტემპერატურულ გარემოში სტაბილურად მომუშავე ფუნქციური დანიშნულების ელექტროტექნიკურ ნაკეთობათა დამზადებას.

2. საქართველოში, მდ.დურუჯის ხეობაში, მთების დაშლის შედეგად ჩამოიტანება და გროვდება ათობით მლნ. მ³ ნაშალი ქანები, რომლებიც რეგიონის ეკოსისტემის მსხვრევის განმსაზღვრელი ხდება. ამავე დროს, თიხაფიქალი წარმოადგენს ტექნოგენურ ნედლეულს, რაც მისგან სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის მიღების შესაძლებლობით განისაზღვრება. არსებობს აგრეთვე მონაცემები მათ სხვა სფეროში შესაძლო გამოყენების შესახებ, მაგრამ მიღებული მასალები სრულად არ არის შესწავლილი, საბოლოო რეკომენდაციები პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ნაკლებად არგუმენტირებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მათი პრაქტიკული გამოყენება მრეწველობის სხვადასხვა სფეროში უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ყვარელის ფიქალის საფუძველზე მრავალფუნქციური ფორიანი მასალების მიღების პერსპექტიულობის განსაზღვრისათვის, დადგენილი იქნა ყვარელის ფიქალის აფუების პროცესის ოპტიმალური პარამეტრები (გრანულომეტრია, ტემპერატურა, დრო). მიღებულ მასალათა სტრუქტურული კვლევის და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა შესწავლით განისაზღვრა მათი სტრუქტურული მოწყობა-მასალა უჯრედოვანი სტრუქტურისა – ფორების ძირითადი სახეობა-დახურული ტიპისაა. მიღებული ფორიანი მასალები ხასიათდება დაბალი ნაყარი მოცულობითი წონით, ზომიერი წყალშთანქმით და მაღალი წყალმედევობით. ფიქალიდან მიღებული ფორიანი მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება შემსუბუქებული ბეტონების შემავსებლად, ნაყარ თბოსაიზოლაციო მასალად და სხვა.

სხვა აქტივობები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

- სტუ-ს გეგმით და დაფინანსებით შესრულებულია სამუშაო „შავი ზღვის წყლის კომპლექსური გადამუშავება სამედიცინო და ტექნიკური მასალების მისაღებად და მათი კვლევა“.

სამუშაოს ხელმძღვანელი – პროფ. თ. გაბადაძე.

შემსრულებლები: პროფ. ი.სულაძე (გარდაიცვალა 3 აგვისტოს), მ.კეკელიძე.

შავი ზღვის წყლისგან მიღებულია ულტრადისპერსული ჟელესებური მასები, პასტები, მალამოები და ფხვნილები. მათგან კი მაღალი სიმტკიცის შემცხვარ-ღლობილი სამედიცინო და ტექნიკური მასალები.

- საქართველოს ახალი პარლამენტის და მთავრობის წინაშე დაყენებულია საკითხები (პროფ. თ. გაბადაძე):

1. წყლის რესურსების სისუფთავეში საქართველოს ჩამორჩენის შესახებ
2. სატრანსპორტო მშენებლობის ცემენტის და ბეტონის მდგრადობის და ხანგამძლეობის შესახებ

- მრავალწლიანი პარტნიორობის და მხარდაჭერის საფუძველზე გერმანული ჰოლდინგი „სანო-ცხოველთა თანამედროვე კვება“ ამზადებს მემორანდუმს კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტზე დაფუძნდება სპეციალისტთა მომზადების ცენტრი, გერმანელი ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო პროცესებში, პრაქტიკებსა და თეორიული მასალების მომზადებაში. სერტიფიცირება მოხდება „სანო-ცხოველთა თანამედროვე კვება“-ის მხრიდან. შესაბამისი სპეციალობის კურსდამთავრებულები მომავალში დასაქმდებიან სანოს საწარმოებში, რომლის მშენებლობა იგეგმება საქართველოში რეგიონალური მასშტაბით. კვების პროდუქტებში ადგილობრივი ბუნებრივად აქტიური დანამატების დანერგვასა და გამოყენებაში სანო მუდმივად ითანამშრომლებს ფაკულტეტის თანამშრომლებთან (პროფ. გ. გაფრინდაშვილი, აკად. დოქტ. ს. სანაძე)

- საქართველოს მდიდარ წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან მჭიდროდაა დაკავშირებული ვაზი, ვენახი და ღვინო. საყოველთაოდ აღიარებით ვაზისა და ღვინის ერთ-ერთ სამშობლოდ კავკასია ითვლება და ცხადია, აქ უპირველესი ადგილი საქართველოს ეკუთვნის, სადაც 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია დაფიქსირებული.

საქართველს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ა.წ. 22 სექტემბერს ალავერდის სამონასტრო ეპარქიის ფარგლებში გახსნა „კერამიკული ქვევრის აკადემია“. თანამედროვე საწარმოს გახსნას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, პარლამენტარები, მეღვინეობა ბადაგონის ხელმძღვანელი და სხვა მოწვეული წევრები.

იუნესკოს მიერ ქვევრს და ქვევრის ღვინოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ამჟამად საწარმოში მიმდინარეობს დანერგვითი სამუშაოები და იტალიელ სპეციალისტებთან ერთად მანქანა-დანადგარების ათვისება და ტექნოლოგიურ პროცესებში ჩართვა (პროფ. გ. გაფრინდაშვილი).

- ა.წ. ოქტომბრში სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულებასა (პროფ. გ. გაფრინდაშვილი) და სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის საჯარო სკოლას შორის გაფორმდა საპროექტო ხელშეკრულება „კერამიკული ნაკეთობების (ქვევრები) და სამშენებლო აგურის დასამზადებლად საჭირო თიხის მასალების კვლევა“. საკვლევ მასალად სკოლის მიერ წარმოდგენილია საგარეჯოს რაიონში არსებული ანთოკისა და მანავის კარბონატული თიხები. კვლევა ჩატარდა მე-11 კლასის მოსწავლეების თანამონაწილეობით და დამკვეთ ორგანიზაციას გადაეცა დასკვნა აღნიშნული თიხების პპერსპექტივაში გამოყენების შესახებ.

- 2016 წლის ოქტომბრის თვეში, 3დ სტერეოსკოპული აგრეგატის (პროფ. გ.ლოლაძე) შექმნით დაინტერესდნენ ფრანგი სპეციალისტები. ჩატარდა მათთან შეხვედრა და გაიმართა ერთობლივი პრეზენტაცია სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში. საკითხი ეხებოდა საქართველოში და მსოფლიოში 3დ სტერეოსკოპული განვითარების პერსპექტივებს. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ზ. ლომიძემ, რეჟისორმა დათო გუჯაბემ და საფრანგეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

3. ბიოსამედიცინო პოლიმერების ტექნოლოგიის მიმართულება
 მეცნიერ ხელმძღვანელი: პროფ. რამაზ ქაცარავა

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: 4

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	------------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

1	ნ. კუბლაშვილი ნ. კუპატაძე, დ. ტულუში, ნ. კუციავა, რ. ქაცარავა	კანის კიბოს მკურნალობა ბიოდეგრადირებად პოლიესტერამიდში დეპონირებული 5-ფთორურაცილით: 1. ბიოკომპოზიტის მიღება და წამლის კონტროლირებადი გამოყოფის შესწავლა	GeorgianEngineering News, №1, 114-119, 2015.	თბილისი	6
2	ნ.კუბლაშვილი ნ.ჯოგლიძე ნ.კუციავა, რ.ქაცარავა	კანის მკურნალობა პოლიმერში დეპონირებული 5-ფთორურაცილით: 2. პოლიმერული პრეპარატის უსაფრთხოების შესწავლა	კერამიკა, 17(1), 32-35 (2015)	თბილისი	4
3	ნ.კუბლაშვილი ნ.კუციავა, რ.ქაცარავა	კანის კიბოს მკურნალობა ბიოდეგრადირებად პოლიესტერამიდში დეპონირებული 5-ფთორურაცილით: 1. შეზღუდული კლინიკური კვლევის შედეგები	GeorgianEngineering News, №1, 123-128, 2016.	თბილისი	6

ანოტაცია

1. სტატიაში აღწერილია ანტიკანცეროგენული პრეპარატ 5-ფთორურაცილის (5-FU) შემცველი ბიოკომპოზიტური პრეპარატი ბიოდეგრადირებადი ამინომჟავური პოლიესტერამიდური მატრიქსის საფუძველზე დროებითი სახელწოდებით "ფტოროკოლი". შესაწავლილია პოლიმერულიმატრიქსში დეპონირებული ანტიკანცეროგენული პრეპარატის გამოთავისუფლების კინეტიკა. ნაჩვენებია, რომ გამოყოფილი 5-FU-ს კონცენტრაცია მაღალია სასურველი თერაპიული ეფექტის მიღწევის თვალსაზრისით.

2. სტატიაში ეძღვნება პრეპარატ "ფტოროკოლის" უსაფრთხოების შესწავლას. "ფტოროკოლი" წარმოადგენს ბიოდეგრადირებად პოლიმერულ მატრიქსში დეპონირებულ 5-ფთორურაცილის შემცველ ბიოკომპოზიტურ პრეპარატს. დადგენილია, რომ საკვლევი საშუალება "ფტოროკოლს" როგორც თეთრ თაგვებში, ასევე თეთრ ვირთაგვებში მაქსიმალური დოზის გამოყენების შემთხვევაშიც კი არ ახასიათებს მწვავე ტოქსიკური კუმულაციური, ადგილობრივი გამაღიზიანებელი და აღერგიული თვისებები, მაქსიმალური დოზის გამოყენებისას არ აღინიშნება ლეტალობა. ექსპერიმენტში სასიკვდილო დოზის დადგენა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

3. სტატიაში წარმოდგენილია კანის ონკოლოგიური პათოლოგიების დროს ქიმიური პრეპარატების ლოკალური თერაპია ბიოდეგრადირებად პოლიმერულ მატრიქსში ჩართული პრეპარატ მიტომიციინით. კომპოზიტური პრეპარატი სტატიაში მოიხსენიება "ფტოროკოლის"

სახელწოდებით. პრეპარატი გამოყენებულია როგორც ლოკალურ, ასევე კომბინირებულ (ლოკალური+რეგიონალური) ქიმიოთერაპიაში. კვლევამ დაადასტურა პრეპარატის ლოკალური გამოყენების უპირატესობა კომბინირებულთან შედარებით - საგრძნობლად მცირე იყო 5-ფტორურაცილთან დაკავშირებული ტოქსიკურობის გამოვლინებები.

II.2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	J.Puiggalí, R.Katsarava.	A book chapter in: Bionanocomposites. (2016).	Elsevier	34
ანოტაცია				
1. მიმოხილვაში გაანალიზებულია სხვადასხვა ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერების საფუძველზე მიღებული ბიონანო კომპოზიტები და მათი გამოყენება ბიომედიცინაში.				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Memanishvili, N. Kupatadze, D. Tugushi, R. Katsarava, S. Wattanait, N. Hara, D. Tornero, Z. Kokaia.	Generation of corticalneurons from humaninduced-pluripotentstemcellsby biodegradable polymeric microspheresloaded with priming factors.	<i>Biomed. Mater.</i> 11, 025011.(2016).	IOP Publishing	12

2	L.J.delValle, L.Franco, R.Katsarava, J.Puiggali.	Electrospun biodegradable polymers loaded with bactericide agents (Review).	AIMS <i>MolecularScience</i> , 3 (1), 52-87.	AIMS Publish.	36
3	R.Katsarava, N.Kulikova, J.Puiggali.	Amino AcidBased Biodegradable Polymers – promising materials for the applications inregenerative medicine (Review).	<i>J. J. Regener. Med.</i> , 1(1): 012.	Jacobs Publisher	14

ანოტაცია

1. სტატიაში აღწერილია ღეროვანი უჯრედების ზრდის სტიმულაცია ცდებში ბიოდეგრადირებად მიკროსფეროებში დეპონირებული უჯრედების ზრდის ფაქტორებით.

2. სტატიაში აღწერილია ანტიბაქტერიული პრეპარატებით, მათ შორის ვერცხლის ნანონაწილაკებით და ბაქტერიოფაგებით დატვირთული ელექტროდართული ნანობოჭკოები სხვადასხვა სახის ბიოდეგრადირებადი პოლიმერის საფუძველზე აღნიშნული მასალები პერსპექტულია ინფიცირებული წრილობების სამკურნალოდ.

3. მიმოხილვითი სტატია. მასში აღწერილია ფერმენტებით დატვირთული ელექტროდართული ნანობოჭკოები ამინომჟავა ფენილალანინის საფუძველზე დასინთეზებული პოლიესტერამიდის გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ ასეთი ნანობოჭკოები პერსპექტულია წამლის კონტროლირებადი გამოყოფის სისტემების სახით.

3. მიმოხილვითი სტატია. მასში აღწერილია ქაცარავას ჯგუფის პიონერული სამუშაოები სხვადასხვა კლასის ამინომჟავური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების სინთეზი და მათი გამოყენება ბიომედიცინის სხვადასხვა სფეროებში. ანალიზებულია აგრეთვე სხვა ავტორების სამუშაოები იგივე მიმართულებით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	L Franco, A.Díaz, L.J. del Valle, M. T. Casas, G.Chumburidze,R.Katsarava, J.	Incorporation of bacteriophages into electrospun micro fibrous matrices of a leucine based	XIV Reunión Bienal del Grupo Especializad on Polímeros. 5-8 Septiembre, Burgos, Espana,

	Puiggalí.	poly(ester urea).	2016.
2	N. Kupatadze, M. Bedinashvili, T. Memanishvili, M. Gurielidze, D. Tugushi, R. Katsarava.	Antimicrobial Nanocompositions Made of Amino Acid Based Biodegradable Polymers	EUPOC 2016 on Block Copolymers for Nanotechnology Application, Gargnano – Lake Garda (Italy), May 22-26, 2016.
3	S. Kobauri, Teng. Kantaria, Tem. Kantaria, D. Tugushi, N. Kulikova, R. Katsarava.	Nanoparticles Made Of Amino Acid Derived Biodegradable Polymers As Promising Drug Delivery Containers.	18 th International Conference on Biotechnology and Nanotechnology (ICBN 2016), New-York, June 06-07, 2016, 18(6) Part V, P. 604.
4	N. Zavrashvili, C. Sarisozen, Teng. Kantaria, M. Gurielidze, D. Tugushi, V. P. Torchilin, R. Katsarava.	Newarginine- and spermine-based cationic polymers as antimicrobial and gene transfection agents.	7 th international conference "Biomaterials and nanobiomaterials: recent advances safety-toxicology and ecology issues", 8-15 May 2016, Heraklion, Crete, Greece.
5	S. Kobauri, Teng. Kantaria, D. Tugushi, J. Puiggali, R. Katsarava.	Bis-azlactone Based Biodegradable Poly(esteramide)s: Design, Synthesis and Study.	18 th International Conference on Chemical Engineering and Technology (ICCET 2016), New-York, October 10-11, 2016.
6	N. Zavrashvili, C. Sarisozen, Teng. Kantaria, G. Otinashvili, M. Gurielidze, D. Tugushi, V. Torchilin, R. Katsarava.	Biodegradable cationic polymers composed of spermine and arginine: synthesis, cell compatibility, and biological activity.	The 3 rd International Conference on Bioinspired and Biobased Chemistry and Materials. October 16-19, 2016, Nice, France.

ანოტაცია

1. მოხსენება ეძღვნება ბაქტერიოფაგების შემცველი ელექტროდარბული ნანობიოტექნოლოგიის მიღებას ორიგინალური ამინომჟავური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების საფუძველზე.
2. მოხსენება ეძღვნება ვერცხლის ნანონაწილაკების შემცველი ბაქტერიციდული ბიოკომპოზიტების მიღებას ორიგინალური ამინომჟავური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების საფუძველზე.
3. მოხსენება ეძღვნება ამინომჟავური ბიოდეგრადირებადი პოლიმერების საფუძველზე მიღებულ ნანონაწილაკებს, რომლებიც წარმოადგენენ წამლების გადამტან ეფექტურ კონტეინერებს.

ნერებს.

4. მოხსენება ეძღვნება არგინინისა და სპერმინის საფუძველზე მიღებულ ბიოდეგრადირებად კატიონურ პოლიმერებს, რომლებიც პერსპექტულია როგორც გენგადამტანი და ანტიმიკრობული აგენტები.

5. მოხსენება ეძღვნება ახალ ამინომჟავურ ბიოდეგრადირებად პოლიმერებს, რომლების მიღებულია ბის-აზლაქტონების გამოყენებით

6. მოხსენება ეძღვნება მოხსენება ეძღვნება არგინინისა და სპერმინის საფუძველზე მიღებულ ბიოდეგრადირებად კატიონურ პოლიმერებს, რომლებიც პერსპექტულია როგორც გენგადამტანი და ანტიმიკრობული აგენტები.

მეცნიერ ხელმძღვანელი: პროფ. თეიმურაზ ბუაჩიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფ-ბი: თ.ბუაჩიძე, ე. კვესიტაძე, ასოც.პროფ-ბი: ნ. ბუცხრიკიძე, ლ. თოფურია, ასისტ. პროფ. მ. სიდამონ-ერისთავი, უფრ. მასწავლებელი ს. კოპალეიშვილი, უფრ. ლაბორანტი ლ. იმნაიშვილი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ბუცხრიკიძე, თ.ბუაჩიძე, ა. თოფურია, ნ. კოპალეიშვილი, მ. სიდამონ-ერისთავი	მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საკითხები	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	71 გვერდი

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოში მოკლედ და მარტივად არის გადმოცემული მიკროორგანიზმთა მორფოლოგია, ფიზიოლოგია, გამრავლება, ფუნქცია და როლი ცოცხალ სამყაროში, ასევე ზოგადი ეპიდემიოლოგიის ცნებები. მასში გასაგები ენითაა წარმოდგენილი სამედიცინო და კვებითი უსაფრთხოების პრაქტიკაში გამოყენებული ზოგადი ლაბორატორიული მიკრობიოლოგიური მეთოდები, რაც სტუდენტებს დაეხმარება თეორიული ცოდნის უფრო ეფექტურად ათვისებასა და ლაბორატორიაში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო ძირითადად

დაფუძნებულია ბიოტექნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების კურსსა და ინტერნეტიდან მოძიებულ მასალზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Eliava, T. Tsintsadze, R.Mzhavanadze, M. Balashvili, L. Topuria, T. Buachidze, E. Topuria, L. Berulava	„SIGNIFICANCE OF ANATOMIC-PHYSIOLOGICAL AND BIOTECHNICAL CRITERIA FOR ASSESSMENT OF FUNCTIONAL STATUS OF GASTROINTESTINAL TRACT DURING FULL DEVELOPMENT OF CLINICAL PICTURE AND IN POST-REHABILITATION PERIOD“ International	Collection of scientific articles, “The Questions of health resort managing, physiotherapy and rehabilitation”. TBR, 2016.	Tbilisi.	გვ. 97-100
<p>ანოტაცია</p> <p>სამედიცინო რეაბილიტაცია განვითარდა თეორიული და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დისციპლინების საფუძველზე და სადღეისოდ იგი მედიცინის დამოუკიდებელი დარგია. რეაბილიტაციის სწორი და რაციონალური ჩატარება დაავადებათა მწვავე მიმდინარეობის შემდგომ წარმოადგენს აუცილებელ პირობას ავადმყოფთა გამოჯანსაღების საქმეში და შრომითი აქტივობის აღდგენაში და შენარჩუნებაში.</p> <p>ნაშრომში გაანალიზებულია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვადასხვა განყოფილების ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ბიომექანიკური ფაქტორები და დიაგნოსტიკის მიზნით გამოყენებადი ენდოსკოპიური მოწყობილობების კონსტრუქციული თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ფუნქციური მდგომარეობის ადეკვატურ შეფასებას როგორც დაავადების მწვავე მიმდინარეობისას, ისე მკურნალობის შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდში.</p> <p>შემოთავაზებულია მათემატიკული მოდელის შექმნა, რათა განისაზღვროს ჰაერის მიწოდების უფრო ნატიფი გრადაცია, მისი მოცულობითი ხარჯის, ეფექტის მიღწევის დროისა და დაწნეხვის ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინებით წარმოშობილი ადგილობრივი წინააღმდეგობების და პათოლოგიური მდგომარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე.</p>					
2	G. Eliava, T. Tsintsadze, R.Mzhavanadze, M. Balashvili,	„SIGNIFICANCE OF SOME ANTHROPOMETRIC DATA WHEN DETERMINING HEALTHY WALK DURING CARRYING OUT OF REHABILITATION	TBR, 2016.	Tbilisi,	გვ. 91-96

L. Topuria, T. Buachidze, L. Berulava.	ACTIONS“				
<p>ანოტაცია</p> <p>გამაჯანსაღებელი სიარული, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სიარულის ტემპი ხელს უწყობს ორგანიზმის ფუნქციური სისტემების ადეკვატურ მოქმედებას. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ფეხის სიგრძის ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნაბიჯების სიგრძეზე, სიარულის ტემპზე და, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს ორგანიზმზე დატვირთვის დონის განსაზღვრისას. ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია პირების არჩევისას გამაჯანსაღებელი და სპორტული ჯგუფების შედგენის დროს, დაავადებულ, გადაწვრთნილ და ტრავმირებულ პირთა და სპორტსმენთა მკურნალობა-რეაბილიტაციის დროს.</p>					
3	G. Eliava, A. Isakadze, T. Tsintsadze, P. Kasradze, R.Mzhavanadze, L. Topuria, T. Buachidze, E. Topuria	Mechanisms of atherosclerosis development and some problems of its treatment” International Scientific review 2016, XVII International Scientific and Practical Conference “International scientific review of the problems and prospects of modern science and education”	№9 (19).	Publishing House “Problems of Science”, Boston, USA, 21-22 June, 2016	84-88
<p>ანოტაცია</p> <p>სამუშაოში გაანალიზებულია ათეროსკლეროზული პროცესის განვითარების მექანიზმები. განხილულია სისხლის პლაზმაში ათეროგენული სუბსტანციების დაქვეითების გამომწვევი საშუალებების მოქმედების მექანიზმების სქემები, როგორც მათი აჩქარებული გამოყვანის გზით, ისე მათი სინთეზის ბლოკირების გზით და თავისუფალი რადიკალური დაჟანგვის დამთრგუნველი საშუალებების მოქმედების მექანიზმების სქემები.</p> <p>შემოთავაზებულია ისეთი კომბინირებული პრეპარატების შექმნა, რომლებშიც პათოლოგიური პროცესის გამოსატყულობის ხარისხისაგან დამოკიდებულებაში ზემოაღნიშნული მექანიზმები სხვადასხვა უპირატესი გავლენით იქნება შეხამებული, რაც ხელს შეუწყობს წარმატებულ დიფერენცირებულ თერაპიას.</p>					

4. არაორგანულ ნივთიერებათა და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – **ლერი გვასალია**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემაღენლობა:

1. ზაირა ბარდანიძე;
2. ნუნუ ბუჩუკური;
3. გიორგი დანელია;
4. მარლენ მჭედლიშვილი;
5. ევგენია შენგელია;
6. თამარ ფალავანდიშვილი;
7. მაია წვერავა.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ნუნუ ბუჩუკური	მინერალური ნედლეულის ექსპერტიზის საფუძვლები	თბილისი სტუ (გადაცემულია სარედაქციო განყოფილებაში 2016 წლის ოქტომბერში)	175
ანოტაცია				
<p>განხილულია დედამიწის ქერქის ფორმირების, დედამიწის გეომორფო-ლოგიის საკითხები და მასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდები. განხილულია მადნეული საბადოების შემადგენელი მინერალების წარმოქმნის პირობები, დამა-ხასიათებელი ნიშნები, ქიმიური თვისებები და სხვ. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებულ მინერალურ ნედლეულზე.</p> <p>წარმოდგენილი სახელმძღვანელო განკუთვნილია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის არაორგანულ ნივთიერებათა და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის.</p>				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ. მამაგულიშვილი, ლ. გვასალია, ვ. მაჭარაშვილი	ციანმჟავას წარმოების სტაბილური მუშაობის ხელის შეშლელი ფაქტორები და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა.	ქუთაისის წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქ. ქუთაისი. 2016 წ	143-146 გვ. (3)
<p>ანოტაცია</p> <p>შესწავლილია ციანმჟავას საამქროში სისტემის პოლიმერიზაციის მიზეზი და დღეისათვის აღმოფხვრილია იგი. პოლიმერიზაციის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა აბსორბცია-რექტიფიკაციის კვანძზე მიწოდებული ორთოფოსფორმჟავას დეფიციტი, რაც თავის მხრივ საანგარიშო ფორმულით იყო გამოწვეული.</p> <p>ასევე უზრუნველყოფილია სამმაგი ნარევის სტაბილური შედგენილობა, რომელზეც გაველენას ახდენდა გარემოს სეზონური და დღე-ღამური ტემპერატურის ცვლილება. აღნიშნული პრობლემა გადაჭრილი იქნა მატერიალურ ნაკადებზე ავტომატური შემოქმედების თბომცვლელების დაყენებით.</p>				
2	ე. შენგელია, ლ. გვასალია, მ. გვიანიძე, ა. მიქელაძე, მ. მგელაძე	ბათუმის წყალარინების გამწმენდ ნაგებობაზე მიღებული შლამის ორგანო-მინერალურ სასუქად გამოყენების შესაძლებლობა. შრომათა კრებული.	ა.წერეთლის სახ-ელ მწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“. 2016 წ	(3)
<p>ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია აჭარის წყალარინების გამწმენდ ნაგებობაზე დაგროვებული ჭარბი გადამუშავებული შლამის ორგანო-მინერალურ სასუქად გამოყენების შესაძლებლობა. გერმანიის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩატარებული შლამის ქიმიური ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ მასში მძიმე ლითონების და ტოქსიკური ორგანული ნაერთების შემცველობა არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, რაც ადასტურებს მისი ორგანო-მინერალურ სასუქად გამოყენების შესაძლებლობას.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. მჭედლიშვილი, ზ. ისააკიანი	ზოგიერთი ცვლილება გოგირდის დიოქსიდის ჟანგვის რეაქციის წონასწორობის მუდმივასა და წონასწორული გარდაქმნის ხარისხის გამოთვლაში. სტუ-ს შრომები.	№2(500) 2016 წ.	თბილისი სტუ	49-57 გვ (8)
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>დაზუსტებულია ლიტერატურულ წყაროებში მოცემული ფორმულა, რომელიც ასახავს გოგირდის დიოქსიდის ტრიოქსიდად გარდაქმნის რეაქციის წონა-სწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე, სადაც განტოლების თავისუფალ წევრად უნდა იყოს არა +0,372, არამედ -0,267. მათემატიკური გარდაქმნების გზით მოდიფიცირებულია დიოქსიდის ტრიოქსიდად წონა სწორული (თეორიული) გარდაქმნის ხარისხის გამოსათვლელი ფორმულა, რომელიც შემოთავაზებულია მე-3 ხარისხის განტოლების სახით:</p> $C \times Xe^3 + D \times Xe^2 + E \times Xe + F = 0,$ <p>სადაც C, D, E და კოეფიციენტები პროცესის ტემპერატურაზე, წნევაზე და აირთა ნარევი ჟანგბადისა და გოგირდის დიოქსიდის საწყის კონცენტრაციებზე (% , მოც) დამოკიდებული სიდიდეებია, ხოლო Xe არის გოგირდის დიოქსიდის ტრიოქსიდად გარდაქმნის ხარისხი. განტოლება საშუალებას იძლევა ცალსახად განისაზღვროს Xe-ს მნიშვნელობა სარეაქციო არის სხვადასხვა პირობისათვის. თანაც Xe უნდა აკმაყოფილებდეს პირობას: $0 \leq Xe \leq 1,00$.</p> <p>საინჟინრო-ქიმიური მიმართულების სტუდენტთა მიერ გოგიდმუშავს წარმოებაში გოგირდის დიოქსიდის ტრიოქსიდად ჟანგვის პროცესის შესწავლისას, დროის არსებითად დაზოგვის მიზნით, შექმნილია კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ჟანგვის რეაქციის წონასწორობის მუდმივასა და წონასწორული გარდაქმნის ხარისხის კომპიუტერულ გამოთვლას.</p> <p>პროგრამული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ამცირებს სტუდენტის მიერ ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაზე და ხარჯულ დროს; ეს უკანასკნელ შესაბამისობაშია აღნიშნული სამუშაოს შესრულებისთვის სიღაბუსით გათვალისწინებულ დროსთან.</p>					

2	<p>ლ. გვასალია, თ. მამაგულიშვილი, ვ. მაჭარაშვილი</p>	<p>ციანმჟავას წარმოების დანაკარგების შემცირება პროდუქტის გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით. „ინტელექტუალი“</p>	<p>№31 2016 წ.</p>	<p>თბილისი სტუ</p>	<p>168-172 გვ. (4)</p>
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ციანმჟავას წარმოების გამონაბოლქვი აირების რაოდენობა 10000 მ³/სთ-ია, ხოლო მასში HCN-ის შემცველობა 0,6 მგ/ლ-ს არ უნდა აღემატებოდეს. წარმოებაში სიცივის მატარებელ აგენტად გამოყენებული უნდა იყოს „ნულოვანი“ და „მინუსოვანი“ მარილხსნარი, რომლის გამოყენებაზეც წარმოება იძულებული იყო უარი ეთქვა მათი მაღალი კოროზიულობის გამო. მარილხსნარების გამოყენებაზე უარის თქმამ შექმნა სიცივის დეფიციტი ციანმჟავას წყლით აბსორბციის სტადიაზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გამონაბოლქვ აირებში ციანმჟავას შემცველობის გაზრდა 5-8 მგ/ლ-მდე.</p> <p>გამონაბოლქვ აირებში ციანმჟავას კონცენტრაციის შემცირებისათვის დამონტაჟდა დამატებითი სკრუბერი დამოუკიდებელი სავიცირკულაციო კვანძით და ხსნარის გადამეტდინებით სკრუბერის კუბურ ნაწილში. დამატებითი სკრუბერის დამონტაჟების შედეგად გამონაბოლქვ აირებში აირებში HCN-ის შემცველობა 1-2 მგ/ლ-მდე შემცირდა, რამაც გაზარდა პროდუქტის გამოსავლიანობა. ასევე მოხდა აბსორბციის კვანძის-სქემის კორექტირება, კერძოდ: სკრუბერის და ფორსკუბერის სავიცირკულაციო ტუმბოების დაჭირხენის ხაზიდან ხსნარის გარკვეული ნაწილის შეწოვის ხაზში დაბრუნების ნაცვლად მიწოდებული იქნა კონტაქტური აირის მოეწვებაზე.</p>					
3	<p>გ. დანელია, თ.ფალავანდი- შვილი ნ. გოგოტიშვილი</p>	<p>ბაბანეურის ნაკრძალის ძელქვის კორომის ქვეშ გაადგილებული ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების დადგენა, მისი ნაყოფიერების თვალსაზრისით.</p>	<p>№ 1 მოამბე</p>	<p>თბილისი ს/მ მეცნიერებათა აკადემია 2016</p>	<p>49-51 გვ. (3)</p>
<p>ანოტაცია</p> <p>ბაბანეურის სატყეო ნაკრძალის ძელქვის კორომის ქვეშ გაადგილებული ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების დადგენის შედეგად მივიღეთ, რომ ქიმიური ანალიზის საფუძველზე, ზღვრულად დასაშვები დიაპაზონის მიხედვით. ა) ჰუმუსის (ორგანიკა) საშუალოზე მაღალია, ბ) საერთო აზოტით უზრუნველყოფილია, pH წყლის სუსპენზიაში - სუსტი ნეიტრალურია, ხოლო მოძრავი და გაცვლითი ღარიბია რაც დამახასიათებელია გაყომრალეული კორდიან-ეწერიანი ნიადაგებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.</p>					
4	<p>გ. დანელია ნ. მიქავა</p>	<p>ოსპის კულტურის ბიოლოგიური თავისებურებანი და მისი პროდუქტიუ-</p>	<p>№ 1 მოამბე</p>	<p>თბილისი ს/მ მეცნიერებათა აკადემია</p>	<p>115-117 გვ. (3)</p>

		ლობა.		2016	
ანოტაცია					
<p>საქართველოს საბაზრო ეკონომიკური პირობებში შესწავლილ იქნა ოსპის კულტურის ძირითადი ბიოლოგიური პარამეტრები, სახელდობრ: ცილები, ნაცრის ელემენტები (მინერალურ ნაწილს) და ნედლი უჯრედანა, რის შედეგადაც დადგინდა რომ ოსპის პროდუქცია, სტანდარტთან შესაბამისობაში, აკმაყოფილებს მის ბიოქიმიურ პარამეტრებს და შესაძლებელია მისი საკვებად გამოყენება. გარდა ამისა, საქართველოს გააჩნია პოტენციური ოსპის წარმოებისა, რაც ხშირ შემთხვევაში ჩაანაცვლებს ცილას, რომელიც გააუმჯობესებს პროდუქციის კვებით ღირებულებას, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მეცხოველეობის დარგში.</p>					
5	გ. დანელია ზ. ჩანქსელიანი თ. ფალავანდი- შვილი	ლენტეხის რაიონის ტერიტორიაზე, ალუვიური ნიადაგების პირობებში, რადიო ნუკლეიდებისა და მძიმე ლითონების მონიტორინგი და აღნიშნული ტიპის ნიადაგების ნაყოფიერების მართვა	№ 1 მოამბე	თბილისი ს/მ მეცნიერებათა აკადემია 2016	130-132 გვ. (3)
ანოტაცია					
<p>ქვემო სვანეთის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცხენისწყლის პირას გავრცელებულ (ალუვიურ) ნიადაგების აკუმულაციურ ფენაში რადიონუკლეიდებისა და მძიმე ლითონების ხვედრითი წილი ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე ბევრად დაბალია. ასევე იგი ღარიბია მცენარისათვის შესათვისებული ძირითადი საკვები ელემენტებით და საჭიროებს გადაუდებელ ქიმიზაციას, სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლების მიზნით.</p>					
6	მ. წვერაგა, თ. გაგნიძე	ქაღალდსა-ფუძვლიანი დოკუმენტების რესტავრაციის გარეცხვა-ნეიტრალიზაციის ტექნოლოგიური პროცესი. სტუ შრომები	შრომათა კრებული 2016 წ	თბილისი სტუ	22-30 (9)
ანოტაცია					
<p>საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სფეროში, რესტავრაცია - კონსერვაციას წამყვანი როლი ეკისრება. წინამდებარე სტატია ქაღალდსა-ფუძვლიანი დოკუმენტების რესტავრაციის უმნიშვნელოვანესი საკითხის, გარეცხვა - ნეიტრალიზაციის პროცესის სამეცნიერო კვლევას ეხება. შემუშავებულია დოკუმენტების გარეცხვა-ნეიტრალიზაციის ახალი, ხუთსაფეხურიანი ტექნოლოგიური სქემა. მისი საშუალებით შესაძლოა, როგორც მერქნის, ასევე ჩვრის ცელულოზისაგან დამზადებული ქაღალდის დოკუმენტების</p>					

დამუშავება. პროცესი მოითხოვს ქიმიური რეაქტივების მინიმალურ ხარჯს, რაც მის მაღალ ეკონომიურ ეფექტს განაპირობებს. მისი წარმართვისათვის არ არის სჭირო ძვირად ღირებუ ლი ლაბორატორიული აღჭურვილობა, ამდენად იგი შესაძლოა წარიმართოს ნებისმიერ საშუალო დონის სარესტავრაციო ლაბორატორიაში.

5. ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი თამაზ აგლაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფ თამაზ აგლაძე, სრული პროფ. ჯემალ შენგელია, ასოცირებული პროფ. მარინე დონაძე, ასოცირებული პროფ. მაია გაბრიჩიძე, ასისტენტ პროფ. დავით გოგოლი, დოქტორანტი პოლინა თოიძე, დოქტორანტი ნინო მახალდიანი, უფროსი ლაბორანტი - ლია გეჭეჩილაძე, ლაბორანტი ლალი მჭედლიშვილი, ლაბორანტი ნინო მახალდიანი

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	ძვირფასი ლითონებისაგან თავისუფალი ინოვაციური საავტომობილო კატალიზატორის საწარმოო გამოცდა და ოპტიმიზაცია AR/136/3-160/13; საინჟინრო მეცნიერებები	სსიპ -შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ნატრიაშვილი	თ. აგლაძე მ. დონაძე მ. გაბრიჩიძე ნ. მახალდიანი

ანოტაცია

პროექტის ძირითდი მიზანია პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან თავისუფალი კატალიზატორების

კომერციული და ტექნოლოგიური პერსპექტივების შეფასება. იგი მიიღწევა გამოცდების შემდეგი თანმიმდევრული ფაზების განხორციელებით: პირველ ფაზაზე სხვადასხვა შემადგენლობის და სტრუქტურის ბიკომპონენტური (AgMnO₂) კატალიზატორი იქნება სინთეზირებული და გამოცდილი CO - ს გარდაქმნაზე. საუკეთესო ნიმუშები არჩეული იქნება მსხვილმასშტაბური ტესტებისთვის სტაციონარულ და დინამიურ სტენდებზე. ფაზა 1 -ის გავლის შემდეგ გაუმჯობესებული ბიკომპონენტური კატალიზატორი იქნება შერჩეული და მისი კონკურენტუნარიანობა იქნება შეფასებული. მე-2 ფაზაზე კატალიზატორს დაემატება მესამე კომპონენტი (CrOx) და განხორციელდება სამმაგი კატალიზატორის, როგორც ლაბორატორიული, ასევე მსხვილმასშტაბური გამოცდები. შეფასდება ოპტიმალური დანახარჯების მახასიათებლები და გაიცემა რეკომენდაციები ნიმუშების რეალურ პირობებში მუშაობისთვის შესარჩევად. მე-3 ფაზაში გრძელვადიანი საავტომობილო ტესტები განხორციელდება. გამოცდების სრული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შეფასდება პროექტის გაანხორციელების სირთულის ხარისხი და კომერციული კონკურენტუნარიანობა. ძირითდი სამეცნიერო მიღწევების ამსახველი ორი პუბლიკაცია იქნება მომზადებული და შედეგები იქნება წარმოდგენილი საერთაშორისო ფორუმზე. გაკეთდება განაცხადები საერთაშორისო და ადგილობრივ პატენტებზე.

II. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამოცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ჩხიკვაძე, მ. გაბრიჩიძე, მ. დონაძე	ჰიდრომეტალურგია	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	160
ანოტაცია				
<p>სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია სამამულო ნედლეულზე; მოყვანილია მონაცემები მანგანუმის მადნების ქიმიური მეთოდით დამუშავებაზე; შეტანილია კეთილშობილი ლითონების მეტალურგიის საკითხები, კერძოდ, ციანირების და ოქროს ამოღების მეთოდები; განხილულია ჩამდინარე (ნარჩენი) წყლების გაუვნებლების ტექნოლოგია და სხვა პროცესები.</p> <p>დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ელექტროქიმიისა და ფერადი ლითონების სპეციალობების სტუდენტებისათვის როგორც ბაკალავრის, ისე უმაღლესი ხარისხის (მაგი-სტრი, დოქტორი) მაძიებელი პირებისათვის. ასევე სასარგებლო და საინტერესო იქნება სამთო საქმის</p>				

სპეციალისტებისთვის, სახელდობრ, „სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების“ სპეციალობის სტუდენტებისთვის.

2	ე. ჩხიკვაძე, მ. გაბრიჩიძე, მ. დონაძე ე. ჩხიკვაძე, მ. გაბრიჩიძე, მ. დონაძე	კოროზია		150
---	--	---------	--	-----

ანოტაცია

კოროზიის სახელმძღვანელოში აღწერილია ძირითადი ცნებები კოროზიის დარგში. ტექნიკური მასალების ძირითად საკონსტრუქციო მასალას წარმოადგენენ თერმოლინამიკურად არამდგრადი ლითონები და მათი შენადნობები, რომლებიც მისწრაფიან თავიანთი ბუნებრივი მდგომარეობისაკენ (ოქსიდები, სულფიდები, კარბონატები და სხვა). ლითონების ასეთი თვითნებური ნგრევა და ქიმიურ ნივთიერებებში გადასვლა წარმოადგენს კოროზიის არაკონტროლირებულ ქმედებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან კოროზიით გამოწვეული დანაკარგები მსოფლიოში წარმოებულ ლითონის მესამედს შეადგენს. განსაზღვრულია კოროზიასთან ბრძოლის მეთოდების ცოდნის უცილებლობა.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. დონაძე მ. გაბრიჩიძე პ. თოიძე თ. აგლაძე	ბირთვი-გარსის ტიპის მულტიფუნქციური არაორგანული ჰიბრიდული ნანონაწილაკები; სინთეზი და გამოყენება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	42, 3, (2016), 263-271	თბილისი	8
2	T. Agladze M. Donadze M. Gabrichidze P. Toidze	Novel Technology Platform for Synthesis of Multifunctional Hybrid Nanocomposites	(2016), 15	Tbilisi, Geoprint	1

ანოტაცია

ნანოვერცხლის ზოლის საფუძველზე მიღებულია ინოვაციური ნანოკომპოზიტიური კატალიზატორი. 11-15 ნმ ზომის ნანოვერცხლის ნაწილაკი (ბირთვი) სტაბილიზირებულია აღსორბირებული ზედაპირულადაქტიური ნივთიერებით-ოლეინმჟავით (გარსი). ოლეინმჟავის მანგანუმის შემცველ დამჟანგველთან ურთიერთქმედებით მიღწეულია ოლეინმჟავის გარსის ჩანაცვლება მანგანუმის ოქსიდით. ამ მეთოდით მიღებული Ag-MnO_x ნანოკომპოზიტი დაფენილია ალუმოსილიკატის სარჩულზე და შესწავლილია მისი კატალიზური აქტივობა ნახშირჟანგის კონვერსიის რეაქციის მიმართმანგანუმის და ქრომის ოქსიდების პრეკურსორების მიერ ვერცხლის ნანონაწილაკების მასტაბილუზებული ლიგანდის (ოლეინმჟავა) ჰეტეროგენული დაჟანგვის რეაქციის გამოყენებით სინთეზირებულ იქნა „ბირთვი (Ag) -გარსი (MO_x)“ ტიპის ორ - (AgMnO_x) და სამ - (AgCrMnO_x) კომპონენტიანი მულტიფუნქციური ჰიბრიდული ნანომასალები. დადგენილი იქნა AgMnO_x -ის მაღალი კატალიზური და ანტიბაქტერიული აქტივობა შესაბამისად ნახშირბადის მონოოქსიდის დაჟანგვის და გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ.

3	თ. ტყეშელაშვილი ვ. თედიაშვილი ჟ. შენგელია ბ. წურწუშია ლ. კანდელაკი	ჰიდროქინონის მიღება პარა-ბეზოქინონის ელექტროქიმიური აღდგენით განზავებული წყალხსნარებიდან, საქართველოს ქიმიური ჟურნალი	1 (2016)	თბილისი, უნივერსალი	8
4	E. Chkhikvadze J. Sengelia G. Tsurtsunia, V. Tediashvili S. Shigardelashvili S. Jeiranashvili	Electrochemical Leaching of Manganese Oxide Ores	(2016), 66	Tbilisi, Geoprint	1
5	G. Tsurtsunia T. Lezhava N. Koiava J. Shengelia D. Gogoli L. Beriashvili E. Kemoklidze N. Jokhadze	The Novel Hidroelecrometallurgical Technology of joint production of Metallic Manganese and its Compounds	(2016), 88	Tbilisi, Geoprint	1

ანოტაცია

შემუშავებულია მანგანუმის მადნების ელექტროქიმიური გამოტუტვის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მადნის MnO₂-ის არაპირდაპირ ელექტროქიმიურ აღდგენას Fe²⁺-Fe³⁺ რედოქს-სისტემის მედიატორად გამოყენების გზით. კათოდად განვითარებული ზედაპირის ნახშირბადის ქეჩის ელექტროდის გამოყენებით მიღწეულია პროცესის მნიშვნელოვანი

ინტენსიფიკაცია-ერთი და იმავე გაბარიტული კათოდური დენის სიმკვრივის პირობებში. ბრტყელ კათოდთან შედარებით არაპირდაპირი ელექტროქიმიური აღდგენის პროცესის დენით გამოსავალი 2-ჯერ იზრდება და აღწევს 100%-ს.

7	მ. გაბრიჩიძე ლ. ბერიაშვილი თ. აგლაძე	მანგანუმის ელექტროდის კინეტიკა წყალხსნარებში, საქართველოს ქიმიური ჟურნალი	15, 1, (2015), 60-65	თბილისი, უნივერსალი	6
---	--	---	-------------------------	------------------------	---

ანოტაცია

ლითონური ნანომასალების ფიზიკური და ქიმიური თვისებების ზომაზე დამოკიდებულება თანამედროვე ნანომეცნიერების ყურადღების ცენტრშია. ლითონური ნანომასალების უნიკალური თვისებების გამოყენება იზღუდება მათი არასტაბილურობის გამო. უკანასკნელი ხშირად აიხსნება ნანოსტრუქტურების აგრეგაციით, რომელსაც თან სდევს უნიკალური თვისებების დაკარგვა ან გაზრდილი ქიმიური რეაქციის უნარიანობით გამოწვეული კოროზიით, რომელიც იწვევს აქტიური მასის დაკარგვას.

სამუშაოში დადგენილია მეტასტაბილური ლითონური სტრუქტურების სტაბილურ ფაზაში გარდაქმნის თერმოდინამიკული კრიტერიუმები და მათი ექსპერიმენტული შემოწმება ელექტროგამოლექილი მანგანუმის მეტასტაბილური γ-ფაზის სტაბილურ α-ფაზაში გარდაქმნის მაგალითზე. ნახვენებია გამოლექილი ლითონის მარცვლის ზომის კრიტიკული როლი და კინეტიკური კანონზომიერების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ზომაზე დამოკიდებული ფაზური გარდაქმნების მექანიზმის თაობაზე.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Donadze M. gabrichidze S. Calvache T. Agladze	Novel method for preparation of the hybrid metal (I)-metal(II) oxide nanoparticles, Transactions of the IMF: The International Journal of Surface	94, 1, (2016) 16-23.	Publisher Taylor & Francis	8

		Engineering and Coatings			
2	M. Donadze, T. Agladze	Strategy for Nanohybridized Synthesis of $M_aM_bO_x$ Systems, Chemical Engineering of Polymers Production of Functional and Flexible Materials	E-Book ISBN: 97817 71884464	New Jersey, USA, Apple Academic Press	10

ანოტაცია

ბირთვი-გარსის ტიპის ნანონაწილაკებში გარსთან მიმოცვლის რეაქციით ნანოვერცხლის ზოლის საფუძველზე მიღებულია ლითონის ოქსიდების შემცველი ინოვაციური ნანოკომპოზიტური კატალიზატორი. 11-15 ნმ ზომის ნანოვერცხლის ნაწილაკი (ბირთვი) სტაბილიზირებულია ადსორბირებული ზედაპირულადაქტიური ნივთიერებით-ოლენიმჟავით (გარსი). ოლენიმჟავის მანგანუმის შემცველ დამჟანგველთან ურთიერთქმედებით მიღწეულია ოლენიმჟავის გარსის ჩანაცვლება მანგანუმის ოქსიდით. ამ მეთოდით მიღებული $Ag-MnO_x$ ნანოკომპოზიტი დაფენილია ალუმოსილიკატის სარჩულზე და შესწავლილია მისი კატალიზური აქტივობა ნახშირჟანგის კონვერსიის რეაქციის მიმართმანგანუმის და ქრომის ოქსიდების პრეკურსორების მიერ ვერცხლის ნანონაწილაკების მასტაბილეზებელი ლიგანდის (ოლენიმჟავა) ჰეტეროგენული დაჟანგვის რეაქციის გამოყენებით სინთეზირებულ იქნა „ბირთვი (Ag) - გარსი (MO_x)“ ტიპის ორ - ($AgMnO_x$) და სამ - ($AgCrMnO_x$) კომპონენტის მულტიფუნქციური ჰიბრიდული ნანომასალები. დადგენილი იქნა $AgMnO_x$ -ის მაღალი კატალიზური და ანტიბაქტერიული აქტივობა შესაბამისად ნახშირბადის მონოოქსიდის დაჟანგვის და გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ.

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T. Agladze	Novel Technology Platform for Synthesis of Multifunctional Hybrid Nanocomposites.	Modern researches and prospects of their use in chemistry, chemical engineering and related fields, Ureki, 21-23 september, 2016.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	T. Agladze	Hybridization-Pillar of the Green and Sustainable Chemistry	Global Congress of Catalysis, 30.06-2.07, 2016 Seoul
	T. Agladze, M. Donadze, M. Gabrichidze	Selective Oxidation Technology for Preparation of Functional Metal (I)-Core/Metal (II) Oxide-Shell Nanocomposites.	Progress in Functional and Sustainable Surface Technology, Lund, Sweden, 2015.

პატენტები

№	ავტორი	გამოგონების დასახელება	პატენტის ნომერი
1.	ჯ. შენგელია ი. სულაძე გ. წურწუშია თ. ტყეშელაშვილი ვ. თედიაშვილი	ანტიბაქტერიული მფილტრაჟი მასალის მიღების ხერხი	№191/01 23.03.2016
2.	ჯ. შენგელია ვ. თედიაშვილი თ. ტყეშელაშვილი ი. სულაძე ლ. ბერიაშვილი შ. კიკაბიძე	Mn ⁺² იონებისაგან წყლის გამწმენდი მფილტრაჟი მასალის მიღების ხერხი	№ 862/01 07.10.2016
3	ჯ. შენგელია თ. აგლაძე მ. დონაძე მ. გაბრიჩიძე	ლითონური ვერცხლით მოდიფიცირებული ცეოლიტის მიღების ხერხი	პატენტის განაცხადი № 13740/01 2016

6. გარემოს დაცვა და ეკოლოგია

სტუ-ს ქიმიური და ბიოლოგიურ ტექნოლოგიების დეპარტამენტის გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულება

ხელმძღვანელი პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- პროფესორები: ნ. ჩხუბიანიშვილი
 შ. ანდულაძე
 გ. მჭედლიშვილი
 დ. ერისთავი
 მ. გვერდწითელი
 ნ. მუმლაძე
- ასოც.პროფ. : ჯ. ქერქაძე
 ი. ბაზლაძე
 მ. დემეტრაძე
 მ. გუგეშიძე
- ასისტ.პროფ. : მ. ქავთარაძე
 რ. კოკილაშვილი
 ე. მაცაბერიძე

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	არჩილ სარუსანიშვილი; მაია გუგეშიძე; დიმიტრი ერისთავი; ანა გოგიშვილი; თორნიკე ნებიერიძე.	რუსთავის მეტალურგიული წილების ტექნოლოგიური ნედლეულისადმი მიკუთვნების ფიზიკურ-ქიმიური პრინციპები.	საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი" თბილისი 2016.	234გ.

2	მანანა გვერდწითელი; გივი ცინცაძე; ასლან ცივაძე.	Координационные соединения карбоксилатов переходных металлов с амидами пиридинкарбоновых кислот и их биологические свойство	საგამომცემლო სახლი ”ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი 2016.	330 გ.
---	--	---	--	--------

ანოტაციები

1. შემოთავაზებულია რუსთავის მეტალურგიული საწარმოს წიდების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების 15 წლიანი შესწავლის ძირითადი შედეგები. თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე გამოითქმება მოსაზრება, რომ ამ წიდების ღიაციცქვეშ მრავალი ათწლეულის განმავლობაში განლაგების შედეგად წარმოიქმნა თვისობრივად ახალი მასალა, რომლის გათვალისწინების გარეშე მისი, როგორც ტექნოგენური ნედლეულის ოპტიმალური გამოყენების (რაციონალური უტილიზაციის) ამოცანის გადაჭრა მართებული არ იქნება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ზოგადად მყარი ნარჩენების ტექნოგენური ნედლეულისადმი მიკუთვნების ფიზიკურ-ქიმიური ასპექტების შესახებ ავტორების მოსაზრებები. მათი მართებულობის დასამტკიცებლად მსხვილლაბორატორიულ პირობებში განხორციელებულია შეფერილი ტარის მისაღებად გამიზნული მინის მიღება წიდების გამოყენებით.

2. მონოგრაფიაში წარმოდგენილია 39 კორდინაციული ნაერთის სინთეზი და მისი მეთოდიკა, აგრეთვე, ჩატარებულია თერმოგრაფიული კვლევები. ИК და КР სპექტროსკოპიით დადგენილია პირიდინ კარბომჟავას ამიდებთან კობალტის, ნიკელის, მანგანუმის, თუთიის, სპილენძისა და კადმიუმის აცეტატებისა და ფორმიატების კორდინაციული ნაერთების სტრუქტურა.

ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგენილია მიღებული კორდინაციული ნაერთების ბიოლოგიური თვისებები და კარდიომიოთერაპიაში მათი გამოყენების შესაძლებლობა.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბაკურ ბერიტაშვილი; ნაილი კაპანაძე; დიმიტრი ერისთავი.	კლიმატის ცვლილება და გეოინჟინერია.	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	194გ.
2	შ. ანდლულაძე; ნ. ანდლულაძე; ლ. ანდლულაძე.	ეკოლოგია	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	342გ.
3	იზოლდა ბაზღაძე	სამრეწველო მიკრობიოლოგია.	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	178გ.
4	მანანა გვერდწითელი; თამარ შარაშიძე.	ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკა.	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	113გ.
5	დ. ერისთავი; მ. მამულაშვილი; ე. მაცაბერიძე	ლაბორატორიული-პრაქტიკული ბუნებრივი ობიექტების მონიტორინგში	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	71გ.
6	დ. ერისთავი; მ. მამულაშვილი; ე. მაცაბერიძე	ლაბორატორიული-პრაქტიკული სამრეწველო ობიექტების მონიტორინგში	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	91გ.
7	გ.მჭედლიშვილი, ნ.ჩხუბიანიშვილი, შ.ანდლულაძე	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა და პროგნოზირება	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2016წ.	91გ.
ანოტაციები				
1. განხილულია როგორც გლობალური კლიმატური სისტემა და კლიმატის რეგიონული ტიპები, ოკეანისა და ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების როლი კლიმატის ჩამოყალიბებაში, ისე ცნობები დედამიწის კლიმატის ცვალებადობის შესახებ ისტორიულ				

წარსულსა და ინსტრუმენტული გაზომვების ბოლო საუკუნენახევრიან პერიოდში. განსაზღვრულია სათბურის ეფექტი და მისი გამომწვევი ფაქტორები, მოცემულია გლობალური კლიმატის პროგნოზი 2100 წლამდე. ჩამოთვლილია გლობალური კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მთავარი საფრთხეები. დახასიათებულია გავლელი საუკუნის მანძილზე კლიმატის ცვლილება საქართველოში, შეფასებულია კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს ეკონომიკისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მოწყვლადობა. განხილულია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითადი ელემენტები და მათ წინაშე არსებული ბარიერები. დახასიათებულია საქართველოში მიღწეული ძირითადი შედეგები კლიმატის ცვლილების დარგში.

მოყვანილია გეოინჟინერიის დარგში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული და შემოთავაზებული ტექნოლოგიების მიმოხილვა. შეფასებულია მათი პერსპექტიულობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება.

2. სახელმძღვანელო შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: თეორიული ეკოლოგია და გამოყენებითი ეკოლოგია.

თეორიული ეკოლოგია წარმოდგენილია ზოგადი ეკოლოგიით, ბიოსფერული და ეკოსისტემების ეკოლოგიით, დედამიწის ბუნებრივი ეკოსისტემების დახასიათებით, ბიოსფეროს ევოლუციაზე შეხედულებებითა და ადამიანის ეკოლოგიით.

გამოყენებითი ეკოლოგიის ნაწილი ორი თავითაა წარმოდგენილი; ბიოსფეროს ანთროპოგენური დაბინძურება და თანამედროვე ბიოსფეროს შენარჩუნებისა და გადარჩენის ეკოლოგიური საშუალებები, ანუ გარემოს დაცვის სოციალურ - ეკონომიკური და ინჟინერული დაცვის საკითხები.

3. ნაშრომში ფართოდ არის განხილული ცოცხალი ორგანიზმების განვითარების დონეები, მიკროორგანიზმების მორფოლოგია და ფიზიოლოგია, მათი სისტემატიკა და კლასიფიკაცია. ავტორი განიხილავს აგრეთვე მიკროორგანიზმების გამოყენებას გარემო პირობების გაუმჯობესების საქმეში, კერძოდ, ჩამდინარე წყლების გაწმენდაში. ზოგადად მიმოხილულია ჩამდინარე წყლების კლასიფიკაცია, ბუნებრივი და ჩამდინარე წყლების მიკროფლორა, ბუნებრივი წყალსატევების და სხვადასხვა წარმოშობის ჩამდინარე წყლების ორგანული გამაჭუჭყიანებლების ფიზიკური და ორგანოლექტიკური, ქიმიური და ბიოქიმიური მახვენებლები. წიგნში ფართოდ არის გაშუქებული არაორგანული და ორგანული ნივთიერებებისაგან ჩამდინარე წყლების გაწმენდის ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდები. წარმოდგენილია თითოეული მეთოდის ზოგადი თეორიული პრინციპები და დანიშნულება, ექსპერიმენტის განხორციელების ოპტიმალური პირობები. ცალკეა აღწერილი ჩამდინარე წყლების გაწმენდაში გამოყენებული ტექნიკური დანადგარები. ილუსტრირებული მასალები (ცხრილები, გრაფიკები) იძლევიან ნათელ წარმოდგენას სამუშაოს მოცულობაზე, რომელიც ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. ცალკეა წარმოდგენილი მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, სადაც განხილულია ის ცნებები, რომლებიც შეხვდება სტუდენტს სახელმძღვანელოში.

4. განხილულია ატმოსფერულ ჰაერში შემავალ მავნე მინარევების კონცენტრაციის სიდიდეზე მეტეოროლოგიური პირობების გავლენა, რომელიც განსაზღვრავს სამრეწველო აეროზოლების გადატანასა და განბნევას, ჰაერის სინქარისა და

მიმართულების ცვლას, ტემპერატურული გრადიენტის მიხედვით გაკვამლული აირადი ნაკადის ტიპების სქემა. წარმოდგენილია მრეწველობის სხვადასხვა დარგის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და მათი ბუნებრივი და ანთროპოგენული წყაროები, უნარჩუნო და მცირენარჩენიანი ტექნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები. სახელმძღვანელოში მოცემულია მტვრის ნაწილაკთა დისპერსიულობის მიხედვით გამწმენდი მეთოდებისა და აპარატების შერჩევა. სრულყოფილად არის წარმოდგენილი აეროზოლების გამწმენდი მშრალი მექანიკური მტვერსაჭერების, გამფილტრავი აპარატების, სველი მტვერსაჭერების, ელექტროფილტრების, ნისლშემაკავებელი აპარატების, ადსორბერების, აბსორბერების, კატალიზური რეაქტორების, თერმული გაუვნებლობის დანადგერების კლასიფიკაცია აეროზოლების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის კინეტიკის მიხედვით და მათი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. აგრეთვე მოცემულია ბენზინგასამართი სადგურებიდან და ნავთობბაზებიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების შემაკავებელი ფილტრების დახასიათება.

5. დამხმარე სახელმძღვანელოში „ლაბორატორიული-პრაქტიკუმი ბუნებრივი ობიექტების მონიტორინგში“ განხილულია - ატმოსფეროში გაბნეული მავნე კომპონენტების და მტვრის მონიტორინგი, ბუნებრივი და ჩამდინარე წყლების სინჯის აღებისა და ანალიზის მეთოდები, ასევე ნიადაგის დამუშავებისა და შედგენილობის განსაზღვრის მეთოდები.

6. დამხმარე სახელმძღვანელოში „ლაბორატორიული-პრაქტიკუმი სამრეწველო ობიექტების მონიტორინგში“ განხილულია მინერალური წყლების მონიტორინგი, სამრეწველო მადნების დამუშავების მონიტორინგი და კვების პროდუქტების მონიტორინგი. მოცემულია სინჯის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები.

7. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა შედარებით ახალგაზრდა მეცნიერების დარგია, რომელიც ეკონომიკური მეთოდებით, საზოგადოების და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების პროცესებს და შედეგებს განიხილავს, როგორც რაციონალური ბუნებათსარგებლობის ურთიერთდაკავშირებულ პრობლემების კომპლექსს.

ეს არის მეცნიერება ორგანიზების და მართვის სისტემის “ბუნება-საზოგადოება-წარმოება”, მართვის ბუნებრივი რესურსების, საზოგადოების მიერ მათი ექსპლოატაციის პროცესში და ბუნებრივი სიკეთის რაციონალური (ეფექტური) გამოყენების.

მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოიკვეთოს საერთო შეხედულება ბუნებათსარგებლობის ეკონომიკაზე.

განხილულია ბუნებათსარგებლობის დისციპლინის საგანი, პრინციპები, მიზანი და ამოცანები, მისი პრობლემების შესწავლისთვის გამოყენებული მიდგომები, მათი მოკლე დახასიათებით.

წარმოდგენილია ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის ცნებები, განსაზღვრებები, მიმართულებები, პრაქტიკული მაგალითები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. ანდლულაძე; ნ. ანდლულაძე; ლ. ანდლულაძე.	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა.	საქართველო, ქუთაისი 2016 შრომების კრებული მე-2 ნაწილი	3
2	ა. სურმავა; ლ. გვერდწითელი; ნ. ბაგრატიონი (ინგლისურ ენაზე)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თანამედროვე კვლევებისა და მიზნების გამოყენება ქიმიასა და მონათესავე ინჟინრულ დარგებში.	საქართველო ურეკი 2016 21-23 სექტემბერი	1
3.	Khitiri; I. Chikvaidze; R. Kokilashvili.	GTU, 4 th International Conference”Nanotechnol ogies”	October 24-27, 2016, Tbilisi, Georgia Nano2016	1
4	ნ. გასვიანი; გ. ყიფიანი; რ. კოკილაშვილი; ს. გასვიანი; ნ. სხილაძე; გ. იმნაძე.	თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 21-23 სექტემბერი, 2016, ურეკი, საქართველო	1
5	გ.ყიფიანი; ნ.გასვიანი; ლ.აბასაძე; რ. კოკილაშვილი; მ. ხუციშვილი.	თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 21-23 სექტემბერი, 2016, ურეკი, საქართველო	1

6	გ. ხიდირი; ი. ჩიქვაძე; რ. კოკლაშვილი.	თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 21-23 სექტემბერი, 2016, ურეკი, საქართველო	1
7	რ.კოკლაშვილი; ჯ. ქერქაძე; გ. ხიდირი.	თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 21-23 სექტემბერი, 2016, ურეკი, საქართველო	1

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. ანდლუღაძე, დ. ერისთავი, ა. ბერეჟიანი.	მადნეულის საბადოს ბარიტული კონცენტრატის აღდგენის ოპტიმალური პირობების დადგენა	ქიმიის სერია, №1, ტომი №42,	თბილისი, 2016წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე.	გვ. 99-101
2	ლ. გვერდწითელი, დ. ერისთავი, ა. კვინიკაძე.	ნაყინისა და ვაფლის საწარმოდან გაფრქვეული აირადი ნაკადის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემის დამუშავება	ქიმიის სერია, №1, ტომი №42,	თბილისი, 2016წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე.	გვ. 92-95

3	ნ. ბაგრატიონი; ა. ჭირაქაძე; ვ. გვახარია ლ. გვერდწითელი	დარიშხანის სამრეწველო ნარჩენების დამუშავება საანალიზოდ ზემადალი სიხშირის გამოსხივებით.	ქიმიის სერია, №1, ტომი №42,	თბილისი, 2016წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე.	გვ. 96-98
4	ი. ბაზლაძე; მ. გუგეშიძე; ჟ. გუგეშიძე ი. გელეიშვილი	ვერცხლისწყლის ნაერთების გაველენა გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმებზე	ქიმიის სერია, №2, ტომი №42,	თბილისი, 2016წ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე.	გვ. 186-188
5	შ. ანდლუაძე; ნ. ანდლუაძე; ლ. ანდლუაძე.	სისტემური მიდგომა და მოდელირება ზოგად ეკოლოგიაში.	№1(vol.77)	თბილისი 2016 საქართველოს საინჟინრო სიახლენი	გვ. 89-91
6	შ. ანდლუაძე; ნ. ანდლუაძე; ლ. ანდლუაძე.	ბიოსფეროს ცოცხალი ნივთიერება და ცოცხალის ფიზიკო-ქიმიური ერთიანობა.	№1(vol.77)	თბილისი 2016 საქართველოს საინჟინრო სიახლენი	გვ. 92-94

ანოტაციები ქართულ ენაზე

1. ნაშრომში განიხილება: ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მჟავა კარიერული წყლების გაწმენდის სრულყოფას BaS , Na_2S , H_2S სულფიდებით, აგრეთვე ბარიტული კონცენტრატის ადღგენის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების დადგენა.
2. ნაშრომში განიხილება ნაყინისა და ვაფლის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დადგენილი გარემოს გამაჭუჭყიანებელი ანთროპოგენული წყაროები და ნივთიერებები, აგრეთვე დამუშავებულია საწარმოთა გაფრქვეული აეროზოლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემა.
3. გამოყენებული იქნა დარიშხანის სამრეწველო ნარჩენების დამუშავებლად ზემადალი სიხშირის გამოსხივების ველი საანალიზოდ. აგრეთვე ნიადაგში და ნარჩენებში დარიშხანის ნაერთების ძვრადობის შესასწავლად.
4. განხილულია ლითონური ვერცხლისწყლის და მისი ნაერთების გაველენა გარემოსა და

ცოცხალ ორგანიზმებზე. ადამიანის ორგანიზმში ვერცხლისწყლის ბიოტრანსფორმაციის მექანიზმი.

5. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ეკოლოგიაში სისტემურმა მიდგომამ განაპირობა მთლიანი მიმართულების ფორმირება და მას სისტემურ ეკოლოგიას უწოდებენ. სისტემური მიდგომობიექტის, როგორც სისტემის, შემეცნების მეთოდოლოგიის მიმართულებაა. სისტემაურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა სიმრავლეა, რომლებიც გარკვეულ მთლიანობას, ერთიანობას წარმოქმნის. სისტემის შედგენილობას, სტრუქტურასა და თვისებებს სისტემური ანალიზით იკვლევენ.

6. ნაშრომში წარმოდგენილია, რომ ბიოსფეროს კომპონენტთა შორის ატომთა ბიოგენური დენი მათ ერთიან მატერიალურ სისტემაში აკავშირებს, რომელშიც ერთი რგოლის შეცვლაც კი ყველა დანარჩენის შეუღლებულ ცვლილებას იწვევს.

II. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A. Chirakadze; William A.Toscano; I. Bazgadze; I. Geleishvili; V. Gvaxaria; T. Geleishvili	Complex processing of manganese bearing waste and low-grade ores by autoclaving method.	Vol.10 №1/2/3/	USA International Journal of Global Warning 2016.	p. 291-305

2	A. Chirakadze; M. Wireman; V. Gvaxaria; I. Geleishvili; I. Bazgadze;	Combined processing of waste organic polymers and manganese bearing waste/low grade ores into fuels and low-carbon manganese alloys.	Vol.10 №1/2/3/	USA International Journal of Global Warning 2016.	p. 242-262
3	A.Chirakadze; Z.Buachidze; I.Khomeriki; V.Gvaxaria; M.Stamateli; L.Chakvetadze; M.Chokeli; W.A.Toscano; K.Chigogidze; I.Geleishvili; I.Bazgadze;	Arsenic pollution of soils and morbidity prevalence in racha-lower svaneti district of georgia.	Vol.10 №1/2/3/	USA International Journal of Global Warning 2016.	p. 92-114

ანოტაციები

1. დადგენილია კონცენტრაციები ოქროს და ვერცხლის ექსტრაქციისათვის. განვითარებულ მეთოდებს ნაწილობრივ შეუძლიათ შეცვალონ სტანდარტული ფეროშენადნობის ინდუსტრიული ტექნოლოგიები, რომელიც იყენებს შემცირებული მანგანუმის ოქსიდებს კარბონატების საშუალებით. ეს გამოიწვევს კარბონმონოოქსიდების და კარბონდიოქსიდების ემისიების შემცირებას ფერომანგანუმის და მეტალური მანგანუმის წარმოებისას.
2. სამუშაოს მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ნარჩენების გადამუშავების მიმდინარე მეთოდების გაუმჯობესება მიკროტალღური მეთოდების საშუალებით.
3. დაახლოებით 120000ტ. დარიშხან შემცველი მაღალი ტოქსიკური ნარჩენები არის ლოკალიზირებული საქართველოს მაღალმთიან რაიონებში - რაჭა-სვანეთში. მოსახლეობაში დარიშხანის სამრეწველო ნარჩენების ზემოქმედებამ გამოიწვია მძიმე შედეგები: კანის, პიგმენტაციის შეცვლა, რესპირატორული, გასტრო-ენტეროლოგიური, ალერგიული დაავადებები. სამუშაოში ასახულია ტრანსდისციპლინარული გამოკვლევები: ეპიდემიური, ანომალური და მენტალური დარღვევები ბავშვებსა და მოზარდებში, ასევე მოიცავს ფსიქოლოგიური ტესტების მეთოდების გამოყენებას.

**გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ
მასწავლებლების აქტივობები – 2016 წელს**

პროფესორი ნინო მუმლაძე:

1. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის პროექტის საზოგადოებრივი კონსულტაციები – გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
2. “მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება” გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა საკონსულტაციო შეხვედრებში.
3. ნ.მუმლაძე, თ.მეგრელიძე - “ოზონის შრე და მისი დაცვა”. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა და ჩაბარდა სამუშაო ვარიანტი შემდგომ წიგნის სახით გამოცემისათვის.
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის მიერ მომზადებულია და ჩაბარებულია გამოსაცემად – საქართველოს ქიმიურ უურნალში ნაშრომი “მძიმე ლითონები ქალაქის ნიადაგში”. სამუშაოში წარმოდგენილია ქ.თბილისის მოსახლეობის და განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობაზე მოქმედების მაღალი რისკის ტერიტორიების ნიადაგებში მძიმე ლითონების განსაზღვრის შედეგები.

პროფესორი ლეილა გვერდწითელი:

1. ჩატარდა ერთობლივი სემინარი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელი ფიზ-მათ. მეც. დოქტორის ალექსანდრე სურმაგასთან ერთად გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის თემაზე: ”ატომური ელექტროსადგურიდან გაფრქვეული აირადი ნაკადის გავრცელების მოდელირება ”.
2. ჩატარდა ერთობლივი სემინარი ”გაეროს ექსპერტის” ქიმ. მეც. აკადემიური დოქტორი ნ. ბუაჩიძესთან ერთად გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის თემაზე: ”მინამატა-კონვენცია”.

ასოცირებული პროფესორი მარინე დემეტრაძე:

1. 2016 წლის 8 დეკემბერს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებაზე ჩატარა სემინარი თემაზე “გარემო და ეკოლოგია”. მონაწილეობდნენ სამშენებლო, სამთო-გეოლოგიური, გა ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტები.

მოსხენებებით პრეზენტაციაზე წარდგნენ:

სამშენებლო ფაკულტეტიდან - 1511ჯგ.-ის სტუდენტი-კოხიძე ლევანი

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან - 3641 ჯგ. სტუდენტი- ციცივიძე გია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან-4340ჯგ.-ის სტუდენტები:

ახალაია შუშანიკა და კვარაცხელია თეკლა.

გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულებით 2016 ოქტომბრის თვეში დაცული იქნა სამეცნიერო ნაშრომი აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად:

1. “ღარიშხანის სამრეწველო ნარჩენების განთავსების პირობების შესწავლა და მათი გავრცელების არეალის ეკოლოგიური შეფასება”. დოქტორანტი ნ. ბაგრატიონი. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი.
2. “პირიტის კონცენტრატის და მანგანუმშემცველი ნედლეულის ერთობლივი ავტოკლავური ჟანგვითი გამოტუტვა”. დოქტორანტი ი. გელეიშვილი. ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ი. ბაზღაძე.

გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულებით ამჟამად სრულდება ხუთი სამუშაო აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად:

1. “პალიასტომის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობაზე პათოგენური ბაქტერიების ზემოქმედების შესწავლა, მოდელირება და მისი აღკვეთის პრევენციული ღონისძიებები”. დოქტორანტი გ. აბრამია. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. დ. ერისთავი.
2. “ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დამუშავება მასობრივად გამრავლებადი ორგანიზმების წინააღმდეგ”. დოქტორანტი ა. მაისურაძე. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. ე. აბაშიძე.
3. “რეციკლირება როგორც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუავა კარიერული წყლების გაწმენდის ტექნოლოგიის

განხორციელების საშუალება”. დოქტორანტი ა. ბერევიანი. ხელმძღვანელი პროფ. შ. ანდლულაძე; პროფ. გ. მჭედლიშვილი.

4. “მოლეკულურ-იონური სისტემების დებარირება დექტორირების ნანოქიმიამ, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანასისტემების დამუშავება-შექმნითა და საწარმოო დანერგვით.”

დოქტორანტი გ. ბიბილეიშვილი. ხელმძღვანელი პროფ. ნ. მუმლაძე.

5. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნიდან გაფრქვეული აეროზოლის გაგვრცელების მოდელირება და ეკოლოგიური შეფასება. დოქტორანტი ნათია გიგაური. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი, ფიზ-მათ. მეც. დოქ. ა. სურმავა.

გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულებით 2016 წლის ივლისის თვეში დაცული იქნა ოთხი ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად:

1. “შპს”თოლიას” ნაყინისა და ვაფლის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

მაგისტრანტი ანა კვინიკაძე. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. დ. ერისთავი.

2. ”სპილენძის ნაერთების ზემოქმედება ბიოსფეროზე და ცოცხალ ორგანიზმებზე”

მაგისტრანტი ს. ცოცხალაშვილი. ხელმძღვანელი პროფ. ც. ბაზლაძე.

3. ”ზოგიერთი მძიმე მეტალებისა და ბიოგენური ელემენტების მიგრაცია ბიოსფეროს კომპონენტებში, ნაგავსაყრელების გავლენა მათ შემცველობაზე ნიადაგსა და წყალში”.

მაგისტრანტი გ. კარგარეთელი. ხელმძღვანელი პროფ. ნ. მუმლაძე და ასოც. პროფ. მ. დემეტრაძე.

4. ”გაზის და ბენზინის საწვავის ავტოგასამართი სადგურის ეკოლოგიური გამოკვლევა.”
მაგისტრანტი გ. მდინარაძე. ხელმძღვანელი პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილი და პროფ. გ. მჭედლიშვილი.

7. “ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის” მიმართულება

მიმართულების ხელმძღვანელი: პროფ. მამუკა მაისურაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

მამუკა მაისურაძე-პროფესორი;

გიორგი ფალავანდიშვილი-პროფესორი;

მანანა სირაძე-პროფესორი;

მზია ანდლულაძე-ასოც. პროფესორი;

ანასტასია დიდიძე-ასოც. პროფესორი;

ლალი ქრისტესაშვილი- ასოც. პროფესორი;

გიული ჯიხაძე- ასოც. პროფესორი;

ნინო მექმარიაშვილი- ასოც. პროფესორი;

მანანა მათნაძე- ასოც. პროფესორი;

ნინო ნეფარიძე-ასისტ. პროფესორი;

ნანა გახოკიძე-ასისტ. პროფესორი;

ეკა ჩხაიძე- ასისტ. პროფესორი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. დიდიძე	РЕЛИКТОВЫЕ АЛКАНЫ И НАФТЕНЫ В НЕФТЯХ ГРУЗИИ	სტუთგარტი, თბილისი	151

ანოტაცია

აირ-თხევად ქრომატოგრაფიისა და ქრომატომას-სპექტომეტრიის მეთოდებით შესწავლილია საქართველოს ნავთობების სართიჭალა, პატარძეული, ნორიო, თელეთი, მირზაანი, შრომის უბანი, პარაფინული და ციკლოპარაფინული ნახშირ წყალბადები (დუდილის საწყისიდან - დუდილის ბოლომდე და ფრ. 420°C -ზე ზე მოთ); თითოეული ნავთობისათვის განსაზღვრულია 200 ინდივიდუალური ნაჯერი ნახშირწყალბადი, ძირითადი რელიქტური.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. სირაძე, ი. გოქსაძე, ნ. ნეფარიძე	სამკურნალო მცენარეული ნედლეული	სტუ 2016	210 გვ.

ანოტაცია

სახელმძღვანელო შედგება ზოგადი და სპეციალური ნაწილებისაგან და მასში წარმოდგენილი და განხილულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების თემატიკა სადექციო კურსის მიხედვით. პრაქტიკული მეცადინეობები დაეხმარება სტუდენტებს მიღებული ცოდნის გადრმავებასა და გარკვეული საკითხების მიმართ შემოქმედებით მიდგომაში. ლაბორატორიული მეცადინეობები მოიცავს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ანალიზის მეთოდებს, კერძოდ: მცენარეულ ნედლეულში ნახშირწყლების, ცხიმების, ეთერზეთების, გლიკოზიდების (ტრიტერპენული და სტეროიდული საპონინების), ალკალოიდების, კუმარინების, ანტრაცენნაწარმების, მთრიმლავი და ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრას. განხილულია აგრეთვე სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ანალიზის დროს საჭირო ტიტრირების ხსნარების, რეაქტივებისა და ინდიკატორების მომზადების მეთოდები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ekaterine Chkhaidze	Chemistry Today - 2016	Tbilisi, Publishing House „UNIVERSAL“	132-133

ანოტაცია

ნაშრომში: „Synthesis of Unsaturated Viodegradable Poly(ester amide)s and Study of Their Thermal and Mechanical Properties” მიღებულია სხვადასხვა სტრუქტურის, მთავარ ჯაჭვში უჯერი ორმაგი ბმების შემცველი, ბიოდეგრადირებადი პოლიესტერამიდები: ჰომოპოლიესტერამიდები (UPEA) ფუმარის მჟავას ნაშთების 100% შემცველობით, უჯერ/ნაჯერი პოლიესტერამიდები (USPEA) ფუმარის მჟავას ნაშთების < 100% შემცველობით და L-ლეიცინისა და L-ფენილალანინის უჯერი თანაპოლიესტერამიდები (co-UPEA) ფუმარის მჟავას ნაშთების 100% შემცველობით. შესწავლილია მათი თერმული თვისებები გამოყენების სფეროს განსაზღვრის მიზნით და ნაჩვენებია უჯერი პოლიესტერამიდების გაკერვის შესაძლებლობა UV -დასხივებით.

პოლიმერების თერმული თვისებები შევისწავლეთ დიფერენციალური მასკანირებელი კალორიმეტრით (DSC). გაზომვებს ვაწარმოებდით „Perkin-Elmer DSC-7” კალორიმეტრის მეშვეობით აზოტის არეში, ტემპერატურულ ინტერვალში $20^{\circ}\text{C} \div 200^{\circ}\text{C}$; გაცხელების სიჩქარე - $10^{\circ}\text{K}/\text{წთ}$. სამუშაოს ნაწილი შევასრულეთ კალორიმეტრით „NETZSCH” DSC 200 PC” „PHOX”, ტემპერატურული ინტერვალი - $20^{\circ}\text{C} - 150^{\circ}\text{C}$. გაცხელების სიჩქარე $10^{\circ}\text{K}/\text{წთ}$.

მიღებული შედეგებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უჯერ პოლიესტერამიდებს შედარებით მაღალი გამინების ტემპერატურა T_g ახასიათებთ შესაბამის ნაჯერ პოლიესტერამიდებთან შედარებით, რაც დაკავშირებულია მათი ჯაჭვების გაზრდილ სიხისტესთან (სხვაგვარად, ნაკლებ ძვრადობასთან). მექანიკური თვისებების შესასწავლად შევარჩიეთ უჯერ/ნაჯერი პოლიესტერამიდი **FA/8_{25/75}-Phe-6** ($M_w = 69,700$, $M_n = 28,000$, $M_w/M_n = 2.49$) და განვსაზღვრეთ აღნიშნული პოლიმერის 0.3-0.5 მმ სისქის ფირების მექანიკური თვისებები. მიღებული პოლიესტერამიდების ფოტოშეკერვის შესაძლებლობის დადგენის მიზნით, განვახორციელეთ უჯერ/ნაჯერი პოლიესტერამიდის **FA/8_{25/75}-Phe-6** ულტრაიისფერი დასხივება INTELLI-RAY 400, Shuttered UV Flood-light) ინიციატორის გარეშე და 5% ფოტოინიციატორის **Darocur-1173** თანაობისას. განვსაზღვრეთ იუნგის მოდული E (GPa), მაქსიმალური ძალა F_{max} (MPa), გაგლეჯის სიმტკიცე σ (MPa), გაგლეჯის წაგრძელება ϵ (%) დასხივებამდე და 5 წუთიანი დასხივების შემდეგ.

როგორც მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, ფირების დასხივებისას ფოტოინიციატორის გარეშე მექანიკური მახასიათებლების (E , F_{max} , σ) მნიშვნელოვანი ცვლილება არ აღინიშნება. 5% ფოტოინიციატორის **Darocur-1173** თანაობისას კი, პოლიმერის მექანიკური მახასიათებლები უმჯობესდება, მიმდინარეობს უჯერი პოლიესტერამიდის ფოტოგაკერვა. ამრიგად, მიღებული წინასწარი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სინთეზირებული უჯერი პოლიესტერამიდის ფოტოგაკერვა ზრდის მასალის მექანიკურ მახასიათებლებს, რაც პერსპექტიულს ხდის მათ გამოყენებას ქირურგიულ მასალებად, მაგალითად, ფოტოგაკერვადი, ბიოდეგრადირებადი სისხლძარღვების სტენტის სახით და სხვ.

განხორციელებული კვლევის შედეგად მივიღეთ ძირითად ჯაჭვში სხვადასხვა რაოდენობით უჯერი ბმების შემცველი ფუნქციური, ბიოდეგრადირებადი პოლიმერები ბუნებრივი ამინომჟავების საფუძველზე, კარგი სამასალე თვისებებით, რომლებიც პერსპექტიულებია

მაღალი მექანიკური სიმტკიცის, ბიოდეგრადირებადი მასალების მისაღებად იმპლანტირებადი ხელოვნური ორგანოებისათვის, ბიოდეგრადირებადი ჰიდროგელებისათვის, სამკურნალო პრეპარატების მიმწოდებელი სისტემებისათვის, მიკრო- და ნანო კაფსულირებისათვის და სხვ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. გ. სირაძე, ი. გ. ბერძენი-შვილი, ნ. ს. ნეფარიძე, ვ. ბ. თვალთაშვილი	ფოსფოლიპიდების ხარისხობრივი იდენტიფიკაცია თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე – 2016, № 2, გვ. 126	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თბილისი	1
2	მ. გ. სირაძე, ი. გ. ბერძენიშვილი, ნ. ს. ნეფარიძე, ვ. ბ. თვალთაშვილი	ფოსფოლიპიდების თხელფენოვანი თხევადი ქრომატოგრაფია	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე – 2016, № 2, გვ 159	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თბილისი	1
3	М. Сирадзе, И. Бердзенишвили, Н. Непаридзе	Микроколоночная высокоэффективная жидкостная хроматография фосфолипидов подсолнечного масла	Georgian Engineering news. 2016, № 2, p.100	თბილისი	1
4	M. Siradze, E. Chkhaidze, N. Neparidze	Characteruzation and properties of Polyester- Amides Containing Long-chain n-alkyl Substituents.	Journal of Technical Science & Technologies – International Black Sea University – Vol.	თბილისი	4

			5 Issue 1-2016, p. 29-33.		
5	M. Maisuradze G. Palavandishvili Kh. Tserodze L. Kurkovskaia T. Loladze	Synthesis of a new heterocyclic system - 3H-pyrrolo [3,2-c] - phenothiazine	Vol. 5, №1. 2016, p. 23-25.	Journal of Technical Science and Technologies, IBSU, Tbilisi	3

ანოტაცია

1. ფოსფოლიპიდების ხარისხობრივი იდენტიფიკაციის შემუშავებულ მეთოდში ფოსფოლიპიდებს ყველაზე უნივერსალურად ავლენს ფოსფორმოლიბდენის მჟავას სპირტიანი ხსნარი, ვინაიდან იგი წარმოადგენს არასპეციფიკურ რეაგენტს და იძლევა ფოსფოლიპიდების ყველა ტიპის გამოვლენის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ეს რეაგენტი უზრუნველყოფს ლაქებისა და ფირფიტის ფონის მაღალ კონტრასტულობას, რაც ხარისხობრივი ანალიზის დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია ფირფიტების მოძიებო და მუშავებისათვის.
2. ფოსფოლიპიდების თხ.ქრ.-ის მეთოდით დადგენილია, რომ ბევრი ნივთიერება არ ვლინდება ხილულ არეში და მათი განსაზღვრისათვის უხილავ ზონებს ამჟღავნებენ თხ. ქრ. ფირფიტის შესურებით სპეციალური რეაგენტებით. ლაქების აღმოსაჩენად შეიძლება უი გამოსხივების ან ნივთიერებათა თერმული დესტრუქციის გამოყენება.
3. მეთოდის გამოყენება ფოსფატიდების კონცენტრატების ანალიზის დროს, როდესაც ფოსფატიდების შემცველობა კონცენტრატში შეადგენს 50%. იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრატში ნეიტრალური ლიპიდების წილი არის 50%, მაშინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონცენტრატიდან ლიპიდების მოცილება.
4. ნაშრომში: “Characterization and Properties of Containing Long-chain n-alkyl Substituents” ბუნებრივი ამინომჟავების: L-ლეიცინის, L-ფენილალანინის, L-ლიზინის საფუძველზე მიღებულია AABB ტიპის გვერდით ჯაჭვში ნ-ალკილის ჯგუფების -ოქტილის (Oct), დოდეცილისა (Dod) და ჰექსადეცილის (Hex) შემცველი თანაპოლიესტერამიდები. გვერდითი ალკილური გრძელჯაჭვიანი ჩამნაცვლებლების შემცველი თანაპოლიესტერამიდების [coPEA(Alk)] სინთეზი განვახორციელეთ ბის- α -ამინომჟავა- α , ω -ალკილენდიეთერების დი- β -ტოლუოლსულფომჟავა მარილებისა და L-ლიზინის გრძელჯაჭვიანი ალკილის ეთერების დი- β -ტოლუოლსულფომჟავა მარილების, როგორც თანამონომერების, პოლიკონდენსაციით პ-ნიტროფენილდიპინატთან ან პ-ნიტროფენილ სებაცინატთან, აპროტონული ამიდური ტიპის გამხსნელის არეში, ჰომოპოლიამიდებისათვის დადგენილ ოპტიმალურ პირობებში.
5. პრეპარატები, რომლებიც მიღებულია ფენოტიაზინის მსგავსი ჰეტეროციკლური სისტემებისგან, შესამჩნევ ბიოლოგიურ აქტივობას ამჟღავნებს. სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ახალი ჰეტეროციკლური სისტემის შექმნა ფენოტიაზინისა და პიროლის მოლეკულების ფრაგმენტების ერთ მოლეკულად გაერთიანების გზით. სტატიაში აღწერილია ახალი ჰეტეროციკლური სისტემის - 3H-პიროლო [3,2-c] - ფენოტიაზინის სინთეზი და შესწავლილია სპექტრული მახასიათებლები ფიშერის კლასიკური რეაქციის მაგალითზე.

8. ბიონანოსამედიცინო, კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგიის, ინსპექციის, კონტროლის მიმართულება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ზვიად კოვზირიძე.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ზვიად კოვზირიძე, პროფესორი; საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის (სკა) დამფუძნებელი და პრეზიდენტი. კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის(კმფ) საბჭოს წევრი 2007 წლიდან, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების (ეკს) საბჭოს წევრი 2002 წლიდან და ამ ორგანიზაციის, როგორც არამომგებიანი საზოგადოების თანადამფუძნებელი 2013 წლიდან, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალის “კერამიკა” დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, საერთაშორისო, იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალის “Journal of Ceramic Science and Technology” თანადამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი, ჟურნალი გამოდის ქ. ბადენ-ბადენში 2010 წლიდან.
2. ნათელა ნიჟარაძე, პროფესორი; ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების და მსოფლიო კერამიკოსთა ფედერაციის წევრი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალის “კერამიკა” სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი;
3. მაია მშვილდაძე, პროფესორი; სკა წევრი, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოებისა და კერამიკოსთა მსოფლიო წევრი.
4. გულნაზი ტაბატაძე, ასოცირებული პროფესორი; ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების და კერამიკოსთა მსოფლიო წევრი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალის “კერამიკა” სარედაქციო კოლეგიის წევრი; სკა წევრი.
5. ეკა ნიკოლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი; ეკს და სკა წევრი;
6. ზვიად მესტვირიშვილი, ასისტენტ პროფესორი (0,5); სკა წევრი, კმფ და ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების საბჭოს წევრი 2014 წლიდან. ჟურნალის „კერამიკა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.
7. ვერიკო ქინქლაძე უფ. ლაბორანტი; ეკს და სკა წევრი.
8. მაია ბალახაშვილი, ლაბორანტი; ეკს და სკა წევრი.
9. ნინო დარახველიძე ლაბორანტი; ეკს და სკა წევრი.
10. ხატია ბლუაშვილი, ეკს და სკა წევრი.

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს
საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს**

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>ახალი მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ცემენტისა და მეტალურგიული ღუმელების მაღალტექნოლოგიური ზონების ამონაგისათვის, № AR/102/3-121/14 3საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები. 3—200 ქიმიური ტექნოლოგია. 3-195 ფხვნილთა მეტალურგია და კომპოზიციური მასალები. 3-121 საინჟინრო მასალათმცოდნეობა</p>	<p>რუსთაველის ფონდი, თანადამფინანსებელი ტექნიკური უნივერსიტეტი და ძირულის “ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა”</p>	<p>პროფესორი ნ. ნიჟარაძე</p>	<p>ზ. კოვზირიძე გ. ტაბატაძე მ. მშვილდაძე მ. ბალახაშვილი</p>
<p align="center">ანოტაცია</p> <p>საანგარიშო ეტაპზე შესწავლილია კლინიკურზე შემკვრელების დამატებით მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, შემკვრელების გავლენის დასადგენად. მათი დანიშნულებაა – შესძინოს მასას საყალიბო თვისებები ნაკეთობის მომზადების დროს და ისეთი მექანიკური სიმტკიცე, რომელიც საკმარისი იქნება დაყალიბებული ნაკეთობის შემდგომი ტექნოლოგიური ოპერაციებისათვის. შერჩეულ იქნა მაგნიუმის სულფატის 25%-იანი ხსნარი, ტექნიკური ლიგნოსულფონატების წყალხსნარი, მეთილცელულოზა და პოლივინილის სპირტი. გარდა ამისა, შემკვრელი ნივთიერების სახით გამოყენებულია წყალი.</p>				

ნიმუშები დაყალიბდა 80მპა წნევით. განისაზღვრა გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები. ყველაზე მეტად გამოირჩევა ნიმუში, რომელიც მომზადდა კლინკერზე შემკვრელის სახით 1%-ანი მეთილცელულოზას წყალხსნარის (10%) დამატებით. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას არის 453,6მპა, ღია ფორიანობა 5,03%-ის ტოლია, ფარდობითი სიმკვრივე 3,34 გ/სმ³, მაშინ როდესაც წყლით დანესტიანებული (10%) იგივე სიდიდეები შესაბამისად ტოლია 192,0 მპა; 18,56 %; 2,92 გ/სმ³.

ნიმუშების სიმტკიცის ზრდა განპირობებულია იმით, რომ მიიღება ნაწილაკების უფრო მკვრივი ჩაწყობა და აგრეთვე იმითაც, რომ მცირდება აირადი ფაზის შემცველობა, რომელიც ნიმუშების დაყალიბებისას სცილდება.

იმავე თვისებებზე დანამატების გავლენის შესასწავლად შერჩეულია სხვადასხვა ნახშირბადშემცველი დანამატი და აგრეთვე ამ თვისებებზე დანამატების რაოდენობის ცვლილების გავლენა.

ნახშირბადიანი მასალები ასრულებს კლინკერის შემკვრელის როლს დაყალიბებისას, დაყალიბების შემდეგ, გამოწვის დროს და გამომწვარი ნაკეთობისთვის. მასალის გამოწვისას ნახშირბადის ნაწილაკები ერთმანეთთან კონტაქტისას წარმოქმნის აგრეგატებს მთელი ნაკეთობის მოცულობაში.

მიღებული შედეგებით დადგენილია დანამატების რაოდენობა და სახეობა. თვისებების გაუმჯობესება და მაღალხარისხოვანი მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტის ფორმირება ხდება გრაფიტის ნანოფუნჯის გამოყენებით, მარკით TIMREX KS 6, რომლის კუთრი ზედაპირია 20მ²/გ.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ.კოვზირიძე, ნ.ნუჟარაძე, გ.ტაბატაძე, ჯ.ანგელი	კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	385
ანოტაცია				
<p>მონოგრაფია შედგება 2 ნაწილისაგან: პირველ ნაწილში განხილულია მასალათა აღნაგობის, კრისტალური სტრუქტურების, ფაზათა გარდაქმნების თეორიული საფუძვლები, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური</p>				

მასალების მიღების ტექნოლოგიები და მათში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები. კერძოდ მეორე ნაწილის პირველ თავში წარმოდგენილია პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი;

მეორე თავში $B_4C-SiC-TiC-Al_2O_3$, $B_4C-BN-SiC-Al_2O_3$ და $B_4C-SiC-BN-TiC-Al_2O_3$ სისტემების ბაზაზე მიღებული კომპოზიტების ტექნოლოგია, ტექნოლოგიურ პარამეტრებსა და მიღებული კომპოზიტების თვისებებს შორის დამოკიდებულება, Al_2O_3 ნანოფხვნილის გავლენა კომპოზიტების სტრუქტურაზე, MgO , Y_2O_3 დანამატების გავლენის შესწავლა შეცხობის პროცესსა, სტრუქტურასა და შესაბამისად კომპოზიტების თვისებებზე, კომპოზიტების ფაზური შედგენილობის დადგენა, მიღებული კომპოზიტების მედეგობის განსაზღვრა ექსტრემალურ პირობებში მუშაობის დროს.

შესწავლილია კომპოზიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მაღალი ტემპერატურის პირობებში. მიღებული კომპოზიტების სისაღე $800^{\circ}C$ -ზე 11-13კპა-ს შეადგენს, სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე $1000^{\circ}C$ ტემპერატურაზე თითქმის იგივეა, რაც ოთახის ტემპერატურაზე - 340-390მპა.

დადგენილია, რომ მიღებული კომპოზიტები დეფორმაციისა და ბზარების გარეშე უძლებენ თერმულ დარტყმებს: $800^{\circ}C$ - წყალი, 20-ზე მეტ ციკლს, მაშინ როცა ტექნიკურმა ფაიფურმა მხოლოდ 5 ციკლს გაუძლო.

გამოცდილია ნიმუშები მაღალი ტემპერატურისა ($\approx 800-900^{\circ}C$) და ცვეთის პირობებში. ამ პირობებში მუშაობს საჭრისები სხვადასხვა ძნელად დასამუშავებელი მასალის ჭრით დამუშავებისას. აღნიშნული საჭრისები გამოიცადა ლეგირებული თუჯის დასამუშავებლად, სახარატო ჩარხზე 1K62, შემდეგი ჭრის რეჟიმის პირობებში: ჭრის სიღრმე $t = 1,0$ მმ; მიწოდება $S = 0,21$ მმ/ბრ. ცვეთის კრიტერიუმად აღებული იყო ცვეთა საჭრისის უკანა წახნაგზე $h = 0,3$ მმ, რაც სუფთად ახარატების მოთხოვნებს შეესაბამება. მედეგობის ცდები ჩატარდა ჭრის სინქარეთა გარკვეულ დიაპაზონში. ცდის შედეგების მიხედვით საკვლევი კომპოზიტების მედეგობა არ ჩამოუვარდება სტანდარტულ მჭრელ მასალას "სილინიტ-P"-ს.

მესამე თავში განხილულია სილიციუმის კარბიდისა და სილიციუმის ნიტრიდის ბაზაზე მაღალცეცხლგამძლე და აგრესიული მედიების მიმართ მედეგი კომპოზიტის მისაღებად ჩატარებული სამეცნიერო-კვლევის შედეგები. შესწავლილია სხვადასხვა შემკვრელებისა და დანამატების, BN და Al_2O_3 ნანოფხვნილის გავლენა კომპოზიტების შეცხობის პროცესებზე, მიღებული კომპოზიტების მიკროსტრუქტურასა და თვისებებზე.

განსაზღვრულია კომპოზიტების მედეგობა მაღალტემპერატურულ კოროზიულ არეში მუშაობის დროს და თერმული და გაზოთერმული დარტყმების მიმართ. მიღებული კომპოზიტის ბაზაზე დამუშავებულია თერმოწყვილის გარსაცმების დამზადების ტექნოლოგია.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. კოვზირიძე, ნ. ნიჟარაძე, ნ. დარახველიძე, გ. ტაბატაძე, ზ.მესტვირიშვილი	სიალონშემცველი კომპოზიტის მიღება ნიტროალუმინოთერმული პროცესებით, რეაქციული შეცხოების და ცხელი დაწნეხვის მეთოდით	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016, გვ. 9-19	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	10
2	ზ. კოვზირიძე, ნ. ნიჟარაძე, ა. მიქანაძე, გ. ტაბატაძე	მეტალოკერამიკული კომპოზიტი ლითონების ჭრით დასამუშავებლად	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016, გვ. 20-29	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	10
3	ზ. კოვზირიძე ნ. ჯოგლიძე ნ. ნიჟარაძე ხ. ბლუაშვილი	მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით სწორი ნაწლავის კიბოსა(პროქტოლოგიური) და საშვილოსნოს ყელის დაავადებების სამკურნალო აპარატი და უსაფრთხოების შესწავლა თეთრ ვირთაგვებზე	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016, გვ. 30-40	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	11
4	ზ. კოვზირიძე ნ. ნიჟარაძე გ. ტაბატაძე	მაღალი სიმტკიცის უვოლფრამო კომპოზიტი TiC-Ni-Fe სისტემაში	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” Vol. 19. 2(36),	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	18

			2016,გვ. 30-40		
5	ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი გ. ტაბატაძე, მ. მშვილდაძე	ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გამომწვარი და გამოუწვავი ცეცხლგამძლე ნაკეთობების მიღება	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” Vol. 19. 2(36), 2016,გვ. 30-40	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	13

ანოტაცია

- მიღებულია კომპოზიტი ალუმინსილიკატური ნედლეულის ბაზაზე რეაქციული შეცხობის მეთოდით. შესწავლილია კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, ფაზური შედგენილობა. კომპოზიტის ძირითადი ფაზებია: β სიალონი, რომელიც არის კომპოზიტის მატრიცა, სილიციუმის კარბიდი და კორუნდი. დადგენილია, რომ სიალონის (SIALON) მიღება ხდება ნიტროალუმოთერმული პროცესებით. რეაქციული შეცხობის მეთოდით მიღებული კომპოზიტის შემდგომი დამუშავებით და ცხელი დაწნევით მოხდა კომპოზიტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ნახტომისებრი ზრდა. რაც მასალის გამკვრივების უფრო მაღალმა ხარისხმა განაპირობა. მიღებული კომპოზიტის თვისებებიდან გამომდინარე იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალტემპერატურული ნაკეთობების დასამზადებლად, კერძოდ: თერმოწვილების დამცავი გარსაცმების. ღუმლების ამონაგის, მჭრელი ინსტრუმენტების სახით ლითონისა და ქვის დასამუშავებლად.
- ტიტანის კარბონიტრიდისა და მაღალი ლღობის ტემპერატურის მქონე შემაკავშირებელი ლითონური ფაზის შერწყმით მიღებულია მცირეგოლფრამიანი მჭრელი კომპოზიტი დაწნევით და შემდგომი შეცხობით ვაკუუმღუმელში 1600°C ტემპერატურაზე 10⁻³მპა წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენტგენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა – ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისალე MUCKE-ს მარკის მიკროსისალის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე გაიზომა გამგლეჯ მანქანაზე R-100, საჭრისების შედარებითი მედეგობა შეფასდა ჭრის ერთნაირი რეჟიმების დროს გავლილი მანძილით, ცდები ჩატარებულ იქნა სახარატო ჩარხზე. მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: σ_L=1000-1150მპა σ_{L1000}C=მპა; HV=14გპა; HV₁₀₀₀C -6,5გპა. ჭრის მაღალი სინქარებისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში, საკვლევი კომპოზიტით დამზადებული საჭრისების მედეგობა 1,5-2-ჯერ აღემატება ცნობილ BK8 და KNT20 სალი შენადნობების საჭრისების მედეგობას. მიღებული კომპოზიტის გამოყენება რეკომენდებულია გახურებული ფოლადების ჭრით დამუშავებისას ე.წ. ცხელი ნაწიბურების მოხსნისათვის, აგრეთვე ფოლადების ჭრით დამუშავებისას სუფთა და ნახევრადსუფთა ოპერაციებზე.
- ჩატარებულია ცდები კიბოს პროქტოლოგიური და საშვილოსნოს ყელის

დაავადებების წინააღმდეგ მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდის გამოყენების უსაფრთხოების დასადგენად. ცდები ჩატარებულია ცხოველებზე, კერძოდ 3 თვის ასაკის ალბინოს თაგვებზე.

ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ხელსაწყო „ლეზი“, რომელიც შეიქმნა სტუ-ს ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში. ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკროზი (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი.

დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი ლოკალური ჰიპერთერმია და მაგნიტური ჰიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). დადგინდა, რომ 7-10 სეანსის შემდეგ სიმსივნე დაწყულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიური

ლაბორატორია „პათჯეოს“ დასკვნა. გამოკვლევის №3119-12, ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა №15272-13. დიაგნოზის გაცემის თარიღი 14.01.2014 წ., თბილისი, საქართველო). უვნებლობაზე ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება მკურნალობის პროცესში ცხოველებისათვის უსაფრთხოა.

4. ლითონკერამიკული მასალების ძირითადი მოცულობა დღემდე ვოლფრამის ბაზაზე იწარმოება, რომლის მარაგიც თანდათან იწურება. ამასთან დაკავშირებით მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა, შექმნან ახალი კომპოზიციური მასალები ვოლფრამის გარეშე ან შეამცირონ მისი შემცველობა მინიმუმამდე და შეინარჩუნონ ის ფიზიკურ-ტექნიკური და საექსპლუატაციო თვისებები, რაც ვოლფრამის ბაზაზე მიღებულ კომპოზიტებს გააჩნიათ. მალეგირებელი დანამატები სხვადასხვანაირად მოქმედებენ, ზოგიერთი აუმაჯობებს კარბიდული შემადგენლის ან ლითონური შემაკავშირებლის თვისებას, ზოგი მნიშვნელოვნად მოქმედებს ფაზათაშორის საზღვრის აღნაგობაზე, უმთავრესად კი კომპოზიტის თვისებას ცვლის მისი სტრუქტურის ცვლილებით. ნაშრომში შესწავლილია რკინის დანამატის გავლენა Ti-C-Ni სისტემის კერამიკებზე 20-25მას.% ლითონური შემკვრელის საერთო შემცველობისას. მიღებულია კომპოზიტი დაწნეხვით და შემდგომი შეცხობით ვაკუუმ ღუმელში 1450°C ტემპერატურაზე 10³მპა წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენტგენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა – ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისალე MUCKE-ს მარკის მიკროსისალის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე გაიზომა გამგლეჯ მანქანაზე R-100, მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: $\sigma_{\infty}=1600-1800$ მპა $\sigma_{1000^{\circ}\text{C}}=550$ მპა; $HV=14$ გპა; $HV_{1000^{\circ}\text{C}}=2,3$ გპა. ტიტანის კარბიდისა და რკინა-ნიკელის შემაკავშირებლით მიღებული კომპოზიტის გამოყენება შესაძლებელია, როგორც მჭრელი მასალა, მისგან შეიძლება დამზადდეს ფილიერები მავთულებისა და მილების საგლინავად. კომპოზიტს აქვს მაღალი სიმტკიცე ღუნვისას, მაღალი სისალე HRA 89-90 და მაღალი დარტყმითი სიბლანტე 25 კჯოული/მ², შედარებით დაბალი სიმკვრივე -5,46გ/სმ³, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს კომპოზიტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯავშანტექნიკაში.

5. ადგილობრივი ნედლეულის კერძოდ დოლომიტ-სერპენტინიტის კლინკერის ბაზაზე დამუშავებულია გამომწვარი და გამოუწვავი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია.

გამომწვარი ცეცხლგამძლე მასალები ისეთი მასალები - ნაკეთობებია, რომლებიც გამოწვის ტემპერატურაზე იღებენ სასურველ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს (ფორიანობა, სიმტკიცე, ცეცხლგამძლეობა, თერმული მედეგობა, დეფორმაციის დაწყების ტემპერატურა, მდგრადობა აგრესიული გარემოს ზემოქმედების მიმართ და სხვა).

გამოწვავი ცეცხლგამძლეები - ნაკეთობებია ცეცხლგამძლე მასალებისა და შემკვრელებისაგან, რომლებიც იღებენ სასურველ თვისებებს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვისას.

გამოწვავი ცეცხლგამძლეები სიმტკიცის მიხედვით ჩამორჩებიან გამომწვარი ნაკეთობებისას, მაგრამ თერმული მედეგობით აღემატებიან გამომწვარი ცეცხლგამძლეების თერმულ მედეგობას. გამოწვის ტემპერატურის ზევით, ისინი იკრებენ სიმტკიცეს და სხვა თვისებებს, მხოლოდ ჩაჯდომის სიდიდის მაჩვენებელი უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ არ გამოიწვიოს წყობის დაზიანება. ამიტომ ჩვენს ექსპერიმენტის ჩატარებისას ყურადღება გავამახვილეთ ორ ძირითად მაჩვენებელზე: 1. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას და 2. ჩაჯდომა. ჩვენს მიერ მიღებული მასალების ჩაჯდომის მაჩვენებელი და სიმტკიცე უზრუნველყოფს ამონაგის მკვირივი წყობის მიღებას და საუკეთესო ექსპლუატაციის პირობებს.

მიღებული გამომწვარი და გამოწვავი ცეცხლგამძლე ნაკეთობები გამოირჩევიან მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით. შესაძლებელია ისინი გამოყენებულ იქნას ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელების და მეტალურგიული თბური დანადგარების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z. Kovziridze, N. Nizharadze, N. Daraxvelidze G. Tabatadze, E. Nikoleishvili, M. Mshvildadze	Preparation of Composites by Nitro Aluminothermic Processes, over β -SiAlON Matrix in the SiAlON-SiC-Al ₂ O ₃ System	2016,6, 62-77	USA, Delaware	16

		Journal of Electronics Cooling and Thermal Control			
2	Z.Kovziridze, N.Nizharadze, A.Mikanadze, G.Tabatadze E.Nikoleishvili, M.Mshvildadze	Metal-ceramic composites for metal treatment by cutting in Ti(C,N)-Ni-Mo-W system Journal of Electronics Cooling and Thermal Control	2016,6, 42-51	USA, Delaware	10

ანოტაცია

1. სამუშაოს მიზანია სიალონშემცველი კომპოზიტის მიღება ნიტროალუმოთერმიული პროცესებით, რეაქციული შეცხოვის და ცხელი დაწნეხვის მეთოდით. კომპოზიტი CH-6 მიღებულია რეაქციული შეცხოვის მეთოდით და შემდგომი ცხელი დაწნეხვით ვაკუუმ ღუმელში 1600°C-ზე 30 მპა წნევით, ბოლო ტემპერატურაზე 10-12 წთ. დაყოვნებით. პრეკურსორი მომზადდა თერმოსტატში 150°C-ზე, ცივად დაიწნეხა 12-15 მპა-ზე და 20-25 მპა-ზე.

ჩატარებულია ცხელი დაწნეხვით მიღებული ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებების კვლევა. მექანიკური მაჩვენებლები შეადგენს: სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას 1640 მპა, სიმტკიცის ზღვარი ღუნვისას 190 მპა; დრეკადობის მოდული 199,5 გპა; HV- 1140 გპა.

რენტგენოსტრუქტურული, ელექტრონულ-მიკროსკოპიული და მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზით შესწავლილია მიღებული კომპოზიტის მიკროსტრუქტურა და ფაზური შედგენილობა. დადგენილია კომპოზიტის შედგენილობა, რომლის ძირითადი ფაზებია: β-სიალონი, კორუნდი და სილიციუმის კარბიდი.

მიღებული კომპოზიტი CH-6 ხასიათდება მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით: მაღალი სისაღით, სიმკვრივით და სიმტკიცით.

2. ტიტანის კარბონიტრიდისა და მაღალი ლღობის ტემპერატურის მქონე შემაკავშირებელი ლითონური ფაზის შერწყმით მიღებულია მცირევოლფრამიანი მჭრელი კომპოზიტი დაწნეხვით და შემდგომი შეცხოვით ვაკუუმღუმელში 1600°C ტემპერატურაზე 10³მპა წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენტგენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა – ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისაღე MUCKE-ს მარკის მიკროსისაღის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე გაიზომა გამგლეჯ მანქანაზე R-100, საჭრისების შედარებითი მედეგობა შეფასდა ჭრის ერთნაირი რეჟიმების დროს გავლილი მანძილით, ცდები ჩატარებულ იქნა სახარატო ჩარხზე. მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: σ_ღ=1000-1150მპა σ_{ღ1000°C}=მპა; HV=14გპა; HV_{1000°C} -6,5გპა. ჭრის მაღალი სინქარეებისა და მაღალი

ტემპერატურის პირობებში, საკვლევი კომპოზიტით დამზადებული საჭრისების მედეგობა 1,5-2-ჯერ აღემატება ცნობილ BK8 და KNT20 სალი შენადნობების საჭრისების მედეგობას. მიღებული კომპოზიტის გამოყენება რეკომენდებულია გახურებული ფოლადების ჭრით დამუშავებისას ე.წ. ცხელი ნაწიბურების მოხსნისათვის, აგრეთვე ფოლადების ჭრით დამუშავებისას სუფთა და ნახევრადსუფთა ოპერაციებზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Z.Kowziridze, N.Nijaradze, G.Tabatadze, N.Darakhvelidze, Z.Mestvirishvili	Smart Materials in System SIALON-SiC-Al ₂ O ₃ -TiB ₂ - ZrB ₂ .	Marth 4-6, 2016, Singapore, BITs2nd Annual World Congress of Smart Materials(WCSM)-2016
2	Z.Kovziridze, N.Nijaradze, M.Balakhshvili, G.Tabatadze, M.Mshvildadze	Sintered and non-sintered refractory objects on the base of local raw material	Marth 4-6, 2016, Singapore, BITs2nd Annual World Congress of Smart Materials(WCSM)-2016
3	Kowziridze Zviad, Bluashvili Xatia	Apparatus for treatment of proctologic (rectum) and cervix uterus cancer diseases by the method of local controlled hyperthermia	August 21-25, 2016 , Drezden, Germany 6th International Congress on Ceramics
4	Kowziridze Zviadi, Nijharadze Natela, Mestvirishvili Zviadi, Balakhshvili Maia.	Composite for high temperature bedding of cement and metallurgical furnaces	August 21-25, 2016 , Drezden, Germany 6th International Congress on Ceramics

ანოტაცია

1. რეაქციული შეცხოვის მეთოდით 1450⁰C-ზე, გეოპოლიმერის (კაოლინი) , ალუმინის ნანო-ფხენილის, სილიციუმის, ალუმინის ოქსიდის, სილიციუმის კარბიდის, იტრიუმის, მაგნიუმის ოქსიდების და მინისებური პერლიტის (არაგაცი, სასომხეთი) მცირე დანამატებით მიღებულია სიალონ შემცველი ნანო-კომპოზიტი. კომპოზიტი მიღებულია რეაქციული შეცხოვის მეთოდით 1450⁰C-ზე ალუმოთერმული და აზოტირების პროცესით აზოტის გარემოში. ამ

მეთოდის უპირატესობაა ის, რომ ახლად დაყალიბებულ ნიმუშში თერმიული დამუშავების პროცესში ურთიერთქმედების შედეგად: Si_3N_4 , Si , ALN უფრო რეაქციისუნარიანი არიან და წარმოქმნიან $SiAlON$ –ს შედარებით დაბალ $1300 - 1350^{\circ}C$ ტემპერატურაზე. აღსანიშნავია, რომ $\alpha-Al_2O_3$ და ALN ჩანერგვა $\beta-Si_3N_4$ –ის კრისტალურ მესერში შედარებით ადვილია აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში, როდესაც Si_3N_4 –ის მესერი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ $SiAlON$ – ის სიმაგრე და კოროზიული მედეგობა იმატებს სილიციუმის კარბიდის და კორუნდის შემცველობით კომპოზიტში.

ნაშრომში წარმოდგენილია $SiC-SiAlON$, $Al_2O_3-SiAlON$ და $\beta-SiAlON$ - ის ფორმირების პროცესები კომპოზიტში და აღწერილია მათი ფიზიკური და ტექნიკური თვისებები. ღია ფორიანობა მიღებული მასალებისა ტოლია ნაკლებია $0,5\%$. სიმაგრე როკველით $HRA=94$; $HV=18$ გპა; მექანიკა ღუნვაზე $500-550$ მპა. ფაზური შედგენილობა შესწავლილია რენტგენოსტრუქტურული ანალიზით, ოპტიკური და ელექტრონულ-მიკროსკოპიული ანალიზებით.

2. გამომწვარი ცეცხლგამძლე მასალები ისეთი მასალებია-ნაკეთობები, რომლებიც გამოწვის ტემპერატურაზე იღებენ სასურველ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს (ფორიანობა, სიმტკიცე, ცეცხლგამძლეობა, თერმიული მედეგობა, დეფორმაციის დაწყების ტემპერატურა, მდგრადობა აგრესიული გარემოს ზემოქმედების მიმართ და სხვა).

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები-ნაკეთობებია ცეცხლგამძლე მასალებისა და შემკვრელებისაგან, რომლებიც იღებენ სასურველ თვისებებს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვისას.

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები სიმტკიცის მიხედვით ჩამორჩებიან გამომწვარი ნაკეთობებისას, მაგრამ თერმიული მედეგობით აღემატებიან გამომწვარი ცეცხლგამძლეების თერმიულ მედეგობას. გამოწვის ტემპერატურის ზევით, ისინი იკრებენ სიმტკიცეს და სხვა თვისებებს, მხოლოდ ჩაჯდომის სიდიდის მაჩვენებელი უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ არ გამოიწვიოს წყობის დაზიანება. ამიტომ ჩვენი ექსპერიმენტის ჩატარებისას გავამახვილეთ ყურადღება ორ ძირითად მაჩვენებელზე: 1. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას და 2. ჩაჯდომა.

ადგილობრივი ნედლეულის კერძოდ დოლომიტ-სერპენტინიტის კლინკერის ბაზაზე მიღებულია და დამუშავებულია გამომწვარი და გამოუწვავი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია.

მიღებული გამომწვარი და გამოუწვავი ცეცხლგამძლე ნაკეთობები გამოირჩევიან მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით. შესაძლებელია ისინი გამოყენებულ იქნას ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელების და მეტალურგიული თბური დანადგარების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის

3. შესწავლილია ჰიპერთერმიის მონოთერაპიული ეფექტი კიბოს პროქტოლოგიური და

საშვილოსნოს ყელის დაავადებების წინააღმდეგ. მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდის განვითარებისათვის, ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ხელსაწყო „ლეზი“, რომელიც შეიქმნა სტუ-ის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების

მასალათმცოდნეობის ცენტრში. ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკროზი (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი. დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი ლოკალური ჰიპერთერმია და მაგნიტური ჰიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). დადგინდა, რომ 7-10 სეანსის შემდეგ სიმსივნე დაწყლულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორია „პათჯეოს“ დასკვნა. გამოკვლევის №3119-12, ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა №15272-13. დიაგნოზის გაცემის თარიღი 14.01.2014 წ., თბილისი, საქართველო). უვნებლობაზე ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება მკურნალობის პროცესში ცხოველებისათვის უსაფრთხოა.

ამ პრეზენტაციამ პირველი ადგილი აიღო კერამიკოსთა მე-6 საერთაშორისო კონგრესზე გერმანიაში და დაჯილდოვდა პირველი ადგილის პრიზითა სიგელით. კონგრესში მონაწილეობდა 47 ქვეყანა, მომხსენებელთა რაოდენობა 632.

4. შესწავლილია კლინიკურზე შემკვრელების დამატებით მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, მათი გავლენის დასადგენად. მათი დანიშნულებაა – მისცეს მასას საყალიბო თვისებები ნაკეთობის მომზადების დროს და ისეთი მექანიკური სიმტკიცე, რომელიც საკმარისი იქნება დაყალიბებული ნაკეთობის შემდგომი ოპერაციებისათვის. შერჩეულ იქნა მაგნიუმის სულფატის 25%-იანი ხსნარი, ტექნიკური ლიგნოსულფონატების წყალხსნარი, მეთილცელულოზა და პოლივინილის სპირტი. გარდა ამისა, შემკვრელი ნივთიერების სახით გამოყენებულია წყალიც.

1	Берая Н.О., Бочоридзе Е.В., Гварамия Е.Г.	Изменение следа ковариационной матрицы для двухкомпонентного симплексного плана первого порядка при наложении отличающихся погрешностей	Россия, Таганрог, V Международная научно- практическая конференция «Современная наука: теоретический и практический взгляд». 18 августа 2016 г.

ინტერდისციპლინური ინფორმაციის დეპარტამენტი – 803

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – პროფ. მერაბ ახობაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1	მაჭარაძე თენგიზ დავითის ძე	პროფესორი
2	ხომერიკი ირინე ოთარის ას	პროფესორი
3	როდონაია ირაკლი დიომიდეს ძე	პროფესორი
4	მილნიკოვი ალექსანდრე ანატოლის ძე	პროფესორი
5	ცისკარიშვილი ნინო ელიზბარის ას	ასოც. პროფ.
6	კოტრიკაძე გულნარა გიორგის ას	ასოც. პროფ.
7	პაატაშვილი ფილხაზ შალვას ძე	ასოც. პროფ.
8	როჭიკაშვილი ეკატერინე გოდერძის ას	ასოც. პროფ.
9	სტურუა თეიმურაზ გიორგის ძე	ასოც. პროფ.
10	ზარდაველიძე ხათუნა ავთანდილის ას	ასოც. პროფ.
11	თედეშვილი ლიანა გიორგის ას	ასოც. პროფ.
12	მგელაძე ანტონ პროკოფის ძე	ასოც. პროფ.
13	ბჟალავა ნიკოლოზ პეტრეს ძე	ასოც. პროფ.
14	ლობჯანიძე შალვა სერგოს ძე	ასოც. პროფ.
15	ბოჭორიშვილი ირაკლი ნაომის ძე	ასოც. პროფ.
16	კვესელავა ქეთევან იგორის ას	ასოც. პროფ.
17	ჭოლიკიძე ლევანი გოდერძის ძე	ასისტ. პროფ.

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალებისთვის ვებ-გვერდის შექმნა (სტუდენტური პროექტი)	მ. ახობაძე	ი. ბოჭორიშვილი ი. შალამბერიძე მ. ქვლივიძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
1. სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალებისათვის შექმნილია ვებ-გვერდები. რომელიც საშუალებას აძლევს რედაქციებს, ონლაინ რეჟიმში განახორციელონ სტატიების მიღება, დამუშავება გაყიდვა და სხვა.			

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	მ. ახობაძე	არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის მათემატიკური საფუძვლები არამკაფიო ალგორითმები	სტუ, ISBN978-9941-0-8693-9	67
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				
1. წიგნში „არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის მათემატიკური საფუძვლები არამკაფიო ალგორითმები“ განხილულია არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის მათემატიკური				

საფუძვლები. დაფუძნებული იმ მოსაზრებაზე, რომ ადამიანის აზროვნების ელემენტებს წარმოადგენენ არა რიცხვები, არამედ გარკვეული არამკაფიო სიმრავლეების ან ობიექტების კლასების ელემენტები, რომელთათვისაც გადასვლა “კლასისადმი მიკუთვნებიდან” “არა მიკუთვნებაზე” ხდება არა ნახტომისებურად, არამედ უწყვეტად. მართლაც, არამკაფიობა, რომელიც ახასიათებს ადამიანის აზროვნებას გვაძლევს საბაბს ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესის საფუძველს წარმოადგენს არა ტრადიციული ორმნიშვნელობიანი ან მრავალმნიშვნელობიანი ლოგიკა, არამედ ლოგიკა არამკაფიო ჭეშმარიტებით, არამკაფიო კავშირებით და გარდაქმნა არამკაფიო წესებით. ჩვენი აზრით საწორედ ასეთი არამკაფიო ლოგიკა თამაშობს ძირითად როლს ადამიანის აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს – ინფორმაციის შეფასების უნარში.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	თ. სტურუა, თ. თოდუა, ბ. ტაბატაძე	HTML5&CSS3	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	328
2.	ი.როდონაია, ლ.თედეშვილი	დამხმარე სახელმძღვანელო „საქმიანი პროცესების დიზაინი და სიმულაცია“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	64
3.	ვ.კეკელია, ბ.კოტრიკაძე	კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდები და მოდელები	ქ.თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	93
4.	თ. მაჭარაძე	ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციული ტექნოლოგიები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2016, ISBN 978-9941-0-8433-1	105 გვ.
5.	ზ. წვერაიძე, ფ.პაატაშვილი,	ვებ საიტების ვიზუალური	გამომცემლობა „ტექნიკური	

	რ. შამუგია	დაპროექტება	უნივერსიტეტი“	132 გვ.
--	------------	-------------	---------------	---------

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. სახელმძღვანელოში „**HTML5&CSS3**“

განხილულია HTML ენის შესაძლებლობანი, HTML5 ვერსიაში შემოტანილი სიახლეები სადა დამატებების გათვალისწინებით. მოცემულია HTML ენის ელემენტარული საფუძვლებიდან დაწყებული და რთული პრაქტიკული საკითხებით დამთავრებული. ასევე განხილულია CSS3 - ვებსაიტების დამუშავების უახლესი სტანდარტები, რომლებიც ვებდაპროგრამების ენების ფუნქციურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ და ინტერნეტ-პროექტებისათვის ორიგინალური ვიზუალური გადაწყვეტის საშუალებებს იძლევა. განკუთვნილია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, აგრეთვე, HTML და CSS ენის გამოყენებით ვებგვერდების შექმნით დაინტერესებული სხვა სპეციალისტებისათვის.

2. დამხმარე სახელმძღვანელოში “საქმიანი პროცესების დიზაინი და სიმულაცია”.

განხილულია საქმიანი პროცესების სიმულაციის, ანალიზის და დიზაინის საკითხები. გამოიყენება პროგრამული პაკეტი xtend6LT და POM for Windows. ბიზნეს პროცესი არის კარგად განსაზღვრული საზღვრების და თანმიმდევრობის კავშირების მქონე აქტივობის და ბუფერების ქსელი, რომელიც იყენებს რესურსებს იმისათვის, რომ გარდაქმნას სისტემის შემოსასვლელი სისტემის გამოსასვლელში მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. განხილულია დაგეგმარების ძირითადი ინსტრუმენტები: ზოგადი პროცესის ბარათები პროცესების ნაკადების დიაგრამები ნაკადების გრაფები. მოცემულია მიმდევრობითი და პარალელური პროცესების დამუშავების დროის მინიმიზაციის ხერხები. განხილულია პროცესების და სამუშაოების ტერმინოლოგია. რიგების სისტემების საფუძველზე განხილულია სისტემის M/M/C სტაბილური მდგომარეობის ანალიზის ფორმულები და დირეზების (ხარჯების) ანალიზი. აგრეთვე განხილულია ზემოდ მოხსენიებული ამოცანების ამოხსნა პაკეტის POM for Windows გამოყენებით. მოცემულია საქმიანი პროცესების სიმულაციის პაკეტის xtend6LT ძირითადი ბლოკები: Executive, Import, Repository, Operation, Export მონაცემთა შეგროვების და სტატისტიკის ბლოკები, რიგების სტატისტიკის ბლოკები, Labor Pool, Batch, Unbatch, Merge, ევოლუციური ოპტიმიზაციის ბლოკი Evolutionary Optimizer. ნაშრომში მოცემულია მრავალი სავარჯიშო განხილულ თემებზე.

3. დამხმარე სახელმძღვანელოში „კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდები და მოდელები“, განხილულია ინფორმაციის დაცვის მეთოდები ეძღვნება, როგორც კრიპტოგრაფიის თეორიული მასალის შესწავლას, ასევე პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების საკითხებს. კერძოდ, შესრულებულია კრიპტოგრაფიის პრაქტიკული ამოცანების Microsoft Visual Studio 2010

გარემოში დაპროგრამების ენის C# ბაზაზე ფუნქციონირებადი პროგრამული მოდულების (ალგორითმების) კომპიუტერული რეალიზაცია და შემოთავაზებულია მათი პრაქტიკული გამოყენების ძირითადი ასპექტები. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებსაც ეკითხებათ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინა: ბაკალავრებს - „ინფორმაციის დაცვის მეთოდები და სისტემები“, ხოლო მაგისტრებს - „ინფორმაციის უსაფრთხოება“, აგრეთვე მსურველებისათვის ვინც დაინტერესებულია მიიღოს საწყისი, მაგრამ ამომწურავი ცოდნა, კრიპტოგრაფიის კვლევის საკითხებში.

4. სახელმძღვანელოში „ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციული ტექნოლოგიები“ განხილულია კომპიუტერზე გადასაწვევად ეკონომიკური შინაარსის ამოცანათა დასმის, ალგორითმიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სახით მათი რეალიზაციის საკითხები. პრაქტიკული შინაარსის ამოცანებისათვის დეტალურადაა აღწერილი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავების პროცესი. ანალიზის ინსტრუმენტებად გამოყენებულია MS Excell-ის სტანდარტული ფუნქციები და მასში შემავალი Analysis Toolbar პაკეტის პროცედურები. სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც შესაბამისი დასახელების დისციპლინას სწავლობენ.

5. განხილულია საიტების აგების საწყისები. საიტის დაპროექტების ძირითადი ეტაპები და ლოგიკური სტრუქტურის აგების პრინციპები. განხილულია ვებ-საიტების ვიზუალური რედაქტორი აცრომედია რემწეავერ. დეტალურად არის აღწერილი ამ ფართოდ გამოყენებადი პროგრამული პროდუქტის შესაძლებლობები, მასთან მუშაობის ხერხები და მეთოდები. აღწერილია ინტერფეისი და მის გარემოში ვებ-გვერდების შემუშავებისა და მათ ბაზაზე ვებ-საიტების შექმნის საშუალებები. მოცემულია დინამიური ვებ-გვერდების აგების თავისებურებები. განხილულია სერვერული ტექნოლოგიების ძირითადი ცნებები და საშუალებები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	მ. ტაკაშვილი ბ. კაკაშვილი	სოციალური ქსელების უსაფრთხოება და მუშაობის პრინციპები. მე-4	სტუ. „მერიდიანი“ ISBN 978-9941-25-257-	4

	თ. ბუზიაშვილი	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებათა კრებული, „კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება“	0	
<p style="text-align: center;">ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>მოგესხენებათ, რომ სოციალურმა ქსელებმა მოიცვა ფართო აუდიტორია, მათი რიცხვი დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება, ზოგიერთი ქსელი მხოლოდ ურთიერთობის საშუალებას იძლევა, ზოგი კი წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს, ნებისმიერი სოციალური ქსელი, უკვე გახდა ის სამუშაო გარემო, სადაც მილიონობით ადამიანი იმყოფება, აქედან გამომდინარე წარმოიშვა ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის პრობლემა. დღესდღეობით მილიონობით თანხები იხარჯება ინფორმაციულ უსაფრთხოების დაცვაზე. თემაში განხილულია ის ძირითადი მეთოდები და პრინციპები, რაც სოციალურ ქსელებში ინფორმაციულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	მ. ახოზაძე, ა. ფრანგიშვილი, ბ. მიქიაშვილი	ქალაქის სატრანსპორტო ნაკადის რეგულირებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი - „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“	№6 ISSN 2233-3266	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12

2.	მ. ახოზაძე, ნ. ვარძიაშვილი	საინვესტიციო პოლიტიკა ეკონომიკურ პროცესებში	№2(16) ISSN 2346-8300	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება	6
3.	ა. გაფრინდაშვილი, თ. სტურუა	ქართული ბრაუზერი“Browser G”	№1, 2016წ.	თბილისი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	5 გვ. (გვ. 166-170)
4.	ი.როდონაია, ქ.მერაბიანი	Real-world applications of the vehicle routing problem in Georgia	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტექნიკური (IBSU) მეცნიერების და ტექნოლოგიების ჟურნალი (JTST)	თბილისი, საქართველო, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
5.	ბ.კოტრიკაძე, ვ.კეკელია, ი.ბოჭორიშვილი	კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდების მიკროპროგრამული სახით წარმოდგენისა და მათი სქემური რეალიზაციის საკითხების შესახებ. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“.	№ 4(4)	ქ.თბილისი, შპს „ფორმა“	6
6.	ბ.კოტრიკაძე	ინფორმაციის დაცვის ზოგიერთი მეთოდის მიკროპროგრამული სახით წარმოდგენა.	გადაცემულია გამოსაცემად	თბილისი, გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	5
7.	ნ. ვარძიაშვილი	არაწრფივი, არასტაციონალური ჩაკეტილი მართვის სისტემის იდენტიფიკაცია მრავალი ცვლადის	№2(22)	თბილისი, სტუ	6

		მასა-სიათებელი ფუნქციების საშუალებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები „მართვის ავტომატიზებული სისტემები“.			
8.	ნ. ვარძიაშვილი, ე. კურცხალია	არაწრფივი, არასტაციონალური, დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია ფუნქციონალური მწკრივების საშუალებით	№2(16) ISSN 2346-8300	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება	6
9.	ხ. ბარდაველიძე ა. ბარდაველიძე ი. ბაშალავიშვილი	შრობის პროცესის ანალიზი მიკროკონტროლერული მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის მიზნით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები „მართვის ავტომატიზებული სისტემები“.	№1(21) ISSN: 1512-3979 EISSN: 1512-2174	გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016	4 გვ. (192-195)

10.	ს. ბარდაველიძე ა. ბარდაველიძე	კომერციული საქმიანობის მასობრივი მომსახურების სისტემის იმიტაციური მოდელის შემუშავება MatLab გარემოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სიტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული.	№20 ISSN: 0135-0765	თბილისი, 2016	5 გვ. (205-209)
11.	ირინე ხომერიკი ელენე კამკამიძე	ვებ აპლიკაციის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება, სესიების მენეჯმენტის გაუმჯობესებით. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”	№32,2016	თბილისი	7
12.	Елена Камкамидзе, Ирина Хомерики Михаил Двалишвили	Алгоритм построения полного графа топологии телекоммуникацион- ной сети/ Грузинский Технический Университет. Труды Автоматизированные Системы Управления	N1(21),2016	Тбилиси სტუ-ს “IT – კონსალტინგის ცენტრი”	7
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე					
1. სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის სწრაფი ზრდის, ქალაქის ქუჩების ქსელის ქალაქგეგმარებითი განვითარების აშკარა ჩამორჩენის ფონზე,					

სატრანსპორტო ნაკადების ნორმალურ გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა დღითიდღე მეტ აქტუალობას იძენს.

აღნიშნული საკითხის გადაჭრა შეუძლებელია თანამედროვე მათემატიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ჩვენს მიერ შემოთავაზებული რთული სისტემების სტრუქტურული ანალიზისა და მართვის -ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ სატრანსპორტო ნაკადის ოპტიმალური მართვა არსებული სატრანსპორტო ქსელის რეკონსტრუქციის გარეშე და მივაწოდოთ რეკომენდაციები სატრანსპორტო ქსელის რეკონსტრუქციისათვის.

2. სტატიაში „საინვესტიციო პოლიტიკა ევოლუციურ ეკონომიკურ პროცესებში“ განხილულია სივრცულ ეკონომიკურ პროცესებში საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების საკითხები. როდესაც, რეგიონში იწარმოება როგორც ერთგვაროვანი, ასევე სხვადასხვა დასახელების პროდუქცია. ალგებრული ტოპოლოგიის ანალიზის მეთოდის გამოყენების საფუძველზე შექმნილია ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ მდგრადი საინვესტიციო პოლიტიკა.
3. დღეისათვის, ინფორმაციული საუკუნის ეპოქაში, ინტერნეტის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელია. კომპიუტერი და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, თუმცა ინტერნეტის გარეშე თანამედროვე კომპიუტერების გამოყენება აზრს კარგავს. ოცემულ ნაშრომში სხვადასხვა ბრაუზერების (Internet Explorer, Mozilla Firefox, Google Chrome, Opera) დადებითი და უარყოფითი ასპექტებია აღწერილი. აქვეა მოცემული ქართული ვებ-ბრაუზერის “Browser G ზოგადი აღწერა, შეფასება და მომავალში მისი განვითარების გეგმები.
4. Real-world applications of the vehicle routing problem in Georgia (სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტიზაციის დაგეგმვის გამოყენება საქართველოს რეალურთან მიახლოებულ პირობებში). სტატიაში განხილულია რეალისტური ინფორმაციის მოძიება და მისი გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტიზაციის ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანაში. კერძოდ, განხილულია ცნობილი ალგორითმის ALNS (ფართე მეზობლობაში ადაპტური ძებნა) მოდიფიკაცია. ირველ ეტაპზე გენერირდება საწყისი მარშრუტების სიმრავლე მოცემული დეპოების, სერვისის პუნქტებისთვის, დატვირთვის და დროის ფანჯრებისთვის. ეს ინფორმაცია გადაიცემა GPS საშუალებებით ცენტრალური ვირტუალური მანქანიდან შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებზე. თითოეულ სატრანსპორტო საშუალება ასოცირდება შესაბამისი ლოკალური ვირტუალური მანქანასთან მონაცემთა დამუშავების ცენტრში. შემდგომში ხორციელდება მუდმივი მანაცემთა ურთიერთგაცვლა სატრანსპორტო საშუალებების და განკუთვნილი ვირტუალური მანქანების შორის. მეორე ეტაპზე თითოეულ ვირტუალურ მანქანაში სრულდება საწყისი მარშრუტების შემოწმება და ადაპტაცია მიღებული on-ლაინური ინფორმაციის გათვალისწინებით (მარშრუტის სექციის შესაძლო ჩაკეტვა, ადენის დროის შეფასება, გადაწყვეტილება მარშრუტი შემდგომში პუნქტის შეცვლაზე და ა.შ.). მიღებული გადაწყვეტილება ავტომატურად იგზავნება სატრანსპორტო საშუალებაზე და ხდება საშუალების ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა. მიდგომაში ფართედ გამოიყენება ავტონომიური

კომპონენტების ანსამბლების პრინციპების რეალიზაცია ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა რეალურთან მიახლოებული პირობებში.

5. ნაშრომში „კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდების მიკროპროგრამული სახით წარმოდგენისა და მათი სტრუქტურული რეალიზაციის საკითხების შესახებ“ შემოთავაზებულია მათემატიკური აპარატი, რომელსაც საფუძვლად უდევს ალგორითმული (მიკროპროგრამული) ალგებრის სისტემის - ოპერატორული $G(G_1, G_2, \dots)$ ალგებრის და პირობის $P(\alpha, \beta, \dots)$ ალგებრის ცნება, რომელთა ტერმინებშიც შეიძლება იყოს აღწერილი სხვადასხვა სახის ალგორითმული პროცესები. აღნიშნული ალგებრები წარმოდგენილია ერთრეგისტრიანი ან მრავალრეგისტრიანი პერიოდულად განსაზღვრული გარდასახვების სახით, რომელთა ტერმინებშიც აღიწერება ზოგიერთი ალგორითმული პროცესების მიკროპროგრამები. ცნობილია, რომ ოპერატორული ალგებრის ელემენტებს უწოდებენ ოპერატორებს და განსაზღვრულია ისინი ინფორმაციულ სიმრავლეზე, სადაც იმ რეგისტრების მდგომარეობათა საერთო რიცხვია, რომლებიც მონაწილეობას ღებულობს სისტემაში მიმდინარე გამოთვლით პროცესებში. დაუშვათ, რომ $X^R = \{ \dots, x^{-1^R}, x^{0^R}, x^{1^R}, \dots \}$, სადაც $R=1,2,3,\dots$, ორმხრივ უსასრულო რეგისტრების ერთობლიობაა და მათი ყოველი n -ური ($-\infty < i < \infty$) ელემენტი (ე.წ. ტრიგერი) ღებულობს ერთ-ერთ მნიშვნელობას სიმრავლიდან $E_2 = \{0,1\}$. ოპერატორული ალგებრის (როგორც ბაზურს, ასევე მათგან წარმოებულს) უწოდებენ ოპერატორებს, რომლებიც განისაზღვრება (ერთრეგისტრიანი ან მრავალრეგისტრიანი პერიოდულად განსაზღვრული) გარდასახვებით სიმრავლისა სიმრავლეში. პირობის ალგებრის ელემენტები (როგორც ბაზურს, ასევე მათგან წარმოებულს) განისაზღვრება ინფორმაციულ სიმრავლეზე, როგორც პირობები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღოს ერთ-ერთი მნიშვნელობა თავისი სამი მნიშვნელობიდან $\langle T, F, U \rangle$, სადაც T-true, F-false, U-unknown. ოპერატორულ ალგებრაში ძირითად ოპერაციად მიღებულია გამრავლების ოპერაცია ანუ ოპერატორების თანამიმდევრული შესრულება, ხოლო პირობის ალგებრაში - ოპერაციები: კონიუნქცია, დიზიუნქცია, ინვერსია. ნაშრომში ნაჩვენებია ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება G, P ალგებრების ურთიერთდაკავშირება.

6. მოცემულ ნაშრომში „ინფორმაციის დაცვის ზოგიერთი მეთოდის მიკროპროგრამული სახით წარმოდგენა“, შემოთავაზებული მათემატიკური აპარატის გამოყენებით შედგენილია მიკროპროგრამები კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის (ცეზარის, ვიჟინერისა და ვერნამის) ტექსტური ინფორმაციის - TI დაშიფვრისა და გაშიფვრის მეთოდების და შესრულებულია ამ მიკროპროგრამების სტრუქტურული რეალიზაცია.

ნაშრომში აღწერილ მიკროპროგრამებში (დაშიფვრა/გაშიფვრის ალგორითმებში) გამოყენებულია არა მარტო ინგლისური ენის - EN, არამედ ქართული - KA და რუსული - RU ენების ფონტის შემცველი სიმბოლოების ნაკრებები, რომლებიც გამოიყენება დასაშიფრი TI ფორმირებისათვის (შესადგენად). აღნიშნულ ფონტებში შემაგად სიმბოლოების ჯამურ ნაკრებს ვუწოდოთ α - ალფაბეტი. ყოველ სიმბოლოს, რომელიც ეკუთვნის α ალფაბეტს, თავის მხრივ, ცალსახად შეესაბამება გარკვეული

რიცხვითი მნიშვნელობა - მისი შესაბამისი კომპიუტერული კოდი. ამგვარად, DasTI და DamTI შეიძლება აგრეთვე წარმოდგენილ იქნეს დადებით მთელ რიცხვთა მნიშვნელობებით.

ცეზარის მეთოდის არჩევის შემთხვევაში, X^2 რეგისტრის ყოველ $i(i=1,2,\dots,m)$ ნაწილში შეიტანება დამშიფრავი სიმბოლოს K_1^k კოდის ორობითი მნიშვნელობა, რადგან ცეზარის მეთოდით TI-ის დასაშიფრად/გასაშიფრავად, როგორც ცნობილია, გამოიყენება ერთი სიმბოლო.

ვიჯინერის მეთოდის არჩევის შემთხვევაში ცნობილია, რომ დამშიფრავი სიმბოლოების რაოდენობა $n < m$. ამიტომ შერჩეულ DamTI -ში შემავალი სიმბოლოების გამოყენებით ფორმირდება m სიგრძის ახალი სტრიქონი - AS_DamTI, რომლის ყოველი სიმბოლოს რიცხვითი მნიშვნელობა შეიცვლება მისი შესაბამისი ორობითი კოდით და შეიტანება X^2 რეგისტრში.

ვერნამის მეთოდის არჩევის შემთხვევაში, რადგან $m=n$, X^2 რეგისტრის ყოველ i -ურ ნაწილში შესაბამისად შეიტანება დამშიფრავი სიმბოლოს K_i^k კოდის ორობითი მნიშვნელობა.

7. ნაშრომში, „არაწრფივი, არასტაციონალური ჩაკეტილი მართვის სისტემის იდენტიფიკაცია მრავალი ცვლადის მახასიათებელი ფუნქციების საშუალებით“ წარმოდგენილია არაწრფივი ობიექტების იდენტიფიკაცია მახასიათებელი (ბლოკ) ფუნქციების საშუალებით, როდესაც საიდენტიფიკაციო ობიექტი მიეკუთვნება არასტაციონალურ სისტემათა კლასს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია არაწრფივი, არასტაციონალური ობიექტის იდენტიფიკაცია ჩაკეტილი მართვის სისტემის შემთხვევაში.
8. სტატიაში „არაწრფივი, არასტაციონალური, დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაცია ფუნქციონალური მწკრივების საშუალებით“ განხილულია არაწრფივი, არასტაციონალური დინამიკური ობიექტების იდენტიფიკაციის საკითხი ფუნქციონალური მწკრივების საფუძველზე.
ობიექტის დინამიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ვოლტერას ფუნქციონალური მწკრივის საშუალებით, ხოლო ობიექტის არასტაციონალურობა კი დროის მიმართ მწკრივის საშუალებით. მიღებულია იტერაციული ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ადაპტური მართვის სისტემები.
9. ნაშრომში „შრობის პროცესის ანალიზი მიკროკონტროლერული მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის მიზნით“ აღწერილია მარცვლეული კულტურების და ფხვიერი ნივთიერებების შრობის ტექნოლოგიური პროცესი. ნაჩვენებია და დასაბუთებულია შრობის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავების და შექმნის მიზანშეწონილობა თანამედროვე მიკროკონტროლერული ტექნიკის ბაზაზე შრობის პროცესის მართვის ხარისხობრივად ახალი დონის მისაღწევად. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მარცვლეულის შრობის პროცესის უნივერსალური ციფრული მართვის ავტომატიზებული სისტემის (მას) შექმნა საშუალებას მოგვცემს მარცვლეულის და ფხვიერი ნივთიერებების შრობა ჩავატაროთ ეფექტური და ენერგოდამზოგი ხერხებით.

10. ნაშრომში „კომერციული საქმიანობის მასობრივი მომსახურების სისტემის იმიტაციური მოდელის შემუშავება MatLab გარემოში“ განხილულია ორგანიზაციის მასობრივი მომსახურების სისტემის (მმს) იმიტაციური მოდელის აგება, გამართვა და ტესტირება. ჩატარებულია იმიტაციური მოდელირების ინსტრუმენტული საშუალებების მიმოხილვა. წარმოდგენილია მმს იმიტაციური მოდელირების შედეგები, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნები და რეკომენდაციები ორგანიზაციის ოპტიმალური მართვისათვის.
11. სტატიაში განხილულია სესიების მენეჯმენტი და სესიების იდენტიფიკატორების შენახვის მექანიზმების პრობლემები. განხილულია ამ მექანიზმების უპირატესობები და ნაკლოვანებები რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სესიების სწორი მენეჯმენტის განხორციელებაში. აპლიკაციაზე შეტევების დროს წარმოებს სესიის იდენტიფიკატორის მიტაცება და ამ იდენტიფიკატორით მანიპულირება მომხმარებლის და ვებ-სერვერის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ასეთი შეტევის მიზანია, ნებისმიერი ხერხით ხელმისაწვდომი გახდეს მომხმარებლისა და ვებ-სერვერის აქტიური სესია.
12. დამუშავებულია სატელეკომუნიკაციო ქსელის ტოპოლოგიის ფორმირების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ქსელის ხელმისაწვდომი ნაწილის ძირითად ტოპოლოგიურ მახასიათებლებს და მუშაობს საწყის მონაცემთა ამორჩევის უკმარისობის პირობებში. განხილული მეთოდი მოიცავს დამუშავებული ალგორითმების გარკვეულ თანამიმდევრობას. აგებულია ქსელის ტოპოლოგიის საწყისს მონაცემთა ფორმირების ალგორითმი, რომელიც ასახავს ქსელის ხელმისაწვდომი ნაწილის მონაცემთა შეგროვების შეზღუდვებს. შემდგომი ეტაპი გულისხმობს ქსელის სრული გრაფის აგების ალგორითმის დამუშავებას, ქსელის მიუწვდომელი ნაწილის გათვალისწინებით. შესაძლებელია, აგრეთვე, წარდგენილი მეთოდის რეალიზება პროგრამული კომპლექსის სახით.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი დზიდიგური	Методическое руководство по улучшению организационной	Бишкек 2016	121ст.

		აქტივობის		
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>1. ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდური სახელმძღვანელო შემუშავებულია ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სექტორის თანამდებობის პირებისათვის ორგანიზაციული ეფექტიანობისა და მართვის გაუმჯობესების თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობის მიზნით. სახელმძღვანელო შემუშავდა კონსულტანტთა ჯგუფის მიერ. მისი ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია „პერსონალის მართვის სისტემიდან ადამიანური რესურსის მართვის სისტემაზე გადასვლა“. ადამიანური რესურსის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მმართველობით ფუნქციას, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებულობას. ამჟამად, ორგანიზაციათა დიდი ნაწილი გადადის პერსონალის მართვის სისტემიდან ადამიანური რესურსის მართვის სისტემაზე, რადგან ამ უკანასკნელის ფუნქციები უფრო ფართოა, ვიდრე პერსონალის მართვის სისტემის. პერსონალის მართვა უმეტეს შემთხვევებში ასრულებს შუამავლის როლს ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის, ხოლო ადამიანური რესურსის მართვა, შუამავლობის გარდა, გულისხმობს ადამიანური რესურსის მართვის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებასა და დაგეგმვას, ფუნქციების ეფექტიანობის შეფასებას, განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, მართვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას, მოტივაციის სისტემის შემუშავებასა და სხვ. სახელმძღვანელოს აღნიშნულ ნაწილში აღწერილია ადამიანური რესურსის მართვის სისტემის აგებისა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმები და ინსტრუმენტები.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	A. Chirakadze, Z. Buachidze, I. Khomeriki, V. Gvakharia, M. Stamateli, N. Chakvetadze, M. Chokheli,	Arsenic pollution of soils and morbidity prevalence in Racha-Lower Svaneti district of Georgia./ Int. J.	Vol. 10, Nos. 1/2/3, 2016 Copyright © 2016 Inderscience Enterprises Ltd.	Olney, UK, Inderscience Publisher	13

	William A. Toscano, K.Chigogidze, L. Gvertsiteli, N. Bagrationi	Global Warming			
2.	A. Chirakadze, Z.Buachidze, I.Khomeriki, A. Gigineishvili, P. Kervalishvili, T.Chichua, L. Gurchumelia, T. Berberashvili, G.Kervalishvili	Combined processing of waste organic polymers and manganese bearing waste/low grade ores into fuels and low-carbon manganese alloys/ Int. J. Global Warming	Vol. 10, Nos. 1/2/3, 2016 Copyright © 2016 Inderscience Enterprises Ltd.	Olney, UK, Inderscience Publisher	21

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

1. დახლოებით 120 ათასი ტონა უადრესად ტოქსიკური დარიშხანის ნარჩენების სხვადასხვა მოლეკულური ფორმები განთავსებულია საქართველოს მთიან რაიონებში, როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის "შემკვიდრება". დანგრეული საცაგების გარშემო, ნიადაგის დარიშხანით ძლიერი დაბინძურება, წარმოადგენს დაბინძურების მაღალი რისკის საშიშროებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის. მიღებულია ინფორმაცია 13 დაავადების შესახებ მოზარდებში: კანის დაავადებები, პიგმენტაცია, კიბო; ეპიგენეტიკა, ფსიქიკური და ქცევითი, ენდოკრინული, უროგენიტალური დარღვევები; სუნთქვის, ნერვული, კუჭ-ნაწლავის დაავადებები; სიმსივნეები, ალერგია, დაზიანება და ინტოქსიკაციები. განხილულია ინტერდისციპლინური კვლევები ფსიქიურ დარღვევებზე მოზარდებსა და ბავშვებში, ფსიქოლოგიური ტესტირების მეთოდების ჩართვით.
2. საქართველო შესაძლოა გადაიქცეს უნიკალურ ბუნებრივ საცდელ პოლიგინად მწვანე სამრეწველო ინდუსტრიის განსავითარებლად, თუკი გამოყენებული იქნება სახიფათო ნარჩენების მოწინავე ტექნოლოგიებით გადამუშავება.სამუშაოს მიზანია ნარჩენების გადამუშავების არსებული მეთოდების გაუმჯობესება მიკრიტალური დასხივების საშუალებით, სადაც გამოიყენება მიკროტალდებით დამუშავებული ნახმარი საბურავები და პლასტიკატები, ბურთულასაკისრებიდან ნარჩენი მანგანუმი და დაბალხარისხოვანი მაღანის მანგანუმის ოქსიდის კონცენტრატი შესაძლებელია მანგანუმის კონცენტრატი გადამუშავებულ იქნეს მაღალი კლასის მანგანუმის შენადნობად (მეტალური მანგანუმი, ნახშირბადის დაბალი შემცველობის ფერომანგანუმი, მანგანუმის კომპოზიტური შენადნობები). მიკროტალდური ღუმელი იყენებს უფრო მცირე ენერჯიას და შედეგად ორჯერ მაღალი წარმადობისაა.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	მ. ახოზაძე, ნ. ვარძიაშვილი	სივრცული ეკონომიკური პროცესები და საინვესტიციო პოლიტიკა	მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – IEC-2016, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ, 14-15 ოქტომბერი, სტუ, თბილისი
2.	ა. გაფრინდაშვილი, თ. სტურუა	ქართული ბრაუზერი „Browser G“	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ევროპული ინტეგრაცია და საქართველო. ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში. თეორია და პრაქტიკა. 19.06.2016 წ. თბილისი
3.	გ. კუჭავა, თ. სტურუა	Windows 7-ის და Mac OS X Snow Leopard -ის შედარებითი ანალიზი	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ევროპული ინტეგრაცია და საქართველო. ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში. თეორია და პრაქტიკა. 19.06.2016 წ. თბილისი
4.	გ.კოტრიკაძე, თ.მადრაძე	კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდების	1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ქ.თბილისი, 03-04 ივნისი.

		მიკროპროგრამული სახით წარმოდგენისა და მათი სქემური რეალიზაციის საკითხების შესახებ.	2. ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწ. ქ.თბილისი, 02-04 ივნისი.
5.	გ.კოტრიკაძე, ნ.დარჩია გ.კოტრიკაძე, მ.ქევიციანი, მ.ჭილაძე	ინფორმაციის დაცვა RGB ფერთა კოდების გამოყენებით	1. ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწ. ქ.თბილისი, 02-04 ივნისი. 2. წმ. გრიგოლ ფერაძის ქ.თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
6.	1. გ.კოტრიკაძე, ს.ბიკოვეი 2. გ.კოტრიკაძე, ქ.ფუტყარაძე	შებრუნებული მატრიცის მეთოდით გაშიფრული ინფორმაციის დაბალი მდებარეობა	1. ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწ. ქ.თბილისი, 02-04 ივნისი. 2. წმ. გრიგოლ ფერაძის ქ.თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

- სივრცული ევოლუციური ეკონომიკის მოდელის სტრუქტურა აიგება მაკროსისტემურ მიდგომის მიხედვით. ინვესტიციების ნაკადების ფორმირება ხდება ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე. ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპი საშუალებას გვაძლევს კლასიკური იდეა – წონასწორული ბაზრისა, ტრანსფორმირებული იქნას ლოკალურ საბაზრო წონასწორობათა პრინციპად, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან ძირითადი ევოლუციური ეკონომიკური პროცესის განვითარებისას.
აღგებრული ტოპოლოგიის-ანალიზის მეთოდის საფუძველზე შესწავლილია სივრცული ეკონომიკური პროცესის სტრუქტურა, რომლის გამოყენება ინვესტორს საშუალებას აძლევს შეარჩიოს წარმოების ის დარგები, საწარმოები და ტექნოლოგიები, რომლებშიც განხორციელებული ინვესტიცია მოუტანს გარანტირებულ მოგებას.
- დღეისათვის, ინფორმაციული საუკუნის ეპოქაში, ინტერნეტის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება თითქმის წარმოდგენილია. კომპიუტერი და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, თუმცა ინტერნეტის გარეშე თანამედროვე კომპიუტერების გამოყენება აზრს კარგავს. მოცემულ ნაშრომში სხვადასხვა ბრაუზერების (Internet Explorer, Mozilla Firefox, Google Chrome, Opera) დადებითი და უარყოფითი ასპექტებია აღწერილი. აქვეა მოცემული ქართული ვებბრაუზერის “Browser G” ზოგადი აღწერა, შეფასება და მომავალში მისი განვითარების გეგმები.

3. ნაშრომში მოცემულია Windows 7 და MacOSX Snow Leopard ოპერაციული სისტემებისა და მათი ინსტალაციისათვის აუცილებელი მინიმალური პირობების მოკლე აღწერა. მოცემულია ამ ორი ოპერაციული სისტემის შედარებითი ანალიზი და შესაბამისი დასკვნებია გაკეთებული.

4. ნაშრომში „კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდების მიკროპროგრამული სახით წარმოდგენისა და მათი სქემური რეალიზაციის საკითხების შესახებ“ შემოთავაზებულია მათემატიკური აპარატი, რომელსაც საფუძვლად უდევს ალგორითმული (მიკროპროგრამული) ალგებრის სისტემის - ოპერატორული $G(G_1, G_2, \dots)$ ალგებრის და პირობის $P(\alpha, \beta, \dots)$ ალგებრის ცნება, რომელთა ტერმინებშიც შეიძლება იყოს აღწერილი სხვადასხვა სახის ალგორითმული პროცესები. აღნიშნული ალგებრები წარმოდგენილია ერთრეგისტრიანი ან მრავალრეგისტრიანი პერიოდულად განსაზღვრული გარდასახვების სახით, რომელთა ტერმინებშიც აღიწერება ზოგიერთი ალგორითმული პროცესების მიკროპროგრამები. ცნობილია, რომ ოპერატორული ალგებრის ელემენტებს უწოდებენ ოპერატორებს და განსაზღვრულია ისინი ინფორმაციულ სიმრავლეზე, სადაც იმ რეგისტრების მდგომარეობათა საერთო რიცხვია, რომლებიც მონაწილეობას ღებულობს სისტემაში მიმდინარე გამოთვლით პროცესებში. დაუშვათ, რომ $X^R = \{\dots, x_{-1}^R, x_0^R, x_1^R, \dots\}$, სადაც $R=1, 2, 3, \dots$, ორმხრივ უსასრულო რეგისტრების ერთობლიობაა და მათი ყოველი n -ური ($-\infty < i < \infty$) ელემენტი (ე.წ. ტრიგერი) ღებულობს ერთ-ერთ მნიშვნელობას სიმრავლიდან $E_2 = \{0, 1\}$. ოპერატორული ალგებრის (როგორც ბაზურს, ასევე მათგან წარმოებულს) უწოდებენ ოპერატორებს, რომლებიც განისაზღვრება (ერთრეგისტრიანი ან მრავალრეგისტრიანი პერიოდულად განსაზღვრული) გარდასახვებით სიმრავლისა სიმრავლეში. პირობის ალგებრის ელემენტები (როგორც ბაზურს, ასევე მათგან წარმოებულს) განისაზღვრება ინფორმაციულ სიმრავლეზე, როგორც პირობები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღოს ერთ-ერთი მნიშვნელობა თავისი სამი მნიშვნელობიდან $\langle T, F, U \rangle$, სადაც T -true, F -false, U -unknown. ოპერატორულ ალგებრაში ძირითად ოპერაციად მიღებულია გამრავლების ოპერაცია ანუ ოპერატორების თანამიმდევრული შესრულება, ხოლო პირობის ალგებრაში - ოპერაციები: კონიუნქცია, დიზიუნქცია, ინვერსია. ნაშრომში ნაჩვენებია ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება G, P ალგებრების ურთიერთდაკავშირება.

5. თავდაპირველად შევისწავლეთ კრიპტოგრაფია, სიმეტრიული და ასიმეტრიული სისტემები, მეთოდები და ალგორითმები, გავარჩიეთ სირთულეები და საიმედოობის ხარისხი. არსებული მეთოდების საფუძველზე შევიმუშავეთ ახალი მეთოდები, სადაც ინფორმაციის დაცვისათვის გამოვიყენეთ ფერთა კოდები, რის საფუძველზეც, მივიღეთ ორი სახის მეთოდი: 1. ორი კანონიერი მომხმარებელი იღებს ერთი და იგივე საერთო დასაშიფრ გასაღებს ფერის სახით, შემდგომ გასაგზავნი ინფორმაციაც წარმოდგენილია ფერების სახით და იშიფრება საერთო ფერის დამატებით თითოეულზე. მიღებული იგზავნება მეორე მომხმარებელთან და უკუპროცესით ხდება გაშიფრა. 2. ანბანის ასო-ნიშნებს, ციფრებს და სასვენ ნიშნებს ცხრილის სახით მივანიჭეთ სხვადასხვა პიქსელის შავი ფერი. აღნიშნული ცხრილი არის საიდუმლო და

საერთო დასაშიფრი და შესაბამისად გასაშიფრი გასაღები არ გამოიყენება. ინფორმაცია იგზავნება პირდაპირ ცხრილიდან აღებული ფერების მიხედვით.

თქვენს ყურადღებას გაგამახვილებთ თავად პრინციპზე. მის უნიკალურობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ, თუმცა თავად განხორციელების იდეა ფრიად საინტერესო და უდავოდ საყურადღებოა. გადასაცემი ინფორმაცია საიმედოდაა დაცული და თუ არა თავად ინფორმაციის გადაცემი ან მიმღები არ გათქვამს დაშიფვრის გასაღებს, ისე ალბათობა იმისა, რომ გადაცემული ინფორმაცია გამჟღავნდება, ფრიად მცირეა.

საწყისს ეტაპზე ქართული ანბანის თითოეულ ასონიშანს ვანიჭებთ ჩვენთვის სასურველ ფერებს. ფერების გამოყენებით ხდება ინფორმაციის დაშიფვრა, ანუ თავად ფერი არის ინფორმაციაც და გასაღებიც.

წარმოდგენილი გვაქვს ორი მეთოდი: 1. საერთო დასაშიფრი გასაღების გამოყენებით; 2. ასაღების გარეშე.

მიღებული შედეგები - მივიღეთ დაცვის ორი მეთოდი, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა სიხშირის ფერები. 1. ანბანის ასონიშნებს, ციფრებსა და სასვენიშნებს მივანიჭეთ ფერები. ომხმარებლებმა მიიღეს საერთო დასაშიფრი გასაღები, რომლითაც ხდება დაშიფვრა და გაშიფვრაც. ფერების გამოყენება კი მესამე პირისათვის შეუძლებელია. 2. სხვადასხვა სიხშირის მხოლოდ შავი ფერები მივანიჭეთ ასონიშნებს, სასვენიშნებსა და ციფრებს, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით და არის საიდუმლო, გასაღები არ გამოიყენება.

6. ნაშრომში „შებრუნებული მატრიცის მეთოდით გაშიფრული ინფორმაციის დაბალი მედეგობა“ მოკლედ აღწერილია კრიპტოგრაფია. განხილულია შებრუნებული მატრიცის საშუალებით დაშიფრული ტექსტის გაშიფვრის მეთოდი. გამოთვლილია მეთოდის მახასიათებლები და დამტკიცებულია მისი არასაიმედოობა.

გარე სამყაროს მთლიანობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება მისი ინფორმაციული მთლიანობაა. ინფორმაციის გადაცემისას (ბუნებასა, ტექნიკურ სისტემებსა თუ საზოგადოებაში) იქმნება ინფორმაციული გარემო, რომელშიც კოდირების სისტემები საერთო ინფორმაციულ პროცესს ექვემდებარებიან, ხოლო ინფორმაციული სინერგიულობა (ურთიერთშეთანხმებულობა, ურთიერთთანწყობა) თვისობრივად მსგავს და საერთო სტრუქტურათა წარმოქმნას განაპირობებს, რაც განსაკუთრებით კოდირების სისტემებით აისახება და ვლინდება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი კოდი მოიცავს გარკვეულ ინფორმაციას. ზოგი მათგანი სტრუქტურული და ფუნქციონალური თვისებისაა (მაგ. გენეტიკური), ზოგი კი გამიზნულია მხოლოდ ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემისათვის, თუმცა მკვეთრი საზღვრის გავლება მათ შორის ხშირად შეუძლებელიცაა.

მოგეხსენებათ, რომ კრიპტოგრაფია ინფორმაციის დაცვა დასაიდუმლოება, ყოველთვის იყო, არის და იქნება აქტუალური სამეცნიერო დარგი. მან განვითარება ჰპოვა 1992 წლიდან. მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა დაიწყეს ინფორმაციის დაცვის მეთოდების ჩამოყალიბება, როგორცაა ცეზარის მეთოდი, ვიჟინერის მეთოდი, ვერნამის მეთოდი და ა.შ. იხ. ნახ.1. მეთოდების სპეციფიკიდან გამომდინარე, კრიპტოგრაფიაში არსებული მეთოდების მიხედვით, იგი დაიყო ორ მიმართულებად: სიმეტრიული და ასიმეტრიული სისტემები. სიმეტრიული არის ისეთი სისტემები,

რომლის დროსაც გასაღებს კანონიერი მომხარებლები არ ითვლიან, ირჩევს ერთ-ერთი კანონიერი მომხმარებელი და აწვდის მეორეს პირადად ან კურიერის გამოყენებით, ხოლო ასიმეტრიულ სისტემებში კანონიერი მომხმარებლები ითვლიან საერთო დასაშიფრ დია გასაღებს და ასევე გამოიყენება მეორე გასაშიფრი საიდუმლო გასაღები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა.ფრანგიშვილი, ი.როდონაია, ო.შონია, თ.ბახტაძე	The use of statistic complexity for security and performance analysis in autonomic component ensembles. (სტატისტიკური სირთულის გამოყენება ავტონომიური კომპონენტების ანსამბლებში უსაფრთხოების და წარმადობის ანალიზისთვის).	მე-4 საერთაშორისო კონფერენცია მათემატიკაში, გამოთვლითი და სტატისტიკური მეცნიერებაში
2	ა.ფრანგიშვილი, ო.შონია, ი.როდონაია,	Performance analysis and security in autonomic component ensembles. (წარმადობის ანალიზი და უსაფრთხოება ავტონომიურ კომპონენტების ანსამბლებში)	მოსკოვის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია ოპერციათა გამოკვლევაში

მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე

1. The use of statistic complexity for security and performance analysis in autonomic component ensembles (სტატისტიკური სირთულის გამოყენება ავტონომიური კომპონენტების ანსამბლებში უსაფრთხოების და წარმადობის ანალიზისთვის).
სტატიაში განხილულია ახალი მიდგომა ავტონომიური კომპონენტების ანსამბლში

მაგნე პროგრამების აღმოჩენისთვის და წარმადობის საჭირო დონის უზრუნველყოფისთვის. კერძოდ, სტატისტიკური სირთულის მეტრიკა ადარებს ორ ობიექტს ნორმალიზებული შეკუმშული დისტანციის (NCD) ბაზაზე და უზრუნველყოფს სტატისტიკურ კვანტიფიკაციას შემდეგი ტიპის წინადადებებს: “პროცესი X არის იგივე სირთულის დონის, რაც პროცესი Y”. შემოთავაზებულია პროცედურა, რომლის შედეგია კონკრეტული რიცხვითი შეფასება ალბათობის სიდიდის ტერმინებში იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ავტონომიური კომპონენტში მონაცემთა ნაკადი გარკვეულ საფრთხეს (მაგნე პროგრამების შეჭრის თვალსაზრისით). აგრეთვე განხილულია მიღებული შეფასების გამოყენება შესაძლებელი სხვადასხვა სცენარების განვითარებასთვის და შესაბამისი წარმადობის მახასიათებლებზე გავლენა.

2. Performance analysis and security in autonomic component ensembles (წარმადობის ანალიზი და უსაფრთხოება ავტონომიურ კომპონენტების ანსამბლებში).

სტატიაში განხილულია სტატისტიკური სირთულის მეტრიკის გამოყენება დრუბლოვან გამოთვლების ავტონომიურ კომპონენტებში. შემოთავაზებული მეთოდის თხოვლობს პროცესის X (რომელიც გენერირებს „ჟანსაღ“ ობიექტებს მაგნე პროგრამების გარეშე) და პროცესის (შესაძლო ინფექციის შემცველი) შედარებას. ობიექტები წარმოადგენენ სპეციალური მეტოდიით მოღებულ სტრიქონებს, რომლებიც შექმნილი არიან კომპონენტების შორის ინფორმაციის ნაკადების გაერთინების სფუჟველზე. შემოთავაზებული პროცედურა იძლევა მაგნე პროგრამებით ინფიცირების ალბათობის განაწილებებს და ამ საფუძველზე შესაძლებელია ავტონომიური კომპონენტების ფუნქციონირების ვერიფიკაცია და წარმადობის ანალიზი (სპეციალური მოდელების ალბათობითი შემოწმების პაკეტის PRISM საშუალებით)

მართვის ავტომატიზებული სისტემების დეპარტამენტი – 805

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – პროფესორი სურგულაძე გია

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1	გოგიჩაიშვილი გიორგი გიორგის ძე	პროფესორი
2	სურგულაძე გია გიორგის	პროფესორი
3	მეფარიშვილი ბადრი დიმიტრის ძე	პროფესორი

4	სუხიაშვილი თეიმურაზ ამბროსის ძე	პროფესორი
5	ყაჭიაშვილი ქართლოს იოსების ძე	პროფესორი
6	ღვინეფაძე გელა შალვას ძე	პროფესორი
7	ნარეშელაშვილი გულბაათ გიორგის ძე	პროფესორი
8	ჩაჩანიძე გურამ გრიგოლის ძე	პროფესორი
9	ცინცაძე ალიკო ვახტანგის ძე	პროფესორი
10	პეტრიაშვილი ლილი ნოდარის ას	პროფესორი
11	ქართველიშვილი იოსებ შალვას ძე	ასოც. პროფ.
12	კაშიბაძე მარინა მიხეილის ას	ასოც. პროფ.
13	პოჩოვიანი სიმონ მკრტიჩის ძე	ასოც. პროფ.
14	ოდუშარია კორნელი მამანტის ძე	ასოც. პროფ.
15	ჯანელიძე გულნარა ნესტორის ას	ასოც. პროფ.
16	ოხანაშვილი მაია შალავას ას	ასოც. პროფ.
17	აბულაძე ინგა ბიჭიკოს ას	ასოც. პროფ.
18	თოფურია ნინო შოთას ას	ასოც. პროფ.
19	ჩორხაული ნინო ვანოს ას	ასოც. პროფ.
20	ქრისტესიაშვილი ხატია თეიმურაზ ას	ასისტ. პროფ.

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს
საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინან- სებელი ორგანიზ.	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„მულტიმოდალური გადაზიდვების ბიზნესპროცესების ავტომატიზებული მართვა“ (N DO /26/4-142/14) 2014-2017 ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები	რუსთაველის ფონდი	პროფ. გ. გოგიჩაიშვილი	დოქტორანტი გიორგი სურგულაძე
2	„შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა მულტიმედიური ბაზების საფუძველზე“ (N DO/159/4-130/14)2014-2017 ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები	რუსთაველის ფონდი	პროფ. გ. სურგულაძე	დოქტორანტი ანა გავარდამილი
3	„მაღალი წვდომადობის მონაცემთა საცავის დაპროექტება კრიტიკული სისტემებისთვის“ (PhDF2016_219) 2016-2018 წწ. ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები	რუსთაველის ფონდი	პროფ. გ. სურგულაძე	დოქტორანტი გიორგი კვიციანი

პუბლიკაციები:

საქართველოსა და უცხოეთში:

მონოგრაფია

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სურგულაძე გ., ფხაკაძე ც., კვეციანი ა.	ორგანიზაციული მართვის ბიზნესპროცესების მოდელირება და დაპროექტება	ISBN 978-9941-0-8259-7 სტუ, „IT-კონსალტინგის ცენტრი“, თბილისი	204 გვ.
<p>განიხილება კორპორაციულ ორგანიზაციებში ბიზნესპროცესების ფორმალიზაციის, მოთხოვნილება თავანსაზღვრის, ობიექტ-ორიენტირებული ანალიზისა და დაპროექტების ეტაპების ამოცანების გადაწყვეტა, პროგრამისტ-დეველოპერებისთვის ტექნიკური და საპროექტო დავალებების მომზადება, ტესტირებისა და დანერგვის პროცედურების ავტომატიზაციით დამკვეთ ორგანიზაციაში. ყოველი ამოცანა განიხილება IT-სერვისის სახით და ემსახურება ორგანიზაციის ბიზნეს იზნების შესრულების მხარდაჭერას. მონოგრაფია ორიენტირებულია ორგანიზაციული მართვის ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის საკითხებით დაინტერესებულ კითხველზე, აგრეთვე მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სპეციალისტების მაღალი კურსის ბაკალავრიატის სტუდენტებსა და მაგისტრანტ-დოქტორანტებზე.</p>				

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ს. პოხოვიანი	„მორწმუნის რეჟიმების მართვის ავტომატიზებული სისტემა“	თბილისი; სტუ; „ტექნიკური უნივერსიტეტი“	132
<p>ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე:</p> <p>მონოგრაფიაში განიხილება დაპროექტების მეთოდოლოგია როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწმუნის რეჟიმების მართვის ავტომატიზებული სისტემებისათვის (მთლიანობაში), ასევე მისი შემადგენელი ინფორმაციული, მათემატიკური და პროგრამული</p>				

ქვესისტემებისათვის. მონოგრაფიაში აღწერლია კულტურების მორწყვის რეკიმებისათვის არსებული მეთოდების ანალიზი და განხილულია მათი თავისებურებანი. ჭარმოდგენილია მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი მეთოდები და მოდელები, საინფორმაციო ბაზა, ალგორითმული და პროგრამული უზრუნველყოფები და დიალოგური პროცედურები.

სახელმძღვანელო

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სურგულაძე გ, თურქია ე.	პროგრამული სისტემების მენეჯმენტის საფუძვლები	ISBN 978-9941-20-651-1 სტუ, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი	350 გვ.
2	სურგულაძე გ,	დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი	ISBN 978-9941-0-8692-2 სტუ, „IT-კონსალტინგის ცენტრი“, თბილისი	272 გვ.

- განიხილება მართვის საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ობიექტორიენტირებული ანალიზის, დაპროექტების, დეველოპინგის, ტესტირების, დანერგვისა და რეინჟინერინგის საკითხები. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება გამოყენებითი სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის უნიფიცირებულ (UML) და მოქნილ (Agile) მეთოდოლოგიებზე, სასიცოცხლო ციკლის გუნდური მენეჯმენტის ამოცანებზე. სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია პროგრამული სისტემების მენეჯმენტის როგორც თეორიული საფუძვლები, ასევე ლაბორატორიული პრაქტიკუმის ამოცანები. გამოყენებულია MsVisual Studio.NET Framework 4.5 ინტეგრირებული სამუშაო გარემოში. წიგნი ორიენტირებულია პროგრამული ინჟინერიისა და მართვის საინფორმაციო სისტემების სპეციალობების ბაკალავრებზე, მაგისტრანტ-დოქტორანტებსა და პროგრამული უზრუნველყოფის მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველზე.
- განიხილება „მაიკროსოფტის“ კორპორაციის ახალი ჰიბრიდული პროგრამული ტექნოლოგიები მართვის საინფორმაციო სისტემების აპლიკაციების ასაგებად.

<p>შემოთავაზებულია MsVisual Studio.NET Framework 4.0/5 ინტეგრირებულ გარემოში Windows- და Web- დანართების (კომპიუტერული სისტემების) დაპროგრამების ინსტრუმენტული საშუალებები WPF, Workflow და WCF ტექნოლოგიებით და Ms SQL Server პაკეტის ბაზაზე. იგი ეფუძნება XAML (სისტემის დიზაინის ნაწილი) და C# (სიტემის ლოგიკური ნაწილი) ენების და რელაციური ბაზების კომპლექსურ გამოყენებას. წარმოდგენილია როგორც თეორიული, UML/Agile და ITIL მეთოდოლოგიების, ასევე პრაქტიკული ღირებულების ამოცანები და მეთოდური ინსტრუქციები სხვადასხვა გამოყენებითი სფეროს ავტომატიზებული სისტემების დასაპროგრამებლად. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ინფორმატიკისა და მართვის საინფორმაციო სისტემების სპეციალობის ბაკალავრიატის მაღალი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის.</p>				
1	ბადრი მეფარიშვილი გულნარა ჯანელიძე	Web დანართების პროგრამული რეალიზაცია MySQL-ის გამოყენებით. ISBN 978-9941-20-618-4	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	291
2	ბადრი მეფარიშვილი გულნარა ჯანელიძე	განაწილებული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle . ISBN 978-9941-20-615-3	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	240
<p>1. განხილულია მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა MySQL გარემოში ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების აღწერილობა საგნისათვის „Web დანართების პროგრამული რეალიზაცია MySQL-ის გამოყენებით“.</p> <p>2. განხილულია ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების მეთოდიკა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle 10g XE გარემოში. განკუთვნილია ინფორმატიკის დარგის სტუდენტებისათვის.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ.ჩოგოვაძე, ა.ფრანგიშვილი,	მართვის ავტომატიზებული	საერთაშ. შრ. კრებ. „მართვის	სტუ, ინფორმატიკის	16 გვ.

	გ.გოგიჩაიშვილი, ვ. დიდმანიძე. გ.სურგულაძე,	სისტემები და პროგრამული ინჟინერია: ინოვაციები საუნივერსიტეტო განათლების სფეროში	ავტომატიზებუ ლი სისტემები“ №1(21) ISSN 1512-3979	ფაკ., IT- კონსალტინგის სამეცნ.ცენტრი	9-24
2	გ. სურგულაძე, ნ. თოფურია, ა.გავარადაშვილი, მ.კაშიბაძე	მონაცემთა ბაზის და პროექტების ავტომატიზაცია შავი ზღვის ეკოლოგიური სისტემისათვის	საერთაშ.შრ.კრე ბ. „მართვის ავტომატიზებუ ლი სისტემები“ №1(21) ISSN 1512-3979	სტუ, ინფორმატიკის ფაკ., IT- კონსალტინგის სამეცნ.ცენტრი	4 გვ. 165-168
3	გ. სურგულაძე, ნ. კვიციანი, გ. კვიციანი	კორპორაციული აპლიკაციების აგება და პროგრამების სერვისორიენტირებუ ლი ტექნოლოგიით	საერთაშ. შრ. კრებ. „მართვის ავტომატიზებუ ლი სისტემები“ №1(21) ISSN 1512-3979	სტუ, ინფორმატიკის ფაკ., IT- კონსალტინგის სამეცნ.ცენტრი	6 გვ. 230-235
4	გ. სურგულაძე, კ. ოდიშარია, ც.ფხაკაძე, ა. კეკელიძე, გ.ჩერქეზიშვილი	საფინანსო ორგანიზაციის ბიზნესპროცესების და IT-სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასება	საერთაშ.შრ.კრე ბ. „მართვის ავტომატიზებუ ლი სისტემები“ №1(21) ISSN 1512-3979	სტუ, ინფორმატიკის ფაკ., IT- კონსალტინგის სამეცნ.ცენტრი	6 გვ. 248-253
5	ი.აბულაძე	დრუბლოვანი გამოთვლების კონცეფცია და პერსექტივები	მეცხრე საერთ. სამეცნიერო კონფერენცია: განათლების მენეჯმენტი: „მიმდინარე გამოწვევები და განვითარების პერსექტივები“, 2016, გორი,	თბილისი, შპს ”ჯეოპრინტი“	

			საქართველო		
6	ინგა აბულაძე	CLOUD AND DISTRIBUTED COMPUTING	ქართული ელ. სამეცნიერო ჟურნალები, კომპიუტერული მეცნიერებანი და ტექნოლოგიები, 2016, №2(48)	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	
7	ინგა აბულაძე	ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიები საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის	ქართული ელ. სამეცნიერო ჟურნალები, კომპიუტერული მეცნიერებანი და ტექნოლოგიები, 2016, №2(48)	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	
8	ი. ქართველიშვილი თ. თოდუა	წრფივი პროგრამირების ამოცანის ოპტიმალური ამონახსნების მოძებნა მცირე საწარმოს მუშაობის მაგალითზე	სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაც ია და ბიზნესი“, სპეციალური გამოშვება №1	თბილისი, 2016 წ. გამომცემლობა „დანი“	6
9	ი. ქართველიშვილი თ. თოდუა	თამაშები უნაგირა წერტილით და თამაშის ამონახსნი შერეული სტრატეგიის არეში	სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაც ია და ბიზნესი“, სპეციალური გამოშვება №1	თბილისი, 2016 წ. გამომცემლობა „დანი“	4
10	გიორგი სურგულაძე, ლია პეტრიაშვილი, მაია ოხანაშვილი,	უნიფიცირებული მოდელების აგება ტვირთების მულტიმოდალური	2016 №1(21)	სტუ	156–164

	მარინე ბიტარაშვილი	გადაზიდვების ბიზნესპროცესების მართვისათვის შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები			
11	გიორგი გოგინაიშვილი, სიმონ პოხოვიანი, სერგო მანუკოვ	„სტომატოლოგიურ კლინიკაში პროცესების ავტომატიზაციის თვის ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება“; საერთაშორისო პერიოდიული სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი” (Iშშ 1512-0333)	I(54)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი “ინტელექტის” პერიოდულ- სამეცნიერო გამომცემლობა	3
12	Chachanidze G. Gvinepadze G.	Advancing Language Technology to Build. Cross-Cultural Bridges Multilingualism in Cyberspace.	Proceedings of the Ugra Global Expert Meeting. (Khanty-Mansiysk, Russian Federation, 4–9 July, 2015).	Interregional Library Cooperation Centre, Moscow, 2016.	7
1.	A. Prangishvili I. Rodonaia T. Bakhtadze	The use of statistic complexity for security and performance analysis in autonomic component ensembles	MCCSS'16 probalistic mathematical models Barcelona, Spain February 13-15, 2016		111-119
2.	Chogovadze G.	Game theory and game solution in mixed strategy area on agrofir example	Московская международная конференция по исследованию Moscow 2016		209-212

3.	Прангишвили А. И. Родоная И. В. Шония О. Б.	Performance analysis security in autonomic component ensembles	Московская международная конференция по исследованию операции. (ORM - 2016) Moscow 2016		258-261
4.	ლ. ყოლბაია	ნორმატიულ- სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი ურთიერთკავშირის მათემატიკური მოდელის დამუშავება	Air transport international scientific journal. საავიაციო ინსტიტუტის რეპეტიტი. 2016.		100-104
5.	ლ. ყოლბაია	საცნობარო- სამართლებრივი სისტემაში ნორმატიულ- სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციის და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება	Air transport international scientific journal. საავიაციო ინსტიტუტი თბ. 2016.		93-99
1	ბადრი მეფარიშვილი მაკა ცერცვაძე გულნარა ჯანელიძე	ONE APPROACH TO SUPPLY CHAIN OPTIMIZATION FOR DECISION MAKING	შრომები `მართველთა საავიაციო ინსტიტუტის რეპეტიტი` #1(19), 2016, ISSN 1512- 3979.	სტუ	გვ.110- 116 6 გვერდი

2	გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი	ევოლუციური ალგორითმები ინფორმაციის დაცვის ამოცანებში	შრომები `მართვის ავტომატიზებუ ლი სისტემები` #1(21), 2016. ISSN 1512-3979.	სტუ	გვ.122- 127 5 გვერდი.
3	გულნარა ჯანელიძე ბადრი მეფარიშვილი	მონაცემთა ბაზის შექმნა ტურისტული ბიზნესის მართვისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები“ , თბილისი 7-8 მაისი 2016წ. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“ , ISBN 480- 55525-00-35-4	თბილისი, სეუ	გვ. 292- 298. 6 გვერდი
4	გულნარა ჯანელიძე ლილი პეტრიაშვილი, თამარ მეფარიშვილი	კომპანიაში ბიზნეს- პროცესების ორგანიზების და მართვის ზოგიერთი საკითხი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სეუ 2016“, თბილისი 3-4 ივნისი 2016წ. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“ , ISSN 1987-8591	თბილისი, სეუ	გვ. 319- 326 7 გვერდი

ანოტაცია ქართულ ენაზე

1. განიხილება ინფორმატიკის, როგორც კომპლექსური, ინტერდისციპლინარული მეცნიერების არსის, მისი სტრუქტურული კომპონენტების ანალიზის, თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციათა საკითხები. გადმოცემულია სტუ-ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ დეკარტამენტის მისია, ისტორიული როლი და

ბოლო წლების მიღწევები ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, დაპროექტების და პროგრამული რეალიზაციის მიმართულებით. ვრცლადაა წარმოდგენილი პროგრამული ინჟინერიისა და მონაცემთა მენეჯმენტის თანამედროვე ფუნდამენტური საკითხების სწავლებისა და კვლევის პროგრამები და მიმართულებები. განიხილება ჰიბრიდული პროგრამული პლატფორმები, ენები და ფრეიმვორკები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა მოწინავე ქვეყნების უნივერსიტეტებში. ასახულია ის ძირითადი ინოვაციური საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებები, რომლებიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 45-წლის იუბილარ - „მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის)“ კათედრაზეა წარმოდგენილი უმაღლესი განათლების სფეროს ბოლო ათწლეულის რეფორმების ფონზე.

2. განიხილება შავის ზღვის საქართველოს აკვატორიაში ეკოლოგიური საინფორმაციო სისტემის მონაცემთა მულტიმედიაური ბაზის ავტომატიზებული დაპროექტების ამოცანა. განისაზღვრა ის ობიექტები, რომლებიც აღწერს სინტაქსურად და სემანტიკურად ზღვის ეკოსისტემის ძირითად პარამეტრებს, კერძოდ: ზღვის პარამეტრები, მდინარე, ესტუარი, მოწყველადი უბანი, შ-კოორდინატები, სენსიტური უბანი, წყლის სინჯის ფაქტორები და ა.შ. აგებულ იქნა ზღვის ეკოსისტემის კონცეპტუალური მოდელი ობიექტ-როლური მოდელირების ინსტრუმენტის გამოყენებით. იგი თეორიულად ეფუძნება კატეგორიული მიდგომის (ენის გრამატიკული წესები) და მათემატიკური ლოგიკის (ალგებრის) ერთობლივ გამოყენებას. შავი ზღვის ეკოსისტემის ექსპერიმენტული მონაცემთა ბაზა აგებულ იქნა Ms SQL Server 2012 პაკეტით, ხოლო მომხმარებლის ინტერფეისი ბაზის მხარდასაჭერად კი - MsVisual Studio.NET 2013 ინტეგრირებულ გარემოში.

3. განხილულია კორპორაციული მართვის ობიექტების პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების თანამედროვე ფრეიმვორკები კომპანია მაიკროსოფტის პროგრამული პლატფორმების გამოყენებით: ASP.NET Web Forms, ASP.NET MVC და Silverlight. ყურადღება გამახვილებულია დაპროგრამების ტექნოლოგიების მახასიათებლებზე, შესაბამისი პრაქტიკული ექსპერიმენტების საფუძველზე გამოვლენილია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რეალურ ამოცანებზე მუშაობისას, რა შემთხვევებში აჯობებს დაპროგრამების ამა თუ იმ ტექნოლოგიის არჩევა. წარმოდგენილია ვებ-აპლიკაციების შემუშავების პრაქტიკული ამოცანა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მაგალითზე და მისი რეალიზაცია Microsoft Visual Studio, MsSQL Server პროგრამული ინსტრუმენტებით. განიხილება აგრეთვე მონაცემთა არარელაციური ბაზების გამოყენების შესაძლებლობის კონცეფცია ამ სისტემებში

4. განხილულია საფინანსო ბანკის საკრედიტო რისკების შეფასების მოდელები: VaR, სკორინგის ალგორითმი, ალტმანისა და ფულმერის მოდელები, რომლებიც გამოიყენება ბანკის აუდიტის მიერ დასაკრედიტებელი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის პროგნოზირებისათვის. განისაზღვრება იტ-სამსახურის როლი შესაბამისი ბიზნესპროცესების რისკების შესაფასებლად. კონკრეტული მართვის ობიექტისთვის, მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგალითზე, ფულმერის მოდელის გამოყენებით გაანგარიშებულია საკრედიტო რისკების შესაბამისი მნიშვნელობები.

ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში. ნაშრომში განხილულია წარმოების მართვის პროცესში ობიექტის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენების საკითხები წარმოების ეფექტური დაგეგმვისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. მცირე საწარმოსთვის აგებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და " ომ ორ ჭინდოვს" პროგრამული პაკეტის გამოყენებით ნაპოვნია წრფივი პროგრამირების ამოცანის ოპტიმალური ამონახსნები.

ნაშრომში განხილულია თამაშთა თეორიის გამოყენება კონფლიქტური სიტუაციების ანალიზისათვის, განუსაზღვრელობის ის ფაქტორები რომლის არსებობაც მოცემული სიტუაციის ძირითადი მახასიათებელი თვისებაა, ასევე მინიმალური სტრატეგიების განსაზღვრის გზები. მოყვანილია კონკრეტული კონფლიქტური სიტუაცია აგროფირმის მაგალითზე, რომლისთვისაც ოპტიმალური ამონახსნის ძიება ხდება შერეული სტრატეგიების არეში. განხილული მაგალითისათვის ნაპოვნია ოპტიმალური ამონახსნები და მოცემულია შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები.

განხილულია: ღრუბლოვანი გამოთვლების (Cloud Computing) ტექნოლოგიისა და ხერხების გამოყენება სტომატოლოგიურ კლინიკაში ძირითადი ფუნქციების და ამოცანების ავტომატიზაციისთვის. აღწერილია: ღრუბლის განლაგების და მომსახურების ძირითადი მოდელები; ძირითადი ინფორმაციული პროცესები, რომლებიც საჭიროა ავტომატიზაციისთვის სტომატოლოგიურ კლინიკაში (პაციენტების რეგისტრაცია; თანამშრომელთა მუშაობის ელექტრონული განრიგის ორგანიზაცია, პაციენტების ელექტრონული არქივი; პაციენტების ყბა-სახის მიდამოს დაავადებების დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემის ორგანიზაცია; საბუღალტრო აღრიცხვა; გაწეული მომსახურების და ფინანსების აღრიცხვა; მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და ა.შ.), ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე; ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი უპირატესობები, მათ შორის მონაცემთა დამუშავების და შენახვის უსაფრთხოება სისტემაში.

ნაშრომში განხილულია სამეტყველო ენისა და კომპიუტერული მეცნიერებების ინტერდისციპლინარული კავშირების სენტენციები. ყურადღებას ვამახვილებთ, როგორც ტრადიციულ თემებზე, ასევე ორიგინალური - კომპიუტერული სისტემების დამუშავებისას გამოყენებული მეთოდების მისადაგებაზე ენის წარმოშობა-განვითარების საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან, ვიკილექსიკონის სრულყოფის მიზნით შემოთავაზებულია საიტის ორგანიზების ახალი კონცეფცია.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	G. Surguladze, A. Gavardashvili, N.Topuria	Determination of the Ecological Parameters of the Black Sea and Designing its Multimedia Base based on the Object-Role Modeling	XXVII internat. Scientific Conf. "Problems of Decision Making under Uncertainties". Kiev. Mai
2	გ. სურგულაძე, გ. კვიციანი	ტრანზაქციის იზოლირების დონეები რელაციურ და არარელაციურ მონაცემთა ბაზებში	III-საერთ.სამეცნ.კონფ. „კომპიუტინგი/ინფორმატიკა“, სტუ, თბილისი, 1-3 ოქტ. 2016
3	გ. სურგულაძე, ლ. პეტრიაშვილი, ნ.თოფურია	მულტიმოდალური გადაზიდვების სერვის-ორიენტირებული სისტემის აგება CASEდაSHAREPOINT ტექნოლოგიებით	III-საერთ.სამეცნ.კონფ. „კომპიუტინგი/ინფორმატიკა“, სტუ, თბილისი, 1-3 ოქტ. 2016
4	Чачанидзе Г, Дидманидзе И.	Троица современной бизнес-модели.	II Международный научно-практический форум «НАУКА И БИЗНЕС». Днепр. Украина, 1 Июля 2016.
5	Чачанидзе Г, Дидманидзе И.	Экономика знаний как важный компонент инновационного цикла бизнес-экономики.	Международный научно-практический семинар «ЭКОНОМИКА И ЗНАНИЯ». Днепропетровск. Украина, 22 Апреля2016.
6	Chachanidze G.	Measuring the functions of education quality evaluation in the conditions of uncertainties.	XXVII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES. Tbilisi – Batumi, 23-27 May 2016.
7	Chachanidze G., Eray O.	The algorithmis support of rational decision making processes of academic mobility	XXVII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES. Tbilisi – Batumi, 23-27 May 2016.
8	Chachanidze G., Nanobashvili K.	Functional analysis and evaluation of subjects potential abilities in the conditions of	XXVII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES.

		uncertainties	Tbilisi – Batumi, May 23-27, 2016.
9	Chachanidze G., Nanobashvili K.	Structural model for indicated managements decision-making on the citys social-economic processes.	XXVIII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES. Brno, Czech Republic, August 25 – 30, 2016.
10	Nanobashvili K., Chachanidze G., Jikia D.	Indicated management principles of citys social-economic processes.	XXVIII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES. Brno, Czech Republic, August 25 – 30, 2016.
11	ფრანგიშვილი ა., ჩაჩანიძე გ., ნანობაშვილი ქ.	დისტანციური განათლების ინტერდისციპლინარული პროცესების მოდელირება	IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. თბილისი, 1 – 3 ოქტომბერი, 2016.
12	გასიტაშვილი ზ., ჩაჩანიძე გ., სისაური ე.	კორპორაციული სწავლების ხელშემწყობი დიდაქტიკური საინფორმაციო სისტემის აგების კონცეფცია.	IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. თბილისი, 1 – 3 ოქტომბერი, 2016.
13	ჩაჩანიძე გ., კაკაშვილი გ.	ობიექტზე ორიენტირებული ანალიზი, როგორც სისტემური მოდელირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი	IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. თბილისი, 1 – 3 ოქტომბერი, 2016.
14	ჩაჩანიძე გ., კურტანიძე ზ.	საკრედიტო რისკების მართვის ხელშემწყობი ინფორმაციული ბაზის ფორმირების კონცეფცია	IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. თბილისი, 1 – 3 ოქტომბერი, 2016.
15	Chachanidze G, Goisashvili I.	THE ANALYSIS OF THE STATUS OF COMMON CORPORATE LANGUAGE IN MULTINATIONAL	IVსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

		CORPORATIONS OPERATING IN GEORGIA.	“კომპიუტინგი, ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. თბილისი, 1 – 3 ოქტომბერი, 2016.
<p>4. მოხსენებაში ვიხილავთ და ვაანალიზებთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ, თანამედროვე ბიზნესმოდელის სამეულს: ცოდნის ეკონომიკას, ინოვაციებს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ამ სამეულის თანაქმედების ფილოსოფია უზრუნველყოფს წარმატებულ ბიზნესს.</p> <p>5. ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა ეკონომიკა. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, მეტად საინტერესოდ იკითხება ტერმინი - „ცოდნის ეკონომიკა“. მოხსენებაში ვიხილავთ ცოდნის ეკონომიკას, როგორც ბიზნეს-ეკონომიკის ინოვაციური ციკლის შემადგენელ ნაწილს, და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.</p> <p>6. განათლების ხარისხის მენეჯმენტის საკრედიტო სისტემა წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის შედეგიანობის გამნმსახდრელ ფაქტორს. უმაღლესი განათლების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული საკრედიტო სისტემით გათაღისწინებული სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის ხარისხზე, სადაც ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ხარისხის ფუნქციონალი გვევლინება. მოხსენებაში განიხილება განუსახდრელობის პირობებში ხარისხის შეფასების ფუნქციონალის გამოთვლა.</p> <p>7. მოხსენებაში ვიხილავთ სტუდენტის აკადემიური მობილობის ფარგლებში რაციონალური გადაწყვეტილების მიღების ინფორმაციული მხარდაჭერი გზების შემუშავებასთან დაკავშირებულ ალგორითმს, რომელიც მოიცავს: საბაზო და მიმღები უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კომპეტენციების შედარებითი ანალიზს; დისციპლინათა რაციონალურ შერჩევას და მის შეტანას აკადემიური მობილობის შესაბამის დოკუმენტში და სხვ.</p> <p>8. მოხსენებაში პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებლის კლასიფიკაციის საფუძველზე ვაანალიზებთ უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის საკრედიტო სისტემის ძირითად ფუნქციონალებს და მათ შინაარსს აღნიშნული მაჩვენებლებისა და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ანალიზის საშუალებით დგინდება ფაქტობრივი მონაცემის გადახრა ნორმატიულიდან ან სასურველი შედეგიდან, რომლის მეშვეობით ვადგენთ შესაბამის შეფასებებს.</p> <p>9. ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით ვაგებთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის ზოგადსტრუქტურულ მოდელს. სტრუქტურული მოდელი ჩვენ შემთხვევაში არის ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემდგენელი კონკრეტული ელემენტების ერთობლიობა, ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერდამოკიდებულება და მათი კავშირი გარე სამყაროსთან (გარემოსთან, სოციუმთან).</p> <p>10. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვისას გაურკვეველობის სიტუაციის შექმნის დროს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდელი არც საქართველოში და არც უცხოეთის ქვეყნებში სათანადო დონეზე ჯერ არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, მოხსენებაში ვიხილავთ, გაურკვეველობის სიტუაციაში ქალაქის ინდიკატორული მართვის კონცეფციის დამუშავების ჩვენებულ ხედვას.</p> <p>11. დისტანციური განათლების ინტერდისციპლინარული პროცესების მოდელირების ფილოსოფიას არაწრფივი დინამიკური სისტემისკენ მივყავართ, რაც თავისთავად გამორჩევა მაღალი დონის სირთულეებით. ცხადია, ეს სირთულეები უნდა იქნეს გამოვლენილი და ვაანალიზებული, რათა ის მოვიყვანოთ სისტემური კანონზომიერების ფარგლებში და დავემორჩილოთ ეფექტიან მართვის პრინციპებს. მოხსენებაში ამ პრობლემების კვლევაზე ვამახვილებთ ყურადღებას.</p>			

12. კორპორაციული სწავლების ხელშემწყობი დიდაქტიკური საინფორმაციო სისტემის დამუშავებაში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვიყენებთ არსებულ ტრადიციულ საშუალებებს, ხოლო მის რეალიზებას ვახდენთ ინფორმატიკის დიდაქტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.
13. სისტემური მოდელირებისას სასურველია გამოვიყენოთ ობიექტზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ამცირებს პროექტირების მოცულობას და ამარტივებს პროექტირების სირთულეებს. ეს ყველაფერი ხდება გონივრული დეკომპოზიციის ხარჯზე და მრავალჯერადი გამოყენების ფრაგმენტების გამოყოფით, რაც გამოიყენება მოდელის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებად.
14. ბანკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო რისკის მართვას. რისკების მართვის ერთ-ერთი მარეგულირებელი კომპონენტია სარეზერვო ფონდი. აქედან გამომდინარე, ბანკები რეზერვის მოცულობის განსაზღვრისათვის მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს. მოხსენებაში ვიხილავთ რეზერვის განსაზღვრის ერთ-ერთ ხერხს - ბაზელის რეგულაციას.
15. განხილული და გაანალიზებული საქართველოში არსებული მულტინაციონალური კორპორაციების საერთო კორპორაციული ენის გამოყენების პრობლემები. თუ რომელ ენას აქვს საერთაშორისო ენის ფუნქცია. გაკეთებული დასკვნები, სამომავლოდ რომელი ენები შეიძლება გახდეს კორპორაციებისათვის პრიორიტეტული საქართველოში და მსოფლიოს მასშტაბით.

1	გულნარა ჯანელიძე ბადრი მეფარიშვილი	მონაცემთა ბაზის შექმნა ტურისტული ბიზნესის მართვისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები“, თბილისი, სეუ 7-8 მაისი 2016წ.
2	გულნარა ჯანელიძე ლილი პეტრიაშვილი, თამარ მეფარიშვილი	კომპანიაში ბიზნეს- პროცესების ორგანიზების და მართვის ზოგიერთი საკითხი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სეუ 2016“, თბილისი, სეუ 3-4 ივნისი 2016წ.
3	Badri Meparishvili Gulnara Janelidze Joseph Kuzmizki	SOME APPROACHES TO CLUSTERING FOR BIG DATA MINING	IV International – Scientific conference “Computing/Informatics, Education Sciences, Teacher Education”, Tbilisi, Gtu, 1-3 October, 2016

4	Iuza Jgenti Badri Meparishvili Gulnara Janelidze	ONE APPROACH TO JOIN SEQUENCE OPTIMIZATION FOR DISTRIBUTED QUERY PROCESSING	IV International – Scientific conference “Computing/Informatics, Education Sciences, Teacher Education” Tbilisi, Gtu, 1-3 October, 2016
5	Davit Kharashvili Badri Meparishvili Gulnara Janelidze	BIG DATA ANALYTICAL TECHNOLOGY TO IDENTIFY THE DISEASES	IV International – Scientific conference “Computing/Informatics, Education Sciences, Teacher Education” Tbilisi, Gtu, 1-3 October, 2016
6	გულნარა ჯანელიძე ბადრი მეფარიშვილი თამარ მეფარიშვილი	თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიები გაყიდვების ბიზნეს-პროცესში	ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები - 5, თბილისი, სტუ, 2016წ. 25-27 ნოემბერი.
7	გულნარა ჯანელიძე თამარ მეფარიშვილი	გაყიდვების ბიზნეს-პროცესის ანალიზის მეთოდები	საერთაშორისო სამეცნიერო საინფორმაციო – “SEU ISC 2016” 9-10 დეკემბერი, 2016წ. თბილისი, სეუ.
<p>1. ნაშრომში წარმოდგენილია ტურისტული ბიზნესის მართვის სისტემის შექმნის ძირითადი საკითხები. მოცემული სისტემა ეფუძვნება Sql Server გარემოში შექმნილ მონაცემთა ბაზას, რომელშიც დამუშავებული ატურისტული მომსახურების ძირითადი ამოცანები, კერძოდ: შეკვეთების აღრიცხვა; მისაწვდომი ტურების, თანამშრომლების, კლიენტების და მომსახურებების შესახებ მონაცემების წარდგენა. დამუშავებული პროგრამული კომპლექსი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დროის ინტერვალი კლიენტის მიმართვიდან ხელშეკრულების დადებამდე, ამცირებს დანახარჯებს პირველადი ინფორმაციის ამუშავებისათვის, შეიცავს ნორმატიულ– საცნობარო ინფორმაციას, აწარმოებს აღრიცხვას კლიენტებთან.</p> <p>ამდენად, ნაშრომში წარმოდგენილი საინფორმაციო-სააღრიცხვო სისტემის გამოყენება ტურისტულ კომპანიებში დააჩქარებს საინფორმაციო ნაკადების დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში სერვისის გაუმჯობესებას.</p> <p>2. ნაშრომში წარმოდგენილია წესები და პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს, მართვას ბიზნეს სფეროში. დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს კომპანიის მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკას და უზრუნველყოფდეს სოციალურ სარგებლიანობას, მოთხოვნილებას და კომპანიის ლიდერობას ბაზარზე.</p>			

საქმის ეფექტურად წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია სპეციალისტების კომპეტენტურობა. თანამშრომლების პროფესიონალიზმი და გამოცდილება შეიძლება გამოვლინდეს, აღიწეროს გადასაცემი მოდელის სახით, კომპანიის ცოდნის და გამრავლების შენახვის გათვალისწინებით. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია კომპანიაში ცოდნის მართვის საკითხები. ყურადღება გამახვილებულია სისტემური აზროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ხელს უწყობს მმართველი გადაწყვეტილებების სწრაფად, დასაბუთებულად და ეფექტურად მიღებას. ნებისმიერი სფეროს ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს თანამშრომლების ცოდნის ამაღლებას, რადგან მხოლოდ პროფესიონალიზმი არის ბიზნესში წარმატების საწინდარი. წარმოდგენილია ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მეთოდები, ფუნქციების განაწილების საკითხები.

დამუშავებულია შეკვეთის მიზნით კომპანიისადმი კლიენტის მიმართვის ალგორითმი, სადაც დეტალურად არის აღწერილი კლიენტთან შემდგომი თანამშრომლობის ეტაპები. აგრეთვე, დამუშავებულია კადრების შერჩევის ალგორითმი, სადაც ზედმიწევნით არის აღწერილი კანდიდადთან ურთიერთობის ყველა შესაძლო სიტუაცია. ზემოაღნიშნული ალგორითმები ბიზნეს-პროცესების ოპერატიული და შესაბამისად, საუკეთესო შედეგებზე ორიენტირებული მართვის საშუალებას იძლევა.

3. მიდგომები Big Data Mining-ის კლასტერიზაციისთვის

არაკონტროლირებადი კლასიფიკაცია (კლასტერიზაცია) მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის უმთავრესი ელემენტია, რომელიც Big Data-

სთვის გამოიყენება. მონაცემთა უზარმაზარი რაოდენობიდან, რომელსაც გვთავაზობს Big Data, მთავარი ამოცანაა, მოვნახოთ კლასტერიზაციის მეთოდები, რომლებიც მოგვცემს შედეგებს გონივრულ ვადაში.

კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ისეთი ახალი მიდგომების შემუშავება, რომლებიც დაფუძნებულია ხელოვნურ ინტელექტზე, განსაკუთრებით კოლექტიური ცნობიერების კონცეფციაზე, Big Data-

სთან მიმართებაში. ალგორითმის მიზანია მიაღწიოს სამიზნე ფუნქციის გლობალურ (კლასტერთშორისი) ან ლოკალურ (ერთკონკრეტულ კლასტერში) ოპტიმუმს. ალგორითმი იტერაცია იულია და რამდენიმე ეტაპისგან შედგება: ინიციალიზაცია, განყოფილებების შექმნა, განახლება, შერწყმის კლასტერები (სურვილისამებრ) და ალგორითმის შესრულების კრიტერიუმით შემოწმება. ჩვენი ალგორითმი დინამიურად გამორიცხავს შესრულების კრიტერიუმს. კონვერგენციის (შესაბამისად, ენტროპიის) ნაწილაკები გვიჩვენებს, ერთი რომელიმე კრიტერიუმის საფუძველზე, როგორ შეიძლება

განისაზღვროს დისპერსიის ლოკაცია ლიდერის გარშემო, რაც მოსახერხებელია კონკრეტულ შემთხვევებში გამოსაყენებლად. გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ შემოთავაზებული ალგორითმი მნიშვნელოვნად ამცირებს პროცესუალურ ოპერაციებს, ამდენად, გვამძლევეს რესურსების ა და დროის ოპტიმიზაციის საშუალებას. შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენი ალგორითმი უფრო ეფექტიანი და ზუსტია, ვიდრე ტრადიციული მეთოდები.

4. მოთხოვნის ოპტიმიზაცია რთული ამოცანაა მომსახურების სფეროში, რადგან თავად მონაცემის მდებარეობა გადამწყვეტ ფაქტორს ასრულებს. ამ სტატიაში ჩვენ დეტალურად აღვწერთ მოთხოვნის ოპტიმიზაციის განაწილების ამოცანას.
- მოთხოვნის რუკაზე მონაწილეობს ოთხი ძირითადი ფენა, რომელთაგან თითოეული ლოკალურ მონაცემთა ბაზასთან მუშაობს. ეს ფენები ასრულებენ მოთხოვნის დეკომპოზიციის, მონაცემთა ლოკალიზების, გლობალური და ლოკალური მოთხოვნების ოპტიმიზაციის ფუნქციებს. მოთხოვნის დეკომპოზიცია და მონაცემთა ლოკალიზება შეესაბამება მოთხოვნის გადაწერას (?!). პირველი სამი ფენა სრულდება ცენტრალური საიტის მიერ და იყენებს გლობალურ ინფორმაციას. ლოკალური ოპტიმიზაცია კი ხორციელდება ლოკალური საიტების მეშვეობით. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მოთხოვნის ოპტიმიზაციაში არის შედეგობრიობის ოპტიმიზაციის გამოყენება: შედეგობრიობის მეთოდის გამოყენება მოთხოვნის პროცესების მართვისას, ზოგიერთი შეერთება ხორციელდება პირველად, ხოლო შემდეგ დასკვნითი კავშირები ხორციელდება მთავარ საიტზე.
- მოთხოვნის ოპტიმიზატორი, რომელიც მუშაობს უკვე არსებულ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებში ეძებს საუკეთესო გზას რაც საკმაოდ დრთული ამოცანაა. ამდენად, საჭიროებს ახალი და ეფექტიანი მეთოდების განვითარებას. სტატია გთავაზობთ ახალ მიდგომას, გენეტიკურ ალგორითმზე დაყრდნობით, რომელიც ახორციელებს რელაციური ალგებრის ოპერაციათა კომბინაციებს და საკმაოდ სწრაფად პოულობს ოპტიმალურ გამოსავალს.
5. დიდ მონაცემთა ანალიტიკური ტექნოლოგია დაავადებების იდენტიფიცირებისას ახალი სამედიცინო ანალიტიკური პლატფორმა გთავაზობს მდიდარ ინფორმაციას პაციენტის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების საშუალებით. ისე ხმარება სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, მიაღწიონ უკეთეს შედეგებს პაციენტის მკურნალობისას. დიდ მონაცემთა ანალიზის კონცეფცია გადამწყვეტ როლს თამაშობს კვლევებსა და პრაქტიკაში ჯანდაცვის მიმართულებით. ის გთავაზობს დავაგროვოთ, ვმართოთ, გავანალიზოთ და ავითვისოთ ჯანდაცვის სფეროდან მიღებული, მოცულობითი სტრუქტურირებული თუ რასტრუქტურირებული მონაცემები. დიდ მონაცემთა ანალიზი სულ ცოტა ხანია, რაც ჯანდაცვის სფეროში გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მალე შეძლო ადაპტაცია ამ სფეროში, მაინც არსებობს ფუნდამენტური პრობლემები.
6. გაყიდვების ტექნოლოგია შეიძლება ითქვას, რომ არის ბიზნესის გული. იგი მოიცავს კლიენტებთან მოლაპარაკებების წარმართვის ძირითად პრინციპებს, კომუნიკაციური პროცესების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ალგორითმებს, მაგალითებს. აღნიშნული ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებით შესაძლებელია პოტენციური კლიენტის მყიდველად გარდასახვა. გაყიდვების ადგილებში მარკეტინგული კომუნიკაციები ბაზარზე მომუშავე სპეციალისტებისათვის გადაიქცასაუკეთესო საშუალებად სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.
- სტატიაში წარმოდგენილია გაყიდვებში თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები. განხილულია პირადი გაყიდვების როლი და

შესაძლებლობები თანამედროვე გასაღების ბაზარზე. შედგენილია საქონლის შექმნის მიზნით კლიენტის მიმართვის დამუშავების ალგორითმი.

სტატიაში წარმოდგენილი მიდგომის მიზანია მყარი მიზნობრივი ბაზრის ფორმირება, რომელიც შექმნის მიმზიდველ პირობებს გაყიდვების განსახორციელებლად.

7. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გაყიდვების ანალიზს საჭიროა მივუდგეთ ფართო გაგებით. პროცესის სრულყოფისათვის ვერ შემოვიფარგლებით მხოლოდ გრაფიკული სქემებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროცესებში ყველა მისაწვდომი ინფორმაციის და მაჩვენებლების ანალიზი. თანამედროვე პერიოდში პროცესების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებიდან ფართო გავრცელება ჰპოვა SWOT და ABC ანალიზის მეთოდებმა. სტატიაში წარმოდგენილია გაყიდვების ბიზნეს-პროცესისათვის SWOT ანალიზის წარმართვის მეთოდიკა. ჩატარებულია ABC ანალიზი კონკრეტული მაგალითისათვის.

მართვის სისტემების დეპარტამენტი – 806

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ქეთევან კოტრიკაძე

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი:

1	ბელთაძე გურამ ნიკოლოზის ძე	პროფ.
2	კოტრიკაძე ომარ გრიგოლის ძე	პროფ.
3	ობგაძე თამაზ აბესალომის ძე	პროფ.
4	სესაძე ვალიდა კონსტანტინეს ას.	პროფ.
5	შანშიაშვილი ბესარიონ გიორგის ძე	პროფ.
6	ჯოხაძე პაატა დავითის ძე	პროფ.
7	გაჩეჩილაძე ლელა ფრიდონის ას.	ასოც. პროფ.
8	გრიგალაშვილი ჯემალ სერგოს ძე	პროფ.
9	კეკეჩაძე ვლადიმერ მიხეილის ძე	პროფ.
10	კოტრიკაძე ქეთევან ომარის ას.	ასოც. პროფ.

11	კუცია ირმა სევერიანეს ას.	ასოც. პროფ.
12	კუციავა ვასილ ალექსანდრეს ძე	ასოც. პროფ.
13	მჭედლიშვილი ნინო ფარნაოზის ას.	ასოც. პროფ.
14	ნარიმანაშვილი ნოდარ ივანეს ძე	ასოც. პროფ.
15	ხუციშვილი სულხან ალექსის ძე	პროფ.
16	დავითაშვილი ირმა ალექსანდრეს ას.	ასოც. პროფ.
17	მადლაკელიძე ნანა ილიას ას.	ასოც. პროფ.
18	მოსაშვილი ია ომარის ას.	ასოც. პროფ.
19	ხუციშვილი თეა გმირის ას.	ასისტ-პრ.
20	მაჭარაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე	მოწ.პროფ.
21	ყანჩაველი ლიანა დავითის ას.	პროფ.
22	კურკუმული ნანა გიორგის ას.	უფრ.მასწ.
23	ხუციშვილი ოლღა გმირის ას.	ასოც. პროფ.
24	იაშვილი ლაშა ზაზას ძე	უფრ.მასწ.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დასახელება: “პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების მოდელების ანალიზისა და შერჩევის მეთოდოლოგიის	რუსთაველის სახელობის სამეცნიერო	ჯემალ გრიგალაშვილი	ჯემალ გრიგალაშვილი

<p>დამუშავება და მის ბაზაზე რეალური დროის მართვის, ინჟინრული მონიტორინგისა და საინფორმაციო-გამზომი მოწყობილობების დამუშავება და გამოკვლევა”დასაწყისი: დეკემბერი 2013 წ. (საგრანტო ხელშეკრულება #41/04 12.12.2013 w.).</p> <p>დამთავრება: ივნისი 2016 წ. (შედარებითი აქტი №41/04-ა 06.06.16 წ. შიფრის № AP/93/13).</p> <p>მეცნიერების დარგი: ტექნიკური სამეცნიერო მიმართულება: საინფორმაციო ტექნოლოგიები და ტელეკომუნიკაციები</p>	<p>ფონდის გრანტი</p>		
--	----------------------	--	--

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით გასულ წელს დაფინანსებული იყო პროექტი სახელწოდებით ”პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების (პლკ) მოდულების ანალიზისა და შერჩევის მეთოდოლოგიის დამუშავება და მის ბაზაზე რეალური დროის მართვის, ინჟინრული მონიტორინგისა და საინფორმაციო-გამზომი მოწყობილობების დამუშავება და გამოკვლევა”. როგორც დასახელებიდან ჩანს, პროექტის არსი მდგომარეობდა იმ მეთოდოლოგიის შემუშავებაში, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა ტექნოლოგიური პროცესების ანდა მანქანებისა და მექანიზმების მართვისათვის გათვალისწინებული ავტომატიზაციის ამოცანების ანდა ამოცანათა ჯგუფის გადაწყვეტილებებისათვის შესაბამისი პლკ-ს შერჩევაში.

პლკ-ს შერჩევის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ დღეისათვის ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, იაპონიის მრავალი ბრენდი კომპანია ჩართულია ავტომატიზაციის პროცესებისათვის საკმაოდ ძვირი პლკ-ების დამუშავებასა და მიწოდებაში, ამას ემატება მეორეხარისხოვანი ფირმების შედარებით იაფფასიანი მოდულები, რის შედეგადაც პლკ-ების ბაზარზე სახეზეა დიდი კონკურენცია და არჩევანი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მათში ჩაშენებული ფუნქციონალური შესაძლებლობებით (პიდ რეგულირება, პოზიციონირება, სწრაფი თვლა და სხვ.), შემყვან/გამომყვანი არხების რაოდენობითა და ხასიათით (ანალოგიური და დისკრეტული შესასვლელ/გამოსასვლელები, PTO (იმპულსურ-მიმდევრობითი გამოსასვლელი) და WM (იმპულსურგანივი მოდულიაცია) გამოსასვლელები და სხვ), საკომუნიკაციო შესაძლებლობებით (Profibus, Profinet, AS-I, Modbus, Industrial Ethernet და სხვ), პროგრამული და ოპერატიული მესსიერების

მოცულობითა და ხასიათით (EEPROM, Flash და სხვ), HMI ინტერფეისისა და SCADA სისტემების მხარდაჭერით, ფასით, მწარმოებლობით და სხვ. ასეთი მრავალფეროვნება და ფუნქციონალურ/მახასიათებლური სიმრავლე და სიჭრელე მნიშვნელოვნად აძნელებს კონკრეტული ამოცანისათვის შესაბამისი პლკ-ს შერჩევას.

ამრიგად პლკ-ს შერჩევის კრიტერიუმების დამუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს კონკრეტული ამოცანისათვის შეირჩეს ოპტიმალური თავის მახასიათებლებით, მწარმოებლობით, ფასით და ა.შ.შ. პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი, წარმოადგენს მეცნიერულად აქტუალურ ამოცანას.

პროექტის დამუშავებისას ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნა მეორე მიდგომაც სასწავლო - საგანმანათლებლო მიდგომა. საქმე იმაშია, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყნის საწარმოებში სახეხეა საკმაოდ მძიმე მდგომარეობა მათი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში. დარგი განიცდის ერთის მხრივ თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ წარმოების მოდერნიზაციის აუცილებლობას, რაც მოითხოვს უფრო მაღალკვალიფიციური კადრებით დარგის უზრუნველყოფას, რაც უფრო მეტად აძძიმებს კადრების დეფიციტს.

ჩვენი მიზანი იყო უნივერსიტეტში დაგვეწერა თანამედროვე ავტომატიზაციის სისტემების სწავლება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ორ ახალ კონცეფციაზე ანუ ოცდამეერთე საუკუნის კონცეფციებზე, ესაა მექატრონიკული სისტემები და ტოტალურად ინტეგრირებული ავტომატიზაცია. დღეისათვის კი მთელი თანამედროვე ავტომატიზაცია დაფუძნებულია ამ ორ ვეშაზე ანუ მექატრონიკულ სისტემებზე (რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ინფორმატიკის, ელექტრონიკისა და მექანიკის სიმბიოზს) და ტოტალურად ინტეგრირებულ ავტომატიზაციაზე (რომელიც გულისხმობს ერთიან, უნიფიცირებულ მიდგომას ანუ უნიფიცირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, უნიფიცირებულ აპარატულ უზრუნველყოფას, უნიფიცირებულ ადამიანურ-მანქანურ ინტერფეისს, უნიფიცირებულ საკომუნიკაციო საშუალებებს ნებისმიერი სირთულის, ნებისმიერი დარგის, ნებისმიერი გამოყენების მქონე ავტომატიზირებული სისტემების აგებისათვის, იქნება ეს დაწყებული უმარტივესით - ალაყაფის კარების მართვიდან დამთავრებული ატომური ელექტროსადგურების რთული ენერგეტიკული დანადგარების მართვამდე).

ჩვენი მიზანი იყო ამ გრანტით სტუ-ში საფუძველი ჩაგვეყარა ისეთი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრისთვის (ან ლაბორატორიისთვის), სადაც აღმოფხვრილი იქნებოდა ეს ნაკლოვანებები ანუ ერთის მხრივ შესაძლებელი იქნებოდა სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა სამეცნიერო კადრების მომზადებას ანუ მაგისტრებისა და დოქტორებისა, ხოლო მეორეს მხრივ შესაძლებელი იქნებოდა წარმოებაში გამოსაყენებელი კადრების მომზადება ანუ პროფესიონალური პერსონალისა და ბაკალავრებისა.

ამიტომ იყო, რომ ჩვენ ძირითად ყურადღებას ვუთმობდით უმთავრესად ცნობილი ფირმების პლკ-ებს, რომლებიც გამორჩეულნი იქნებოდნენ მაღალი საექსპლუატაციო თვისებებით, ანუ იქნებოდნენ მედგენი არაკვალიფიციური მოპყრობისაგან

(სწავლების პროცესში სტუდენტების მხრიდან არამიზანდარდობა, მაგრამ გაუფრთხილებელი მოქმედებები) და მეორეს მხრივ ორიენტირებული იქნებოდნენ ე.წ. შტარტერ იტ შესრულებებზე. ეს უკანასკნელნი ისეთი კომპლექტებია სადაც შედის როგორც თვითონ პლკ-ები ასევე მისი სასტარტო (დაწყებითი) სწავლებისათვის საჭირო სიმულატორები, შემაერთებელი კაბელები, პროგრამული უზრუნველყოფა, სწრაფი გაშვების სახელმძღვანელოები და სხვ.

აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ პროექტში ჩადებული იყო ისეთი ბრენდი კომპანიების პლკ-ები როგორცაა: Allen Bradley - Rockwell Automation, AutomationDirect, Schneider Electric, VIPA, Siemens და სხვ.

როგორც ზემოთ იყო, აღნიშნული გრანტით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება და განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიქცეოდა სტუდენტების ჩაბმას ამ საქმიანობაში. ამ მიზნით ჩვენ პროექტში ჩავსვით ცნობილი და მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კიდევ ერთი ბრენდი Arduino Uno 3 Starter kits (6 ერთეული), რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ექვსი სამუშაო მაგიდა, რითაც შესაძლებლობა იქნება ერთდროულად 12 სტუდენტის მუშაობა. ეს სასტარტო კომპლექტები მეტად ეფექტური საშუალებაა დაწყებებისათვის ელექტრონიკისა და დაპროგრამირების საფუძვლების სწავლების საქმეში. ამ კომპლექტების გამოყენება საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოიფიქრონ და ააწყონ მოწყობილობების პროტოტიპები, ჩაატარონ ექსპერიმენტები მათზე, ანუ აწარმოონ საგამომგონებლო საქმიანობა ანუ ჩაემბან სამეცნიერო საქმიანობაში.

ამრიგად ჩვენი სამეცნიერო ცენტრის ერთერთი მთავარი მიმართულება, საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად უნდა იყოს აგრეთვე სტუდენტებისათვის საგამომგონებლო საქმიანობის სწავლება. ამ ამოცანის გადაჭრისათვის ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ საგრანტო პროექტში ჩაგვესვა კიდევ ორი უახლესი მოწყობილობა, ესენია კომპანია Qingdao Hantek Electronic Co., Ltd. -ს ფუნქციონალურ/არბიტრარული გენერატორი და კომპანია PicoTechnology- ს შერეული სიგნალების ოსცილოსკოპი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწყობილობების გარეშე საგამომგონებლო საქმიანობის წარმართვა რაიმე სერიოზული ელექტრონული სისტემების დამუშავების თვალსაზრისით შეუძლებელია. პირველ მათგანს შეუძლია გამოიმუშაოს: სინუსოიდალური, ხერხისებური, მართკუთხა, ტრაპეციული, ექსპონენციალური, სიხშირულ/ამპლიტუდურ მოდულირებული სიგნალები, ასევე თეთრი და გაუსის ხმაურის სიგნალები და არბიტრარული ანუ თვითნებური ფორმის სიგნალები, მათ შეუძლიათ შეასრულონ აგრეთვე იმპულსების თვლის ფუნქცია ანუ იმუშაონ სიხშირისმზომის რეჟიმში. მეორე მოწყობილობა წარმოადგენს მთელ ელექტრონულ ლაბორატორიას ხუთი პროფესიონალური ქვემოწყობილობით ერთ კორპუსში. შესაბამისად იგი არის ორარხიანი ანალოგიური ოსცილოგრაფი, 16 არხიანი ლოგიკური ანალიზატორი, სპექტრული ანალიზატორი, ფუნქციონალური და არბიტრარული სიგნალების გენერატორი.

ამრიგად, რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტის წყალობით ჩვენ შევძელით შეგვექმნა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის

დანიშნულება არის ერთის მხრივ სამეცნიერო-კვლევითი (მათ შორის საგამომგონებლო სამუშაოების განხორციელება) ბაკალავრების აგრეთვე მაგისტრატებისა და დოქტორანტების მომზადების თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა პროფესიული კადრების და ბაკალავრების მომზადების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის საწარმოების საჭიროებებისათვის. ამ მიზნით ჩვენს მიერ მომზადებულ იქნა ექვსი სრულიად ახალი და თანამედროვე სასწავლო დისციპლინა, რომელთა სწავლებამაც ჩვენი აზრით უნდა უზრუნველყოს დასმული ამოცანების გადაწყვეტა.

ესენია:

1. პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების არქიტექტურა;
2. პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების დაპროგრამირება;
3. სამრეწველო ქსელები;
4. სიხშირული გარდამქმნელები და სერვისის სტემები;
5. ავტომატიზირებული სისტემების დიაგნოსტიკა და მომსახურება;
6. მექატრონიკის საფუძვლები რდუინო-ს გამოყენებით.

უახლოეს ხანში ამას დაემატება აგრეთვე კიდევ ორი ახალი დისციპლინა, ესენია:

მართვა და ავტომატიზაცია არამკაფიო ტექნოლოგიების გამოყენებით;

რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით შექმნილი აპარატურა

1. Allen Bredley//Micro 830 Starter Kits
2. Automation Direct Starter Kits - Do-More H2Series
3. Schneider Electric / Telemecanique Twido PLC Starter Kit TWDXDPPAK6M
4. Vipa // PLC 800-7DK11 312SC Starter Kits
5. Siemens// SIMATIC S7-1200 + KTP300 Starter Kits
6. Siemens// SIMATIC S7-1500 Starter Kits
7. Arduino Uno 3 Starter Kits (6 ცალი)
8. Hantek1025G Function/Arbitrary Waveform Generator\
9. PicoScope 2205 Mixed-Signal Oscilloscope

2	საკანდიდატო დისერტაციის “ინოვაციური პროცესების კვლევა და კომპიუტერული მოდელირება” დასკვნითი ეტაპი. (კვლევითი საქმიანობა) მიმართულება: ინოვაციური პროცესების მოდელირება და მართვა.	რუსთაველის ფონდი	ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი	ჯ. გაგლოშვილი
---	--	------------------	---------------------------------	---------------

ანოტაცია

განხილულია ინოვაციის და ინოვაციური პროცესის არსი. წარმოდგენილია და გაანალიზებულია ინოვაციური პროცესის ექვსი თაობის ევოლუციური მოდელი. შექმნილია მეექვსე თაობის ღია ინოვაციური პროცესის მოდელი. ასეთი მოდელისთვის ინოვაციური იდეების გენერირების (საწყის) ეტაპზე დასმულია იდეების გადარჩევის ამოცანა, რომლის გადაწყვეტაშიც გამოყენებულია მოდელირების მრავალკრიტერიუმისანი ექსპერტული მეთოდი (ორი განსხვავებული ვარიანტი) და არამკაფიო სიმრავლეთა თეორია. პროექტის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს დამუშავებული კომპიუტერული სისტემა, შესაბამისი ვებ დიზაინით.

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამაზ ობგაძე	მათემატიკური მოდელირება	სტუ, თბილისი	839
ანოტაცია				
<p>მონოგრაფიაში აღწერილია მათემატიკური მოდელირების მეთოდები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ავტორის მრავალწლიან სამეცნიერო მუშაობის შედეგებთან. გადმოცემულია ჩვეულებრივი მათემატიკური მოდელის აგებისათვის, თამაზ ობგაძის მიერ შემუშავებული რეაქტორული სქემების ტექნიკა. განხილულია მათემატიკური მოდელის აგების მეთოდები ბიოქიმიაში, მექანიკაში, ბიოლოგიაში. ნაჩვენებია ცოცხალი სისტემების განვითარების საერთო კანონზომიერებები და მათი დროითი დინამიკის ფრაქტალური ბუნება. შესწავლილია დიფერენცირებად მრავალსახეობათა ლოკალური გეომეტრია, რაც საშუალებას იძლევა ავაგოთ კოსმოლოგიური მოდელები. შესწავლილია ცოცხალი სისტემების რხევითი ქვესისტემები. გადმოცემულია არაწრფივი სისტემების კვლევის მეთოდები. ნაჩვენებია ზვარითი ციკლების, უცნაური ატრაქტორებისა და ბიფურკაციების შესწავლის თავისებურებები ცოცხალი სისტემების შემთხვევაში.</p>				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გურამ ბელთაძე	თამაშთა თეორია: ურთიერთობათა და წონასწორობის მათემატიკური თეორია	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016	505
<p>ანოტაცია</p> <p>წიგნში განხილულია თამაშთა თეორიის ძირითადი თანამედროვე მიმართულებების (თეორიების) საწყისები, კერძოდ, არაკოალიციურ თამაშთა კლასები და მათი ანალიზი ნეშის წონასწორობის პრინციპის საფუძველზე, სარგებლიანობის თეორიის საფუძველები, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, სასრული და უსასრულო ანტაგონისტური თამაშები, არაანტაგონისტური თამაშების კლასები და მათი ამოხსნის ალგორითმები, სტატისტიკური თამაშების მოდელები, აგრეთვე: დინამიკური თამაშების სხვადასხვა მიმართულებები - პოზიციური, გამეორებული, ბაიესური, სასიგნალო, იერარქიული, დიფერენციალური თამაშები; აუქციონების თეორიისა და ეკონომიკური მექანიზმების თეორიის შესავალი; ევო-ლუციურ თამაშთა თეორიის ელემენტები; კოოპერატიულ თამაშთა თეორიის ოპტიმალურობის უმთავრესი პრინციპები; გამოყენება ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სამართალში; ლექსიკოგრაფიული თამაშები; ქსელური თამაშების თეორია და პარადოქსები ქსელურ თამაშებში, მათ შორის სატრანსპორტო ქსელებში.</p> <p>განკუთვნილია სახელმძღვანელოდ თამაშთა თეორიასა და მის გამოყენებებში უმაღლესი სასწავლებლების ყველა პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მათემატიკოსებისათვის, რომლებიც მუშაობენ თამაშთა თეორიის, ოპერაციათა კვლევის, მათემატიკური დაპროგრამებისა და მათემატიკური ეკონომიკის საკითხებზე, ეკონომიკის, ინფორმატიკის, მართვის, პოლიტიკის, უსაფრთხოების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, სამართლის, მედიცინის, სამხედრო, ეკოლოგიისა და სხვა დარგების სპეციალისტებისათვის, ხელისუფლების ყველა რგოლის ხელმძღვანელთათვის, საერთოდ ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია კარგის და ცუდის გარჩევით, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა, შეფასებებისა და პრიორიტეტების დადგენით, ინდივიდებთან, მხარეებთან, ბუნებასთან რაციონალური ურთიერთობების ორგანიზებითა და წონასწორობის გადაწყვეტილების მიღებით.</p>				
2	ია მოსაშვილი, სალომე ონიანი	Arduino პროგრამირების საფუძველები	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	179 გვ.
<p>ანოტაცია</p>				

სახელმძღვანელო ერთგვარი ნიმუშია პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, თუ როგორ შეადგინოს მაქსიმალურად ეფექტური პრაქტიკული დავალებები. სახელმძღვანელოს თემატიკა ისეა შედგენილი, რომ პროგრამული ბრძანებები, ელექტრული წრედები დაპროგრამირებადი დაფა იძლევა სასურველი ციფრული მოწყობილობის შექმნის შესაძლებლობას.

ნაშრომი განკუთვნილია ჩაშენებული სისტემების დაპროგრამებით დაინტერესებული სტუდენტებისა და ამ დარგში მომუშავე პირებისათვის, რომელიც ელექტრონიკის საფუძვლებთან ერთად იძლევა ციფრული სისტემების დაპროგრამების შესწავლის საშუალებას.

3	ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	მრავალნაკადური დაპროგრამება Java ენაზე	სტუ 2016	165
---	-------------------------------------	--	-------------	-----

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მრავალნაკადური დაპროგრამების საკვანძო საკითხები. კერძოდ, Java-ნაკადების მოდელი, ნაკადების სიმრავლის შექმნა და მათი პრიორიტეტები, ნაკადების სინქრონიზაციის უზრუნველყოფა, ნაკადშორისი კომუნიკაციები და ურთიერთ-ბლოკირება, სხვადასხვა ტიპის ნაკადთან და ფაილურ სისტემასთან მუშაობა.

წიგნში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებული ვიდეომასალა ბმულების სახით არის მითითებული ყოველი თავის დასასრულს.

მოცემული დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია Java ენაზე მრავალნაკადური დაპროგრამების ასათვისებლად.

4	ლელა გაჩეჩილაძე, ლაშა იაშვილი, ლია ნონიკაშვილი	ქსელური დაპროგრამება Java ენაზე	სტუ 2016	181
---	--	---------------------------------------	-------------	-----

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია კომპიუტერულ ქსელებთან მუშაობის საფუძვლები, ქსელური კლასები და ინტერფეისები, დეიტაგრამები, აპლეტებთან და სერვეტებთან მუშაობის საშუალებები Java დაპროგრამების ენაზე, სერვერული ფურცლების დამუშავება, JSP ტექნოლოგია და მისი ძირითადი კონსტრუქციები, Java-ს სერვერული ფურცლების კავშირი Java-ბინებთან.

წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებული ვიდეომასალა წიგნში ყოველი თავის დასასრულს ბმულების სახით არის მითითებული.

მოცემული დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია Java ენაზე ქსელური დაპროგრამების ასათვისებლად.

5	ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	Java- აპლეტები	თბილისი 2016	169
---	-------------------------------------	----------------	-----------------	-----

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების Java ენაზე ვიზუალური პროგრამების შემუშავების ისეთი საკვანძო საკითხები, როგორცაა: აპლეტების შაბლონების შექმნა, ხდომილებების დამუშავება, AWT ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვანი კლასებისა და მეთოდების გამოყენება, ვიზუალური დაპროგრამებისათვის დამახასიათებელი მართვის ელემენტების, კერძოდ, ტექსტური ჭდეების, ველებისა და არეების, List და Chois ტიპის სიების, მონიშვნის აღმების, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაფურცელის ზოლების ორგანიზება და მართვა.
მოცემული დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია Java ენაზე ვიზუალური დაპროგრამების ასათვისებლად.

6	ლელა გაჩეჩილაძე, ლია ნონიკაშვილი	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება Java ენაზე (მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად). II ნაწილი.	თბილისი 2016	220
---	----------------------------------	--	-----------------	-----

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია 15 ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების მეთოდიკა. ყოველი სამუშაოსთვის წარმოდგენილია თეორიული წანამძღვრები და აღწერილია პროგრამული კოდის ჩაწერისა და მისი შესრულების პროცედურები.
მოცემული მეთოდური მითითებანი განკუთვნილია Java ენაზე ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ასათვისებლად.

7	თამაზ ობგაძე, არჩილ ფრანგიშვილი, ალექსანდრე ტრუსკინოვსკი	ცოცხალი სისტემების ანალიზის მეთოდები (ფრაქტალები), ტომი 3	სტუ, თბილისი, 2016	133
---	--	---	--------------------	-----

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელო ეძღვნება ცოცხალ სისტემებში არსებული ფრაქტალური სტრუქტურების გეომეტრიულ აღწერასა და აგებას. ნაშრომში შესწავლილია ცოცხალი სისტემების განვითარების ფრაქტალური თავისებურებები. ნაჩვენებია ბუნებაში არსებული ფრაქტალები და მათი გეომეტრიული მოდელირების მეთოდები.

8	თამაზ ობგაძე, ნატო თუშიშვილი, ნუნუ	ელემენტარული მექანიკა ამოცანებსა	სტუ, თბილისი, 2016	140
---	------------------------------------	----------------------------------	--------------------	-----

	მელენიშვილი	და სავარჯიშოებში		
ანოტაცია				
<p>დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებისა, ფიზიკა-მათემატიკური სკოლების ნიჭიერი მოსწავლეებისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებისათვის. წიგნში მოკლედაა გადმოცემული ელემენტარული მექანიკა და თითოეული საკითხის გარშემო, ნაჩვენებია შესაბამისი ამოცანების ამოხსნის მეთოდები. მოცემულია როგორც ამოხსნილი საოლიმპიადო ტიპის ამოცანები, ასევე, სავარჯიშოები სტუდენტებისათვის. ყველა ამოცანა ამოხსნილია, ხოლო სავარჯიშოებს თან ახლავს პასუხები.</p>				
9	ირმა დავითაშვილი ნინო მჭედლიშვილი	წრფივი სისტემების ავტომატური მართვის თეორია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	209
ანოტაცია				
<p>დამხმარე სახელმძღვანელოში «წრფივი სისტემების ავტომატური მართვის თეორია» მოცემულია ლაბორატორიული სამუშაოების კურსი საგანში “მართვის თეორია 1”, რომელშიც შესწავლილია მართვის თანამედროვე სისტემის ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, განხილულია როგორც გახსნილი, ასევე შეკრული წრფივი სისტემები; მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი; გამოყენებულია ასეთი ობიექტების ავტომატური კვლევის კომპიუტერული სისტემა Matlab/Simulink-ი. განხილულია მდგრადობის დათვისებრიობის საკითხები. წიგნი გათვლილია მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. ის საჭირო დახმარებას გაუწევს მართვის სპეციალისტებს: სტუდენტებს, ინჟინრებს, მაგისტრებს და სხვებს, ვისაც სურვილი გაუჩნდება დაეუფლოს მართვის თანამედროვე თეორიას</p>				
10	ირმა დავითაშვილი, თამაზ ობგაძე, ნატო თუშიშვილი, ნუნუ მელანაშვილი	ელემენტარული მექანიკა ამოცანებსა და სავარჯიშოებში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის “მოდელირებისა და მართვის საინჟინრო- სამეცნიერო ცენტრი	140
ანოტაცია				
<p>ნაშრომში “ელემენტარული მექანიკა ამოცანებსა და სავარჯიშოებში” განზოგადებულია მექანიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები. ამოცანების ამოხსნას, წინ უსწრებს შესაბამისი თეორიული მასალა. ამოცანები ამოხსნილია მექანიკის ყველა მიმართულებით და მოცემულია ამოხსნის ზოგადი მეთოდიკა, რაც საშუალებას მისცემს მომავალ მექანიკოსებსა და ინჟინრებს, ღრმად დაეუფლონ მექანიკის ძირითად მიდგომებს,</p>				

თეორიულ მოდელებსა და ამოცანების ამოხსნის გზებს. წიგნი განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკით დაინტერესებული სტუდენტებისა და ფიზიკა-მათემატიკური სკოლების ნიჭიერი მოსწავლეებისათვის. ნაშრომი მოიცავს ელემენტარული მექანიკის როგორც საკონკურსო, ასევე, საოლიმპიადო დონის ამოცანებს რომლებიც ვარსკვლავითაა გამოყოფილი. ყოველი თავის ბოლოს მოყვანილია ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის პასუხებით.

წიგნი დახმარებას გაუწევს ფიზიკის მასწავლებლებს საშუალო სკოლის ბავშვების მოსამზადებლად ფიზიკის გამოცდებისა და ოლიმპიადებისათვის.

11	ნ.მჭედლიშვილი, ი.დავითაშვილი.	წრფივი სისტემების ავტომატური მართვის თეორია	თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა, 2016	208
----	----------------------------------	---	--------------------------------------	-----

ანოტაცია.
დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია ლაბორატორიული სამუშაოების კურსი საგანში “მართვის თეორია 1”, რომელშიც არის შესწავლილი მართვის თანამედროვე სისტემის ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, განხილულია როგორც გახსნილი, ასევე შეკრული წრფივი სისტემები. მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი; გამოყენებულია ობიექტების ავტომატური კვლევის კომპიუტერული სისტემა Matlab/Simulink-ი. განხილულია მდგრადობის და თვისობრიობის საკითხები.

12	ვ. კუციავა, პ. ჯოხაძე, თ. ხუციშვილი.	შემსრულებელი მოწყობილობები	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	169
----	---	-------------------------------	---	-----

ანოტაცია.
განხილულია ელექტრული, პნემატიკური, ჰიდრაულიკური და კომბინირებული შემსრულებელი მოწყობილობების ისეთი კვანძები, როგორცაა: შემსრულებელი მექანიზმები, მარეგულირებელი ორგანოები, ამძრავები, სერვოდრავები, დამხმარე მექანიზმები და სხვ.

13	ვ. კუციავა, თ. ხუციშვილი, ჯ. შანიძე.	ელექტრონული სქემების მოდელირება Electronics workbench გარემოში.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	49
----	---	---	---	----

ანოტაცია.
განხილულია ციფრული და ანალოგური ფუნქციური კვანძებისა და მოწყობილობების ვირტუალური მოდელირება Multisim სქემატექნიკური პროგრამის გამოყენებით.

14	ვ. კუციავა, თ. ხუციშვილი, ი. მოდებაძე.	ელექტრული წრედები 2.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	75
----	---	----------------------	---	----

ანოტაცია.

განხილულია ელექტრული რედების მოდელირება სქემატექნიკური პროგრამა Multisim-ის გამოყენებით ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად.				
14	გ. კუციავა, ა. კუციავა, გ. კაცაძე, ქ. დიაკონიძე.	ინფორმაციის დაცვა კორპორაციულ ქსელებში.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	151
ანოტაცია. განხილულია დაშიფვრის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე კრიპტოგრაფიული მეთოდები და ალგორითმები.				
16	გ. კუციავა, ზ. ჯოჯუა, თ. გეორგელიძე.	ციფრული სქემოტექნიკა.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	230
ანოტაცია. განხილული ციფრული ელექტრონიკის მოქმედების პრინციპები, ციფრული სქემების საბაზო ელემენტები და მათი ჩართვის სტანდარტული სქემები, ციფრული ინტეგრალური მიკროსქემების გამოყენებით მართვი და რთული მოწყობილობების დაპროექტების საკითხები და სხვ.				
17	გ. კუციავა, ზ. ჯოჯუა.	ციფრული სქემოტექნიკა.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	74
ანოტაცია. განხილული ციფრული ფუნქციური კვანძებისა და მოწყობილობების ვირტუალური მოდელირება NIELVISII ლაბორატორიული კომპლექსის გამოყენებით და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციები.				
18	ს. ნემსაძე, ნ. ბერაძე, გ. კუციავა, პ. ჯოხაძე.	ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები.	სტუ-ს გამომცემლობა, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	87
ანოტაცია. განხილულია ელექტრული წრედების მოდელირების საკითხები Multisim სქემატექნიკური პროგრამის გამოყენებით.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გურამ ბელთაძე	თამაშთა თეორია – მათემატიკის დარგი, რომელიც ყველას გვჭირდება ცხოვრებაში. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული “მატიანე”	5, 2016	ვანი	7
ჰიპერბოლური ტიპის დიფერენციალური და პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური არაწრფივი განტოლებებისათვის შესწავლილია სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების სტრუქტურული, თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები.დამტკიცებულია დარბუს ამოცანის ლოკალური და გლობალური ამოხსნადობა არაწრფივი დისიპატიური წევრის შემთხვევაში არამახასიათებელ კუთხოვან არეში. დამტკიცებულია ლოკალური ამონახსნის არსებობა პარაბოლური ტიპის ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების საწყის-სასაზღვრო ამოცანისათვის.გამოკვლეულია შერეული სასაზღვრო პირობებიანი ამოცანაარაწრფივი წყაროსწევრისარსებობისას.

№6

	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	დრეკადობის ბრტყელი თეორიის ზოგიერთი წრფივი და არაწრფივი საკონტაქტო ამოცანა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი № FR /86/5 – 109/14 2015–2018	ნ. შავლაყაძე	ნ. შავლაყაძე, ს.ხარბეგაშვილი, ო. ჯოხაძე

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

გამოკვლეულია ერთგვაროვან სიბრტყეში მექანიკური ველის განსაზღვრის ამოცანა, როდესაც ბრტყელი ფირფიტა გამაგრებულია სასრული არაერთგვაროვანი ჩართვით.

კონტაქტიფირფიტასადაფირფიტასშორისხორციელდებაწებოსთხელიფენისსაშუალებით. ამოცანადაყვანილიასასაზღვროამოცანაზესინგულარულიინტეგრო-დიფერენციალურიგანტოლებისათვის.

ჩატარებულიასიმპტოტურიანალიზი.ორთოგონალურპოლინომთამეთოდისგამოყენებითამოცანა დაიყვანებაუსასრულოალგებრულგანტოლებათასისტემისამოხსნაზე.

მიღებულისისტემაგამოკვლეულიარეგულარობისთვალსაზრისით.გამოკვლეულიაერთგვაროვანს იბრტყეშიმექანიკურიველისგანსაზღვრისამოცანა,როდესაცფირფიტაგამაგრებულიანახევრად უსასრულოანსასრულიდრეკადიარაერთგვაროვანიჩართვით.

ამოცანაფორმულირდებასინგულარულიინტეგრო-დიფერენციალურიგანტოლებისსახით. ორთოგონალურპოლინომთამეთოდისგამოყენებით ამოცანადაიყვანებაუსასრულოალგებრულგანტოლებათასისტემისამოხსნაზე, ხოლო ინტეგრალურიგარდაქმნებისმეთოდისგამოყენებითამოცანადაიყვანებაგადაადგილებიან სასაზღვროამოცანაზეანრიმანისსასაზღვროამოცანაზე. შესაბამისადმიღებულიამოცანების მიახლოებითიდაზუსტიამოხსნები. მიღებულიასიმპტოტურიშეფასებები.

№7

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	მათ
7	სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ზოგიერთი მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები №31/25.2013-2016 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გოგი ფანცულაია	გოგი ფანცულაია ალექსანდრე ხარაზიშვილი ალექსი კირთაძე

შემოტანილ იქნა სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ახალი კონცეფცია, რომელიც არის კლასიკური განსაზღვრის გარკვეული განზოგადება. ამ მიმართულებით შემოტანილ სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის სამი კატეგორია: ფარდობითი ზომადობა ზომათა კლასის მიმართ; აბსოლუტურად არაზომადობა ზომათა კლასის მიმართ; აბსოლუტურად ზომადობა ზომათა კლასის მიმართ. მიღებულ იქნა აუცილებელი და საკმარისი პირობები მოყვანილი ზომადობისათვის და აგრეთვე, ამ ცნებების გამოყენებები ნამდვილ ანალიზში, ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ ანალიზში.

№ 8

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---------------------	----------------------------	-----------------------	------------------------

8	<p>ჰარმონიული ანალიზის, აპროქსიმაციის თეორიისა და ინტეგრალურ ოპერატორთა თეორიის თანამედროვე პრობლემები ახალ ფუნქციურ სივრცეებში; გამოყენებები სასაზღვრო ამოცანებში</p> <p>ხელშეკრულების ნომერი 31/47</p> <p>(15 აპრილი 2013 – 15 აპრილი 2016წწ)</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ლ. ეფრემიძე</p>	<p>ვ. კოკილაშვილი, ა.მესხი</p> <p>შ. ტეტუნაშვილი,</p> <p>ვ. პაატაშვილი,</p> <p>ც. ცანავა,</p> <p>ნ. დანელია</p>
---	---	---	---------------------------	---

ა) დამტკიცებულამრავლადნახევრადწრფივიმაქსიმალურიოპერატორებისადამრავლადრფივიკალდერონ-ზიგმუნდისსინგულარულიინტეგრალებისშემოსაზღვრულობაწონიანგრანდლებეგისსივრცეებში. დადგენილიაერთწონიანიუტოლობადაკვალისუტოლობამრავლადწრფივიწილადურიინტეგრალებისათვისა დნიშნულსივრცეებში. ოპერატორები და სივრცეები განსაზღვრულია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე, სადაც ზომა აკმაყოფილებს გაორმაგების პირობას.

ბ) დადგენილია დაზუსტებული მუდმივები ერთწონიან უტოლობებში მაკეჰაუპტის ტიპის მახასიათებლების ტერმინებში ისეთი ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, როგორცაა სინგულარული ინტეგრალები და პოტენციალები ნამრავლიანი გულებით, ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები და სხვა. ანალოგიური ამოცანები შესწავლილია ცალმხრივი ჯერადი ინტეგრალური გარდაქმნებისათვის.

გ) დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები რომლებიც უზრუნველყოფს წონიანი გულიანი ოპერატორის შემოსაზღვრულობას ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში სივრცის მაჩვენებელზე ლოკალური ლოგარითმული პირობისა და უსასრულობაში ე.წ. კლებადობის პირობის ქვეშ. მიღებულია აღნიშნულ ოპერატორთა არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები.

მომზადდა მონოგრაფიის 2 ტომი, რომელიც გამოქვეყნდა Birkäuser/ Springer-ში (სულ 1003 გვერდი).

№ 9

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9	<p>მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრალი-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა</p> <p>ხელშეკრულების ნომერი</p>	<p>საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი და შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)</p> <p>ფ. ჰექტი (საფრანგეთის მხრიდან)</p>	<p>თ. ჯანგველაძე ზ. კილურაძე</p> <p>საფრანგეთის მხრიდან: ფ. ჰექტი ო. პირონაუ</p>

	CNRS / SRNSF 2013, 04/26 (10 აპრილი, 2014 – 10 აპრილი, 2016)			ი. დანაილა
<p>მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისებები. კერძოდ, ამ ამოცანების ამონახსნების არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევადროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. დამტკიცებულია ალგორითმების კრებადობის თეორემები. აგებულ ალგორითმებზე დაყრდნობით შექმნილია პროგრამული პაკეტი. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი.</p>				

№ 10

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10	<p>კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში</p> <p>ხელშეკრულების ნომერი FR/406/5-106/12 (15 აპრილი, 2013 – 15 აპრილი, 2016)</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>გივი ბერიკელაშვილი</p>	<p>გივი ბერიკელაშვილი ბინა მიდოდაშვილი</p>
<p>პროექტის მიზანს წარმოადგენს ორსაფეხურიანი სასრულ-სხვაობიანი მეთოდის დაფუძნება ელიფსური ტიპის განტოლებებისა და განტოლებათა სისტემებისათვის დასმული სხვადასხვა ამოცანისათვის. მეთოდის არსი ასეთია: დიფერენციალური ამოცანის აპროქსიმაცია ხდება მარტივი, ორდინალური სიზუსტის სხვაობიანი სქემით; მიღებული ამონახსნით ვახდენთ სხვაობიანი სქემის მარჯვენა მხარის სათანადო კორექციას და იმავე ბადეზე ვხსნით კორექტირებულ სქემას. შედეგად მიღებული ამონახსნი მაღალი რიგის სიზუსტისაა. საანგარიშო პერიოდში აგებული და გამოკვლეული იყო სხვაობიანი სქემები ცვლადკოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანისთვის და პუასონის განტოლებისათვის დასმული ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური ამოცანის შემთხვევაში. მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის შეფასებები სობოლევ-სლობოდეცის სივრცეებში.</p>				

№ 11

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11	წერტილოვანი სიმრავლეების გეომეტრიულ- კომბინატორული თვისებები და მათი გამოყენებები ხელშეკრულების ნომერი YS15_2.1.1_31 (29დეკემბერი, 2015 – 29დეკემბერი, 2017 წწ)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თენგიზ ტეტუნაშვილი	თენგიზ ტეტუნაშვილი
<p>ა) დადგენილია სიმრავლეთა აბსტრაქტულად მოცემული ოჯახების გეომეტრიული რეალიზაციების ალგორითმები სასრულგანზომილებიან R^n სივრცეებში.</p> <p>ბ) შესწავლილია R^n სივრცეებში სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების ამოზნექილი კომპაქტებით რეალიზაციის საკითხი.</p> <p>გ) დადგენილია კავშირები სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების ამოზნექილი კომპაქტებით R^2 და R^3 სივრცეებში რეალიზაციისას წარმოქმნილი კონსტიტუენტების სტრუქტურასა და სიმრავლეთა ოჯახის სიმძლავრეს შორის. მიღებულია ზუსტი შეფასებები.</p>				

№ 12

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12	ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა (კო)ჰომოლოგიური ფუნქტორები და განზომილების ტიპის ფუნქციები და მათი გამოყენებანი ხელშეკრულების ნომერი FR/233/5-103/14 (31 მარტი, 2015 – 31 მარტი, 2018 წწ)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვლადიმერ ბალაძე	ვლადიმერ ბალაძე ლეონარდ მმინარიშვილი ანზორ ბერიძე რუსლან ცინაძე

ა) ნაჩვენებია მოკლე ზუსტი მიმდევრობის არსებობა, რომელშიც მონაწილეობს უწყვეტი სინგულარული კოჰომოლოგია კოეფიციენტებით ფიბრაციების შებრუნებული სისტემის ზღვარში, მოცემული შებრუნებული სისტემის წევრებში კოეფიციენტებით აღებული უწყვეტი სინგულარული კოჰომოლოგიების შებრუნებული სპექტრის ზღვარი და ამ ზღვრის პირველი წარმოებული.

ბ) კომპაქტურ სივრცეთა და მეტრიკულ სივრცეთა ნაწილობრივ უწყვეტი ალექსანდერ-სპენიერის კოჰომოლოგიებისათვის არსებობს ზუსტი კოჰომოლოგიური მიმდევრობა, როცა q მატია ან ტოლი ორზე და კოეფიციენტთა ჯგუფებს შორის უწყვეტი ჰომომორფიზმი არის ფიბრაცია.

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

მონოგრაფია

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Buchukuri, O. Chkadua, D. Natroshvili,	Mathematical problems of generalized thermo-electro- magneto-elasticity theory	Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, Volume 68, 2016, 1-166 (თბილისი, თსუ რაზ- მამის მათემატიკის ინსტიტუტი)	pp. 166

ანოტაცია

მონოგრაფია ეძღვნება გრინ-ლინდსეის მოდელთან ასოცირებული განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ძირითადი, შერეული და ბზარის ტიპის სამგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევას. განხილული განზოგადებული მოდელის არსებით თავისებურებას წარმოადგენს სითბოს გავრცელების სასრული სიჩქარე. ნაშრომში შესწავლილია დინამიკის საწყის-სასაზღვრო ამოცანების ერთადერთობა და ჩატარებულია დინამიკის ამოცანებიდან ლაპლასის გარდაქმნით მიღებული ფსევდო-რხევის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანების ანალიზი. განხილული სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობა შესწავლილია პოტენციალთა მეთოდით შესაბამის სობოლევ-სლობოდეცკის (W_p^s ბესელის პოტენციალთა H_p^s და ბესოვის ($B_{p,q}^s$) სივრცეებში. გამოკვლეულია თერმო-მექანიკური და ელექტრო-მაგნიტური ველების სიგლუვის თვისებები და სინგულარობები ბზარის კიდევებისა და იმ წირების მახლობლობაში, რომელთა სხვადასხვა მხარეს დასმულია განსხვავებული ტიპის სასაზღვრო პირობები.

№	ავტორი/ ავტორები	სახელმძღვანელოს სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	თ. შარვაშიძე ზ. ქვათაძე ა. კირთაძე გ. ფანცულაია	მათემატიკური სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში	თბილისი „უნივერსალი“ 2016	248
<p>ანოტაცია</p> <p>წიგნში გადმოცემულია აღწერითი სტატისტიკის ელემენტები, შეფასებათა თეორია, წერტილოვანი შეფასებები და ნდობის ინტერვალები და მათი გამოყენება ეკონომიკურ საკითხებში. მოყვანილია მაგალითები, რომლებშიც მარკეტინგის სხვადასხვა ამოცანები გადაჭრილია ჰიპოთეზათა შემოწმების თეორიის საშუალებით.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Buchukuri, O. Chkadua, D.Natroshvili,	Mixed Boundary Value Problems of Pseudo- oscillations of Generalized Thermo-Electro-Magneto- Elasticity Theory for Solids with Interior Cracks	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.001 .	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	23
<p>ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის შერეული ამოცანები, როდესაც სხეული შეიცავს შიგა ბზარს. პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდირექციალური განტოლებების თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გაანალიზებულია ამონახსნების სიგლუვისა და ასიმპტოტური ყოფაქცევის თვისებები სინგულარული წირების მიდამოში. შესწავლილია სინგულარობის მაჩვენებლების დამოკიდებულება მატერიალურ მუდმივებზე. გაანალიზებულია რხევადი სინგულარობების შემთხვევები.</p>					
2	T.Kiria, G.Pantsulaia	Calculation of Lebesgue integrals by using	Transactions of A. Razmadze	Elsevier www.elsevier.com/	8

		uniformly distributed sequences	Mathematical Institute Volume 170, Issue 3, December 2016, Pages 402–409 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.001.	locate/trmi	
ანოტაცია					
<p>კოლმოგოროვის დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ერთი ვერსია არის გამოყენებული ბახა(Baxa) და შოისენჯიერის(Schoisengeier) (2002) შედეგის გასაძლიერებლად $(0, 1)$ ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების მაქსიმალურ ქვესიმრავლემდე რომელიც მკაცრად შეიცავს მიმდევრობებს რომელთაც აქვთ $(\{a_n\})_{n \in \mathbb{N}}$ სახე გარკვეული ირაციონალური a რიცხვისათვის და რომელთაც აქვთ სრული L_1^∞ ზომა, სადაც L_1^∞ აღნიშნავს $(0, 1)$ ინტერვალზე განსაზღვრული ლებეგის წრფივი L_1 ზომის უსასრულო ხარისხს.</p>					
3	Givi Giorgadze and Gogi Pantsulaia,	Representation of the Dirac Delta function in $C(R^\infty)$ in terms of $(1,1,\dots)$ -ordinary Lebesgue measures in R^∞ /Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	Volume 30, 2016	ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი	4
ანოტაცია					
<p>მიღებულია $C(\mathbf{R}^\infty)$ -ზე განსაზღვრული უსასრულო განზომილებიანი დირაკის დელტა ფუნქციონალის წარმოდგენა \mathbf{R}^∞ -ზე განსაზღვრული $(1,1,\dots)$ -ორდინალური “ლებეგის ზომის” საშუალებით და შესწავლილია მისი ზოგიერთი თვისება</p>					
4	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	The Cauchy-Darboux problem for wave equations with a nonlinear dissipative term. <i>Mem. Differential</i>	Volume 69	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	53-75 (23)

		<i>Equations Math. Phys.</i>		გამომცემლობა	
5	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	The second Darboux problem for the wave equation with integral nonlinearity. <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 170, No. 3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	385-394 (10)
6	N.Shavlakadze, S. Kharibegashvili, O. Jokhadze	An approximate solution of one class of singular integro-differential equations, <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 170, No. 3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	420-426 (7)
7	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	A short survey of scientific results of academician A. V. Bitsadze. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 69	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	1-14 (14)
8	S.Kharibegashvili, V. Kokilashvili and T. Jangveladze	On the occasion of Andro Bitsadze's 100th birthday anniversary (May 22, 1916–September 6, 1994), <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 170, No. 3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	297-299 (3)
ანოტაციები					
4. კუთხოვან არეში ტალღის განტოლებისათვის არაწრფივი დისიპატიური წევრით გამოკვლეულია კოში - დარბუს ამოცანა. შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. განხილულია აგრეთვე					

ამოცანის ლოკალური ამოხსნადობის საკითხი.

5. ტალღის განტოლებისათვის ინტეგრალური არაწრფივობით გამოკვლეულია დარბუს მეორე ამოცანა. დადგენილია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალური ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას.

6. გამოკვლეულია ერთგვაროვანსიბრტყეში მექანიკური ველის განსაზღვრის ამოცანა, როდესაც ბრტყელი ფირფიტა გამარბებულია სასრული არაერთგვაროვანი ჩართვით. კონტაქტი ფირფიტასა და ფირფიტას შორის ხორციელდება წე ბოსთხელი ფენის საშუალებით.

ამოცანა დაყვანილია სასაზღვრო ამოცანაზე სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის. ჩატარებულია ასიმპტოტური ანალიზი. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით ამოცანა დაიყვანება უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე.

მიღებული სისტემა გამოკვლეულია რეგულარობის თვალსაზრისით.

7. მოყვანილია აკადემიკოს ანდრო ბიწაძის სამეცნიერო შედეგების მოკლე მიმოხილვა.

8. სტატია მიძღვნილია აკადემიკოს ანდრო ბიწაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

9	Ю. Бeжyашвилe	Решение двумерной динамической задачи термодиффузии საქართველოს საინჟინრო სიახლენი	NO.1.VOL.77, 2016, 14-18	Georgian Federacion for Informacion and Documentacion (GFID), NGO Georgian Engineering News (GEN) LTD Tbilisi 0179, Kostava 47	4
---	---------------	---	--------------------------	---	---

ანოტაცია

განხილულია თერმოდირფუზიის მბული თეორიის ორგანზომილებიანი დინამიკური ამოცანა. პოტენციალთა მეთოდის, სინგულარული ინტეგრალური განტოლებების და ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით დამტკიცებულია ამოხსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რეგულარულ ფუნქციათა კლასში.

10	J.Peradze	On the approximate solution of a Kirchhoff type static beam equation, Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, 266-271	170	Tbilisi, 2016	6
----	-----------	---	-----	---------------	---

11	J.Peradze, Z.Tsiklauri	A numerical algo-rithm for theWoi-nowsky-Krieger nonlinear static beam problem, Reports of enlarged sessions of the seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	30	Tbilisi, 2016	4
12	J.Peradze	The convergence of an iteration method for the plate under the action of an symmetric load, Re-ports of enlarged sessions of the seminar of I. Ve-kua Institute of Applied Mathe-matics	30	Tbilisi, 2016	4
<p>ანოტაციები</p> <p>10. გრინის ფუნქციის მეთოდი და მარტივი იტერაციების პროცესი გამოყენებულია სტატიკური ძელისათვის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების ამოსახსნელად. შეფასებულია ალგორითმის სიზუსტე.</p> <p>11. განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ძელის სტატიკურ მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და ნიუტონის იტერაციული პროცესი. დამხმარე უცნობის შემოღების შედეგად დისკრეტული სისტემის იაკობიანი გადაიქცა გაიშვიათებულ მატრიცად, რაც იტერაციის ყოველ ბიჯზე ამარტივებს მის შებრუნებას. მიღებულია შებრუნებული მატრიზის ცხადი სახე.</p> <p>12. განხილულია ტიმოშენკოს ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა u, w და ψ ფუნქციების მიმართ. $u = u(w)$ და $\psi = \psi(w)$ დამოკიდებულებების მიღების შედეგად გამოყვანილია არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება w ფუნქციის მიმართ. ამ განტოლებისათვის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და იაკობის იტერაციული პროცესი. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობის პირობები და შეფასებულია მისი ცდომილება.</p>					
13	A. Kirtadze	On small sets from the measure-theoretical point of view	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, vol. 170, issue 2, 2016	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	4

არათვლად არაკომუტატიურ ჯგუფში შესწავლილია ზომის თვალსაზრისით მცირე სიმრავლეების ყოფაქცევა არანულოვანი სიგმა-სასრულო მთელი ჯგუფის მიმართ ინვარიანტული (კვაზინვარიანტული) ზომის მიმართ. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ არსებობს მოცემული სიგმა-სასრულო ინვარიანტული (კვაზინვარიანტული) ზომის ისეთი გაგრძელება, რომ ამ ზომის მიმართ ზომადი ორი მცირე სიმრავლის ჯამი არ არის ზომადი იმავე ზომის მიმართ.

14	V. Kokilashvili, A. Meskhi, M. A. Zaighum	Sharp weighted bounds for multiple integral operators	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (Elsevier) Vol. 170, (2016), 75–90.	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	16
----	---	---	--	--	----

ანოტაცია

დადგენილია ოპერატორთა ნორმების ოპტიმალური რაოდენობრივი დამოკიდებულება წონათა მაკენჰაუპტის ტიპის მახასიათებლებზე ისეთი ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, როგორცაა სინგულარული ინტეგრალები და პოტენციალები ნამრავლიანი გულებით, ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები და სხვ. ანალოგიური ამოცანები შესწავლილია ცალმხრივი ჯერადი ინტეგრალური გარდაქმნებისათვისაც.

15	V. Kokilashvili, A. Meskhi, V. Paatashvili	Generalized singular integral on Carleson curves in weighted grand Lebesgue spaces	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, 2016, No.2, 212–214 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.004	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	3
----	--	---	---	--	---

ანოტაცია

დადგენილია ი. ვეკუას განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში გაჩენილი სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის მიერ წარმოქმნილი ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა წონიან გრანდ ლებეგის სივრცეში.

16	V. Kokilashvili, A. Meskhi, V. Paatashvili	The Riemann–Hilbert problem in the class of Cauchy type integrals with densities of grand Lebesgue spaces	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170,2016, No.2, 208-211. http://dx.doi.org	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	4
----	--	---	--	--	---

			/10.1016/j.trmi.2016.07.002		
ანოტაცია					
წარმოდგენილია რიმან-ჰილბერტის ამოცანის ამოხსნა კომის ტიპის ინტეგრალთა კლასში, რომელთა სიმკვრივეც მიეკუთვნება გრანდ ლებეგის სივრცეს. გამოკვლეულია ამოხსნადობის პირობები და ამონახსნები აგებულია ცხადად.					
17	G. Gilles and A. Meskhi	Sharp weighted bounds for the Hilbert transform of odd and even functions	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Doi : http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.005 .	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	8
ანოტაცია					
მიღებულია ოპერატორის ნორმის დაზუსტებული შეფასებები წონათა ანდერსენ-მაკენჰაუპტის ტიპის მახასიათებლების ტერმინებში ლუწი და კენტი ფუნქციების ჰილბერტის გარდაქმნებისათვის.					
18	Shulaia. D Makatsaria G.	Green's Functions for the Light Scattering Equations . Bulletin of TICMI	Vol. 20, No. 1, 2016, 22-28	Tbilisi, Tbilisi state University	6
ანოტაცია					
ნაშრომის მიზანია უსასრულო გარემოში სინათლის გაბნევი განტოლებისათვის გრინის ფუნქციის კონსტრუირება . ამისათვის მისი მახასიათებელი განტოლებისათვის აგებულია რეგულარული და სინგულარული საკუთრივი ფუნქციათა სისტემა. ნაჩვენებია სისტემის სისრულე , რაც საშუალებას იძლევა დასმული ამოცანის ამონახსნის ეფექტურ წარმოდგენას .					
19	V. Paatashvili	Certain Properties of Generalized Analytic Functions from Class with a Variable Exponent	Mem.Differential Equations. Math.Phys.69, 2016, 77-91	Published by TSU press	14
ანოტაცია					
ილია ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის განხილულია კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა სმირნოვის კლასის ანალოგიური ცვლადმაჩვენებლიანი კლასი. შესწავლილია ამ კლასის ფუნქციათა კომის განზოგადებული ინტეგრალით წარმოდგენადობის და გაგრძელებადობის საკითხები, დამტკიცებულია სიმეტრიის პრინციპი.					

20	A.Jaghmaidze, g. Karseladze, G. SaduniSvili	Solution nonclassical Problems Of Statics Of Microstretch Materials with Microtemperatu res for bool.Applied Mathematics Informatics and Mechanics		Tbilisi University Press, Tbilisi	16
21	A. jaghmaidze, R. Tsuladze	Boundary- Contact Problems ofStatics of Linear Elasticity Mixtures		Tbilisi University Press, Tbilisi	10

20.ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის სტატიკის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისთვის მიკროგაჭიმვების მქონე სხეულისათვის, მიკროტემპერატურების გათვალისწინებით. შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენების საშუალებით დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

21.ანოტაცია

ნაშრომში პოტენციალისა და სინგულრულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით გამოკვლეულია წრფივი დრეკადი ნარევის სტატიკის მთავარი საკონტაქტო ამოცანის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი.

22	V. Tsutskiridze, L. Jikidze	The nonstationary flow of a conducting fluid a plane pipe in the presence of a transverse magnetic field.	Transaction of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, Issue 2, September 2016, pp.280- 286, (Engl).	Elsevier www. Elsevier. Co /locate/trmi	7
----	--------------------------------	--	--	---	---

აბსტრაქტი: შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის დინება ორ უსასრულო სიგრძის მქონე ბრტყელ მილში(კედლებს შორის), როდესაც მოძრაობის მართობულად მოდებულია გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. ლაპლასის ინტეგრალური გარდაქმნების

გამოყენებით მიღებულია მაგნიტოჰიდროდინამიკის განტოლებათა სისტემის ამონახსნები, როდესაც სითხის გამტარებლობის და კედლების გამტარებლობის კოეფიციენტები ნებისმიერია.

კომპლექსური ინტეგრალები, რომლის მეშვეობითაც გამოსახულია ამონახსნები გამოთვლილია კონკრეტულ შემთხვევებში. გამოთვლილია სითხის ფიზიკური მახასიათებლები(ხახუნის ძალა სითხეში და მილის კედლებზე, სითხის საშუალო სიჩქარე და სითხის ხარჯი).

23	A. Gachechiladze, R.Gachechiladze	Unilateral Contact Problems with a Friction	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, № 3, (2016), 363-375	Elsevier www.elsevier.com/ locate/trmi	13
----	--------------------------------------	--	--	---	----

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია დრეკადობის ჰემიტროპული თეორიის ცალმხრივ შეზღუდვებიანი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ხახუნის გათვალისწინებით. განხილულია ამოცანა, როდესაც საკონტაქტო ზედაპირზე მოცემულია გადაადგილების ნორმალური მდგენელი, მომენტური ძაბვა და პირობები რომლითაც აღიწერება ხახუნის ეფექტი. შესწავლილია ორი შემთხვევა: კოერციტიული, როდესაც დრეკადი სხეული საზღვრის დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებულია და არაკოერციტიული, როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს და ხახუნის ეფექტი სხეულის მთელ საზღვარზეა გათვალისწინებული. ამოცანის სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე ეკვივალენტურად დაყვანის მეთოდით შესწავლილია ამოცანის სუსტი ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი, ასევე კოერციტიულ შემთხვევაში ამონახსნის ამოცანის მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი. არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით დაწერილია ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა, რომელიც გარკვეულ დამატებით შეზღუდვებს წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.

24	Z.Tediashvili	The Dirichlet Boundary Value Problem of Thermo- Electro-Magneto-Elasticity for Half Space	Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, Volume 69, 2016, 93–103 (თბილისი, თსუ რაზ- მაძის მათემატიკის ინსტიტუტი)	10
----	---------------	--	--	----

ანოტაცია

განხილულია თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის დირიხლეს ამოცანა ნახევარსივრცისათვის. ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით დამტკიცებულია ერთადერთობის

თეორემები. გარკვეულ ბუნებრივ შეზღუდვებში, რომლებსაც ვადებთ სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციას, შესაბამისი დირიხლეს ამოცანის ერთადერთი ამონახსნი წარმოდგენილია ცხადი სახით შებრუნებული ფურიეს გარდაქმნის მეშვეობით.

25	Tengiz Buchukuri, Roland Duduchava, George Tephnadze	Dirichlet problem for Laplace–Beltrami equation on hypersurfaces-FEM approximation	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute https://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.003	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	8
----	--	--	---	--	---

ანოტაცია

განხილულია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისთვის ჰიპერზედაპირზე, როდესაც ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი ზედაპირზე ცხადად აღიწერება გიუნტერის დიფერენციალური ოპერატორების საშუალებით. ჰიპერზედაპირზე გიუნტერის მხები დიფერენციალური ოპერატორების აღრიცხვის გამოყენებით დასაბუთებულია სასრულ ელემენტთა მეთოდი განხილული სასაზღვრო ამოცანისთვის და მიღებულია მიახლოებითი ამონახსნიცხადისახით.

26	T.Jangveladze	Long-Time Behavior of Solution and Semi-Discrete Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation. <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N1 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2015.12.002	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	9
----	---------------	--	--	--	---

ანოტაცია

ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული სქემა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით. ყურადღება გამახვილებულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევაზე. განხილული მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი.

27	T.Jangveladze, Z.Kiguradze	Finite Difference Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation. <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N3 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.006	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	7
----	----------------------------	---	--	--	---

ანოტაცია

ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით. მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი. დაფიქსირებულია ცალსახად ამოხსნადობა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა. არსებითი ყურადღება ეთმობა სასრულ-სხვაობიანი სქემის კრებადობას. გამოკვლეულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევა.

28	S. Kharibegashvil, V. Kokilashvili, T. Jangveladze	On the Occasion of Andro Bitsadze's 100th Birthday Anniversary(May 22, 1916 – September 6, 1994). <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N3 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.10.001	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	3
----	--	--	--	--	---

ანოტაცია

სტატია ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ანდრო ბიჭაძის 100 წლის იუბილეს.

29	T. Jangveladze, M. Gagoshidze	Hoph Bifurcation and its Computer Simulation for One-Dimensional Maxwell Model. <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	V.30	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	----------------------------------	--	------	-------------------------------------	---

ანოტაცია

გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის აღმწერი მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი ერთგანზომილებიანი მოდელისათვის მოცემულია ჰოფის ბიფურკაციული პროცესის აღწერა და მისი კომპიუტერული მოდელირება.

30	T.Jangveladze	Unique Solvability and Additive Averaged Rothe's Type Scheme for One Nonlinear Multi-Dimensional Integro-Differential Parabolic Problem, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE-2016(ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	---------------	--	-------------------------------	-------------------------------------	---

ანოტაცია

პარაბოლური ტიპის ერთი არაწრფივი მრავალგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობა და როტეს ტიპის ადიტიური გასაშუალებული სქემის კრებადობა.

31	T.Jangveladze, Z.Kiguradze,	Difference Scheme for One System of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations. <i>J. Appl. Math. Inform. Mech.</i>	2016,V.21, N1	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	15
----	--------------------------------	--	---------------	-------------------------------------	----

ანოტაცია

განხილულია არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე. შერეული სასაზღვრო პირობებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანისთვის მოცემულია ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. შესწავლილია სასრულ-სხვაობიანი სქემა. გამოკვლეულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევა.

32	Z.Kiguraze, M.Kratsashvili	Finite Difference Scheme for One Nonlinear Partial Integro-Differential Equation. <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	V.30	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	-------------------------------	--	------	-------------------------------------	---

ანოტაცია

გამოკვლეულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული გარემოში ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი მოდელი ორკომპონენტიანი მაგნიტური ველისთვის. ადრე განხილულზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობების შემთხვევებში შესწავლილია შესაბამისი სასრულ-სხვაობიანი სქემის მდგრადობა და კრებადობა.

33	Z.Kiguradze	Uniqueness of Solution and Convergence of Finite Difference Scheme for One System of Nonlinear Integro-Differential Equations, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE-2016(ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	-------------	--	-------------------------------	-------------------------------------	---

ანოტაცია

განხილულია მაქსველის ცნობილი სისტემის ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე

რედუცირების შედეგად მიღებული მოდელი. ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობების შემთხვევებისთვის გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის საკითხი და დამტკიცებულია აგებული სასრულ-სხვაობიანი სქემის კრებადობა

34	G. Berikelashvili, B. Midodashvili	Method of corrections by higher order differences for Poisson equation with nonlocal boundary conditions	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.04.002	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	10
35*	G. Berikelashvili, B. Midodashvili	Method of corrections by higher order differences for elliptic equations with variable coefficients	Georgian Mathematical Journal DOI: 10.1515/gmj-2016-0008 ,	De Gruyter	12
36	G. Berikelashvili, N. Khomeriki, M. Mirianashvili	On the convergence rate analysis of one difference scheme for Burgers' equation	Mem. Differential Equations Math. Phys. 69 (2016), pp. 33-42	Georgian National Academy of Sciences and the A. Razmadze Mathematical Institute	10

ანოტაცია

34. განხილულია ბიწამე-სამარსკის ტიპის არალოკალური სასაზღვრო ამოცანა კუასონის განტოლებისათვის, რომლის ამოსახსნელად მეორე რიგის სასრულ სხვაობიანი სქემა გამოყენებული. მიღებული მიახლოებითი ამონახსნით ვახდენთ სხვაობიანი სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია, რომ კორექტირებული სქემის ამონახსნი კრებადია $O(h^s)$ სიჩქარით, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება $s \in [2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევის სივრცეს.

35. განხილულია ცვალებად კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანა, რომლის ამოსახსნელად მეორე რიგის სიზუსტის სასრულ სხვაობიანი სქემა გამოყენებული. დაფუძნებულია ორსაფეხურიანი სასრულ სხვაობიანი მეთოდი და მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის შეფასება. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ კორექტირებული სქემა კრებადია $O(h^s)$ სიჩქარით, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება $s \in [2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევის სივრცეს.

36. განხილულია ერთგანზომილებიანი არაწრფივი ბურგერსის განტოლებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანა. შესწავლილია სამშრიანი სასრულ-სხვაობიანი სქემა. უცნობი ფუნქციის მნიშვნელობების მოსაძებნად პირველ შრეზე ორშრიანი სქემა გამოყენებული. მიღებული ალგებრული

განტოლებები წრფივია უცნობი ფუნქციის მნიშვნელობების მიმართ ყოველ ახალ შრეზე. დამტკიცებულია, რომ თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება სობოლევის W_2^k , $2 < k \leq 3$ სივრცეს, მაშინ დისკრეტული L_2 ნორმით სქემის კრებადობის სიჩქარეა $O(h^{k-1} + \tau^{k-1})$.

37	Chartolani R. Durglishvili N. Kvatadze Z.	Optimization of a State Financing Model of Vocational Colleges. Proc. A. Razmadze Math. Inst.	169(2-15)	თბილისი	23-31
----	---	--	-----------	---------	-------

ანოტაცია

სტატისტიკურ მონაცემთა ფაქტორული დამუშავების შედეგად გამოიყო 8 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ სასწავლო პროცესის მაქსიმალური დონის მიღწევას. შეფასებულია თოთოეული ფაქტორის კოეფიციენტები. მიღებულია რანჟირების ცხრილისათვის საჭირო კოეფიციენტები ბაზრის მხრიდან სპეციალობის მოთხოვნის გათვალისწინებით.

2) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Pantsulaia	Applications of measure theory in statistics	ISBN 978-3-319-45577-8, Springer© 2016 http://www.springer.com/gp/book/9783319455778	134

ანოტაცია

ამ წიგნის მიზანია პოლონურ ჯგუფებისათვის შემუშავებული ჰაარის ნულ სიმრავლეთა კონცეფციის გამოყენებით ამავე ჯგუფებზე განსაზღვრული ძალდებული შეფასებებისათვის ობიექტურობისა და სუბიექტურობის ცნებებში მკაცრად არგუმენტირებული მათემატიკური შინაარსის ჩადება. ეს ახალი მიდგომა ბუნებრივად ხლიჩავს პოლონურ ჯგუფებზე განსაზღვრული უცნობი პარამეტრის ძალდებული შეფასებების კლასს სუბიექტური და ობიექტური შეფასებების თანაუკვეთ კლასებად და ეხმარება მკითხველს ზოგიერთი ჰიპოთეზის გარკვევაში რომელიც წარმოიშობა ნულ ჰიპოთეზის ტესტირების კრიტიციზმში. წიგნი ასევე აცნობს სტუდენტებს უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირების თეორიას რომელიც სულ ახლახან იქნა შემუშავებული უსასრულო-განზომილებიან მართკუთხედებზე განსაზღვრული უსასრულო-განზომილებიანი რიმანის

ინტეგრალის მნიშვნელობის შესაფასებლად. ეს წიგნი განკუთვნილია როგორც ასპირანტებისათვის ასევე მკვლევარებისათვის რომლებიც მუშაობენ ანალიზის, ზომის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებში.

2	V. Kokilashvili, A. Meskhi, H. Rafeiro and S. Samko	Integral operators in non- standard function spaces: Volume 1, Variable exponent Lebesgue and amalgam spaces	Birkäuser/ Springer Heidelberg	567
---	--	---	-----------------------------------	-----

ანოტაცია

მონოგრაფიაში შესწავლილია ჰარმონიული ანალიზის ოპერატორთა ასახვის თვისებები ისეთ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში, როგორცაა ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეები, ამაღამ სივრცეები, ცვლადმაჩვენებლიან ჰელდერის სივრცეებში და სხვა. დიდწილად ამოცანები შესწავლილია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ოპერატორებისა და სივრცეებისათვის. მიღებულ შედეგთა შორის აღსანიშნავია წონითი კრიტერიუმები ჰარდის ტიპისა და კარელმან კნოპის ოპერატორებისათვის, შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები ცვლადპარამეტრიანი რიმან-ლიუვილის გარდაქმნებისათვის, გულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები გულიანი ოპერატორებისათვის, ორწონიანი შეფასებები კალდრონ-ზიგმუნდის ოპერატორებისათვის და პოტენციალებისათვის, ორწონიანი უტოლობები ცვლადპარამეტრიანი ძლიერი წილადური მაქსიმალური ოპერატორებისათვის და ჯერადი ჰარდის გარდაქმნებისათვის. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნული ამოცანები შესწავლილია სივრცის მაჩვენებლებზე ლოგარითმული პირობების გარეშე. მოცემულ ტომში წარმოდგენილია ასახვის თვისებები ჰიპერსინგულარული ინტეგრალური ოპერატორებისათვის ერთგვაროვანი ტიპის სივრცეზე განსაზღვრული ცვლადმაჩვენებლიან სობოლევის სივრცეებში. კომის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორები წონიან ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში გამოყენებულია ფრედჰოლმის ტიპის ამოხსნადობის საკითხებში სინგულარულ ინტეგრალური განტოლებებისათვის და ფსევდოდოდიფერენციალური ოპერატორებისათვის,

3	V. Kokilashvili, A. Meskhi, H. Rafeiro and S. Samko	Integral operators in non- standard function spaces Volume 2: Variable exponent Lebesgue and amalgam spaces	Birkäuser/ Springer Heidelberg	432
---	--	--	-----------------------------------	-----

ანოტაცია

შესწავლილია ჰარმონიული ანალიზის ძირითად ოპერატორთა ასახვის თვისებები განზოგადებულ ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში, წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებსა და განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში, შემოღებულია გრანდ ლებეგის სივრცე უსასრულო ზომიან სივრცეებზე და დადგენილია ნახევრადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობა აღნიშნულ სივრცეებში. შემოღებულია ახალი ფუნქციური სივრცე, რომელიც წარმოდგენს ნახავს ორი ახალი ფუნქციური სივრცისა: ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცისა და გრანდ ლებეგის სივრცისა. დადგენილია მაქსიმალური, სინგულარული და პოტენციალის ოპერატორების შემოსაზღვრულობა ამ სივრცეებში,

შემოღებულია გრანდ ბონენერ-ლეგევის სივრცე და შესაწავლილია მისი ზოგიერთი სტრუქტურული თვისება, დადგენილია სინგულარული ინტეგრალური ოპერატორისა და პოტენციალის ოპერატორების კომუტატორების შემოსაზღვრულობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში; დადგენილია VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლების ამონახსნათა რეგულარობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში; შესწავლილია ნახევრადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენელიან ჰერცის სივრცეები; მოცემულია აუცილებელი და საკმარისი პირობები ზომაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტეინ-ვეისის ტიპის უტოლობებს არაერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული პოტენციალებისათვის; მიღებულია ადამსის ტიპის კვალის უტოლობა მორის სივრცეებში ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული პოტენციალებისათვის; დადგენილია ორწონიანი უტოლობები ნამრავლიანგულიანი პოტენციალის ოპერატორების კლებად ფუნქციათა კონუსებზე.

4	T.Jangveladze, Z.Kiguradze, B.Neta	Numerical Solution of Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations.	Elsevier, ACADEMIC PRESS, 2016, ISBN: 978- 0-12-804628-9	254
---	--	--	--	-----

ანოტაცია

მონოგრაფია ეძღვნება ზოგიერთი ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის რიცხვითი ამოხსნის საკითხებს. მოცემულია განხილული მოდელების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ზოგიერთი თვისება. აგებულია და გამოკვლეულია მიახლოებითი ამონახსნის მოძებნის ალგორითმები. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი და მოყვანილია შესაბამისი ცხრილები და გრაფიკული ილუსტრაციები. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია კომენტარები და ბიბლიოგრაფიული მითითებები მონოგრაფიაში განხილული და მსგავსი მოდელების კვლევების შედეგების შესახებ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	O. Chkadua, S. Mikhailov, D. Natroshvili,	Localized boundary- domain singular integralequations of Dirichlet problem for self-adjoint second- order strongly elliptic PDE systems//	wileyonlinelibrary.com DOI: 10.1002/mma.4100 (2016)	Wiley	21

		Mathematical Methods in the Applied Sciences.			
<p>ანოტაცია</p> <p>ახლად შექმნილი განზოგადებული ლოკალიზებული პოტენციალების თეორიისა და ფსევდოდიფერენციალური განტოლებებისათვის ბუტე დე მონველისა და ვიშიკ-ესკინის მიერ მიღებული შედეგების გამოყენებით გამოკვლეულია დირიხლეს ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის, არსებობის და რეგულარობის საკითხები ცვლად კოეფიციენტებიანი თვითშეუღლებული მეორე რიგის ძლიერად ელიფსური სიტემებისათვის.</p>					
2*	G.Pantsulaia	Equipment of sets with cardinality of the continuum by structures of Polish groups with Haar measures <i>/International Journal of Advanced Research in Mathematics,</i>	<i>Vol. 5, (2016) 8-22</i>	<i>SciPress Ltd., Switzerland, doi:10.18052/www.scipress.com/IJARM.5.8</i>	15
<p>ანოტაცია</p> <p>შემუშავებულია მიდგომა რომელიც იძლევა კონტინუუმის სიმძლავრის სიმრავლის აღჭურვას ორმხრივად ინვარიანტული ჰაარის ზომით აღჭურვილი პოლონური ჯგუფის სტრუქტურით. ამ მიდგომის საშუალებით დადებითად ვპასუხობთ მალეკის მიერ 2012 წელს დასმულ შეკითხვაზე რომელია ის k-განზომილებიანი მრავალსახეობები რომელთაც აქვთ ორი განსხვავებული ლის ჯგუფის სტრუქტურა ერთი და იგივე ჰაარის ზომით. ნაჩვენებია, რომ პოლონურ სივრცეზე განსაზღვრული ბორელის დიფუზიურიალბათური ზომისათვის არსებობს ისეთი მეტრიკა და ჯგუფური ოპერაცია, რომ ამ ახალი მეტრიკით წარმოქმნილი სიმრავლეთა ბორელის კლასი ემთხვევა პოლონური სივრცის ქვესიმრავლეთა ბორელის კლასს და მოცემული ზომა წარმოადგენს ჰაარის ალბათურ ზომას შემოტანილი ჯგუფური ოპერაციის მიმართ.</p>					
3*	Pantsulaia, Gogi; Giorgadze, Givi.	On a linear partial differential equation of the higher order in two variables with initial condition whose coefficients are real-valued simple step	29 (2016), no. 1, 1--13.	Peking University, Institute of Applied Physics and Computational Mathematics and Zhengzhou University(CHINA). doi: 10.4208/jpde.v29.n1.1	13

		functions./ <i>J. Partial Differ. Equ.</i>			
<p>ანოტაცია</p> <p>[Georg. Inter. J. Sci. Tech., Volume 3, Issue 1 (2011), 107-129] ნაშრომში შემუშავებული მიდგომით მიღებულია საწყის პირობიანი მაღალი რიგის წრფივი კერძო წარმოებულბიანი დიფერენციალური განტოლების სუსტი ამონახსენის ცხადი სახით წარმოდგენა, როცა კოეფიციენტები წარმოადგენენ ნამდვილ მნიშვნელობიან მარტივ საფეხურა ფუნქციებს.</p>					
4*	<i>M.Kintsurashvili, T.Kiria and G.Pantsulaia</i>	<i>M.Kintsurashvili, T.Kiria and G.Pantsulaia</i> , On Moore-lamasaki-Kharazishvili type measures and the infinite powers of Borel diffused probability measures on \mathbb{R}^d , Journal of Mathematical Sciences: Advances and Applications	Volume 38, 2016, Pages 83-103	Scientific Advances Publishers 71/52 Bhusoli Tola Khuldabad Allahabad 211 006 (INDIA) DOI: http://dx.doi.org/10.18642/jmsaa_7100121637	21
<p>ანოტაცია</p> <p>მოცემული ნაშრომი შეიცავს იამასაკის (1980) ერთი შედეგის მოკლე მიმოხილვას რომელიც შეეხება მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომებსა და ნამდვილ რიცხვთა ღერძზე განსაზღვრული დიფუზიური ალბათური ზომის უსასრულო ხარისხებს შორის მიმართებას. უფრო ზუსტად, ჩვენ მოგვყავს იამასაკის დამტკიცება იმის შესახებ, რომ მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრულ დიფუზიური ზომის უსასრულო ხარისხისათვის არ მოიძებნება მისი ექვივალენტური მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომა. იამასაკის ზომის ერთი მოდიფიკაცია არის გამოყენებული იმის საჩვენებლად რომ არსებობს მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომის ექვივალენტური მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრული დიფუზიური ზომების ნამრავლი. უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დამტკიცებულია რომ მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრული დიფუზიური ზომის უსასრულო ხარისხისხების ნებისმიერი ოჯახი არის ძლიერად განცალკეადი, და შესაბამისად გააჩნია უცნობი განაწილების ფუნქციის უსასრულო-შერჩევითი ძალდებული შეფასება. ეს აძლიერებს ძირითად შედეგს, რომელიც თავის დროზე მიღებული იყო შემდეგ ნაშრომში [Zerakidze Z., Pantsulaia G., Saatashvili G. On the separation problem for a family of Borel and Baire G-powers of shift-</p>					

measures on \mathbb{R} // Ukrainian Math. J. -2013.-65 (4).- P. 470--485					
5	D.Ugulava,	Суммирование рядов Фурье почти-периодических функций на локально компактных Абелевых группах	Известия ВУЗ, 12, 2016. Russian Mathematics, 2016, v.60, No. 12	Russian	14
<p>ანოტაცია</p> <p>უწყვეტი პერიოდული ფუნქციებისათვის ცნობილი ზოგიერთი კლასიკური შედეგი განზოგადებულია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ თითქმის პერიოდული ფუნქციებისათვის. შემოყვანილი და შესწავლილია ფურიეს მწკრივთა ბოხნერ-ფეიერის ცნობილი საშუალოების გარკვეული ანალოგები. შედეგები ილუსტრირებულია მაგალითებით.</p>					
6*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On solvability of a periodic problem for a nonlinear telegraph equation. <i>Siberian Math. J.</i>	Volume 57 No.4	Spinger New York	735-743 (9)
7*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On the solvability of a boundary value problems for nonlinear wave equations in angular domains. <i>Differential Equations</i> . Translated from <i>Differentsial'nye Uravneniya</i>	Volume 52 No.5	Spinger New York City	644-666 (23)
<p>ანოტაციები</p> <p>6. ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია დროით პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.</p> <p>7. კუთხოვან არეებში ტალღის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია სასაზღვრო ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს პირობებით არამახასიათებელ მზიდებზე. ვექტორული ველის ყოფაქცევის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სასაზღვრო პირობაში დახრილი წარმოებულის მიმართულებას შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა დაფეთქებადი ამონახსნის არსებობა.</p>					

8*.	N.Kachakhidze, N.Khomeriki, J.Peradze, Z.Tsiklauri	Chipot's method for Kirchhoff's one-dimensional static equation, Numerical Algorithms, 2016	v.72, n.1		16
9*.	J.Peradze	A Kirchhoff type equation in a non-linear model of shell vibration, Journal of Applied Mathematics and Mechanics (Z. Angew. Math. Mech.), 2016	DOI 10.1002/zamm.201600142		15

ანოტაციები

8. კირპოფის არაწრფივი ერთგანზომილებიანი სტატიკური განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია ჩიპოს მეთოდი. შესწავლილია ამ მეთოდის მდგრადობის საკითხი.

9. სტატიკური მართკუთხა ფირფიტისათვის დონელ-ვლასოვის არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან გამოყოფილია კირპოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგილების ფუნქციის მიმართ.

10*	T. Kasrashvili, A. Kirtadze	Elementary volume and measurability properties of additive functions,	Georgian Mathematical Journal, vol. 23, issue 1, 2016, pp.69-73.	De gruyter, Germany	5
-----	--------------------------------	---	--	---------------------	---

განხილულია ელემენტალური მოცულობების თვისებები ზომის თეორიისა თვალსაზრისით და მათთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად, ფიგურათა ტოლმედგენილობა, დენის ინვარიანტები, ნეიმანისა და ბანახ-ტარსკის პარადოქსები და სხვ.). ვინაიდან მოყვანილი საკითხები უშუალოდ კავშირშია კომის ფუნქციონალურ განტოლების ამონახსნთან, ამოტომ გამოკვლეულ იქნა ამ განტოლების ამონახსნები ზომის თეორიის თვალსაზრისით და დადგენილ იქნა, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ლებეგის ზომის ყველა იმ გაგრძელებათა კლასის მიმართ, რომლებიც ინვარიანტულნი არიან ძვრების მიმართ.

